ბატონიშვილი ვახუშტი

საქართველოს გეოგრაფია

დაიბეჭდა

ვახუშტი ბატონიშვილის ხელნაწერ დედნით.

რედაქცია მ. გ. ჯანაშვილისა.

გამოტემა ჟურნალ „მოგზაურისა".

[illegible]

თფილისი,
მსწრაფლ-მბეჭდავი სტამბა ა. ქუთათელაძისა. ნიკ. ქ., № 21
1904 წ.

ბატონიშვილი ვახუშტი

1694—1776 წწ.

(ხუმბარი გადმოღებულია საბინინის ქალაქდებში ნაპოვნ ნახატიდამ).

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ.

1) ვახუშტის ხურათი
2) ვახუშტი და მისი შრომა. Ა
3) ქართველები და საქართველო . . . . ᲘᲖ
4) ეთნოგრაფიული კანხილვა ძველთა და ახალთა კაბადოკიის ანკანეთის მკვიდრთა მოსახლეთა. ᲚᲕ
5) მცხეთის სამეფო და ქართველნა . . . . ᲛᲑ
6) სარწმუნოება . . . ᲝᲨ
7) ალებ მიტემა, კზები და სხვ. რიგ

—

8. ᲖᲜᲔᲜᲘ და ჩვეულებანი საქართველოსანი.

ᲒᲘ.

შესავალი . 1
ᲖᲜᲔᲗᲗᲕᲘᲡ 2
ᲙᲔᲠᲞᲗᲗᲕᲘᲡ . . 4
ᲛᲔᲤᲔᲗᲗᲕᲘᲡ ᲬᲔᲡᲗᲗᲕᲘᲡ . 6
ᲚᲐᲨᲥᲐᲠᲗᲗᲕᲘᲡ . . 7
ᲡᲐᲬᲣᲠᲕᲔᲚᲗᲗᲕᲘᲡ. ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ . . . 8
ᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲜᲘ . . 9
ᲩᲕᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ . . 12
ᲙᲔᲠᲞᲗ ᲓᲔᲡᲘᲡᲬᲣᲚᲗᲗᲕᲘᲡ 13
ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛᲐᲓ ᲙᲔᲠᲞᲗᲐ . . 14
ᲨᲔᲫᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ . . . 16
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲕᲐᲠᲗᲗᲕᲘᲡ . 17
ᲐᲮᲐᲚᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ . . 18
ᲐᲚᲓᲒᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ . . 19
ᲓᲠᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲨᲔᲠᲔᲣᲚᲗᲐ ᲬᲔᲡᲗᲐᲗᲕᲘᲡ . . . 20
ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡᲐ ᲬᲔᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ 21
ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲘᲡ ᲣᲤᲐᲚᲗᲐ ᲨᲔᲪᲕᲔᲚᲘᲚᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲓᲗᲐᲗᲕᲘᲡ. 22
ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲗᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲗᲐ ᲙᲕᲐᲠᲗᲐᲗᲕᲘᲡ . . . 23
ᲬᲐᲠᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗᲗᲕᲘᲡ . 26
ᲛᲔᲤᲔᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲔᲞᲘᲡᲙᲝᲞᲗᲐ ᲓᲐᲨᲙᲐᲠᲡ ᲬᲡᲕᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ 29.

9. საქართველოს გეოგრაფია.

ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐ

ᲡᲐᲮᲔᲚᲘ ᲠᲘᲗ ᲔᲬᲝᲓᲐ . 30
ᲐᲠᲐᲖᲣᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲮᲘᲚᲗᲗᲕᲘᲡ. 32
ᲡᲐᲕᲐᲠᲓᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲛᲢᲘᲚᲝᲒᲕᲜᲗᲗᲕᲘᲡ. ᲮᲘᲠᲣᲢᲔᲣᲗᲗᲐ ᲓᲐ ᲤᲠᲘᲜ.

ველთათვის. . 33
შთათათვის . . 34
თეუზოათვის. შწერთათვის. 35
კატთათვის. . . 36
აღწერა ანინდეკისა ქარ
თლისა . . 39
ბერდუჯისათვის . . 40
აღწერა სომხითისა . 43
აღწერა ტაშირისა . 46
აღწერა აბოტისა ანუ ანიუული-
სა . . . 47
აღწერა დბანის ხევისა . 48
აღწერა ზურტაკეტისა . 51
აღწერა თრიალეთისა . 52
აღწერა ქციის ხრამისა . 55
აღწერა ალგეთის მ. ინარისა 59
აღწერა სკვირეთის მდინარისა 63
კარდაბანისა და კაჩიანის სერის-
თონი . . 65
ბოსტან ქალაქი და კარეჯის მთის
აღწერა . 66
აღწერა მეოთხე სასხასხეტოსი 68
აღწერა ტფილისისა . 69
აღწერა მცხეთის ზემოთისა 77
თეძმისათვის . . 78
აღწერა სანიციანოსი ხვედურეთ-
ზეით დამხერალამდე . 81
აღწერა თორისა და ან კეჯარე
თისა . . 83
აღწერა მესამე სასხასხეტოსი 84
აღწერა მცხეთისა . 85
აღწერა მუხრანისა . 88

აღწერა . არაგვის პირისა და ბა-
ზალეთისა . . 92
აღწერა გუდამაურისა. მთიულე
თისა . 94
აღწერა ხევისა . . 96
აღწერა ქსნის ხევისა და მამულისა
მისისა . . . 99
აღწერა ქოლოთქვიტკირისა 101
აღწერა ბატარა ლიახვის ხეობი
სა . . . 102
აღწერა მაღრან-დვალეთისა. 103
აღწერა მეორე სასხასხეტოსი და
სასამილახვარისი . 104
აღწერა გორის ქალაქისა 107
მეჯვდის მდინარის აღწერა ბიე-
რამდე . . 108
აღწერა დიდის ლიახვისა და ბა
ტარა ლიახვისა ვანთამდე 109
აღწერა გორისა და ლიახვის ზე
ითისა . . 114
აღწერა ლეანის წულისა. 116
აღწერა ფცის წულისა . 117
აღწერა ალის წულისა . 118
აღწერა სურამის წულისა 119
აღწერა მთის იქითისა . 121
აღწერა ხეფინის ხევისა. 122
აღწერა მტკვრის ხეობისა. აღწე-
რა სადგრის ხეობისა . 123
სერისთოსა, სასხასხეტოსა და
სადროშოსი ვეთარ არს და
ეთ . . 125

აღწერა ჭერეთისა, კახეთისა. კუხეთისა. დუშეთისა და დიდოეთისა
სახელოთათვის . . 127 ნაოფეთათვის და კატთათვის 130

	ᲒᲕ.		ᲒᲕ.
ქვეყანა-წულისათვის	131	მარტყოფისათვის	145
ᲝᲠᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲗᲐ	132	კაკისა და ელისენისათვის.	147
		ყარადაჯისა და ქასიეთისათვის	151
გარეთ კახეთისათვის	133	გადმა მხრისა და შიგნით-კახეთი	
ერწოსათვის	136	სათვის	156
თიანეთისათვის	137	ᲮᲐᲜᲔᲗᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ	166
ხევსურეთისათვის	138	დიდოეთისათვის.	168
თუშეთისათვის	139	თუშეთისათვის	171
დასარწმუნებელი თიანეთისათვის,	ᲐᲠᲐ	ქმნულება და ცხოვრება ᲭᲔᲠᲔ	
შედ ᲮᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲘᲝᲜ ᲙᲣᲮᲔᲗᲘ	141	თისა და კახეთისა	172
ხერკისა და საგურამოსათვის	142		

ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲐᲬᲘᲜᲓᲔᲚᲘᲡᲐ ᲝᲒᲡᲔᲗᲘᲡᲐ ᲐᲜᲣ ᲙᲐᲖᲙᲐᲡᲘᲐᲗᲐ ᲨᲘᲜᲐᲗᲐ.

სახელისათვის	177	ᲟᲔᲚᲔᲚᲘᲡ ᲮᲔᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ	189
ქვეყნისათვის	180	ხარასათვის ზახისათვის.	190
კაცისა და ᲩᲕᲣᲚᲔᲑᲘᲡᲐ, ᲖᲜᲘᲡᲐ		თრუსოსათვის.	191
და ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.	182	დიგორისათვის.	192
ადაგეთათვის	186	ბასიანისათვის ქრისტესათვის	194
ქურთაულისათვის	187	ᲫᲣᲠᲫᲣᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲓᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.	195
ᲒᲐᲓᲐᲙᲘᲠᲘᲡ-ᲗᲕᲘᲥᲝᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ.			

ᲐᲦᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲩᲘᲜᲝᲗᲐ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲡᲐᲛᲪᲮᲔ-ᲡᲐᲡᲐᲗᲐᲑᲐᲒᲝᲡᲘ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲗᲐ ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲘ-		ᲭᲝᲠᲝᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ.	224
სათვის	199	თორჩხის ᲮᲔᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ.	225
ქვეყნისათვის. კაცისათვის.	204	ᲐᲜᲩᲐ	226
სამცხისათვის	205	შავშეთისათვის.	228
ᲯᲐᲯᲐᲮᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ	216	ᲐᲠᲗᲕᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ	231
ᲔᲠᲣᲨᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ	221	ᲐᲠᲢᲐᲜᲣᲯᲘᲡᲗᲕᲘᲡ	232
ᲐᲠᲢᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ	222	კალმახის ᲪᲘᲮᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲤᲐᲜᲐᲡᲙᲔ-	
ᲙᲝᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ	223	ᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ.	234
ᲝᲚᲗᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ	235	თორთომისათვის	240
ᲢᲐᲝᲡᲗᲕᲘᲡ	236	ᲒᲣᲠᲯᲘᲔᲑᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲑᲐᲘᲑᲣᲠᲓᲘ-	
ᲑᲐᲡᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ	237	სათვის	243
ᲘᲡᲢᲘᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ	238	ᲯᲐᲜᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ	245

ბ3. ბ3.

აღწერა ეგრისის ქვეყნისა, ანუ ათხაზეთისა, ანუ იმერეთისა

სახელისათვის . . 255
ქვეყნისათვის . 256
მარცვალთათვის ხის ნაყოფთა და ბირუტყვთათვის. 257
თევზთათვის . . 258
მწერთა და მძრომთათვის. კაცთათვის . . 259
ქვეყნის აღწერისათვის . 260
ტბეების წყლისათვის . 261
ლეჩხუმისათვის . . 262
სვანეთის ბუბის წყლისათვის. საჩინოსათვის 266
ხანის-წყლისათვის. უვირილასათვის . . 267
წყალ წითელასათვის და ოკრიბის წყალთა . 268
ბელაიისათვის . 269
უვირილას მომრთველი საჩხეიძოარგვეთის წყალი 271
შორაპნისათვის . 275
ძირულასათვის . 276
შორაპნის ზეით უვირილას მომრთველთა წყალთათვის. 277
მღვიმის'ათვის . . 278
ბვალად რიონის შემდინარისა მდინარისათვის . 279
რაჭისათვის . . 281
რაჭის ასზღვართათვის. 288
არგვეთის ასზღვართათვის 289ა
საჩხეიძოს ასზღვრისათვის დ0 სალომინაოსა . 29ბ-
საჩიჯავაძისათვის. ვაკის ასზღ1 რისათვის. . 29
ოკრიბის ასზღვრისათვის. 292
ოდიშისათვის . 290
ათხაზეთისათვის . 31Ა
სვანეთისათვის . 31Ბ
ალახისათვის. გურიისათვის. 317

—

10. ძაჩვენებელი სახელთა ანბანის რიგზედა . 325

—

11. ასზოგადო რუქა ძველის საქართველოსი.

I.

ვახუშტი და მისი შრომა.

ვახუშტი, ვახტანგ VI-ის უკანონო შვილი, დაიბადა 1696 წლის ახლო ხანს. დედა მისი, მაშინდელის მოგზაურის პეისონელის მოწმობით, იყო გლეხის ქალი. ვინ იყო მეფის ძის მასწავლებელი, არ ვიცით, ხოლო ეს კი ვიცით, რომ 16—17 წლის ჭაბუკი ვახუშტი დაუახლოვდა ტფილისში მცხოვრებ კათოლიკეთა ბერებს და მათგან შეისწავლა ლათინური ენა და შეითვისა სხვადასხვა სასარგებლო ცნობა შესახებ ქვეყნისა და კაცობრიობისა; მაგრამ ამ ბერებთანაც დიდხანს არ დარჩენილა ბატონიშვილი: მამა მისს ეშინოდა, შვილი არ გამიფრინგონო და უბრძანა, შეეწყვიტა მათთან ყოველგვარი კავშირი. ვახუშტის შრომის სხვადასხვა ადგილიდგან ჩანს, რომ ჩვენს ავქსონს თვისი სამშობლო ენისა და ლათინურის გარდა, უნდა სცოდნოდა აგრეთვე ბერძნული, თათრული, რუსული და, იქნება, სომხურიც.

1717 წელს ვახუშტიმ შეირთო მარიამი, ასული გიორგი (მალაქია) აბაშიძისა.

ეს აბაშიძე ფრიად მრისხანე და დაუდევარი კაცი იყო. ძმის პაატას სიცოცხლეში მალაქია აბაშიძე ბერობდა; პაატა რომ მოკვდა, მალაქიამ ბერობას თავი გაანება, იწოდა გიორგიდ, შეირთო კაცია ჩიქოვანის და, ნაცოლარი გიორგი გურიელისა (1685 წ.). მას წინად სხვა ცოლიც ჰყვანდა, რომლისაგან მიეცა ასული ელენე. ეს ელენე მიათხოვა მამია გურიელს. იმავე წელიწადს იმავე გიორგი აბაშიძის ქალი—ათი წლის თამარი—შეირთო იმერთა მეფე აღექსანდრემ, რომელსაც მანამდე უქორწინოდ სხვა ქალისაგან ჰყვანდა შვილები სვიმონ და გიორგი. ამ თამარმა მოიძუ-

ლა ალექსანდრე და ქართლის მეფე გიორგიზე გათხოვება მოინდომა. შეიპყრეს ალექსანდრე, დაამწყვდიეს მღვიმეს, მერე სვერს და შემდეგ წაიყვანეს გორს და მოაშთვეს (1695 წ.). მაგრამ გიორგი მეფემ არ შეირთო თამარი და არც მისმა ძმამ არჩილ მეფემ. კაცია ლიპარტიანმა (ჩიქოვანმა) ოდიშში აღმოაჩინა ვიღაც „მეფეთ მონათესავედ წოდებული“ გიორგი და იმას შერთეს (1696), მაგრამ ესეც განუტევა თამარმა და შეირთო კაცია ლიპარტიანი, და მიერითგან უწოდებდნენ იმერეთ-სამეგრელოს დედოფლად. ამ არეულობის ჟამს იმერეთს განაგებდა გიორგი აბაშიძე, მას მორჩილებდნენ დადიანი, გურიელი და წარჩინებულნი. ერთხანს გაამეფა სვიმონი, რომელსაც შერთო თვისი ასული ანიკა. ამათი მფლობელობა შეშურდა ზემო ხსენებულს თამარს, რომლის შიშით სვიმონი ქართლს გაიქცა. ამის შემდეგ აბაშიძე იმერეთს თაობდა და მისი ასული დედოფლობდა. ყველა ამას უფრო დაწვრილებით მოგვითხრობს თვით გიორგი მალაქია აბაშიძე მისმიერ გარეჯისათვის შეწირულს დიდს წიგნში (იხ. „მოამბე“, 1901, № 6).

ამ ძლიერის გიორგი აბაშიძის ასულის მარიამისაგან ვახუშტს მიეცა შვილები ალექსანდრე (+8 აპრ. 1789 წ.), ივანე (+ 1783), დავით (+?), დომენტი (+ 1737), ნიკოლოზ (1772), ანა (+ 12 მაისს 1779) და მარიამი (+შემდეგ 1804).

თვით ვახუშტიმ იცხოვრა ღრმა სიბერემდე და გარდაიცვალა მოსკოვს, როდესაც თითქმის შესრულდა 78 წლისა დაბადებიდგან. გვამი მისი, როგორც ჰგონებს ბროსე, დაკრძალულია რუსეთს გადასახლებულ ბაგრატიონების სამარხავში, დონის მონასტერს. სიკვდილის წინა ხანებში იგი დიდს გაჭირვაში ყოფილა უსახსრობისა გამო *).

ვახუშტის საუკუნე ქართულ მწერლობის აღორძინების ხანად ითვლება. მონგოლებმა და აღმოსავლეთის სხვა ბარბა-

---

*) იხ. ა. ს. ხახანაშვილის შრომა „Очерки по исторіи груз. словесности“ (გამოც. III. გვ. 287—292).

როსებმა, რუსთველის საუკუნეს შემდგომ, შეაფერხეს და შეაჩერეს ზრდა ქართულ მწერლობისა, და ამ მწერლობამ ხელ-ახლა აღორძინება იწყო იმ დროიდგან, როდესაც ქართლის ტახტზე აღვიდნენ მუხრან-ბატონები; ხოლო პირველი მუხრან-ბატონი, ვახტანგ V შანაოზი დაჯდა მეფედ 1658 წელს. თითქმის ყველა დიდ-დიდი მწერლები მე-XVII საუკუნის მეორე ნახევარისა და მე-XVIII საუკუნის დამდეგ წლებისა ეკუთვნოდნენ ამ სამეფო სახლს ანუ ენათესავებოდნენ. მეისტორიენი არჩილ და პაპუნა, სიბრძნე-სიცრუის ავქსონი და ლექსიკონის შემდგენელი საბა, სასულიერო რიტორი და სჯულის მცოდნე ლევანი, კათალიკოსნი დომენტი და ანტონ და სხვ. იყვნენ ვახუშტის პაპები, ბიძები და ახლო ნათესავები. ვახუშტის დროსვე ნათობდა სახელოვანი მგოსანი დავით გურამიშვილი, რომელსაც თვისი ჭკუა-გონება შეეძლო განევითარებინა მეცნიერ მუხრან-ბატონების წრეში, იმ მუხრან-ბატონთა, რომელნიც ითვლებოდნენ მფარველად ყოველ გვარ ნიჭ-მადლისა.

საქართველოში მყოფობისას ვახუშტი ცხოვრობდა ტფილისში და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ყოველგვარ სამეცნიერო და სასწავლო კომისიებში, და თვით სახელმწიფო საქმეებშიაც, დრო გამოშვებით კიდეც სარდლობდა და ერთ-ხანს, ენკენისთვეს 1722 წ., მამის სხვაგან ყოფნისა გამო, მართავდა სამეფოსაც. სწორედ ამ დროს მან მიიღო ტფილისის სასახლეში ტოლსტოი, გამოგზავნილი საქართველოში იმპერატორის პეტრესაგან. ვახუშტი მეტად განცვიფრდა, როდესაც ტოლსტოისაგან სცნო, პეტრე დაბრუნდა აშტარხანს სპარსეთის ლაშქრობიდანო, და ეს მოულოდნელი ამბავი, როგორც სწერს თვით ვახუშტი *), მაშინათვე აუწყა მეფე ვახტანგს,

---

*) ქართლის ცხოვრება, ტ. 2. გვ. 82. იხ. აგრეთვე Переписка груз. царей съ россійск. государями გვ. LXXVII.

რომელიც თავის ჯარით იდგა ყაზახს, საცა, პაემნის ძალით, უნდა მოსულიყო პეტრეც და შეერთბამებულ რუს-ქართველთ იერიში უნდა მიეტანათ საერთო მტერზე.

თვით ვახტანგი, მამა ვახუშტისა, ფრიად განათლებული კაცი იყო. პირველმა მან შემოიღო და მოაწყო ტფილისში სტამბა (1709 წ.), მანვე შემოკრიბა ერთ წიგნად ძველი ქართული კანონები და შეავსო მით თვისი სამართლის წიგნი, თარგმნა სპარსულიდან რავდენიმე შესანიშნავი წიგნი, დასტამბა ტფილისში მრავალი საეკლესიო წიგნი, ნაწილი დაბადებისა და აგრეთვე „ვეფხის ტყაოსანი“ თვისის განმარტებით. გარნა ბედი არ უღიმოდა ამ მეფეს. მისივე წინდაუხედაობითა და შორს განუჭვრეტელობით აირია საქართველოს საქმეები და იმის მაგიერ, რომ აწეწილი საქმეები მოეწესრიგებინა და ქვეყანა დაეწყნარებინა, ადგა (1724 წ.) და ცოლშვილით და 1300-მდე თავ-კაცებით გადასახლდა რუსეთს. იგი იქ მიიღეს (მარტს 1725 წ.) დიდის ზეიმითა და პატივით, მას და მისს შვილებს კეთილად უსატფურეს, პენციები და ჯამაგირები უწყალობეს და დაუვანეს მოსკოვში, პრესნას.

ვახტანგი რომ წავიდა რუსეთს, უპატრონო ქართლს შემოესივნენ ოსმალნი, ამათ დაიპყრეს მთელი ქვეყანა, კახეთის მეფეს თავი მოსჭრეს ბეჟანბაღში და ტფილისსა და ყარალაჯში გააბატონეს ათაბაგი და მისი ძე ისაყ-ფაშა. გაჩაღდა საშინელი ბრძოლა სპარსეთსა და ოსმალეთს შორის. გაქცეული ვახტანგ რუსის ჯარით ჩამოდგა დარუბანდს, დაკარგულ ტახტის პოვნას მცდელობდა. გარნა ამაოდ. ნადირშამ სძლია ოსმალთ, განდევნა იგინი საქართველოდგან და ქართლი მისცა თეიმურაზ II-ეს, ვახტანგ მეფისავე სიძეს, ხოლო კახეთი —მის ძეს ერეკლე II-ეს. ვახტანგი მოკვდა 1737 წელს. მისს კვალში ჩადგა პაატა, ძმა ვახუშტისა. იგი რუსეთიდამ ევროპაში გავიდა, იქიდამ მივიდა სტამბოლს და 1751 წელს შემოვიდა საქართველოში და აქ მოაწყო დიდი შეთქმულობა წინააღმდეგ ერეკლე მეფისა. მაგრამ ერეკლემ შეიპყრო იგი

და მისი თანამოზიარენი და ყველანი ამოსწყვიტა (1765 წ.),

პაატას შემდეგ რუსეთში გადასახლებულ ბაგრატიონების უფლების დამცველადა და მეძიებლად გამოჩნდნენ ბატონიშვილი ალექსანდრე, ძე ვახტანგის ძის ბაქარისა, და სამშობლოს მოღალატე ალექსანდრე ამილახორი. ამათ დიდხანს არ დაუწმინდეს წყალი ერეკლე მეფეს...

ყველა ამ შეღლსა და კრტიმლვაში მონაწილეობას არ იღებდა ვახუშტი. მოსკოვში დასახლების შემდეგ იგი შეუდგა მშვიდობიანს ცხოვრებას და საქართველოს წარსულის კვლევა-ძიებას. აქ მან დაასრულა თვისი დიდი თხზულება, გეოგრაფია და ისტორია საქართველოსი და ბევრი იშრომა ქართულ ბიბლიის ბეჭდვის საქმეში.

დაბადების (ბიბლიის) ბეჭდვა მოსკოვს განეზრახა მეფე არჩილს. ეს მეფე-პოეტი რომ მოკვდა (1710), ბიბლიის საქმე ერთხანს შეჩერდა. 1724 წელს რუსეთს გადასახლდა ვახტანგ VI სახლობით და მრავალ წარჩინებულ კაცით. ვახტანგს რომ აღარ ეღირსა სამშობლოში დაბრუნება, თვით იგი და მასთან წასულნი იქვე, რუსეთში, დარჩნენ. მათ მიეცათ საცხოვრებელიც. ვახტანგ მეფის შემცდარ პოლიტიკის წყალობით შორს გადაცვივნულნი და დაობლებულნი სამშობლოს არ ივიწყებდნენ და მისთვის, შეძლებისა-და გვარად, ზრუნავდნენ. მათის მზრუნველობით ბევრი წიგნი შეეძინა საქართველოს. დაბადების დასაბეჭდად მოღვაწეობდნენ ბატონიშვილები ბაქარი, ვახუშტი, მთავარეპისკოპოზი იოსებ სამებელი და სხ. დაბადება რომ შეადარეს სხვა და სხვა ერთა დაბადებებს და გამართეს, მისი ბოლო სიტყვაობის შედგენა მიანდეს ბატონიშვილს ვახუშტის. მისი ვრცელი წინასიტყვაობა სავსეა ფრიად საყურადღებო ცნობებით შესახებ იმისა, თუ როგორ გამართეს და დაბეჭდეს ქართული დაბადება. სხვათა შორის, იგი ამბობს: „განვმართეთ და შევასრულეთ, ვითარცა ძალგვედვა, არა უდებ ვყვენით შრომანი ჩვენნი და მივეცით საბეჭდავსა შინა, დაბასა სვეტენწყას, და მღვდელმონა-

ზონს გურამიშვილს ქრისტეფორეს და მდივანს კავკასიძეს მღ-ლქისედექს, რომელი ზედმდეგ იყო და მუშაკობდა ამას შინა ბეჭდვად, სიმართლით შესრულებად, ვითარცა არს განმართული... და კეთილ ვიქმნნეთ კეთილსა მას წარუალსა... ქრისტეს აქეთ ჩდმბ სეკტენბერსა ზ დასრულდა (=1742 წ. 7 სეკდ., ბეჭდვა კი შესრულდა 1743 წ. 1-ლ მაისს).

აქვე, მოსკოვს, ვახუშტიმ გადმოსთარგმნა რუსულიდამ „მოკლე სახელმძღვანელო გეოგრაფია“ *) და შეავსო იგი ცნობებით შესახებ საქართველოსი, ოსმალეთისა და სპარსეთისა. იმავე ენიდამ გადმოიღო წიგნი „მოსლვა ანტექრისტესი“, რომელსაც დაურთო საყურადღებო სტიქარონები, უკვე დაბეჭდილი ჩვენს ბიბლიოგრაფიულ წერილებში („ივ“, 1898, № 143). იგივე მონაწილეობას იღებდა რუსულ-ქართულ ლექსიკონის შედგენაშიაც.

სახელოვანი მოღვაწე, საქართველოსა და რუსეთში, სარგებლობდა მრავალ ისტორიულ ნაშთებით, რომელნიც ეკუთვნოდნენ სამეფო გვარს. ამ ნაშთების შემწეობით შეადგინა ზემო ხსენებული თვისი დიდი თხზულება, გეოგრაფია და ისტორია.

დედანი ამ შრომისა დღეს ჩვენს ხელშია. იგი გადაწერილია თვით ვახუშტის ხელით, ხოლო მინაწერიდამ (მეორე ფურცლის მეორე გვერდზე) ჩანს, რომ ეს წიგნი ყოფილა კუთვნილება დიმიტრი ბაგრატოვანისა („კნიაზ დიმიტრი ბაგრატოვანისა არის ეს ქართლის ცხოვრება. 1789 წელსა“). ეს დიმიტრი ბაგრატიონი, ბროსეს სიტყვით *), მოკვდა მოსკოვს 1826 წელს. მის მერმეთ ვახუშტის ხელნაწერი ერგო იმერე-

---

*) დედანი ამ წიგნისა საეკლესიო მუზეუმს შემოსწირა თ. დ. ჟორდანიამ.

*) ეს ცნობები ბროსეს შეაქვს თვით ვახუშტის შრომის დედნის სათაურში, მის მიერვე ფრანგულად მიწერილს შენიშვნაში.

თის ნადედოფლარს ანას, რომელიც გარდაიცვალა მოსკოვს 1836 წელს და დასაფლავებულ იქმნა დონის მონასტერში. ამ დედოფლის ძემ კოსტანტინემ ვახუშტის ხელნაწერი მიუძღვნა სამეცნიერო აკადემიას 1838 წ. და იმავე წელს აკადემიამ შეიძინა აგრეთვე ვახუშტის მიერ შედგენილი რუქები.

ხელნაწერი არის სიგრძით 15 გოჯი, სიგანით 4, გადაწერილია ხელჩართულით სქელს ქაღალდზე. წიგნში სულ 169 ფურცელია, ყოველს კაბადონზე 52 სტრიქონი, სტრიქონში (ვახუშტის თქმით — „შარში") 14 სიტყვა. სხვა-და-სხვა ადგილას დაუწერავად დატოვებულია 20 კაბადონამდე. მთელს ხელნაწერში დაახლოვებით 237,440 სიტყვაა (160×2×53×14).

ვახუშტის შრომა შეიცავს შემდეგს წერილებს:

1. ამერეთის სოფლების სახელები (მოთავსებულია ორს პირველს ფურცელზე).

2 მკითხველთათჳს სიტყჳა, თუ რაასათჳს არს შრომა ესე (1—4). ავქსონი მოგვითხრობს შესახებ წიგნის კითხვის სარგებლობისა, მეტადრე კი ისტორიისა. ისტორია გვაუწყებს დასაბამს ქმნულებისას, მოგვითხრობს შესახებ დროთა წარსულთა, შესახებ კეთილისა და ბოროტისა, იწონებს კეთილ-მოქმედებათა და აძაგებს ბოროტისმყოფელთ. მიზანი ისტორიისა **მხოლოდ სიმართლის მოთხრობაა.** იგი ჩვენ გვამხნევებს, გვაგონებს წინაპართა ნამოქმედარს, გვინერგავს სიყვარულს ურთიერთისა და მამულისადმი. ჩვენს ისტორიას შეადგენს ა) ადგილის აღწერა, ბ) ნათესავთმეტყველება, გ) წლის მრიცხველობა და დ) მოქმედების აღწერა, რომელიც არის საეკლესიო და სამოქალაქო. ქართლის ცხოვრება ისტორიას მოგვითხრობს ხან ვრცლად, ხან მოკლედ, ჩვენ კი წარმოვადგინეთ შემოკლებულად, რომ ადვილად იკითხებოდეს და ადვილად შეისწავლებოდეს. რუქები კი, რომელსაც აქამდე შემოკლებულად ხატავდნენ, ჩვენ გამოვხატეთ ვრცლად შემდეგ ავქსონი იძიებს ქართულ ქორონიკონებს და თავის წინასიტყვაობას ამთავრებს სიტყვებით: ვიცოდი რა, რომე უქმად გატარებული

დრო დაკარგულია, მივყევ ხელი საქართველოს ისტორიის შესწავლას და აწ უსასყიდლოდ მოგართმევთ ჩემს შრომას. ვისაც არ მოგეწონებათ იგი, ისევ იკითხეთ ქართლის ცხოვრება. „ხოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტეს აქეთსა ქკ-სა წლისასა ჩმე, ქართულსა ულ[illegible] *), ოკდონბერსა კ, მეფისშვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მოსკოვის პრესნას".

3. **ზნენა და ჩვეულებანი საქართველოსანი** (5—12). ავქსონი წა-მოგვიდგენს ეთნოგრაფიულ განხილვას უუძველეს დროიდან მე-XVIII საუკ. პირველ ნახევრამდე.

4. **ცხოვრება საქართველოსი** (13—92) უუძველეს დროითგან სამეფოს განყოფილებამდე 1469 წელს.

5. **უწყება მკითხველთათვის** (97—109). სამეფო გაიყოო სამად, გარნა მისი მოსახლე ერი დაშთა ძველებურადვე ქართული, მოუბარი ერთს ქართულს ენაზე, მწერავი ქართულადვე, ამბორისმყოფელი ხატებისა და ჯვრებისა ქართულის ზედწარწერით, დამცველი ერთგვარ გადმოცემათა შესახებ გორგასლისა, დავით აღმაშენებლისა, თამარისა და სხ. მიუხედავად ამგვარ მჭიდრო კავშირისა, ქართველნი მაინც გაიყვნენ, განცალკევდნენ: შინაურ და გარეშე მიზეზთა გამო. ამის შემდეგ (1469 წლიდგან) წერა მატიანისა შეფერხდა, ცნობანი შესახებ მეფეთა, მთავართა და წმიდათა იწერებოდნენ მოკლედ სიგლებსა, გუჯრებსა და მეტაფრასებში, ანუ ზეპირ სიტყვით გადმოიცემოდნენ. ყველა ამის გარკვევას უნდებოდა დიდი მუშაობა, გარნა მუშაკნიც გამოჩნდნენ, რომელთაც მამის ჩვენის ვახტანგის სახელით შეადგინეს ისტორია, ხოლო ეს ისტორია სავსე იყო წინააღმდეგობითა და უსწორ-მასწორობით, რამაც გვაიძულა შეგვედგინა ახალი შრომა და შეგვემუშავებინა ისტორიაცა და ქორონიკონიც.

6. **აღწერა აწინდელის ქართლისა** (101—120).

---

*) 1745 წ.

7. ცხოვრება და მოქმედება ქართლის მეფეთა 1469 წლითგან 1745 წლამდე (121—160).

8. აღწერა და ცხოვრება ზერეთისა, კახეთისა, კუხეთისა, თუშეთისა და დადოეთისა (160—190).

9. აღწერა აწინდელის ოსეთისა (209—214).

10. აღწერა სჩინოთა ადგილთა სამცხე-საათაბაგოსი (221—229).

11. ცხოვრება სამცხე-საათაბაგოსი (229—247).

12. აღწერა ეგრისისა ანუ აფხაზეთისა ანუ აბჟრეთისა (253—265).

13. ცხოვრება ეგრისისა ანუ აფხაზეთისა ანუ იმერეთისა (265—293).

14. ქრონოლოგიური ცნობები შესახებ ქართველთ, ევროპიელთ და აზიელთ მეფეებისა *), კათალიკოზების ან პაპებისა. 302 წლითგან ქრ. წ.

15. მაჩვენებელი სახელთა და სახელწოდებათა. ავქსონი უჩვენებს არა თუ კაბადონს, არამედ სტრიქონსაც, რომელშიაც მოხსენებულია ესა თუ ის სახელი (ნახეთ „ამდენს ფურცელში, ამდენს შარში*).

ამ წერილს ვახუშტი ასრულებს სიტყვებით: „აღსრულდა ჩვენ მიერ დიდებად ღ᾽ისა მამისა და ძისა და სულისა წ᾽მიდისა უკ᾽ე ან. თუმცა აღუსრულებელ არს დასასრულამდე, არამედ თვთვეულად და მიზეზნი ბოროტებისა და კეთილობისად წარმოჩინებისად ესევე ვაკმარენით, ვინადგან ამითიც იცნობებიან სრულიადი ქმნულებანი მეფეთა, მთავართა და მცირეთამდე. ხოლო ქკ᾽ნი ქს᾽ნი და ქართულნი, რომე-

*) რომისა, კოსტანტინოპოლისა, ლიშპანიისა, ღალიისა, ბრიტანიისა, დანიისა, შვეთისა, პოლონიისა, ბოღემიისა, ვენგრიისა, რუსისა, ფორთუღალიისა, პრუსიისა, სპარსისა, ოსმალეთისა, საქართველოსი. პაპნი რომისა, კათალიკოზნი საქართველოსი.

ლი არს ხუთასიანი, ამისთჳს დავსხენით, რამეთუ, ვინადგან საქართველოსა შინა უმეტესად ხმარობენ ხუთასიანს ქკ᾽ნსა, რათა ურწმუნებელმან ამას წიგნსა შინა წერილნი, თუმცა იხილონ სხვათა შინა რაიმენი ქნ᾽ნი და მოიძიონ აქა, არღარა საჭიროდ ექმნათ და არცა უკმდეთ გამორიცხვანი და სცნან ჭეშმარიტი და სიცბილნი ტყუილისა".

16. მიჰყვება თვით შედარება ქართულ ქორონიკონისა ბერძნულ თვლას და შიგა-და-შიგ ნაჩვენებია, რომელს ქორონიკონს რა შესანიშნავი შემთხვევა იყო.

17. ქართული კვინკლოსი და ხელთა (353—373). აქ ავტორს მრავალი უშრომია, უთვლია და უანგარიშნია არაბულ ციფირებით. ეს ვრცელი და შესანიშნავი შრომა ავქსონს დაუსრულებია 1755 წელს, როგორც სჩანს შემდეგის მისის სტიქარონიდგან (დედნის გვ. მეოთხე, ბოლოდგან):

Ვქმენ საუკუნო კვინკლოსი,
Აწ Ჯდება კარ სან Ჯე Ბენი,
Ხუთასის Უნ ᲛᲐᲜ და ᲑᲐᲜი,
Უფლისა ᲩᲘᲜ ᲚᲐᲜ ᲜᲐᲠ ᲔᲜი;
ᲨᲘᲒ ᲙᲔᲚᲗᲐ ᲛᲖᲘᲡᲐ ᲛᲝᲥᲪᲔᲕᲘᲗ,
ᲗᲝ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡ ᲪᲮᲠᲐᲛᲔᲢᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲜᲘ
(და) ᲘᲜᲓᲘᲙᲢᲘᲗ ᲐᲗᲪᲐᲛᲔᲢᲣᲠᲘᲗ,
ᲛᲔᲖᲔᲓᲜᲐᲓ ᲙᲚᲘᲢᲘᲡ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲘ.

პირველი ასოები სტიქარონისა გამოსთქვამენ ავქსონის სახელს: ᲯᲔᲮᲣᲨᲢᲐᲛ და ყველა ნაჩვენები ქორონიკონები კი უდრიან 1755 წელს.

კვინკლოსში აღნიშნულია ᲙᲓᲘᲢᲔ, რომლის შემწეობით ყველას შეუძლია შეიტყოს აღდგომისა და სხვა დღესასწაულების დღე ქრისტეს დაბადებიდგან თუნდა სოფლის დასასრულამდე.

თავის გეოგრაფიისთვის ვახუშტს დაუმატებია 22 რუქა (მასშტაბი: 10 ვერსამდე გოჯად), რომლებზედაც აღუნიშნავს

სოფლები, ქალაქები, ციხეები, მონასტრები, კოშკები, მთები და სხვ.

თავის შრომის აღწერის დროს ვახუშტი, გზა-და-გზა, უჩვენებს იმ წყაროებსაც, რომლებითაც უსარგებლნია. ესენი არიან: **ა.** იმერული ძველი გარიგების წიგნი, **ბ.** დავითნი მეხსური, 5 წიგნად განყოფილი, **გ.** იმერული ძლისპირი ეტრატისა, **დ.** ტლაშაძის ამოწერილი ქორონიკონები, **ე.** გუჯარნი ბარათიანთა, თუმანიანთა და სხ., **ვ.** ქართლის ცხოვრებანი, ძველნი და ახალნი, **ზ.** ეამნ-კანონთა, სახარებათა, საეკლესიო წიგნებთა და სპარსულ ქორონიკონებთაგან ამოწერილნი ცნობანი, **Თ.** მეტაფრასნი, **Ი.** უცხოელ მწერალთა თხზულებანი.

ამას გარდა, რუქების შედგენის დროს ვახუშტს ხელში ჰქონია, როგორც თვითონვე ამბობს, შემოკლებული რუქები საქართველოსი. მასვე, რაღა თქმა უნდა, ხელში ექნებოდა აგრეთვე დასტურლამალი, სახასო, სადედოფლო და საეკლესიო მამულების სიები და აღწერანი. ერთი ამგვარი სია შესახებ მროველის მამულებისა უკვე დაიბეჭდა „მოამბეში *)". ე. თაყაიშვილმა იპოვნა აგრეთვე სიები სომხითის მამულებისა და ცალკე წიგნად ისტამბება. ხოლო ივ. ჯავახიშვილმა უკვე გამოიძია და დაამტკიცა **), რომ ამგვარი სიები, ხალხის აღწერა და დავთრებში ჩანუსხვა, საქართველოში იცოდნენ ვახუშტის უწინარეს დროსაც.

1892 წელს ჩვენ ვწერდით ***):

„რომ მართლა, ბროსეს თქმისა არ იყოს, ვახუშტს თვი-

---

*) „მოამბე", 1901 წ., № IX.

**) „მოამბე", 1901, № IV „ხალხის აღწერის და შემოსავლის დავთრები საქართველოში".

***) ბატონიშვილი ვახუშტი. საქართველოს გეოგრაფია. წიგნი I. სამცხე, გვ. II—III.

სი გეოგრაფიის შედგენის დროს ხელთ ჰქონია სხვა-და-სხვა წყარონი, ამას გვიმტკიცებს თვით ვახუშტისავე „შესავალი“: „ვამცნებთ მკითხველსა, რათა გონიერად ისმინოს მან თქმული ჩვენი, რამეთუ, ვინადგან დავსახენით ქარტა ანუ რუკანი საქართველოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდენ მცირედ და არა ჯეროვანად და ჩვენ სრულად წინადავდევით“. მაშასადამე, მცირედ და არა ჯეროვნად დახაზული რუკა, ვახუშტს გაუსწორებია და განუვრცია.

„თვით „დასტულამალი“ ვახუშტის მამის ვახტანგისა გვაძლევს იმის უეჭველ საბუთს, რომ საქართველოში ქვეყნის გეოგრაფიული და ტოპოგრაფიული აღწერა სცოდნიათ. აი ამის მაგალითებიც:

„დასტულამალი სადედოფლო ზირგელ მეფის გიორგისაგან (მეფობდა მე-XVIII ს. გასულს) განწესებული და „შემდგომად მეფის ვახტანგისაგან განახლებით დამტკიცებული“ (დასტულ. გვ. 100). ცოტა ქვემოთ: „ძველადგან სადედოფლო და აწ მეფის გიორგისაგან დამტკიცებული“ (გვ. 128).

„აი თვით წესი აღწერისა: „როდესაც ქართლი აღწერილა და ან აღიწერების, ამ წესით უნდა აღიწერებოდეს: ყაიყულს, სომხითს, ტაშირს, ყაიყულის თრიალეთის და საბარათაშვილოს ასაწერად წავა საბარათაშვილოს სარდარი და ერთი მდივანი. აღწერს და დავთარს დაიჭერს.—ზემო ქართლის ეერბას აქეთ, ნეძვი და კორტანეთი და ტაშის კარიც დავთარში ჩავარდების. და იმას აქათაც საამილახვრომდი, ამილახორის მამულსაც ზემო,—ქართლის სარდარი წავა და ერთი მდივანი წავა. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს; დედოფლის მდივანი სწერდეს.—საციციანოს მკარეს, სადგერს აქეთ, ბატონის დროშისა არის, ვისაც ბატონი უბრძანებს, წავა და მდივანი წარჰყვება. მდივანი აღსწერს, და დავთარს დაიჭერს მეფის მდივანი.—მუხრანს და ორისავ ერისთვის (ქსნისა და არაგვის) მამულს, რომელიც კულავ დავთარში ჩავარდნილა,

იმაზედ მუხრანის ბატონი და ერთი მდივანი წავლენ. მდივანი აღსწერს და დავთარს დაიჭერს“ (დასტ. გვ. 13).

ვახუშტის შრომა დიდი თხზულებაა და, რასაკვირველია, ავქსონი მას ერთს წელიწადს ვერ შეადგენდა, ზოგიერთ ნაწილებს ადრე დაასრულებდა და ზოგიერთს გვიან, თვით ადრე დაწერილებსაც მერმე შეიმუშავებდა, შეავსებდა აქა-იქ ანუ შეამოკლებდა. „და ამის გამო გაჩნდებოდა მრავალი ვარიანტიო“, ჰფიქრობენ რომელნიმე მკვლევარნი. დედანში მართლაც არის ქალალდ გადაკრული ადგილები, გარნა ეს ადგილები იმავე დედნის ხელითა და მელნით დაწერილია და ორიოდ ადგილას გახაზულია დაწერილი და იგივე ახალის რედაქციით ჩაწერილია. გარდა ამისა, დედნის ენა და მართლწერა უფრო სუფთაა, ადვილი გასაგები, ვითარცა ენა და მართლწერა კლასიკურ თხზულებათა, ხოლო ვარიანტების ენა და მართლწერა ანტონი კათალიკოზის მომდევნო დროისაა, დამახინჯებული, გარყვნილი. ამისთვის არ არის დასაჯერებელი, რომ ვახუშტს მიეცა ვისთვისმე ნაწილები თვისის შრომისა 1745 წლამდე, ესე იგი ვიდრე მან საბოლოოდ არ დაასრულა და არ შეიმუშავა თვისი მრავალ ნაჭირნახულევი თხზულება. ყოველ შემთხვევაში, თუ არის სადმე 1745 წლის წინადროის ვარიანტი, იგი შესამჩნევად არ უნდა იყოს განსხვავებული დედნისაგან.

ამ სახით, შრომა ვახუშტისა შესდგება ორ დიდ განყოფილებისაგან. ამათგან ერთია საქართველოს ისტორია სამეფოს განხეთქილებამდე და მეორეა ისტორია და გეოგრაფია საქართველოს სამეფოთა და სამთავროთა განხეთქილებიდან (1469 წლიდან) მე-XVIII საუკ. პირველ ნახევრის დასასრულამდე.

ვახუშტის შრომას მეცნიერნი ყოველთვის დიდის ყურადღებით ეპყრობოდნენ. ბროსეს სიტყვით, ვახუშტის გეოგრაფიას იგეთივე მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, ვითარიც ჰომიროსის ტოპოგრაფიულ შენიშვნებს საბერძნეთის-

თვის. მისს რუკებს დიდ ფასს სდებს, შედარებით ამგვარსავე შტაბის რუკებთან, ცნობილი ი. ო. სტებნიცკი. იგი ამბობს: „თუმცა ვახუშტის რუკები შედგენილია მიწების გაუზომლად, გარნა მათი სისწორე საკმაოდ გვაკმაყოფილებს“. ვახუშტისავე რუკებით სარგებლობდა სწავლული ფრანგი დე-ლილი, რომელმაც 1766 წელს გამოსცა საქართველოს რუკები. უეჭველია, უქართულ წყაროებოდ ვერ გამოსცემდენ თვის რუკებს აგრეთვე გენერალი სუხოტინი, ბურნაშოვი და სხ.

ვახუშტის გეოგრაფიას, გარდა საზოგადო მნიშვნელობისა, ის ღირსებაც აქვს, რომ მასში ყველგან ნაჩვენებია სად რა ლითონი ითხრებოდა ანუ ითხრება. ამ მხრივ მისი წიგნი დიდს სამსახურს გაუწევს იმათ, რომელთაც სურთ მოძებნონ ჩვენს საშობლოში სხვა და სხვა მადნეულობა.

მიუხედავად ვახუშტის თხზულების ამგვარ უეჭველ ღირსებისა, ზოგიერთნი თანამედროვენი მტრულად მოეპყრნენ მისს შრომას. დედნის აშიებზე სხვა და სხვა პირნი შენიშვნებს უწერენ ვახუშტს და ჰკიცხავენ ამა თუ იმ ცნობის გამოცხადებისათვის. ანტონი კათოლიკოზი კი († 1788 წ.) თავის „წყობილ-სიტყვაობაში“ სწერს:

ვახუშტის უქებ ღეოღრაფიის ცნობასა,
ისტორიათ თქმას, ვრცელ-ბრძნად გამოცემას.
ამან დაწყებით ქართველთა ისტორია—
კახთ—მესხთ—აფხაზთა—მეგრელთ—სვანთ, კავკაზთა—
აღწერა, დაშურა, შეეწია ქართველთა.

დავითიანთ, მეფეთა ᲡᲔ გვარისა
შექმნა ვახუშტი წესიერ და კეთილად,
თუმცა ღა მდურვა მიიღო სამართლადრე:
რამეთუ ვითმე მტერობითნიცა თქმანი
მისთა გამოჩნდეს წერილთა შინა მრავლად.

ვახუშტი, როგორც წარმომადგენელი ვახტანგის რუსე-

თში გარდახვეწილ სახლისა, შეიძლება, წანააღმდეგი ყოფილიყო თეიმურაზისა და ერეკლესი, გარნა ამათ ისტორიას იგი ოდნავ ეხება, რადგან ვახუშტის ისტორია სრულდება 1745 წლით და თეიმურაზ-ერეკლე კი გამეფდნენ ქართლ-კახეთში მხოლოდ 1744 წელს. არა, „მდურვის“ მიზეზი ეს არ არის.

თავის შრომის 153 გვერდზე იესე მეფეს ასრე ახასიათებს ვახუშტი: „იყო ფრიად მიქცეულ მაჰმადიანობასა ზედა, მქცევი მათებრ, მდიდარი, ამაყი, მშვებელი და გამცხრომელი უწესოებითა ყრმათა თანა და უგვანთა მღერათა. ამან წაგვარა ცოლი დედის ბიძასა თჳსსა ქაიხოსრო ამირეჯიბს, ბებიის ძმის წული თჳსი, ასული ერასტისა, და შეირთო თჳთ ცოლად. ამხილეს კათალიკოზ ეპისკოპოზთა და უმეტეს იოვანე სააკაძემ ბერთუბნის მამამან, კაცმან ღირსმან, არამედ მან (იესემ) არა უსმინა, მეტყველმან: „ვარ მოჰმადიან, ესრეთ ჯერ არს ჩემდა“. შემდგომად მოიყვანა ერეკლე მეფის ასული ელენე ცოლად და იქორწინა დიდებით, გარნა არა კმა-საყოფელ!!“

ამ ადგილის პირდაპირ, დედნის აშიაზე, ვიღაც უცნობი ავქსონი, რომელიც ჩუბინაშვილს დიმიტრი ბაგრატოვანად მიაჩნია, სწერს: „მიკვირს შენის გონიერებისაგან, ამ ამბის მწერალო და უსამართლოთ მაყივნებელო ბიძისაო! შენვე იტყვი, ფრიად მიქცეულიყო მაჰმადიანთ რჯულზედაო, და რომელს თათარს უნათესაებია ბებიის ძმისწული და დედის ბიძის ცოლი და 90 წლის ამირეჯიბის ნაცოლარი 14 წლის ქალი, წარმკითხველთ განსაჯეთ! მერმე მაშინ მარიამ...“ (წარწერა დაუსრულებელია დედანშიაც).

ეს იესე იყო მამა ანტონი კათალიკოზისა და, ალბად, მისს დაცვის სურვილმა აიძულა ანტონი დამდურებოდა ვახუშტს „ზოგიერთ პირთა მოყივნებისათვის“.

მომდურავებს უნდა სცოდნოდათ, რომ მემატიანისთვის მგყვისი და უცხო სულ ერთია, მოსაყივნებელს იგი ყოველთვის გაჰკიცხავს, მოსაწონებელს სიყვარულით მოიხსენებს.

თუ ჯერარს განკიცხვა ვახუშტისა, არა იმიტომ, რომ

იგი დასაგმბოს ჰგმობდა, უზნეოს არცხვენდა, არამედ უსწორ-მასწორო ფილოლოგიურ შედარებათათვის. მისი აზრით მხარეს რან-ს ეს სახელი ეწოდა იმიტომ, რომ აქ ბევრს კაცს ხოცავდნენ, სწყლავდნენ, ранили (рани—рана, ранить!!); დვალეთ-ს კიდევ იმიტომ, რომ აქ ორწლოვანნი (два—лѣт) მოხარკენი სცხოვრობდნენ! გარნა აქ ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამგვარი ფილოლოგიური ახსნა სიტყვებისა ვახუშტის დროისთვის საკვირველად არ უნდა ჩავთვალოთ, რადგან ჭეშ-მარიტი ენათმეცნიერება მაშინ ჯერ არ იყო შობილი, და ჩვენი ბატონიშვილის თანამედროვენი სიტყვების ასახსნელად ხში-რად კმაყოფილდებოდნენ უბრალო შემთხვევით და ლექსთა გარეგან მსგავსებით.

დაგვშთა მოლაპარაკება ვახუშტის შრომის გამომცემელ-თა შესახებ.

მთლიანი გამოცემა ვახუშტის თხზულებას არ ღირსებია, ნაწილ-ნაწილად კი, კვინკლოსს გარდა, იგი დასტამბულა თი-თქმის სრულად. მისი შრომის გამომცემლები იყვნენ ბროსე, ჩუბინაშვილი და ბაქრაძე.

ბროსემ ფრანგულ თარგმანით დაბეჭდა ვახუშტის გეო-გრაფია, გარნა ვახუშტის ისტორიის წინასიტყვაობა ჩაურ-თო (!!) წინასიტყვაობად ქართლის ცხოვრებისა.

პირველი ნაწილი ვახუშტის ისტორიისა დაბეჭდა ბაქრა-ძემ ზედ-წარწერით: „ვახუშტი. საქართველოს ისტორია, გან-მარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არქეოლოგი-ურისა და ისტორიულის ცნობებით დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ნა-წილი პირველი“. ამ წიგნში ბაქრაძეს დაუბეჭდია ვახუშტის წინასიტყვაობა, გარნა, ვინ იცის რად, პირველი მეოთხედის გამოტოვებით!

მეორე ნაწილი ამავე ბატონიშვილის ისტორიისა ქორო-ნიკონებითურთ ჩუბინაშვილს მოუთავსებია ქართლისცხოვრე-ბის მეორე ნაწილის დასაწყისს.

რაოდენად საქებურია და სახერხო ასრეთი დანაწილება

და დაქუცმაცება სახელოვანის მწერლის **ერთეულის** თხზულებისა, ჩვენ ამას ვერ განვსჯით. Description-ში ბროსეს შეუცვლია თვით გეგმა ჩვენის ავქსონისა! როგორც ზევით ვუჩვენეთ, „ზნეთა და ჩვეულებათა“ წარმოდგენის შემდეგ ვახუშტი აღწერს **ქართლს**, როგორც უმთავრესს შუაგულს და დედაბუდეს ქართველ ერისას, შემდეგ ამისა ასწერს კახეთს, ოსეთს (როგორც ნაწილს ქართლ-კახეთისას), მესხეთს და იმერეთს. Description-ში კი „ზნენის“ შემდეგ დაბეჭდილია „მესხეთი“, მერე „ქართლი“, „კახეთი“, „იმერეთი“ და „ოსეთი“. ჩვენ უცვლელად დავიცევით გეგმა და წესი ვახუშტისა *).

II.

ქართველები და საქართველო.

პირველ ანდელი სამშობლო. „იყო თარგამოს კაცი გმირი. შემდგომად განყოფისა ენათასა, ოდეს აღაშენა ნებროთ **) ბაბილონს გოდოლი და განეყენეს მუნ ენანი და განიბნინეს მუნით ყოველსა ქვეყანასა, წარვიდა ესე თარგამოს ნათესავით მისით და დაემკვიდრა ორთა მათ მთათა შორის, კაცთა შეუალსა, არარატსა და მასისსა. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვი: რამეთუ ესხნეს ცოლ მრავალ, ძენი და ასულნი, შვილნი და შვილისშვილნი ძეთა და ასულთა მისთანი, რამეთუ ცხონდა იგი ექვსას წელ და ვერღარა იტევდა ქვეყა-

*) ვისაც სურს შეიტყოს, თუ ზემოხსენებულ პირთ როგორ დაუბეჭდიათ ვახუშტის შრომანი უნდა გადაჰთვალიეროს ჩვენი წერილი ეურნ. „მოამბეში“ (1902, III, გვ. 13—20)-

**) ნებროთ (ნებროდეს)—2716 წ. ქრ. უწინ.

ნა არარატისა და მასისისა, ქვეყანა იგი, რომელი წილით ხდომოდა. ესე არს საზღვარი ქვეყანისა მისისა: აღმოსავლით—ზღვა გურგანისა, რომელსა აწ გილანის ზღვად სახელ დებენ, დასავლით—ზღვა პონტოსი, რომელსა აწ შავ-ზღვად სახელს დებენ, სამხრით—მთა ორეთისა, რომელ არს ქურთთა ქვეყანასა, პირისპირ მიდიისა, ჩრდილოთ—მთა კავკასია, რომელსა სპარსნი იალბუზს უწოდებენ“ (ქართლ. ცხ., 16).

ამ თარგამოსის შვილთაგან გამოჩნდენ კაცნი რვანი, გმირნი ძლიერნი და სახელოვანნი—ქართლოს, ბარდოს, მოვაკან, ლეკოს, Შეროს, კავკას, ეგროს, ჰაოს. თარგამოსმა თვისის ნათესავის და ქვეყნის ნახევარი მისცა ჰაოსს, ხოლო დანარჩენნი წამოიყვანა ჩრდილოთ და მისცა ხვედრი მათი (იქვე, გვ. 16).

ეს ძვირფასი გადმოცემა სიცილად არ ჰყოფნიდათ ქართლის ცხოვრების უარმყოფელთ. მაგრამ აგერ გამოჩნდა. ვანარარატის მხრის კლდეებზე ნაწერი ლურსმური მწერლობა და ჩვენის მატიანის გადმოცემასაც ფასი დაედო.

ფრანსუა ლენორმანი სწერს (Lettres assyriologiques sur l'histoire et les antiquités de l'Asie antérieure):

„სომხეთის უუძველეს ისტორიას ახემენიდებამდე მოულოდნელი ნათელი მოჰფინა ლურსმურ წარწერათა და ტექსტების გამოკვლევამ. ამ ტექსტების შემწეობით ჩვენ ახლა შეგვიძლიან წარმოვიდგინოთ საერთო სურათი იმ ისტორიისა, დამყარებული ნამდვილ მაშინდელ საბუთებზე, რომელთა შორის ზოგი იქაურია და ზოგი—ასურული. მხოლოდ ეს კია, რომ ამ უტყუარ საბუთებზე დამყარებული ისტორია სრულებით არ ეთანხმება სომეხთა მწერლების ისტორიას საერთოდ და მოსე ქორენელისას განსაკუთრებით, თუმცა დღემდე მეცნიერებას ძლიერ სწამდა მათი სინამდვილე. ახალ ცნობათა მიხედვით, არათუ სომხეთის ისტორია, არამედ მთელი აზიისაც სრულებით უნდა შევცვალოთ და სხვა სახე მივსცეთ. სომხებს არ აბადიათ არავითარი ნაციონალური

თქმულება ტიგრან პირველამდე, რომელიც კვიროსის თანამედროვე იყო. რაც კი შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხრობა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მოსე ქორენელის წიგნითგან; ეს წიგნი კი, როგორც თვით ქორენელი აღიარებს, სულ ერთიანად დამყარებულია სირიელი მწერლის მარ აბაზ კატინას ისტორიაზე, რომელიც დაიწერა ქრისტიანობის პირველს თუ მეორე საუკუნეში და შეიცავს უფრო ბევრს ტყუილს, ვიდრე სიმართლეს.

„ახალი ცნობები სომხეთის უძველესის ისტორიისა, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ორნაირია: ერთია ასურულ მეფეთა ლურსმული წარწერები, სადაც მეფენი მოგვითხრობენ, რა ბრძოლა ჰქონიათ სომხეთთან; მეორეა იქაური ლურსმული წარწერანი, რომელთაც, ჩემის აზრით, შეცთომით უწოდებენ სომხურს და სათანადო კია დაერქვას ალარადიული.

ასურულნი წარწერანი, რომელნიც სომხეთს შეეხება, ჩნდება პირველად სალმანუ-ასირ მეოთხის მეფობაში და არ ილევა ასურ-ბანი-პალ-ის მეფობამდე, ე. ი. მეცხრე საუკუნიდამ მეშვიდემდე ქრისტეს წინ. ეს წარწერები მოგვითხრობენ იმ დროინდელ სომხეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, განსაკუთრებით მეცხრე და მერვე საუკუნეთა განმავლობაში. ამის სურათი მე სხვაგან დამიხატავს და მიჩვენებია, თუ მაშინდელი სომხეთი რა ნაირად ყოფილა დანაწილებული წვრილ-წვრილ სამეფოებად, რომელთა შორის უფრო გამოჩენილი იყვნენ: ვანნა ანუ ვან *), შუშაშირ ანუ არსის **) კლასიკურ

*) ვანი ქართული სიტყვაა და ნიშნავს სახლს (=აფხაზ. ავუნ— სახლი). მისგან წარმოსდგნენ სიტყვები: სავანე (სა-ვანე), დავანება ანუ ვანება; გეოგრაფიული სახელები: ვ ა ნ ი (სოფლები დუშეთის, ქუთაისის, შორაპნის, ლეჩხუმის, ოზურგეთის, ბათუმის და ახალციხის მაზრებში); ვანის-ქედი (ოზურგ.). ვანეთი (ტფილ.), ვანთა (თელავის, არდაგანის მაზრებში). ვანური (გორის მაზრ), ვანხევი (თიანეთის მაზრ). სვანურად კიდეე ვ ა ნ ი ნიშნავს ბრტყელს.

** ლურსმურ ნაწერების არსისა, ჩვენი არსიანე, არსიონი (ასრე

ბეოგრაფოსთა, მიდდის, რომელიც იმყოფებოდა იქ, სადაც ეხ-ლა არზრუმის გარეშემო მთებია *), მიდიდ ანუ მიდიდდ — მე-ლიტენი **) ბერძენთა და რომაელთა და ურარტი ან არარა-

ერქვა, მარკოპოლოს სიტყვით, არსენ-რუმს=არზრუმს) ერთის ძირისაგან წა-რმოებული უნდა იყოს. არსისა ნათესაობითი ბრუნვაა სიტყვ სა ა რ ს ი. არსისა — ადგილი არსისა, საარსო. შემდეგ მას დაერქმეოდა ა რ ს ი ა ნ ი, ვინაითგან ორთავე ამ სიტყვების მნიშვნელობა ერთი და იგივეა. არსიანის განგრძობას ძველი დროითგანვე ჰქვიან ლიხი, ხოლო სვანურად ლ ი ხ ანუ ა რ ი ხ უდრის იმავე ქართულს არიან, არს, არნ (არსება—მყოფობა). (ლიხი ნიშნავს აგრეთვე „ფრიად მაღალს შამბს". იხ. საბას ლექსიკონი). —მ უ შ ა შ ი რ—სხვები მ უ ს ა ს ი რ-ად სწერენ—შეიძლება იყოს სვა-ნური გამოთქმა—მუსაშირ=მოსაშირე: სვან. შ ი რ ა—წისქვილისქვა. ს ა-შ ი რ ე—საწისქვილისქვო მთა, ადგილი, მ ო ს ა შ ი რ ე—კაცი საშირეთი-სა (ქართლში არის სოფელი სასირეთი, რომელიც ძველად, იქნებ, სა-სირე-თი კი არა, ყოფილიყო საშირეთი). სვანურად წისქვილს ჰქვიან ლ ა-შ ი-რ ა, რომელიც უდრის ქართულს სა-შირე (მესაშირე=მუსაშირე—მეწის-ქვილე).

*) არზრუმი ბასიანში, არეზის სათავეზე. ამ არეზის ჩრდილოეთი მხარე, როგორც ამბობს კოსტანტინე ძოწითმოსილი 952 წელს (იხ. შე-ნიშ. 425) ეკუთვნოდა ქართველებს და სამხრეთ-დასავლეთი მხარე—ბერ-ძნებს. მოგზაური ლამბერტი (1633—1653) ამბობს („მოამბე", 1900, IV, 83. 38): „საქართველოს მეფეები წინად ფრიად ძლიერნი იყვნენ... იმ დროს საქართველოს სამეფო გავრცელებული იყო სპარსეთის მხრივ თავრიზამდე, სამცხის მხრივ—არზრუმამდე, კოლხიდის მხრით კაფამდე, რომელიც ხერსონესშია. საქართველოს სამეფოს რომ ასეთი სივრცე ეჭი-რა, ამის ცხადი კვალი დღესაც სჩანს. არზრუმის ქალაქის მახლობლად ახლაც ქართული სოფლებია. უწინდელ დროს თვით ამ ქალაქში იჯდა ქა-ართველი ეპისკოპოსი, არზრუმელად წოდებული". „არზრუმი"=არსენ-რუ-ში, მარკოპოლოს დროს—ა რ ს ი ო ნ ი.

**) შეიძლება ეს სიტყვა—მილ ი დ=მილიდია=მელიდია=მელიტე-

ტი *), თუმცა მაშინდელი სომხეთი ესე დაყოფილი იყო მრავალ სხვა და სხვა სამეფოებად, მაგრამ, როდესაც ყურადღებით განვიხილავთ სახელებს იქაურ პროვინციებისას, ქალაქების, კაცებისა და ღმერთებისას, რომელნიც მოხსენებულია იმ წარწერებში, მაშინ ცხადად დავრწმუნდებით, რომ მთელი იქაური ხალხი იყო ერთის შთამომავლობისა, ლაპარაკობდა ერთსა და იმავე ენაზე და მეცხრე საუკუნიდამ ერთიანად ემორჩილებოდა ურარტის ხელმწიფებას.

რა ხალხი იყო ეს ხალხი? რა ტომისა იყო იგი? თუმცა ასურულნი წარწერანი საკმაოდ გვიმტკიცებენ, რომ ის ხალხი იყო ერთის შთამომავლობისა, მაგრამ მარტო ეს წარწერები არ კმარა, რომ ზემოხსენებული საკითხი გადავწყვიტოთ. ამისათვის მიუცილებლად საჭიროა მივმართოთ იქაურ ლურსმურ წარწერების განხილვას. ეს წარწერები დღეს ბლომად არის აღმოჩენილი, როგორც სომხეთში, ისე ქურთისტანში და დიდი ნაწილი უკვე გამოქვეყნებულია ან-და მუზეუმებშია შენახული, ისე რომ მეცნიერებას შეუძლიან მათი გაჩხრეკა და გამოკვლევა.

ჩვენის აზრით, სომხეთში ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტის მეტად ემსგავსება ქართულ ენას.

მომავალში იმედი მაქვს, როდესაც ჩემი გამოკვლევა წინ წაიწევს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველი საბუთები ამ აზრის დასამტკიცებლად. ახლა კი წარმოვადგენ ერთ ფრიად სარწმუნო დამტკიცებას, რომელიც დაფუძნებულია არსებითის სახელების ბრუნვაზე. წარწერათა განხილვამ დაგვარ-

ნეაწ მალატია—იყოს ან მ ე ლ ი თ ო ნ ე, ან მ ე ლ ი თ ი, რომლისაგან წარმომდგარა გვარი მელითაური, ან მ ი ლ ი თ ი (სვან. ლითი—თიბვა, ლიდი—დება). არის ჩვენში სოფელი მ ო ლ ი თ ი.

*) იხ. ქვემოთ.

ფშუნა, რომ სახელ-არსებითის ბრუნვა ასეთი ყოფილა:

	პირველი ბრუნვა	მეორე ბრუნვა
სახელობითი	ის	—ას
ნათესაობითი . . .	იაის	—აის
ნათესაობითი რთული .	ისინი	— აისინი *)
მიცემითი.	ინი	— ანი **)
რთული მიცემითი . .	ინინი	— ანინი ***)
შემასმენელობითი . .	ი	— აი
შემოქმედებითი . . .	იდი	— ადი ****)
რთული მოქმედებითი .	იდინი	— ადინი
დაწყებითი	ისტე	— ასტე
მოთხრობითი . . .	იმენი	— ამანი

აქედან ცხადად სჩანს, რომ ეს ბრუნვები, რომელიც ძლიერ მდიდარია ფორმებით, არა ჰგავს არც არიულს და არც თურანულ ბრუნვებსა, მხოლოდ საოცრად ჰგავს და ეთვისება ქართულ ბრუნვებს, რომლებსაც აქვთ შემდეგი დაბოლოებანი:

---

*) ნათესაობითი რთულის დაბოლოება ქართულში არის ი ს ნ ი, ი ს ა ნ ი, მაგ. შვილნი დედ-ისნი, დედა-ისანი, დედ-ის(ი)ნი (არა რთული: დედ-ისი).

**) „ინი“-ც ნათეს. დაბოლოება უნდა იყოს, ვით ი ს, ი ს ი, ვინაითგან მეგრული ი ნ ა=ის, ისი, ისა. შეადარე: ჩემთვის=ჩემთვინ=ინგ. ჩემთუნ. მამისთვის=მამისთვინ=მამისთუნ.

***) „ინინი“ ჩვენ მიგვაჩნია მრავლობით რიცხვად სიტყვისა „ინი“=იგი, მრ. იგინი, ინინი. ანინი-ს და ინინი-ს განსხვავება ისეთია მხოლოდ, რაც ნაცვალსახელებისა: ისინი, ესენი, აისენი, იგინი, ეგენ აგენი. ნაცვალსახელს ა ი ს ანუ ა ს უდრის სვანური ნაცვალსახელ ა ლ ა.

****) ქართულადაც აგრეა: მამ-იდ-გან=მამ-ით-გან; მამ-იდ-ან, მ თი, მამათი.

სახელობითი . . .	ი	— ა.
ნათესაობითი . . .	ის, ისა	— ის, ისა.
მიცემითი	სა	— სა.
შემასმენელობითი. .	[აი]	— ი.
მოქმედებითი . . .	ითა	— ათა.
მოქმედებითი მეორე.	ად	— ად.
დაწყებითი. . . .	ისაგან	—
მოთხრობითი . . .	მან	— ამან *).

*) ვანის ლურსმულ წარწერების წამკითხველებს რიგიანად ვერ შეუგნიათ იმ წარწერების ბრუნვები. მომყავს აქ ბრუნვა სიტყვისა Haldi (ქალდი).

Haldi—Богу Халди

Haldie Богу Халди

Haldie для Халди

Haldii Богу Халди

Haldieni Богу Халди

Haldini Богу Халди

Haldini къ Богу Халди

Haldinini Бож: халдиніямъ

Haldinili мѣсто Халди

Haldise (Богъ) Халди და სხ.

Haldise (=ჰალდიშე) უდრის ქართულს ქალდისა(გან) და ლაზურ-მეგრულ-სვანურს) ქალდიშე.

Haldinini ჯერჯერობით ჩვენ მიგვაჩნია ქალდინნი-დ.

Haldinili უნდა იყოს იგივე ქალდინული (შეადარე: წერილი=წერული, დაბეჭდული=დაბეჭდილი).

პატარა ფრაზა:	ჩვენი თარგმანი:
Haldinini Бож. Халдиніямъ,	ქალდინნი
alsuusini великимъ	არსისნი
Argistise Аргисти,	არგისტიშე

„მსგავსება, როგორც ხედავთ, შესანიშნავია. ხოლო ახ-ლანდელ ქართულს დაუკარგავს განმეორებითი რთული ფორმები, რომლის მაგალითები არ მოიპოვება არსად, გარეშე ალაროდიულ წარწერათა და რომლის წარმოება ამ წესით არის: მარტივ ბრუნვას მიემატება მარცვალი „ნი“.

„მრავლობითი რიცხვის დაბოლოებანი ჰგვანან მხოლოობითს და სწარმოებენ ასე: სიტყვა, რომელიც შესდგება ხან იდეოგრაფიულად და ხან ფონეტიკურად, დაბოლოების წინ მიიმატებს ერთნაირს ნიშანს, რომლის უეჭველი წაკითხვა ჯერ გარკვეული არ არის, მაგრამ სიმრავლეს კი უსათუოდ უნდა ნიშნავდეს.

„ამ გვარი აგებულება ალაროდიულის მრავლობითის რიცხვისა სრულებით ეთანხმება ქართულ ბრუნვის მეხანიზმს, სადაც მრავლობითი რიცხვის დაბოლოებანი ჰგვანან მხოლოობითისას მარტო იმ გარჩევით, რომ სიტყვის ძირსა და ბრუ-

---

Menuahinise сынъ Менуа, მენუა ჰინიშე

zaduni устроилъ ზადინი, ე. ი. ქალდნი

არსისანი არგისტისაგან მენუას შვილისა მზადნი.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა. hini (Menua-hini-se) შვილად ითარგმნება მეცნიერებისაგან. ასეც შეიძლება იყოს. „შვილი“ მიმღეობაა სიტყვისა შობა, რომელიც უძრის მეგრულს ხუალა (=ქართ. ხვება). ხანს—შობს; ვხი, ხი, ხუ, ვხეთ, ხეთ, ხეს=ვშვი (=ვშევ), შვი (=შევ), შვა (შო, შუა), ვშვით, შვით, შვეს ანუ: ვშვინ, შვინ, შუნა და სხ. შობილი (შული' შვილი)=მეგრ. ხელი, ნა-შვი =ჰეგრ. ნა-ხუა. ამავე ფესვიდგან წარმოსდგება მეგრული ხე—ასული: ელია-ხე; დგებია=დგებუაძე, დგებია-ხე=დგებულ-ძე (ასული). რადგან ულ ი=ილ ი (ქმნული=ქმნილი). ამიტომ შვილი=შული=შილი (მოსაყვარლებითაც ამბობენ—შილი, შილიკო)=ინგ. შილ (შეად. შვინდი=შინდი=კვიცი-კიციმაგრამ შეიძლება hini მომდინარებდეს იმავე ფესვიდგან, რომლისაგან გვაქვს ჰ ა ნ ი—საბას ლექსიკონით „მამა-დედათ მშობელი“.

ნვის დაბოლოებას შუა ჩაერთვის მრავლობითის ნიშანი „ები“ (მაგალითად, მამ-ებ—ი, მამ-ებ-იხა, მამ-ებ-სა და სხვ.).

„ალაროდიულის და ქართულის ნათესაობას ამტკიცებს აგრეთვე შემდეგი ნაცვალ-სახელების მსგავსება:

პირველებითი:		ჩვენებითი:	
ალაროდიული:	ქართული:	ალაროდიული:	ქართული:
მე.	მე.	სა.	ეს.
ქი.	იგი.	სი.	ის.

საკუთრებითი:

ალაროდიული: მას ქართული: მისი, იმისი.

კავშირის მსგავსებაც შესანიშნავია:

ალაროდიული:	ქართული:
და.	და *).

„არ არის აგრეთვე უმნიშვნელო საკუთრებითი ზედშესრული, რომელიც მიიღებს დაბოლოებას —ალაროდიულში „ნანე“ და ქართულში „იანი“.

„ამ ნაირად ფიდლიგიკ, ეს ადგებრა ისტორიულ მეცნიერებაზა, როგორც უწოდეს მას, ეს ძლიერი და ზოგჯერ ერთად-ერთი საშუალება ძველის ეთნოგრაფიის აღსადგენად, გვიმტკიცებს, რომ მეშვიდე საუკუნის ბოლომდე ქრისტეს წინად სომხეთის მკვიდრნი იყვნენ იმგვე ტომისა, რომლისაც არიან ქართველები და ზოგიერთი სხვა ხალხი კავკასიისა და ამ მკვიდრთ მეცხრე საუკუნიდამკე შეერია

*) კიდევ შეადარე სიტყვები: ini—этотъ=მეგრულ. ინა—იგი; aruni—привелъ=ქართ. არონია (დასაწყ. რონინება); alusi—живущій; ჩვენით ა რ ს ი; ali=alie—говоритъ ჩვენით ა რ ი=ა ლ ი (სვ. ლი). „Sardurise ali“ (Никольскій, стр. 448)—Сардури говоритъ. უნდა იყოს: „სარდურისაგან არი“ (სიტყვა. უწყება და სხ.); Zadini (იქვე, გვ. 452)=მეგრ. ზადინი; istini—это, эти, ქართ. ისინი (შეად. ისტე, ისთე; მეგრ. თინა); Zari, zaari—სეისით ქარი, ნიკოლსკით—ხის შენობა. შეად. ქართ. ქარი; მეგრ. ჯა—ხე. ჯა-არი.

რამდენიმედ არიუდი ელემენტი. სწორედ ეს მკვიდრი ხალხია, რომელსაც დაბადება უწოდებს (X, 3) თოგორმ-ად. ამაგე სახელს სდებს ამ ხალხს ეზეკიელი (XXVIII, 14, XXVII, 6) სწორედ იმ ხანებში, როდესაც ამოჯრიდია უმეტესი ნაწილი იმ წარწერებისა, რომელიც ჯერ ჯერობით უპოვნიათ ვანში და იმის მიდამოში. ეს უძველესი ხალხი სომხეთისა სრულიად განირჩევა აწინდელ სომხებისაგან. შესანიშნავია, რომ თუ სომხები ამტკიცებენ, თოგორმოს შვილის ჰაოსის შთამომავალნი ვართო, ქართველებსაც თარგამოსი მიაჩნდათ თავის წინაპრად *).

„ყველაზე უფრო თვალსაჩინო და შესანიშნავი ის არის, რომ ალაროდიულ ლურსმულ წარწერათა ენა სრულიად არ ენათესავება სომხურსა. ის ხალხი, რომელსაც ამოუჭრია ეს წარწერანი და რომელიც მარტოდ-მარტო ფლობდა იმ ქვეყანას მეექვსე საუკუნემდე, არავითარი მონათესავე არა ყოფილა სომხებისა არც შთამომავლობით და არც ენით. სომხები შემოსულან ამ ქვეყანაში მხოლოდ უკანასკნელ წარწერათა შემდეგ, ე. ი. იმ დროს, როცა უწინდელი მკვიდრი ხალხი წაიწია ჩრდილოეთისკენ, სწორედ იმ ქვეყნისაკენ, რომელსაც ძველები უწოდებდნენ ივერიას და ახლანდელები— საქართველოს. ამ სახით, ჩვენ მივუახლოვდით იმ დასკვნას, რომელსაც მიდიის მატიანების გამოკვლევამ თვალწინ დაგვიყენა. ამ გამოკვლევამ დაგვარწმუნა აგრეთვე, რომ მდინარე ჰალისსა და კასპის ზღვას შუა მდებარე მთიანი ადგილები დაიპყრო არიის შთამომავლობის ხალხმა მხოლოდ მერვე საუკუნიდამ მეექვსე საუკუნემდე ქრისტეს წინად, და არა უფრო ადრე, როგორც საზოგადოდ ფიქრობენ. მანამდე კი მიდიაში და კაპადოკიაში მკვიდრობდნენ თათარ-ფინები, თურანელი მედები, მოსეხები და ტიბარენები, და სომხეთში კი მკვიდრო-

*) სამეგრელოში არის სოფელი თარგამოული. თარგამის შესახებ იხ. ქვემო.

ბდა ხალხი, რომელიც მონათესავე იყო კავკასიის ხალხებისა.

„რაც ვთქვით ენის შესახებ, იგივე უნდა ითქვას სარწმუნოების თაობაზედაც. ლურსმული წარწერები სომხეთისა სრულებით არ იხსენიებენ სომხების ეროვნულ ღმერთებს, რომელთაც აგვიწერენ მათი მწერლები. პირიქით, ლურსმულ წარწერებში მოხსენებულ ღმერთების ცნობა არა აქვთ არც სომხის ისტორიკოსებს და არც სომხურ ეროვნულს ზეპირგადმოცემას. ერთ და იგივე ღმერთები არიან მოხსენებულნი, როგორც ვანისა, ისე პალუსა და არზრუმის გარეშემო ნაპოვნ წარწერებში. ამნაირად სომხეთის ძველის-ძველს ხალხსა, თუმცა იგი დაყოფილი იყო რამდენსამე დამოუკიდებელ სამეფოდ, ეტყობოდა სრული ერთობა როგორც შთამომავლობითა და ენით, ისე სარწმუნოებითაც. ეს ერთობა შთამომავლობისა, ენისა და სარწმუნოებისა აკავშირებდა ერთმანეთ შორის განცალკევებულ ნაწილებს. ამ სარწმუნოების ქვაკუთხედია თაყვანის-ცემა უმაღლესის სამებისა, რომელსაც დასაწყისსავე მიჰმართავს თვითოეული ეპიგრაფიული წარწერა და რომლის შემდეგაც მოხსენებულია უფრო დაბალი მეორე ხარისხის ღმერთები. სამების პირველ პირს ეწოდება ქალდის ანუ ქალდია. დანარჩენ ორ ღმერთს წარწერანი გამოხატავენ იმ ნიშნებით, რომლითაც ასურელები ხატავდენ თავიანთ ღმერთებს ბინ-ს და შამშ ს. ცხადია, ეს ღმერთები, როგორიც უნდა იყოს მათი სახელები, წარმოადგენენ: ერთი — ატმოსფერას, ეთერს, ბრწყინვალე ცას, მეორე — მზეს და ქალდისი სამების შესავსებლად წარმოადგენს მთვარეს“ (ა. მ. ჰუონიას თარგმანიდამ — „ისტორ. ნარკვევი).

—

მოკლე ისტორია ნაირის ერისა *). ასურეთის მეფეები სცდი-

*) იხ. Клинообразныя надписи ванскихъ царей — მ. ვ. ნიკოლსკისა.

ლობდნენ წინა აზიის წვრილ-წვრილ სახელმწიფოების შეერთებით შეექმნათ ერთი დიდი სამეფო თვისის უზენაესობის ქვეშე. გარნა ეს წვრილი სახელმწიფოები მედგრად იცავდნენ თვისს თავისუფლებას. ასურეთი სცდილობდა დაეპყრა წვრილი სამთავროები და დაემორჩილებინა აშშურისთვის, მაგრამ ეს წვრილი სამთავროები ყოველ დროსაძიებას ხმარობდნენ ძლიერის მტერის ლუკმად არ გამხდარიყვნენ. ამ წვრილ სახელმწიფოთა შორის გამოჩნდა ერთი სამეფო, რომელიც ასურეთის მეტოქედ შეიქმნა: მასაც ჭსურდა დაეფუძნებინა თვისი საკუთარი მსოფლიო მფლობელობა. ამგვარ მეტოქედ ასურეთისა შეიქმნენ ურნი, რომელნიც მოსახლეობდენ შუამდინარის ზემო, არეზის ველზე, ვანასა და ურმიის ტბათა ახლო. აქ ასურეთის მეფეები იბრძოდნენ არა თუ თვისის უფლების დასამყარებლად, არამედ, ხანდახან, თავის საკუთარ დამოუკიდებლობისთვისაც.

ამ ჩრდილოეთის, ურთიერთისაგან დამოუკიდებელ, ერთა შორის უპირველესობდა ქვეყანა, რომელსაც ასურეთის ძეგლებში ურარტუ ჰქვიან. ამ ქვეყნის მეფეებმა დაგვიტოვეს თავის დროძლს ენაზე წარწერები და ეს წარწერები აქაურ სამეფოს უწოდებენ ბიანა-ს და მის სატახტო ქალაქს კი—ტუშპა. ბიანას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა მიეცა მხოლოდ ქრ. წინად მე-IX საუკ. ნახევარს, მანამდე კი ამგვარი ადგილი უფრო ჩრდილოეთისკენ იყო, არეზზედ, ურარტს.

ურარტუ შეადგენდა ნაწილს ქვეყნისას—ნაირი *). ნაირის მცხო-

---

*) ერთ ნაწილს—აკკადს—ერქვა ურთუ; ამ სიტყვასო, შენიშნავს ნიკოლსკი (Клинообразныя надписи, გვ. 887), საერთო არარა აქვსო სიტყვას-თან „ურარტ“-.— ეს ურთუ ჩვენ მოგვაგონებს სამეგრელოს მთას, რომელსაც ჰქვიან ურია (==მთა ურებისა) და აგრეთვე „ქართლის ცხოვრების“ მთას ორეთი (თარგამოსი რომ ჯერ ისევ არარატ—მასისს იყო, მისი სამფლობელოს მიჯნები სწვდებოდა—აღმოსავლით გურგანის ზღვას, დასავლით—შავზღვას, ჩრდილოეთით—კავკასიონს და სამხრეთით—მთას ორეთს, რომელ იყო ქურთთა ქვეყანასა, პირისპირ მიდიისა“).—შუამდინარეს ერქვა სენნარ, ტიგრისა და ევფრატის ზემო მხარეს ეწოდებოდ

ვრებნი მოინათესავე ენებზე დაპარაკობდნენ და ეს ენები ენათესავებობდენ ვანის წარწერებისს. ურარტულ ამ ქვეყანას უწოდებდენ მხოლოდ უცხოელნი *), მსგავსად სახელებისა: **ურია, არმენი.**

არარატ-ვანის ანუ ალარადიის ტომ-მოდგმის თემნი იყვნენ: უნზასუნი, ბიდაქინი ატურგინი, კულიბარძინი, სინიბირნი, აბაენი (აბუნი), ადაენი, კირინი, აბარსიუნი (აბურზანი), არდინი, ალბაია, ასზანი, დაკინედია, ირდია, ბია, უდური (უდურიეთნი), ტუადი (თუადი?), კიდარი **)

ნიკოლსკი ეჭობს, რომ ამავე ალარადიელებს არ ეკუთვნოდნენ ხეტტები, მამათმთავარნი თავისებური კულტურისა და მამაცნი მგტოქენი ეგვიპტელთა და ასურთაც. ამათ ერქვათ: ხატტი (ასურულ წარწერებით), ხეტა (ეგვიპტურად) და ხატა ანუ ხატინა (თვით ვანურის წარწერებით). ეს ერი, ვიდრე ასურელები გამოვიდოდნენ მსო-

ნ ა ი ი რ ი. ნიკოლსკი ამბობს, „ნ ა ი ი რ ი“ ალბად სემიტურიდგან წარმოიშობაო, მრავლობ. სიტყვისა ნ ა რ უ მდინარე. თუმცა ჩვენებურადაც ნ ა რ უ აღნიშნავს ადგილს რუებიანს, ნარუალს, მაგრამ თვით ნ ა ი ი რ ი შეიძლება იყოს მიმდეობა მეგრულის სიტყვისა ი რ ო (=ირიათო, ირიარ-თო)—მარადისი, საუკუნო. აქ ესეც უნდა დაკუმატოთ, რომ მოგზაური ბარ-ბარო (1471—1479) თვით ტკვარს ტიგროსად იხსენიებს. ტფილ სი ტი-გრის პირზე არისო („მოამბე“, 1894, XI, 48).

*) სახელები არარატი, ალაროდი, ურარტი ჩვენ უკვე განვმარტეთ (იხ. ტექსტში შენიშ. 67, „ქართვ. მატიანე“, გვ. 126). აქ კიდევ დავუმატებთ, რომ თვით ივირია, ვირქ, ვრაც=ურაც=ური და, შეიძლება, თვით ურართი-ც წარმოშობილიყო იმავე მეგრულ სიტყვიდამ ირო, ირიართო (მარადი, საუკუნო), რომლის მიმდეობად ჩვენ აღვნიშნეთ სახელი ქვეყნისა ნ ა ი ი რ ი (ი=უ: ლახული=მ. ლახირი; ფუჩი=ფიცი.)

**) ძნელი არ არის აქ კაცმა გამოიცნოს ქართულისებრ სახელები: უდე (სოფელია ჯავახეთში)—უდური; კიდარი=კიდური, ბია (არის სოფ. უბისი). ასზანი—სვ. ზ ა ნ სამეგრელო. ალბაია—არის სოფელი ალ-პანი. კირინი-სვ. კირი—ბრწყინვალე (ქართ. კრიალი).

ფლიო ისტორიის სარბიელზე, კაძღიერებულ იყო ისე, რომ საზარო შეიქმნა თვით ეგვიპტისათვის. მათ მიერ შექმნილი კულტურა, რომელშიაც შემოერია ნაკადულები ბაბილონიდამ და ეგვიპტიდამ, იჩენს თავისებურობას, კარნა მათი მწერლობა, განსაკუთრებული ხერხი წერისა—იეროგლიფი,—წარმოადგენს სრულს თავისებურობას. ასურთა მპყრობელობის ჟამს ეს ერი დაძაბუნებული იყო, დაეკარგა წინანდელი ძღიერება და ადარ შეეძლო მეტოქეობა გაეწია ასურეთისათვისაც ისე, ვითა ეგვიპტეს უწევდა.

მე-IX ს. ქრ. წ. ურარტუსა და ასურეთს შორის კიამართა მედგარი და თავგამეტებული ბრძოლა, რომელიც არ შეწყვეტილა ორ საუკუნემდე. სემის მოდგმა და ურარტისა (ალარადიისა) იბრძვიან მსოფლიოს უზენაესობის დასაჩემებლად. ბოლოს სემისნი იმარჯვებენ, კარნა ამ მრავალსაუკუნოვან ბრძოლაში ასურეთის ბედი არა ერთხელ ჰკიდებია ბეწვზედ, და, კითარცა ბუნიკურ ომების დროს არა ერთხელ ადიძრა კითხვა—როგორი უნდა იყოსო მსოფლიო, სემიტური თუ რომანული, ასევე მე-IX—VIII ს. ქრ. წ. ასწორი არა ერთხელ კადგრილა ხან ალარადიელებისკენ და ხან სემიტებისკენ.

ასურთა მეფეების კამოლაშქრება ნაირის ქვეყანას იწყება დაახლოვებით 1100 წ. ქრ. წ., თიგლატ ფალასარ 1-ის ჟამს, თუმცა ჯერ ისევ სალმანასარ 1-მა (1300 წ. ახლო ხანს) მოაწია ნაირის მთის კარებამდე. თიგლატ ფალასარი, რომელიც შემოვიდა ნაირს, თავის წარწერებში ამბობს, რომ ეს ქვეყანა ევფრატზე ჩრდილოეთი სამეფოა და მდებარეობს ზეშოური ზღვის კიდეზეო, მისმა „მეფეებმა მორჩილება არ იცანიო". თიგლატ ფალასარმა კადმოლახა 16 დიდრონი მთა და კამოვლო ევფრატი. აქ დახვდა მას ნაირის 23 მეფეთა დაშქარი (მათ შორის ურარტუ ჯერ არ იხსენიება). თიგლატმა კიამარჯვა. მან დაამარცხა აგრეთვე 60 მეფე, რომელნიც მოძმეთა საშველად კამოვიდნენ. „ზემო ზღვასთან" *) დაეწია მათ და დაატ-

*) ზემო ზღვად ანუ ჩრდილოეთის ზღვად ლურსმურ წარწერებისა ჩვენ მიგვაჩნია ჩირდილის-ტბა (აწინდელი ჩილდირ-გელი). მისი ქართუ-

ეგვეგ ეგველანი. კარნა შემდეგ კანაოავისუფლა იგინი, დაოფიცა რა, რომ სუკუნოდ მორჩილნი იქნებიან და ხარკს მისცემენ. მეამბოხე მეფეთა კაგშირის მოთავე იყო ერი ალანი, რომელიც, ვანის წარწერებით, მოსახლეობდა ბიანას მეზობლად, ვანის ტბის ჩრდილოეთით, არეზსა და ვანს შორის. მათს მეფეს ერქვა სენი.

ტახტზედ რომ ავიდა ასსურ-ნასირ-აპალი (885—860 წ.), მან მოინდომა დაეპყრო ხატტი, ფინიკია და ხმელთა შუა ზღვის ნაპირები. იგი შემოგიდა ნაირს ურარტუმდე, დაიპყრო ხატტი და მერე ტირი და სიდონი.

სალმანასარ II-მ (860—825 წ.) 21-ჯერ გაბოიალაშქრა ხეტტელთა ქვეყანას ამდროს გაძლიერებული ურარტუ თვისის მოკავშირეებით სცდილობდა სამხრეთისკენ გაელაშქრა. მისვე მეფე არამემ სამჯერ უკუაგდო ასურთა ლაშქარი (860 წელს, 857 წ. და 844 წ.).

სალმანასარი შევიდა ხუბუშკიას, რომელიც მდებარებდა ვანსა და ურმიას შორის, დაიპყრა იგი, წაგიდა სუგუნიას (სუგუნია იყო ურარტუს მეფის არამეს ციხე), დაიმორჩილა და დაბრუნდა.

მეორე ლაშქრობისას (857 წ.) იგი ჯერ მიდის ხატტის, მერე ტაგრის გზებით შედის ენზის ქვეყანაში და იქიდგან არზანს, იპყრობს სუხმის ქვეყანას, კალადის დაჯანთა მხარეს და იქიდგან ურარტუს და სცდილობს დაიპყრას ამ ქვეყნის მეფის არამეს სატახტო ქალაქი არზაშკუნუ ანუ არზაშკუ. კარნა მას ვერ იპყრობს, ერითიას მოაზედ სდგამს თავის ანდაზმას და იდეის ქალაქს არამალის.

844 . სალმანასარი კვალად მიდის ნაირს, მიაღწევს ურარტუს ქალაქებამდე, ს

მიენდო თავის მრავალრიცხოვან რაზმს და წარმოდგა წინ სიმრავლ და სიბრძოლად. მე შეგებრძოლე და დავამარცხე".

ეს სედური არის იგივე სარდური I, ძე ლუტიბრისა, ბირველი მეფე ბიაჯნასი. ურარტუს მეფობელობის შუაგულად მან ადირჩია ვანის ტბის ნაპირები და მისს აღმოსავლეთს კიდეზედ დაარსა სახელოვანი ქალაქი ტუსპა. ეს ქალაქი იდგა განმარტოებულს მაღალს კლდეზედ, რომელიც სამის მხრით მთებით იყო მოზღუდვილი და შეოთხე მხრით კი—ტბას ებჯინებოდა. ურარტუს მეფე აქ დასახლდა და მით ცხადად აღნიშნა თვისი მიზანი—სამხრეთის მხრივ განიმტკიცოს თვისი ძალიერება და ამასთანავე, შეიქმნას ბატონად ჩრდილოეთისა და მოსეულ მტრისაგან უზრუნველ იქმნას.

იგი იწოდებოდა ასრე: „მეფე დიდი, მეფე შემძლებელი, მეფე მსოფლიოსი, მეფე მეფეთა, მეფე, რომელსაც მოხარკეობენ ყოველნი მეფენი".

სალმანასარ II მოადგილეების შამში-რამმანის (825—812) და რამმან-ნირარის (812—783) ნაირს შესევა ჭსურდათ, კარნა ამ ქვეყნის ერნი წინააღმდეგნენ. მეამბოხეთა შორის იყვნენ აგრეთვე ქვეყნები ხირსინა, იშპინა, ზანა და სხ.

სარდურის შემდეგ ნაირს მეფობდა იშპუინი და მისი ძე მენუა. მათ წარწერებიდამ სჩანს, რომ ადგილობრივი უმთავრესი დმერთი ქალდინა იმოოებოდა ბიაჯს ანუ ბიაჯნას. თვისი დმერთები ჭყვანდათ აგრეთვე ქალაქებს: არდინის, კუმენუს, ტუსპას, არსუინის, ერიდიას, ბაბანის, ატკანას და სხ. იშპუინის სურვილი იყო თვისი სახელმწიფო კეერთებინა არათუ მარტო პოლიტიკურად, არამედ საერო სარწმუნოებრივის მხრითაც.

იშპუინმა განითქვა სახელი მითაც, რომ თვისს ურარტულს ენაზე განაწყო ასურულ-ბაბილონისებური სამწერლო ნიშნები.

მისი შვილი მენუა თავისს წარწერებში უმეტესად მოგვითხრობს ტნობებს თვის ნაშენობათა შესახებ და კაკვრით მოიხსენიების გალაშქრებას ხეტტელთა ქვეყანას, რომელსაც წაართო ქალაქი გუპანი, დიაუხინს (დაჯანს), რომელიც დაიმორჩილა, ერია-ს, მელიდას, ალზინს.

არგისტი მენუასძემ ასურთა ძლიერება ძირს დასცა. არგისტიმ ვანის კლდეზე დაგვიტოვა უდიდესი წარწერა. ეს წარწერები მაჩვენებელია ალაროდიელთა მოდგმის უზენაესობისა წინა აზიაში. არგისტის ძლიერებისა და მბურობელობის გამო ასურეთი მეტისმეტად დასუსტდა და ამიტომაც აქ მოხდა აჯანყება (746 წ). დაუძინებელმა მტერმა წაჰგლეჯა მას ჩრდილოეთის მხრის ქვეყნები და ზოგიც საამხრეთის მხრისა და განმტკიცდა ევფრატზე. კიდევ ერთი ძლევამოსილობაც და მსოფლიო ისტორია სულ სხვა მიმართულებას მიიღებდა, მაშინ ბიბლიის მატიანეები მოგვითხრობდენ არა ოიკლატფალასარისა, სალმანასარისა, სარგონისა, სენნაქერიმისა და სხ. ლაშქრობას ქვეყანასა ისრაელისა და იუდისასა, არამედ არგისტისას, სარდურისას და ურარტის სხვა მეფეებისას. ჩრდილოეთის გაძლიერებული ურარტის სამეფოს ძალა საგმაო იქნებოდა წინ გადაჭდობებოდა მოძრაობას არიელებისას, კიმმერიელებისას, სკვითებისას, და მსოფლიო ისტორიის მსვლელობა სულ სხვა იქნებოდა. გარნა ეს ასრე არ მოხდა. ასურეთი, ეს მძინარე დევი, მოელოდა მოხერხებულ შემთხვევასა და განძრევას, რომ გაელვიძა მასში ახოვნებასა და აღფრთოვანებას. და ამისთანა შემთხვევა მისცა მას თიგლათ ფალასარ II-ემ, რომელიც გამეფდა 745 წ. იგი შეესია ურარტუს.

არგისტის შვილი სარდური II დაუხვდა მტერს, გარნა იძლია: 72,950 კაცი დატყვევა მტერმა და სარდური კი გაიქცა.

735 წელს მტერმა ისევ გამოიალაშქრა ურარტუს, შემუსრა ურარტის სამეფო, გარდა ქალაქის ტუსპისა, საცა მაგრობდა სარდური, შემდეგ წავიდა ფინიკიას, დაიპყრო იგი, აგრეთვე ისრაელთა და იუდიელთა სამეფოები, დაანგრია დამასკო და შემოიქცა ბაბილონს.

15 წლის შემდეგ ურარტუს მეფემ ურსამ შეჭეარა დიდძალი ლაშქარი ასურეთის დასაპყრობად. გარნა გენიოსმა აღარ აცალა, ცალკეცალკე დაეცა მის მომხრე თემთ და შემუსრა იგინი.

ბირველად შემუსრვილ იქმნენ ტაბალნი კათბადუკიას და იგინი მტერმა გადასასხლა სხვა ქვეყანას. ტაბალნი ალაროდიელნიგე იყვნენ. შემდეგ შემუსრვილ იქმნა ხეტტელთა სახელმწიფო და მერე მანა, საკართა, ელიპი და სხ. მათ საშველად გამოვიდა მეფე ურსა, გა-

რნა დამარცხებული უკანვე გაბრუნდა. 714 წელს სარგონი დაეცა მუსასირს. ურარტუს წინააღარს, აიდო იგი და აოხრა. მეფე ურსამ, რომელმაც დაჰკარგა თვისი უკეთესი მომხრეები და აგრეთვე ნაციონალური ძმერთები, თავი მოიკლა.

713—711 წლებში ამ მეფემ სრულიად დაანელა ალაროდიელთა მოძრაობა. ასრე დასრულდა მრავალსუკუნოვანი ბრძოლა ასურთა და ურარტუს ტომთა შორის. სკიპტრა მსოფლიოს მონარქიისა დაშთათ ასურთ. მათ მიერ დამარცხებული ურარტის მოდგმა უნდა გამქრალიეო სამუდამოდ. გარნა არც ასურეთი მუშაობდა თავისთვის. შემუსრა-რა ძალიერება ჩრდილოეთის ერთა, ამით მან აიჩქარა თვისი დამარცხებაც, რადგან ჩრდილოეთის გზა გასწმინდა შემოსასევად კიმერიელთა, სკვითთა და არიის ბოგანო ხალხთა. ამათი ტალღა ჩრდილოეთის მხრიდგან თავისუფლად დაეშო ასურეთის მიჯნებისკენ და ხელი შეუწყო მონარქიის დაცემას. სამკვიდრებელი და მისი ქალაქები ალამებმა გალასტეს სპარსებს.

—

აქ საჭიროა გავიხსენოთ თვით ქართველთ მატიანეს გადმოცემა შესახებ მედგარ და ხანგრძლივ ომისა „ქართლოსიანთა და ნებროთს შორის“. ნებროთი ქართლოსიანთ დაამარცხესო შეერთებულის ძალით. ამავე მტრობას ქართველთა და სემისთა შორის ნათელს ჰფენს შატბერდის ქრონიკის სიტყვაც: „ქალდეველთა ღმერთი ითრუშან და ჩვენი ესე ღმერთი არმაზ ყოველადვე ურთიერთის მტერ არიან: რამეთუ ამან არმაზ ოდესმე მას ზედა ზღვაჲ მოაქცია და აწ მან (ითრუშან მა) ამას ზედა შური იძია“.

—

კოლხნა. ქართლის ცხოვრებიდამ ზევით მოვიყვანეთ ცნობა, რომ თარგამოსის სამშობლოს აღმოსავლეთი მიჯნა უწვდებოდა გურგანის ზღვამდეო, დასავლეთისა—შავზღვამდეო

და ჩრდილოეთისა—კავკასიონამდე *). ამ ცნობას, როგორც დავინახეთ, მხარს უჭერენ ზემოვე აღნიშნულნი გამოკვლევანი მეცნიერთა. გურგანის მხარეს მოსახლეობდნენ საგართნი, ჰირკანნი, კასპნი, გელნი და კადუსნი. ეს კადუსნი ქართველთა წყაროებით ქართველები, საკუთრად კახელნი, უნდა იყვნენ (ქართვ. მატიანე, გვ. 119—121, 162 – 165). ბერძნების გადმოცემით, ჩამოთვლილნი ერნი მიდიელები იყვნენ, ხოლო მიდია, მათისავე მოწმობით, დააარსეს კოლხიდის მეფის აიეთის ასულმა მედიამ და ამისმა შვილმა მიდმა. კოლხნი რომ ქართველნი იყვნენ, ეს სჩანს ჰეკატეს (550 წ. ქრ. წ.) ჩვენებით. იგი ამბობს: მოსხნი (=მესხნი) კოლხთა ტომისანი არიანო. რადგან მესხნი იგივე ქართველნია, ამიტომ კოლხნიც ქართველნი უნდა იყვნენ. ამ კოლხების შესახებ Ჰეროდოტე (480 —426 წ. ქრ. წ.) მოგვითხრობს: „კოლხნი, სჩანს, ეგვიპტელები არიან. ამ დაკვნას დავადექი მე თვითონ მანამდე, სანამ ამას შევიტყობდი სხვათაგან... მხოლოდ კოლხნი და ეგვიპტელნი ერთნაირად ამზადებენ ტილოს. ამას გარდა, მთელი ყოფა-ცხოვრება და ენა ორივე ერისა ერთნაირია“ (II 104—105).

ამ ცნობას ასაბუთებენ: კალლიმახი (260—230 წ. ქრ. წ.): „კოლხნი ეგვიპტელთა ჩამომავალნია“.

„კოლხნი გადმოსახლდნენ კავკასიაში ეგვიპტიდგანო“, სწერს ბერძენთა მწერალი 90 წ. ქრ. წ. (ჰან—გვ. 55). ᲰᲔᲠᲐᲙᲚᲔᲘᲢᲘ (90 წ. ქრ. შ.): „კოლხნი მოვიდნენ ეგვიპტიდგან.

ამ საგანს ცალკე გამოკვლევა სპირია. აქ მოვიყვანთ

---

*) არქანჯელო ლამბერტის (1633—1653) მოწმობით საქართველოს მიჯნები უწვდებოდა თავრიზამდე, არზრუმამდე და კაფამდე (ქერსოვნეთ-ყირიმამდე), კვალი ქართველებისა ამ ადგილებში (არზრუმამდე, კაფამდე და თავრიზამდე) დღესაც სჩანსო, აქ არის მათი სოფლები, არზრუმს მჯდარა მათი ეპისკოპოსიო („მოამბე“ 1900, IV, გვ. 38).

რპოფეს. ჩუბინაშვილის შრომიდამ ზოგიერთ ადგილებს შესახებ კოლხთა, ჭანთა და მათ მეზობელ თემებისა, მისივე შენიშნვებით და მართლწერით.

დ. ი. ჩუბინაშვილი. ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა.—

„საქართველოს ერი, ენისა და ლაპარაკის მიხედვით, განიყოფება ორად: პირველსა შეადგენენ: ქართველნი, ე. ი. მცხოვრებნი: ქართლისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, სამცხე საათაბაგოსი, და მეორესა: მეგრელნი და ჭანელნი მოსახლენი სამეგრელოსი და ჭანეთისა ან ძველის კაპადოკიისა *).

ძველი კაპადოკია მდებარეობდა მცირის აზიის შუაგულში და იყო მოსამზღვრე: ჩრდილოეთით—შავიზღვისა ლიხის მდინარის შესართავიდამ ვიდრე ქალაქამდე რიზა; სამხრეთით—კილიკიის მთებისა (აწ ბულღარ და ალაღადი); აღმოსავლეთით—კოლხიდისა (აწ ოსმალეთის საქართველო), ამის შემდგომ ადგილებისა და ხალხთა, რომელნიც არ ეკუთვნოდნენ არცა საქართველოს ნათესავთა, არცა სომეხთა **), და ამათ უკან ეფრატის მდინარისა და მცირე სომხითისა; დასავლეთით—ჰალიზის ან ალაზონის მდინარისა, რომელიც განჰყოფდა კაპადოკიასა მხარეთაგან ფებფლაღონიისა, გალატისა, ფრიგისა და ლიკაონისა ***).

დროსა სპარსთა ფლობისა, ე. ი. ხუთის საუკუნის წინათ ქრისტეს შობისა კაპაკადოკია შეადგენდა ორს საერისთოსა ან

---

*) ჩვენ არ ვიცით, დ. ი. ჩუბინაშვილს ქართველთა სიიდგან რად გამოუკლია სვანები. მათი ენის შესახებ იხ. ქვემო. მ. ჯ.

**) სტრაბონი, წიგნი 12. §. 1. ეს ადგილი არის ბასიანი და არზრუმის მხარენი.

***) სტრაბონი წიგნი XII, § 1; პლინი წიგნი VI, თავი 19.

სატრაპიას *). პირველი საერისთო იყო კაპადოკია ხმელეთისა, მეორე—კაპადოკია შავის ზღვის ნაპირისა; ორივე საერისთონი განისაზღვრებოდნენ სკიდიის მთებით (აწ ჭანეთის მთები). საზოგადოდ, სივრცე კაპადოკიისა ფრიგიიდამ ვიდრე ეფრატის მდინარედმდე იყო 1800 სტადიონი **) და სიგანე—შავის ზღვიდამ ვიდრე კილიკის მთებამდე 3,000 ***).

1. კაპადოკია ხმელეთისა იყო უწყლო ადგილი, ცხელი, მოუსავლიანი და უნაყოფო. სამზღვრის ნაპირებსა მოუდიოდნენ მდინარენი ხალისისა და ეფრატისა და ორნი სხვა მდინარენი ჰრწყავდნენ მცირეს სამხრეთის ნაწილსა, რომელ არიან მდინარე პირამისა (აწ ჯეიხუნი), ჰქონდა წიალი ღრმა და ნავით სავლელი, მდინარე საროსისა (აწ სარანსუ). ამათ გარდა ჰქონდა რამთონიმე წყაროები, რომელნიც ერთვიდენ მარილით სავსე თა ტბათა. ამ მდინარებსა და წყაროებს სათავე ჰქონდათ მთებში, მთები სკიდიისა მოსცვიდენ ჩრდილოეთის მხარესა და ტავრისა—სამხრეთის ადგილებსა.

ხმელეთი-კაპადოკია სტრაბონის დროს განიყოფებოდა ათ სამოურავოდ: ხუთნი მდებარებდნენ ჩრდილოეთის კერძოდ, ე. ი., ლავინიასენი (აწ არაპკირი), სარგარასენი (აწ სივა), სარავენი (აწ ვიშერი), შამანენი და მორიმენი (აწ უსგეთი); და დანარჩენნი ხუთნი—სამხრეთის კერძოდ: მელიტონა (აწ მალატა ეფრატის პირზედ), კატაონია (აწ ალადელი), კილიკია (აწინდელნი თემნი: იჭილი, ტარსუ, ადანი და მარაში), თიანეთი (აწცა თიანეთი) და გორზაურეთი (აწ აკსერაია). მელიტონე იყო ნაყოფიერი ადგილი, რადგანაც ეფრატის მდინარე ჰრწყავდა, სავსე ხეხილითა და ყურძნითა. აქაური ღვინო ჩინებული იყო მთელს საბერძნეთში. ამ თე-

*) ეროდოტ. წიგნი III, § 90, 94.

**) სტადიონი 569 ფუტია, ფუტი არის საჟენის მეშვიდედი ნაწილი.

***) სტრაბ. წ. 12, § 4.

მის ქალაქი მელიტონე იყო აშენებული, როგორც მოგვითხრობს ძველი თქმულობა, ასურეთის მეფის სემირამიდისაგან. კატაონია იყო მთებთა შორის დაბლობი და ვრცელი ადგილი, მთებში იპოვებოდნენ ვიწრო ხეობანი. ერთს ამისთანა ვიწრო ხეობაში მდებარეობდა ქალაქი კომანა, სადაცა აშენებული იყო ბელლონის ტაძარი, რომელსაც აქაურნი მოსახლენი უწოდებდნენ მად. ქალაქი იყო ძალიან ვრცელი და მოშენებული. მუნებურნი მოსახლენი განიყოფებოდნენ ქურუმებად და მონებად; მონები ემსახურებოდნენ ტაძარსა, რომლისა ქურუმთ-მთავრად ნიადაგ იყო თვით მეფე კაპადოკიისა. თიანეთი იყო მთიანი ადგილი, სადაც ვიწრო მთებში გზა გავიდოდა კილიკიად. თიანი (აწ ნიგდე) იყო დედა ქალაქი ამ თემობისა, ძალიან მაგარი, მოზღუდვილი ქვითკირის ზღუდითა და დაფუძნებული ქვაყრილზედ. ამ ქალაქის ახლოს, მთის თხემზედ იყო აშენებული ტაძარი სახელსა ზედა დიანა (ღმერთი პერამისა). დედა ქალაქი ხმელეთის კაპადოკიისა იყო მაზაკა (აწ კესარია), აღშენებული არგოსის (აწ ერჯიშის) მთის კალთაზედ და მდებარე მზის გულზედ, უწყლო, მოუზღუდავი და უნაყოფო *).

მკვიდრი მოსახლე ხალხი კაპადოკიაში იყო უვიცი და ველური, განუხსნელი გონებითა და უმეცარი ხელოვნებისა, არ ჰქონდათ არცა წიგნი, არცა წერილი, თუმცა სცხოვრებდნენ საშუალ განათლებულთა ერთა შორის, ერთის მხრით ბერძენთა და მეორეს მხრით ასურელთა. წინაპირველად ჰმონებდნენ ასურელთა, მერმე მიდიელთა, და მიდიელთა შემდგომ სპარსთა. სპარსთა მეფემან დარიოზ, ხუთასის წლის წინათ ქრისტეს შობისა, დაიპყრა კაპადოკია და განჰყო ორ სატრიოთად ან სასპასპეტოდ. პირველი სასპასპეტო იყო ხმელეთისა, ან დიდი კაპადოკია და მეორე კაპადოკია ზღვის ნაპი-

*) სტრაბონი წიგნი 12. § 3.

რისა, ან მცირე. როდესაც სპარსთა სამეფო შემცირდა, მაშინ კაპადოკიის ერისთავთა მიიღეს ხარისხი მეფობისა. მეფე არარატ II იყო თანამედროვე ალექსანდრე მაკედონელისა. იგი განიძო სამეფოოთგან 322 წელსა ქრისტეს უწინ ამისმა შვილმან არიარატ III, სომეხთა მეფის შეწევნითა, დაიპყრა სამკვიდრო თვისი და შერთო თავის შვილსა არიარატ IV ქალი თეოს ანტიოქიის მეფისა; არიარატ VIII სცხოვრებდა დროსა მეფობისა დიდისა მიტრიდატ VII, რომელმან მოჰკლა იგი და დაიპყრა მისი საბრძანებელი. რომის იმპერატორმან ტიბერიმ მოსპო კაპადოკიაში მეფობა 17 წელსა შემდგომ ქრისტეს შობისა *).

შემდგომ განყოფისა რომის საბრძანებელისა ორად, კაპადოკია დარჩა მონებას ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. პირველს საუკუნეში ქრისტეს შობიდგან ხმელეთის კაპადოკიაში იყვნენ მრავალნი ქრისტიანენი, და მესამე და მეოთხე საუკუნეში აქ არ იპოვებოდა არცა ერთი კერპთ-მსახური. ამ დროს კაპადოკიაში იყო ორმოცდა ათი საეპისკოპოსო საყდარი ან ეპარხია: კესარიისა, ნისისა, თერმისა, ტიანისა, ციბისტრისა, ნაზიანზისა, მელიტინესი, კომანისა და სხვანი **). ჩინებულნი მღვდელ-მთავარნი ამ ადგილისანი იყვნენ: წმინდა გრიგოლ თაუმატერგი, წმინდა ვასილი კესარიელი; წმინდა მაკრინე, და მისი, წმინდა გრიგოლ ნისელი და სხვანი მრავალნი სახელ-განთქმულნი და ჩინებულნი მწერალნი.

თუმცა ეპარხიები მრავალი იყო ხმელეთის კაპადოკიაში, გარნა ხალხს არა ჰქონდა წერილი, არც ნათარგმნი სამღვთო წიგნები, თვით სამღვთო მსახურებას აღასრულებდნენ ეკლესიებში ბერძნულ ენაზედ, მღვდელნიცა თითქმის უმეცარნი

*) ვალიანის ისტორია კაპადოკიისა, სენმარტენის სტატიები სახოგადო ისტორიელს ლექსიკონში ფრანციულს ენაზედ, გამოც. 1811—1852; სტრაბონი წიგნი 12, § 3.

**) ტექსიეს აღწერა ოსმალოსი ან მცირე აზიისა ფრანც.

იყვნენ ხალხის ენისა. ამ გვარი ხალხის დაბრმობა და უვიცობა ქრისტიანობის სწავლისა იყო მიზეზი, რომელ 1192 წელსა, ოდესაც ოსმალთა დაიპყრეს ᲬᲘᲪᲘᲠᲔ აზია და დააარსეს იკონიის ქალაქს მეფობა, ხალხმა ადვილად და ძალის დაუტანებლად მიიღო მაჰმადის სარწმუნოება და დაივიწყა თავისი ენა.

ორსავე კაპადოკიაში მცხოვრებნი ხალხნი იყვნენ ერთისა ნათესავისა და ლაპარაკობდნენ ერთსა და იგივე ენაზედ. დასამტკიცებლად ამისა გვაქვს ჩვენ პირველი უწყება სტრაბონისა *), რომელიც მეთორმეტეს წიგნის დასაბამში დარწმუნებით ამბობს: „სახელი კაპადოკიელი ეკუთვნის სრულებით ერთს ხალხსა, რომელნიც არიან ერთ ნათესავნი და ლაპარაკობენ ერთს ენაზედ და სახლობენ შემდგომთა საზღვართა შორის: სამხრეთით მთა კილიკიის ტავრი, აღმოსავლეთით —სომხითი. კოლხიდა, და მათ შორის ადგილები და მცხოვრებნი, მოლაპარაკენი უცხოს ენაზედ; ჩრდილოეთით—პონტოს ზღვა, შესართავადმდე ჰალიზის მდინარისა, დასავლეთით —პაფლაგონია, გალატია, ფრიგია და ლიკაონია.

მეორე § სტრაბონი კიდევ განიმეორებს წინათ თქმულსა. ამ გვარს ღირს შესანიშნველს ჩვენებას ჩვენ არ დავიჯერებდით, თუ გვცოდნოდა, რომ ამას სტრაბონი ამბობს გაგონებით, ვითარცა მრავალნი უწყებანი ღეროდოტისა. სტრაბონს თვითონ გამოვჰყევართ ამ გვარ ეჭვისაგან, როᲓᲔᲡᲐᲪ მოგვითხრობს, რომ მისი სამშობლო ქვეყანა იყო კაპადოკია, დაიბადა ქალაქსა ამასიას, მდებარესა ირისეს მდინარეზედ პონტოში, დედა ჰყვანდა ნათესავით ჰანი და ქალი ჩინებულის ერისთავისა, რომელიც პატივცემული და მიჩნეული იყო დიდის მიტრიდატესაგან, პონტოს მეფისა. თავის სამშობლო ქვეყანას სტრაბონი გაგონებით არ იცნობდა. და, როგორც გვა-

*) სტრაბონი წიგნი 12. § 1. გიმოცემული ფრანცეულად 1814.

უწყებს, თითონ მოევლო მთელი კაპადოკია, და არ გაგონებით აღეწერა, არამედ რაც თავისის თვალით ენახა და გამოეძია. რასაკვირველია, უწყება ამისთანა მწერლისა არ იქნება ტყუილი და დაუჯერებელი; ამის გარდა, პლინიცა გვარწმუნებს, რომელ კაპადოკია იყო ერთი და განუყოფელი ქვეყანა *).

მეორე, მრავალი სახელები ადგილთა, მთათა, ქალაქთა, მდინარეთა, მდებარეთა ხმელეთის კაპადოკიაში, როგორც სჩანს კიპერტის ქარტისაგან, მცირის აზიისა, აწცა არიან ქართულნი, მაგალითად: თემი თიანეთისა და ქალაქი თიანი (აწ ნიღდე) ქართულად ჰნიშნავს მთებიანს ადგილს და თვით საქართველოშიაც არის თემი თიანეთისა **); ჩხორუმი, დაბა მდებარე მახლობელ ამასიის ქალაქისა; თავია, დაბა მდებარე ჩრდილოეთით კიშერის ქალაქისა; მუჟური, დაბა მდებარე სამხრეთით კიშერის ქალაქისა; თამარმე, დაბა მახლობელ ქალაქისა კესარიისა; მუჟური, დაბა მახლობელ კესარიას ქალაქისა, ურგუბა (ორგუბე უნდა), მახლობელ აგრეთვე კესარიის ქალაქისა; სარმურ-სახლი, აგრეთვე დაბა მუნვე; ჭიჭაკის მთა მახლობელ კიშერის ქალაქისა; ერჯაში მთა, მახლობელ კესარიის; ბოცოს მთა კილიკიაში; თეჯირის მთა, მახლობელი სივას ქალაქისა; აცმურის მთა, მახლობელი მილეტინის ქალაქისა; გალურის მთა, მურაშინის ქალაქის დაბლა; ჭილობის მთა; ჩხატალი; ორთაყვის მთა, მახლობელ ნიღდის ქალაქისა; ფარხალი, მახლობელ საროს მდინარისა; დედა მთა, მახლობელ საროს მდინარისა.—ხაჯი ხალფა, ღეოღრაფიის მწერალი მუსულმანი, მოიხსენებს რამთონთამე ადგილთა, რომელიც ქა-

---

აგრეთვე ტარდიეს ნათარგმნი გამოცემული პარიეში 1873 წელს.

*) წიგნი 6, თავი 3.

**) სტრაბონი წიგნი 12, § 9; ტექსიეს აღწერა მცირეს აზიისა, გვ. 567.

რთულია, მაგალ. ქუთაია, გომიში (კამბეჩი მეგრულად), ჭალა, ტაზისკარი (ტაშისკარი); თავ-შანი, მენდერი (მდინარე), ბანა, ენგური, კარიბაზარი, და სხვანი *).

ამათ გარდა მრავალნი ადგილები, მდინარები და ქალაქნი პაფლაგონიაში ან სხვათა ადგილთა ¡იწოდებიან აქამომდე ქართულის სახელებითა, მაგალ. ენგური, ერთი ტოტი ზაგარის მდინარისა, ქალაქი ენგური (ძველი უნგური); მენდერჩაი, ბერძნულად მეანდერი, ე. ი. მდინარე, ქალაქი ქიზიკი, მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედა, თემნუს, ე. ი. თემი მიზიაში და სხვანი მრავალნი.

მესამე, ზნე, ჩვეულობა, ყოფა ქცევა, შინაგანი ცხოვრება და თვით მმართებლობაცა, აგრეთვე ცეცხლის მსახურება ჰქონდათ კაპადოკიის ხალხთა სრულიად მსგავსი ძველისა წესისა, ჩვეულობისა, ყოფა-ქცევისა და სხ. ძველთა ქართველთა **). მეოთხე, რადგანაც კაპადოკიის ხალხსა ჰქონდა მონათესაობა საქართველოს ხალხთან, ამითი განიმარტების სურვილი კაპადოკიის სულიერთა მამათა დამყარება საქართველოში ქრისტიანობის სარწმუნოებისა. მოსულნი ამ აზრით იოანე ზედაძნელი თორმეტის მოწაფეებითურთ, (რომელთა სახელები არიან: დავით გარესჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონ იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, იასე წილკნელი, თათე სტეფან-წმინდელი, შიო მღვიმელი, ისიდორე სამთავნელი, აბიბოს ნეკრესელი, მიქელ ულუმბელი, პიროს ბრეთელი და ილია დიაკონი) არ იყვნენ მესოპოტამიელნი, არამედ კაპადოკიელნი, ამიტომ რომ ძველნი მწერალნი კაპადოკიელთა რაცხავდნენ სირიელად ან მესოპოტამიელად ***), თუ ქართული ენა არ სცოდნოდათ ამ წმი-

*) ნახე ვივიენ ს. მარტენის ღეოღრაფიული აღწერა მცირის აზიისა, გვერდი 188 და შემდგომნი.

**) სტრაბონი წიგნი XV, გვერდი 733.

***) ტექსიე, მცირე აზია, გვერდი 500.

ნდანებს, საქართველოში ვერ გაბედავდნენ მოსვლასა და ვერც მოიმოწაფებდნენ ხალხსა. ესეც უნდა ვსთქვათ, რომ წმინდა გიორგი იყო კაპადოკიელი და ამის გამო მთელს საქართველოში ძალიან პატივცემულია. ამ წმინდა გიორგის მონათესავე იყო წმინდა მოციქულთ-სწორი ნინო, აგრვთვე კაპადოკიელი და მცოდნე ქართულის ენისა. უამისოდ არ შეეძლო ქადაგება ქრისტეს სარწმუნოებისა და მოქცევა ქართველთა. უდაბნოში ცხოვრება წმინდათა სულიერთა მამათა კაპადოკიაში იყო ძალიან გავრცელებული, რადგანაც კლდეებში მრავალი იყო გამოკაფული ქვაბები და სადგომი სახლები, როგორც საქართველოში უფლის-ციხე და სხვანი. ამ ქვაბებში სცხოვრებდნენ მეუდაბნოვენი, რომელთაგანცა ჩინებულნი იყვნენ სვიმეონ დიდი მესვეტე (390—460); სვიმეონ მცირე აგრეთვე მესვეტე (521—592). ეს სვიმეონ მცირე იყო მიზეზი საქართველოში გამოგზავნისა წმინდისა იოანე ზედაძნელისა მოწაფეებითურთ. ხსენებულთა წმინდათა განავრცელეს და დაამყარეს შერყეული ცეცხლ მსახურთაგან ქრისტეს სარწმუნოება საქართველოში, რადგანაც თვით იყვნენ ქართველნი. ამათ შემოიღეს წელთ აღრიცხვა იულიანისა, რომის კეისრისა და ახალის წლის დაწყება იანვრიდგან, რომელიც დარჩომილია აქამომდე.

II. კაპადოკია შავის ზღვის პირისა განიყოფებოდა ორ თემად: პირველი თემი შეადგენდა პონტოს სამეფოს, მეორე კოლხიდას.

ა. პონტოს სამეფო იყო ადგილი წყლიანი, ტყიანი, მდიდარი ნაყოფითა და მადნებით. დასავლეთის სამზღვრის პირზედ მოუდიოდა მდინარე ჰალიზისა ან ალაზონისა (აწ კიზილ—ერმაკი), ძალიან ვრცელი და დიდი, რომელსაც სათავე ჰქონდა მახლობელ ნიკოპოლის ქალაქისა, გემის მთებში; ჰრწყავდა სრულიად კაპადოკიასა და ერთვიდა შავს ზღვაში მახლობელ ბაფირის ქალაქისა. მდინარე ესე ღირსია შესანიშნავად მისთვის, რომ ძველს დროში განჰყოფდა მცირის

აზიის მკვიდრთა მოსახლეთა ორად: მარცხენა ნაპირი ეპირა ხალხთა, რომელნიც ნათესავობით ეკუთვნოდნენ ბერძენთა, გარნა მარჯვენა—ერთა, რომელნიც ნათესაობით იყვნენ აზიის ხალხნი, ე. ი. ჰანელები *). სხვანი მდინარენი ზღვის კაპადოკიისა არიან: ირისე ან ირიზე (აწ ეშილერმაკი), რომლისაც ერთსა ტოტსა სახელად ჰქვიან ¡ტეძამი და მეორესა ლიკუს (მგელი); გემრიელი წყალი (ქარტაზედ გარყვნილად სწერია გერმიელი ჩაი); თერმადონი (აწ თერმეს წყალი); ფსიხრონი (აწ კოლოპოტამო), რომელიც ერთვის ზღვასა მახლობელ რიზა ქალაქისა. სამხრეთი მხარე პონტოსი იყო მთებიანი და ხევებიანი: ბალხარის მთები, რომელნიც მდებარებენ პონტოსა და საქართველოს სამზღვარზედ, აწ გურჯი ბოლაზი ან საქართველოს ყელი. ამ მთებს შეუდგებიან მთები ნაპილობევისა, ან, ძველთა მწერალთა, სკიდის მთები; ერთი ნაწილი ნაპილობევის მთებისა იწოდებიან გჟაურად და გომიშად (კამბეჩოვანად). გომიშის მთები მდიდარია ვერცხლის მადნებითა. ზღვის პირზედ მდებარებდნენ მრავალნი ქალაქნი, მდიდარნი ვაჭრობითა და სიმდიდრითა: ამიზუსი (აწ სამსუნი); თემისკირა (აწ თერმე); უნია (აწ ონის ქალაქი): კოტიორა (აწ ორდუ); ფარნაკი (აწ კერასუნი); ტრაპეზონი, ღიზა (აწ სურმენა); ოფიზი, რიზე, ატენი. ხმელზედ: ამასია, მდებარე ირისეს მდინარეზედ, სამშობლო ადგილი სტრაბონისა; გაზიურა, ძველი დედა-ქალაქი ზღვის კაპადოკიისა, მდებარებდა თერმადონის მდინარის ნაპირზედ; ელმანა, ზელა, სატალა (სათალი) და სხვანი.

მეშვიდე საუკუნეში ქრისტეს შობის წინ პონტოს სამეფოს ზღვის ნაპირებზედ, მილეტის ქალაქის მოსახლეთა დააფუძნეს სავაჭრო ქალაქები, რომელთაგანაც უპირველესი იყო სინოპი, ამიზუსი, კოტიორა, ტრაპეზუნტი და ჰქონდათ აქ

*) ვივიენ სენმარტენი. მცირე აზია, II ტომი, 886 გვ.

ალებ-მიცემა და სარგოიანი ვაჭრობა მეზობელთა ხალხთათა-ნა. ხსენებულთ ქალაქებსა ჰქონდათ თავიანთი მმართველობა და არ ემონებოდენ სპარსთა მეფეთა. მაშინ, როდესაც პონ-ტოსა და კოლხიდის მოსახლენი იყვნენ დამონებული სპარს-თაგან, შეადგენდნენ ორს ხასპასპეტოს (სატრაპიას) XVIII და XIX *) და სპარსთა მეფისა ქსერქსის დროს მიიღებდნენ მონაწილეობას ბრძოლაში პირისპირ ბერძენთა და განიყოფე-ბოდნენ ოთხ გუნდად: პირველსა გუნდსა, მთავრობასა ქვეშე არიობარზანისა დარიოს მეფის ძისა, შეადგენდნენ ერნი მეს-ხნი და ტიბარენნი; მეორესა,—მთავრობასა ქვეშე არტაკისა, —მოსენაკნი; მესამესა—მთავრობასა ქვეშე ფარანდატისა, მა-რნი და კოლხელნი და მეოთხესა,—მთავრობასა ქვეშე მისი-სტისა,—ალაროდიანელნი და ისპირელნი **). ამითი სჩანს, რომ პონტოს სამეფოში და კოლხიდაში იყვნენ რამთონნიმე მთავარნი და ქსენოფონტის დროს რომელიმე მათგანი იწო-დებოდნენ მეფედა, ვითარცა მთავარი მოსინაკთა. ვალიანი თა-ვის პონტოს ისტორიაში მოუთხრობს, რომელ პირველი მეფე პონტოსა იყო არტაბაზი, დადგინებული დარიოს სპარსთა მე-ფისაგან. ამისი მემკვიდრე 402 წლის ქრისტეს წინათ იხილე-ბა მიტრიდატ I, რომელიც განაგებდა სამეფოსა დროსა სპა-რსთა მეფის არტაქსერსისა, ამისი შვილი მიტრიდატი II, სა-ხელ წოდებული აღმაშენებლად, იყო თანამედროვე ალექსან-დრე მაკედონიელისა; მიტრიდატ II-ის შვილმა მიტრიდატმა III გაიმარჯვა ლისიმახზედ, რომელიც იყო მაკედონიის მეფე 284 წელსა და დასდო გამარჯვების წელიწადი დასაბამად წე-ლთა აღრიცხვისა ანუ ერად ***), რომელიც იყო მიღებული

---

*) ღერიოდოტის ისტ. წიგნი 3, § 90.

**) ღეროდოტის წიგნი 7 § 76, 77, 78, 80.

***) ნახეთ საზოგადო ბიოგრაფიის ლექსიკონი (52 ტომად გამო-ცემული პარიჟში 1811—1852) სტატია სენმარტენნისა მიტრიდატ III.

როგორც ბოსფორის სამეფოში, ისე კოლხიდასა და საქართველოში.

ღირსია შესანიშნავად, რომ აქედამ იწყებიან ჩვენი ქრონიკონებიცა: რადგანაც იმ დროს მთელი კოლხიდა დამონებული იყო პონტოს მეფეთაგან და ჰქონდათ ერთმანერთში დიდი ერთობა. აქამომდე სწავლულთა და სიძველის გამომეძიებელთა არ იცოდნენ სწორეთ, რომლის წლიდამ იწყებოდა ერა ან დასაბამი წელთა აღრიცხვისა პონტოს სამეფოში. ზოგი სცდება 8, ზოგი 10, ზოგი 12 წლითა. მე რომ შევადარე ჩვენი ქრონიკონი და აღვრიცხე, მაშინ აღმოჩნდა, რომ დასაბამი ჩვენისა და პონტოს ერასი არის 284 წელი ქრისტეს წინათ.

183 წელსა ქრისტეს წინათ ფარნაკ პონტოს მეფემან დაიპყრა სინოპი და სხვანი ქალაქები პონტოს ზღვის პირისა; ამ ქალაქების დაპყრობით პონტოს სამეფომ მოიპოვა დიდი ძალა და ძლიერება როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაში და შეძლება პირისპირ ბრძოლისა რომაელებთან. თუმცა მიტრიდატ VI ექმნა თანა შემწე რომაელთა ბრძოლათა პირისპირ ლანიბალისა და გარჯისათვის ჯილდოდ მიიღო დიდი ნაწილი ფრიგიისა, გარნა შვილი მისი მიტრიდატი VII იყო დაუძინებელი მტერი რომაელთა და ებრძოდა მათ დიდხანს. 123 წელსა ქრისტეს შემდგომ მიტრიდატი VII აღვიდა ტახტზედ, ყრმა თორმეტის წლისა, ბუნებით ახოვანი, ბრგე და შემმართებელი, თავი დაუდო სწავლასა და განათლებასა, ამას გარდა სიყრმითვე შეითვისა საომარი ზნე და ჩვეულება, ჰქონდა საკვირველი მეხსიერება, იცოდა 22 ენა, გულში ჰქონდა თავის მამულის განდიდება და ამისათვის არა ჰრიდებდა არცა თავსა, არცა წარჩინებულთა და მოყვარეთა. წინაპირველად განიზრახა მოხილვა მოსამზღვრეთა ადგილთა და სამეფოთა, ამისთვის შეუდგა გზასა, ორის მახლობლის კაცითა, სრულიად უცნაურად, დაჰყო მოგზაურობაში ოთხიოდ წელიწადი, თვალით განიხილა მდგომარეობა მცირის აზიისა. შინ

რომ დაბრუნდა, მაშინვე მოაგროვა ძალი, შეევიდა კოლხიდაში, დაიპყრა აწინდელი აჭარა, გურია, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და სრულიად ბოსფორის სამეფო, ე. ი. ყირიმი. შემდგომად აღძრა შფოთი კაპადოკიაში, მოაკვლევინა მუნებური მეფე და მის ადგილს დასვა თავისი შვილი არიარატ VIII. ეს იყო მიზეზი პირველის ბრძოლისა რომაელთათანა. მიტრიდატმა მოირთო დიდი ძალი, როგორც ხმელეთისა, ისე ზღვისა, დაიმონია სრულიად მცირე აზია და წაართო რომაელთა თრაკია და ათენი. რა ესმა რომის რესპუბლიკას განძლიერება მიტრიდატისა, მაშინვე მოაგროვა დიდი ძალი, უჩინა მხედართ მთავრად სულლა და გაისტუმრა დიდის მიტრიდატის საბრძოლველად. სულლამ მახლობელ ხერონისა დაამარცხა მიტრიდატის ჯარი, დაიპყრა საბერძნეთი და გადიტანა ომი მცირეს აზიაში, დაიმონია იონია, მიზია და ლიდია. ულონო ქმნილმან დიდმან მიტრიდატმან ითხოვა ზავი და 85 წლის ქრისტეს წინათ შეეკრა პირობითა რომის რესპუბლიკას. ამდროს მიტრიდატს განუდგნენ ბოსფორელნი; მიტრიდატმა იწყო მზადება და მოკრეფა ჯარისა ბოსფორას დასამონებლად. რომაელთა ჰგონეს, რომელ მიტრიდატი ემზადება ბრძოლის განახლებისათვის მათზედ, ამისთვის უბრძანეს მერენას უცებ მისვლა საომრად მიტრიდატზედ. მიტრიდატმა ორჯელ დაამარცხა მერენა 82 წელსა ქრისტეს წინათ და შეეკრა რომაელთა ახალის ზავითა 79 წელსა კვალად დაიმონია ბოსფორის სამეფო, სადაც დასვა მეფედ თავისი შვილი მახარა (ქართული სახელი). ხმელეთის კაპადოკია კვალად იქმნა მიზეზი მესამის ომისა შორის მიტრიდატისა და რომის რესპუბლიკისა. პირველს ჟამს მიტრიდატმა დაიმონია პაფლაგონია, ბითინია და მოადგა ქალაქსა ქიზიყს, მდებარესა მარმარილოს ზღვის ნაპირს. ამ ქალაქის მახლობლად ლუკულმა, მხედართ მძღვანმა რომაელთა, დაამარცხა პონტოს მეფე, რომელიც განივლტო სომხითს, იქაც დამარცხდა პომპეისაგან და დანარჩენის ძალითა შეივლტო კოლხიდას, იქიდამ გადვიდა

ბოსფორსა, ე. ი. ყირიმსა, სადაც მოინება ჯარის მოკრეფა და განახლება ომისა რომაელთა თანა. მისმა შვილმა შეიტყო ეს აზრი, მოიბირნა მხედართ მთავარნი და წინააღუდგა მამას. მიტრიდატმა, რა ჰცნო შვილის ღალატი, თავი მოიწამლა და გარდაიცვალა 64 წელსა ქრისტეს უწინ. გვამი მისი შვილმა გაუგზავნა პომპეის, რომელმან დიდის პატივით მიაბარა მიწას ტაძარსა სინოპის ქალაქში, სადაც იყვნენ დამარხულნი წინაპარნი მიტრიდატისა.

დროს მეფობისა რომის იმპერატორისა ნერონისა პონტოს სამეფო შეიქმნა რომის თემად და ვიდრე 1204 წლამდინ ქრისტეს შემდგომ იყო მონებას ქვეშე ვიზანტიის იმპერატორთა. ხსენებულს წელიწადს თამარ მეფის შეწევნით ალექსი კომნენმა დაიპყრა ტრაპეზუნი და იწოდა იმპერატორად ტრაპეზუნისა; სიგლებში ტრაპეზუნდის იმპერატორნი მრავალჯერ იწოდებიან მპყრობელად ივერთა და ჭანთა. ეს იმპერია არსებობდა 1461 წლამდინ; ამ წელიწადს ოსმალთა დაიპყრეს ეს იმპერია და ჰქმნეს საფაშოდ *).

ბ. კოლხიდა მდებარებდა აღმოსავლეთის და სამხრეთის შავის ზღვის პირზედ; ასე რომ ძველ დროში მთელი პონტოს სამეფო იყო ცნობილი სახელსა ქვეშე კოლხიდა **). სტრაბონის დროს კოლხიდა ეწოდებოდა იმ ადგილებს, რომელ) ნიც იწყებოდნენ ფსიხრონის მდინარის (აწ კოლოპოტამოშესართავიდამ ზღვაში, ვიდრე ოლდირის მდინარის შესართავადმდე, სადაც მდებარებდა ჩინებული აღებმიცემის ქალაქი დიოსკურია (აწ იზგაური ***). კოლხიდა გარემოცული იყო

*) უწყება ტრაპეზუნის იმპერიის დაარსებისა სტატია აკადემიკის კუნიკისა, დაბეჭდილი უწყებათა შორის ს. პ. ბ. სამეცნიერო აკადემიისა, 1855, 733.

**) ქსენოფონტი IV და V წიგნი.

***) სტრაბონის წიგნი XI, თავი I; პლინი წიგნი VI; არიენის აღ-

კავკასიის მთებითა (ქართულად ღადო), რომლისაც ერთი, მომავალი სამხრეთისაკენ კალთა (ლიხის მთები) გაჰყოფს იმერეთსა და ქართლსა ერთი კალთა ამ მთისა მივა მტკვრის პირამდის და იცნობება ძველთაგან მოსხის მთად, ე. ი. სამცხის მთად ან აჭარისა (აწ სოღანლუხის მთები და კარგა-ბაზარი); მეორე კალთა მტკვრიდამ პირს შეუქცევს ზღვასა და იწოდებიან ფერსათის მთად, რომელიც გაჰყოფს იმერეთსა და გურიას სამცხისაგან; სხვა კალთა ამ მთებისა, რომელნიც შეუდგებიან მტკვარსა, ისახელებოდნენ ძველთა მწერალთაგან კორაკის მთად (აწ ციხე—ჯვარი); კორაკის მთებს პონტოს მხარესკენ შეუდგებიან სკიდიის მთები და მასუკან ნაჭილობევი.

ამ მთების წიაღში ჰქონდათ მრავალთა მდინარეთა დასაბამი, რომელთაგან ღირსია შესანიშნავად:

ა. ფაზის მდინარე (აწინდელი რიონი), ჰქონდა სათავე, როგორც გვაუწყებს პლინი, მოსხის მთებში *), სათავიდამ ვიდრე შორაპანამდინ იყო ნავით უვალი, და შორაპანიდამ ზღვადმდე ნავით სავლელი. ამ მდინარეზედ ნავით მიჰქონდათ და მოჰქონდათ სავაჭროები ვიდრე შორაპანამდე, შორაპანიდამ მტკვრამდე ხმელის გზით, და მასუკან მტკვრით კასპიის ზღვამდე, საიდამაც გაჰქონდათ ინდოეთში და ჩინეთში. როგორც ამ აღწერისაგან სჩანს, მდინარეს ყვირილას რაცხავდნენ რიონად და რიონსა, ყვირილას შესართავადმდე,—გლაუკად. ფაზისს შეუდიოდნენ მდინარენი: ჰიპიუს (ცხენის წყალი), ცინა (ტეხურა);

წერა შავი ზღვის ნაპირებისა გამოცემული გოფმანისაგან ლათინურად, გვერდი 55.

*) პლინი, წიგნი VI. თავი 4. სტრაბონი XI § ე. სტრაბონი სწერს, რომელ ფაზისს სათავე აქვსო სომხითში. ეს უსაბუთოა, როგორცა ვხედავთ აწ ადგილების მდებიარეობას

ბ. აბსარა პლინისა, აკამპსისი არიენისა და ბოას პროკოპისა (აწინდელი ჭოროხი). თუმცა პროკოპემ ბოას მდინარის სათავე სწორედ აღწერა, გარნა მდინარის სავალი არის დაუჯერებელი და უგვანი. აი რას გვაუწყებს პროკოპი: „ბოას აქვს სათავე ჭანეთის მთებში, მარჯვნივ აქვს სამზღვარი ივერიისა, სადაც სრულდება კავკაზის მთა. ამ მდინარეს ერთვიან მრავალნი სხვა მდინარენი, დიდდება და მიიღებს ფაზის სახელსა; ორსავე მხარესა სცხოვრებენ ლაზები და მდებარებს ქალაქი შორაპანი *)". ფაზის მდინარე მოუდიოდა ლაზისტანსა და არა ივერიას, ბოასის მარჯვნივი ნაპირი, როგორც ეხლაცა სჩანს, ეჭირათ მესხთა, და ამ მდინარეზედ არ იდო ქალაქი შორაპნისა; ეს, რასაკვირველია, არის ცთომილება გადამწერისა და არა პროკოპისა, ამისთვის რომ იმავე წიგნში და თავში განასხვავებს ორსავე მდინარესა, და მოუთხრობს, რომ ლაზებმა მოიყვანეს სპარსთა მეფე ხოსრო სომხითით კერძო, განვლეს ბოასის მდინარე, და რა მიახლ ვდნენ პეტრეს ციხესა (აწ ქაჯთა ციხე ქობულეთში) ჰქონდათ ფაზის მდინარე მარჯვნივ. მაშასადამე ბოას და ფაზის მდინარენი იყვნენ სხვა და სხვა. აგრეთვე მეორეს ადგილში პროკოპი ამტკიცებს, რომელ ფაზის მდინარე სხვა იყო და ბოას მდინარე სხვა. „ამასობაში მერმეროიმ გაიარა სამზღვარი ივერიისა (ე. ი. სურამი) და ჰქონდა ფაზის მდინარე მარჯვნივ მხარეს **). დიალ, ქართლიდამ რომ შეხვიდე იმერეთში სურამის გზით მისასვლელად პეტრეს ციხედ, მარჯვნივ დაგრჩება ყვირილა (ძველთა მწერალთა ფაზისი). ამითი სჩანს, რომ პირველი ჩვენება, როგორც ვსთქვით, გადამწერისაგან არის არეული, მისი შეცდომაა და არა პროკოპისა, როგორც ამ-

*) სტრიტირის მატიანე ხალხთა ტ. 4, გვ. 45; პროკოპი ნათარგმნი რუსულად გვ. 288 (წიგნი 2, თავი 29).

**) პროკოპი წიგნი 2, თავი 30.

ტკიცებენ ორნი უკანასკნელნი ჩვენებანი *). პროკოპის პირველმა უწყებამ შეიყვანა რომელნიმე სწავლულნი ცთომილებაში, მაგალ., პირველი, დუბოა, რომელიც გვარწმუნებს, რომ პროკოპის ბოასი არის ხანის წყალი. თუ ეს ასე იყოს, მაშინ ბოასს არ ექნება სათავე ჭანეთის მთებში და არცა ამ მდინარეს მარჯვნივ მხარეს იქნებოდნენ მოსახლენი ივერიელნი, როგორც გვარწმუნებს პროკოპი, არამედ ლაზები; მეორე, ბ-ნი ემინი **), რომელიც გვიმტკიცებს, რომელ ფაზისი არის ჭოროხი და არა რიონი და უდის სომხითის ადგილებს. აქ სომხითი არც ყოფილა, როგორცა სჩანს ყველა მწერლებისაგან, და არც აწ არის. ეს ადგილები ეჭირათ და ეხლაც უჭირავთ გათათრებულს ქართველებს ანუ მესხთა და ოსმალნი უწოდებენ გურჯისტანად. ამ ადგილს, ე. ი. სადაც ჭოროხი მოუდის, ეწოდებოდა კლარჯეთი და კლარჯეთი მოსე ხორენელის ღეოღრაფიით იყო ივერია და არა სომხითი ***). ამაზედ ამის დაბლა კიდევ ვიტყვი ერთს ორს სიტყვას, აქ კმარა ამაზედ ლაპარაკი. ბ-ნი ემინი დაუმატებს წინა თქმულსა, რომ ქსენოფონტი მოიხსენებსო ფაზის მდინარეს, რომელიცა ჰრწყავს სომხითსაო ****). ქსენოფონტი მოიხსენებს არა ფაზის მდინარეს, არამედ ფაზსა. ფაზისის მდინარე სხვა არის და ფაზისა სხვა. არეზის სათავეს უწინ და ახლაც უწოდებენ ფაზად ადგილის გამო ფაზიანი ან ბასიანი. კიპერტეს

---

*) არიენი თავის აღწერაში განასხვავებს ამ ორთა მდინარეთ, აგრეთვე პლინი და სხვანი ძველნი მწერალნი.

**) მოსეს ხორენაცის ისტორია რუსულად ნათარგმნი, გვერდი 344.

***) მოსე ხორენაცის ღეოღრაფია, სენ-მარტენი, 2 ტ. გვერდი 357. სომხებს კლარჯეთი გეზარად გაუკეთებიათ. საქართველოს ამავე ღეოღრაფიით ეკუთვნოდა: არტაანი, შავშეთი, ჯავახეთი, სამცხე, აჭარა და სხვანი, რომელნიც შეადგენდნენ ჭოროხის მხარეს და არა სომხითსა.

****) წიგნი 4, თავი 6.

ქარტაზედ ახლაც სჩანს ფაზინ სუ (ე. ი. ფაზის მდინარე), ეგ არეზია, რომელსაც სათავე აქვს ბასიანის ქვეყანაში.

მეორე საუკუნეში ქრისტეს შობის უკან იმპერატორმა ადრიანმა დანიშნა მმართებლად პონტოს თემისა არრიენი. ამან აღწერა ეს ზღვის ნაპირები და მოუთხრობს *), რომელი კოლხიდა იწყების ღიზის მდინარის შესართავიდამ ზღვაში, ამ მდინარის მარჯვნივ ნაპირებისა სცხოვრებენ მახელონები და გენიოხები, რომელთაც ბლინი სახელ სდებს ჟანად გენიოხად. ამათა ჰყვანდათ მეფე ანხილაუსი **); სცილაქს უწოდებს ამ ადგილს კეხეირად (ქართველების ეკლეცი და სომხების ეკეღეცი); ამის შემდგომ მდებარებდა ზღვის პირზედ ზუდრეთი (აწ ქობულეთი, აჭარა, იმერხევი, შავშეთი და კლარჯეთი), ეკუთვნოდა ივერთა მეფეს ფარსმანს ***); ზუდრეთის შემდგომი იყო ლახივა (ე. ი. აწინდელი გურია). აქ მეფობდა მელასი.

ამის უკან იყო აპსილი (აწინდელი სამეგრელო). აქ მეფობდა იულიანოსი: ამას მოსდევდა აბაზგია (აფხაზეთი). მეფეთ იყო რესმაგი, და დასასრულ სანიგარი (ჯიქეთი), სადაცა მეფობდა სპადაგას.

ძველს დროში კოლხიდა შეადგენდა საქართველოს მხარესა, განიყოფებოდა, როგორც სწერს ვახუშტი, ნ საერისთოდ: ეგრისი (სამეგრელო), მარგეთი ან არგვეთი (იმერეთი),

---

*) გვერდი ნრ, გოფმანისაგან გამოცემული.

**) ეს ადგილი აწ არის ლაზისტანი.

***) ფარსმან III იყო თანამედროვე რომის იმპერატორის ადრიანისა, იყო რომის ქალაქში, მიიღო დიდი პატივი ხსენებულის იმპერატორი. საგან და სარუკრად ებოძა ნ00 აღტურვილი მხედარი კაცი და მისცა ნება მსხვერპლის შეწირვისა კაპიტოლიაში. იმპერატორმა აღუმართა ბელონის ტაძარში ცხენოსანი ანდალმა. ნახე ბიოგრაფიულს ლექსიკონში სტატია სენ მარტენისა „მიტრიდატ III“.

წუნდა და არტაანი (აწ სამცხე), ოძრხე (გურია), კლარჯეთი (აწ სპერი ან ისპირის ხეობა და ტაო). პირველს საუკუნეში ქრისტეს შობის უწინ კოლხიდა ემორჩილებოდა პონტოს მეფეთა და შემდგომ პონტოს სამეფოს დაცემისა იყო აქ სამი დამოუკიდებელი ერთმანერთისა სამთავრო: ლაზისტანი, სამცხე და ჭანეთი. მეორე საუკუნეში ლაზებმა დაიპყრეს იმერეთი, სამეგრელო და შეადგინეს სამეფო, რომელიც მეხუთე საუკუნეში იქმნა შორის ვიზანტიელთა და სპარსთა მიზეზი ბრძოლისა 472 წლიდამ ვიდრე 562 წლამდინ *). სამცხეში აღმოჩნდნენ ბაგრატიონებ-, რომელთაც მოსპეს ლაზის მეფობა, დაიმონიეს იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და მასუკან ქართლი და კახეთი. ჭანეთი იყო თემი პირველად რომისა და შემდგომ ვიზანტიის იმპერიისა, ვიდრე 1202 წლამდე; ამ წელსა ალექსი კომნენმა შეწევნითა თამარ მეფისა დაიპყრა ტრაპეზონი და იწოდა მეფედ ივერთა და ჭანთა; ამისი მემკვიდრენი ჰფლობდნენ ტრაპიზონში ვიდრე დაპყრობადმდე ოსმალთა 1461 წლამდინ.

—

III. ძველნი და ახალნი მკვიდრნი მოსახლენი პონტოს სამეფოსი, მონათესაობა მათი საქართველოს ერთან და იგივეობა იმათის ენისა.

—

პირველ უწყებასა ხალხთათვის, რომელნიცა მკვიდრობდნენ პონტოს სამეფოში და კოლხიდას, ვსცნობთ ჩვენ ქსენოფონტის წიგნისაგან, ცნობისა სახელსა ქვეშე „ანაბაზის“, ე. ი. უკან დაბრუნება ათი ათასისა ბერძენთა მხედართა. ქსენოფონტი სცხოვრებდა 200 წლის წინათ ქრისტეს შობისა, გამოიარა ჯერ მთლად კოლხიდის ადგილები და მასუკან პონტოს სამეფოსი და აღსწერა მკვიდრნი მოსახლენი და ადგი-

*) მატიანე სტრიტერისა, მეოთხე ტომი, ლაზიკა.

ლები დაწვრილებით და გასაოცებლის სისწორით. შემდგომნი ბერძენთა მწერალნი მხოლოდ განიმეორებენ მის უწყებათა; ამისთვის ვრაცხე საჭიროდ, რაც შეეხების ხალხთა ან ამ ადგილების აღწერასა შემოკლებით განვიხილო. ქსენოფონტ მოუთხრობს:

„ჩვენ რომ გავიარეთ სათავე ტიგრის მდინარისა, სამის ახმით, მივედით თელებოას *) მდინარის ნაპირა, სადაცა სახლობენ სომეხნი, ყმანი ტირიბაზისა, მთავრისა ფაზიანთა და ჰესპერიტთა **), რომელიც იდგა აქ თავის მხედრობითა და გვიპირობდა ომსა. ჩვენ რომ დავუახლოვდით, ბარბაროზთ შეეშინდათ და გაიქცნენ. ამითი გაგვიადვილდა ჩვენ წინამდებარე გზა, თუმც სიცივემ, თოვლმა ძალიან შეგვაწუხა, გავედით ეფრატის მდინარესა და მივედით ფაზის მდინარის ნაპირსა ***), სადაცა მრე ვექმენით ხალიბთა, ტაოელთა და ფაზიანელთა; ამის შემდგომ შევედით ქვეყანასა ტაოელთ და მასუკან ხალიბთა. ხალიბები არიან შემმართებელნი და უშიშარნი ომისა, ტანზედ აცვიათ მოკლე კურტაკი, წვივზედ პაიჭები, თავზედ ჰხურავთ ზუჩი და საომრად სახმარნი იარაღნი აქვსთ: ხანჯალი, შუბი და წელზედ ჰკიდიათ თოკები ****). ხალიბები იყვნენ ჩასაფრებულნი მთებში და ძალიან გვავნებდნენ. გავედით რა ჰარფასის მდინარესა *****) მივედით ქალაქსა ღი-

---

*) თელებოას მდ. ერთვის ეფრატსა, ნახე ტექსიეს კარტები.

**) ფაზიანი ქართველთა ბასიანი, ჰესპერიტი ქართველთა ისპირის ხეობა.

***) ფასის მდ. აქ არეზის მდინარეა, რომელსაც დასაბამი აქვს ბაზიანში და არა ჰოროხი, მისთვის რომ ამ მდინარეს რომ გავიდა, შევიდა ტაოს ქვეყანაში, სადაც დის ჰოროსი.

****) როგორც ახლანდელს გურულებს,

*****) ჰარფასე არის ისპირი, ერთი ტოტი ჰოროხის მდინარისა და არა არპაჩ აი, როგორც ჰგონებს ინგლისის მწერალი აინსვორტი და ვიეიენ სენმაგტენი, გვ. 321. ტომი I.

მნიას *). ამ ქალაქის მოურავმან მოგვცა ჩვენ ეტიკი, რომელმან მიგვიყვანა ტიხის მთამდე **); ამ მთის ქედიდამ დავინახეთ პონტოს ზღვა და შეგვექმნა სიხარული, რიგიანად დავასაჩუქრეთ ჩვენი ეტიკი და გადვედით მაკრონების ქვეყანაში. მაკრონებს საჭურველად ჰქონდათ: ხის ფარი, შუბი და იყენენ მოსილნი ნაბდებითა. ჩვენს მხედრობაში იყო ერთი მეომარი, ნათესავით მაკრონი ***) რომელიც გავგზავნეთ მოსალაპარაკებლად მაკრონებთან, რომ ჩვენ უვნებელად გაგვიშონ და საგზალი მოგვცენ. მაკრონებმა სიხარულით აღასრულეს ჩვენი თხოვნა, მოგვცეს საგზალი და გვიჩვენეს გზა. შეგვიყვანეს კოლხიდაში, რომელიც ძალიან მოშენებული არის. და დაუახლოვდით ტრაპეზუნსა. ტრაპეზუნი არის ქალაქი შავის ზღვის პირზედ, აშენებული მოვაჭრეთა ბერძენთაგან კოლხელების ქვეყანაში. ამ ქალაქის მცხოვრებმა კარგათ მიგვიღეს, სულადს ვშოულობდით დრილებისაგან ****) და ვინც უძლური და დაჭრილი იყო, ჩავსხით ნავებში და გავისტუმრეთ

---

*) ღიმნიას ქალაქი, აწ ჯიმილი და არა ჯინისა, რომელიც მდებარებს მახლობელ არზრუმისა, როგორც ჰგონებს აინსვორტი ან ვივიენ სენ მარტენი. ჯერ არზრუმს გაივლიან და მასუკან ტაოს ქვეყანაში შევლენ. აქ კი წინაუკუღმად არის, ჯერ ტაო გაუვლიათ და მასუკან არზრუმს მისულან. ქსენოფონტს უკეთ სცოდნია ეს ადგილები, ვიდრე განათლებულთ ევროპიელთა.

**) ქართული სახელი ტიხა, ტიხის მთა აწ ჰარანტაში. ნახე ტექსიეს კარტები.

***) მაკრონები არიან სანი ან ჭანები. სტრაბონის წიგნი 12. ამითი სჩანს, რომ ტაოელნი, ხალიბნი და ისპირის ხეველნი იყენენ ქართველნი და მაკრონი ჭანნი; მხედარმა იცოდა ჭანური ენა, და არ იცოდა ქართული, რომ ელაპარაკნა ქართველებთან.

****) დრილები არიან ჭანელები ან სანები, როგორც ამტკიცებს არრიენი, გვერდი 54, 55.

საბერძნეთში, სხვანი, ვისაც ღონე ჰქონდა, შევუდექით გზასა ზღვის ნაპირზედ და მივედით კერასენს, ქალაქსა, რომელიც იყო დაარსებული კოლხიდაში. იქ დავისვენეთ რამთონიმე ხანი; იქიდამ გადავედით მოსინაკთა ქვეყანაში. მოსინაკებს მაშინ ჰქონდათ ერთმანერთში ბრძოლა, ჩვენ უშველეთ ერთ მებრძოლსა მხარეს, მრე ვექმენით მოპირდაპირეთა. ავიღეთ მათი ტახტის ქალაქი, სადაცა ვჰპოვეთ მრავალი სანოვაგე. მოსინაკნი არიან მოქერაონი, ტანადნი, ბრგენი. იღებენ ტანსა სხვისა და სხვისა ფერითა და განსცხრებიან ავხორცობით აშკარად, თავზედ ჰხურავსთ რკინის ზუჩები, ტანზედ აცვიათ მოკლე კაბა, საომარი იარაღი აქვსთ: ხის ფარი, ხელ-შუბა და ორპირი ნაჯახი. მოსინაკების შემდგომ ზღვის პირზედ სცხოვრებენ ხალიბნი და მათ შემდგომ ტიბარენნი, მახლობელ ქალაქისა კოტიორა. ტიბარენთა ადგილი არის ვაკე და მდიდარი ნაყოფიერებითა“ და სხვანი

პირველი ხალხი, რომელიც მოიხსენება ზემოხსენებულს განხილვაში, არის ფაზიანი, ქართველთა ბასიანელი. ბასიანსა, როგორც სჩანს ქსენოფონტის აღწერისაგან, რწყავს მდინარე არეზი, რომელიც ადგილის გამო ისახელებოდა, აწცა ისახელების ფაზის მდინარედ (ფასინ სუ ოსმალთა). მცხოვრებნი ბასიანისა ან ფაზიანნი ქსენოფონტისა *) არ ეკუთვნოდნენ ნათესაობით არცა საქართველოს ხალხთ, არც სომხისა **) და ღეროდოტის დროს იწოდებოდნენ ალაროდიანად ***). ვახუშტი თავის საქართველოს აღწერაში სწერს, რომ ეს ადგილი წინაპირველად ეპირათ სომეხთა, მათ შემდგომ დაიმონიეს ბაგრატიონთა და შემოაერთეს სამცხესა და მუნიდგან ეკუთვ-

*) წიგნი 4. § 6.

**) სტრაბ. წიგნი 12, თავი I, § 1.

***) ღეროდ. წიგნი 3, § 90, 94.

ნის საქართველოს *). აწ ბასიანი შეადგენს არზრუმის ქვეყანას.

მეორე ხალხი ხსენებული ქსენოფონტესაგან არიან ტაოხნი, ე. ი. ტაოელნი, ან ტაოს მცხოვრებნი **). ტაო, ცნობილი საქართველოს თემი, აწცა მდებარებს მარცხნივ ნაპირასა ჭოროხის მდინარისა, გარნა მარჯვნივ ნაპირზედ იყო არტანუჯის საერისთაო. უპირველესი ქალაქი ტაოში იყო და აწცა არის ოლთისი; ტაოს რწყავდა თორთომის მდინარე, ტოტი ისპირის მდინარისა. სამზღვრად ჰქონდა, ჩრდილოეთით მთები, რომელნიც შეუდგებიან ისპირის ხეობას და სამხრეთით ირაჯლუს მთა (აწ კარგა ბაზარი და მოსხის მთა), რომელიც გაჰყოფდა ტაოს ბაზიანისაგან- აქ სათანადო არის შენიშვნა, რომელ კიპარტის ქარტებზედ ჭოროხს სახელს სდებენ ისპირის ხეობად, და ნამდვილს ჭოროხსა თავასუდ და ოლთისსუდ, წინააღმდეგ ძველთა მწერალთა და ვახუშტისა აღწერისა ***). მას ზევით მდებარებდასპერი, ქართველთა მწერალთა ისპირის ხეობა; ტაო და სპერი შეადგენდნენ კლარჯეთის საერისთოსა ****).

აწინდელთა სომხების მწერალთა ჰგონიათ, რომ ორივე ეს თემი, ე. ი. ტაო და სპერი ეკუთვნოდათ მათ და იყვნენ მუნ მკვიდრნი მოსახლენი; ეს აზრი ტყუილია, ძველნი მწერალნი თვით სომეხნი ამტკიცებენ წინააღმდეგსა *****). აქ არ იყო სომხობა, ეს იყო ნამდვილი საქართველო, სახელ-ედე-

---

*) ვახუშტის გამოც. უფ. ბროსეტისაგან, გვ. 120.

**) ქსენ. წიგნი 4 § 7.

***) ვახუშტის ქარტა და აღწერა, გვ. 120. ისპირის მდინარეს ქსენოფონტი ახსენებს ჰარფასად. ნახე ზეით შენიშვნა.

****) სპერი ან ისპირი ცნობილიყო ძველთა მწერალთაგანცა; ღეროდოტე უწოდებს ჰესპერად, ან სასპირად.

*****) მოსე ხორენაცის ღეოღრაფია, სენ-მარტენის ნათარგმნი. ტ-

ბოდა ზემო ქართლი და არა სომხითი. აწცა იწოდების ოსმალთაგან გურჯისტანად და მკვიდრნი მოსახლენი არიან გათათრებულნი ქართველები, რომელთაც არ დაუვიწყნიათ ქართული ენა.

აქ გამოჩნდნენ პირველად ბაგრატიონები, ეს იყო მათი სამშობლო მამული. სომხებსა ჰგონიათ, რომ რაც ბაგრატიონებს ეჭირათ მამული და ადგილები, იქ სულ სომხობა იყო, —ამაზედ ძალიანა სცდებიან: ჯერ თვით ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები. მოსე ხორენაცი მოუთხრობს, რომ „შამბა (სუმბატ) ბაგრატიონი, თავის ნებით შევიდა მფარველობას ქვეშე ვაღარშაკისა სომეხთა მეფისა, რომელმან ნამსახურობისათვის უბოძა ერისთობა დასავლეთის მხრისა, სადაც არ ლაპარაკობენ სომხურად *)". დასავლეთი სომხითისა არის: ბასიანი, ტაო, სპერი, არტანუჯი და სხვ. რომ ბაგრატიონები არ იყვნენ სომხები და არცა რწმენდათ სომხების სარწმუნოება, მოსე ხორენაცი მრავალჯერ განამეორებს. ჩვენი ცხოვრება მოუთხრობს, რომელ ბაგრატიონნი, ჩამომავალნი დავით წინასწარ-მეტყველისა და მეფისა, მოვიდნენ IV საუკუნეში **) ეკლეცად და ნათელ-იღეს ხელითა რაქილ დედოფლისათა ***). ჰეშმარიტად პირველი ბინადრობა ბაგრატიონთა ამ ადგილებშია და არა სომხითში, ეს იყო, როგორცა ვსთქვით, მათი სამშობლო ქვეყანა. შემდგომ ქართლისა და კახეთის დაპყრობისა არაბთაგან, ქართველობა განძლიერდა ამ ადგილებში. მე-

---

2, გვ. 357, სადაც კლარჯეთს ეწოდება გეზარდი; ვარდანის გეოგრაფია სენ-მარტენის ნათარგმნი, გვ. 427, სადაც სინათლით ამბობს, რომ დაიკი, ე. ი. ტაო, ეკუთვნის იბერიას და მოუდის ისპირის მდინარე.

*) მოსე ხორენაცი, ემინის ნათარგმნი გვერდი 79.

**) ბ-ნ ბროსსეტის ქართლის ცხოვრება.

***) ეკლეცი არის ეკესეირი სცილაკსისა, აწ ლახისტანი და არა აქცილინა, როგორც მოუთხრობს ბ. ს. მარტენი.

შვიდე საუკუნეში ქართველებმა, დავით გარესჯის უდაბნომაგიერად, აქ დააფუძნეს ოლთისის მონასტერი, თავი და დასაბამი სამღვთო და საეროთა სწავლათა, აქ განვრცელდა, წინააღმდეგ მაჰმადიანობისა, ქრისტიანობის სარწმუნოება, ასე, რომ IX საუკუნეში აქ იყო 18 სამღვდელმთავრო საყდარი, ან ეპარხია: მაწყურელი (აწყვერშია); კუმურდოელი (კუმურდოისა ან ჯავახეთისა); იშხნელი (ან სპერისა); ანჩელი (აჭარისა); მტბევარი (ტბეთისა ან შავშეთისა); წურწყამელი (წურწუმისა); წყაროსთველისა (ფოსოჩულურეთისა); ვალაშკერთელი, ანელი, კარელი (კარი და ოლთისი); ბანელი (ტაოსკარი და ფანასკერტ); დადაშნელი (კოლა და არტაანი); ამათ გარდა ბაიბერთის ახლოს აშენებული იყო ხახულის მონასტერი. ეს იყო სამშობლო ქვეყანა ჩინებულთა სამღვთო მწერალთა, წმინდათა მამათა იოანესი, ევთვიმისა, გიორგი მთწმინდელისა, გიორგი ოლთისელისა და სხვათა მრავალთა, რომელთაც ხელ ახლად გვითარგმნეს სამღვთო წერილები. აქ იშვა ერისთავი თორნიკი, აღმაშენებელი დიდის ივერიის მონასტრისა ათონის მთაზედ, აქ გამოჩნდნენ უწარჩინებულესთა ამბავთა მწერალნი და მოშაირენი, ვითარ: შოთა-რუსთველი, სარგის თმოგველი, აბდულ მესსია შავთელი და სხვანი.

მესამე ხალხნი იყვნენ ხალიბნი. ქსენოფონტი ორჯელ მოიხსენებს ამ ხალხს, პირველად, ვითარცა მცხოვრებთა, ტაოელთ შემდგომ, ისპირზედ, და მეორედ—შავის ზღვის პირზედ მახლობელ კერასუნის ქალაქისა. სტრაბონი ჰგონებს, რომ ხალიბები ის ხალხნი არიან, რომელთაც უმიროს *) სახელ სდებს ჰალიზონად, ან ალაზნელად **), აქ მოსულან ადგი-

---

*) სტრაბონი წიგნი 12, თავი ორი, § 19 და 21; ილიადა სტიხი 856, 857.

**) ე. ი. მცხოვრებნი ჰალიზის (კიზილერმაკი) ან ალაზნის მდინარის ნაპირზედ. სტრაბ. მუნვე.

ლიდამ ხალიბე, სადაც იპოვება ვერცხლის მადანი. ვივიენ სენ-მარტენი გვაუწყებს *), რომელ ჰალიზონები აწ ალაზნელები იყვნენ აქ მოსულნი და დასახლებულნი თერმადონის მდინარის პირზედ, ტროადის ბრძოლის უწინ. ბ. დუბოა **) დარწმუნებით ამბობს, რომ ხალიბები ან ჰალისონები, ან ალაზნელები სცხოვრებდნენ წინაპირველად ალაზნის მდინარის ნაპირზედ კახეთში. ეს აზრი დასაჯერებელია პირველად ამიტომ, რომ ძველნი მწერალნი, მაგალ. სცილაქს კორიანდელი ***) და პლინი ****) სწერენ, რომ ხალიბები მოსახლეობდნენ როგორც აქ, პონტოს სამეფოში, ისე ქართლში,— და ამითი ჩანს, რომ იყვნენ ერთი და იგივე ხალხი. მეორე, —მცირეს აზიაში აწცა იპოვებიან მრავალნი სახელნი მდინარეთა, ქალაქთა, ადგილთა, რომელნიც იხილებიან საქართველოშიაც, მაგალ. ქიზიკი ქალაქი მდებარე მარმარილოს ზღვის პირზედ და ქიზიყი, მდებარე კახეთში; ქუთაია ქალაქი, მდებარი ფარსაკის მდინარის სათავეზედ, და ქუთაისი იმერეთისა; მდინარე ენგური, რომელზედაცა სდგას ქალაქი ანგორა ან ენგური და მდინარე სამეგრელოსი ენგური; ონის ქალაქი შავის ზღვის პირზედ მახლობელ ჰალისის ან კიზილერმაკის შესართავისა და ონი იმერეთში; ჰალიზი ან ალაზანი და ალაზანი კახეთში და სხვანი მრავალნი.

მეოთხე ხალხი ქსენოფონტისა არიან მაკრონნი. სტრაბონი ამბობს, რომელ მაკრონები იმის დროს იწოდებოდნენ სანად *****), რომელთაც პლინი ******) სახელ სდებს სანად

*) მცირე აზიის აღწერა, ტ. 1, გვ. 250, 251.

**) მოგზაურობა ტომი 4, გვერ. 133, 139.

***) დებუას ძველი ქარტები ატლასში.

****) წიგნი თავი 6, 10.

*****) სტრაბ. წიგნი 12, თავი 2, §. 19.

******) წიგნი 6, თავი 3.

გენიოხად, არიანი—ტანად *) და ვიზანტის მწერალნი ტცანად **). ყველამ ვიცით, რომ ბერძნებს არა აქვს ასო ჭ. ამისთვის მაგიერად ზოგს უხმარია „ს“, ზოგს „ტ“, ზოგს „ტც“ სანი ან ტანი ან ტცანი არის ქართველებისა ჭანი ***). ღეროდოტიც მოიხსენებს მაკრონებსა და მოუთხრობს, რომ მათ ჰქონდათ ჩვეულება წინადაცვეთისა, როგორც კოლხიდელებსა ****), სკილაქსი უწოდებს მაკრონებს მაკროცეფალი *****). მაკრონები სახლობდნენ ჭოროხის მდინარის მარცხნივ ნაპირზედ, სადაც ეხლა ლაზები დგანან ******), და მარჯვნივ ნაპირი ეპირათ ივერიელთა. ქსენოფონტის აღწერა ამას სრულებით ეთანხმება. როდესაც ქსენოფონტი ჰარპასის მდინარეს გავიდა (ისპირის ხეობა) და გადიარა ნაჭილობევის მთები, რომელნიც აწცა განსაზღვრენ ჭანეთსა სამცხისაგან, მაშინ შევიდა მაკრონების ქვეყანაში, რომელიც ამ სახით მდებარებს მარცხნივ ნაპირსა ჭოროხის მდინარისა. მაკრონებს, ე. ი. ჭანებს, რომელნიც სახლობდნენ მთებში, უწოდებს სეპტაკომედად (ე. ი. შვიდი კოშკი), და დაუმატებს, რომ სეპტაკომეტებს ძველად ერქვათ მოსინაკები, ე. ი. კოშკებზედ ან ბურჯებზედ მცხოვრებნი *******); ამისაგან სჩანს, რომ მოსინაკები და მაკრონები ერთი და იგივე ხალხია, ჭანად წოდებულნი. ამას გარდა სტრაბონი გვაუწყებს, რომელ სანებმა (ჭანელებმა) მოსრეს სამი გუნდი რომაელთა მხედრობისა, მიტ-

---

*) არიენის აღწერა შავის ზღვისა, გამოც. გოფმანისა.

**) სტრიტერის მატიანე ტ. 4, გვ. 220, 225, 226.

***) ჭანი ქართულად ნიშნავს გამხდარსა, ჭნავსა.

****) ღეროდ. წიგნი 2. § 104.

*****) დუბუას ძველი ქარტები ატლასში. მაკროცეფალი, ბერძ. გრძელ თავიანი.

******) სტრიტერის მატიანე 4 ტ. გვ. 395.

*******) ზიგნი 12, თავი 2, § 19.

რიდატის დიდის ომის დროს პირის პირ რომაელთა. იუსტი-ნიანე იმპერატორის დროს შეეიდნენ მორჩილებას ქვეშე ვი-ზანტიისა და მიიღეს ქრისტიანობის სარწმუნოება.

მეხუთე ხალხი იყვნენ ტიბარენნი, სახლობდნენ ვაკე ად-გილებზედ, გარემოს თერმეს მდინარისა, მახლობელ კოტიო-რა (აწ ორდუ) ქალაქისა, შეიმუშავებდნენ მიწასა და ჰყვან-დათ მრავალი საქონელი, წესი და ჩვეულობა ჰქონდა მსგავ-სად ივერიელთა *). ტიბარენნი, ხალიბები სახლობდნენ რო-გორც აქა, ისე სამცხეში და ქართლში **). სამღვთო წერი-ლში და გეროდოტის აღწერაში მოსხნი და ტიბარენნი ან თობალი ერთად მოიხსენებიან, ვითარცა ერთად ერთი ხალ-ხი ***). ვიზანტის მწერლები არ მოიხსენებენ ამ ხალხსა, რა-დგანაც მათი სადგომი ადგილები იმ დროს ეჭირათ ჭანელე-ბსა"... *).

—

მცხეთის სამეფო და ქართული ენა. ვანის ლურსმურ წარწერების ენის შესახებ, ლენორმანს გარდა, სხვა მეცნიერე-ბსაც გამოუთქვამთ თავიანთი აზრი.

გამოჩენილი სეგანი სწერს: „ვანის წარწერების ენასა და ქართულ ენას შორის დიდი მსგავსებაა და მე მგონია, დას-

---

*) სტრაბ. ტ. 1, გვერდი 484.

**) გეროდ. წიგნი 3, § 94; სკილაქს კორიანდელი, დუბას ძველი კარტები ატლასში.

***) დაბად. შესაქმეს წიგნი, თავი 12, მუხლი 2; ეზეკიის წინასწარ-მეტყველება თავი 27, მუხლი 13—21; კვალად 32—26; 38—2.

*) სამწუხაროდ, უადგილობისა გამო, აქ ვეღარ ვსარგებლობთ პროფეს. ა. ს. ხახანაშვილის წერილით „Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи". ამავე საგნის გამორკვევას შესდგომია აგრეთვე პროფეს. ი. ა. ჯავახიშვილი, რომლის გამოკვლევა, როგორც გვაცნობეს. უკვე იბეჭდება.

ძენს იგი, მალე დავრწმუნდებით, რომ ეს ორი ენა მონათესავეაო.

ნიკოლსკი ამბობს: „თუ ამ ტომმოდგმას (რომელიც ვანის წარწერებშია მოხსენებული) არ ეკუთვნიან ახლანდელი ქართველები, იგი სრულად გამქრალ და მოსპობილ ერად უნდა ჩაითვალოს *).

მოსე ქორენელი ამბობს, როდესაც სომეხთა მამათმთავარი ჰაიკ არარატს მოვიდა, აქ ნახა ნაშთი ერისა, რომელიც აქედგან წინად გადასახლებულიყოო.

რა დროს დასტოვეს ქართველებმა არარატ-ვანის მიდამო?

ლენორმანი იმავე ლურსმურ წარწერების მიხედვით ამბობს, ვან-არარატიდგან ქართველები გამოძევებულ იქმნენ მე-VII—VI საუკ. ქრ. წინადო. სეᲒსის სიტყვით კი მეექვსე საუკუნის ნახევრამდე სომხებს ვერ მიეხწიათ ვანამდე. განსვენებულ პროფეს. პატკანოვმა, ამავე ლურსმურ წარწერათა შესწავლის შემდეგ, გამოაცხადა: „სომხეთის ისტორია მე-VIII—VII საუკუნის ქრ. უწინარეს Გამისა ჩვენთვის სრულიად უცნობია **). გარნა იგივე მეცნიერი ამავე წარწერების წაკითხვამდე ამტკიცებდა, რომ სომხის ტომმოდგმამაო სამი ათასს წელსა თუ კიდევ უწინარეს Გამს ქრ. წინად იწყო გადმოსახლება არარატის მხარეს და ნელნელა განაძევა აქედგან პირვანდელნი მკვიდრნი უცნობის ტომისა და აგრეთვე სომისნი“ ***).

„სომხეთიო,—სწერს სტრაბონი,—ისტორიკოსთა სიტყვით, პირველხანს მცირე ოლქი იყო. იგი გადიდდა არტაქსიასისა და

---

*) მ. ვ. ნიკოლსკი. Клинооб. надписи ванскихъ царей (Древности, ტ. 1, გამოც. 1, გვ. 382).

**) კ. პატკანოვი. Ванскія надписи, გვ. 33.

***) მისივე. Изслѣдованіе о діалектахъ армянскаго языка, გვ. 5.

ზარიადრიასის ჟამს, რომელნიც ანტიოქოზ დიდის სპასალარები იყვნენ, და ანტიოქოზი რომ დამარცხდა, იგინი გამეფდნენ". „არმენოსიო, განაგრძობს იგივე ისტორიკოსი, გაჰყვა აზონს სომხეთამდის, და მისგანვე ამ ქვეყანას ეწოდა „არმენია", თუ დავუჯერებთ კირსილს და მედიას, რომელნიც ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის მონაწილენი იყვნენ .. ამბობენ, აზონი კოლხიდაში ლაშქრობის ჟამს თესალიელ არმენთან ერთად კასპიის ზღვამდე მივიდა და მოიარა ივერია, ალბანია და ნაწილი არმენიისა და მიდიისა".

ქართლის ცხოვრებით, ალექსანდრე მაკედონელმა მოიყვანა საქართველოში „აზო(ნი), ძე ქართველთა მეფის არანისა", დაიპყრა მცხეთა და მეფედ დასვა აზოჲ. ეს აზო წავიდა ქართლს და იქიდგან გადმოასახლა 18 სახლი მამამძუძეთა და თან მოიტანა ღუთად კერპნი გაც და გაიმ. „და იგი იყო პირველი მეფე მცხეთას შინა".

იუსტინი, რომელიც სცხოვრობდა 130—170 წ. ქრ. შემდეგ, ამბობს: „თითქმის მთელმა აღმოსავლეთმა აღუგო აზონს, ვითარცა თვისს დამაარსებელს, ტაძარნი, პატივსა სცემდა მას, ვითარცა ღმერთს".

ტაციტი: „აზონი მოვიდა მისაღებად კოლხიდის თავისუფალ ტახტისა" *).

შ ე ნ ი შ ნ ვ ა: საუურადღებოა, რომ არანისა და აზოს მსგავსი სახელები გვხვდება თვით ვანის წარწერებშიაც: ვანის მეფეს ირანზუს შვილს ჰქვიან აზუ ანუ აზა. ეჭვი არ არის, სტრაბონი და მის მიმდევნო მწერლები ისტორიულ აზონს ვერ არჩევენ ლეგენდარულ იაზონისაგან.

იბადება კითხვა: თუ აზო იყო პირველი მეფე, მაშ რად ამბობს მატიანე, რომ იგი იყო ქართლის მეფის არანის შვი-

*) ეს ცნობები ბერძენთ მწერლებისა მოყვანილია აგრეთვე იმავე ქორენელის სომხეთის ისტორიის დამატებაშიაც (გვ. 348 და სხ.).

ლიო? თუ არანი მეფე იყო, აზო როგორღა ჩაითვლება პირ-ველ მეფედ?

საქმეც ის არის, რომ აზო პირველ მეფედ შეიქმნა ჩრდილოეთ საქართველოს სამეფოს—მცხეთას და მისი მამა კი მეფედ იყო ისევ ძველს საქართველოში, ანუ ზემო-ქართლს, რომლის სამხრეთი მიჯნები მაშინ, ალბად, უფრო ვრცელი იყო, ვიდრე მერმენდელ დროს.

ცხადია, აზონს რად უწოდებს მემატიანე პირველ მეფედ. მთელი მცხეთის არემარე მტკვრის გაყოლება ოძრახემდე დაჭერილი ჰქონდათ ბუნთურქებს და ჰონნებს, რომელნიც მცხეთისავე მამასახლისის თანხმობით დაესახლნენ ამ ადგილებში და უმეტესად კი გამაგრდნენ სარკინეთში. იგინი სამეგობროდ მოვიდნენ და მერმე კი, საფიქრებელია, მძლავრობა იწყეს და მიემხრნენ ხაზარებს, ქართველობის დაუძინებელ მტრებს. ესენი რომ შემუსრა აზომ, ზემო ქართლელმ, მამის სამეფოდამ, მოიყვანა მრავალი ქართველი და დაასახლა ქვემო ქართლს (ქართლ, კახეთ, Ცრეთს)...

რახან ვანს შემოესივნენ სომხები და ნელნელა დაიპყრეს იგი სპარსთა ყაენების შემწეობით, და განაძევეს ძველნი მკვიდრნი ანუ დაიმორჩილეს იგინი, საქართველოს ბატონობაც ვანსა თუ მის არემარეს მოისპო და მის მერმეთ მთელს ქართლოსიანთა ტომ-მოდგმაზე თვითმპყრობელობა და „თავადობა“ იწყო მხოლოდ მცხეთამ.

ვან-არარატის ახალი მეფეები, რაღა თქმა უნდა, ეცდებოდნენ იქ დაშთენილ ქართველების გასომხებას. რომ ეს ასე იქნებოდა, ამის საბუთს გვაძლევს გეოგრაფია, ისტორია და ქართულ-სომხურ ენების შესწავლა.

კლერკი ამბობს, რომ სომხეთის გეოგრაფიულ სახელების უმეტესი ნაწილი შეიძლება აიხსნას მხოლოდ ქართულის ენის მეოხებითაო.

„ქართულის და სომხურის შესწავლამ ჩვენ დაგვარწმუნა“, სწერს გატერიასი, „რომ დიდი ნაწილი ქართულ სიტ-

ყვებისა და ყველა ძირები ეკუთვნიან განსაკუთრებულს ჯგუფს ენებისას, რომელსაც ვუწოდებთ ქართულ ჯგუფად. თუ მრავალი რიცხვი ამ სიტყვებისა მოიპოვება სომხურშიაც, ეს იმას ამტკიცებს, რომ სომხურს მიუღია ისინი ქართულისაგან, რომელიც ოდესმე დიდ-სომხეთის დიდს ნაწილზე უნდა ყოფილიყო გავრცელებული, სანამდე იქ არიელები მოვიდოდნენ. ქართულს ენას დიდი მნიშვნელობა აქვს სომხურის ენის შესასწავლად. ამიტომ სომხურ გრამატიკის გამოქვეყნებამდე მე საჭიროდ ვცან სისრულით გამომერკვია, თუ რა ეკუთვნის ქართულ ენას, რადგან უამისოთ შედგენილი სომხური გრამატიკა „მოკლებული იქნებოდა სამეცნიერო საფუძველს და მეთოდს. სომხურს ძლიერ ბევრი სიტყვები შეუთვისებია ქართულისა და კავკასიის სხვა ენებისაგან და ამ ენებს სომხურის სინტაქსზედაც უმოქმედნია“ *).

სტრაბონი აღნიშნავს, ანტიოქოზ დიდის სპასპეტთაგან სომხეთის სამეფოს დაფუძნებისა და მეზობლად მოსახლე ერთა ქვეყნების დაპყრობის შემდეგ წარმოსდგა ახალი სომხური ენა, „ასე რომ ახლა (ე. ი. სტრაბონის ჟამს) ყველა მკვიდრი იმ ქვეყნისა (არმენიისა) ლაპარაკობს ერთს ენაზედ“.

თვით ქორენელი მოწმობს, რომ ა) ხარკს მოსახლეთაგან წარმოსდგა თოლარმას სახლის შთამოებაო და ბ) არამმა უბრძანა ამ ქვეყნის მკვიდრთ ესწავლათ სომხური ენა და ამ ენაზე ელაპარაკნათო.

ცნობა, რომ „წარმოსდგა ახალი მოდგმა თოლარმას სახლისაო“ გვაგონებს ჩვენ ქართლის ცხოვრების გადმოცემას, ქართველები თარგამოსის შთამომავალნი არიანო. ახლად მოსულები, ჩაეთესლნენ-რა უწინდელ მკვიდრთა შორის, რომელნიც ქართველის ტომისანი იყვნენ და არ მოინდომეს მცხეთის სამეფოს გადასახლება, დროთა განმავლობაში უნდა შე-

*) ა. პყონია. ისტორიული ნარკვევი, გვ. 64—65.

რეულიყვნენ მათთან, და შექმნილიყვნენ ერთ ხალხად, ერთ სახლად თარგამისა და ესწავლათ ერთი ენა.

საგულისხმოა, როდესაც ქართ. ცხ. (გვ. 35) ამბობს: „აქამომდის ქართლოსიანთა ენა სომხური იყო“, ანუ (გვ. 26): „ქართლსა შინა იზრახებოდა ექვსი ენა: სომხური, ქართული, ხაზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული“. ეს საგულისხმოა მით, რომ ეს „ქართლი“ შეიძლება იყოს არა ქვემოქართლი, არამედ ზეკოქართლი, რომლის სამხრეთ ნაწილში, ქართველების სამეფოს ნანგრევებზე, დაარსდა სამეფო სომეხთა. ქგეშ ქართლს რა უნდოდა ასურულსა და ებრაულ ენას? სხვა რომ არა ვსთქვათ, ამ ენებს როგორ შეისწავლიდა „ყოველი ქართველი, მამრი და მდედრი“! თუ ამგვარი ენათა შერევა ოდესმე მოჰხდა, მოჰხდებოდა ძველს საქართველოში და ახალს არმენიაში, საცა მე-VII—VI საუკ. დათარეშობდნენ სკვითნი და ხაზარნი, საცა, მართლაც, უნდა ყოფილიყო ბრძოლა ხსენებულ ენათა შორის იმ დრომდე, ვიდრე არ გაიმარჯვებდა სომხური ენა, ვიდრე მოსული მძლავრი ნაკადული არ შეილევდა ადგილობრივ ნაკადულს და არ შეელეოდა მას.

ამ მხრივ ძვირფასია თვით სომხურისა, ქართულისა და მრავალ ენების მცოდნე პროფეს. ნ. ი. მარრის აზრი. იგი სწერს:

„სომხური ენა, როგორც ვიცით, არიულ ენად ცნობილია მეცნიერებაში, და საფუძვლიანადაც; ჩვენს ლინგვისტიურს გამოკვლევებში ჩვენ უფრო შორს წაველით და იმ დასკვნამდის მივედით, რომ სომხურს ენაში არის შესამჩნევი ნალეკი, მონათესავე ქართულისა, და ამ ნალეკის,—სულაც არ შემოტანილის და არ სესხებულის ქართველებისაგან, — ანალიზისათვის ქართულ ენას მართლაც აქვს უაღრესი მნიშვნელობა. ეს გენეტიური კავშირი ქართულის ენისა და სომხურის შორის მოასწავებს არა კულტურულ ზეგავლენას ქართველებისა სომხებზე ანუ სომხებისა ქართველებზე, არამედ—მას,

რომ, როგორც ქართველები, ისე სომხები არიან ორნი ძმა-ერნი *), შემდეგში განცალკევებულნი სხვადასხვა ეთნიურ და ლინგვისტიურ და კვალად კულტურულ და პოლიტიკურ ზედ-მოქმედებით" („ნოვოე ობოზრ.", № 4894).

ახალს თავისს შრომაში იგივე ავტორი ამბობს:

„სომხურს ენას აქამდის სწავლობდნენ და სწავლობენ გულდადებით მხოლოდ მიხედვისამებრ მისის მონათესაობისა ინდურ-ევროპულ ლინგვისტიურ ჯგუფისა. გარნა ინდურ-ევროპულ ანუ არიულ ნაწილაკით არ აღმოიფსება ბუნება სომ-ხის ენისა. სომხურში ინდურ-ევროპულ ნალეკთან ერთად გა-ნუწყვეტლად შერთულია ნაეური, რომელიღაც უცნობ ლი-ნგვისტიურ მოდგმისა.

„სახე ამ უცნობ მთელისა თანდათან გამომეხატა, როდე-საც ვმეცადინეობდი დამედგინა გენეტიური ნათესაობა ქარ-თულის ენისა სემიტურთან. საბუთებმა რახანია მაიძულეს აღ-მეარა, რომ ქართული მონათესავეა სემიტურ ენებისა, თუმცა იგი ისე დაახლოვებული არ არის მათთან, როგორც სემიტუ-რები ერთმანეთთან. მეორე მხრით, ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ სომხური ენა ზოგიერთ არსებით მხრით თვისის ბუნები-სა არის მონათესავე ქართულისა" (Н. Марръ. Грамматика

---

*) პირიქით, სომხის წინაპართა ტალღა საკმაოდ მძლავრი უნდა ყო-ფილიყო, რომ შეილია ადგილობრივი ნაკადულები და მით გამძლავრე-ბულმა და განახლებულმა დააარსა საკუთარი სამეფო და, მეორეს მხრით, სომხური ენა რომ ქართულ ენის კულტურულ ზეგავლენის ქვეშე არ ყო-ფილიყო ხანგრძლივად და ამ გავლენის ზემოქმედებით არ შემუშავებულ იყო, თვით სომხური ენაც ის მთელი აღარ იქნებოდა, რაც დღეს არის, არამედ დაშთებოდა იმ არიულ ენად, რომელზედაც ლაპარაკობდა ჰაოსი, როდესაც იგი შემოვიდა არარატის ხეობაში. ქართველთა და სომეხთ ძმო-ბა იმის მეტი არ არის, რაც არიელ მოსულ ხალხს და მისს ენას შეეთვი-სა და შეელია ადგილობრივ ბინადარ ერისაგან.

др.-арм. языка. Этимологія, გვ. XXXI). ვანის ლურსმურ ნაწერების ენის შესახებ იქვე შენიშნავს ნიკო მარრი (გვ. XXX), რომ ეს არმენიის ენა არიელების გადმოსახლების წინა დროის ენა არისო, არა ინდურ-ევროპულიო, მას დამოკიდებულება აქვსო სომხურ ენასთან და, შეიძლება, ფრიად არსებითიც, რადგან მით ეს სომხური ენა უნათესავდება ქართულსო.—

პატივცემულ მარრის, როგორც სპეციალისტის, აზრი შესახებ ქართულის ენის სემიტურის მონათესაობისა საყურადღებოა, დროა გადაწყდეს კითხვა შესახებ ქართულის დამოუკიდებლობისა ანუ მონათესაობისა. გარნა სხვებიც „საბუთებისვე“ მიხედვით აგრეთვე „იძულებულ“ იყვნენ აღეარათ, „ქართული მონათესავეაო არიულ ენებისა“, „ქართული თურანულის მოდგმის ენააო“. მე კი თუ მკითხავთ, ქართული ყველა ᲮᲒᲣᲤᲔᲑᲘᲡ მონათესავეა, ანუ, უკეთ ვსთქვათ, იმდენადვე მონათესავეა არიულისა, რავდენადაც სემიტურისა, თურანულისა. გვწამს, ქართული იმ დროის ენაა, როდესაც ერნი და ენანი ᲮᲔᲠ არ დაშორებოდნენ ერთმანეთს, ერთმანეთისა საკმაოდ ეყურებოდათ და ესმოდათ. ჩვენ გვᲮᲔᲠᲐ ცნობა მემატიანისა (ქართ. ცხ., 122), რომელიც ამბობს: „თქვენ, მკვიდრნო ქართლისანო, ნათესავნო მეფეთა ქართლისათანო, რომელნი დადგინებულ ხართ დღეს მთავრობასა ზედა ჩვენ მეფეთაგან, რომელ ჩვენ ვართ ნათესავნი ნებროთ გმირისანი,... (შემდგომად ენათა შერევნისა) დაუტევეს ყოველთა ქალაქი (ბაბილონი), და დაუტევნა (ნებროთ გმირმა) ინდურად მზრახველნი ინდოეთსსინდნი—სინდეთს, ᲰᲠᲝᲛᲜᲘ—ᲰᲠᲝᲛᲡ, ბერძენნი—საბერძნეთს, აგ და მაგოგი—მაგუგეთს, სპარსნი—სპარსეთს, ასურნი—ასუ, რეთს. და ესე არიან შკიდნი ენანი, რომელსა ნებროთისამდე ზრახვიდეს (ვვ. 123).

გვᲮᲔᲠᲐ, რომ ეს აგი და გოგი, გუგი (არაბ. ᲮᲣᲮ—მაᲮᲣᲮ) იყვნენ ქართველნი, ის ერი, რომლის შესახებ იეზეკიელი ამბობს: „ძეო კაცისაო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა

ზედა და ქვეყანასა ზედა მაგოგთასა, მთავარსა როშს, მოსოხს (=მესეხს) და თობელსა" (იეზ., 38, 1); „აჰა, მე შეზედა გოგ, მთავარსა როშისსა, მოსოხს და თობელს" (იქვე, 39, 1). გვჯერა, ამ გოგისა და გუგისაგან წარმოსდა გუგარქი=გუჯარეთი=კიპერტის გოგარენი (ჯავახეთი), აქაურივე გოგა-შენი. ციკლოპურად ნაშენი ციხე გოჯი ანუ ქუჯეთი, აქედგანვე არაბული სახელი ქართველთა ჯორჯან, ჯურჯ, გურჯ და თვით ბერძნებისაგან გადასხვაფერებული გიორგ, ე. ი. სახელი იმ ერისა, იმ აგისა, გოგისა, რომელნიც თაყვანს სცემდნენ გაც-ს და გა ს, იმ ერისა, რომელსაც დაერქვა ქართ=ქორთ=ჯორჯ.

ამ ძველს დროს ქართულს ექნებოდა მეზობლობა და ნათესაობა ყველა ძველ ერებთან და ენებთან. მის გამო, რომელს ენასაც უნდა შეადაროს კაცმა ქართული, სანათესაობო ნაწილაკებს ყველგან ჰპოვებს, თუმცა ეს ენა (ქართული), როგორც უკვე პროფეს. ა. ა. ცაგარელმა განმარტა, სრულად დამოუკიდებელ მოდგმისა და ჯგუფისაა.

—

აქვე ვურთავ მცირე მასალას შესატყობად იმისა, თუ რა ერთობა აქვთ ერთმანეთში ქართულსა და მის კილოკავებს.

	მეგრ.	ჭან.	სვან.
1. ერთი *)	ართი	არ(თი)	ეშხუ
ორი	ჟირი	ჟურ	ჰერი (ჰeuრი)
სამი	სუმი	სუმი	სემი
ოთხი	ოთხი	ოთხი	ეოშთხვ **)

*) ინგ. ჩქარა თვლაში—ე რ, ო რ, ს ა მ... ერთის, ორის, სამის.. მაგიერ.

**) სიტყვების დასაწყისს, ხმოვანის წინად, ხშირად ემატება ვ: ოქრო—სვ. ვოქრ. ვერძი—მეგრ. ერჯი, ვისი—სვან. იშა, ორი—ვორი, ათი—ვითი.

	მეგრ.	ჭან.	სვან.
ხუთი	ხუთი	ხუთი	ვოშხვიდ
ექვსი	ამშვი	ამშვი; აშ	უსგვა
შვიდი	შვითი	შთვიდი	იშგვიდ
რვა;	რუაჲ რუო;	ბრუო ორვო	არა
ცხრა	ჩხორო	ჩხორო	ჩხარა
ათი	ვითი	ვითი	იეშდ; ჰეშდ
ასი	ოში	ოში	აშირ
ათასი	ანთასი	ანთასი; შილია ათას.	
2. ვარ	ვორექ	ვორე; ბორექ	ხვარი; ხვი
ხარ	ორექ	რეი; ორე	ხარი; ხი
არია;	ორე; რე	რენი; ქორენ	არი; ლი
ვართ	ვორეთ	ორეთ, ბორეთ	ხვარიდ; ხვიშთ; ლიშთ
ხართ	ორეთ	რეთი; ორეთ	ხარიდ; ხიშთ
არიან	ორენა	რენანი; ორერან	არიხ; ლიხ.
ვარიედ	ვორდი	ვორტი	ხვარდ
ხარიედ	ორდი	ორტი	ხარდ
არიედ	ორდუ	ორტუ	არდა
ვარიედით	ვორდით	ვორტით	ხვარდიდ
ხარიედით	ორდით	ორტით	ხარდიდ
არდეს	ორდეს	ორტეს	არდახ.

მტილი დიდი-ა
ორტვინი დიდი-რე
ორტულე დიდი-რე (ნ)
ლარტამ ძლიდ-ლი

შენიშვნა. ყველა ეს შემოკლებული არსებითი ზმნები ქართულშიაც იხმარება: ქვემორე (ქვემო-რე), ზემორე (ზემო-რე), წინამდება-რე, მამალი (მამა-ლი), დედალი (დედა ლი).

ა) ვწერ, წერ, წერს. ვწერთ, წერთ, წერენ (ა)
ვპარუ, პარუ, პარუნს. ვპარუნთ, პარუნთ, პარუნა (მეგრ.)
ვპარუფ, პარუფ, პარუფს, ვპარუფთ, პარუფთ, პარუფან (ჭან.)

ვჭარუმ, ჭარუმ, ჭარუმს. ვჭარუმთ, ჭარუმთ, ჭარუნა *) (ჭან.)

ბ) ვწერე, წერე, წერა. ვწერეთ, წერეთ, წერეს.

ვჭარი, ჭარი, ჭარუ. ვჭარით, ჭარით, ჭარეს (მ.).

ვჭარი, ჭარი, ჭარუ ვჭარით, ჭარით, ჭარეს (ჭ.).

გ) მე	მა	მა	მი
შე(ნ)	სი	სი(ნ)	სი
ი, ის, იგი; ეკი ეკე	ინა, თინა	ია, თინა	აχა, χა, ეχი
ჩვენ(ა)	ჩქი	ჩქი	ნა
თქვენ	თქვა	თქვა	სგა
ისინი, იგინი	თინეფი ენთეფე, ემთეფე		აχარ, აχიარ, მინ.
ვინ *)	მინ, მი, მიქა	ნამუქ	იარ
რა	მუ	მუ	მა

შენაშნ. ვინ=ინგ. მინ; ისინი=ისენ; სვ. χ=გ: მ-ყავ =მა-ყა, გ-ყავ=χა-ყა. (ჩუბინაშვილიდამ):

ქართ.	მეგრ.	ჭან.
იმ, იმან	ჰუმ	ჰუმ
მისი	ჰემიში	ჰემიში
იმას	ჰიმუშა	ჰიმუშა
იმათ	ჰინისა	ჰინისა
იმისი, ემისი	ემუში	ემუში
თვითონ	თითონ	თითვან
თვისი, მისი	მუში	მუში	მიჩა

---

*) მეგრ.-ჭანური ჭარუნა. აქაც და სხვაგანაც (ჭარუნს, ვჭარუნთ, ჭარუნთ) ნ იგივე ძველი ქართულია: ვწერენ, წერენ, წერნა, ვწერენით, წერენით, წერნეს; ვწერინ, წერინ, წერნა და სხ. აქ ნ არის ნაშთი ძველის ქართულის და დღესაც მეგრულ ჭანურის ნაცვალ სახელებისა —ინა, ენა=ის, ეს. რადგან ი=უ (დაბეტდილი=დაბეტდული, მარწუხა=სვ. მარწიხ, ლაბული=ჰეგრ. ლაბირი), ამიტომ ენა=უნა.

**) ინგ. მინ. მინაა=ვინ არი? მინამ=ვინმე, ვინამე. მინამ არა—არ-ვინ არი, არვინ არ არის.

დ) მტილში (მტილს, მტილად) მივდივარ, მივალ
(მ) ორტვინიშა მეულურ, მეულუ
(ჭ) ორტულიშა მეულურ
(სვ.) ლარტამთე ესღვრი

შვილმა	ფული	მომცა
(მ.) სქუაქ	ფარა	ქო მუჩუ
(ჭ.) სიქირის	ფარა	ქო-მომჩუ
(სვ.) გეზალ-დ	თეთრ	ლა-მემდ
ფული	გაქვს	(გაქუნ)
ფარა	გი·ღუნი	
ფარა	გი ღუნი	
თეთრ	ჯუ ღვე	
მტილის	ახლოს	ვართ
ორტვინეში	ხოლოს	ვორეთ
ორტულეს	ხოლოს	ვორეთ (ურეთ?)
ლარტამიშ	ფედიას	ხვარიდ
თამარ	დედოფალი	მოკვდა
თამარი	დედოფალი	დოღურუ
თამარ	დედოფალი	დოღურუ
თამარ	დედფალ	ჩვადგან
შავი	ზღვა	
(მ.) უჩა	ზღვა	
(ჭ.) უჩა	ზოღა	
(სვ.) მეშხე	ზუღვა (ძუღვა)	

იყო და არა იყო-რა
(ჭ.) ქორტუ და მუთუ ვარტუ
(მ.) ქორდუ და მუთუნი ვარდუ (მეგრ.)
ლმერთი—(ჭ.) ღომორთი—(მეგრ.) ღორონთი—(ს.) ღე-რმეთ (ღერბეთ).

მ ქუა (მქვა)	(სვ.) მა ქუ
გ-ქუა	ჯ• ქუ
ჰ-ქუა	ხა ქუ

გვ-ქუა	ნა-ქუ
გ ქუა-თ	ჯა-ქუ-ხ
ჰ-ქუა-თ	ხა-ქუ-ხ
მ-ყავ	მა-ყა
გ-ყავ	ჯა-ყა
ჰ-ყავ	ხა ყა
გვ-ყავ	ნა-ყა
გ ყავ თ	ჯა-ყა ხ
ჰ-ყავ-თ	აა-ყა-ხ

ვა-ბამ, ვი-ბამ, ვე ბმი, ვი-ბმი, ვა-ბამდე, ვი-ბამდე.
ხვა-ბემ, ხვი-ბემ, ხვე-ბი, ხვი-ბი, ხვა-ბამდე, ხვი-ბამდე.
მი ბა, გი-ბა, უ-ბა. გვი-ბა, გი-ბათ, უ-ბათ.
(სვ.) მი-ბა. ჯი-ბა, ხო-ბა. გვი ბა, ჯი-ბახ, ხო-ბახ.
შენიშნა. უ-ბა=ინგ. ჰუ-ბა, ხოლო ჰუ=სვ. ხო(=ხუ).
ვი-ბამ, ი-ბამ, ი-ბამს. ვი-ბამთ, ი-ბამთ, იბამენ.
(სვ.) ხვი-ბემ, ხი-ბემ, ი-ბემ. ხვი-ბემდ, ხი-ბემდ, ი-ბემხ.
ვე-ბი, ე-ბი, ე-ბა. ვე-ბით, ე-ბით, ე-ბეს (ებნენ).
(სვ.) ხვე-ბი, ხე-ბი, ხები. ხვე-ბიდ, ხე-ბიდ, ხე-ბიხ.
ვი-ბი, ი-ბი, ი-ბა. ვი-ბით, ი-ბით, ი-ბეს (იბნენ).
(სვ.) ხვი-ბი, ხი-ბი, ი-ბი. ხვი-ბიდ, ხი-ბიდ, ი-ბიხ.

პრეფიქსები:

ა) მ-ღებავი=(მ.) მა-ღაფარი=(ს.)—მ̂ ღფავი.
მ(ა)-შენებელი=(მ.) მა-შენებელი=(ს.) მ̂ ̂-შნავი.
მუ-გუზ(ალ)ი (შეად. გუზ-გუზი) მუ-ღვაზ.
ბ) სა-კვირველი=(მ.) სა-კვირალი =(ს) სა-კვრელ.

სა-კმეველი	=	̂-კამაფუ	=	სა-კმელ
სა-კაცე	=	̂-კოჩე	=	სა კაც
სა-კვამლე				̂ა-კვამ
სა-თვალე	=	სა-თოლე		სა-თალ
სა ზომი	=	̂-ზომალი	=	̂ა-ზმა

შენიშნა. პრეფიქსები ლა, ̂(სა-ს მაგიერ) ძველად ქართულშიაც ყოფილა და „გაქვავებულა“, აზრი დაუკარგავს.

ართული ოხვა (ო·ხვა) იგივე მეგრული ხვამა-ა (ლოცვა), რომლიდგან წარმოსდგა მეგრული ოხვამე=სვანური ლა-ხვამ (საყდარი, სამლოცველო), და რადგან ქართულში ო-ს მნიშვნელობა დაეკარგა, ამიტომ დარჩა სიტყვა ოხვა და მისგან გაკეთდა სა-ოხვო, საოხვამო, სამლოცველო. დ-ს სვანურში დიდი მნიშვნელობა აქვს, გარეგნულად თუმცა სიტყვას აშორებს ქართულს, მაგრამ სიტყვის საზოგადო ძირი უმალვე ცხადდება, თუ ვიცით შემდეგი კანონი, თუმცა არა საყოველთაო:

სვანური	ქართ. ბრძანებითი	სვანურის მნიშვნელობა
ლიმურჯი	იმარჯვე	ძარჯვება, მიმარჯვება
ლიმბვე	იმბვე	ამბობა, მბობა
ლიმუნდე	მიენდე	მინდობა
ლიმნე	იმნე	მნეობა, ქმევა
ლიმსახვრე	იმსახურე	მსახურობა
ლიფთხილე	იფთხილე	ფთხილობა
ლირღვე	არღვიე	რღვევა
ლისმინე	ისმინე	სმენა
ლისედ	იცად	ცდა.
ლისმართლე	ისამართლე	სამართლობა
ლიზვრი	იზვრე	მეზვერეობა
ლიდრაჯი	იდარაჯე	დარაჯობა
ლიდი	იდე	დება
ლიღრალ	იღრე	ღრეობა
ლიღროვი		მოღორება
ლიღლატი	იღალატე	ღლეტა, ძარცვა
ლიღი	იღე	ღება, წართმევა
ლიგურგუნე	იგვირგვინე	დაგვირგვინება
ლინგზავრე	იმგზავრე	მგზავრობა
ლიყანე	იყოლე	ყოლა
ლითი	ითიბე	თიბა
ლიწე	იწე	მწეობა

სვანური	ქართ. ბრძანებითი	სვანურის მნიშვნელობა
ლიშნავი *),	იშენევი	შენება

—

მადილ—მადლი, მალდიან—მადლიანი; მალ—მელა, მატყ—მატყლი, მახე (=მოახე, მოახალე)—ახალი, მახე—ღვაჟ—(=ახალი-ვაჟი) ახალგაზდა. მეზბელ—მეზობელი, მიჟ—მზე და მრავალიც ასე.

—

რაიც შეეხება ქართულსა და აფხაზურს ენებს, აქ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ აფხაზურის კარგად მცოდნე პეტრე ჭარაია ორთავე ამ ენებში ჰხედავს დიდს მონათესაობას. მისი გამოკვლევა ამ საგნის შესახებ, როგორც გვაუწყა სარწმუნო პირმა, უკვე იბეჭდება სამეცნიერო აკადემიის გამოცემებში. აღვნიშნავ ორიოდე მაგალითს.

ვი-ყოფი (ვიმყოფი, ვარ)	აფხ. სჰ-ყოუპ
ი-ყოფი	უ-ყოუპ
ი ყოფის	დჰ-ყოუპ
ვი-ყოფით	ჰა-ყოუპ
ი-ყოფით	შუ-ყოუპ
ი-ყოფიან	ი-ყოუპ
ვი-ყავ (ვიყავნ, ვიყვენ)	სჰ-ყან
ი-ყავ (იყავნ, იყვენ)	უ-ყან
ი-ყო	დჰ-ყან
ვი-ყავით	ჰა-ყან

*) სვანური ლ ი სიტყვას აძლევს განუსაზღვრელ დახრის მნიშვნელობას. ქართულში ლ ი-ს უნდა უდრიდეს ს ი, რომელიც სიტყვას სახელზმნად აქცევს: სიმღერე—იმღერე—მღერა. სიწმინდე—იწმინდე—წმინდა. თუმცა ხშირად ეს კანონი ირღვევა: სიხარული (ხარება), სიტყვა (ტყობა), სიკვდილი (კდომა). სვანურ. ლ ი=ა (რი), (ა რ)ს ი: სვ. მუ-ლ ი=მამა-ა= ინგ. მამაჲ-ს=მეგრ. მუმა რ ე.

ი-ყავით	შუ-ყან
ი-ყვნენ	ი-ყან
ვი ქნები (ვი-ყოლები)	სჰ-ყალაპ
ი-ქნები	უ-ყალაპ
ი ქნება	დჰ-ყალაპ
ვი-ქნებით	ჰა ყალაპ
იქნებით	შუ-ყალაპ
იქნებიან	ი-ყალაპ
მყოფი (მ-ყო, მ-ყუი)	ი-ყოუ

ფრენა	აფხაზურად:	აფრჟრა
ა(ღ)-ფრენა		ავუ-ფჟრრა
გა-ფრენა		აა-ფჟრრა
შე-ფრენა		ათა-ფრჟრა
ჩა-ფრენა		ათა-ფჟრრა
ალმო-ფრენა		აწა-ფჟრრა

ზოგი სიტყვები:

მამა-მუმა — (სვ.) მუ, (აფ.) აბ	
პაპა=ბა-დიდი=ბაბა „	აბ დჟუ (=მამა-დიდი)
ნენა, ნენე, ნანა (დედა)	(აფ) ან
	ან-დჟუ (დიდი-დედა)
ღვდელი—პაპა—ს. პაპა,	აპაპ, ამაძღვარ (მოძღვარი)
მზე	ამრა
მთვარე	ამზა (შეად. მზე)
თვე	ამზა
მიწა	ადგილ
სული (შვინვა)	აფსჟ

სვან.	მეგრ.	ქართ.	აფხ.
ზა, ზავიშ.	ზა-რხული	ზა-ფხული	აფხჟნ
ლუ-ფხვ	გა-ზა-რხული	გა-ზა-ფხული	ააფჟნ
ლუ-ნთვიშ	ზო-თონჯი	ზა-მთარი	აძჟნ
ღამე (მწუხრი)			აწჟხ

ხშირად ყმატება ა:

კაბა—აკაბა, კალთა—აკალთა
ხამი (ხმალი, დანა)—აყამა.
ხერხი—ახუარხი, მაკრატელი—ამარკატილ,
ვანი (სახლი)—ავუნჯ, ფაცხა—აფაცხა,
ოთახი—აუათახჯ, ყავარი—აყავარ,
კიბე—აკიბა, სკამი—ასქამ, კალათა—აკალათჯ,
წუენი—ატუან, გემო—აგემა, მაჭარი—ამაჭარ,
ქვაბი—აქვაბ, საინი—ასაან, ნავი (მეგრ.
ნიში)—ანიში, გუთანი—აკუთან,
ულელი (მეგ. ულუ, სვ. ულვა)—აულუ,
აღვირი—აღურა, ბარდი—
აბარდ, ატამი—ატამა, ბია—აბია,
ბოქლომი—აბარქუამ, ბელურა—აბალრეჯ,
ცვილი—აცუა, ფონი—აფან, ფესვი—აფაშუ,
გული (მეგ. გური, სვან. გვი, გუ)—აგუ, ცილა—აცილ,
ვარდი—ავარდ, ქათამი (მ. ქოთომი, სვ. ქათალ)—აკუტჯ,
თივა (მ. თიფი)—ათუა, იხვი (მ. კუატა)—აკუატა,
ცხენი (აჩი, აჩუა; სვ. ჩაქ)—აჩჯ, კამბეჩი (გომიში)—
აკამბაშ, ლაფშა—ალაშა, ლომი (სვ. ლვემ)—ალმ,
დიდი—ადჯუ. ქართველი (ქორთუ)—აქჯრთუა,
მეგრელი (ეგრელი)—აგრუა, გურული—აგურაა, სვანი
—აშუანუა, ლაზი—ალაზ, ბერძენი—აბერზენ,
თურქი—ათრქუა—ქართლი (საქართველო)—ქჯრთტულა.

—

სარწმუნოება. ქვეყნის შექმნა (ზეპირგადმოცემით). ქართულ სიგელ-გუჯრებში ხშირად იხსენიების ბოროტი სული —სამალი. ეს სამალი ზეპირგადმოცემით ღმერთს უძმია. სამალი ღმერთს მოხმარებია ქვეყნის შექმნაში: უსწავლებია, როგორ უნდა გაეყო წყალი და ხმელეთი. ღმერთს მისთვის დაუთმია საუკუნო სოფელი და თავისთვის დაუტოვებია სო-

ფელი საწუთო *) სამალის მეოხებით გაჩენილა ყოველი უსწორ-მასწორობა, მძულვარება. სამალი თურმე ფრიად სტანჯავდა კაცს. ამან ღმერთს სთხოვა შველა. როგორც შეგეძლებოდეს, ისე გაუმკლავდიო, შემოუთვალა ღმერთმა. კაცმა გაახურა მაყაში, მწვალებელი სამალი რომ კვლავ მოვიდა, მაყაშით სწვდა ცხვირში და მაგრა მოუპირა. სამალმა იწყო ფართხალი, ზნექა, საითკენაც იჭიმებ-იწურებოდა, აქითკენ ჩნდებოდა ღელე-ღულეები, ხრამები, ოღრო-ჩოღროები; მისი კუდი, სხვათა შორის, კავკასიასაც მოხვდა და აქაც ალიმართა, ანაპიდგან ბაქომდე, დახლაკნილი კავკასიონი, ღელეები და ხევები **). ამის შემდეგ სამალი უფრო გადაემტერა კაცს, მისი დაუძინებელი მტერი გახდა. ამნაირად დაიბადა დასაბამი კეთილისა და ბოროტისა. თაგვმა მოიტანა პურის თავთავი. კატამ წაართო, და რომ თვით თაგვსაც გაგლეჯას უპირებდა, სწვდა მას ძაღლი და წაახჩო ***). ღმერთს (ძმას) გაუჩენია ბადის ცა. სამალის (მის დის) გაჩენილ თაგვს იგი შეუუპამია. ღმერთს გაუჩენია ვენახი. სამალის გაჩენილ თხას იგი შეუუპამია. ღმერთს გაუჩენია მგელი და ამას თხა შეუუპამია ****). მგლის შემქმელი, რაღა თქმა უნდა, იქნებოდა ისარი, ისრისა—ჟანგი, ჟანგისა—მიწა, მიწისა—თაგვი, თაგვისა—კატა, კატისა—მგელი, მგლისა—დათვი და სხ.

ცა—ღვთის სატახტოა. თავდაპირველად ცა იმდენად დაშორებული იყო დედამიწისაგან, რომ კაცი ცას ხელით სწვდებოდა. ცაზე სუფევდა ღმერთი და პატრონობდა ქვეყანას, საცა არსებობდა ნეტარება, სიხარული. მაშინ იყო მხოლოდ

---

*) თავისუფალი სვანი. „ივერია“, 1887, № 33.

**) ჩვენი Картвельскія повѣрья, გვ. 3.

***) თავისუფალი სვანი. „ივერია“, 1887, № 30.

****) ვაჟა-ფშაველა. „ივერია“, 1888, № 223.

ერთი ენა, რომელიც ესმოდა ყველა ქმნილებას—კაცს, ცხოველს, მცენარეს, ქვას, ქვეწარმავალს. ყველა პირმეტყველი იყო, პირუტყვი არავინ და არა-რა ჩანდა. ხანდახან ცა იღებოდა და ვინც ამ „ცის კარის“ გაღებას დაინახავდა და რასმე ინატრებდა, გულის წადილი უკლებლივ უსრულდებოდა. მხოლოდ შემდეგში ცა იმ სიმაღლემდე აიწია, რა სიმაღლიდგანაც დაჰსარქლებია დედამიწას. ამის მიზეზად შეიქმნა მთვარის დედა. ამან თავისს შვილს ლავაშით მოჰხოცა უწმინდურობა და მით შეურაცხჰყო ღვთის მადლი—პური. ღმერთმა აღარ ინდომა უმადურ ერთან ახლოს ყოფნა, ცა ასწია და მაღლა აიმართა *).

მზე და მთვარე. მზესა და მთვარეს მამა ერთი ჰყვანდათ, დედები—სხვადასხვა. ორთავენი მნათობნი იყვნენ. ღმერთმა გამოუცხადათ: თქვენს შვილებში ერთი დღის მნათობი—მზე—უნდა იყოსო, მეორე კი—ღამის მნათობი, მთვარე. მზედ ყოფნა სამჯობინარო იყო. რომელიც მოასწრობდა დილით ადრე ადგომას, ის უნდა ყოფილიყო მზე. ერთის მნათობის შვილმა ჭინჭარი და ეკალი დაიგო და დაწვა: დილით მე ავასწრობ და მზედ გავხდებიო. პირველს ხანს ბევრი იფხიზლა სიმწვავისაგან, მაგრამ ბოლოს, გათენებისას, ღრმად ჩაეძინა. მეორის შვილი ადრევე ჩაწვა ლოგინში, დაიძინა, დილას ადრიან გამოიღვიძა, იქცა მზედ და წავიდა მსოფლიოს გასანათებლად. მისს მეტოქეს გვიან გამოეღვიძა და მთვარედ იქცა. სიმცონარისათვის დედა გაუჯავრდა და ცხვირ-პირში ცომიანი ხელი ჩასცხო. ამის ბრალია, რომ მთვარეზე ლაქებივით მკრთალ წერტილებს ვხედავთ.

მზე გმირი ჭაბუკია. ღამე ზღვაში ჩადის, ზღვითვე მიემგზავრება აღმოსავლეთისკენ და დილას ადის ცაზე, საცა აქვს

---

*) ჩვენი Картв. повѣрья, გვ. 2.

სპილენძის *) სახლი, ვენახები. შუადღისას სადილობს. მზე თვითონ არ ანათებს, არამედ მისი ტანისამოსი. საღამოს შინ დაბრუნდება, დედასთან ერთად იძინებს. საცმელს რომ გაიხდის—ბნელდება, დილას რომ ჩაიცვამს—ნათდება. ზღვაში ჩასვლის დროს მზე ოქროს აბნევს. თუ ამ დროს კაცმა კვერნის ტყავი ზღვაში ჩაუშო, ოქროთი გაიჟღინთება. მთვარეს ერთი მხარე ბრწყინვალე აქვს, მეორე—შავი. მზე და მთვარე მადლიანნი არიან **).

თუ რა სქესისა იყვნენ მზე და მთვარე, ჩანს კადმოცემიდამ:

ნათელმა მთვარემა ბრძანა:
„ბევრით მე ვჯობივარ მზესა“.
დაჯდა, დასწერა წიგნები,
ზენა ქარი მიათრევსა.
მზეს რო კაცი მიუვიდა,
მზე ძალიან გაჯავრდესა:
„მე და ვარ და ის ძმა არის,
რად ვძულდებით ერთმანეთსა!“

მაშასადამე, მზე ყოფილა და და მთვარე—ძმა. კახთა გადმოცემით მთვარე იმიტომ არის ძმა, რომ იგი გულმყარია და დადის არათუ მარტო დღისით, როგორც მშიშარა მზე, არამედ ღამითაც **). სტრაბონიც მოწმობს: ივერიისა და ალვანიის საზღვარზე აღმართულიაო ღმერთები—მზე, ზევსი და მთვარე. უკანასკნელს აქ უფრო პატივსცემენ“. მიუხედავად ყველა ამისა მზე მაინც „სამჯობინაროა, ამიტომ რომ მთვარე უამინდობისას გზებს ვერ გააშრობს, ცივანა კაცს ვერ გათბობს, გაყინულს ვერ გამოაცოცხლებს“. მაგრამ, სხვა გად-

---

*) ქვევით დავინახავთ, რომ მზის ღმერთი ა რ მ ა ზ ი იყო გაკეთებული სპილენძისაგან.

**) თავისუფალი სვანი. „ივერია“, 1887, № 37.

***) Сборникъ матеріаловъ, XVII, გვ. 141.

მოცემით, მზე ძმაა, გმირი ჭაბუკი, რომელიც მთვარესავით მალვით კი არ დადის ღამის სიბნელეში, არამედ დღისით, გაბედულად, ვაშკაცად.

აღნიშნულ გადმოცემებით ცხადად ვხედავთ, რომ ქართველების რწმენაში უპირველესი ადგილი სჭერია დამბადებელს ღმერთს და მერე მნათობებს და ამათ შორის მზესა და მთვარეს.

ქართლის ცხოვრება გვაუწყებს (გვ. 21): მთელის საქართველოს მამასახლისი დაჯდა მცხეთას; „მას ჟამს დაივიწყეს დამბადებელი ღმერთი და იქმნეს მსახურ მზისა, მთოვარისა და ვარსკულავთა ხუთთა, ხოლო მტკიცე და უფროსი საფიცარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა“, რომელიც დამარხეს ქალაქ ქართლს (არმაზს).

ეს სიტყვები ჩვენის მატიანისა სრულად მართლდება კვირის შვიდის დღის ქართულ-მეგრულ-სვანურ სახელებითაც. ვიდრე აღვნიშნავდეთ ამ სახელებს, საჭიროა წინადვე მოვიხსენოთ შემდეგი.

რწმენა ქალდთა, რომელნიც ზემო მოყვანილ ცნობებით ქართველთა წინაპარნი უნდა იყვნენ, საკმაოდ ემსგავსება ქართველთა რწმენას. „რა ვარსკვლავზე დაიბადა“, „როგორი ეტლისაა“, „უეტლოა“, „ეტლიანია“,—გვესმის ჩვენ ხშირად.

კაცის დაბადება, ცხოვრება და სიკვდილი, ამბობდნენ ქალდნი, იმყოფება ვარსკვლავთ გავლენის ქვეშე, ვარსკვლავზეა დამოკიდებული კაცის ავი თუ კარგი ბედი, ვარსკვლავნი არიან მაუწყებელნი ღვთის ნებისა, მათს ხელშია ყოველის კაცის, მთელის ერისა და მის მეფის ბედ-იღბალი, ბედისწერა, ეტლი. ქალდნი, ვითარცა ქართველნიც, თაყვანს სცემდნენ ხუთს ვარსკვლავს და აგრეთვე მზესა და მთვარეს. ქალდთა სასულიერო იერარქია იყო შუამავალი ვარსკვლავებით მოჭედილ ცის მსოფლიოსა და კაცთა შორის. ქალდთა ღმერთებად ითვლებოდა ორი უმაღლესი სამება, ხუთი ვარსკვლავი, ღმერთების 12 ბჭე. ეს ბჭეები ითვლებოდნენ მზრუნვე-

ლებად წელიწადის რომელიმე თვისა და ერთ ერთ თორმეტ ბურჯისა *) (ზოდიაქოსი).

შვიდ მნათობთა გაღმერთებამ დიდი მნიშვნელობა დასდო რიცხვს შვიდს. მაშინ ცნობილი იყო შვიდი მნათობი— მზე, მთვარე, მარსი, მერკური, ვენერა, იუპიტერი, სატურნი, —და შვიდი ლითონი. სწამდათ, მნათობებს დიდი გავლენა აქვთ ქვეყნის საქმარშიო. ოქრო შეწირული იყო მზისათვის (ქართულის რწმენით—„მზე რომ ჩადის, ოქროს აბნევს". იხ. ზემო), ვერცხლი—მთვარისთვის, რკინა—მარსისთვის და სხ. კვირის შვიდი დღეც ამნაირადვე იყო განაწილებული შვიდ მნათობთა შორის: მნათობი, რომელიც ჩნდებოდა დღის 1-ლ ჟამს, იმ დღეს ეს მნათობი დაანათლიდა ხოლმე თავისს სახელსაც **).

ვიმეორებთ, ჩვენს ქვეყანაშიაც წარმართობის დროსვე კვირის დღეებს დაერქვა შვიდთა მნათობთა სახელები. კვირა ბერძნული სიტყვაა, ქართულად უნდა ყოფილიყო ნაგზი, როგორც დღეს სვანურშია (ნა-გზი, ე. ი. ერთი გზობის გავლილი შვიდი დღე). აი თვით ეს სახელები:

კვირა	მზისა (დღე)	ჟეშხა (მეგრ.)—(სვ.)	მიშ-ლა-დელ
ორშაბათი	თთვარისა—	თუთაშხა—	დოშდიშ
სამშაბათი	არიასი (არიანი) —	თახაშხა—	თახაშ
ოთხშაბათი	ერმისა—	ჯუმაშხა—	ჯიმაშ
ხუთშაბათი	აფროდიტისა—	ცაშხა—	ცააშ
პარასკევი	დიოსისა—	ობიშხა—	ვობიშ
შაბათი	კრონოსისა—	საბატონი (საბატინი)—	საფტინ.

მაშასადამე, ქართულები, მზესა და მთვარეს გარდა, არიან:

თახა—ბერძნ. არია—ლათინ. მარსი

ჯუმა (=ჯიმა)—ერმი—მერკური

---

*) Фр. Ленорманъ. Исторія Востока, ტ. I, გვ. 426.

**) Дж. Дрэперъ. Исторія умств. развитія Европы, გვ. 301-

ცა—აფროდიტე—ვენერა

ობი (=ვობი)—დიოს (ზევს)—იუპიტერი

სატურნი (=საფტინ)—კრონოს—სატურნი

შენიშნვა. ა. მეგრ.-სვანურში—აშ, იშ, შ ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა (თახაშ=თახასი, ჯუმაშ=ჯუმასი და სხ. მიშ—ლადელ=მიჟ-შ=ლადელ—მზის დღე). ბ. მეგრული სახელების დაბოლოება ხა უნდა იყოს არა დღა—დღე (უდურად ღე—დღე), არამედ ხა (ფესვიდგან ხუალა—შობა, ხუებ).

ქართული წარმართული დროინდელი სახელები „ნაგზისა“ სრულად და სავსებით ამართლებენ ჩვენს მატიანის ცნობას, რომ ქართველები, დამბადებელს ღმერთს გარდა, თაყვანს სცემდნენ მზეს, მთვარეს და ხუთს ვარსკვლავს.

ქართველთა ღმერთები. ახლა ადვილად შეგვიძლიან ჩამოვთვალოთ ქართველთა ღმერთები და შევიგნოთ ისიც, თუ რა იყვნენ, რა ხელმწიფება ჰქონდათ.

ა. დამბადებელი ღმერთი. „დამბადებელ ღმერთს“ ეგვიპტელები უწოდებდნენ „პტა“: იგი იყო „დამბადებელი, შემოქმედი, მამა მსოფლიოსი“. ჩვენებურად: ა) ღმერთი—ლაზურ. ღომორთი—მეგრ. ღორონთი—სვ. ღერმეთ, ღერბეთ და ბ) ღუთა (ღუთის, ღუთაება)—ოსურ. ხუცაუ—თავასარანულად ღუტი (ღუცარ).

ეს სახელები ბაოხის გამოთქმაში სხვადასხვა სახეს იღებენ. ამბობენ: სამხტო (ინგ.)=სალმთო, სამღთო (=სა-მ-ღუთო და არა სა-ღმთო, ხოლო სა-ღმრთო სწორია: სამღუთო—ღუთის შესაწირავი, სალმრთო—ღმერთის შესაწირავი), არის სოფელი სამხტო. ამბობენ სახტარი=საუდარი (=საღუთარი). ამავე ფესვს ეკუთვნიან სიტყვები მღუდელი (მიმღ.), ხუცესი (ნათეს. ბრუნვაა. ოსურ. ხუცაუ—ღმერთი).

ასეთი ცვლებადობა ერთისა და იმავე სიტყვისა მართდება მით, რომ ქართულში ღ ჰფარავს ხ-ს, ყ-ს (ღიგი=ყიგი (ინგ.), ადიება=აყიება, აუოგლება=აუგავიდება (ეგავიდი—სვ. დაიდ), დწეგა=ხწეგა), ტ ჰფარავს თ-ს, დ-ს (ლადატეაგ=ლადადეაგ, ქვიტკი-

ᲩᲘ=ქვითკირი). მაშასადამე სრულიად კანონიერია, როდესაც ვამბობთ დუთა—დ᾽თა—ხ᾽და—ხ᾽ტა—ხ᾽ცა.

აფხაზებს ბევრი ღმერთები და ანგელოზები ჰყავთ, ხოლო ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ღმერთი კი ერთია და მას ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ახდაუ. ეს ახდაუ არის იგივე ხდაუ (რადგან აფხაზურში ემატება ა, იხ. ზემო), იგივე ᲮᲗᲐᲣ, ᲮᲗᲐ, ღთა და შეუმოკლებლად—იგივე ღთა=ღუთა. როგორც ᲓᲐᲣ, ისე სვან. დᲐᲒ, მეგრ. ნდი ᲣᲓᲠᲘᲐᲜ ქართულს დევი, რომელიც ᲣᲬᲘᲜᲐᲠᲔᲒ ᲔᲐᲛᲡ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲡᲐ და ᲑᲔᲕᲠᲒᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲒᲐᲜ ᲘᲧᲝ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲡ, ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔᲑᲘᲡ ღმერთი (იხ. ქვემო „ᲥᲐᲚᲓᲘ“=„ᲥᲐᲠᲗᲘ“). მისგან წარმოსდგა სახელები „ᲓᲔᲣᲡ“=„ᲗᲔᲝᲡ“—ღმერთი. ᲩᲔᲠᲥᲔᲖᲣᲚᲐᲓ ღმერთს ᲓᲦᲔᲡᲐᲪ ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ᲗᲐᲣ, ᲗᲐ.

Ბ. ᲛᲖᲔ. სვანური გადმოცემით, მზეს ᲰᲥᲝᲜᲓᲐ ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ სახლი. იგი იყო ᲭᲐᲑᲣᲙᲘ. ᲢᲐᲜᲗ ᲔᲪᲕᲐ ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲕᲐᲚᲔ ᲡᲐᲪᲛᲔᲚᲘ. ანათებდა არა თვითონ მზე, არამედ მისი ᲢᲐᲜᲘᲡᲐᲛᲝᲡᲘ. მემატიანე მზის ღმერთს არმაზს ასრე აგვიწერს (შატბ. კრებ. X საუკ., გვ. 21): „ᲐᲰᲐ ᲓᲒᲐ ᲙᲐᲪᲘ ᲔᲠᲗᲘ (ᲐᲠᲛᲐᲖᲘ) ᲡᲞᲘᲚᲔᲜᲫᲘᲡ. ᲢᲐᲜᲘᲡᲐ ᲔᲪᲕᲐ ᲧᲐᲕᲘ ᲝᲥᲠᲝᲘᲡ და ᲩᲐᲤᲮᲣᲢᲘ ᲝᲥᲠᲝᲘᲡ (ზევით უკვე ვთქვით, ოქრო მზისთვის იყო შეწირულიო). სამხარნი ᲔᲡᲮᲜᲔᲡ ᲤᲠᲪᲮᲘᲚᲘ და ᲑᲘᲕᲠᲘᲢᲘ. ᲮᲔᲚᲡᲐ ᲐᲥᲕᲜᲓᲐ ᲮᲛᲐᲚᲘ ᲚᲔᲡᲣᲚᲘ, რომელი ᲑᲠᲬᲧᲘᲜᲘᲕᲘᲓᲐ და ᲘᲥᲪᲔᲝᲓᲐ ᲮᲔᲚᲡᲐ ᲛᲘᲡᲘᲡᲐ“. მემატიანევე განაგრძობს: „ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყანისა ნაყოფთა გამზრდელნი,—ᲥᲐᲠᲗᲚᲘᲡᲐᲜᲘ ᲐᲠᲛᲐᲖ და ᲖᲐᲓᲔᲜ, ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი, და ძუელნი ღმერთნი მამათა ᲩᲣᲔᲜᲗᲐᲜᲘ გაცი და გა“ (შატბ. კრებ. X საუკ., გვ. 37).

ᲡᲢᲠᲐᲑᲝᲜᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ (4, 7): „ᲐᲚᲑᲐᲜᲔᲚᲜᲘ თაყვანს სცემენ ღმერთებს—მზეს, ზევს (დიოსს) და მთვარეს, მეტადრე ამ უკანასკნელს“. დიოდორე სიცილიელის ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲘᲗ ღმერთის მზის ᲢᲐᲫᲐᲠᲘ იყო აგრეთვე კოლხიდას, ზღვის პირზე. ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘᲡᲐᲕᲔ მწერლების გადმოცემით თვით ფაზისი (რიონი) იყო შვილი

მზისა, კოლხი—ძე ფაზისისა, აᲐეთისი—ძე მზისა. აᲐეთისი ბრწყინავდა როგორც ოკეანედამ ამომავალი მზის გული. მისი ეტლის ცხენები ისე სწრაფნი იყვნენ, ვით ქარი, და იგინი მოეცა მისთვის ღმერთს მზეს. სჩანს, მზეს უწინარეს დროითგანვე ქართველები თაყვანს სცემდნენ, როგორც უპირველესს ღმერთს სინათლისას. თუშ-ფშავ-ხევსურთა ლოცვა დღესაც ასრე იწყობა *): „დიდება ღმერთსა, დიდება მზესა, დიდება მზის ყველა ანგელოზსა, დიდება გმირ კოპალეს, „ცამდის მაღალს, ზღვამდის მაგარს“. ალბად თვით მზე მიიჩნდათ კოპალედ (მეგრ. კოპული—შურდული), რადგან სჩივებს „ისვრის და ასობს“. ქართულ ენასა და ჩვეულობაში დღესაც ბევრია სიტყვები, მაჩვენებელი მზის დიდებისა, ძლიერებისა, შვენიერებისა და მაცხოვრობისა. ძველს ელისენში თანაბარია ფიცილი: ზისმა, ღმერთიმა (მზის-მადლმა, ღმერთის-მადლმა). „მზის წვერმა უნდა წაჰკრასო ჭიის თესლს, რომ მურს სიცოცხლე მიეცესო“. „მზე შინაოს“ სიმღერა იგივე მზის დიდებაა. ფიცილი კაცის „მზით“ („შენმა მზემ“, „ჩემი მამის მზემ“ და სხ.) უწინ იგეთივე მტკიცე ფიცი უნდა ყოფილიყო, როგორც ქრისტიანობაში ხატსა და ჯვარზე დაფიცვა. მზეს ადარებდნენ უწინ ყველა კარგს, შვენიერს და ასრე წარმოსდგენენ სიტყვები: ენა-მზეობა, მზე-გრძელობა, მზექალი, ქალთამზე, მზევინარი, ხვარამზე, მზეჭაბუკი.

ეგვიპტეში სწამდათ, ხარი არის ღვთიური ემბლემა მზისა, რომელიც დროგამოშვებით იბადება ელვის მიერ დამაკებულ ქალწულ ძროხისაგანო. შეიძლება ჩვენშიაც ასრე ყოფილიყო. ხარის „ქედის მადლით“ ფიცილი აქ ყველგან იციან. ამას გარდა მზისა და რძის სახელი ერთი და იგივე ყოფილა ჩვენში.

ა) მზე—ინგ. ზეᲐ—მეგ. ბუ—სვ. მიუ—ლაზ. მჟორ

---

*) ალ. ხახანაშვილი. „ივერია“, 1888, № 177.

ბ) რძე, სძე ინგ. ზეᲯ— — ბᲟᲐ— — ᲔᲜᲯᲔ.

ალბად მზე მაწოვნებელადაც ითვლებოდა.

არმაზი, საცა იყო ქართველთა სამება, ორმუზდ-ად მიაჩნიათ. ქართველი მწერლები მას არმაზს უწოდებენ. მისს ხევს დღეს ჰქვიან ალმასის წყალი. ბერძნების არც ერთი მწერალი „არმაზს“ არ ამსგავსებს ორმუზდს. იგია არმოზიკე (სტრაბ.), ᲰᲐᲠᲛᲐᲡᲢᲘᲡ (პლინ.), არმაკტიკა *) (პტოლომ.).

მემატიანე აბობს: „ფარნავაზ შექმნა კერპი დიდი სახელსა ზედა თვისსა. ესევე არს არმაზი. და ფარნავაზს სპარსულად არმაზ ერქვა. ამართა კერპი იგი არმაზი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა მიერითგან ეწოდა არმაზი კერპისა მისთვის“.

სახელს „ფარნავაზ“ ბერძნები სწერენ „ფარნაბაზის“. დაბოლოებანი ვაზი (=ბაზი) და მაზი (არმაზი) ჩვენ მიგვაჩნია მზე-დ, რომლის სახელი მთვარის სახელად გადაქცეულა—აფხაზურში—ამზა, წახურულში ვაზ **). ფორმები მზე=ბᲟᲐ=მიᲟ მიმღეობაა და სვანურის გამოთქმიდამ (მიᲟ) სჩანს, რომ ძველად ქართულშიაც უნდა ყოფილიყო მეზე, მოზე, მაზე (აწ: მე-მზე, მომზე, მა-მზე, ე. ი. ის, რომელიც მომზეობს, მზის ბადალია.

ამიტომ ასრე უნდა ითარგმნოს სახელები: ფარნავაზ—ფარა-მზე (ფარნა-მზე: ვფარენ, ფარენ, ფარნა), ფარნაᲯუმი—ფარნა-Ჯუმი ***).

---

*) ალბად უნდა ეთქვა „არმაზ—გაცი-გა“ (იხ. ქვემო გაცი, გა“). „ᲰᲐᲠᲛᲐᲡᲢᲘᲡ“ არის არმაზ-თა, არმაზ-თისი.

**) საყურადღებოა, რომ კავკასიანთა ზოგიერთ ენებზე მზის სახელი გადაქცეულა მთვარის სახელად. შეადარე: მ ზ ე (ᲑᲟᲐ, მიᲟ. ზეᲯ)—აფხ. ამრა—არჩულად ბარᲟ—ყუმუხ. ბარᲚ—ავარულ. ბაᲟ—ახტურ. რაᲚ—წახურ. ვირᲔᲚ—უდურ. ᲑᲔᲚ. მ თ ვ ა რ ე: აფხაზ. ამზა—არჩულ. ბაც—ᲟᲣᲛᲣᲮ. ბარზ—ავარ. მოწ—ახტ. ვარზ—წახურ. ვაზ.

***) იხ. ქვემო—ᲯᲣᲛᲐ, ᲯᲘᲛᲐ.

შ ე ნ ი შ ნ. ეგვიპტელთა ღმერთი იუო ჰორ=რა (მზე), მისს შვილს (ვაჟს) ერქვა შუ, მისს ასულს—ტეფნეტ, მისს დედას—ჰათორ =ჰეთერ (=ბერძნ. ათროდიტა). ეს ჰათორი იუო „სახლი ჰორ“-ისა, „მეფლობი უფლა ღმერთებისა“, „მზრდელი ჰორისა“, აღმზრდელი ზეცისა და ქვეყანის კეთილმოქმედებითა. მისი სქმე იუო შობა და კვება.—უფლა ეს სახლები, რასაკვირველია, სახელწოდებაა საზოგადოდ სინათლისა. ვიდრე ეთერისაგან დაიბადებოდეს მზე, ჩნდება ჯერ მისი „ძე“, შუქი, მერე თანდათან რაჟ-რაჟდება და ამოდის მზის „ასული“ მთიები და მას მოჰყვება თვით მზეც *).

გ. მთვარე. ჩვენი ღმერთი მთვარე ულრის ბერძნულს არტემის ანუ არტემიდას. მისი საკერპო და აგრეთვე მის ძმის აპოლონისა იყო აწყურში (ქ. ცხ., 44). ჩვენში მთვარეს მზის ძმად სთვლიდნენ; ძმაა, რადგან მზესავით მშიშარა არ არის, დღე-ღამე დაიარებაო. საბერძნეთში იგი მიაჩნდათ მზე-ღმერთის აპოლონის დად. არტემი, დაი აპოლონისა, ქალწული ღმერთი მთვარისა, დადის მთებსა და ტყეშიო, ნადირობსო, იბანება ციეს წყაროებშიო **), მფარველობას უწევს მონადირეებს, ღამე აჩენს ცხოველს ცვარ-ნამს, ემტერება მეზღვაურთ (მის გულის მოსაგებლად სამლთოდ სწირავდნენ ადამიანებს). იგი იყო ღმერთი ნოყიერებისა, მიწას ანაყოფიერებდა, ქალთ შვილებს აძლევდა. მას სახავდნენ ქალის მსგავსად ***) ბევ-

---

*) ჰ ო რ, რა (მზე). შეად. სვ. მარჰი—სინათლე, რეჰარდ, რიჰი—რიჟ-რაჟ. აფხ. ამრა—მზე.სვ. ჰალ, ჰალვენ=მეგ. ალონი=ალიონი; სვანურს მარჰი და აფხაზურს ამრა ენათესავება ქართული მრიალი=ბრიალი, პრიალი, ბრწყინვა. სახელი რამზეს შეიძლება იყოს მზემზესი (რა-მზეს) და აგრეთვე ჰარ-მაზ=ჰალ-მაზ (სვ. ჰალ=ალი)=ალი-მზე.

**) მაშასადამე, მთვარის ამ ძალისა და თვისების გამომჩენელი ყოფილა ქართველთა ალი (სვ. ჰალ)-

***) ქალდეველი (ქალდი) სწორედ ქალ-დევია, ქალღმერთი (იხ. ქვემო).

რის ძუძუებით: ნიშნად უხვობისა. მისს საკერპოში იყო ბევრი შეიარაღებული ქალი. ბერძნების სიტყვით, მისი ტაძარი აღმართეს ამაზონებმა (ვებერ. II, 53).

დიოდორე სიცილიელი ამბობს, არტემის ტაძარი ააშენა ჰეკატემო, კოლხიდის მეფის აიეთის ცოლმაო (ჰან, 88). ზევითაც მოვიყვანეთ სიტყვა სტრაბონისა, რომ ალბანიაში თაყვანს სცემდნენო მზეს, ზევს და მთვარეს და ამ მთვარეს აქ უპირატესობა ჰქონდაო (იხ. ქკემო ქართი, ქალდი).

ჩვენის ღმერთების ქვეყნიურს საკერპოებს შემდეგში დაერქვა ხატი და მათ თაყვანის ცემის დღესასწაულს—ხატობა. ფშავლების გადმოცემით *), ხატი ღვთის გაჩენილია, ღვთის შვილია, ქვეყნიური ბატონი. ხატები პირველად იყვნენ კაცები მადლიანი, უცოდვონი. რომ დაიხოცნენ, ღმერთმა იგინი აქცია ხატებად, ანგელოზებად. ხატს ჰყავს მოსამსახურედ დობილები ანუ მხვანი. ვის ჯავრის ამოყრა უნდა, ამ მხავანთ მიუსევს. ხახმატის ჯვრის დობილები იყვნენო სამძიმარი, თამარქალი, ხოშაქი, მზექალა და აშექა. მატიანეს გადმოცემითაც აწყურს, არტემის (მთვარის) საკერპოს დიოფალად იყო სამძივარი.

დ. თახა. სამშაბათს ერქვა თახაშ, ანუ არეასი. არეა იყო შვილი ზევსისა და ღერასი, ღრუბელთა ქალ-ღმერთისა. ითვლებოდა სიმბოლოდ აბობოქრებულ ცისა, ქარიშხლისა. შემდეგ შეიქმნა ღმერთად ომ-ბრძოლისა, ლაშქრობისა. იგი შეიარაღებული მეომარია, უყვარს ბრძოლის ჭახა-ჭუხი. იგი მრისხანეა, მღელვარე.—არეას ტაძარი, ბერძენთა მწერლების გადმოცემით, იყო კოლხიდაში, მეფის აიეთის ქალაქის ახლოს. აპოლონ როდოსელი (250—200 ქრ. წ.) ამბობს: „მეომარ კოლხების ქვეყანაშია მდ. ფაზისი, რომელიც ამარანთას მთებიდამ გამოდის. აღმა რომ გასცუროთ, დაინახავთ ქუთაიდის

*) ვაჟა-ფშაველა. „ივერია“ 1888, № 223.

მეფის აიეთის ციხეს და ჩრდილოეთისა და წმინდა ჭალაკს არეი-ია. აქ საშინელი გველაშაპი არემარეს განიმსტრობს, უდარაჯებს ოქროს საწმისს, რომელი გართხმულია მუხის წვერზე. ამაზონები ამ არეასაგან დაიბადნენ *), ამიტომ მათი საქმეა მეომრობა. აჲეთი მზის შვილია და თავის თავზარ დამცემ ხმითა და დიდის ღონით შეედრება არეას. თვით საწმისის მცველი გველაშაპი აქვე, კავკასიაში, დაბადებულა. არგონაველნი რომ ალმა მისცურავდნენ ფაზისზე, მარცხნივ დაინახეს კავკასიონი და აჲეთის ქალაქი ქუთაის (Khutaiis-polis), მარჯვნივ კი იყო არეას მინდორი და წმ. ჭალაკები ამ ღმერთისა“ (ჰან. გვ. 45—48)... არეი ამაზონების წინაპარია და ასწავლა მათ მეომრობა, იარაღის ხმარება, საომარ რაშებზე ჯდომა და ცხენების გაშენება, მოვლა (იქვე, 177).—პავზანი პერიეგეტს (70 წ. ქრ. შ.) შეუტყვია, საბერძნეთში არეას ტაძარი კოდხიდიდგან გადმოიტანესო (იქვე, 130).—შეიძლება ასეც ყოფილიყო. არეას=არიას სახელი ჩვენ დღესაც გვესმის სახალხო სიმღერაში: „არი-არალო, თარი-არალო“ თვით თახა უნდა ნიშნავდეს მეომრობას, თხევას, ტეხვას (ტეხვა=მეგრ. ტახუა). თახას ტაძარი შეიძლება ყოფილიყო თხოთს, საცა წმ. ნინომ ალმართა ცხოველმყოფელ ხისაგან გაკეთებული პირველი ჯვარი.

ე. ᲯᲣᲛᲐ=ივ. ᲯᲘᲛᲐ. მის სწორი არის ერმი, ჰერმესი (შეარკვირი), მოციქული ცისა, ღრუბელთა (წვიმის), მპარველი საბალახოების და მწყემსების მფარველი, თავიდგან მოხერხებულად ამცილებელი უბედურობისა, მწე იმათი, ვისაც შეუძლიან მოხერხებულად ილაპარაკოს, მართალი დამალოს, მიეფეროს, გულჩათხრობილი იყოს. იგი იყო აგრეთვე მფარველი ვაჭრობისა, რიტორობისა, მოციქულობისა.—ეს ᲯᲣᲛᲐ=ᲯᲘᲛᲐ უნდა იყოს ის მნათობი, რომელიც დიდით ეველაზე ადრე იწყებს ციმ-ციმს, ჯიმჯიმს, ჯვირვას (სბეთი: „ჯიმჯიმელი—არიას

*) ამაზონები ანუ მ ზ ა ნ ე ბ ი—მეგრელები (იხ. შენიშნვა 437).

ცა მეხუთე“), მწყემსებს ადვიძებს თავის შუქით (შუქურ-ვარსკვლავი“, რომელიც „მობრძანდა-რა, ძალიან დათვრესა, ხალათი გამოუცვალეს, კაი ჩოხა ჩაცვესა), ადვიძებს ყველა მოსაქმე კაცს, მოტიქულია, მახარებელი გათენებისა, ადგომისა, სიცოცხლისა. ამ მოტიქულს მოჭყვება ტისკარი (მ.—ოჭუმარე=სა-ჭუმა-რე—საჭვირეო, სა. ტიმტიმო; ჯ=ჭ: ჯინჭარი=ჭინჭარი). იგი, როგორც მწყემსთა მფარველი, არის აგრეთვე წვიმის მომყვანელი (წუმა=წვიმა=მ. ჭვიმა) და სიბალახეების მზრდელი. შეადარე სახელები: ჯუმის წყალი, ჯუმა-თი (თი ვით მუხათი, ფერსათი, ქუთათი), ჯიმითი. ‖ ჯუმა=ჯიმას მფარველად უნდა ყოფილიყო მეფე ფარნაჯუმი, ფარნაჯიმი (ფარნა—ჯომი).

ვ. ცა=ცაა. მისი სწორია აფროდიტა. მატიანეს გადმოცემით აფროდიტის კერპი მოიტანა საბერძნეთით მეფე რევის (186—213) ცოლმა სეფელიამ მცხეთას. ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მსგავს ღმერთის თაყვანისცემა ამის წინად არ იცოდნენ ქართველებმა. ამას ცხად ჰყოფს სვანურ მეგრული სახელი ხუთშაბათისა ცაშხა, ცააშ. თვით საბერძნეთში აფროდიტეს კულტი გადინერგა ფინიკელების ახალშენებიდამ (ვებერ, II, 54). აფროდიტა იყო ფინიკიელთა აშერა და ასტართა. აფროდიტა უდრიდა აშერას, როდესაც იყო ქალღმერთი, მოტრფიალე ბაღებისა და ყვავილების, მცხოვრები ჭალებში, ქალღმერთი საამურ გაზაფხულისა, ტკბილად დროს გამტარებელი ტყეში მაღალს მთაზე ჰაბუკ ადონისთან *) ერთად. ასტარტად იყო მაშინ, როდესაც თაყვანს სცემდნენ ვითარცა „სიმაღლეთა ქალღმერთს“, ქალთა ქალწულობისა, ცოლქმრობისა და ზნეობის დამცველს. საბერძნეთში აფროდიტე შეიქმნა შვენიერების ღმერთად, გულის გამხარებელად და თვალის მ სიამოვნებლად.—მისი სახელის საკერპო უნდა ყოფილიყო სოფ. ცაიშს, საცა ქრისტიანობის ჟამს ააშენეს ტაძარი ცაიში.

---

*) ამ ადონისს ერქვა აგრეთვე „გაიას .

ზ. ობი=ᲒᲝᲑᲘ. ბერძნ. დიᲝᲡი იგივე ზევსია, და რადგან პარასკევი იწოდება დიᲝᲡᲓ (მეგრულად—ობიშ-ხა, სვანურად—ᲒᲝᲑᲘᲨ), ამიტომ ობი უნდა იყოს იგივე ზევსი. ბერძნების გადმოცემით, ზევსი არის ღრუბელთა შემკრები, ტახტს მᲧდომი ეთერზედ, მრყეველი ელვარე ფარითა (წვიმის ღრუბლით), განმაცხოველებელი და განმანაყოფიერებელი მიწისა, დამადგენელი წეს რიგისა და მცველი მართლიერებისა, მფარველი სᲧულიერებისა, მეტადრე საოᲧახო წესისა და სტუმართ მოყვარეობისა. იგი აძლევს კეთილდღეობას მეფეებს, ერს, ქალაქებს და ოᲧᲮᲔᲑᲔᲑს. მთავრობას ავალებს კეთილად იზრუნოს ქვეშევრდომთათვის. იგი თვით ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐᲐ, წყარო კეთილისა და კეთილშობილებისა. იგია მამა ქალღმერთებისა, რომელნიც არიან სიმბოლონი დრო-ᲟᲐᲛᲗᲐ, წელიწადის ცვლილებათა და კაცთა ცხოვრების მსვლელობისა. იგია მამა მგოსნობის ღმერთებისა, კაცის გულის განმახარებელთა. მისი ცოლია ღერა, მრისხანე ქალ-ღმერთი ღრუბელთა, რომლის მოსამსახურეებია ცის-სარტყელა და ღრუბელნი *). ამასთანავე იგია დამადგენელი ქორწინების საღვთო კავშირისა და ამისგამო მისი დღესასწაული გაზაფხულს უნდა მოირთოს ყვავილებით. იგია მფარველი ᲥᲛᲠᲘᲡ ერთგულ დიასახლისისა. იგი ქორწინებას აკურთხებს შვილებითა და ზრუნავს შვილთა დღეგრძელობისათვის. იგივე მშობიარეთ უმსუბუქებს ტკივილებს. —ყველა ამ თვისებებით შემოსილია ქართველთა ზენაარი, უფალი (=ოფალი). თვით მეგრ. ᲒᲝᲑᲘ და სვ. ᲒᲝᲑᲘ **), რასაკვირველია, უნდა იყოს იგივე ოფალი, უფალი.

ამ სიტᲧვის ძირია ფ, ᲐᲡᲒ: მᲧუᲤᲔ, სᲧეᲤᲔ, სᲧეᲤᲘᲡ-კᲧერი, სᲧეᲤᲔ-წᲧალი, სᲧეᲤᲔ-ქᲐᲚᲘ (სᲒ. ᲓᲘᲤᲔᲚᲔ), მᲧეᲤᲔ=მეგრ. მᲐᲤᲐ, მᲐᲛᲤᲐᲚᲘ

---

*) ღრუბელი=მეგრ. და ინგ. ღურბელი, რასაკვირველია, წარმოსდგება ᲮᲛᲜᲘᲓᲐᲛ ღრვა, ღურბელი, ის, რომელიც იღვრება, წვიმას ადენს. ღურბელი=მღურველი, მღვრელი.

**) Ე ᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ თავში: ᲔᲠᲫᲘ—სვ. ᲔᲠᲧᲘ, ᲝᲠᲘ—ᲔᲝᲠᲘ.

(—მამა-უფალი), დედუფალი=დედოფალი=სვან. დედფალ, სვ. ფუს =ფუსტ=უფალი. მნიშვნელობა სიტყვისა უნდა იყოს: ფლობა, ჭოფე (მეგ.)=ეოფნა=სუფევა (ს ემატება: სვდა=ვდა=მეგ. ულა, სძე =ინგ. ზეკ). თვით სეფე უნდა იყოს იგივე სა-ფე=საუფე (მეუფე *)= ოფე **) (ოფალი), რადგან მეგრ. ო=სა: ო-ჩიდე=სა-ტოლე, ო-ზომალი=სა-ზომელი, და ამიტომ ოფალი=სა-ფალი ანუ სა-ფე= უფე=ოფე=სა-უფე.

ვიმეორებთ, ობი-შ იგივე ოფია, უფი-ს, უფლი-ს=სვ. ფუს, ფუსტ **). — მისი ტაძრები უნდა ეოფილიეო ობის-ციხეს (ტაბახმელას ახლო ველზე), ეფლის-ციხეს, სამეგრელოს სოფელს ოფიშ-კვითს ანუ ობიშკვითს, აჭარაში—ოზიზს და იქვე ოზისწყალს. მეფარველს ღმერთს ადესაც ქართველნი დაჭმდერიან: „ფარინე, ფარინე, სულ ფარინე“ (ფარინა სიტყვიდამ ფარეა, ფარი. ამგვარივე დაბოლოება აქვს ვანის წარწერების სახელებს: ხატი=ხატინა, ქალდი—ქალდინა.

Ბ. საბატონი. (=საბატინი), სვ. საფუტინ, აფხაზ. ასაბა-შა. მეგრული „საბატონი“, „საბატინი“ გვაძლევს საბუთს ვი-

---

*) ჩვენში მეფე და ნეფე ერთი და იგივეა. „ღმერთნი ღმერთობენ და მეფენი ნეფობენ“ (შატბერდის კრებ. X საუკ., გვ. 16). ქალდიაში ნებო იყო „უმაღლესი ადგილი“, ღმერთი წინასწარმეტყველებისა, რიტორობისა, მეფის კურთხევისა, განსაკუთრებული მწე მეფეთა. მას ხატავდნენ ნეფის სახით, გვირგვინოსნად, სამეფო საცმელით (ლენორმანი, Исторія Востока, I, გვ. 366).

**) დაბოლოებას ე მოითხოვს სა: სა-წიგნ-ე, სა-ხატ-ე, სა-მარ-ე, ოღეჯე=საღორე (ოღეჯე=საღოჯე=საეშვე: ღეჯი-ღოჯი-ეშვი).

***) იგივე ობი, ობიშ, ბკუაზედ ახლოა, გადაქცეულ იყოს ქართველთა ღმერთად ბ ო ჩ ი, ქართველთავე ღმერთად ფ უ ფ ა ლ ა (ეგვიპტის დაშპყრობ ანიელ ერის ღმერთს ერქვა ბუბასტ ანუ ბასტ. სვანურად ფუს=ფუსტ —უფალი), აფხაზთა ღმერთად ა ფ ი, თარგიტას შთამომავალ „სკვითთა“ ღმერთად პ ა პ ა ჲ, რომელიც ჰეროდოტეს სიტყვით (IV, 5. 59. 127) იყო იგივე ზევსი.

ფიქროთ, რომ ეს სიტყვა არ არის გადასხვაფერებული „შაბათი“. ყოველ შემთხვევაში, ერს სდომებია გამოეთქვა, რომ ეს დღე არის საბატონო. ამას ამართლებს მისი სახელი „კრონოსისა“.

„ღმერთი ცა, გამანაყოფიერებელი მიწისა (სვან. გიმ—მიწა), მოკლებულ იქმნა უფლებას კრონისაგან, სიმბოლოსაგან ცის იმ ძალისა, რომელიც ამწიფებს მიწის ნაყოფს. კრონი შეიქმნა მეუფედ. მისი მთავრობა ოქროს საუკუნე იყო. მაშინ „მარად მწიფობდა ხეხილი და მარად მწიფობდა ყანა“. იგი თვით მარად მოხუცი იყო, განახლება არ შეეძლო. იყო ჩამომხმარი, მოლუნული, გძელ წვერა, ჭაღარა თმიანი. ნაწინასწარმეტყველევი ჰქონდა, რომ მას დაამხობდნენ მისნი ძენი ისე, როგორც თვითონ დაამხო თვისი მამა. ამიტომ იგი სჭამდა ყველა თავის შვილს, რომელიც უჩნდებოდა თვისის ცოლის რეასაგან — „დედა-მთისაგან“. ბოლოს რეამ შობა ზევსი და დამალა. ზევსი რომ წამოიზარდა, დაამარცხა თვისი მამა და თვითონ შეიქმნა მეუფედ ცისა და დედამიწისა (ვებერ, II, 46).

თ. გაცი და გა. არმაზის მთაზე სამებას შეადგენდნენ არმაზი, გაცი და გა. „და მარჯულ (მარჯვენით) მისა (არმაზის) დგა კერპი ოქროისა და სახელი მისი გაცი და მარცხლ (მარცხენით) მისა კერპი ვერცხლისა და სახელი მისი გა“. (შატბ კრებ., 21). „ყოვლისა დაფარულისა გამომეძიებელნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩვენთანი გაცი და გა“ (იქვე 37). „ესენი ღუთად ჰქონდათ“ (იქვე, 21). ეს გაცი ეფთვიმე მთაწმინდელით († 1028 წ.) არის კაცი. იგი იხსენიებს თითქმის ყველა იმ ღმერთებსაც, რომელთა შესახებ ცნობა ზევით მოვიყვანეთ. ეფთვიმე ამბობს (მცირე სჯულის კანონი, გვ. 121): „მოისპენ საწარმართო სახელის დებანი დიოს, აპოლონ, არტემ, ბოჩი, კაცი, გა, გეონ და არმაზ.., ანუ რომელნი წნეხასა ყურძნისასა ბილწისა მის დიონოსეს სახელსა იტყვიან და სიცილსა აღაზრზენენ“. რადგან „კაცი“ აგრეთვე ნიშნავს ქმარს, ამიტომ მის მოპირისპირე გა უნდა ყოფილიყო მისი ცოლი,

ე. ი. ერთი—კაცი და მეორე—ქალი, ერთი—გამანაყოფიერებელი, მეორე—ნაყოფის მომცემი (მო-კათუ), ერთი ცა, მეორე დედამიწა (დიხა).

ჩვენში ქალი და ვაჟი ირჩევა მხოლოდ მით, რომ ერთი არის დედა-კაცი და მეორე მამა-კაცი. ამიტომ ორთავე ეს ღმერთები უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ კაცი, ანუ, უკედ ვთქვათ, მხოლოდ კ (კაცი=კოჩი: მიცემითი ბრუნვა კოს და არა კოჩს, სახელობითი ძველი კათა=კაცთა, „ორსული"=მო-კათუ (მოკაცებული!).

ალბად ვაჟსა და ქალს ყმაწვილობაში ერქვათ კა მსგავსად სიტყვისა „შვილი", „წული" და მხოლოდ მოწიფულობის, დავაშკაცების დროითგან ვაჟს ეწოდა კაცი=კოჩი ალსანიშნავად იმისა, რომ ის ალარ არის კა, არამედ ცოლოსანი, კაცი, კოჩი (იხ. ქვემო ცნობა შესახებ ცეცხლის მომტაცებელისა ციდგან).

ზევით უკვე ვთქვით, რომ მეგრულ-სვანური ცა არის ბერძნების აფროდიტეო. ეს აფროდიტეც ორს დასაბამს ემსახურებოდა: იგი იყო ფინიკელთა აშერა, როდესაც ეტრფიალებოდა ჭაბუკს ადონისს, ტკბებოდა წალკოტებში, ბაღებსა და ჭალებში, ფინიკიელებისავე ღმერთი ასტარტა იყო მაშინ, როდესაც იყო დამცველი ზნეობისა, ცოლქმრობის სიწმინდისა, როდესაც იყო „სიმაღლეთა ქალღმერთი". აი, ამ ასტარტას ნაცვლად ქართულს დაბადებაში გვხვდება გა ანუ „მაღნარი გაი", ე. ი. იგივე „სიმაღლეთა გა". მაშასადამე, რადგან გა არის იგივე ასტრატე, გაცი უნდა იყოს აშერა, ცოლი ჭაბუკის ადონისა, რომელსაც ერქვა აგრეთვე „გაუას", „გაიას" *).

გამოდის, აფროდიტე-აშერა გაიას ყოფილა გაცი, ხოლო აფროდიტე-ასტრატა—გა=გაი ანუ აფროდიტე-აშერა ცა („აფ-

---

*) ნ. ეს სიტყვა მარრის Боги языческой Грузіи-ში გვ. 18.

როდიტისა“=„ცაშ·ხა“) და აფროდიტე-ასტრატა—მიწა (სვ. გამ—მიწა. გაი-ს ერქვა აგრეთვე გაიმ).

მართლაცა-და, ცა ჩვენში წარმოდგენილი ჰქონდათ ბუმბერაზ კაცად, რომელსაც არტყია მრავალ-ზოლებიანი სარტყელი (ცისარტყელა), რომელსაც იქ აქვს დიდი სახლი, ერთ კარიანი (ცის-კარი), აბია ცეცხლის თვალები (მზე და მთვარე), რომელიც ხანდახან მრისხანებს (ჭექა-ქუხილი), გაფიცხებული ცეცხლის ეტლით მიაქროლებს (ელვა), აჩენს ცეცხლს (მეხი), მიწას ანაყოფიერებს წვიმითა და სითბოთი.

მიწა *), რაღა თქმა უნდა, იყო ქალი, რომელსაც ანაყოფიერებდა მისი „კაცი“ (=ქმარი). იგი იყო დედა, რომელიც აღიებდა, აღორძინებდა, იხვეებდა, ამცენარებდა. სიტყვით, იგი იყო „დედა-მიწა“ ანუ „დი·ხა“ (დი=დედა!), იყო ქვეყანა, ღმერთი ყანისა, ჯეჯილისა (სვ. ჯეჯი), ხისა (ხე—მეგრ. ჯა—სვ. მე·გამ), აგარასი, ყოველის თესლ-მარცვლის ამღიეებელი (ღივი=ინგ. ყივი).

ნიმფადორ სირაკუზელი შენიშნავს (ჰან, გვ. 208): „კოლხნი უმეტესად პატივსცემენ ცასა და მიწას“. იაზონმაო, ამბობს აპოლონ როდოსელი (250—200 წ. ქრ. წ.), თავის ოქროს კირასაულით, რომელიც სავსე იყო წმინდა ღვინით, „ჰეეთის ქალაქს ქუთაისს (Kutaiis), რომ მივიდაო, აპკურაო პატივად ქალღმერთის მიწისა“ (იქვე, 48).

ღმერთებს, როგორც დღეს ფშავ-ხევსურეთში ხატებს, უნდა ჰქონოდათ თავ-თავიანთი მამულები, სახატო მიწები. მათგან, ჩვენის ფიქრით, დაენათლა სახელები—გაჩიანს (გაცი=

*) მიწის ღმერთს გა·ს, გაი-ს, გაიმს (სვ. გიმ—მიწა) ბერძნულად ერქვა გ ე ა, რომელიც იყო მომასწავებელი საზოგადო ცნებისა შესახებ მიწისა, ყოვლისფრის აღმომცენებელისა და ყოვლისავე უკანობლივ მიმღებელისა“ (ვებერ, II, გვ. 57).

გაჩი=გაჩიანი), ზედაზენს, არმაზთა-ს, ცაიშს, ᲯᲣმათს, თხოთს, უფლის ციხეს და სხ.

„ქართლოს იყო ძე თარგამისა“ (=თორღამისა). აქ თუ რაიმე სიმართლე არის, „თარგამი“ შეიძლება იყოს თარგაიმისი, ე. ი. „მთავარი მიწისა“ (სვ. თარინგზელ=მთავარ-ანგელოზი), თარ-ჰამეშ—მთავარი დილისა (სვ. ჰამ=ჰამეშ—დილა) (ქალდთა პირველს ისტორიულს მეფეს ერქვა ურხამ*), „სკვითთა“ პირველს მეფეს ტარგიტაᲐ **).

ი. ზადი, ზადენი. მეფე ფარნაᲯომმა ააშენაო ციხე ზადენი და მასში დადგაო კერპი ზადენი. ციხე-ზადენის მოსახელე ქალაქი—ზადდი—იყო ქალდიასაც, აკკაში.—საქართველოს უდიდესი ღმერთები, გარდა დამბადებელის ღმერთისა, იყვნენ არმაზ და ზადენი; ესენი იყვნენ „ნაყოფთა მომცემელნი, სოფლის მპყრობელნი, მზის მომფენელნი, წვიმის მომცემელნი, ნაყოფთა გამზრდელნი“. რადგან ამგვარები იყვნენ მზე და მთვარე და რადგან არმაზი ღმერთია მზისა, ამიტომ ზადენი უნდა იყოს მთვარე ღმერთის ის ძალა, რომელიც აჩენს წელიწადის ცვლილებას, რომელიც დრო-ჟამის ღმერთია, ნაყოფთა მზდელი (ზდა=ზარდვა), ყოველიფრის მმზადი (მზა=მზათ=ზათ)=მეგრ. ზადუა=მზადება).

სვან. ზა—წელიწადი (მეგრ. წანა). (მიმატებულია წადი (წელი-წადი), რადგან თვით წელი იგივე წაა=წანა=სვ. ზა

---

*) ვ. ზაიცევი Древняя ист. Востока, გვ. 76.

**) ეს ტარგიტაᲐ იყო ᲠᲐᲠᲐᲐს შვილი. ტარგიტაᲐს შვილები იყვნენ: ლიპოკსაის-ი, მამათმთავარ ი ავზატ-ებისა, არპოკსაის-ი, მამათმთავარი კატიარებისა და ტრაპიებისა, კოლაკსაის-ი, მამათმთავარი პარალეტ-ების ა. მათ ჰყვანდათ ღმერთები: ტაბიტი—გისტია, ᲠᲐᲠᲐᲐ—ზევსი, აპი—მიწა, ოიტოსირ (ჰიტოსურ)—აპოლონი, არგიმპასა—აფროდიტე ურანია, თაგიმასადა—პოსეიდონი (Геродотъ, VI, 5. 59. 127).

(ლი-ზალალ=სლვა). შეადარე:

წელი (წელიწადი	—სვ. ზა—მეგრ. წანა.	
ზა-ფხული	—	ზა, ზავიშ ზა-რხული
გა-ზა-ფხული	—	ლუ-ფხვ გა-ზა-რხული
ზა-მთარი *)	—	ლუ-ნთვიშ ზო-თონჯი.

ია. ჯანანა, დანანა **). ამ ღმერთების კერპები საურმაგმა დასდგა მცხეთას, გზის პირად. მათი სახელწოდებაშ მოგვაგონებს შემდეგ სახელებს: ნინა, ნინო (ლეკურად დედა)=ნენე=ნანა (ინგ. დედა, დედიღო)=აფხ. ან=ანან—დედა. (ენა=სვ. ნინ=მეგრ. ნინა ***). აფხაზთა გადმოცემით ანან არის დედა-შემოქმედი. ასრე ეეედრებიან: „დედანო შემოქმედნო, მწუხარებას ნუ გამომაცდევინებთ შვილის სიკვდილით, მიჩვენეთ მათი კეთილდღეობა“. ანცა არის უმაღლესი დედა-ღმერთი, მომვლინებელი ყოველგვარ სნებისა და ამიტომ ჰგონიათ, ყოველი ავადმყოფობის მიზეზი ანცაო („ანცა რ მზზ“ —ანცა არი მიზეზი).

ჩვენი ერის გადმოცემით, მთელი ქვეყანა სავსეა სხვადასხვა სულებით, ანგელოზებით. არის პატრონი ტყეთა, ტბათა, ანგელოზი მონადირეთა და სხ. ამგვარივე რწმენა ჰქონდათ ქალდიაშიაც, აკკადს. აქაურების რწმენით, უპირველესნი სულნი იყვნენ ანნა და ეა, ღმერთნი ცისა და მიწისა. ეა იყო ღმერთი მიწისა ანუ მიწის ნიადაგისა, ზედაპირისა.

ზევით უკვე გავიცანით ღმერთი ერმი. საბა სწერს: „ერ-

---

*) „მთარი“ მიმღეობაა. მეგრ. თ ი რ ი—თოვლი. ამიტომ, ალბად, თვეების სახელები ტირასდენი, ტირისკონი (ნოემბერი, დეკემბერი) გამოითქმოდა თირის-დენ-ად, თირის-კონ-ად.

**) სულხან საბათი: დანანა=ნანა—ნანდომი, ხანარი—წყნარი, ხანდომი; ნ ი ნ ვ ე ლ ი—ქალი ან ვაჟი 15 წლამდე. სვან. ნ ა ნ უ ლ ი საბლაპრო ქალად გადაქცეულა (თავადის ქალად).

***) ქალდთა ერთს ღმერთს ერქვა ნ უ ა—გონიერება.

ში. ესე არს მეორესა ცასა ზედა, რომელსა ეა-ს ცას ეწოდების ცორანო“.

ამ ღმერთებს ჩვენში დღესაც იხსენიებენ: „ნანავ, შვილო, ნანინა“ „ჰარნანო, არნი-არნანო“ (ჰარ-ნანო=ჰალ-ნანო. იხ. ქვემო „haldi“)

იბ. ᲐᲘᲐ (=ეა!): ᲐᲘᲐ იყო ქალაქი კოლხიდის მეფისა. ბერძნის მწერლები ამ მეფეს უწოდებენ აიეტის, აიეტეს, აეტეს. ჩვენით, ᲐᲘᲔᲗᲘ უნდა ყოფილიყო ქალაქი ღვთის აიასი, ეასი (აი-ეთი), ხოლო მისი მეფე—აიეთისი, ე. ი. ის, რომელიც იყო აიას ქალაქიდგან *) (ვით უფლისი (უფლოსი), ეგრისი (ეგროსი) და სხ.).

შენიშნ. ᲐᲚᲑᲐᲓ სახელი კლარჯეთის მონასტრისა ეოშხა აშენდა იმ ᲐᲓᲒᲘᲚᲐᲡ, სადაც ძველად იყო საკერპო ღმერთისა ეოსი, ეასი (=მეგ. ეოშ-ხა, ვით ᲯᲣᲛᲨ-ᲮᲐ, ᲪᲐᲨ.ᲮᲐ და სხ.).

იგ. ᲯᲐᲯᲐ. აფხაზურად ᲯᲔᲯᲘᲚᲔᲑᲘᲡ მფარველ ღმერთს ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ᲯᲐᲯᲐ. მისთვის შესაწირავს მართვენ გაზაფხულის დამდეგს და სთხოვენ კარგს მოსავალს. სიტყვა ᲯᲔᲯᲘᲚᲘ=ᲯᲔᲯᲚᲘ იმავე ფესვიდგან არის, რომლიდგანაც მეგრ. ᲯᲐ=ხე, ქართული ᲯᲐᲒᲘ, სვან. ᲯᲔᲯᲘ **) (=ᲯᲔᲯᲘᲚᲘ).

იდ. ᲐᲓᲐᲑᲜᲐ. დედამიწის პატრონს (ღმერთს) აფხაზურად ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ადაბნა. სვანურად დაბ—ყანა. ალბად ეს იყო ღმერთი დაბა—სოფლებისა, მხვნელ-მთესველთა.

იე. ᲐᲓᲘ. აფხაზთა გადმოცემით „წყლის დედა“ ცხოვრობს ტბაში ან წმინდა წყაროში. იგი ფრიად ლამაზი ქალია. ხან და ხან გამოდის წყლის ნაპირს, წინ იდებს სავარცხელს და ივარცხნის თავის გრძელს თმას. მას სახე თვალთშეუდგამი აქვს. ამ „ბატონ წყლის დედას“ აფხაზნი დღესაც

---

*) მაგრამ იქნებ ᲐᲘ (აი-ეტი) იყოს აფხაზური ᲐᲰ—მთავარი, ᲐᲰ-ᲔᲢᲘ Ჰ ᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲔᲢᲘ.

**) თავისუფალი სვანი, „ივერია“ 1887, № 33.

შესაწირავს სწირავენ და ეეედრებიან ავადმყოფის მორჩენას. ყველა ამ თვისებისაა ჩვენი ალი-ც (ჭინკა), რომელიც თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ჭალა-ტყეთა ღმერთი, წყლის დედა, ცეცხლისებრ მანათობელის ქალის სახით. მისი სახელი ალი=სვ. ჰალ ალგზებულ ცეცხლს ნიშნავს (ალიონი=ჰალ-ვენ=ალონი) და, ჩვენით, უდრის იმავე ჰარ-ს=არ-ს. შეადარე: ალი=ალქაჯი. მისი სახელი გვხვდება ნაწყვეტში: „არი (=ჰარი) ურული, არი ურული".

ივ. ᲐᲒᲣᲜᲐ. გურიაში აგუნას იხსენიებენ ახალს წელს. იგი ვენახის ღმერთი ყოფილა. მას ეეედრებიან ასრე: „აგუნა, აგუნა, ჩამოიარე ჩვენს კარს, ჩვენს მამულს ამოტელა (აიყვანენ ხელში ყმაწვილს) მტევნები მოიყვანე". აგუნა, რასაკვირველია, არის იგივე ღუნო, ღუინო, ღვინო (სვ. ღვინალ, სომხ. ᲒᲘᲜᲘ). მდაბიურად აგრეთვე ჰქვიან ნუნუა.

ᲘᲒ. ᲓᲐᲚᲘ. სვანეთში ტყ-ს ქალს (პატრონს) ჰქვიან დალი. მისგან დაიბადა ამირან-გმირი. დალი ალბად იყო ბუნების ამწვანების და აყვავების ღმერთი. შეადარე: სვან. დაილ—ყვაილი, მდელო=მეგრ. ნდელო. სვ. დიარ—პური, მეგრ. ოდიარე—საძოვარი, საბალახე. ამას დღესაც დამღერიან ჩვენში („ოდელია, დელა") (აპ. როდოსელი კოლხიდელთ ერთ ღმერთს უწოდებს დაირა) (ჩაჩნურად დელი—ღმერთი).

ᲘᲨ. ᲥᲐᲠᲗᲚᲘ=ᲥᲐᲠᲗᲘ=haldi.

სვანურად ქართლს ჰქვიან ქართ, მეგრულად ქართი ტფილისია. სწორედ ქართი-დამ წარმოსდგებოდა ფორმა ქართული (ვით გორი—გორ-ული) რადგან სვან. და ძველი ქართული ლი იგივე არსებითი ზმნაა (ლი=ა=არი=რე: მუ-ლი =მუმა-რე=მამა-ა), ამიტომ „ქართლი" და „ქართია" ერთი და იგივეა, აგრეთვე ქართლისი (და არა ქართლოსი!) და ქართისი, ე. ი. ის, ანუ ვინც ეკუთვნის ქართს, ქართიას. აი, ეს ქართისი ჩვენ მიგვაჩნია ქალდის-ად და ქართი-—ქალდია-დ.

პირველს კაცს საქართველოში ერქვა ქართლოსი (ქარ-

თისი), პირველს ქალაქს—ქართლი (=ქართია), პირველს საფიცარს „საფლავი“ (ტაძარი) ქართლოსი (ქართისი).

ვანის ლურსმურ წარწერებით, ქალდთა სარწმუნოების ქვაკუთხედად ითვლებოდა სამება, რომლის პირველს პირს ეწოდებოდა haldis, haldia—მთვარე ღმერთი, მეორე პირი უდრიდა ასურთა ბინ-ს—ატმოსფერას, ბრწყინვალე ცას, ეთერს და მესამე პირი—ასურთა შამაშ ს—მზეს.

იგივეობა ქალდისა და ქართი-სა მტკიცდება მით, რომ ორთავე ეს სიტყვები სწორედ მთვარეს ნიშნავენ.

ორთავე სახელი რთულია: ქარ-თი=ქალ-დი, ქარ-თველი=ქალ-დეველი. ქალდეველი, ე. ი. ის, ვინც არის ქალ-დევ-იდამ, ქართველი, ვინც არის ქართუე-დამ (ქალ-დევი, ქარ-თუე=ქარ-თვე).

დევი უწინარეს დროს ითვლებოდა უმაღლეს ღმერთად სინათლისა, ბრწყინვალებისა. იგია ლათინთა Deus, ბერძენთა თეოს. შემდეგში მხოლოდ იგი იქცა ბოროტ სულად ანუ, როგორც ჩვენში იციან, ბაყბაყ-დევად. ამ დევს (სვან. დაუ, მეგრ. ნდი) ქართველთა ზღაპრები ხატვენ უზარმაზარ ქალად, რომელსაც შუბლზე აქვს ერთად-ერთი თვალი (იგივე თვალი *), ხოლო ძუძუები დიდრონი, თუნგის ოდენები. თვით ქალდნი ამ უშველებელად დიდს ქალს, ხაოსის პატრონს, უწოდებდნენ თაოთა, თაუთა, რომელიც იყო ღმერთი მთვარე, ზღვა (Ленорманъ. Исторія Востока, გვ. 430).

ეს თაოთა, თაუთა (მთვარე) იგივე თუთაა (თუთა—მეგრ. მთვარე), იგივე თთვე (მთვარე). შეადარე:

ქალდურად:	თაუთა,		
ქართულად	თუარე,	თოარე (ფორეგ)	თთვე, თუე თთვი-სა
მეგრ.			თუთა თუთაშ **) (ხა)

*) ძველს ელისენში თორეგ—მთვარე, თორიალი—გამსტრობა, თვალიერება.

**) იხ. ზემო დღეების სახელები.

სვან. დოშდულ დოშდ *) დოშდიშ.

რადგან „თუთა“ თვეც ყოფილა და მთვარეც, ამიტომ შემოკლებულს თუე (თვე) უნდა უდრიდეს შემოკლებულივე (თუ)თა, (დოშ)დ და მისს ნათესაობითს ბრუნვას—(თ)თვისი. მეგრული (თუ)თაშ, სვან. (დოშ)დიშ, ხოლო ეს დიშ იგივე მეორე ნახევარი სახელისა ქალდის (ნათეს. ბრ.), შემოკლებული დ==თა==თუ, ე. ი. იგივე დაბოლოება სახელისა ქალდ, ქარდ, ქართ==ქალმთვარე, ქალთუთა, ქალდევი (ქალდაუ); და რადგან დ==თ, ამიტომ თვით ძველ ქალდეურში იქნებოდა ქალდაუთა, ქალთაუთა.

ეს დ(აუ)==თ(ა) გვხვდება სახელებში: ღუთა (ხთა), ღუდელი==ხუცესი, ოსურ. ხუცაუ (დ==თ==ც), თბილისურ. ღუცა(რ), აფხ. ახდაუ (ა ემატება აფხაზურში. იხ. ზემო, გვ ოზ). იგივე დაუ (ქართ. (მ)დევი==სვ. დაუ==მეგრ. ნდი) უნდა იყოს სახელში ღორონთი (ღორონდი) (ქართ. ნათეს. ბრუნვა ღრმთის) (ღრ-მთევი==ღრ-მდევი და ღრ-დევი).

რას უნდა ნიშნავდეს პირველი ნახევარი სახელებისა haldia, ქალ-დი, ქარ თი, ღუ-თა, ხუ-და, ხუ-ცა?

ქალდეველთ სწამდათ, ყოველის სამებისაგან იბადება სხვა სამებაო, რადგან ყოველი ღვთაება არის თავისივე ცოლი და შვილიო.

ამგვარადვე უნდა წარმომდგარიყო ღვთაება ხთა, ხუდაუ, ღუთა, ქალდი, ღრ-დევი (სვ. ღერთა-შდ==საღრმთო).

რადგან ქალი (შემოკლებულად ქა, როგორც ეხლაც იტყვიან ხოლმე) არის იგივე მეგრ. ხე—ასული, ქალი, მხევალი და რადგან სვ. იეხუ ანუ ხეხუ ნიშნავს ცოლს, ამიტომ ადვილად წარმოსდგებოდა სახელები ღვთაებისა ხუდაუ (ახდაუ),

---

***) ამ სახელების მნიშვნელობა უნდა იყოს: თვე-თვე (რადგან მთვარე თვე და თვე იბადება. დოშდულ—თვისთული, დოშდიშ—თვისთვისი, ე. ი. თვ-ს-თვე.

ხუცაჯ, და რადგან მეგრ. ხე არის იგივე ქალი, ამიტომ თვითერი, რომელიც თავისთავს უწოდებდა ხეთი =ხატტი და რომელიც მონათესავე იყო ქალდთა, შეიძლება იყოს იგივე ქალდი (ქალ დი=ხე-თი *).

ქალდიას, „ქალდევასა“ და „ქალმთვარეს“ ეარდა, შეიძლება ჰქონოდა სხვა მნიშვნელობაც, მაგალ. ა) ქალდედა (დედა: სვ. დი, დია, დედე, მეგრ. დიდა, ქართ. დეჲ (მაგ. დეჲდა **); ბ) haldi=ჰალ-დი, ე. ი. „ალ (სვ. ჰალ) მთვარე“, „ჰალ-დევი“, „ჰალ-დედა“, „ჰარ-დევი“ (არდევა ***) ინგ. დევი); გ) „ხალ-დევი“ (ხალება, ხლა იგივე ხურებაა, გაცხელე-

---

*) შუამდინარის ერთს შეფეს ერქვა ა=ეარფალი (შესაქმე, 14, ა). თვით ხეთელთა მეფეს ერქვა საფალილი ანუ საფლელ, საფრერ (ბრუგშ,გვ. 431). (ფალ=უფალი (დედ-ფალ=დედუფალი). ქართულად მ ა რ ნიშნავს შენახვას, ცვას (სა-მარ-ე=საფლავი); ა მ ა რ არის იგივე მარვა შენახვა, ცვა („საყდარი იყო ხუცის ამარ“ ანუ „ხუცის სამარ“; „კაცი იყო პერანგის ამარ“, „მის სამარს დავშთით“). ხეთელთავე მეფეები იყენენ: სამარიუს (ქართველთ ჟყანდათ მამასახლისი სამარა), საპცარ (სვ. საფცარ=საფიცარი). ხეტელთა ადგილების სახელები: პირხეტა (პირ-ხეთა), ხ:რკახი, ცაგერელ, ანა-უბან, თელებ, ნისხატა (ნიშ-ხატა!), ცირას (ცირასი!). ფარუა. პაპაა. ხუკი-ბეკი. პაპაბი. კაცელი (ლაშქრის მიმყვანელთ მ:თებრ ერქვათ კ ა ც ა ნ ი). ტინნური (ტინური!). კელ-მ:ეტა. კართა-ბერუთ. ნეპირი-ურიუ (იქვე, 434). თარგამ:ს მსგავსი სახელები: თარგანას, თარგატა-ცას. სხვა სახელები: კამაიც, პაის, ცაუცას, ხიტისარ და სხ.

**) „მამა“ ჩვენ მიგვაჩნია მიმღეობად (სვ. მუ—მამა) ამიტომ მედეა, მედია აგრეთვე შეიძლება იყოს მიმღეობა სიტყვისა დია, დეა—დედა.

***) „ჰ ა რ“, „ა რ“ რომ არის იგივე ჰალი=ალი, ჩანს იქიდგანაც, რომ სვ. რიჰი ნიშნავს რიერაეს, ლილის ალიონს. ეს ჰარ, ჰალ ემატება იმათ სახელებს, რომელნიც ძველად ღმერთობდნენ: ქაჯი=ჰალ-ქაჯი, დევი=ჰარდევი, მ(ა)ზე (=მზე)—ჰარმაზი. ეს არმაზი=ჰარმაზი (harmastis) თავდაპირველად უნდა ყოფილიყო ჰალმაზი, ალმაზი=ჰალ მზე (მის ხევს ჰქვიან ალმაზის-წყალი).

ბა, ღუება). ფუსვიდგან ჭალ გვაქვს მეგრ. ვალუა=ქართ. ელ-ვა (ინგ. ჭელვა)=სვ. (ლ.ი) ხლა-ლი. მაშასადამე, ხალდე-ვი=ხალდი, ჭალ-დევი=ჭალდი, ჭარ-დევი=ჭარ-დი, და რად-გან ჭ=ქ=ხ=ღ, ამიტომ ჭარ-დი=ქარ-თი=ქორ-თუ, ჭარ-დაუ=ჭარ-მდევი=ჭარ-ნდი=ჭრ-დი=ჭრ-მდი ნათეს ბრ. ღრ-მთის=ჭორო-ნდი=ღოროონთი (სვ. ღერ-მეთ (მეთ=მდევი)—ღმერთი, ღერთა-ლი—ლოცვა, ღერთაშდ—საღრმოთ (=ღრმ-თისადი). ღმერეფი ლაზურად ღომორთი=ღორმოთი=ორმო-თი, ე. ი. ჭორ-მოთი=ჭორ-დევი=ჭარ-დევი=ჭარ-დი=ჭალ-დი (თავდაპირველად:: ჭალ-დევი=ჭარ-დევი=ალ-დევი=არ-დევი).

ეს ქალდნი ჩვენ მიგვაჩნია იმ ერად, რომელსაც, კლა-სიკურ მწერლების გადმოცემით, ერქვა „კართუხი“, „კო-რდიეი“, „გორდიენი“, „კორტოჲ“, „გორდიანი, კარ-დუ და სომხურად—„ქორდუქ“. ამბობენ, ეს ერი იყო ქურთთა წინაპარიო, არა. ქურთთა წინაპარნი, ქართლის ცხო-ვრების მოწმობით, სპარსეთის ყაენმა გადმოასახლა აქ მხო-ლოდ მე-VI საუკ. ქრ. შ. ეს ერი არის იგივე ქართი=ქორ-თუ. ფორმები კართუხი, ქორთუქ, გორდიანი მხოლოდ მრ. რიცხვის მაჩვენებელია: სიმხ. ქ=სვ. ხ=აფხაზ. ქუ=ქართ. თ(ა). მრავლობითი კართუ-ხი=ქორთუქ=ქართუთა=ქორთუ-თა, მხოლოობითი—ქორთი=ქორთუ.

ᲘᲐ. ცეცხლი. ცეცხლის თაყვანის ცემა ისევე ძველი უნ-და იყოს ჩვენში, ვით მისი სახელი (ცეცხლი=მეგრ. დაჩხი-რი). ბერძენთა მწერლების გადმოცემით, პრომეთეოსი იმიტომ მიმსჭვალა ღმერთმა კავკასიონის მთაზედ, რომ ღმერთს ცეც-ხლი მოჰპარა, ციდამ ცეცხლი ჩამოიტანა. მიმსჭვალა-რა ღმე-რთმა გმირი, მიუჩინა მას აგრეთვე არწივი, რომელიც მარად გულს უწიწკნის და უღადრავს. ასრეა ბერძენთა მწერლების ფერეკიდის († 400 წ. ქრ. წ.) და სხვათა გადმოცემით. მის მსგავსია გადმოცემები შესახებ „ამირანისა“, „ნებროთისა“

და როკაპისა ანუ როპაპისა *). ყველა ამ თქმულებებს საფუძვლად უნდა დასდებოდა განმარტება სახელისა ცეცხლი, რომელიც რთული სიტყვაა: სვ. დეც—ცა; ქართ. ცეც-ხლი=მეგრ. დაჩ-ხირი. ბოლო სიტყვისა (დაჩ)-ხირი ნიშნავს პარვას (მეგრ. ხირუა—პარვა). რადგან ცა (დეც) თავის თავადაც ითვლებოდა სინათლედ, უშველებელ დიდ ცეცხლად (ცია=ცეცხლი), ამიტომ სიტყვაში ცეც-ხლი=დაჩ ხირი ცნებას „ცეცხლი“ საკუთრად უნდა ნიშნავდეს ცეც=დეც=დაჩ. ამიტომ ცნება დაჩ-ხირი—ცეც-ხლი უნდა იყოს „ცა—პარი“=ცა-პარული“. ლეგენდა ცეცხლის „მოპარვის“ შესახებ გავრცელდებოდა მის მერმეთ, როდესაც ქართველებმა დაივიწყეს, რომ სიტყვას „ხირი“ ხირუას (პარვას) გარდა ექნებოდა სხვა მნიშვნელობაც, მაგ., ხურება, ხურვალი, ხლა=ხალება, კელი („ცეცხლის“ მაგიერ ხშირად ისმის ცია, ცეხლი, რომელიც იცვლება სიტყვად ცხელი=ევრ. ჩხე).

მაქს მიულერი თავის წიგნში „Наука о мысли“ (გვ. 309) ამბობს, ერთისა და იმავე ფესვისაგან ხშირად წარმოსდგება სიტყვები: ა) მოქმედების აღმნიშვნელი, ბ) მოქმედების მიმღები, გ) მოქმედების ამცილებელი და სხ., და მაგალითად მოჰყავს ფესვი khan, ფარგალი რომლის მნიშვნელობისა არის: თხრა, ბარვა, წყლა, ოხრება, შეკვრა, ბარი, თაგვი, თხუნელა, ორმო, ჭა, ცა, არარა. ამავე კანონს ექვემდებარებიან ჩვენი სიტყვებიც:

ქართულში დ=ტ=თ=ც (მად=მაც, მონტება=მონთება და სხ.).

---

*) ამ გმირების შესახებ ცნობები იხ. პროფ. ხახანაშვილის ცნობილს თხზულებაში—Очерки: გამოცემა 1, გვ. 19—50. იხ. აგრეთვე „ნებროთის წიგნი“ (საეკ. მუზ., № 153).

ა) ცა—ცია—ციცინათელა—ციმციმი—ჭიმჭიმელი (კიმ-კიმელი)—ჯიმაშ (ჯუმაშხა)—ციაგი

ბ) დეც (ცა)—ცეცხლი=დაჩხირი—ცეხლი=ცხელი.

გ) დეც—(ლა) დეღ=დღე=დღა

დ) დეც—დება—ნა-თება—სა ნა-თი—სი-ნა-თე—მ-ნა-თო-ბი—მ-თები=მ-დები—თბე—სვ. ათვი (ცხელი)—თბილი (მეგრ. ტიბუ, სვ. ტებდი=თბედი)—ნთება (მონთება)—მეგრ. მონ-ტება—დევი (=სინათლე)=მეგრ. ნდი (=ნთი)=სვ. დაუ—მთიები (ცისკარი).

ე) დეც—დოშდიშ—თუთა—თუე (თოარე, თორეა)—თუალი=თოლი=სვ. თე—დილა (მეგრულად ცისკარსა და დი-ლას ჰქვიან ოჭუმარე)=სვ. ძინარ (ბოლო რ (სიტყვაში ძი-ნარ) ჩნდება ინგ. დილლაჲ—დილა).

გვგონია, ცეც სვანურში გადაქცეულა შხ-იდ, ზგ-დ, სგ-იდ, სქ-იდ. შეადარე სიტყვები, აღმნიშვნელი წვისა, „ცე-ცხლის მქონებელისა“ და „ცეცხლ გამქრალისა“:

ქართ.	მეგრ.	სვ.
წვა (წუა)	ჭუა	(ლი) შხი
მშუშხი (=მწველი)	მაჭუალი	მ შხი
ნა-შხირი	ნო-შკერი	შიხ
შეშა (ინგ- შიშაჲ)	დიშჭა	ზექ
ცეც-ხლი	დაჩ-ხირი	(ლემე)—ზგ(—სგ)
შუქი	შუქი	
სხივი (შხივი)	სხივი	
აღ-გზება, ა-გუზ-გუზება	აკორზამ,	
მუ-გუზი (=მუგუზალი)	ნა-კვაჩ-ხირი *)	მუ-ღვაზ
ცხ—	ჩხ—, ცხ—, შხ—	ზგ
ცხო(ვ)რება	ცხოვრება	(ლი) ზგე

*) ნა-კვაჩ-ხირი უდრის ქართ. ნა-ღვერდ-ალი (სვ. ღვირხ), ნ ა-კ ვ ე-რ ჩ-ხ ა ლ ი, მაშასადამე მეგრ. ხ ი რ ი არის იგივე ქართული ხ ა ლ ი, ალი-

ქართ.	მეგრ.	სვ.
ცხოველი (ცხელი)	ცხოველი (ჩხე)	ცკოველ
ცხვარი (ცხოვარი)	შხური	გიცარ
ცხენი	ცხენი	ჩაჟ
ძროხა, ფური	ჩხუ	ფიორ, ფირე *)

რახან კაცმა „ჩამოიტანა ცეცხლი“, ამიტომ თვით იგიც უნდა ყოფილიყო ქვეყნიური წარმომადგენელი ღვთის იმ ძალისა, რომელიც აჩენს ცეცხლს, იძლევა გამანაყოფიერებელს თბეს, ე. ი. სიცოცხლის ჩამსახველს სითბოს. იგივე კაცი (კოჩი) უნდა ყოფილიყო აღმგზებელი კოცონისა, მსახური კერიისა (სვ. კარ, კჲარ), მეკეცე და მაკომლებელი, მკმეველი (კომლი=მ. კუმა=სვ. კვამ; აქედგანვე კვარი).

თვით სახელი მიმსკვალულის გმირისა, ალბად, „ამირანად“ იქცა არაბთა მფლობელობის ჟამს მათ ამირების=ამირან ების მიბაძვით და ძველად კი იქნებ ერქვა ამარანი (სიტყვიდამ ამარ—მმარხველი=მცველი, ანდა ამრა—აფხ. მზე=მარჭი—სვ. სინათლე), რომლისა გამო თვით იმ მთასაც, სადაც ვითომ, მიმსკვალული იყო ცეცხლის მტაცებელი, დაერქვა ამარანთა (აპოლ. როდოსელით, ფაზისი (რიონი) სდის მთას ამარანტა (ჰან, გვ. 45) (ინგ. თაჲ=მთა; შეად. მოგვი—მოგვთა). მის ქვეყნიურ წარმომადგენელად უნდა ყოფილიყო მჭედელი.

პრომეთეოსმა მოსტაცა ღმერთს ცეცხლი და მისცა ერს და იხსნა იგი წარწყმედისაგან. ამ დროითგან კაცობრიობის ცხოვრებამ გაუკეთესობა იწყო. მოიგონა იარაღები, გაიკეთა სახლები, ისწავლა წეს-რიგი მნათობთა ტრიალისა, მათი მსახურობა და ყოველი ხელოვნება (ვებერ, II, გვ. 48). და ამ

---

*) ფიორ=ფური (ძროხა) იგივე ჩხუ-ა (ცხელი) იმიტომ, რომ ფურება იგივე ხურებაა (შეადარე გახურება=მეგრ. გოფურაფა; ფუება, საფუარი, ე. ი. ის, რომელიც აფუებს, ახურებს.

მადლის მოტაცებისთვის ზენაარმა მიმსჭვალა იგი „სკვითის ქვეყნის მაღალს კავკასიონის მთაზედ“.

მჭედელს სვანურად ჰქვიან მ-სკიდ, მეგრულად—ჭკადუა. თუ სკი, ჭკა წარმოსდგა იმ ფესვისაგან, რომლისაგანაც სვ. ლემე—სგ (ცეცხლი), სვ. (ლი) შხი (მწველი, მაჭუალი) და სვ. მ შხი (მშუშხი), მაშინ მსკიდ-ი იქნება იგივე მგზედი (გზება-ანთება) და მშხი, ე. ი. მწველი (მაჭუალი), მგზებელი, მგზები, მჭუედი, მჭედი. ეს ეთანხმება თვით გადმოცემასაც შესახებ „ამირანის“ გამგზავრებისა „ქალის“ მოსატაცებლად. ასე:

ა. „ამირანი“—მჭედი=მსკიდი („ამირანის“ ქვეყნიური წარმომადგენელი)

ბ. ბეწვის ხიდ გადაჭიმული მოუვლელი დიდი ზღვა—ცა

გ. ზღვის იქით პირს მყოფი ქალი—ცეცხლი, ნაკვერჩ ხადი.

დ. ამ „ქალის“ ციდან ჯაჭვზე ჩამოკიდებული ოქროს სახლი, სავსე ჭურჭლით,—სამჭედლო

ე. მაღალი მთა, საცა მიაბეს „ამირანი“,—ქურა („ხირი“—ხურება)

ვ. ხე, რომელზედაც მიაბეს,—შეშა

ზ. მიმსჭვალვა—წვა=ჭუა

Თ. არწივი დიდ-ფრთოსანი—ფუქსი, საბერველი

თ. „ყურშა“, „ამირანის“ ჯაჭვის მლოკველი—ალი.

ი. დევებთან ბრძოლა—კვერვა, ჭედვა

ია. დაუსრულებელი ტანჯვა „ამირანისა“—ზრუნვა მჭედლისა, რომ ცეცხლი არ გაუქრეს, კერა და კომლი მარად გაცხოველებული ჰქონდეს.

რადგან პრომეთეოსი მიმსჭვალული იყო კავკასიის მთაზედ, „სკითი-ას“, ამ შემთხვევაში ეს სკითიაც შეიძლება იყოს იგივე სკი-დი და მისი მცხოვრები კი მსკიდი=მჭედი,ვით ზან, მზან.

მსხვერპლის შეწირვა. ქართველები ღმერთებს სწირავდნენ ხილს, შოთებს, ერბოს, ოქროს და ახალგაზდა ჭაბუკთაც. კაცის შეწირვა აღკრძალა ჰეფე რევ მართალმა მე III სა-

უკ. ქრ. შემდეგ, მანამდე კი კაცის შესაწირავად ასრე ემზადებოდნენ: „ივერიისა და ალბანიის მიჯნაზე, ამბობს სტრაბონი, აღმართულია მთვარისა, ზევსისა და მთვარის ტაძრები. ამ უკანასკნელს უფრო მეტ პატივს სცემენ. ქურუმას თანამდებობას ასრულებს მეფის შემდეგ უპირველესი პატივცემული კაცი. ამას ექვემდებარება მთელი წმინდა ადგილი, რომელიც ვრცელია, დიდი და მჭიდროდ დასახლებული, და აგრეთვე საქურუმოებისა და სახატოების მოსამსახურენი, რომელნიც ხშირად ქადაგად დაეცემიან ხოლმე. ამათგან რომელიც ქადაგად დაეცემა და შემდეგ იწყებს ტყე-ღრეში უგზო-უკვალოდ სიარულს, მას უპირველეს ქურუმის ბრძანებით იპყრენ, ფეხთ უყრიან სამღვთო დადიანს (ჯაჭვს), მთელს წელიწადს კარგა ჰკვებავენ, და მერე ხსენებული ქურუმი სცხებს ზეთს და საღმრთო პირუტყვებთან ერთად სწირავს ღმერთს. ხოლო სწირავენ ასრე: მსხვერპლის გარშემო მდგომარე დასიდგან გამოდის ის, რომელსაც უკავია საღმრთო ლახვარი, და ამ ლახვარს ასობს გულში. მსხვერპლი რომ იქცევა, მის ძირს დაცემის მიხედვით ქურუმები იწყებენ წინასწარმეტყველებას. როდესაც განგმირულ გვამს მიასვენებენ დანიშნულ ადგილას, ამ გვამს ფეხს ადგმენ ყველანი, რომ განიწმინდნენ“.

ღმერთკაცნი (ბერძენთა მწერლების ნაამბობიდამ).

ა. კოლხი. მნასი პეტრონი, ერატოსთენის მოწაფე, ამბობს, კოლხებს ასეთი სახელი დაენათლათ კოლხისაგან, რომელიც იყო ძე ფაზისაო (ამ შემთხვევაში „ფაზის“ შეიძლება ყოფილიყო კავკასიანთა ენების მზე (ბეა, ვაზ, ბაყ, ბელ. რადგან ხა მივიჩნიეთ თა-დ და რადგან Ცეკატეს სიტყვით მოსხნი იყვნენ კოლხთა მოდგმისანი, ამიტომ ოლხი უნდა იყოს კალდი=ხალდი=ქართი=ქორთი=ქართლი).

ბ. მზე. კოლხის შვილი იყო Ცელიოს (მზე).

გ. Ცელიოსს ჰყვანდა შვილები აჲეთისი, პერსე, ცირცეა, პასიფაჲ (მეუღლე მინოსისა).

დ. აჟეთისი, ძე მზისა. იგი მეფეა კოლხთა და მეოტეებისა (მეოტიის ზღვა—აზოვის ზღვა და მდინ. ყუბანის მხარე ამ ზღვისა). ცოლად ჰყავს თავის ძმის პერსეს ასული ქალღმერთი Ѳეკატა. მისი ვაჟებია ეგიალაჲ და აბსირტი და ასულნი ხალკიოპე და მედეა. მისს ოქროს დარბაზში არის სხივოსანი ისრები ფეხმარდ მზისა. იგი კაცის მკვლელია, ჰხოცავს ყველა უცხოელს და ძლიერია ისე, რომ შეეძლება მეომრობის ღმერთს არიას. აიას გარდა აქვს ქალაქები კუტაიის და სიბარის, საცა იყო შვენიერი სასახლეები. ვინც მის წინაეზოში შედიოდა, ჰკვირობდა, როდესაც ჰხედავდა კედლებს, განიერ კარებს და სვეტებს. სახლის ზემო ბრინჯაოს ხვეულები იყო. შესავალ კარებთან მაღლა ეხვეოდა ვაზის ბარდანი. მის ჩრდილში იყო 4 აუზი; ერთისაგან რძე გამოსჩქეფდა, მეორისაგან—ღვინო, მესამისაგან—სურნელოვანი ზეთი და მეოთხისაგან წყალი, რომელიც ზამთარს თბილი იყო და ზაფხულს ცივი, ვით ყინვა. ამ „საღმრთო“ საგნებს გარდა მეფეს ჰყვანდა კიდევ ხარები, სპილენძის რქიანი და სპილენძის პირიანი, რომელთაგან ცეცხლი გამოდიოდა, აგრეთვე ფოლადის ნაჭრისაგან გაკეთებული გუთანი. აჟეთისი ტანზე იცვამდა მაგარს ჯაჭვს, თავზე იხურავდა ოქროს ჩაფხუტს, რომელიც ბრწყინავდა ოკეანედამ ამომავალ მზის გულივით. ხელში იღებდა მრგვალ ფარს, მრავალ ტყავებისაგან გაკეთებულს, და ისეთს დიდს ოროლს, რომ ჰერკულესს გარდა სხვა გმირს მისი ტარება არ ძალუძდა. გარე გამოდიოდა ოქროს ეტლით, რომელშიაც ება შვენიერი და სწრაფი, როგორც ქარი, რაშები. ესენი მისთვის მიეცა მზე-ღმერთს. ჩაჯდებოდა-რა ეტლში, მარჯვენა ხელზე იკეთებდა მრგვალს ფარს და მარცხენა ხელში იჭერდა ბუმბერაზ ლამპარს. მის გვერდით ურჩობდნენ მეტად დიდს ოროლს. ეტლს ჰმართავდა აბსირტი. ბოლოს იგი მოკლა მელეაგრმა (მელე—აგრ: აგრ, აგრუა—მეგრელი!). სტრაბონი იუწყება: „ქალაქ აიას ახლაც უჩვენებენ ფაზის მდინარეზეო და ყველას სჯერა, რომ აჟეთისი მეფობ-

და კოლხიდაშია, საცა მისი სახელი დღესაც ხმარებაშია".

ე. ცირცეა I, ღმერთქალი, ენამზიანი, მბზინავთმიანი. ფაზისი, გამოდიოდა-რა ამარანთის მთიდგან და რწყავდა-რა ცირკეას მინდორს, ერთოდა ზღვას. ვენახითა, ბალახითა და ტირიფებით იყო შემოსილი ეს ცირცეას მინდორი. ცირცეა აქ აგროვებდა წამლის გასაკეთებელ ბალახებს. (მისი სახელი ემსგავსება მეგრულს ცირა—გასათხოვარი ქალი და გურულს ციცა).

ვ. ბერსეა, ძმა აჲეთისა, მმართველი ტავრიდისა (ყირიმის). მან აჲეთი ტახტიდგან ჩამოაგდო, მაგრამ მედეამ უშველა მამას და ტახტი დაუბრუნა. (შეადარე ფერსათი (მთაა იმერეთში). იყო ფერის ჯოჯიკიც).

ზ. ჩეკატა, ღმერთქალი, პერსეს ასული და მეუღლე აჲეთისა. უყვარდა ნადირობა. თუ ნადირი არ შეხვდებოდა, ხოცავდა კაცებს. ყველაზე მეტად შეისწავლა წამლების გაკეთება და აღმოაჩინა წამალი aconitum. მოიგონა-რა წამლები, მოსწამლა თავისი მამა და დაიპყრო მისი სამეფო და მერე ააგო ტაძარი არტემიდისა, რომელსაც სწირავდა ყველა უცხოელს, რომელიც გაბედავდა მის ქვეყანაში შესვლას. Ცეკატეს პატივად ააგეს ბრწყინვალე ტაძარი. მას იცავდნენ გველები ნორჩ მუხის ტოტების ჩდილში. ლამპრები ანათებდნენ არემარეს. მის გარეშემო საშინელი ძაღლების ყეფა ისმოდა. ველები ირყეოდნენ მის ფერხთ ქვეშ და ყუოდნენ წყლის ალები, მცხოვრებნი ამარანთის ფაზისის ჭაობებში (შეადარე: მეგრ. მოკუთუ—ორსული).

Თ. აბსარტ აჲეთისძე. მისი სახელი ეწოდა პონტოს კუნძულს აბსარს. (ქართლის ცხოვრება აფხაზებს უწოდებს აბსარ, აბშილი. თავის თავს უწოდებენ აბსუა, თავის ქვეყანას —აბსნ).

თ. ხალკიოპე, ასული აჲეთისა. ოქროს ვერძით რომ კოლხიდას მოვიდა ფრიქსი, ეს ვერძი აქ შესწირა კრონოსს. შემდეგ იგი მიიღო აჲეთმა, რომელმაც მას მიათხოვა თავისი

ასული ქალკიოპე. მისგან იშვნენ არგი (შეადარე: მარგალი), ფრონტის, მელასი და ციტისორი. ფრიქსი მოკლა აჲეთმა, რადგან მკითხავმა უთხრა, მოსული სტუმარი მოგკლავსო. მისი შვილები ნავში ჩასხდნენ და წავიდნენ. იღუპებოდნენ, რომ მოასწრო მათ იაზონმა, რომელიც კოლხიდას მოდიოდა. იაზონმა იგინი გადასხა თავის ხომალდზე. მათ დაამალინეს ხომალდი და თვითონ მოვიდნენ დედასთან და შეატყობინეს მიზეზი იაზონის მოსვლისა. ხალკიოპემ დახმარება სთხოვა თავის დას მედეას.

ი. ცირტეა II, აჲეთის ასული, თავის დედა Ѳეკატესავით ესეც წამლების კეთებას სწავლობდა და ბევრი ახალი წამალი აღმოაჩინა, ასე რომ ამ მეცნიერებაში სხვას არ დაუვარდებოდა. იგი მიათხოვეს სკვითის მეფეს, რომელიც მოწამლა და გამეფდა. მაგრამ ფიცხად და ულმობელად ეპყრობოდა ქვეშევრდომებს, რომელთაც იგი განაძევეს.

ია. მედეა=მედია, ასული აჲეთისა. მისი მორთვა: „რა წამს ცისკარმა აღმოაშუქა, შედეამ შეიკრა თავისი აწეწილი თმები და დაიბანა ხმელ-ხმელი ლოყები; ტანზე კი იცხო სანეკტარო ნელსაცხებელი. მერე ჩაიცო ლამაზი ტანისამოსი და შეიკრა იგი მოკაუჭებული ღილებით. გასურნელოვანებული თავი დაიბურა თეთრის რიდეთი. თავის მხევლებს, რომელნიც იყვნენ მის ტოლნი და რიცხვით 12-ნი, უბრძანა შეებათ ჯორაკები ეტლში, რადგან Ѳეკატეს ბრწყინვალე ტაძარში წასვლას აპირებდა“.—მან იცის გაკეთება წამლებისა, შხამისა და ნელსაცხებელისა. წამალს ამზადებდა შავის წვენით იმ ძირკვებისა, რომელიც ეშოვნა კასპიის Ѳეკატეს ტაძარში. იგი იყო მზის ტაძარში, როდესაც მოვიდა იაზონი. ეს მოეწონა მედიას და შეჰპირდა, შენი მეუღლე ვიქნებიო. მანვე ასწავლა იაზონს ხერხი ოქროს საწმისის გასატაცებლად. მერე ჩასხდნენ ხომალდში, რომელსაც ერქვა არგო, და წავიდნენ. ათინაში იგი გაეყარა იაზონს და შეირთო ეგეა, რომლისაგან ეყოლა მიდი. თეზეოსთან მომდურების გამო, მე-

დეა განაძევეს. მაშინ მას შეურიგდა იაზონი და ერთად დაბრუნდნენ კოლხიდას. აქ მაშინ მეფობდა პერსე, რომელსაც თავისი ძმა აჯეთი ტახტიდგან ჩამოეგდო. მედიამ უშველა მამას და ტახტი დაუბრუნა. შერე წავიდა აღმოსავლეთისკენ, კასპიის ზღვის პირად და აქ დააარსა სამეფო, რომელსაც ეწოდა მედია ანუ მისის შვილის სახელით—მიდია. აქ იყო ქვეყნები საგართიი (საქართი საქართლო!), კადუსია, რომელთა ღმერთები, ქართულის წყაროებით, იყვნენ არმაზი, გაცი და გაიმ (იხ. ჩვენი „ქართველთა მატიანე“).

—

ალებ-მიცემა, გზები და სხ. საზოგადოდ, ვაჭრობა, ალებ-მიცემა არსებობს ძველადგანვე, იმ ხნიდგან, რა ხანსაც ამოაშუქა ცივილიზაციის პირველმა ცისკარმა. პირველნი ვაჭარნი იყვნენ ფინიკიელნი. მათ სამი სავაჭრო გზა ჰქონდათ: კავკასიისკენ, ეგვიპტისკენ და ხმელთა-შუა ზღვით ევროპიისკენ. ამ გზებზედ მოუდიოდათ ბუარებელი საქონელი, რომლის გადმოსაზიდავად გამართული ჰქონდათ ძლიერი ნავოსნობა. თვისის ვაჭრობის გასაძლიერებლად დამართული ჰქონდათ ახალ-შენები: კიპროსს, კრეტას, კავკასიაში და სხ. საბერძნეთის ვაჭრობა მთლად ფინიკიელების ხელში იყო. ბერძენნი მაშინ ფრიად სუსტნი იყვნენ და საკუთარი წარმოება არა ჰქონდათ. ფინიკიელთ მოიგონეს მინა, საღებავი წამლები, დაიწყეს ქედვა ბრინჯაოსი, რკინისა, შემუშავება ოქრო-ვერცხლისა და სხ. ყოველივე ეს შეჰქონდათ უცხო ქვეყნებში და სცვლიდნენ ადგილობრივს ნაწარმოებზე. სხვათა შორის, საქართველოდგან გაჰქონდათ: ოქრო, რომელსაც მადნებიდგან იღებდნენ კოლხიდელნი, კალა (ბრინჯაოს გასაკეთებლად), რომელიც გამოჰქონდათ ივერთა და ალბანელთ. თავიანთ მთებიდამ, ტყვია-ვერცხლი, რომელიც იმავე ქვეყანაში მოიპოვებოდა, და ბოლოს შემუშავებული რკინეულობა და მეტალლები, რომელსაც ქალიბნი ჰპოებდნენ მთებში და რომელთა სახელი მას შემდეგ განითქვა. ეს მეტალები იყო: ბრინჯაო უაღრესის ღირსებისა, რკინა ზო-

დებად და ნაჭრებად დაჭედილი და მეტადრე კი ფოლადი, რომლის შემუშავება მაშინ არც ერთ სხვა ხალხმა არ იცოდა და აქ კი, საცა მეტალურგია რკინისა პირველად მოიგონეს, აქ კი, ვამბობთ, ფოლადის შემუშავება იცოდნენ უხსოვარ დროიდგანვე (ლენორმანი. ისტორია ფინიკიისა, გვ. 467).

ბერძენ-რომაელთა მწერლების სიტყვით, ჩვენი ქვეყანა ძველადგანვე განთქმული ყოფილა თავის სიმდიდრით. აქაური ერი მიწის მუშაკი იყო. აქაურ ნიადაგის სიმდიდრეს აღტაცებაში მოჰყავს იგივე მწერლები. აქ უთესნიათ პური, ბრინჯი. ღვინო საუკეთესო სცოდნიათ. თაფლი კამბიზენისა (ქიზიყი) მშვენიერიაო, ხოლო კოლხიდისა—მწარე. ამას გარდა უთესნიათ სელი, ლერწამი, კანაფი და უკეთებიათ ტილოები. ჰყოლიათ ცხვარი, ცხენი, ძროხა, სცოდნიათ მატყლეულის შემუშავება. კაპადოკიის ცხენები ფრიად განთქმულნი იყვნენო. 6,000 მხედარი აქედგან სპარსეთის ჯარში იყო ქსენოფონტეს დროს *). ᲨᲔროდოტეს სიტყვით, კავკასიის ერთ სცოდნიათ თვით ნაწარმოებთა და ნაქსოვთა შეღებვა. საღებავ წამალს აკეთებდნენო ერთ-ნაირ მცენარისაგან და ამ საღებავით შეღებილი ნაქსოვი არას დროს არ ხუნდებოდაო. მიწის შემუშავება სცოდნიათ გუთნითა და სახნისით. სტრაბონი ამბობს, ალბანელთ მიწა ისეთი ნაყოფიერიაო, რომ ხის სახნისით მოხნული ნიადაგი მრავლად ასაჩუქრებსო ხალხს აპოლ. როდოსელი (250—200 წელ. ქრ. წ.), აღწერს რა ძველს კოლხიდას, ამბობს, აიეტს ჰყვანდა ხელოვანი კაცი, რომელმაც მეფეს გაუკეთა ხარები სპილენძის ფეხებიანი და რქიანი და გუთანი ფოლადის მთლიან ნაჭრისაგანო. თვით ბერძენთ ლეგენდა ოქროს საწმისის შესახებ იმას მოასწავებსო, ამბობს სტრაბონი, რომ ამ ქვეყანაში ოქრო მოიპოვე-

---

*) გერმ. ვეისისა. Исторія одежды, вооруженія построекъ и утвари народовъ. древ. міра.

ბოდაც. ამბობენო, განაგრძობს პლინიუსი, რომ კოლხთა მეფე სავთაკმა სვანთა ქვეყანაში ბევრი ოქრო-ვერცხლი ჰპოვაო. სვანთა ხელობა არის ოქროს მადნების შემუშავებაო.

ქართველებს წამლებისა, სურნელოვანებათა, საცმელებისა და იარაღების კეთების ხელობა სცოდნიათ.

მოსხთ აცვიათ: ზუჩ-ჩაფხუტი, ჩაჩქანი, აქვთ ფარი და მოკლე ტარიანი, მაგრამ გრძელ-რკინიანი ლახვრები (Сиро-дотѣ).

კოლხთ იგივ ჩაფხუტი, ჩაჩქანი, ხარის ტყავის ფარები, მოკლე ლახვრები და საომარო დანები; ისპირელთ ისევ ისა, რაც კოლხთ.

კაპადოკიელთ ამას გარდა კაბა, შარვალი მატყლეულისა, ჩაჩქანი და წაღები *).

ხალიბთ: სელის ჯავშან-ჯუბანი, ქამარზედ ხმალი, ლახვრები ბერძნულის 15 ალაბის სიგრძისა.

ივერ-ალბანელთ: ჯავშან-ჯუბანი, ლახვრები, ისრები, ფარები, ჩაფხუტი (სტრაბონი). კასპთ ეცვათ მოკლე ჯუბანი, მათებურად „სისირი“.

საზოგადოდ ქართველთ სცოდნიათ თვისის ნაწარმოების გატანა. ნავოსნობა უცხო საქმე არა ყოფილა მათთვის.

დემოსთენი (450—413) ამბობს, აქამდე ყველა ნავთ-საყუდელთა შორის უმეტესი ხორბალი ჩვენთვის მოდის პონტოს ნავთ-საყუდლიდამ, ამიტომ რომ ადვილობრივ მეფეს ბაჟისაგან გაუთავისუფლებია ყველანი, რომელნიც კი ათინისთვის ვაჭრობენო. პირველად ათინაში მომავალი გემები იტვირთება ხორბლითა და შემდეგ სხვანიო.

გამოჩენილი რიტტერი *) გვაძლევს შემდეგ საყურადღებო ცნობას. პომპეემ რომ დაამარცხა მიტრიდატ დიდი, ჰპოვა აქ დიდძალი მარგალიტი, ძვირფასი თვლები, ალმასი და სხ. ეს

---

*) რიტტერი. Исторія землевѣдѣнія, გვ. 80.

თვლები მანამდე რომაელებს გაცნობილი არ ჰქონდათ. პომპეიმ რომს მიიტანა 33 გვირგვინი, მოჭედილი ძვირფასის ქვებით. მანამდე რომაელებს არ ჰქონდათ გაცნობილი აბრეშუმეული და ესეც რომში შემოვიდა რიონ-მტკვრის სავაჭრო გზით ცეზარის დროსაო. ამ დროდგან რომში იწყეს მდიდრულად ცხოვრება და მარტო ამ ძვირფას ნივთებისთვის აღმოსავლეთ-სკენ ყოველ-წლივ იგზავნებოდა ხუთი მილიონიო... მხოლოდ შორაპანში, პლინიუსის სიტყვით, სავაჭრო საქონლის ხასყიდლად რომის ხაზინიდამ ყოველ წლივ იგზავნებოდა 100,000 სესტერცი.

თუ რა ნივთიერი ძალა ჰქონდათ ქართველების წინაპრებს, გვიჩვენებს ის გარემოებაც, რომ როდესაც დაედოთ უღელი სპარსთა მონობისა დარიოზის დროს, ყოველ წლივ იხდიდნენ 500 ტალანტს. მეფის შეძლებასაც გვიხატავს ის შემთხვევა, რომ პომპეის მოსაშორებლად ივერთა მეფემ საჩუქრად ამ მხედარს გაუგზავნა წმინდა ოქროსაგან გაკეთებული ლოგინი (ტახტი), გვირგვინი და ტაბლა

სავაჭრო გზები: ევმელ ერათოსთენი (276 ქრ. წ.) იხსენიებს სავაჭრო გზას ფაზ-მტკვრის ხეობაზე მიმავალს კასპიის ზღვამდე და იქიდგან ინდოეთამდე. ჰეროდოტეს სიტყვით უწინდელ დროითგანვე შავსა და კასპიის ზღვაზედ არსებობდა ნავსნობა სავაჭროდ. სტრაბონი ამბობს: 7—8 ვერსის მანძილზე ფაზის შესართავიდგან სავაჭრო ნავები თავისუფლად დადიოდნენ, შემდეგ (მეტადრე შორაპნიდამ) საქონელი ხმელით გადაჰქონდათ სურამდე (სურამი) და იქიდგან მტკვრით კასპიის ზღვამდე. ამ მდინარეების გაყოლება მრავალი ქალაქებია და სადგურები, ავრეთვე 120 ხიდი, სადგურებზედ გაკეთებულია ხის დაფები ზედ-წარწერით გზის მიმართულების საჩვენებლად.

ამ გზის გარდა საქართველოში იყო კიდევ შემდეგი გზები: არაგვის ხეობაზედ „არაგვის-კარი“ და მერმე დარიალისა. ეს კარი დახშული იყო. ალბანიის გზა ანუ თოლისა. სამხრე-

თიდგან გზა მოდიოდა მტკვრის ხეობაზე. ამ გზებზე მანძილით მანძილ დამართული იყო მაგარი ციხე-ქალაქები. კასპიის ნაპირზე სხვა გზა მიიმართებოდა ჩრდილოეთისკენ. იგი დახშული იყო რკინის ძელებით.

სტრაბონი: ივერიაში ბევრია ქალაქები და სხვა საცხოვრებელი ადგილები არის კრამიტით დახურული და სახუროთ-მოძღვრო ზელოვნების გემოზე აგებული სახლები, ბაზრები და საერო შენებულებანი. ივერიელთა ნაწილი მოსახლეობს ვაკეზე და ესენი არიან მხვნელ-მთესველნი, მშვიდობიანნი, სომეხთა და მიდიელთაებრ მოწეს-რიგებულნი; მეორე ნაწილი მოსახლეობს მთიანს ადგილებში. ეს ნაწილი პირველზე მეტია და მეომარი. ესენი ცხოვრობენ სკვითთა და სარმატთა წეს-რიგით. ეს სკვითნი და სარმატნი მათნი მეზობელნი და მოსისოვესვენი არიან. მაინცა და მაინც ეს უკანასკნელი ივერებიც მხვნელ-მთესველნია. ომის დროს ამ ივერთ და ბარის ივერთ გამოჰყავთ მრავალი ბევრი ლაშქარი („ბევრი"=10,000). მათს ქვეყანაში შეისვლება ოთხის გზით, ერთი გზა მიდის კოლხიდის ციხე სარაპანიდამ (შორაპნიდამ). მათი ქალაქებია არმოზიკე და სევსამორა (წიწამური!). ამ ქვეყანაში ერი იყოფება 4 წოდებად. პირველს წოდებას ეკუთვნიან ოგინი, რომელთაგან ყველაზე უფროსს ირჩევენ მეფედ და მის მერმეთ მეორეს—უმთავრეს მსაჯულად და ლაშქრის წინამძღოლად. მეორე წოდებას შეადგენენ მღვდელნი, რომელთ დავალებული აქვთ თვალყური ადევნონ სამეზობლო კეთილ-განწყობილებას. მესამე წოდებას ეკუთვნიან მეომარნი და მხვნელ-მთესველნი. მეოთხე წოდებად ითვლება მდაბიო ხალხი, მეფის ყმანი და მოსამსახურეობის თანამდებობის აღმასრულებელნი. ქონება ეკუთვნის მთელს გვარეულობას, რომლის მბრძანებელი და მმართველი არის გვარის უფროსი (მართლაცა და, სტრაბონის თქმისა არ იყოს, გაუყრელს საგვარეულო მამულებში მამასახლისობდა გვარის უფროსი).—ალბანიაში (კახეთს!) აგრეთვე

ერი ლამაზია, ტანოვანი, გულკეთილი, ბრა ცბიერი, უმეტესობა მწყემსია. ომის დროს ივერიელებზე მეტი ლაშქარი გამოჰყავთ ბრძოლის ველზე—60,000 ქვეითი და 22,000 ცხენოსანი.

—

ვახუშტის „სომხეთის აღწერას“ რომ ვბეჭდავდით, ხელში არ გვქონდა წიგნი „Описаніе монастырей Ахпатскаго и Санагинскаго“ იოანე ყირიმელისა, ამიტომ ვახუშტის ცნობები ვერ შეევასეთ და ადგილ-ადგილ ვერ შეევასწორეთ. ამ წიგნში ხსენებულ მონასტრების ისტორიას გადმოგვცემენ მათი წარწერები. ამ წარწერებით სჩანს, ახპატი აუშენებია 1220 წელს კურდს სუმბათისძეს, მამფალის ბარსელის ძმას (გვ. 1). მაგრამ ტაძარი ძველს დროსვე ყოფილა აგებული. მის ხუროთ-მოძღვრად, აგრეთვე მრავალ სხვა შესანიშნავ საყდრებისა, ყოფილა ტირიდატი (მე-X საუკ.). ტაძრის წარწერები იხსენიებენ ქართველ მეფეებსაც, დავით აღმაშენებელს, გიორგის და სხ. სიტყვა „ახპატი“ ნიშნავსო „დაცულს ცბიერ მახეთაგან“ ანუ „ღვთისაგან დაფარულს“.—სანაინს ყოფილა სამი ტაძარი. ერთი, ყველაზე ძველი, გადმოცემით, აშენებულია თვით წმ. გრიგოლ განმანათლებელისაგან (მე-IV საუკ.), მეორე—951 წელს, მესამე—სომეხთა მეფის აშოტისაგან და მის ცოლის ხოსროვანუშისა—979 წ. თვით სახელი სანაინი ნიშნავსო „ძველს ქვაბს“. მონასტრების წარწერებში კიდევ ბევრი საყურადღებო ცნობებია შესახებ სომხითისა, მაგრამ აქ ველარ მოგვყავს.—

—

წინასიტყვაობისა თუ თვით ტექსტის შენიშვნებში ჩვენ შეეხენი, მრავალს საგანს: ვახუშტის ცნობები შეევასეთ სხვა წყაროებით, გასასწორებელი გავასწორეთ, აღვნიშნეთ ზოგგან გეოგრაფიულ სახელების მნიშვნელობა და სხ. ჩვენი წილი შრომა უკეთესადაც შეიძლებოდა შესრულებულიყო. ჩვენ მხოლოდ ის შევასრულეთ, რაც შეგვეძლო მოკლე დროს განმავლობაში

და რაც დაეტეოდა საგეოგრაფიო წიგნის წინასიტყვაობასა თუ ტექსტის შენიშვნებში. გვწამს, ქართული ენისა და მის კილოკავების საფუძვლიანად შესწავლა იმავე დროს იქნება შესწავლა საქართველოს ისტორიისა. ქართული ენა, ჩვენის აზრით, არის უმთავრესი და უტყუარი წყარო ქართულის ისტორიისა. ამას, ვფიქრობთ, საკმაოდ ამტკიცებს ჩვენ მიერ მოყვანილი სალექსიკონო, საგრამატიკო და საფილოლოგიო მასალა, წინასიტყვაობასა თუ სხვა შენიშვნებში. ამ მასალის შეკრებაში დაგვეხმარნენ პეტრე ჭარაია, ივანე დაბესარიონ ნიჟარაძენი, ი. მარგიანი, მღ. კოდრატე თათარაშვილი, თერნიკ. ჩიქოვანი, გრ. ვოლსკი, რომელთაც ამისთვის ვუძღვნი გულწრფელ მადლობას. პეტრე ჭარაიას ეტნოგრაფიული წერილები, რომლებიდგანაც ამოვიღეთ ცნობები აფხაზთა ღმერთების შესახებ, ამგვარივე წერილები ნ. ჯანაშიასი, ნ. ურბნელისა, ბ. ნიჟარაძისა, ძმათა რაზიკაშვილებისა, პროფეს. ა. ხახანაშვილისა და სხ. უშრეტი წყაროა საქართველოს ძველ ყოფა-ცხოვრების შესასწავლად და აგრეთვე შესასწავლად ვანის ლურსმურ წარწერების ენისა; ამ წარწერებს ჩვენ მივუძღვნით ცალკე წერილს. აქა-იქ, ტექსტის შენიშვნებსა თუ წინასიტყვაობაში, ჩვენ წარმოვადგინეთ ორნაირი განმარტება ერთისა და იმავე სახელისა, რადგან თვითონ მტკიცედ არა ვართ დარწმუნებული, თუ რომელი ახსნა უფრო ჭეშმარიტია და რომელს უნდა მიეცეს უპირატესობა, მაგ. მესხი შეიძლება იყოს მე-გზი, მე-შხი, მე-სკი, მსკიდი—მჭედი, მჭედელი (იხ. ზემო გვ. რ3) და ანუ მესახე=მოსახე—მოსახლე. ამგვარ სახელების ასახსნელ მასალას კვლავაც მოვიყვანთ. სხვა და სხვა დიდმნიშვნელოვან კითხვების საბოლოოდ შესასწავლად და გადასაწყვეტად საჭიროა მასალის მზადება და შეკრება. მთელი ჩვენი შრომა ამ წრეს არ გადასცილებია ანუ, უკედ ვთქვათ, ამ თვალსაზრისით ვუყურებთ ჩვენ ჩვენს მცირე შრომას და ნარკვევს.—სამწუხაროდ, ვახუშტის ვრცელი რუკების დაბეჭდვა არ მოხერხდა სიძვირისა გამო და ამიტომ ჩავუ-

რთეთ საქართველოს მოკლე რუქა. თვით ვახუშტის სურათი და მისი მამისა განსვენებულ მიხეილ საბინინის ხელნაწერებში აღმოჩნდა. სურათები კარანდაშით იყო გადმოხატული ძველის სურათებიდგან და ქვეშ ეწერა „ბატონიშვილი ვახუშტი“, „მეფე ვახტანგ“. ამ ვახტანგის სურათი სწორედ პირია მისის ცნობილ სურათებისა. პატივი მაქვს უღრმესი მადლობა მოვახსენო აგრეთვე მისს აღმატებულებას, ტფილისის საგეოგრაფიო საზოგადოების განყოფილების თავმჯდომარეს, ალექსანდრე ალექსანდრეს ძეს ფრეზეს და ამავე საზოგადოების მდივანს დ. დ. პაგირევს, რომელთაც პეტერბურღიდგან გამოგვიწერეს თვით ვახუშტის ხელნაწერი—დედანი.

მ. ჯანაშვილი.

ზნენი და ჩვეულებანი

საქართველოსანი.

ღმერთმან სიბრძნითა თჳსითა მოწყალებისათა, გამოუთქმელითა და მიუწდომელითა, დაბადა კაცი. და ვითარითა მოწყალებითა! რამეთუ მიწისაგან შექმნა ცხოველად, სულიერად, სიტყვიერად, უკუდავად, და განაშუჱნა იგი სახოვნებითა და განაბრწყინვა იგი მადლითა თჳსითა უბრწყინვალეს მზისა, და ვარსკულავთა და მნათობთა, და შეუმკო ქუჱყანა ყოვლითა შუჱნიერებითა: მრავალთა ნერგთა მყვავილოვანებითა, და სურნელთა ფშოთათა, და მდინარე-წყაროთა მომდინარეთა, და უმეტეს ზღვათა სივრცელითა და მას შინა მრავალთა ჭალაკთა მშვენთა, და ცხოელთა და თევზთა სხვა და სხვა გუართა სისავსითა, და კმელთა ზედა პირუტყუთა, და ნადირთა, და მკეცთა განთვითვებულითა, და მფრინველთა უმეტეს გუართა სიმრავლითა და კეკლუცობითა, და მშტვენარებითა სასმენელობათათა, კვალად ვარსკულავთა, მნათობთა ბრწყინვალებითა; განა-თუ ამითიცა არა კმა-ჰყო, არამედ სხვა უქმნა უმაღლეს ქვეყნისა, ვითარცა დალიჳი [1]) სამეუფო და უუშუჱნიერესი ყოველთავე ამათ ქმნულთა: იგი არს სამოთხე; და დაჰბადა მას შინა ადამ და, კვალად მოწყალებითავე, გვერდისა მისისაგან უქმნა შემწედ ევა და დაადგინა სამოთხესა მას შინა უკუდავი, უზრუნველი, ნებსითი და უვნებელი, და დაუმორ-

---

[1]) დალიჳი, ტახტი, დიდებულთა დასაჯდომელი.

ჩილა მას ყოველნი ქმნულნი ცასა ქვეშენი, ვითარცა მისთჳს ქმნულნი სრულიადი; და დაადგინა მეფედ მათ ზედა, რათა დაიცვას მცნება მისი და შემდგომად მიიღოს უკუდავი, უკანასკნელი, უდიდესი, კვალად დიდება ღუთისა. არამედ, მტრისა ბოროტის მაცთურისაგან ურჩებითა ცთომისა მიზეზისათა, გამოვარდა სამოთხით და მოეძარცვა მადლი და ბრწყინვალება ღუთისა, და დაშთა ლიტონი კაცი: და შეიმოსა, მადლისა და ბრწყინვალებისა-წილ, ფურცელი ლეღვისა, ესე იგი არს სიზრქე, სიმძიმე და გემოვნება; და შემოუხდა ნდომა ანუ წადილი. ვითარცა კაინ მოკლა ძმა თჳსი აბელ, ამიერითგან იწოდნენ ძენი ღუთისანი და ძენი კაცთანი, ესე იგი არს ძენი გულისთქმისანი და ნდომისანი და ძენი სულიერისა ღუთის ტრფიალებისანი. და ვიდრე ნოეს ღრღვნისამდე ესე ესრეთ. ხოლო შემდგომად ძეთა ნოესთა, რომელნი ვიდოდენ კვალთა ძეთა გულის-თქმისა და ნდომისათავე, შესძინეს დატევება დამბადებელისა ღუთისა თჳსისა და ქმნეს ნივთიერნი ღმერთნი: კერპნი უსულონი, უტყუნი და ყრუნი, და თაყუანისცემდენ მას ვიდრემე სრულიად ქუჱყანა, ნათესავი ადამისი და ტომნი ნოესნი; ხოლო ქართველთა ტომნი, ვითარცა გვაუწყებს მატიანე ჩვენი [2]), იყუნენ ყოველთა ტომთა და ნათესავთა უუბოროტესნი და უულოესნი.

ზნეთათჳს. არამედ ვინათგან აღვსწერეთ ტომობა და ჩამომავლობა ქართველთა ნოეს ძის იეფთაეს თესლისაგან ვიდრე ქართლოსისა და ძმათა მისთამდე და განყოფილებანი მათნი და ძეთა მათთა, აწ ვიწყოთ ძველიდამ ახლადმდე საქართველოსათა ზნეთა და ჩვეულებათა და წესთა მათთა, პირველ განყოფილებისა და შემდგომად განყოფილებისა [3]). რამე-

---

[2]) ქართლის ცხოვრება.

[3]) განუოფას საქართველოისას—ქართლისა, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად და სამეკრძალოისა, სვანეთისა, აფხაზეთისა, გურიისა და სომეხის სამთავროებად ვახუშტი დასდებს 1469 წელს.

თუ წესნი მთავრობათა საქართველოსათა არიან დასაწყისითგანვე, ვითარცა ვიუწყებთ: რაჟამს მისცა ჰაოს ძმათა თჳსთა წილნი ქვეყანათა, და შემდგომად ქართლოსის ცოლმან ძეთა თჳსთა, და შემდგომად მცხეთოს, და კავალად ეგროს, ბარდოს, მოვაკან, Ბეროს, ლეკოს და კავკასოს, ვითარ წარჩინებულნი მათნი, მთავრად ისახელებოდნენ. რამეთუ ცხად არს ადგილითი ადგილთა განყოფილებითა და სახელთა მათთა, რომელნი იწოდნენვე მათ მიერ, და იწოდებოდნენ იგინი ესრეთ მთავრად, არამედ მცხეთას მყოფი უწარჩინებულეს მთავრად და მამასახლისად და მოურნედ მათ ყოველთა ისახელებოდა.

Არამედ სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელისა ღუთისა თაყვანისცემა; და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქუნდათ: პირ-მტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათჳს მჳნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთჳს; ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქვეყანისა, ერთისა ცოლისა ქრმობა. რამეთუ მოიყვანიან თჳსთჳსთა თანა-სწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალ-ცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისასა და სხვათაცა. არამედ გარნა-თუ მრავალ მთავარ იყუნენ და ოდესმე განდგიან თჳს-თჳსად, განა მარადის გარე მტერთა თჳსთა ზედა ერთობდენ და მორჩილებდნენ მცხეთელ მამასახლისსა, და, შეერთბამებულნი, თჳსთა ქვეყნისა-თჳს მჳნედ იბრძოდიან. და იყუნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა. ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თჳსი და თაყვანის სცემდნენ მზესა, მთოვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყუთა. და შემოერიათ გარეგანი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი და შემდგომად ურიანი, და იტყოდიან ესეოდენითა ენითა; და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თჳსი და წესნი და ჩვეულებანი თჳსნი, და იქმნენ ყოველთა წარმართთა უუწარმართესნი და უუსჯულოესნი: რამეთუ არღარა

უწყოდნენ ნათესაობანი და შერეულ იყუნენ შეყოფითა, ვიდრე წარწერადცა უცხოთა. და კვალად შესძინეს ამას ზედა: რამეთუ რა მოკუდის ვინმე კაცი, ანუ ბრძოლასა, მეორე ივასხის და შესჭამდიან; ხოლო უკეთუ არა თჳთ შესჭამდიან, ვითარცა იტყჳს: „კარსნელთა მართებს კოდმანელთა ხუთი მკუდარი დღემდე". კვალად სჭამდიან ყოველსა ცხოველსა სულიერსა არა-წმინდასა. [4]) განა იყუნენ მცხეთელ მამასახლისის მორჩილებასა ქვეშე და ერთობდენ მტერთა თჳსთა ზედა მრავალსა წელსა. ხოლო შემდგომად შემოვიდა ალექსანდრე მაკიდონელი. ამან მოსრნა შემოსრულნი წარმართნი სრულიად, თჳნიერ ქართლოსიანთა და ურიათა გუართა, არამედ ურჩნი თჳსნი ქართლოსიანნიცა, ვითარცა ფარნაოზის მამა, ბიძა და სხვანიცა, და განწმიდა საქართველო ესე ვითართა უკეთურებათაგან. რამეთუ გვაცნობებენ სარკინოზით ლტოლვილნი დიდონი, რომელნი აწამდე წესსა მას ზედა დგანან, თჳნიერ კაცის ჭამისა. ხოლო ალექსანდრემ დაუდვა რჯული საქართველოთა ერთისა დამბადებელისა ღუთისა თაყვანისცემა და მზისა და მთოვარისა და ვარსკულავთა პატივი. [5])

კერპთათჳს. არამედ შემდგომად ალექსანდრესა დაუტევა

---

[4]) შატბერდის ქრონიკით, მკვდრისა და უწმინდურ ცხოველთა მჭამელნი იუკნენ არა ქართველნი, არამედ თურქნი, რომელნიც მოვიდნენ კასპიის ზღვის იქითა მხრიდგან და მცხეთის მამასახლისისა და ქართველ ერის თანხმობით დასახლდნენ სარკინეთს, ციხედიდს, უფლისციხეს და სხ.

[5]) ალექსანდრე მაკედონელის საქართველოში შემოსვლას უარჰყოფენ, თუმცა ქართლის ცხოვრებას კარდა კვინტ კურტიუსი და იუდიუს სოლინიც ამბობენ, ალექსანდრე საქართველოში იყოო. აწინდელს საქართველოში კი არ შემოსულა ალექსანდრე მაკედონელი, არამედ კადუზიანთა ქვეყანაში, კასპიის ზღვის პირას და ეს კადუზიანნი კი ქართველები უნდა ყოფილიყვნენ (იხ. „ქართველთა მატიანე").

რჯული-იგი ერისთავმან მისმან აზონ და ამართნა კერპნი გაც და გაიმა და ათაყვანა სრულიად საქართველოსანი, და ასწავებდა ზნესა და ჩვეულებასა თჳსსა. ხოლო მოიკლა აზონ ფარნაოზისგან და გამეფდა ფარნაოზ. [6]) ამან საშუალსა გაც და გაიმისა [7]) ამართა სახელისა თჳსისა კერპი არმაზ,—მთასა ზედა და კევსა შინა, ქართლოსის საფლავსა ზედა,—რვალისა, დიდი, ცმული ოქროს ჯავშნითა, რომელსა სხდნენ თვალნი ქვათა ძვირფასთა, მნათობელთა და გჳრგჳნი თავსა მისსა ეგრეთვე მანათობელთა ქვათა. და ათაყვანა მას საქართველოსანი და დაუდვა დღესასწაული მისი, რომელი ქვემორე ითქმის. ხოლო შემდგომად მეფეთა შესძინეს კერპნი ზადენ და აფროდიტე და სხვანი. არამედ ესე არმაზ უდიდესი იყო ყოველთა ღმერთთა. [8]) ხოლო მეფისა განწესებისა შემდგომად აქუნდათ სარწმუნოდ ღმერთნი ესენი და მტკიცეთ დგნენ სარწმუნოებასა, სიყვარულსა ზედა და არა თაყვანისციან სხვათა ვისამეთა ღმერთთა (რომლისათჳს გვაუწყებს მაიჟან სპასპეტი [9]) და მეფე მირი-

---

[6]) ფარნავაზ 302 წლითგან 237 წლამდე.

[7]) გაც და გაიმ ივვნენ ღმერთნი მამათა ჩჳენთანი და იგინი მოიტანნ მცხეთას აზოს, ქართველოს მეფის არნაის ძემ. აზო (324—302 წ) იყო პირველი მეფე მცხეთას (შატბერდის ქრონიკა).

[8]) შატბერდის ქრონიკა, გვ. 37: „აჭა ესერა ღმერთნი დიდთა ნაყოფთა მომცემელნი და სოფლის მპურობელნი, მზის მომფენელნი და წვიმისა მომცემელნი, ქვეყანისა ნაყოფთა გამზრდელნი, ქართლისანი არმაზ და ზადენ, ყოველისა დაფარულისა გამომქიბელნი და ძუელნი ღმერთნი მამათა ჩჳენთანი გაც და გაიმ.“ არმაზი იყო სპილენძისა, ტანსა ეცვა ჯაჭვი ოქროისა და თავსა ეხურა ჩაფხუტი ოქროისა და ჰქონდა სამხრეები, ესხა ფრცხილი და ბივრიტი, ხელსა ჰქონდა ხმალი ლესული, რომელი ბრწყინვიდა. მის მარჯჳენით იდგა კერპი ოქროისა—გაცი და მარცხენით კერპი ვერცხლისა—გაიმ ანუ გაიმ (იქვე, გვ. 21).

[9]) მაიჟანი, სპასალარი ასფაგურისა (262—265), ეუბნება ერს:

ან [10]), ოდეს ეზრახვის დიდებულთა თჳსთა წმიდის ნინოს შეურაცხებისა-თჳს).

მეფეთათჳს. ხოლო ჩვეულებაჲ აქუნდათ ერთისა მეფისა მორჩილება და სარწმუნოდ მის მიმართ ყოფა და ჩამომავალთა და გვართა მეფეთათა, შემდგომად მისა, გამეფებად: რამეთუ შემდგომად მამისა ძე, და არა სხვა გვარი, არცალა-თუ გამორჩევით; არავისა მონებდნენ, თჳნიერ მათთა, ანუ წულთაგან ანუ ასულთაგან, უკუთუ არა დაეტევის წული (ვითარცა იტყჳს იგივე მაიჟან სპასპეტი და იხილების მატიანესა ჩვენსა).

წესთათჳს. ხოლო წესნი აქუნდათ: რამეთუ კერპთა მლვდელთა პატივნი და რიგნი იყუნენ ცალკერძათ, ვითარცა სულიერთა, ხოლო სოფლიერნი: პირველი, ერისთავნი, ბ, მთავარნი, გ, აზნაურნი, დ, ვაჭარნი, ე, მსახურნი და ვ, მუშაკნი გლეხნი. წესი ერისთავთა იყო მეფისა მიერ განწესება ქვეყანათა მიმართ, ¹და მის მიერ მოურნეობა, სამართალი და ლაშკარნი მის ქვეყნისანი მის ქვეშე იყუნენ, და იგინი მოჰკრეფდნენ ხარკთა სამეფოთა. ხოლო ესე ერისთავნი დაიდგინებოდნენ—მთავარნი და ¹წარჩინებულნი და ძენი მათნი,—შეცვალებით; ხოლო წესნი მთავართა იყო გვარი და შთამომავლობა, ქართლოსიანობა და პატივი მისი. ხოლო უკუთუ მეფისა წესსა შინა იყო იგი, უმეტეს პატივიცემოდა. არამედ მთავრისა ჯერ იყო, რათა აქუნდეს ჩამომავლობა და გვარი-იგი, და ამის მიმართ ციხე, ქალაქი, სიმაგრე და კეობანი, და თჳ-

---

„მეფე მოგვიკვდს; დაგვიტევს ერთად-ერთი ასული აბეშურა, მოგიწვიოთ სპარსთა მეფის ძე და მიგათხოვოთ მას აბეშურა და მოგითხოვოთ, ჩვენს სარწმუნოებასა და ჩვეულებაზე მოიქცეს, თუ არა — და უმჯობეს არს თავნი თვისნი კაკუწიროთ, ვიდრე დაგეგმორჩილოთ უცხოელს“ (ვახუშტი, საქართ. ისტ., გვ. 53).

[10]) მირიან მეფე † 342 წ.

ნიერ ამისა არა ისახელებოდა მთავრად. ხოლო აზნაურსა აქუ-ნდა გვარი და ჩამომავლობა, და სიმაგრე რაიმე მთათა ანუ ბართა, და დაბნები, და ძალედვას გამოსლვა მარქაფითა, კა-რვითა და მათთა გაწყობილებითა და თუნიერ ამისა არა იწო-დებოდა აზნაურად. ხოლო ვაჟართა პატივი იყო აზნაურისა ქვემორე და ვიეთთამე—სწორი. და შემდგომად პატივი მსახუ-რთა მეფისათა, გლეხთა ძეთა, და მერმე ჩინებულთა მათთა, წესისა მიერ, პატივი მსახურთა მათთა, და შემდგომად ამათ-თა—მუშაკთა გლეხთა. რამეთუ სისხლნიცა ეგრეთ [ს]ხდიოდათ ჩინებისა მათისა მიერ: ზეიდამ ქვეით ნახევრად ანუ ქვეიდამ ზეით ერთი ორად [11]).

ლაშკართათჳს. ხოლო ლაშკართა წესნი აქუნდათ: მეფეთა ჰყვა როქითა [12]), რაოდენი ძალედვა, სპანი მცველად თჳსად, ვითარცა იტყჳს [13]) მირიანისასა და აღმაშენებელისასა ᲔᲐᲗᲐᲡᲐ [14]) მარადის მცველად მისად. და დავითთასა არღარა განი-ყოფოდა საჭურჭლე სპათა ზედა, და პატივი ამათი იყო სხვა.

---

[11]) ვახტანგ მეფის სჯულის კრებული (1887 წლ. გამოც., გვ. 14): „მსახურის სისხლი ერთი-ორად თჳსობს გლეხისაზე, უკა-ნასკნელ აზნაურისა ერთი-ორად მსახურისაზე, შუათანა აზნაურისა ერ-თი ორად უკანასკნელ აზნაურისაზე, უპირველეს აზნაურისა ერთი ორად შუათანა აზნაურისაზე, უკანასკნელ თავადისა ერთი ორად უპირ-ველეს აზნაურისაზე, შუა ხარისხის თავადისა ერთი ორად დაბალ ხა-რისხის თავადისაზე, უპირველეს თავადისა ერთი ორად შუა ხარისხის თავადისაზე. სისხლი სამღვდელოებისა და ეკჳრთაც თჳსობს ისე, როგორც ჩამოთვლილნია ზემოთ“ (კრებულში).

[12]) როქით, ჯამაგირით.

[13]) მემატიანე.

[14]) 60,000 მეომარი ჯამაგირით ჰყოვნდა დავით აღმაშენე-ბელს († 1125 წ.) და მირიანს.

ხოლო სხვანი სპანი იყუნენ ქვეყანათაგან და ერისთავთა ქვეშე დაწესებულნი, რომელთა მოუწოდიან ჟამად.

საჭურველთათჳს. ხოლო საომარნი საჭურველნი აქუნდათ: ჯავშანი, ხვაფთანი, პოლოტიკნი, საბარკულნი, მუზარადნი, ჩაბალახნი, კმალნი, ხანჯალნი, ლახტნი, ჩუგლუგნი, გურზნი, ოროლნი, შუბნი, ხიშტნი და მშჳლდ-ისარნი. არამედ ისარი ბოძალი დიდთა ნადირთათჳს, ქეიბური მკეცთათჳს, სარჩა და ქიბურჯი წვრილთა ნადირთათჳს,—და სამუდამოთ აქუნდათ, ხოლო კაპარჭის ისარი, რომელ არს საყალნო, ომსა ბრძოლასა შინა.

სამართლისათჳს. ხოლო წესნი სამართლისა და შერისხვისათჳს აქუნდათ: სისხლი, კრმალი, შანთი, მდულარე და ფიცი.[15]) სისხლს უწოდებენ: ოდეს სწორმან მოკლის ვინ ვინმე სწორი, მეფისაგან შერისხვა იყო ანუ სიკუდილი, ანუ გვემა და პატიმრობა; ხოლო მკულელისა მის თანამდებ იყო, რათა დაეურვა თეთრითა და საქონლითა პატივისა და წესისა მისისა სისხლი. ხოლო უკეთუ უმაღლესმან მოკლის უმცირესი, დაუურვის სისხლი; ხოლო უმდაბლესმან თუ მოკლის უმაღლესი, დაუურვის სისხლი და განიძის მამულისაგან რაოდენსამე წელსა; ეგრეთვე დაწინდულთა ქალთა წართმისა ანუ დატევებისათჳს ჩინებისა მიერვე დაუურვის სისხლი. ხოლო სულიერთაგან, ამის მოქმედთა ზედა, სხვა იყო შერისხვანი. ხოლო კმადი—მეფეთა ღალატისა შეწამებისა, ანუ კერპთა ანუ—შემდგომად—ეკლესიისა მკრეხელთათჳს: შემწამებელს და შეწამებულს ალოცვიდიან 3 დღე[16]), შემდგომად შესჭურვიდიან

---

[15]) სიმართლის აღსადგენად საქართველოში არსებობს: 1—ფიცი, 2—განხურვებული რკინა, 3—მდულარე, 4—ხმადი, 5—მიწშენი და 6—ცოდვის მიდება (ვახტანგის კრებ., გვ. 5).

[16]) ვახტანგის კრებულში (გვ. 5): „40 დღემდე", ხელნაწერ ვარიანტებში: „სამ დღემდე".

ყოვლითა საჭურველითა და შესხნიან ცხენთა ზედა, და მისცემდიან თვთოსა ცხენოსანსა უსაჭურველოთა, თჳნიერ მათრახისა, რომელთა უწოდნენ მემათრახეთ, ჩაგზავნიდიან ასპარეზსა შინა და იწყიან ბრძოლად შემწამებელმან და შესწამებულმან; და მემათრახენი იგინი მოახსენებდენ თჳსთა ჟამთა შინა ბრძოლასა და საჭურველისა კმარებათა, და რომელი ჩამოვარდის, განმტყუნდისცა. ხოლო რისხვა მისი: მოკუსთა თავისა და იავარი მამულით და სახლით; არამედ შეწყალებისათჳს—აღმოკდა თვალთა. ხოლო შანთი ქურდთა განმართლებისათჳს: გაახურვიან საკნისი ვითარცა ნაკვერცხალი და დასდჳან მაღალთა ზედა, რათა მალიად შეედვას კელნი ქვეშე მისსა; და დასდვიან შეწამებულსა ტილოჲ ანუ ქაღალდი კელთა ზედა; იგი მივიდის და აღიღის საკნისი და წარდგის სამი ბიჯი და გარდააგდის, მასვე წამს შეუხვივიან კელნი სამ დღემდე, და სამისა დღისა გაუხსნიან, და, უკსთუ დაუწვავარს, განმართლდის, უკსთუ დამწვარი—მტყუარ. ხოლო მდუღარეცა ეგრეთვე მისთჳს: გაადუღიან წყალი ქვაბსა შინა, შთააგდიან მცირე რკინა მას შინა, მოვიდის შეწამებული შიშვლითა მკლავითა და აღმოიღის რკინა იგი, და წამს შეუხვივიან. ვითარცა შანთისასა, ეგრეთვე ამისიცა მართალი და მტყუანი. ხოლო ფიცი მამულის ცილებისათჳს, მცირე ქურდობისათჳს და სხვათათჳსცა: დააფიციან მოწმითა რაოდენნი შეხუდის, ხოლო ქურდსა, ავაზაკსა და მძარცველსა ერთისაწილ შვიდი მიაცემინიან. და უკსთუ ვინ მესამედ ჰყო, აღმოხდიან თვალთა, და მცირედისათჳს მოჰკუსთიან ფერკნი. კვალად, უკსთუ ვინ იხადის მახვილი ბჭესა მეფისასა ანუ ერისთავსა ზედა და წარჩინებულთა, მოჰკუსთიან კელნი. და სხვანიცა მრავალნი იყუნენ.

ჰეღეს უფალნი. ხოლო ხელისუფალნი იყუნენ მეფისანი ესენი კარსა ზედა: სპასალარი ანუ სპასპეტი, და ამისი კელისანი იყუნენ ყოველთა სავაზიროთა თათბირთა პირველობა და ყოველთა ერისთავთა უხუცესობა; სპასალარისათჳს. ესევე შეჰკ-

რებდა ლაშკართა და ხარკსა სამეფოსა და ერისთავთა მიერ ყოველთა საბრძანებელთა. სახლთხუცესისათჳს. აბრამადი ანუ სახლთხუცესი, და ამისი კელისა იყო სამეფო შემოსავალი და გასავალი; ამან უწყოდა წესნი და რიგნი სახლისა მეფისა და თათბირობა სამეფოსი და სახასონი მეფისანი. და ამას ქვეითნი კელის-უფალნი ამისი დასახედნი იყუნენ, არამედ უმეტეს ეჯიბს ქვემორენი. მსახურთ უხუცესისათჳს. მსახურთ უხუცესის კელისა იყუნენ: სალაშკრო საჭურველისა და იარაღისა მსახურნი მეფისანი და ციხე-ქალაქთა მცველნი სპანი მეფისანი. მონათ-უხუცესისათჳს. მონათ-უხუცესის კელისა იყო: ყოველნი მეფის როქის სპანი, თჳნიერ ციხე-ქალაქთა. მანდატურთ-უხუცესისათჳს. მანდატურთ უხუცესის კელისა იყო მანდატურნი [17]), ბოქოულთ-ხუცესნი, ბოქოულნი, მანდატურნი, მებჭენი, მეკრენი, ქონდაქარნი, სარანგანი და ნადიმობისა წესი, და წინძღოლა მეფისა, მოხსენება ნადიმსა და ამხედრებულისა ამის მიერ იყო მეფისა. მეჭურჭლეთ-უხუცესისათჳს. მეჭურჭლეთ-უხუცესი, ამისი კელისა იყო: ყოველნი საჭურჭლე და საუნჯენი მეფისა, და მას შინა დაწესებულნი. მსაჯულთ-უხუცესი. ამისი კელისა იყუნენ ყოველნი მსაჯულნი, ბჭენი, და კევისბერნი, კევისთავნი, და ესევე სჯიდა საბრძანოსა მეფისასა. მეჯინიბეთუხუცესისათჳს. მეჯინიბეთუხუცესი შემდგომად იწოდა ამილახორი ამისი კელისა იყო: ყოველნი მეჯინიბენი, შიკრიკნი, პაიჭნი, ჯინიბნი, ცუნენი, ჯოგნი, რემანი მეფისანი. ბაზიერთ-უხუცესისათჳს. ბაზიერთ უხუცესი, ამისი კელისა იყო: სულიად ბაზნი, ბაზიერნი, მეძალლენი, ძალლნი, ტყეთა და ველთა მცველნი სანადიროთა მეფისათა. ეჯიბი. ამისი კელისა იყუნენ ყოველნი ტაძრეულნი მეფისანი, და ნადიმსა იგივე მიუგებდა მეფისა-წილ, და მას

---

[17]) მანდატური ანუ მანდატორი, სანდო კაცი, სიტუვიდამ mando—მინდობა, mandator მიმდობელი, მიმდობი. მანდატური მეფის კელადი კაცი.

ეტყოდნენ დარბაზის ერნი რაი ენებათ მეფის მოხსენებად, და თავის-წინაობასა შინა ვერვინ შევიდის მეფისა, თუნიერ მისა. ეზოს-მოძღვრისათუს. ეზოსმოძღვარი—ამისი კელისა იყო: ყოველნი საგანგიონი, მეფის ხარჯნი და წარსაგებელნი, წესნი და რიგნი და დარბაზისა, მეფის ტაბლისა და სანოვაგისა, ანუ სხვათა. ჩუნჩურახისათუს. ჩურჩერახი—ამის კელისა იყო: მზარეულთ-უხუცესნი, მეტაბლენი, მზარეულნი, მეპურენი, მერწყულნი, მგოსანნი, მემწყობრენი, ბუკ-ტაბლაკთა და სხვათა მცემელნი. მედვინეთ-ხუცესისათუს. მედვინეთხუცესი—ამისი კელისა იყო: მეწდენი და მესასმისენი მეფისა, და ღუნის მნენი. მოლარეთ-ხუცესისათუს. მოლარეთხუცესი—ამისი კელისა იყო: რაიცა მეფეს თეთრი ანუ ლარნი თუსთა საკუთართა ზედა ანუ ქველის საქმისად უხმდა, და მის ქვეშე დაწესებულნი მოლარენი [18]). მესტუმრეთ-უხუცესისათუს. მესტუმრეთუხუცესი—ამისი კელისა იყო: მესტუმრენი. ესენი მოიწვევდნენ დარბაზის ერთა, ესენი მოურნეობდნენ სტუმართა. ჯვარის-მტირთველისათუს. ჯვარის-მტირთველი ესე მოაწვევდა კათალიკოსთა და ეპისკოპოსთა, და შერისხვაცა ამის მიერ იყო [მეფისაგან. მდივანთათუს. მდივანნი ესენი იყუნენ წესითა უმაღლესნი და უმდაბლესნი: მეფისა თანანი—პატივითა უმაღლესნი (ვითარცა იტყვის: [19]) „მდივანსა ჩვენსა ჩოლაყაშვილს არა-რაი ეკადროს თუნიერ დიდისა შეცოდებისათუს მეფისა: მარჯვენა ცერი მოეჭრას, ამისგან კიდე არა-რაი“), სპასალარისა-თანასა სხვა, სახლთ-ხუცისა-თანასა სხვა, მონათ-უხუცესისა, მსახურთ უხუცესისა, მსაჯულთ-უხუცესისა, მეეჟურჭლეთ უხუცესისა და ეზოს-მოძღვრისა-თანათა სხვა. ესენი სწერდნენ უსტარს, იერლაყსა, პიტაკსა, ენდალმასა, პატრუკაგსა, როარტაგსა, გუჯართა, სიგელთა, ბრძანებათა, განაჩენთა და სხვათა. ფარეშთ-ხუცესისა-

---

[18]) მოლარე, ხაზინადარი.

[19]) მეფე თავის ბრძანებაში.

თჳს. ფარეშთ ხუცესი—ამისი კელისა იყო: ფარეშნი, ნოხნი, კარავნი, ოთახნი, მნათენი და ყოველნი საგებელნი, დალიჭნი, სკამნი, სავარძელნი, სრა-ფარდაგნი, ფარდანი და მნენი მისნი და მერწყულნი. ხურჩთ-მოძღვრისათჳს. ხუროთ-მოძღვარი—ამისი კელისა იყო: სულიად კელოსანნი და შენობა სასახლეთა და ეკლესიათა, ხიდთა, ფუნდუკთა. მწერალნი იყუნენ მეფისა, რომელნი სწერდნენ შემოსავალსა და წარსაგებელსა ყოველთავე და ტომართა [20]) და სხვათა.

ჩვეულებისათჳს. ხოლო წესნი ესენი და ჩვეულებანი აქუნდათ, რომელნი ვთქვით, და განუხეთქელობისათჳს სამეფოსა მცველობდნენ, და უკუთუ მიუღიან საზღვარნი თჳსნი, ყოველნი მწუხარებდენ და იჭირვიდნენ კვალად გებასავე და მეფეთა თჳსთა მიუდრეკელად ერთგულებდნენ. განა თუ სძლიან ვინმე მძლავრთაგანმან, არა დაემორჩილიან, არამედ კვალად იპყრიან თჳსნივე წესნი და არა დაუტევიან ღმერთნი და მეფე და ჩვეულებანი თჳსნი. ტაბლასა ზედა სჭამდიან და ნადიმობდნენ. სკამთა ზედა სხდიან. ბოდიშობდიან ქუდის მოხდით, ვითარცა აწ მთის კაცნიცა. სმიდიან ღვინოსა, სჭამდენ კორცთა ჰირუტყუთა და ნადირთათა. ნადიმობდნენ მეფისა თანა და ურთიერთთა თანა. მეფეთა გამეფებათა ზედა გარდააყრიდიან დიდნი და მცირენი სულიად ოქროსა და ვერცხლსა ტაბკითა, ვის რა ძალედვა. ცოლნი თჳსთა თანასწორთა ერთი, და არ სხვათაებრ მრავალნი. ამისთჳს უწყოდენ მოყსობა, ნათესაობა, ურთიერთთა მტერობა და მოყვრობა, ლხინთა ლხინობა და ჭირთა ჭირობა. არამედ ქორწილის ჟამსაცა გარდააყრიდიან, ვითარცა მეფესა, ოქროსა და ვერცხლსა ყოველნი მოწვეულნი და მწვეველნი, ვის რა ძალ ედვა, და არა სიძე-რძლისა იყო იგინი, არამედ მეწდისა მათისა [21]).

---

[20]) ტომარი, წიგნების სათაური, გრაგნილი.

[21]) საქართველოს ზოგიერთ კუთხეში დღესაც ნეფე პატარძალს გა-

მკუდარსა დაჰფლვიდიან ყოვლითა შესამოსლითა, და საჭურველითა და სამკაულითა თჳსითა (ამის გამო არს აწ ნიშანი ეპისკოპოსთა)[22]), ტიროდიან და საბნელოსა სხდიან ᲛᲔ დღე; აღიპარსიან თავნი თჳსნი, წვერ-ულვაშნი, წარბნი, წამწამნი, და ჩაიხდიდიან წელამდე სამოსელთა; მამრნი და მდედრნი იცემდიან ვიდრე სისხლ-დინებისადმდე, არა სჭამდიან კორცსა და ცხოელსა წლამდე, გარნა მაშინც იძულებითა დიდითა; შთაიცვიან ძაძა-ფლასნი და დაიბურიან თავსა თხისურნი ჩაჩნი; განჰყვიან საფლავამდე ცოლნი ქმარსა და ქმარნი ცოლთა, და სხვათა ახლოს მოყვასთაცა; ჯინსა შინა მსხდომარენი, ბნელსა, ძაძითა მოკრულითა, იმღერდიან მწუხარისა კმითა, ტყებისა ჟამსა, არა ჭირისუფალნი, არამედ სხვანი მუნ მყოფნი (ხოლო წესნი ესენი მოშალა ჟᲐ მეფემან გიორგიმ, რაჟამს მოვიდა მისა პატრიაქი იერუსალიმისა[23]), მის გამო, თჳნიერ შავის ჩაცმისა, კორცის უქმელობისა და ტყებატირილისა).

ᲥᲔᲠᲗᲗ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲣᲚᲗᲐᲗᲕᲡ. ძვალად უწყოდიან დღესასწა-

დააყრიან ხოლმე თხილს და წვრილ ფულს. აწინდელი შაბაში იმავე ძველის ჩვეულების ნაშთია.

[22]) „ნიშანი"—განსვენებულის ძვირფასეულნი და ხან მისი ცხენიც შეკმაზული მისართმევად ეპისკოპოზისა. შანავაზის 1673 წლ. სიგელში სწერია: სამთავნელის სამწყსოს აზნაურნი მოვალენი არიან საწირავში მისცენ მას ცხენი შეკმაზული, გარდასახურავი და ნიშანი (სიგელი საეკლ. მუზ. № 559). ნიშანი კათალიკოზსაც ეძლეოდა. ერთს სიგელში (საეკლ. მუზ., № 526) სწერია: „...ოდეს მუხრანის ბატონიშვილები მიიცვალნენ, იმათი ნიშანიც ბატონის კათალიკოზისა არის, აგრეთვე წილკნელს საწირავსა და ნიშანს გარდასახურავსა მისცემენ". ურბნისის გუჯრებში მოხსენებულია: „ცხენი ნიშანი და გარდასახურავი" (მოამბე, № XI, 1901, გვ. 51, 54).

[23]) იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზ მოვიდა საქართველოში 1681 წელს გიორგი XI-ის მეფობაში (1675—1695).

ული კერპთა ღმერთთა თჳსთა: განვიდის თჳთ მეფე და დიდებულნი და მცირებულნი ბუკ-დაბდაბითა და ყოვლითა ძნობითა და სახიობითა; შესწირვიდიან ძროხათა, კართა, ცხოვართა და ნადირთა; თაყვანისცემდნენ არმაზს, შემდგომად ზადენს და მერმე სხვათა ღმერთთა. არამედ უმეტეს დიდი იყო დღესასწაული არმაზისა. და შემდგომად თაყვანისცემისა ჰყვიან ნადიმნი და განცხრომანი დიდითა ჭამითა და ღვინის სმითა, როკვითა ფერკისითა, პურობითა, სახიობითა და ძნობითა სამ დღე, და მოიქციან თჳს-თჳსად სახიდ *). არამედ ოდიდგან დაატევებინა ალექსანდრემ ჭამა მკუდართა, მიერ ჟამით გან შესწირვიდნენ კერპთა ძეთა და ასულთა თჳსთა, და იყო ესე ბოროტება მრავალსა წელსა, არამედ შემდგომად დააყენა,—დაკლვა ძეთა და ასულთა შეწირვად კერპთა,—მეფემან რევ [24]) და უბრძანა კვალად პირუტყვთა შეწირვად (ხოლო ჟამსა ქრისტეანობისასა ნაკერპავთა მათ მთათა მაღალთა და ბორცვთა ზედა ესე-ვითარივე იყო განცხრომა-როკვანი, ამისთჳს ღაშენეს მათ ზედა ეკლესიანი და ჯვარებობდიან მუნ, ვითარცა აწ, ფერკისა სიმღერითა გაათენიან). და ესენი ესრეთ.

შემდგომად კერპთა. ხოლო შემუსრა ძალითა ზეგარდამოთა წმიდამან ნინომ [25]) არმაზ, უდიდესი ღმერთი ქართველთა, და გაც და გაიმა, და იქმნა მეფე მირიან წმიდის ნინოს მიერ ქრისტეანე, და აღიარეს სულიად საქართველოსათა ძედ ღუთისად მარიამ ქალწულისაგან განკორციელებული უფალი ჩვენი იესო ქრისტე. [26]) და შემუსრნა შემდგომად მირიან ყოველნი [27]) კერპნი საბრძანებელსა თჳსსა, და მათ-წილ აღმართნა

---

*) ე. ი. სახლად.

[24]) რევ მართალმა (186—213).

[25]) 318 წელს.

[26]) 324 წ , 6 აგვისტოს.

[27]) არა ყოველნი. ყოველთა კერპთ შემუსრვას თვით მირიანი ავალებს თავისს შვილს რევს (ზატბ. ქრ., გვ. 73).

ცხოველს-მყოფელნი ჯვარნი ქრისტეს მჴუფისა დასამხობელად მტერთა. ეპისკოპოზ.მღვდელთათჳს: განა აქუნდათ წესნი და ჩვეულებანი ესენივე წინ-თქმულნი, არამედ კერპთა მღვდელთა-წილ, დასვა მირიან მცხეთას, ზემო ეკლესიასა შინა [28]), მთავარ-ეფისკოპოზი, და ქალაქთა და დაბნებთა—მღვდელნი ჭეშმარიტნი ქრისტეს სარწმუნოებისანი, რომელთა აქუნდათ პატივი—ეპისკოპოზსა მეფისა თანა, ხოლო მღვდელთა-მთავართა თანა. მეფეთ კურთხევისათჳს: ესე ეპისკოპოზი აკურთხევდა მეფესა და დაადგმიდა გვირგვინსა, ხოლო დადგინებისა კათალიკოზისა, [29])—კათალიკოზი. და ჟამსა ბაგრატიონთასა, [30])—ვინადგან ლიხთ-იმერთა იყო დადგმა გვირგვინისა,—ქართლისა და აფხაზთა კათალიკოზნი აკურთხევდნენ, არამედ გვირგვინსა დაადგმიდა ქუთათელი მეფეთა ქუთაითისის ტახტისათჳს; ხოლო შემდგომად განყოფისა [31])—იმერეთს—კათალიკოზი იმერთა, ქართლს—კათალიკოზი ქართლისა და კახეთს—ბოდბელი. კათალიკოზისა, ეპისკოპოზისა, წინამძღვრისათჳს: ხოლო ვახტანგ-გორგასალ დასვა კათალიკოზი და ეპისკოპოზნი ყოველსა საქართველოსა შინა [32]). ამათ მიეცა პატივი—კათალიკოზსა მეფის თანა, და ეპისკოპოზს ერისთჳსა თანა, ხოლო მღვდელთა-აზნაურთა

---

[28]) სამთავროს, მცხეთის დედათა მონასტერს.

[29]) კათალიკოზი დაადგინა გორგასალმა არა 457 წელს, არამედ 512 წელს („მოამბე", 1896 წ., № 9, ჩვენი წერილი „ვახტანგ გორგასალი"). ბარათაშვილის „ქართლის ცხოვრება" ვახტანგ გორგასლის დაბადების წლად სთვლის 457 წელს, კათალიკოზის დადგენას 534 წელს. ეს 534 წელიწადი თვით ვახტანგ გორგასლის სიკვდილის წლებს (534—537) უახლოვდება (იხ. იქვე).

[30]) პირველი ბაგრატიონი გურამი გამეფდა 575 წელს.

[31]) იგულისხმება საქართველოს განაწილება 1469 წელს.

[32]) ვახტანგ გორგასალმა დაადგინა ეპისკოპოზნი ახიზას (კლარჯეთში), არდაგანს, წუნდას (ჯავახეთს), მანგლისს, ბოლნისს, რუსთავს (ყა-

თანა. ხოლო, შემდგომად მოსვლისა იგ წმიდათა მამათა [33]), იქმნენ ამათ მიერ მონასტერნი და უდაბნონი, და ამათ მონასტერთა მამათა და წინამძღვართა მიეცათ პატივი მთავართა თანა.

შეძინებული წესი მთავართათჳს. ხოლო ამათ მთავრობისა წინთქმულსა წესსა შეეძინა: რათა აქუნდეს მათ წესთა თანა სასაფლაოდ საეფისკოპოზო ანუ მონასტრის ეკლესია, კვალად საყდარი კარისა მღვდლითურთ. ეგრეთვე აზნაურსა სასაფლაოდ მონასტერი და ეკლესია სახლსა თჳსსა მღვდლით. ხოლო წინათქმულითა და ამით იწოდებოდნენ მთავარნი და აზნაურნი და თჳნიერ ამათსა არა. ჭეონდიდელთათჳს. შემდგომად კვალად შესძინეს ჭეონდიდელი, [34]) და იყო ამისი კელისანი: ქვრივობოლნი, დავრდომილნი, უსამართლო-ქმნილნი, შეწუხებულნი და შეჭირვებულნი. ესე აუწყებდა ამათთა ყოველსავე მეფესა. ესევე იყო მწიგნობართ-უხუცესი, ყოველთა სამეფოთა მწერალთა ზეით თქმულთა. ესე მისცემდა მეფისაგან ბრძანებასა ეკლესია-მონასტერთა და ლაშკართა მოწვევად, და მათთა სამჭირნოთა მოხსენებად მეფისა. ესევე იყო, ლაშკროზისა ჟამსა, პატიოსნისა ჯვარისა მძღვანებელი წინაშე სპათა, და ბრძოლისა ჟამსა უკან მსვლელი ანუ ჩახთაული, და ახალ წელს მაკვლევი მეფისა. ათაბაგისათჳს. შემდგომად შესძინეს ათაბაგობა, რამეთუ არღა-რა იწოდებოდა სპასალარი სპასალა-

---

რაიას), ნინოწმინდას (საგარეჯოსკენ), ჭერემს, ხორნაბუჯს (ბოდბის ახლოს), აგარაკს (ბორჩალოს მაზრაში), ნიქოზს (გორის მაზრაში).

[33]) ნნ წლის ახლო ჟამს მოვიდნენ იოანე ზედაზნელი, დავით გარეჯელი, სტეფანე ხირსელი, იოსებ ალავერდელი, ზენონი იყალთოელი, ანტონი მარტყოფელი, აბიბოს ნეკრესელი, ისე წილკნელი, თათე მამეგელი, ისიდორე სამთავნელი, პიროს ბრეთელი, მიქელ ულუმბელი და შიო მღვიმელი.

[34]) ჭყონდიდის საყდარი ანუ მარტვილი სამეგრელოშია. ჭყონ-დიდი ანუ მუხა-დიდი.

რად, არამედ ათაბაგად [35]). მეფეთა გვართათჳს. ხოლო გვარნი მეფეთანი იყუნენ: პირველი, ქართლოსიანნი დანებროთიანნი და არშაკუნიანნი, და მეფობდნენ ესენი ფჯგ წელთა, და მეფენი ისხდნენ გ̾Ჩ. შემდგომად ამათთა იყო გვარი ხოსროვანთა, და მეფობდნენ ესენი უნდ წელთა, და მეფენი ისხდნენ ᲝᲬ, და მთავარნი გ; შემდგომად ამათთა ბაგრატიონნი, რომელნი გამეფდნენ ქორონიკონსა ფოჯ წელთა და არიან აწამდე. არამედ სიტყვა იყო ივერიასა შინა მეფეთა ამათთჳს, რამეთუ: „იცნობის ქართლოსიან-ნებროთიან-არშაკუნიანნი გმირობითა, ხოლო ხოსროვანნი გოლიათობითა, ახოვნებითა, შემმართებელობითა, ხოლო ბაგრატიონნი მხნეობითა, სიბრძნე-ქველობითა და ქვეყნისათჳს თავდადებულობითა“ [36]).

მთავართა გვართათჳს. ხოლო გვარნი მთავართა-მათ ძველთანი ესენი არიან: ქობულიძე [37]), დონური, არელმარელი, ბაღუში რომელი იყო ლიპარიტის ძე, მარუშისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მკარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, კამრეკელი, მარუშისძე [38]), ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, კაკელი, სამძივარი, თარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კუკასიძე, ჯაველი, ირუფაქისძე, ჩოლაყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქეენაფლაველი, ჯავახიშვილი, ბურ-

---

[35]) ათაბაგი თათრული სიტყვაა: ათა—მამა, ბაგ—ბეგი.

[36]) სახალხო შაირი:

თარგამოსიანი ქართლოს ქართლს იჯდა პირველ ძეობით,
მერმე ფარნავაზ ტახტოსნად იჯდა სიქველით, მხნეობით;
არშაკუნიანთ იმეფეს, მერმე ხოსროანთ სეფობით,
აწ ვსუფევთ ბაგრატიონნი, ვგიებთ ღვთის მესათნეობით.

[37]) სიტყვიდამ ქობული, ფარეხი („ივერია“ 1901, № 110).

[38]) ქართლის ერისთავის იოანე მარუშიძის თაოსნობით 985 წელს გაერთიანდა ქართლ-აფხაზეთი და თვითმპყრობელ ხელმწიფედ შეიქმნა ბაგრატ მესამე (ქართ. ცხ., 205).

სელი, და სხვანი მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერვიან და გვარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყჳს [39]) ყუთლულ-არსაღისას, და ყუბასარისას, და ქართლს ერისთავი გრიგოლი, და სურამელი რატი, და გრიგოლი, კახეთს: ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და სამცხეს: გუზანს და არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნის ერისთავი, ხოლო სომხითს: მანკაბერ სადუნი და არა გვარი მისი, ხოლო იმერეთს: ბედიელი, დადიანი და სხვანი, და არა გვარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გვარი, გარნა წესი კელობისა. არა იყო ესე ოდიშს [40]), არამედ კარის მკარესს ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის თამარისა [41]), იქმნა ოდიშს დადიანად, და იყუნენ ერის-თავად, ვითარცა ცოტნე-დადიანი [42]), და არა გვარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვსწერეთ.

ახალწელისთჳს. Ამამედ კვალად ქრისტეანობის ჟამსა შეესძინეს წესნი ესენი: რამეთუ ახალ-წელს, ერთს იანვარს, უწინარეს ცისკრის ლოცვისა, უკვლევდა მეფეს ჭყონდიდელი ჯვარსა და ხატსა, და სამკაულსა მეფესა და დედოფალსა და სანუკარსა შაქრისასა; ხოლო შემდგომად წირვისა სულიერად ერისთავნი, კელის-უფალნი და დარბაზის ერნი თჳს-თჳსთა ბარებულთა, ესე იგი არს ბაზიერთ-ხუცესი—შავარდენ-ქორსა და თავსა ველურის ეშვისასა მოოქროვილსა; მეჯინიბეთ-ხუცესი—ცხენსა კაზმულსა ოქრო-მოოქვლითა, და სხვანი

---

[39]) მატიანე.

[40]) ოდიში—სამეგრელო, კარი=კარისი, ყარსი.

[41]) თამარ მეფე (1184—1213 წ. 18 იანვ.)

[42]) ცოტნე დადიანი—საქართველოსთვის თავისუფლების მოსაპოებლად მებრძოლი გმირი თათრობის ჟამს, მე-13-ე საუკ. დასაწყისს (ქართ. ცხ., 374, ისტორია ვახუშტისა, 234).

ოფიკალნი თჳს-თჳსთა შესატყვისტთა, ხოლო ერისთავნი— ცხენსა არა კეთილთა; და კვალად ესენიცა და სხვანი სრულიად ისარსა, და შეაჩვენიან კრულვით ორ-გულსა მეფისასა, მეტყველნი: „მრავალ-ჟამიერ ყოს ღმერთმან მეფობა თქვენი მრავალ წელს, და ისარი ესე გულსა შინა განერთხას მეფობისა თქვენისა ორგულსა“. და შემდგომად სულიად სპათა მოლოცვისა შექმნიან პურობა დიდი, განცხრომითა და სახიობითა. ხოლო ცხენთა-მათ ერისთავთა მორთმეულსა განიყვანის ბაზიერთ-ხუცესი—სადა იყო სანადირო მეფისა შემოღობილი ახლოს მეფის სამყოფისა,—და დაკოცის ცხენნი იგი მწუხრსა მას შემოღობილსა მას შინა, და მას ღამეს აღივსის შემოღობილი-იგი მელითა, ტურითა, მგლითა, და დილასა მცველმან მისმან ჩამოხურნის კარნი და დაამწყვდივის მას შინა. ხოლო მეორეს დღესა შეჯდის მეფე წარჩინებულითა თჳსითა და მივიდის ადრიან მუნ. მაშინ გამოუშვიან მკეცნი იგინი და უწყიან ისრითა სროლა და სიკუდილი მათი. ესრეთ იკულევდიან და შემოვიდიან მხიარულნი სანადიმოდ.

ადგომისთჳს. ხოლო აღდგომის წესი იყო: ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა კორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი წარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა და ჭაბუკთა, და რომელი ჩამოაგდის ისრითა, მას მისციან თასი-იგი. შემდგომად ამისა შექმნიან ბურთობა, და რომელმან მკარემან აჯობის,—იყო მკარეთა ლარნი სამეფონი,—და მისციან მათ თჳთოთა თჳთო (ეგრეთვე ქორწილისა, დიდ-გამომჩენებისა დღესა შინა ყვიან ესე ასპარეზსა ზედა), მერმე შემოვიდიან მეფისა თანა და შექმნიან ნადიმნი და პურობანი დიდნი, მგოსან-სახიობითა. არამედ კათალიკოზნი და ეპისკოპოზნი ვიდრემდის იყუნენ მუნ, არა იყო მწყობრთა ძალთა ცემანი, არამედ გალობანი, ხოლო შე-

მდგომად წარსლვისა მათისა, იყო მგოსანთა, მომღერალთა და ყოველთა სახიობათა ცემანი.

დროშისათჳს. ხოლო წესთა ამათთა იყო ყოველი ივერია ანუ გიორგია, ოთხ სადროშოთ განყოფილი. რამეთუ წინა-მბრძოლნი იყუნენ თორელნი, ციხისჯვარელნი და ახალ-ციხელნი, და მიმყოლნი მათნი სულიად მესხნი და კლარჯნი, და სომხითისა, რომელნი ეპყრათ; ხოლო მემარჯვნე მიმსულელ-მცემელნი სულიად ლიხთ-იქითი აფხაზ-ჯიქითურთ; მემარცხნეთ მიმსულელ-მცემელნი სულიად Ცერ-კახნი; ხოლო მეფისა ალმის მპყრობელნი ქართველნი და რომელნი როქით სპანი ეპყრნეს მეფესა. გარნა ოდესმე სამად მიმსვლელად ანუ სხვა-რიგ მიიყვანდიან, ვითარ ამჯობინის მეფე ანუ სპასალარი.

შერეულთა წესთათჳს. არამედ წესნი ესენი რომელნიმე ფლობასა თათართა ყეენებისასა შეიშლებოდნენ, ვითარცა: დაბლა, ნოხთა ზედა, სხდომანი, ეკლესიასა შინა მოუხდელობა ქუდისა, თუ არა ჯამად: რამეთუ საუფლოთა სიტყვათა ზედა მოიხდიდიან, თჳნიერ მისსა—არა; არცალა ბოდიშობდიან ქუდის მოხდით. და სხვანიცა უჯერონი მრავალნი, ვითარცა იტყჳს ორ-ცოლიანობასა და სამ-ცოლიანობასა, და მეფეთა წინაალმდგომობასა და განდგომილებასა. ხოლო შემდგომად ბრწყინვალემან მეფემან გიორგიმ[43]) კვალად აგო წესსავე მას ძველსა ზედა. და შემდგომთა მისთა მეფეთა ვიდრე შიხთა მეფისა სპარსთასა გამოჩინებისამდე [44]). შემდგომად განყოფილებისა სამეფოსათჳს. ხოლო შემდგომად განყოფილებისა და განხეთქილებისა სამეფოსათა ამისა აქუნდათ თჳს-თჳსად წესნი ესენივე, გარნა ერისთავთა ცვალებანი არღარა; განა მთავარნიცა არღარა იწოდებოდნენ მთავრად, არამედ თავადათ. და არცალა იყუნენ როქით სპანი მეფისანი, არამედ სახასონი აზ-

---

[43]) 1318 წლითგან 1346 წლამდე მეფობდა.

[44]) შიხნი ვეხუშტით გამოჩნდნენ სპარსეთს 1430 წელს.

ნაურნი და მსახურნი გლეხნი კეობათა-გან იყუნენ მცველნი მეფისანი, და უმეტეს მოკეევე-მთიულნი, ვიდრე დაიპყრობ-დნენ მას საერისთოთ, ხოლო იმერთა —რაჭა და სულიად ლეჩხუმი, ხოლო კახთა—ქისიყი. ხოლო ლაშკრობისა ჟამსა ერისთავთა და თავადთა მინაწერნი იყუნენ მოყვანებად. განა იყუნენ ოთხ სადროშოთვე კვალადცა, ვითარცა აღვსწერეთ ქართლი, იმერეთი და კახეთი; არამედ ესე ყვეს მეფეთა, ვინათგან არღარა იყუნენ ეგდენნი შემოსავალნი, რათამცა დაეპყრათ სპანი ეგოდენნი, რათა ეპირისპირათ ანუ გამაგრებოდენ მტერთა თჳსთა. ამისთჳს შეჰკუეთეს ერისთავთა, მთავართა და აზნაურთა,—სულიად რაოდენნი სახლთა შინა არიან,—წასულად ლაშკარსა შინა, ხოლო გლეხთა მგზავსად შეწერილებისად. ხოლო როსტომისამდე [45]) ესენი ესრეთ იყუნენ.

აწინდელისა წესისთჳს. გარნა თუმცა სამცხეს და კახეთს შემოერიათ,—მათ ურუმთაგან და ამათ ყიზილბაშთაგან,—წესნი რაიმე მათნი, არამედ ქართველნი და იმერელნი ეგნენ ზნეთა მათ ზედავე. ხოლო აწინდელთა ჟამთა აქუნდათ წესნი იგინივე და შერეულნი ყიზილბაშთა [46]) ესენი: რამეთუ სხდიან ნოხთა უსკამოთ; კელითა სჭამდიან; სანოვაგე ქართველთა და კახთა უმეტეს ყიზილბაშთა რიგისა, ხოლო მესხთა—ურუმთა [47]) და იმერთა—ურუმულთან შერეული; და სასახლეთა შენებანი მათივე რიგისა და არღარა ქართული, თჳნიერ დარბაზისა. და მესხთა—ურუმთა რიგისა; და არცაღა იყო ერისთავთა ცვალებანი, არამედ მკჳდრადნი. არამედ ძველითგანვე იყო წესი ესე: რაჟამს მოკუდის ერისთავი, ანუ მთავარი, ანუ

---

[45]) როსტომ მეფე (1635—1658).

[46]) ყიზილბაში—სპარსი (ყიზილბაში==ოქროს თავიანი: თმას წითლად იღებავენ).

[47]) ურუმი ანუ რუმი თურქთა ანუ ოსმალთ მცირე აზიის სასულთნოს ერქვა.

კელის-უფალნი, ანუ აზნაური ჩინებულნი, მოართვიან მეფესა მის მომკუდრისა კრმალი, ცხენი და უხუცესი ძე მისი; ხოლო მეფე კელისუფლობისა და ერისთობისა წესსა, ვისიცა ენება, ღირსებისა ებრ მიუბოძის, და ოდესმე ძესაცა, უკუთუ ღირს იყო ანუ ძალედვა მოურნეობა მისი; ხოლო ცხენი წარიყვანიან სამეფოთ და კრმალს მოარტყმიდა წინაშე მეფისა მსახურთ-უხუცესი ძესა მის მომკუდრისასა, და დააწესიან ტაძრეულად ანუ სხვათა სამეფოთა მსახურებათა შინა ღირსებისაებრ. ხოლო აწინდელსა ჟამსა კელის-უფალნი ეგრეთვე ყუნიან, ვითარცა ზემო ითქვა, და ცხენიცა და კმალიცა ეგრეთვე. არამედ ერისთობა და მთავრობა არღა-რა, და რომელნიმე სპასპეტნიცა, რამეთუ შვილთავე მისთა ანუ სახლისკაცთა მისთავე მიუბოძიან; ეგრეთვე მთავართაცა.

აწინდელის კელით უფალთა შეცვლილთა სახელთათჳს. ხოლო როსტომ კელის-უფალთა უწოდა: მსახურთ-უხუცესსა—უორჩიბაში, მონათ-უხუცესსა—ეულარ-ადასი, სპასპეტსა—სარდარი, მეჭურჭლეთ-უხუცესსა—მოდარეთ-ხუცესი, და მეჭურჭლეთ-ხუცესი არღა-რა, არც იგი წინათი მოლარეთ-ხუცესი, ჩუნჩერახსა—სუფრაჩი, ჩაჩნაგირს—სუფრაქეში, მანდატურთ-უხუცესსა—ეშიუადასი, მანდატურსა—სოჭბათიასული, ბოქოულსა—ელიადაჯი, მსაჯულთ-უხუცესსა—მდივან-ბეგი, ეზოს-მოძღვარსა—ნაზირი, მესტუმრეთ-უხუცესსა—მეჭმანდარი, მწერალსა—მუშრიბი, ხუროთ-მოძღვარსა—სარაიდარი, და ეჯიბი არღა-რა, არამედ მგზავსი მისი მეითარი. ხოლო სხვანი კელის-უფალნი იყუნენ ეგრეთვე. არამედ კვალად ყიზილბაშთა რიგს შესძინა ვეზირი, მუსტოფი და მუნში; კვალად მეკარესა—ეუფიჩი და ასისთავსა—უზბაში. და კახთაცა ანაწესეს ეგრეთ; ხოლო იმერეთს, მეფის ალექსანდრეს გიორგის ძისამდე [48]), იყუნენ წესნი ეგრეთვე და შემდგომად მისსა არღარა, არამედ მთავარნი თჳს-თჳსით სპითა შეკრბიან,

---

[48]) ალექსანდრე გიორგის ძე (1639—1661 წ.)

და არცალა კელისუფალნი მეფისანი არიანღა; ხოლო სამცხეს ვითარცა ოსმანთა რიგნი, ეგრეთ იმყოფიან ჩვეულებითა და წესითა.

აწინდელთა მთავართა გვართათჳს. ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გვარნი ესენი არიან: ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ კაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი, ტფილისის სამკრით, ვიდრე ლორე-ფანავრამდე [49]), თჳნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყვიან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი, მეფეთაგან წყალობისანი; კვალად უაფლანის-შვილი და აბაშისშვილი—სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანის-შვილი იტყვის გვარობასა მათსა ანა ორბელიანობასა; გარნა იყო ორბელიანი სხვა და ქაჩიბაძე სხვა გვარი. არამედ ოდეს განიყუნენ ძმანი, ბარათასა-გან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ, ხოლო აბაშისაგან—აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხვანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე; განა საგონებელ არს, ყაფლანიანთაცა მესამეს ძმას ეწოდა ორბელი და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინა-თქმულნი არა განმართლდებიან. ხოლო ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელარს ბეთანიას [50]), წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან გაჰყარა სამნი ძმანი: აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან. ხოლო სომხითის მელიქი არა არს გვარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივცა შაჰაბაზ, გამაჰმა-

---

[49]) ფანავრის—ტბა ანუ ტობორავანი (=ტობოფარავანი=ტბაფარავანი).

[50]) ამ გუჯრის პირი ე. თაყაიშვილმა უკვე დაბეჭდა სათანადო შენიშვნებით („Еще одинъ изъ источниковъ Исторіи Грузіи царевича Вахушти" Спб., 1893).

დიანებისათვს [51]). არღუთაშვილი, აწ აზნაური, გარნა მკარგრძელნი არიან [52]) ხოლო ზურაბისშვილს, იარალის-შვილს და სოდალაშვილს იტყვიან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა. კვალად დოლენჯისშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდამ. ყარაბულაღლიშვილი *) მოვიდა მარიამ-ჯვარის კახეთიდამ; ხოლო მცხეთის დასავლით და მტკვრის სამხრით ციციშვილი, რომელიც ძველადვე მოვიდა ფასანკეთიდამ [53]); ჯავახის-შვილი; ხოლო მოურავისშვილი არს საკაძე და მეფისა-გან გამთავრებული; როგზიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდამ. ხოლო შიდა-ქართლის ამილახორი, არამედ არა

---

[51]) ერეკლე მეფის მიერ შედგენილს თავად-აზნაურთა სიაში სწერია („ივერია", 1884 წ., № 5): მელიქიშვილები არიან ლორის მელიქის შთამომავლები; პირველად აზნაურები იყვნენ, მაგრამ 1601 წელს იქაური მელიქი წარსდგა შაჰ-აბაზის წინაშე, გამაჰმადიანდა და ამის გამო შაჰმა თავადობა უბოძა. ამ ლორის მელიქის სახლისაგან წარმოსდგნენ ლორის მელიქიშვილები, პაპა-მუშრიძის შვილები, მელიქ-ჯანაშვილები, ავთანდილის შვილები და სხ. (იქვე, № VII, გვ. 71).

[52]) (იქვე, გვ. 30): არღუთაშვილი არის არღუთასაგან, რომელიც 1287 წელს გააზნაურა თათრის ყაენმა არღუნმა. არღუთას შთამომავალი მოვიდა საქართველოში 1410 წელს, განაახლა მონასტერი სანაინი და იქ დასახლდა. მის შვილს ერქვა არღუთა და ამის ძენი იწოდნენ არღუთაშვილებად. მეფე ერეკლე მეორემ აჩუქათ მიწები სანაინს და სოფ. ავლარი ხრამს. ერეკლემ ეკატერინესთან ხელშეკრულობა რომ დასდო, არღუთაშვილებს თავადობა უბოძა და იოსებ არღუთაშვილის თხოვნით გადაერქვათ არღუთინსკი-დოლგორუკი.

*) დედანში: ყარაბუდაღიშვილი.

[53]) ციციშვილები მოვიდნენ ფანასკეტს (ოლთისის მხარეს) ურიასტანიდამ. ერთგულ სამსახურისთვის თამარ მეფემ უბოძა მათ თავადობა. ჰე-XIV საუკუნ. გადმოსახლდნენ გორის მაზრაში, საციციანოს (იქვე, № IV).

არს გვარი, განა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გვარი ზედგინიძე არს და პატივ-ცემული მეფეთა-გან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი [54]); ანაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთს და ქართლსა შინა, და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი ძმა იქით და ერთი აქათ დაშთენენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი; ავალიშ-შვილი, რა დაშთა კეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს; მაჩაბელი იტყვის ანჩაფისძეობას, აფხაზეთიდამ მოსვლას, განა ახალი არს. ხერხეულიძე იყო სამცხეს და იტყვის ოსობას, არამედ არს მოსვლა მისი შემდგომად გაყრილობისა; ფავლენიშვილი იტყვის მკარგრძელობასა. ხოლო კვალად მესხი ამილახორიშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქიშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდამ, ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდამ. ხოლო რამაზიშვილი და ლეონთიშვილი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან [55]), რომელი არჩინა მეფემან, და არიან მიერითდგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი, და არა ქვენა-

---

[54]) მეფე გიორგი VIII (1495—1469) შეება სამცხის ათაბაგს ყვარყვარეს და მივიდა ფანავრის ტბის პირას. ომის წინადღეს ორგულნი კაცნი შეითქვნენ და გადასწყვიტეს, ამაღამ მეფე მოვკლათ მისვე საწოლშიო. იოთამ ზედგინიძემ შეფეს აცნობა. მან არ დაიჯერა. მეფის ნება დართვით თვით ზედგინიძე დაწვა თავისს ხელმწიფის ლოგინში. ღამე შეთქმულთ მოჰკლეს. ამისთანა ერთგულობისთვის მისს შვილებს მეფემ უბოძა ამილახორობა (მეჯინიბეთუხუცესობა), ციხეები, გორის უფროსობა და სამარხად სამთავისის საყდარი.

[55]) ავგიორგიმ 1511 წელს მოკლა თავისი მამა ალექსანდრე, ძმას, დიმიტრის ოვალნი დასწვნა და თვით გამეფდა. თვალდამწვარი დიმიტრი შეეხიზნა ქართლის მეფე დავითს. დიმიტრის ჩამომავლობა ქართლსვე დარჩა.

ფლაველისაგან, არამედ იტყვის ბიბიდურობასა.[56]) ხოლო არაგვის ერისთავი—და აღვსწერეთცა ვითარცა არიან, არამედ გვარს სიდამხნობას იტყვის. ხოლო მუხრანის-ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გვარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან [57]).

წარჩინებულთათჳს. გარნა ამათ მთავართა შორის, აწინდელთა ჟამთა, უწარჩინებულესნი და შეძლებელნი ესენი იყუნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი, მუხრანის-ბატონი, არაგვის ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცის-შვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის ნელიქი; ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისა-თჳს დავიდუმეთ. ვიეთნი ძველის გვარისანი, ვითარცა აბაზაძე, ჯორინთელი, მახატელი, არდუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასსიძე, ღაზნელი. გააზნაურშვილებულნი: და ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთვის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი,—ხოლო ზედგინიძე, საკაძე, ელიოზის-შჳლი, ამათ-გან გამთავრებულნი ესრეთ რომელნიმე აღმაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა. კახთათჳს: ხოლო კახეთს ჩოლაყაშვილი [58]) და მაყაშვილი იტყვიან ირუფაქიძობას; ენდრონიკასშვილი იტყვის ანდრონიკესაგან, რომელი მოვიდა პირველვე, კეისრისა გვარისა [59]). ჯორჯაძე, ზაზუაძე, ვაჩნაძე, ვახვა-

---

[56]) ქსნის ერისთვების ისტორია ძველის დედნიდამ დაბეჭდა თ. ყორდანიამ სათანადო შენიშვნებით (ქრ., ნაწილი 2).

[57]) მუხრან-ბატონნი ჩამომავლობენ ბაგრატ-საგან, ძისაგან კოსტანტინე მეფისა (1469—1525).

[58]) ჩოლაყაშვილები ჩამომავლობენ ვენუელის ჩოლაყასაგან, რომელიც დაღისტანში სცხოვრობდა და 1320 წელს მოვიდა საქართველოში („ივერია", 1884, გვ. 33).

[59]) ანდრონიკე მოვიდა საქართველოში თამარ მეფის მამის მეფობა-

ხისშვილი, რუსისშვილი [60]), ჯანდიერის-შვილი, ავალისშვილი და ჩერ-ქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაყრილების შემდგომად; გუ-რამისშვილი და ტუსისშვილი ზედგინიძენი, რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესაცა მღვიმეს. და აზნაურნი უფროს მცი-რედ. სამცხისათჳს: ხოლო სამცხეს: ჯაველი, ესე არს აწ ათაბა-გი და ფაშა ახალციხისა; შალიკაშვილი, თადგირიძე, დისსმიძე, ქობულისძე, გოგებაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშჳ-ლი, გოგორისშჳლი, თუხარელი, დადანიძე და სხვანი არღარა იწოდებიან გვარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად. და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, განა დავიდუმეთ. იმერეთისათჳს. ხოლო იმერეთს: არგვეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი [61]) და ჩხეიძე (ამავე ჩხეიძის გვარი არს აწინდელი რაჭის ერის-თავი და სპასპეტი რაჭისა), ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და დოდო-

---

ში. ქართლის ცხოვრებაში (გვ. 271) ვკითხულობთ: „მოვიდა ოდესმე (ერეკლეს სიით 1144 წელს) წინაშე გიორგი მეფისა (1156—1184) ან-დრონიკე კომონიანოსი ცოლითა სახეშვენიერითა და ბრწყინვალითა, შვი-ლებითა და დისწულითა. იგი იყო მამის ძმისწული დიდისა მანოელ კეი-სრისა. და ვითარ ჰმართებდა. შეიწყნარა და მისცა პატივი შესატყვისი სახლის შვილობისა მისისა, და მისცა ქალაქნი და ციხენი, კმასაყოფელნი მისნი და დაუდგნა საჯდომნი საყდრისა თვისისასა, პირისპირ მამის დის წულისა თვისისა ალსართანისა, რომელი იყო მეფე მოვაკანისა და შარვა-ნისა და ზღვის პირისა დარუბანდით ხილხალამდის (ვართაშნამდის).—ალ-სართანი იყო შვილი დავით ალმაშენებლის ასულის თამარისა, გიორგი მე-ფის მამიდისა. დარუბანდის ლაშქრობაში გიორგი მეფემ თან წაიყოლია ზემოხსენებული ანდრონიკეც.“

[60]) რუსისშვილები ჩამომავლობენ იმ რუსისაგან, რომელიც მოჰყვა თამარ მეფის პირველს ქმარს გიორგის (იქვე, გვ. 37).

[61]) წერეთელნი დაღისტნიდამ მივიდნენ ჩერქეზს და იქიდგან იმე-რეთს 1395 წელს და ბაგრატ მეფემ დააბინავა იგინი საჩხერეს (იქვე, გვ. 132).

ბერიძე, აზნაურნი და მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხისშვილი. ხოლო სვანეთს: გელოვანი, და არღა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სვანთა ზედა.

კვალად ვაკესა შინა: ჭილაძე და მიქელაძე [62]), და ჩიჯავაძე. ხოლო აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა (ვითარცა ძველად სიტყვა იყო ივერიასა შინა: „დარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა“) [63]), არამედ სიგრძისათჳს არღარა აღვსწერეთ. გარნა უწარჩინებულესი და შემძლებელი იყო აწის ჟამსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე; ოდიშისათჳს: ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თჳთ თვისად მფლობელი ოდიშისა, შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოსწყვიტნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად, აღწერილებისაებრ. არამედ კვალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხვანიცა და აზნაურნიცა მრავალნი. აფხაზეთისათჳს: ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თჳთ, და უმდაბლესი ანჩაფაძე. გურიისათჳს: ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თჳთ ჰფლობს და იტყვის ვარდანის ძეობასა. და სხვანი მის ქვეშენი არიან ესენი: თადგირიძე და ამილახორი, ჩავიდნენ სამცხიდამ, შარვაშიძე მოვიდა აფხაზეთი-

---

[62]) მიქელაძენი ჩამომავალნია ბერძენთ იმპერატორის ალექსის მოხელის მიქელისა. მათნი წინაპარნი საქართველოში მოვიდნენ მე-XI საუკუნეში.

[63]) შეადარე:

პირველ თქმულია ძველთაგან სიდარბაისლე მესხისა,
პურადობა და ვაჭრობა ქართველს არ ეძრახვისა,
ხრდილნი არიან იმერნი, მტერთა მიმკეცი რისხვისა,
ომი და ლხინი კახისა მოსაწონია კაცისა.

დამ, ბერიძე, კვერდელიძე, ბერეჟიანი [64]), ნაკაშიძე და სხვანი, ეგრეთვე აზნაურნიცა.

მეფეთა წერილისათჳს. ხოლო მეფენი ამათ ყოველთა ზედა იწერებოდნენ ესრეთ: „ჩვენი ბრძანება არს, მესტუმრეო, თუ მანდატურო, ესრეთ უამბე". და შემდგომად რაი ჯერ იყო. ხოლო სიგელსა და გუჯარსა შინა: „ჩვენ, მეფეთ მეფემან, ღუთით წყალობით ცხებულმან, თჳთ მპყრობელმან და თჳთ კელმწიფემან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან, შვიდთავე სამეფოთა მპყრობელმან (სახელი), გიწყალობეთ". ხოლო აწინდელთა ჟამთა: „მესტუმრეო, ჩვენ მაგიერად, ჩვენს დიდს იმედს დარბას-ბატონს (სახელი) ასრე უანბეთ"; და მდაბალთა ზედა: „ჩვენი ბძანება არს"; ხოლო გუჯართა და სიგელთა: „ჩვენ, მეფემან ღუთივ ცხებით გვირგვინოსანმან, იესიან, დავითიან, სოლომონიან, ბაგრატიონმან (სახელი), გიწყალობეთ". ესრეთვე იმერნი და კახნი. არამედ მეფე ქართლისა კვალადცა მეფეთ მეფობით სწერდა წინაველთაცე ჩვეულებითა.

ეპისკოპოზთა ლაშკარს წასვლისათჳს. არამედ ეპისკოპოზთა სლვა ლაშკართა, ნადირობათა და ბრძოლათა შინა ამის მიერ ჩვეულება იქმნა: რაჟამს უწყეს მოჰმადიანთა—შემდგომად დავით ბ მეფისა [65])—დაუცხრომელი ბრძოლა და კირთება და იხილეს ლაფლობა-ულონოება ქვეყნისა ერთა ეპისკოპოზთა, მაშინ ეტყოდიან ეპისკოპოზნი: „ნუ მოლაფლდებით, და ნუ მოულონოვდებით ბრძოლად მათდა, და ნუ დაუტევებთ სარწმუნოებასა, რჯულსა და ჩვეულებასა თქვენსა, და ჩვენ ვიქმნებით წინამბრძოლნი თქვენნი". და ჰყოფდენცა ეგრეთ (ვითარცა მარაბდის ომსა [66]) ზედა მროველმან ავალიშვილმან, რა

---

[64]) სვანურად ბ ე რ ე ჟ—რკინა, ბერეჟიანი—რკინიანი.

[65]) დავით მეფე (1505—1515).

[66]) მარაბდის ომი 1624 წელს იყო.

მოიღო ზიარება, ეტყოდენ: „უკუთუ დღეს აღიღებ მახვილსა ბრძოლად, უბრძანე, რათა გვაზიაროს სხვამან, და უკუთუ არა, უმჯობეს არს შენ მიერ“; ხოლო იგი იტყოდა: „დღეს ბრძოლა არს სარწმუნოებისა და ქრისტეს მცნებისა და არა მხოლოდ ჩემზედა, ამისთვს არა ვყო, უკუთუ უწინარეს თქვენსა არა დავსთხიო სისხლი ჩემი, მახვილის ამღებმან“). ხოლო მეორე მიზეზი: ვინათგან შეწერით იყო ლაშკარნი, ჰყვათ ეპისკოპოზთა აზნაურნი, და მსახურნი, და შეწერილნი გლეხნი წარსლვად ბრძოლასა შინა, ამისთვს მათთა მოურნეთ თანამდებ იყუნენ წარსლვად; და არს მიერ ჟამითგან ეგრეთ აწამდე. ხოლო სხვათა, თვინიერ ამისა, აჩენს ცხორება ანუ მატიანე, ქვემორ აღწერილი ყოველსავე ამას ქარტასა შინა. და იმყოფოდა ესენი ესრეთ აწისამდე. ხოლო წალმართი უწყის ღმერთმან და, ვითარცა ნებავს, იყავნ.

აღწერა სამეფოსა საქართველოსა.

სახელი რათ ეწოდა. ხოლო ქვეყანა ესე იწოდების სახელითა სამითა: პირველად—საქართველო, მეორედ—ივერია, მესამეთ—გიორგია. ხოლო საქართველო არს სახელი ქართლოსის გამო, რომელსა წილად ხვდა ქვეყანა ესე და, სადა დაეშენა, უწოდა სახელითა თჳსითა ქართლი, და მის გამო მორჩილთა ანუ წილ-ხდომილთა მისთა ეწოდა საქართველო. გინა შემდგომად მიხსა, რომელ ფუცვიდნენ ძენი და ძენი ძეთა მისთანი საფლავსა მისსა, ეწოდათ საქართველო. ხოლო მეორე სახელი, ივერია, ენითავე ქართულითა მიეცა. რამეთუ „ი“ არს შორისყრილი, რომელი არს სასიხარულო კმა ზახილისა; ხოლო „ვერიე“—მოვერივე, არამედ წყობისათჳს შეთხზულად ივერია [67]). რამეთუ ოდეს ი მეფემან ადერკიმ მოკლა არშაკ,

---

[67]) ადერკის დროს კი არა, ივერია იხსენიება ბევრით მაზე ად-

მეფე ქართლისა, გოლიათობითა თჳსითა, მაშინ აღუტევა კმა სპათა მიმართ თჳსთა: „იი, ვერიე“, და განკდა კმა ესე, და იტყოდიან ყოველნი, სიმკნისა მისისათჳს, ამის გამო იწოდა ივერია. არამედ წოდება სასიხარულოს კმისა მოასწავებდა სიხარულსა დიდსა. რამეთუ პირველსა მეფობასა ადერკისასა იშვა უფალი ჩვენი იესო ქრისტე, და მოასწავებდა კმა სახარებისა ხარებასა და სიხარულსა სასუფეველისასა, ხოლო „ვერიე“ მორეენასა კერპთა ზედა, ძალსა ჯვარისასა და კსნასა ეშმაკისაგან საქართველოსასა. კვალად გიორგიცა მკნედ მომჭირნეობისა მუშაობისა ქართველთათა ეწოდა (რამეთუ „გიორგი“ მუშაკად ითარგმნის). კვალად, ვინათგან იცნეს სამება ერთარსება ჭეშმარიტი ღმერთი წმიდის ნინოს მიერ, რამეთუ მამა ნინოსი იყო ზაბილონ და ესე ზაბილონ იყო კაბადუკიელი, ნათესავი წმიდისა დიდის მოწამის გიორგისა; ამისთჳს, მიერ ჟამითგან, ნიშნი და სასწაულნი უმრავლესნი არიან მთავარ-მოწამის გიორგისანი ყოველსა ივერიასა შინა. რამეთუ არა არიან ბორცუნი ანუ მაღალნი გორანი, რომელსა ზედა არა იყოს შენნი ეკლესიანი წმიდისა გიორგისანი. და ესეცა ამის მიერ იწოდა. არამედ ევროპელნი და ბერძენნი უხმობენ ჯორჯიანსა და რუსნი გრუზსა, და მოჰმადიანნი გურჯსა, მათითა ორფოღრაფიის გამო, არამედ იგივე გიორგიავე არს [68]).

რე, სახელდობრ 65 წელს ქრ. წინად და არა თუ ამ წელს, არამედ ამაზედ უწინარესაც. ოთხიოდე წლის წინად უკვე განვმარტეთ (იხ. აგრეთვე ჩვენი „ქართველთა მატიანე“), რომ ივერია არის იგივე ვრასტან (სომხურად საქართველო) და ვრაც(ი) (ქართველი) და პირვანდელი ურასტან (ქართ. ურია=სვან. ვირია), ხოლო ურასტან იგივე ლურსმურ წარწერების ურასტუ=ურარტუ=არარტუ=არარატ=არარატი. ესრეთი სახელი ერქვა ალაროდიულ შთამოეებას, რომელსაც ლურსმურ წარწერების შემსწავლელნი ქართველთა წინაპრად ჰხადიან.

[68]) გიორგია ბერძნული გეორგოსი არ უნდა იყოს, იმიტომ რომ

ხოლო არს სიგრძე ქვეყანისა ამის პ ეჯი *), ხოლო განი სპერის ზღვისაკენ ჲ ეჯი, შუა ადგილი ლგ ეჯი, ხოლო ბოლოთ-კერძი ლე ეჯი, და მდებარებს კასპიისა და პონტოს ზღვას შორის. გარნა არს ქვეყანა შვენიერი და ნაყოფიერი ყოვლითა, ლუთისა მიერ და არა კელოვნებითა კაცთათა. რამეთუ ნაყოფიერებს ყოველნი თესლ-მარცვალნი, კაცთა საზრდელნი: ბრინჯნი, კორბალნი, ქრთილი, შვრიეა, სიმინდი, ლომი, ფეტვი, მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვი, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი, კანაფი, სელი და სხვანიცა.

აბრეშუმისათჳს. კვალად ჰყოფენ აბრეშუმსა, არამედ ქუხილის გამო ვერა მრავალსა: რამეთუ სასტიკად მქუხარებს, და მის გამო მოსწყდების ჭიანი [69]). კვალად ბანბას სთესენ, განა სხვაგნებური უმჯობეს არს, არამედ მრავალ ნაყოფიერებს.

ხილთათჳს. ხოლო ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთის-ხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამი, ყაისი, ჭერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტეული, ქლიავი მრავალ-გვარი, ლეღვი, მბალი, ალუბალი, სხალი და ვაშლი მრავალ-

---

ძველად ბერძენნი საქართველოს მუდამ ი ვ ე რ ი ა ს ეძახდნენ. ერთის ფესვისად მიგვაჩნია არაბული ქურჯი=ჯურჯი=ჯუზიან, ოსური გურჯიაგ, სპარსული გურჯისტან, რუსული გრუზია და ჩვენებური ქართველი=ქორთუ=ქართ=ქორდუ (ძველად იქნებოდა ქორჯი, ვინაიდგან დ=ჯ: ხიდი=ხინჯი).

*) ეჯი, ფარსანგი და ადაჯი ზომით ერთნი არიან, ხოლო ეჯი არს ექვსი ფერსთი რუსული, და ფერსთი ხუთასი მკარი, მკარი სამი ადლი, ადლი ოცდათორმეტი თითი, თითი ექუსი ქრთილის მარცვალი, ქრთილის მარცვალი ექუსი ცხენის ფაფარი. ვახუშტი.

**) ეს ცრუმორწმუნეობა დღესაც არ გადავარდნილა; საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში ჭიას არ აჩენენ, ღმერთი ვენახებს დაგვისეტყვავსო.

გვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი, ნესვი, მელსაპეპონი, პუმპულა, კიტრი; ხოლო ტყისანი არიან: თხილი, ტყემალი, ზღმ.რტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა, ალუბალი, ბალამწარა, ბალღოჯი, მაჟაველი, პანტა, კუნელი, ჯახველი, მჭნავი, მწიფელი, დათუს-სხალა, დათუს-ბაბა, დათუს თხილა, კოწახური, მაყვალი მრავალ-გვარი, ნიგოზი და სხვანიცა; ხოლო მთისანი არიან: მოცხარი, კლდის-მერსენი, ჟოლო, უელი, მოცვი და სხვანიცა მრავალნი.

სავარდისათუს. სავარდეთა ყვავილნი მრავალი: ვარდნი წითელი, ყვითელი და თეთრი, მიხაკი, სუნბული, ნარგისი, ზამბახი, ყაყაჩონი მრავალ-გვარნი, და კვალად სხვანიცა მრავალნი ყვავილნი სხვა-სხვა-გვარნი და ფერნი; ხოლო ველთა: ია, კოჩივარდა, ნეგო, მიხაკი, შროშანა, და სხვა მრავალნი ვიდრე ას ფერამდე და ას გვართამდე.

მტილოგვანთათუს. მტილთა: ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვი, პრასა, ბოლოკი, პეტრუშკა, სტაფილო, ქინძიჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსტო, ლახანა, ყრდელი და სხვანიცა; ხოლო ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საზამთროთ საკმარნი ბალახნი, მხლად წოდებულნი, და თესლნი, ვითარცა: სატაცური, ასპანახი და სხვანი, და ვითარცა კვლიავი და ტყიურა და მისთანანი მრავალნი.

ბირუტყვთა და ფრინველთათუს. არამედ პირუტყვნიცა მრავალნი, ვითარცა: აქლემი, ცხენი, ჯორი, ვირი, ძროხა, კანბეჩი, ცხვარი, თხა, ღორი; ხოლო ნადირნი ტყეთა და ველთა: ირემი, ქურციკი, ჯიხვი, მშველი, არჩვი, თხა, ყურდგელი, ვეფხი, დათუ, მგელი, აფთარი, ფოცხვერი, ღორი, მელი, მაჩვი, მწავი, მთახვი, ძღარბი, და სხვანიცა; კვალად ფრინველნი: ქათამი, ბატი, იხვი, ინდოური ქათამი, ტრედი, —ამათ შინ იპყრობენ; ხოლო ველთა და ტყეთა: წერო, ყარახილა, ბატი, შავი-ბატი, იხვი, აკაური, ვარხვი, ღალღა, ლაინა. ესენი ზამთარ არიან,—ზოგნი გაზაფხულ-შემოდგომა-

სა თჳნიერ არა: კოკობი, კაკაბი, დურეჯი, გნოლი, როჭო, შურთხი, მწყერი, ასკატა, ჩახრუხი, კიოტი, ტყის-ქათამი, გარიელი, სავათი, ტრედი მრავალ-გვარი, გვრიტი, გუგული, ოფოფი, შაშვი, ჩხართვი, შროშანი, ტარბი, კოლინბური, ბულბული, ყაზალახი, მაღიალური, ჩიტნი და სირნი მრავალ-გვარნი, შვენიერ-ჴრელნი და მომღერალნი მრავალნი; ხოლო კორკის მჴამელნი: ყაჯირი, სვავი, ორბი, არწივი, შავარდენი, გავაზი, ბარი, ქორი თეთრი და წითელი, მიმინო, მარჯანი, თვალ-შავი, ალალი, კირკიტა, ძერა, ბაბა-ყველი, ბოლო ბეჭედა, ჭარო, ყორანი, მახარა, შავი-ყვავი, მაღრანი, ყვავი, ბუ, ზარნაშო, წოტი, ჭკა, ჭილ-ყვავი, ყაპყაპი, კაჭკაჭი, ჩხიკვი, ყოდალა, ოყარი, ლაკლაკი, ყარაულა და სხვანიცა.

მთათათჳს. ხოლო არს მთანი და ტყენი აურაცხელითა ყვავილითა, მწვანითა დი სურნელითა აღსავსე, ტყენი სხვადა-სხვა ხითა შვენიერითა ჭალათა და მთათა შინა; კვალად არიან მთანი დიდროვანნი. რამეთუ ჩრდილოთ უძეს კავკასი [70]), შავის ზღვიდამ ვიდრე კასპიამდე, რომლისა სიმაღლე დღე ერთისა სავალ და მარადის მყინვარე უმაღლესთა ზედა, რომლისა სიზრქე ყინულისა არის კ—ლ მკარი; და ჟამსა ზაფხულისასა განსქდების და, თუ შთაუტეო კაცი, მცირეს ჟამს ვერ ძალუცს დათმენად სიცივისა; და ქუჱშე მისსა დის მდი-

---

[70]) ბარონ უსლარი არწმუნებს საზოგადოებას (Древн. сказ., გვ. 486), მე-XVIII საუკუნემდე ქართველებმა კავკასიონის სახელი არ იცოდნენო და ეს სახელი საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში შემოიღეს ვახუშტიმ და ვახტანგმაო. ესეთი აზრი უსლარისა დიდი შეცდომაა. მე-X საუკ. ზატბერდის კრებული ხშირად იხსენიებს ამ სახელს, კ ა ვ კ ა ს ი ა ს (იხ. გვ. 29, 73 და სხ.). კავკასიონის სახელი, ჩვენის აზრით, წარმოსდგება სიტყვადამ კ ა ვ ე ბ ა, კავ-კავება („ქართველთა მატიანე", გვ. 132).

ნარენი და არს ყინული მწვანე და წითელი, ვითარცა კლდე, ხიძველის გამო. ხოლო დიან მთისა მისგან მდინარენი, იმიერ და ამიერ, მრავალნი; შორის მთისა ამის სცხოვრებენ კაცნი. სხვა არს მთა სამკრით, რომელი იწყების შავის ზღვითვე და განვლის აზრუმს, ბასიანს და მოვალს ბარდა-არაზამდე, და არა ეგრე მყინვარე და მაღალი, არამედ თოვლნი მარადის აულებელად, განა ადგილ-ადგილს; და ეგრეთვე მდინარენი დიან იმიერ და ამიერ. კვალად არიან საშორის მათსა მთანი დიდროვანნი და მცირენი, და კლდენი საშინელნი და შვენიერებით აღმატებულნი, არამედ თჳს-თჳს ადგილს იწეროდენ. მდინარეთა და ტბათათჳს. კვალად მდინარენი მრავალნი და წყარონი დიდ-დიდნი, ცივნი, გემოიანნი, და შემრგონი, და მკურნალნი სენთანი. და ტბანი დიდნი და მცირენი, არამედ ვიეთნი თევზითა ტკბილითა სავსენი და ვიეთნი უკმარნი.

თევზთათჳს. ხოლო წყალთა შინა თევზნი არიან: ორაგული, ზუთხი, ანდაკია, გოჭა, ჭანარი, ლოქო, კაპოეტი, კარჩხანა, მწერი, კალმახი, ფიჩხული და წვრილნი თევზნი მრავალნი და სხვანიცა. მძრომთათჳს. ხოლო არიან მძრომნი მაწყინარნი: გუსლნი მკბენელნი, ღრიანკელი გესლიანნი, გველ-ხოკერა, ჯოჯო, ფსვენი, ხვლიკი, კუ, თაგვი და სხვანიცა.

მწერთათჳს. ხოლო მწერნი: კოღო, ბუზი, ბორა, კრაზანა,—კაცთა და პირუტყვთა მაწყინარნი, და სხვანიცა დიდნი და მცირენი მრავალნი. არამედ ფუტკარი სარგებლიანი, რომლისა თაფლი, ვიეთთა ადგილთა, ვითარცა შაქარი შეყინებული და სპეტაკი, და ცვილთა და თაფლთა სიმრავლე არს. ხოლო არს შემკობილი მთითა და ბარითა. რამეთუ არა არს ადგილი, რომლისა მთა-ბარი არა იყოს ესრეთ, რამეთუ ბ—ბ—ვ ჟამს მთიდამ ბარს და ბარიდამ მთას არა მიიწეოდეს. არამედ მთათა ხორბალი, ქრთილი, შვრივა, სელი და ხილნი, რომელნი დავსწერეთ მთისანი, ნაყოფიერებს, და სხვანი არარა, ხოლო ბართა ყოველნივე ზეით წერილნი.

კაცთაჲჳს. ხოლო კაცნი ამის ქვეყანისა არიან სარწმუ-ნოებით ქრისტეანენი, რომელთა მიიღეს რომით, ჟამსა დი-დისა კოსტანტინესასა და სილიბისტროსსა [71]), წესნი და რიგ-ნი ძველნი ბერძენთა, ბასილის კაბადუკიელისათა და შვიდის კრებისა უპყრავთ მტკიცეთ. არამედ მძლავრებით უკუთუ ვი-ნმე მიიქცის, ოდეს იცის ჟამი, კვალად ეგების ქრისტეანედ, შემნანე. ხოლო ანაგებით არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავ თვალ-წარბ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, იშვით შავ-გრემან და მოყვითან, იშვით თვალ-ჭრელ და გრემანი, და მწითურ ანუ თეთრ. ქალთა თმა გარდა-შვებული და დაწნული, ხოლო კაცთა ყურთა ზედა მოკვეცილნი. წერწეტნი, უმეტეს ქალნი. იშვით სქე-ლნი, მკენენი მუშაკნი, ჭირთა მომთმენნი, ცხენსა ზე-და და მკედრობათა შინა კადნიერნი, მკჳრცხლნი, მსწრა-ფლნი, რამეთუ ვიეთნი ლბ ეჯს თოთხმეტს ჟამს გა-ირბენს. სალაშკროთა შინა ახოვანნი, საჭურველთ მო-ყვარენი, ამაყნი, ლაღნი, სახელის მეძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა რიდეენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა. სტუმართა და უცხოთ მოყვარენი, მხიარულნი: უკუთუ ორნი ანუ სამნი არიან, არა-რაჲ შეეჭირვიან, უხუნი, არცა თვისსა და არცა სხვი-სასა კრძალვენ. საუნჯეთა არა მმესველნი, გონიერნი, მსწრაფლ-მიმხდომნი, მჩემებელნი, სწავლის მოყვარენი,— არამედ არს ჟამი რაოდენიმე არღარა ისახელების ცო-დნა თვინიერ წიგნის კითხვისა და წერისა, გალობა-სიმღერისა და სამკედროსაგან კიდე, და ჰგონებენ დიდ-მცოდინარობად. ურთიერთის მიმყოლნი, სიკეთის დამსწავლელნი და მიმგებელნი, სირცხვილის მდევარნი, კეთილ-ბოროტზედ ადრე მიმდრეკნი, თავკედნი, დიდე-

---

[71]) პაპი სილიბისტრო I † 335 წელს.

ბის მოყვარენი, თვალ-მგებნი და მოთაკილენი; ხოლო რომელნი მთათა შინა სცხოვრებენ, მგზავსნი ნადირთა, განა გონიერნი. ხოლო შემოსილნი არიან ქართველნი და კახნი ერთ-რიგათ: თავს სკლატისაგან ანუ შალისაგან ქუდი გრძელ-წვლილი, ბეწვებული, აფროსანი; ტანს კაბა ლარისა, სკლატისა [72]) ანუ ჩოხისა მუხლთ ქვემომდე, მასზედა სარტყელი; შიგნით საგულე ბანბიანი, კაბის უმოკლე, პერანგი აბრეშუმისა, ბანბისა ანუ ტილოსაგან, უგრძე კაბისა, და კისერი სულიად მჩენი; ნიფხავი აბრეშუმისა ანუ ბანბისაგან ანუ ტილოსა. არამედ ცხენსა ზედა მოსიათ საწარმართული და მოგვნი, თუნიერ მისსა—არა. ფერხთა პაიჭი და წუღა ტყავისა ანუ სკლატისა, ხოლო მაშია სპარსული. უმცირესთა ჩუსტი და ქალამანი. კვალად ტყავ-კაბა კაბისაგან უმოკლე და ტყავი ზამთარს დიდი (არამედ პირველ, ერთს-მეფობასა შინა, სცმიათ სხვა-გვარ: თავს ქუდი გრძელი, რომლისა კუნჭული ბეჭსა ზედა მცემელი და გრძელ-ბეწოსანი, პერანგი ბერული ტილოსი და საგულე და კაბა გრძელი კოჭამდე უღილოდ. მას ზედა სარტყელი ფოჩ-ჩაშვებული, ტყავი დიდი, სახელ-ვიწრო და ფერკთა ზედა მოგვი [73]), ვითარცა იცნობიან ნახატებთა ზედა), ქალთაცა მგზავსათ, განა სარტყელთა წვერნი ჩაშვებულნი და მას ზეით კაბა-ახალუხი ამოჭრილი, და თვინიერ პერანგისა-გან კიდე არა რაი ჰფარავს, და პერანგი მჭვირვალი, კორცის მჩენელი, უპაიჭოთ ნიფხავი, და ფერკზედ წუღა მაშია; ხოლო თავი ქალ-წულთა: კავნი თვისისავე თმისა ღაწვთა ზედა და ქუდი ანუ ლეჩაქი. არამედ ქმროსანთა კავსა ზედა ღაწვს აძესთ თმა შეწნული მსხვილი, იმიერ და ამიერ. და ყბას ქვეშ მარგალიტით შემზადებულს ამოიდე-

---

[72]) სკლატი, სვანურად სჯალატ. მოსხვილო ტილო ანუ მაუდი.

[73]) მოგვი ანუ სამოგვე, თხის ნატი (საფიანი).

ბენ და თხემსა ზედა შეიკურენ; და ჰბურავთ მას-ზედ ლეჩაქი. კვალად სამკაულნი იციან მრავალგვარნი, ზოგნი თვისნი და ზოგნი სპარსთანი; ზამთარ კაცთა და ქალთა ქათიბი, ტყავი და ტოლომა, ბეწულნი; განა ქალთა კაბა და ტყავი ვიდრე მიწადმდე. ხოლო იმერთა მცირეთ რაიმე განიყოფების, არამედ ქუდი მცირე ნაჭრისა-გან, რომელი არა ბურვით, განა მდებარე არს თხემსა ზედა, და ზამთარს მოსიათ ტოლომა ოსმალური. ხოლო მესხთა — დიდებულთა, ვითარცა ოსმალთა, და გლეხთა — რომელთამე ვითარცა ბერძენთა, და რომელთამე ვითარცა ქართველთა გლეხთა.

აღწერა აწინდელისა ქართლისა

საზღვრით, მთით, მდინარეებით და ადგილთა და მას შინა შენებულებათა.

ვინათგან სახელნი და აღშენებანი ვისით იქმნა ქვეყანისა ამის, დავსწერენით, აწ ვიწყოთ თჳთეულთა წარმოთქმად: მთათა, ველთა და წყალთა. არამედ, ვინათგან არს ყოველთა აქაურთა მდინარეებთა მტკვარი უდიდესი, რომელი განვლის საშუალ ქვეყანასა ამას, პირველად ვახსენოთ მდინარე იგი, რომელი გამოსდის კოლას, ყალნუ-მთას, გამოვლის სამცხეს, ქართლს, Ცერეთსა—რანს შორის განვლის მოვაკანს, მიერთვის რახს ჯავათს, და სალიანს ქვეით ერთვის კასპიის ზღვას. ხოლო ქართლსა შინა არს განით მტკვარი ჲ—ო და ბ მკარი, და ადგილს უმეტესიცა, და სიღრმით ადგილ-ადგილ განისვლების ფონად, სადაცა უმეტეს განვრცელდების, მუნ დის ჩქარადცა, და სადა დამდოვრდების, არს ფრიად ღრმა. გარნა კიდეთა მტკვრისათა, ამიერ და იმიერ, კლდენი ქარაფოვანნი, უმეტეს ადგილთა ქალიანი, ბალახიანი, ჩალიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. ზის მას შინა თევზნი მრავალნი და გემოიანნი, რომელსა იპყრობენ ბადით, კონით, ფაცრით, ნევსკავითა, საფიჩხულითა და ოჩხითა; ესამად იპყრობისცა ზუთხი, რამეთუ განჯას ქვემორ არს ამ მდინარესა შინა ურიცხვი, და აქა, სიჩქარისაგან მდინარისა, ვერ აღმოვალს. და კეობასა ში-

ნა მტკვრისასა უმეტეს ჩქარი არს, ვიდრე დვირადმდე, და დვირს ზეით ეგრეთვე ვითარცა ქართლსა შინა. ამ მტკვარს ერთვიან ყოველნი მდინარენი კოლისა, არტანისა, ჯავახეთისა, სამცხისა, ქართლისა, კახეთისა, Ცერეთისა, რანისა, მოვაკანისა, და თჳთ არაზიცა. არამედ არს მტკვარი სასმელად გემოიანი და შემრგო უმეტეს ქართლსა და სამცხესა შინა.

ბერდუჯისათჳს. ხოლო აწ, ვინათგან საზღვარი ქართლისა ბერდუჯის მდინარე არს, ვიწყოთ მუნითგან წერად: რამეთუ მდინარე ესე ბერდუჯი გამოსდის მთასა აბოცისასა და დის აღმოსავლით ჭოჭანამდე, მერმე მოიქცევის და დის ჩრდილოთ კერძ, და მიერთვის ქციის მდინარეს, (არამედ სახელითა იწოდების სამითა: პირველი ბერდუჯი, ბ—საგიმი, გ—დებედა. ხოლო ბერდუჯი დაბისაგან ბერდიკისა ეწოდა, არამედ საგიმს ვგონებ ინჯას ანუ აღისტევს). არს ესე 'მდინარე სარგებლიანი მუნ, სადაცა იწყებს დინებასა ჩრდილოთ კერძ, თევზთა სიმრავლითა, ხოლო სახელდობ ორაგული, ლოქო, ჭანარი, გოჭა, კაპოეტი და წვრილი თევზი სხვა და სხვა გვარნი მრავალნი. და სად აღმოსავლეთად დის, მუნ არს კალმახთა სიმრავლე, დიდთა და წვრილთა, არამედ თევზნი ამისნი არა ეგდენ გემოიანნი, ვითარცა სხვათა მდინარეთანი. კვალად აღმოიღებენ რუთა და ირწყვიან ამიერ და იმიერ ველნი, სადაცა ნაყოფიერებენ ყოველთა მარცვალთა თესლნი: ბრინჯი, კორბალი, ქრთილი, ფეტვი, ბამბა, თამბაქო, სელი, ხოლო კანაფი უმუშაკოთ, ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი, პუმპულა, ხოლო მტილოვანნი ყოველნი და წალკოტთა ხეთანი. ამისთვის იწოდა: „დაბადა ამ მდინარემ ნაყოფნი“, ხოლო აწ დებედა. აბრეშუმს აკეთებენ, და არა მრავლად. ჰავით არს ზაფხულ ცხელი, გაუძლისი, ზამთარ კეთილ-მშვენი, რამეთუ არა დაადგრების თოვლი დღე ორ. ფრინველნი მრავალნი: კოკობი, კაკაბი, იხვი ურიცხვნი, და სხვანიცა ზემოწერილნი მრავალნი. ხოლო ძველად ადგილისა ამის სახელი არს ქურდვაჭრის კევი, და აწ უწოდებენ აღ-

ჯაყალას (თეთრ-ციხე), იაყუფ-ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე [74]). და შემდგომად, ოდეს მიუხუნა შაბაზ ბე მეფეს გიორგის [75]), მან მოიყვანნა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ. ხოლო სადა აღმოსავლეთით დის ბერდუჯი, არს ფრიად მაგარი ტყითა და კლდითა, შეუალი კაცთაგან, განა მოვალს მუნცა ყოველნი მარცვალნი, ბრინჯ ბანბისაგან კიდე, ვენახნი, ბროწეული, ლეღვი და სხვა ხილნი მრავალნი. არამედ ლორის ციხეს ზეით ცივი, გარნა ზაფხულს შვენიერი, მრავალ-ყვავილიანი, ცივნი და ტკბილნი წყარონი. და ბამბაკის კევს არარაჲ, თუნიერ კორბლისა, ქრთილისა, სელისა. და თივითა ნაყოფიერებს ცხოვარი, ძროხა, კანბეჩი, ცხენი, ვირი, თხა მრავალნი იშობიან; ნადირნი: კლდეთა თხა და არჩვი (ფსიტი და არჩვი იგივე არს), ტყეთა: ირემი, შველი, დათუ, მგელი, ფოცხვერი, მელა, კურდგელი მრავალნი. აქა თევზნი და კორცნი გემოიანნი; ლორის ციხეს ქვემოთი ცხელი და ზაფხულს გაუძლისი, განა ზამთარს, სივიწროეს გარდა, მშვენი. ხოლო არს ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთათა აღშენებულნი *), ეკლესიანი გუნბათიანნი, კეთილ-ნაშენი, საეპისკოპოზო. გარნა აწ სხენან სომეხნი. არამედ მეფე ქართლისა დასვამს ეპისკოპოზსს, მიწერითა ოქივარტერისათა [76]), ვინადგან რავდენნი სომეხნი ქართლს მსახლობელნი არიან, სამწყსონი მისნი არიან. აქა იხდების გვარჯილათა სიმრავლე, არა მიწიდამ, არამედ კლდის ნოტიობიდამ. ამას ზემორ არს მონასტე-

---

[74]) 1448 წელს იაყუფ-ყეენმა წარმოავლინა სპანი, მოვიდნენ, იწყეს შენება ციხის აღჯაყალისა და ქაოზიანისა.

[75]) გიორგი მეფე 1600—1605 წ.

*) არამედ სომეხნი სწერენ: ოდეს ეპყრათ სომეხთა მეფეთა, მათ მიერ არს აღშენებულნი. ვახუშტი.

[76]) სომხეთის კათალიკოზისა.

რი მცირე, გარნა დიდ-შენი, ქობერისა, უპყრავთ სომეხთა-კვალად დასავლით ამისა არს მონასტერი ძელი-ეშმარიტისა, შვენიერი, ბერდუჯის მდინარესა ზედა, უპყრავსთ სომეხთავე; აქა არს, მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი მრავალნი, და მას ქვაბსა შინა მდებარებენ წიგნნი მრავალნი ძველნი, არამედ, კაცთა აუსვლელობით, უხმარ არიან [17]); დასავლით ამისსა არს ციხე ლორისა და ქალაქი მცირე, ზაფხულს მშვენი, ზამთარ გაუძლისი, ორს მდინარეს შუა, კლდესა ქარაფოვანსა ზედა, დასავლით აქუს მინდორი კლდოვანი. მუნიდამ მრავალჯერ აღებულ არს, აწ უპყრავსთ სპარსთა. ხოლო კევი ბამბაკისა არს მთებრი და შვენიერი, ნაყოფიერი. ნაყოფიერებს ხორბალნი, ქრთილი, სელი, შვრივა, სხვა არა რაი. თჳთ ბანბაკი არს მცირე ქალაქი და პირუტყვთა სიმრავლე არს, თჳნიერ აქლემისა. თივათა სიმრავლე. თაფლნი მრავალნი. სომხითისა, ერევნისა და ამისი გამყოფელი არს მთა დიდი, მაღალი და მარადის თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, რომელი წარივლის დასავლით არტანადმდე, ხოლო აღმოსავლით რანსა და გელაქუნს შუა განვლის, და ვიდრე რანსადმდე მივალს; მთისა ამის სამკრით კერძი სომხით-ერევნისა არს, ხოლო ჩრდილოთ კერძი ბერდუჯისა და რანისა, არამედ ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრავთ ბორჩალუთა და დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა, ვიდრე ხუნანამდე.

ხოლო მთა მცირე ბერდუჯისა ძეს ჩრდილოეთით და სამკრით, და მიადგების წინ-თქმულს ერევნის მთას. აღმოსავლეთის კერძი მთისა ამისა არს რანისა, და დასავლით კერძი არს ბერდუჯისა. განა არს ძველად საერისთო ხუნანისა. შემ-

---

[17]) აქ ნაპოვნი გაქვავებული წიგნები წარუდგინეს სამეცნიერო აკადემიას. 1902 წელსაც დეკემბერს აქ იპოვნეს კიდევ რამდენიმე წიგნი, როგორც იუწყებოდა „ივერია“.

დგომად აქუნდა თვსი ერისთავი, (რომელსა იტყვიან აწინდელსა ხანსა: რამეთუ ოდეს მიიღო შაბაზ, ამისის განზრახვით მიიღო, რამეთუ „მეექმნებისო შესავალ-გამოსავალი ადვილად ქართლსა შინა“.

ადწერა სომხითისა. ხოლო ახპატს ქვეით არს კეობა ჭოჭკანისა, ლელვარის მთის ქვეშ, ვენახიანი, ხილიანი, ნაყოფიერებითა და ჰავითა შემკული. მის ქვემორ არს, ჩრდილოთ, ეკლესია აგარაკისა, (რომელსა შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი. შემდგომად იქმნა მიტროპოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბანი და ბერდუჯის მდინარე), გუნბათიანი, დიდ-შენი. აწ უწოდებენ ახტალას, გარნა აწ ხუცის სამარ არს [78]). ჰირის-ჰირ ახტალისა, აღმოსავლით, ბერდუჯის მთასა შინა არს მონასტერი ორი, რომელი ერთი კელს კვალად ჭკვიან ჰყოფს *), და მეორეს შინა დის წყარო, და უკუთუ ასვას ბრაზიან-ცოფიანსა, ორმოცის დღის წინათვე, ვერღარას ავნებს ბრაზი კბენილსა კაცსა. ხოლო ქვემორ ახტალისა არს კეობა ხოჟორნიისა. არს ხოჟორნას ეკლესია გუნბათიანი, ხოლო წოფას ციხე მცირე.

---

[78]) „რომელი მხრიდგანაც უნდა უცქირო, ამბობს მურავიოვი, ახტალის საუცხოვო ტაძარს, არ იცი, როგორ დასტკბე მის ცქერით. ვინაიდგან ამისთანა შვენიერად აგებული ტაძარი ჯერ არ შემხვედრია საქართველოში. საზოგადო მოყვანილობით იგი ემსგავსება მცხეთის სვეტიცხოველს. მისი თაღები, კედლები საკვირველად, ხელოვნურად დაჩუქურთმულია, საკურთხევლის ცაზე გამოსახულია ღვთისმშობელი დიდის ხელოვნებით და ნარნარებით (პლ. იოსელიანი—Путевыя замѣтки до Ахталы, დ. ბაქრაძე—Кавказъ въ др. памятникахъ христіанства, მურავიოვი—Грузія и Арменія).

*) ვგონებ ამას ცორტავად და სასწაულსაცა მის მიერ (ვახუშტი). ცორტავი ანუ ცურტავი იყო ქალაქი წმ. შუშანიკისა, რომელიც განისვენებს ტფილისს, მეტეხის ტაძარში.

კეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ყოვლის თესლისა მოსავლიანი. მას ქვემორ სახლობენ ელნი, ქციამდე, ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა და თესლთა ზეით წერილთა, და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა. ხოლო აწ უწოდებენ ალალაჯს.

კვალად ქციის პირს, სად ერთვის წყალი შულავრისა, მუნ არიან ელნი ყულარად [79]) წოდებული, ეგრეთისავე მოქმედნი, და აღმოსავლით ბერდუჯის კერძოთა მოსახლენი ელნი ბორჩალონი, ეგრეთვე მოქმედნი, ვიდრე ხუნანადმდე. ხოლო კეობა შულავრისა არს ლელვარის მთის წაკვრით, იმიერ და ამიერ დაბნები. შულავერი არს დაბა დიდი. ქვემორ მისსა ნაქალაქევი არს, შენობა დიდი, და წყარო ფრიად დიდი დის. ზეით მცირე ციხე. შულავრის სამკრით კერძ არს გორულისკევი, ეყრების შულავრის-ხევს. ამას ზეით ოფრეთი, მცირე ქალაქი და ციხე მისი [80]). ხოლო კვალად შულავრის დასავლით არს მანხუტის-კევი, და ამის დასავლით ტალავრის-კევი [81]). ამ კევის ბოლოს ჭაპალა და ციხე მისი. და ამას სწერენ გაჩიანად, არამედ არა არს ესე დასავლით ხუნანისა, არამედ სამკრით, და არს წილი ვარდაბანისა და არა გაჩიოსი; ხოლო არქევანი პირველ იყო გაჩიანი და სანადირო-ქალაქი, მერმე ქაოზიანი, და აწ ესე დაბა, რომელი დასავლითცა არს ხუნანისა და საზღვარიცა მათი. არამედ ჭაპალის ჩდილოთ, ქციის კბოდეზედ, არს არქევანი. ამას ეწოდა ქაოზიანი [82]), სადაცა არს დიდ-დიდნი ნაშენებნი, ესევე არს გაჩიანი. და ჭა-

---

[79]) თათრულად ყულ—მონა, ყულარ—მონები.

[80]) ოფრეთი აღაშენა მეფე თრიდატმა 395 წელს. იგი დააქციეს მანღულებმა (მონგოლებმა) მე-XIII საუკუნეში (პლ. იოსელიანი).

[81]) ტალავარი—კარავი, ფანჩატური, საჩრდილობელი სისიკონი.

[82]) ქაოზ ერქვა საქართველოს მეფეს. ქაოზიანი ნიშნავს ქაოზის ნაშენობას.

პალის დასავლით არს კევი სარკინეთისა. სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა, და იპოების მცირე ლაჟვარდიცა.

ამის დასავლით დის მდინარე ფოლადაური. გამოსდის ლელვარს და მოერთვის მდინარეს მაშავერს. ამას ზედა არს მცირე ქალაქი ბოლნისი [83]). მას ზემორ ეკლესია დიდი, უგუნბათო, ბოლნისისა, რომელი აღაშენა კთ მეფემან ფარსმან და გორგასალ დასვა ეპისკოპოზი. შემდგომად შემუსვრილი აღაშენა ჰთ დედოფალმან მარიამ. აწცა ზის ეპისკოპოზი, მწყემსი აწინდელის ქართლის-სომხითისა. პირის-პირ ამ ეკლესიისა არს მონასტერი წუღრუღაშენს, გუნბათიანი, შვენიერად ნაშენი, შვენიერს ადგილს, და აწ უქმ არს [84]). ამას ზეით ციხე ბერდიკისა, მაღალს კლდესა ზედა, ფრიად მაგარი. აქ ერთვის დასავლეთიდამ კევი ფოლადაურს, რომელი გამოსდის ლოქის მთას, და დაბნებით შენი არს. ამას ზეით არს მონასტერი ჭუჯაბისა, გუნბათიანი, კეთილს ადგილს, და აწ ცალიერ არს. ხოლო განჰყოფს ამ ადგილთა და ბერდუჯის მდინარეს მთა ლელვარი, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. და ამის მთისგანვე გამოსული მცირე მთა, ჩდილოთკენ მდებარე, ბოლნისისა. ხოლო ლელვარი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, და ნადირითა სავსე.

---

[83]) ბოლნისი ააშენა მეფე მირვანმა მეორე საუკ. ქრ. წ. მასში შვენიერი ტაძარი ააგო მეფე ფარსმანმა (405—408) და ვახტანგ გორგასალმა დაუდგინა ეპისკოპოსი, რომელსაც საქართველოს 40 მღვდელმთავართა შორის მინიჭებული ჰქონდა მე-28-ე ადგილი. მტრებმა მრავალჯერ ააოხრეს ბოლნისი. მე XVIII საუკ. ბოლნისის ტაძრის (სიონის) მამულები ებარა თბილელ მიტროპოლიტს.

[84]) წუღრუღაშენი—შვენიერი ტაძარია. მასზე ჩუქურთმით გამოსახულნია ლომები, რომელნიც მიჰსევიან ქურციკებს. მისი ქართული წარწერები გადმოსწერა ე. თაყაიშვილმა.

ლოქამდე სამკრეთის კერძი ბერდუჯისა და ჩდილოთ კერძი სომხითისა. კვალად ლოქის მთა განჰყოფს ტაშირსა და კაზრეთს, ბალიჴსა და დბანის-კევსა, და არს იგიცა ვითარცა მთა ლელვარი, და მიადგების აბოცის მთასა, რომელი არს ირჯანისა. არამედ ამ ადგილთა, დებედიდამ ბოლნისის დასავლის მცირე მთამდე და ქციის მდინარიდამ ლელვარ ლოქის მთამდე, უწოდებენ აწ სომხითს, ძველად არს საერისთო ხუნანისა, და არს შემკობილი ყოვლითა: ვენახნი და ხილნი მრავალნი, არამედ მთის კერძოდ არა არს. თესლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. მროწლენი, არვენი, კოლტნი ღორთა, ჯოგნი მრავალნი, ღვინო მრავალი, მთათა ნადირნი ურიცხვი, და ფრინველნი, რომელნი აღვსწერეთ, უთვალავნი. ჰაერი ქცია-ბერდუჯის მდინარეთ კიდესა ცხელი, უმშვენი, გაუძლისი, სხვათა ადგილთა კეთილი. ტყენი ბევრნი, წყარონი ცივნი და მშვენნი, უამრავნი. და ქციის სამკრით ველი იყო უწყლო, გაიღო ჟდ მეფემან ვახტანგ [85]) ძველი რუ, და აწ ირწყვის მით და ნაყოფიერებს ფრიად. ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა. სახლობენ თავადნი, ხოლო აზნაურნი მრავალნი.

აღწერა ტაშირისა. ხოლო ლოქის მთის სამკრით კერძოს მდინარენი, რომელნი დიან და მიერთვიან ტაშირის-წყალსა, იგი ერთვის ლორის ციხესთან მდინარეს დებედას. არამედ ლორეს ზეით და ლოქის სამხრით, ვიდრე დებედამდე და არჯანის მთამდე, ეწოდების ამ ადგილს ტაშირი სივაკისათვის, და არს ნაყოფიერი კორბლით, ქრთილით, სელით, შვრივით, პირუტყვის სიმრავლით; ზაფხულს ფრიად შვენიერი, პალახოვან-ყვავილიანი. წყარონი მრავალნი მშვენნი, ფრინველნი, თუნიერ კოკბისა და კაკბისა, მრავალნი, მდინარენი კალმახი-

---

[85]) ვახტანგ VI-ე († აშტარხანს 1737 წელს).

თა სავსენი, არამედ სხვა თევზნი მცირედ. ხილნი და მტილ-წალკოტოვანნი არა-რაი იპოების. თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი, და უწყინარი. სელისაგან ხდიან ზეთსა მრავალსა, იხმევენ, ჰსწვენ და ჰყიდიან. ზამთარი ციცი და თოვლიანი, ვითარ ორს ადლად, და ყინვიანი, არამედ სცხოვრებენ ულუმელოდ. არა არს ხე, არცა ტყე, და ზიდვენ ლოქ-ლელვარიდამ; უმეტეს ხმარობენ წივათა საზრდელისა და სითბოსათვის. აქ, მისხანას ითხრების ლითონი სპილენძის მრავალი [86]); კვალად ითხრების ქვა მიწიდამ წითელი და ფრიად მაგარი, ელვარე და წმინდა. მსახლობელნი არიან სარწმუნოებით სომეხნი, არამედ სამწყსონი არიან დბანისისა, და მოსილნი არიან ბინძურად და გაზეთილნი, გრძელ-ჩოხიანნი, ავფერ-უშვერად, განა არიან ჰაეროვანნი და ტანოვანნი, შემძლენი, ლაშქრობათა შინა გამოუცდელნი, უხმარნი.

ᲐᲑᲝᲪᲘᲡᲐ ᲐᲜᲣ ᲧᲐᲠᲐᲚᲐᲯᲘᲡᲐ. ხოლო ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა, და აწ ყარალაჯად [87]) წოდებული, და არს მარადის თოვლიანი, და უტყეო, და კალთათა ბალახოვანი, ყვავილიანი, წყარონი მრავალნი, კეთილნი; მდებარებს სამხრიდამ ჩდილოთ კერძ. აქა

---

[86]) Ვ. Გ. ᲑᲣᲢᲙᲝᲕᲘ (ტ. 1, გვ. 337): „ინჯის შესართავის ახლოს არის სოფელი მიშან (მისხანი), საცა ძველად სპილენძის მადანი ითხრებოდა. 1778 წელს მეფე ერეკლემ მოიწვია ბერძნები გუმიშხანიდამ შესამუშავებლად ვერცხლის და ოქროს მადნებისა, რომელიც აღმოაჩინა ახტალას და სხვაგან და მით შეიძინა სახსარი სამეფოს უზრუნველ საყოფლად. ეს ბერძნები დასახლდნენ აქ და ააშენეს სოფელი მისხანი. მაშინ ამ მადნებიდამ მეფეს შემოსდიოდა 60,000 მ. ვერცხლად და 3,200 მ. ოქროდ". ბუტკოვის შეცდომა მხოლოდ ის არის, რომ თუ მისხანი მართლაც გაეშენებინათ ბერძნებს 1778 წელს, მაშინ ვახუშტი, რომელმაც თვისი გეოგრაფია დაასრულა 1745 წელს, როგორღა მოიხსენებდა ამ მისხანს!

[87]) თათრ. ყარალაჯი ანუ ყარაალაჯი—თელა.

ითხრების თეთრი ქვა, მგზავსი მარმარილოსი. ა მთის დასავლით კერძ არს აბოტი, აწ ყაიყულად წოდებული, გამოხვეული სულიად მთითა, და შუაში ვაკე და მთის კერძად გორიანი, მოსავალ-მოუცდენელი: ხორბალი, ქრთილი, სელი, შვრივა, სხვა არა რაი, არც ხილნი და მტილოვანნი. პირუტყვთა სიმრავლე არს, თივის სიბევრისათჳს. თევზი მცირედ, და იგიცა კალმახი. ყაზანჩი იყო ქალაქი მცირე. პალაკაციოსა და აბოცს შორის არს მთა აღაბაბასი, და ივი მთა არს საზღვარი ქართლისა და ყარსისა, ვიდრე თეთრციხემდე და ტბამდე ტაშალანისა. ხოლო აბოცი აოკრებული აღაშენა ჲ მეფემან ვახტანგ [88]), და აწ ტყვე ყო შანადირ. სარწმუნოებით იყუნენ სომეხნი. კაცნი ჰაეროვანნი და ტანოვანნი, არამედ უშვერად მოსილნი, ვითა ტაშირელნი, განა ბრძოლასა გამოსადეგნი, და ესენიცა მხდელნი ზეთისანი.

აღწერა დბანის კეკისა. ხოლო ყარაღაჯისა და ტაშირის მთის ჩდილოთ კერძი არს დბანისის კეობა და მდინარე მაშავერი მიმდინარე მის შორას. ხოლო იწოდა ქციის რთვისათვის: „მა, შავერიე ქციას“, და აწ მაშავრად წოდებული. არამედ გამოსდის კეჩუთის მთასა და მიდის აღმოსავლით, და მიერთვის ქციას ნახიდურის ბოლოს. ხოლო განჰყოფს კეობასა ამას: სამკრით, მთა ყარაღაჯი და ლოქისა, აღმოსავლით, მცირე მთა ბოლნისისა, ჩდილოთ მთა ლუკუნისა, წავლილი აღმოსავლეთად ვიდრე ნახიდურამდე, დასავლით, მთა კეჩუთისა და ბოლოლისა. და მთა კეჩუთისა და ბოლოლისა არიან უტყეონი, და კევთა შინა არს არყნალნი და მთა ბალახოვანნი, შამბნარიანნი, ყვავილოვანნი და წყაროიანნი. აქა არს ყვავილი სუმბული, ფერით სპეტაკი, მგზავსი ნარისა და მიწასა ზედა განრთხმული, სურნელი, ვითარცა ამბარი, და

---

[88]) ვახტანგ V (1658—1675).

უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი. ჟდ მეფემან ვახტანგ [89]) მოიღო სავარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი. ხოლო კეჩუთის მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე და ნადირთა. აქა არს უდაბნო, კლდისა გამოკვეთილი, ეკლესია-სენაკნი, წმიდის დავით გარეჯელისაგან ქმნული, და აწ ცარიელი. არს ტბა ორმოზანისა, არა დიდი და უთევზო. ხოლო დბანისამდე, მდინარის ამიერ და იმიერ, მთასა შინა დაბნებიანი, და, ვითარცა ტაშირისა დავსწერეთ, ნაყოფიერი, და პირუტყვითაცა ეგრეთი, არამედ სარწმუნოებით უმეტესნი ქართველთანი.

ხოლო დბანის უდის ჩდილოთ მაშავერი, სამხრით ფინეზაური. და ეწოდა სახელი ესე დაბნებთ გამო: „დაბანი ისი.“ აქ დასხნა ბუღა თურქმან [90]) ოსნი. მიერ ჟამითგან იყო ციხე-ქალაქი (მის ჟამამდე არა ხსენებული) ჰგ მეფის სვიმონამდე [91]). და ამან წარუხვნა ოსმალთა, და მიერით მოოკრდა. არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-შენიერი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტაშირისა და დბანის კევისა. ჰავით არს მშვენი, არამედ ზამთარს ცივი, ზაფხულს ცხელი, უვენახო, უხილო, შენობა-მრავალი, არამედ შემუსვრილი. არს აქა წყარო, რომელი ჰკურნებს მუწუკთა. აქავ არს წყარო, რომელი დაამსხვრევს ქვასა შირიმისასა და დააყრევინებს სმითა. აწ შეაშენეს ყაფლანიანთა *) ციხე, სიმაგრისათვის. ხოლო სამკრით ფინეზაურის კევი არს, მომდინარე ლოქის მთიდამ, ეგ-

---

[89]) ვახტანგ VI-ემ († 1737 წ.).

[90]) არაბთა სპასალარი ბუღა შემოვიდა ტფილისს 853 წელს, გაოხრა იგი, შეიპყრო კოსტანტინე-ქართველი და წარგზავნა ბაღდადს, საცა აწამეს და მოჰკლეს. ბუღამ ოსნი დაასახლა დმანისს (=დბანისს) და ხაზარნი—შანქორს (ცხოვრება კოსტანტინესი).

[91]) სვიმონ I (1558—1600).

*) ყაფლანიანნი ანუ ორბელიანნი.

რეთითავე ნაყოფიერებითა, ვითარცა ტაშირი და დბანის კეობა. დბანის ქვეით არს, ჩდილოთ კერძ, ხინწის-კევი. მას ქვეით დაბა აბულმუგი. აქ ითხრების ლითონი რკინისა, სპილენძისა და ლაჟვარდისა. ამას ქვეით, სამკრიდამ, მაშავერს ერთვის ბალიჭის კევი, ლოქიდამ გამომდინარე, არს ვენახოვანი, ხილიანი და ყოვლითა ნაყოფიერი. არამედ ლოქის კერძოდ ვითარცა დბანის-კევი. მას ქვეით ერთვის გეტის-კევი და ქვეშის-კევი. გამოსდის ლუკუნს, ერთვის ჩდილოდამ მაშავერს, ეგრეთითავე ნაყოფიერებითა. ქვეშის-ტიხე არს მაღალს კლდესა ზედა მდგომი, ჰავითა და თვალთათვის მშვენი. წყარო-კეთილი. მას ქვემოთ კეობა კაზრეთისა, სამკრიდამ მოერთვის მაშავერს, გამომდინარე ლოქისავე, ესეცა ეგრეთივე ვითარცა კეობა ბალიჭისა. ეფრანთს არს ეკლესია, სასვენი ატოცის წმიდისა გიორგის ჯვარისა. სტრედს, მაშავერზედ, შენი არს კიდი ქვიტკირისა, ზ თვალი, წყალ-დიდობისათვს. აქა არს ჭალა. ამას ზეით დისველის მინდორი, უწყლო, არამედ ნაყოფიერი, ქცია-მაშავერს შუა, და მოუცადი მარცვალთა, ბრინჯბანბას გარდა. ხოლო აკაურთას და ტანძიას ქვიტკირის შენებულებანი მრავალნი, არამედ მთასა ლუკუნისასა ეწოდა სახელი ესე ლუკა მახარებლის ეკლესიისათვს, რომელი აღშენებულ არს თხემსა ზედა მის მთისასა, და მის ქვემორ არს სამკრით მონასტერი წითელ-ეკლესია, წითლის ქვით შენებულობისათვს, შვენიერი. გარემო შენობანი მრავალნი წითლითა ქვითავე, არამედ აწ ცალიერ არს. ჯანდირს არს მონასტერი ეგრეთივე და აწ ცარიელი. არს მთა ესე ტყიანი, ნადირიანი. მდინარე მაშავერი თევზითა არა დიდითა სავსე და მთის კერძად კალმახითა, ხოლო დბანისს ქვეით, ქციადმდე, ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, ვენახ-ხილითა, თესლ-მარცვალთათა, ფრინველნი მრავალნი, გარეულნი და შინაურნი. ზამთარს თბილი და მშვენიერი, ზაფხულს შეზავებული. წყარონი ცივნი, მშვენნი. ჭალა-ტყენი, ბალახნი და ყვავილნი მრავალნი.

აღწერა ზურტაკეტისა. არამედ ლუკუნის მთის ჩრდილოთ კერძს არს მდინარე ზურტაკეტისა [92]). გამოსდის შანბიანის მთას და მიერთვის ქციას მდინარეს. ხოლო განჰყოფს კეობასა ამას: აღმოსავლით, ქციის ხრამი, სამკრით, მთა ლუკუნისა, ჩდილოთ, მთა კვირიკეთისა და დასავლით, მთა შანბიანისა. არამედ მთასა ამას შანბიანი ეწოდების შამბ-ბალახ სიმაღლისაგან: რამეთუ ცხენოსანი კაცი და რქოსანი ირემი არა გამოჩნდების. არამედ არს მთა ესე მაღალი და ვრცელი, ჩდილოდამ სამკრით მდებარებს, მარადის არს თოვლი, განა ყვავილებითა მრავალფერ-მშვენვარითა და მფშვენითა და წყაროთა შემკული არს. უტყეო, გარნა კევთა არყნალნი. აქა არს ფუნდუკი თამარ მეფისაგან აღშენებული ზამთარ მოგზაურთათვს. ხოლო სხვა არს კევი ფუნდუკისა, სხვა შანბიანისა, სხვა არყნალისა. არყნალ-შანბიანის კევს შუა არს წყაროშვენიერი, რომელი მარმარილოთი აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ. ამ მთასა შინა არს ირემთა სიმრავლე, ჯოგ-ჯოგათ და ხროთ, და სხვათა ნადირთაც. მოინადირა ჟდ მეფემან ვახტანგ, და მოკლეს დღესა ერთსა რჳ [93]). ხოლო არს დაბა ველსა

---

[92]) ზურტა-კეტი ანუ ზორტა-კეტი წარმოსდგება სიტყვებიდამ კეტ ა ანუ კეტვა (შეად. ფანას-კეტი) და ზ ო რ ტ ი—გრძელი შესაკრავი. შესაძლებელია, შუშანიკის ქალაქი ცურტავი (=ცორტავი) შემდეგ გადარქმეულიყოს ზურტაკეტად.

[93]) სეხნია ჩხეიძე ასრე აგვიწერს ამ ნადირობის ამბავს: „დღესა ერთსა ინება მეფემან ვახტანგ ლევანისძემან (1703—1711 წელს) ნადირობა და წაბძანდა თრიალეთსა და შანბიანსა მთასა და დაიბარა ქართველთ დიდებულნი. ინადირა სარბევადა, შეიქმნა ირემთა მოდენა... ამოსწყვიტეს სამოცი ოდენი ირემი. მეორეს დღესა შემოვადექით შანბიანსა. შემოარტყა ირგვლივ ჯელგა. დადგნენ სახუნდესა შინა. მოვიდა ნადირი უანგარიშო. შეიქმნა სროლა. ამოსწყვიტეს, დაბალთეს. თვით პატრონმა ჩვენმა სამი მოკლა. დაჯდა ნადიმს ზედან. მოართვეს მას დღესა ირემი ას-სამო-

ზედა შავი წყარო (ყარაბულახი), ამიერ და იმიერ უდის წყაროსაგან მდინარენი სავსე კალმახითა. არამედ სამკრეთის კალმახი არს შავი და ჩდილოსი თეთრი. და უკუთუ ჩასვა ჩდილოსი სამკრით, გაშავდების, და სამკრეთისა ჩდილოთ ჩასხმული განსპეტაკდების. და ამის სამკრით არს ციხე მაღალი, კლდის ზღუდით მოზღუდვილი, წოდებული მუსის ციხე (ყალა). შიგან სდის წყარო, და ზურტაკეტა ამას ქვეით სდის ჩდილოთ აღმოსავლეთს შუა. ხოლო ამას ეწოდა რადაბრაგანი [94]). და ყარაბულახს ქვეით ზურტაკეტას ერთვის საფიქლის-კევი, გამოსდის ქარვასლის კევსა, მოერთვის აქ ზურტაკეტას. შესაყარს ერთვის მეორე საფიქლის-კევი. აქა არს დაბა დიდი გომარეთი, ვითარცა მცირე ქალაქი. ზურტაკეტასა შინა არა არს თევზი თვინიერ კალმახისა, და იგი მრავალი. კვირიკეთის მთას უწოდებენ ეკლესიისათჳს, რომელი შენებულ არს თხემსა მთისასა, წმიდის კჳრიკესი. და მთა ესე არს ტყიანი და ნადირიანი, არამედ არ არს კეობასა ამას შინა ვენახნი, ხილნი, თვინიერ მთის ხილთაგან კიდე, და ნაყოფითაცა ეგრეთვე, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი.

აღწერა თრიალეთისა. ხოლო ზურტაკეტის ჩრდილოთ კერძოთ არს თრიალეთი. და განჰყოფს თრიალეთს: აღმოსავლით, კლდეკრიდამ გამოკიდებული მცირე მთა ლაკვისა, და მიდგმით ბენდერის მთისა, სამკრით მთა ბენდერი და გამოკიდებული მის მთისა, რომელი მოადგების ქციის მდინარეს, კლდეისის დასავლით, გამომართებით კვირიკეთი-მთისა, ვიდრე ქარვასლის-კევის მთამდე, ჩდილოთ, მთა კლდეკრისა და ერჯევნისა, ვიდრე თორის მთამდე და ბაკულიანამდე [95]), და-

---

ცი და სხვას ნადირს ვიღა დასთვლიდა'' („საქართ. ისტ". გვ. 408).

[94]) რა დაბ (ა), რა განი!

[95]) ბაკულიანი=ბაკურიანი სიტყვიდამ ბ ა კ ვ ა, შემომაგრება, შემოღობვა, ბაკის გაკეთება. ბაკ-ული=ბაკ-ური, ბაკული-ანი=ბაკური-ანი.

სავლით, მთა შარვაშეთი და ტბის-ყურის გამჭრელი ხაზი, მთა ბარძიმისა და ფარავნის გამჭრელი ხაზი ბოლოლის მთამდე. ხოლო ამ თრიალეთის საშუალსა დის მდინარე ქცია, წოდებული ანუ დაბის გამო, ანუ ვინათგან აქცევს ხიდთა, რავდენცა მტკიცე ქვიტკირისა იყოს, მის გამო იწოდა. ესე გამოსდის შარაშეთის მთასა, გამოვლის ნარიანს, თრიალეთს, ქციის კრამსა, და მიერთვის ხუნანს მტკვარსა, და მარადის დის აღმოსავლეთად, და თრიალეთს მოდის მდორედ, ხოლო ეძანს დაკრამდების, და არს იმიერ და ამიერ კლდე-ქარაფი და მაღალი, მკარი რ მეტი, სიგანით რ3 მკარი და მეტიცა. ეძანს ქვეით და ახალქალაქს ზეით გარდმოდის ქცია მაღლის კლდიდამ, ვითარცა ღარიდამ, ძირს აქუს ტბა დიდი. ამას ზემორ ვერ აღვალს ორაგული და დიდნი თევზნი. არამედ არს მას ზემორ კალმახი, დიდნი და მცირენი მრავალნი და გემოიანნი. ჟდ მეფემან ვახტანგ მოინადირა ტბა ესე კირსაგლითა, და იპყრეს ორაგული, თუნიერ კალმახისა და სხვა თევზთა, მას ერთს დღესა შ [96]): ხოლო ესე თრიალეთი არს ზაფხულ ფრიად შვენიერი, ბალახოვანი, ყვავილოვანი, წყაროიანი, სანადირონი მრავალნი: დიდთა ნადირთა, მფრინველთა და თევზთა. არა არს აქა ტყე, არამედ ზიდვენ ერჯევნიდამ და კმარობენ უმეტეს წივასა, მოსავლით ვითარცა ტაშირი, განა ესე უმჯობესი მისა. თუნიერ აქლემისა, პირუტყვნი მრავალნი. ვენახი, ხილნი და მტილოვანნი არა რაი არს აქა, და მთის ხილნი მრავალნი. ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხმენ აქა და დადგების ღვინო კეთილი და გემოიანი. ეძანს ზეით ერთვის ქციას ჩდილოდამ ბეშკენაშენის-კევი. გამოსდის ერჯევნისა და

---

[96]) ვარიანტი უმატებს: „იპყრეს... ერთსა მას დღესა 83“.—სეხნია ჩხეიძის თქმით „ქციის მდინარეში იყო მორევი დიდი. ჩაუშვეს კირი. შეიქმნა ბერა ორაგულისა. მას დღეს მოართვეს ვახტანგს ორაგული ორასსამოცი და სულ კი დაიჭირეს ოთხასოდენი“ („საქართ. ისტ.“ გვ. 40).

კლდეკრის მთასა, ალმოსავლეთით ბეშკენაშენისა არს ტბა ბარეთისა, მცირე, უთევზო. გარემო მისა დაბნები, ლაკვის მთამდე. მას ზეით ერთვის ქციას კევი ერან-თურანისა. გამოსდის ერჯევნის მთას, მოერთვის ჩდილოდამ საბატეს, ქციას. მას ზეით ქციის კიდეზე არს ეკლესია გუნბათიანი, წალკა, დიდი, კეთილ-ნაშენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი თრიალეთისა. მას ზეით კოხტაკრიკის-კევი. სდისვე ერჯევანსა და თორის მთასა, მიერთვის ქციას არწივანს. თეზის-კრამსა შინა არს მონასტერი კლდესა შინა, წმიდის აბიბოს ნეკრესელის ქმნული, და აწ არს ცარიელი. მას ზემორ, საპონაურისა და ცხვრისის-კევი გამოსდის თორის მთას, მოერთვის ქციას, თეზის კრამსა შინა, პირიპირ კოხაჯის კევისა. ქვემორ, სამკრიდამ ერთვის ქციას ავლადის-კევი, გამოსდის კევ-ღრმის კრამსა. ესე არს ცივი ანუ მყანვარი. მას ქვემორ ერთვის ქციას კევ-ღრმისა და ანდრაპ ოლთისის კევი [97]). ხოლო ახალ-ქალაქს ქვევით ერთვის ქციას კევი აბანოსი, ჩრდილოდამ, მას ქვეით ერთვის ქციას კევი კარწახისა, გამოსდის უზნარიანს, მოდის ალმოსავლეთად. კარწახის კევის შესართავს ქვეით არს ციხე მოდამნახისა [98]), კვირიკეთის მთის ძირში, ჩდილოთ კერძ, ქციის მდინარის პირს. ამას ზეითი არს თრიალეთი, მოსავლით ვითარცა ტაშირი და დბანის-კევი დავსწერეთ, თაფლითურთ. ხდიან ესენიცა სელისაგან ზეთსა.

ხოლო ტბა ფანავრისა არს დიდი და თევზით სავსე, არამედ არა გემოიანი. რამეთუ ზაფხულს დგების გარემოს მისსა მრავალნი არვენი, ჯოგნი, მროწლენი, ხვასტაგნი ქართლისა და კახეთისანი, და ნეხვი მისი გამდნარისაგან თოვლისა შეს-

---

[97]) ძველს კათბადუკიაშიაც იყო ადგილი, ანდრაპად წოდებული, აგრეთვე კლარჯეთშიაც, საცა ანდრაპას გარდა არის აგრეთვე ოლთისი (იხ. კიპერტის „ატლას ანტიკვუს“.

[98]) მოდამნახე==მო და მნახე!

დის ტბასა-მას, და იტყვიან მის გამო უგემურობასა. აქა არს წყარო, რომლისა სმით, უკ‌ᲗᲝᲗ იყოს ვინმე მაძღარ ფრიად ანუ დაცონვილ, მოადნობს სმითა, ვითარცა ქონსა ცეცხლი. კვალად ამ ტბას ერთვის წყარო შაორისა მდინარედ გამომ-დინარე კლდიდამ [99]), და სავსე არს კალმახითა. ხოლო შაო-რის მთის თხემსა ზედა დგას ციხე, დიდროვანის ლოდითა ნა-შენი. არს კვალად მთა თავკვეთილი, კეკლრმა, და საშუალ ფანავრისა და ტბისყურისა ბარძიმი და ჭიქიანი. კვალად არს შავნაბადი შაორსა და თავ-კვეთილს შუა. არა არს მთათა ამათ ზედა ტყე ანუ ხე, განა კევთა მცირე არ ყნალნი, ნადი-რნი მრავალნი, ირემი და არჩვი ჯოგად, შველი, დათვი. აქა არს კლდე ფიქალ-ფიქლად დაწყობილი, ვითარცა კაცთა ხე-ლით დაწყობილი, და ნაშენი მთის ძირიდამ თხემამდე. არა-მედ რა შედგების კაცი, ნადირი თუ პირუტყვი, თრთის და იძვრის დაბლიდამ მაღლამდე, და არა დაირღვევის. ესრეთი კლდე შანბიანსა ზედაცა არს მრავალი, არამედ აქა უმეტეს უცხო, უწოდებენ კარკნალსა. ტბა ტბის-ყურისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემრგო, გარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახ-ყვავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე, დიდ-წვრილითა და ფრიად გემრიელითა. ხოლო არიან კაცნი თრიალელნი მოსილნი ვითარცა დბანის-კეველნი, სიმკნე ჰაე-როვნებითაცა ეგრეთნი, განა ესენი უმჯობესნი ყოვლითა.

აღწერა ქციის ხრამისა. ხოლო მოდამნახეს ციხის ქვე-ით არს კრამი ქციისა ვიდრე ნახიდურამდე მაღალი და განიე-რი, ვითარცა დავსწერეთ ეძან-ახალქალაქს შუათი, არამედ ეს უმეტეს მაღალი და განიერი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველი-ანი, ვენახოვანი, ხილიანი. ახალქალაქიდამ დის ქცია სამკრით, დაბის ქციისამდე. მოდამნახეს ქვეით არს ვარდის-უბანს მონას-

---

[99]) სწორედ ამნაირივე წყარო და ამავე სახელისა (შაორი) არის რაჭაშიაც.

ტერი უგუნბათო, შვენიერს ადგილს. მას ქვეით ერთვის ქციას კევი კლდეისისა. გამოსდის ბენდერის გამოკიდებულს მთასა. კორკებს არს ქვაბი კლდისა, რომელი არს ზამთარ თბილი, ვითარცა აბანო, და ზაფხულს დის წყარონი კლდიდამ. მას წყაროს ჰყინავს, და არს ყინული ფრიად წმიდა და მრავალი, ჰზიდვენ ზაფხულს მეფისათვის. ამის დასავლით არს ციხე, და არა არს აქაცა ვენახნი და ხილნი. ამ კევს ქვეით ქციაზედ არს, ლიპარიტის-უბანს, მონასტერი მცირე, კეთილშენი, და აწ არიან ეს ორნი მონასტერნი ცარიელნი. აქ ერთვის ქციას კევი ძველ-გომარეთისა, გამოსდის კვირიკეთის მთას. ესეც არს უვენახო, უხილო. მის ქვემორ არს დაბა ქცია მდინარის ქციის პირს. აქა არს მონასტური კეთილი და აწ ხუცის სამარად. ქვემორ მისა არს მონასტერი ფიტარეთს, შვენიერ-ნაშენი, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი [100]). მის ქვეით ერთვის ქციას ფოცხვერიანის-კევი, ვენახხილიანი. ქვეით მისა, ქციის კიდესა ზედა, ციხე ხუჯუტისა. მის ქვეით სამკრით არს ციხე ბერიქალისა, კლდესა ზედა, კლდითავე მოზღუდვილი, შეუალსა და მაგარს ადგილს. ქვემორ მისა ერთვის ქციას კევი ტორნე, ირაგის-კეობის მდინარე. გამოსდის ბენდერის მთას, მოდის სამკრით. არამედ კეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირ-ფრინველიანი, მოსავლიანი. განა ბენდერის მთის კერძოდ ვითარცა სხვა მთის ალაგნი. ამ კევზედ, სამღერეთს ზეით, გვიანს არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის-სამარას. მას ქვემორ მონასტერი, ქციის კრამსა შინა, პირღებულს, კლდე გამოკვეთილი, დი-

---

[100]) ფიტარეთის მონასტერი ყოვლად წმიდისა აგებულია ქავთარ ქუჯაფასძისაგან თვითმპყრობელ და უძლეველ მეფის გიორგის ჟამს. 1852 წელს ეს ტაძარი ნახა ბარტოლომეომ და მისმა შვენიერებამ, მოხატულობამ და ჩუქურთმამ იგი გააოცა. აქ დიდის ხელოვნებით გადაწერილი წიგნი ჩვენ ავწერეთ „ივერიაში“ (1898, № 122, 123, 127).

დითა შენობი.თა. და ყოვლით შემკული. ზის არქიმანდრიტი. იტყვიან თამარ მეფის ქმნულსა.

მის ქვემორ არს ციხე ორბეთი, აწ წოდებული სამშვილდე. აღაშენა ქართლოს და პირველმან მეფემან ფარნაოზ ჰყო სა ერისთო და ქალაქი. არამედ იყო ჯგ მეფის სვიმონისამდე [101]) ქალაქი. არს ფრიად მაგარი. სამკრით უდის ქცია, ჩდილოთ უდის ჭივჭავა. საშორისსა ზედა არს გარდავლებული, კრამით კრამამდე, ზღუდე განიერი და მაღალი. კვალად გარე მის ქალაქისა ზღუდე გარდავლებული, ეგრეთვე დიდროვნითა ლოდითა. ციხესა შინა აღაშენა ეკლესია გუნბათიანი დბ მეფემან მირდატ [102]), შემუსრა ლანგთემურ [103]) მერმე ოსმალთა. ზაფხულ არს ცხელი, ზამთარ ცივი, არამედ მშვენი და კეთილ-ჰაოვანი. ამის ძირს, ქციის პირს, არს მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ხოლო ქციის კრამი აქა არს სიმაღლით ს მკარი და მეტიცა და განით ფჯ მკარი, და ჭივჭივი-კრამი ს მკარი. აქ, ჭივჭივასა ზედა, არს კლდე სპეტაკი და მისგან სცვივა ბროლი გათლილი კუთხედ, მწვეტი ორ კერძოვე. ჭივჭივის წყალი სდის ბენდერის მთასა და მოდის სამკრით. არს ვენახოვანი, ხილიანი, არამედ მთისაკენ არა. ამის სადინს არს ნადარბაზევი, თამარ მეფის ნასასახლევი. აქა არს ტბა მცირე, ლულუფრისაგან კიდე, მას შინა არარაი. ხოლო სამშვილდეს ქვეით ქციის კრამი, ნახიდურამდე, უმეტეს განიერი. აქ ნაყოფიერებს, სხვათა ადგილთაგან მეტად, ბროწეული, ლეღვი, ზეთის ხილი და სხვანი ხილნი. გალანამცა ზამთარ არს თბილი და ზაფხულ ფრიად ცხელი. რამეთუ ზამთარს შეშა არა უკმს. ნახიდურს ქვეით დის ქცია გაშლით, მინდორსა ზედა, განა კბოდე-ფლატიანსა იმიერ და

---

[101]) სვიმონ (1558—1600).

[102]) მირდატ (434—445).

[103]) თემურ-ლენგმა (ტამერლანმა),

ამიერ. არამედ ხრამთა ამათ შინა არიან მრავალნი ქვაბნი, კლდეთა მაღალთა შინა გამოკვეთილნი, სახიზრად, ვიეთნი აწ კაცთაგან მიუსვლელნი არიან, და მათ შინა ფუტკარნი მრავალნი, რომლისაგან გადმოედინებიან თაფლნი. კვალად არს ქციასა შინა თევზთა სიმრავლე ფრიად და გემოიანნი, პირუტყვნი უამრავნი, ამიერ და იმიერ დაბნებიანი, ხოლო კრამის კიდესა ზედა, რომელნი დაბნები არიან, არა არს მუნ ვენახნი და ხილნი. ჩდილოთ კერძ კრამსა შინა აკეთებენ მცირედ აბრეშუმს. არს აქა ფრინველთა სიმრავლე, შინაურ-გარეულთა, და უფროს კაკაბთა. ნახიდურს ქვეით, ქციის ამიერ და იმიერ კიდესა, სახლობენ ელნი მაჰმადიანნი, მოხარკენი და მოლაშქრენი მეფისა, არამედ ბაიდრის სულთანი, რომელი დასხნა შა-სეფიმ ავლავარს ქვეით [104]) ნაჯბადინამდე, და ეკლესია ნაზარა-სოფლამდე. ხოლო ადგილსა ამას პირველ ეწოდებოდა წყალთაშუა, და აწ ბაიდარი. არამედ არს ფრიად ნაყოფიერი ადგილი ესე. ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი თესლთა, ხილნი წალკოტთა და მტილთა უცთური და მრავალი. აბრეშუმი, ბამბა მრავალ. პირუტყვნი, აქლემიდამ თხამდე, ყოველნი. ფრინველნი გარეულ-შინაურნი ყოველნი აურაცხელნი, და ფრინველით სანადირო წარჩინებული ყოველთაგან. ხოლო ნაჯბადინს ქვეით არს ხუნანი, აღმოსავლით და ჩდილოთ უდის მტკვარი, სამკრით ქცია. აღაშენა ციხე ქალაქი ქართლოს, პირველ ეწოდა მტკვრისციხე, შემდგომად ხუნანი [105]), და აწ მოჰმადიანნი უკმობენ ყიზყა-

---

[104]) შა-სეფი (1628—1647). ავლავარის მაგიერ ბროსეს დაუბეჭდია ავლაბარი და შენიშნავს: C'est Awlabar, ou la partie de Tiflis sur la gauche du Kour (ავლაბარი ანუ თფილისის ნაწილი მტკვრის მარცხნივ). ბაიდრის სულთნის უფლება უწვდებოდა მხოლოდ ა ვ ლ ა ვ ა რ ს ქვეით ნაჯბადინამდე და ნაზარალისოფლამდე.

[105]) არაბთა მწერლის ალ-ისტახრის (სცხოვრობდა 930 წლ. ახლო

ლას *), დაბის გამო. ᲐᲐ მეფემან ფარნაოზ ყო საერისთოდ, ვინა-თგან იყო ქალაქი და ნაპირის ადგილი. შემდგომად ყრუსა მოო-ხრდა ქალაქი, და ციხე იყო აქამომდე. აქა არს ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა ᲗᲗ მეფემან როსტომ ხიდი ქვიტკირისა, დიდ-შვენიერი, რომლისა სვეტსა შინა არს სახლი შვენიერი, მჭვრე-ტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სივრცე ხიდისა ი მკარი. აქეთ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკნი [106]) დიდნი და კე-თილნი, თლილის ქვისანი. ხუნანის ველსა შინა არა იყო ნა-ყოფი უწყლობით. ᲟᲓ მეფემან ვახტანგ გაიტანა რუ ქციისა ნახიდურის ბოლოდამ და აღაშენა დაბნები, და ნაყოფიერებს ფრიად.

ᲐᲓᲬᲔᲠᲐ ᲐᲓᲒᲔᲗᲘᲡ ᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲘᲡᲐ. ხუნანის ჩდილოთ კერძოთ ერთვის მტკვარს, დასავლეთიდამ, მდანარე ალგეთი. გამოსდის კლდეკარს. და მოდის აღმოსავლეთად. ხოლო იმზღვრების მდინარე ესე: აღმოსავლით მტკვრით, სამკრით ლომთა გო-რით და აწ მარნეულის გორის აღმოსავლეთად გულთაფამდე, დასავლით ამისივ გორის წასრული წრაუთის თავამდე, მიწევ-ნილი სამებამდე და მისრული ბენდერის მთამდ ე, და ბენდე-რი-ლაკვის გორამდე. ჩდილოთ გორა კუმისისა, მტკვრიდამ მიყოლით კოჟრამდე, განვლის სამადლოს და სხალნარს, მია-დგების დიდ-გორს, და მერმე მთა დიდ-გორი და ერიქალისა, და მიადგების კლდე-კარს; დასავლით, კლდე-კრის გამოკიდე-ბული ლაკვის გორა, მიდგმით ბენდერისა. ხოლო კᲚᲓᲔ-ᲙᲐᲠᲘ ᲐᲚᲐᲨᲔᲜᲐ ლიპარიტ-ბაღუაშმან [107]), და არს მაღალს მთის კლდესა ზედა ციხე. ამ მთას გამოსდის ალგეთი, არა არს უწ-ყებული, რით ეწოდა ალგეთი. ამას ქვეით ერთვის ალგეთს

ᲟᲐᲛᲘ) ჩვენებით ხუნანი იყო ქალაქი, ხუნანი ანუ სახნავნი.

*) ქალისციხე. ვახუშტი.

[106]) ფუნდუკი—ქარვასლა-სასტუმრო.

[107]) ორბელიანმა მე-XI საუკუნეში.

საყავრის ხევი, ჩდილოდამ ამას ქვეით ერთვის ალგეთს მჟავის ხევი. გამოსდიან ორნივე კლდე-კარს. ამათ უწოდებენ კლდეკრის სოფლებად. ამას ქვეით არს მანგლისი, ეკლესია გუნბათიანი. აღაშენა დიდმან კოსტანტინემ, მირიან მეფის ჟამს [108]), და დაასვენა აქა ფეკის ფიცარი უფლისა, არ-ოდეს შემუსრვილ არს. სამკრით გუნბათსა შინა არს მაჰმად ლომსა ზედა მჯდომარე დახატული. იტყვიან მის გამო მაჰმადიანთა არა შეუმუსრავთ. ზის დასმული გორგასლისაგან ეპისკოპოზი, მწყემსი ალგეთის კეობისა და ქციის ზემოთისა თრიალეთამდე. მანგლისს ქვეით ერთვის ალგეთს ხევი კველთეთისა, გამომდინარე დიდგორის მთისა. ამას ქვეით ერთვის ალგეთს ლაკვის-წყალი. დის ლაკვას ერთს წყაროს ერთი საწისქვილო, არამედ ადგილი ლაკვისა არს შვენიერი, ვითარცა თრიალეთი. ამას ქვეით ერთვის ალგეთს დვალთა ღოლოვნის-კევი. გარნა პატივანს ზეით, კლდეკარ დიდ გორამდე არა არს ვენახნი და ხილნი, არამედ ვითარცა მთის ადგილნი აღვსწერეთ მოსავლითა. განა არს ტყიანი, ნადირიანი. პატივანს ქვეით ვაკეს არს ლოდი, რომელი გვალვასა თუ გარდააბრუნო და შენამო, მოვალს წვიმა, ხოლო წვიმიანობასა შინა თუ შეაყარო ნაცარი და გარდააბრუნო, იქმნების უწვიმრობა. ამას ქვეით დის ალგეთი ჩდილოდამ სამკრით და ერთვის საშუალს გუდარეხის კევი. ხოლო გუდარეხს არს მონასტერი უგუნბათო, ბენდერის მთის ძირს, ფრიად შვენიერი, შვენიერს ადგილს მრავალნი შენობანი; ზის წინამძღვარი. მას ზეით, ბენდერის მთისაკენ, არს ციხე და ადგილი კლდოვანი, კლდითავე მაგარნი. ქვეით ამისა ალგეთს ერთვის ამლივის-წყალი თაკვიდამ. დის სამკრით. ხოლო ბუჟღულეთს ქვეით იწყებს ალგეთი აღმოსავლეთით დინებასა, და ტბისის უკან, ჩდილოთ

---

[108]) მირიან მეფის თხოვნით ბერძენთ იმპერატორმა კოსტანტინე დიდმა გამოგზავნა სამღვდელოება და ხუროთმოძღვარნი, რომელთაც ააშე-

კერძ, არს ციხე ბირთვისი [109]), კლდესა ზედა შენი და გარე-
მო კლდითა მოზღუდვილი ეჯ-ნახევარ ოდენ, და შეუალი. და
დიან მის შორის წყარონი. ჩხიკუთის სამკრით არს ეკლესია
სამება წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, არ-
მედ საკურველი, რამეთუ დიდროანითა ლოდითა შენი, რო-
მელი კაცთაგან არა შესაძლებელი არს მისი ქნა, რომელი
ავლია ზღუდედ. ძირს მისსა არს წყარო დიდი და ფრიად კა-
რგი. ძველად იწოდა გმირთ ნაკვეთი და იყო ციხე, ხოლო
აწ ეკლესია. ამას ქვეით ერთვის ალგეთს კევი საღირაშენისა.
გამოსდის სხალნარს და მოდის სამკრით. ამას ერთვის კევი
ზრბით-ოშეთისა. მას ზედ არს მონასტერი სძელისი. მას ზეით
ზრბითის კევზედ, მაღალს კლდეზედ, არს ეკლესია ზრბეთი,
ხოლო სად ერთვის ალგეთს კევი ესე, მუნ არს ციხე ფარცხისი: ფარი ბირთვისის ციხისა, აწ შემუსრვილი. ამის გამო-
მართებით, სამხრით, არს წინწყარო, ქალაქი მცირე, მოსავლი-
ანი, კეთილ-ჰაოვანი, მაღალს ადგილზედ მდგომი. აქა არს
წყაროჲ: უკუეთუ მით მოხარშო მარცვალნი რომელნიმე და
დღეთა შენთა ხარშო, ვერაოდეს მოხარშავს, გარნა სასმელად
და სახმარად კეთილი [110]).

ნეს ტაძრები ერუშეთს და მანგლისს და დაასვენეს ქრისტეს ჯვრის ფე-
ხის ფიცარი. მანგლისი იგივე ნამგლისი-ა, რადგან ნამგალს ძველად ერ-
ქვა მანგალი (მანგალისი=მანგლისი).

[109]) 1402 წელს საქართველოს მეშვიდეჯერ შემოესია ლანგთემური, კვლავ მოაოხრა ქვეყანა და შემოერტყა ბირთვისის ციხეს, რომელშიაც გამაგრებულიყო გუნდი ვაშკაც ქართველთა. ძალით ვერას გახდა, ხერხი იხმარა. საბლის კიბით ავიდა ციხის თავზე ჯანიბეგი, მას მიჰყვნენ სხვებიც, დაამარცხეს მეციხოვნენი და ამოჟლიტეს.

[110]) აქ, დედანში, ვახუშტს ჩაუწერია და მერე წაუშლია შემდეგი სიტყვები: „ხოლო აქა ვინათგან არს ყოფილი შენობანი ფრიადნი, დიდ-
დიდნი და იწერვის დასავლით კერძოდ ხუნანისა გაჩიანი და სანადროცა

ფარცხის ქვეით ერთვის ალგეთს კევი ბოგვისა. გამოსდის სხალნარს, მოდის სამხრით. მას აქეთ ერთვის ალგეთს კევი ასურეთისა. გამოსდის სამადლოს. ხოლო სამადლო იწოდების მუნ ფუნდუკისათვის. მოდის კევი ესე სამკრით. კიკეთს ქვეით, კევსა შინა, არს მონასტერი 'კაბენისა [111]). ყოფილ არს დედათა, გუნბათიანი, შვენიერი, აწ არს ხუცის სამარ. აღაშენა მეფემან თამარ. სამკრით, მას ზემორ, არს ციხე აზეულასი და აწ კოჟრისა, თხემსა ზედა კლდისასა. ამ ციხის სამკრით არს სასახლე მეფისა კოჟორი; აღაშენა ბთ მეფემან როსტომ, უმეტეს ჟ მეფემან გიორგიმ და ჟდ მეფემან ვახტანგ. დგებოდნენ ზაფხულს მეფენი. ღუუბნის კევი გამოსდის კოჟრის ციხის გორას და ერთვის ასურეთის-კევს. ასურეთის-კევს ქვეით, სამკრით, არს დურნუკი. აქა არს კრკნალი და დარანნი დიდ-დიდნი. ეგრეთვე მარნეულს, სადაცა არს აფთარნი მრავალნი. მარნეულს არს ნაციხვარი, მის გამო იწოდა ძველადვე ლომთა გორა. მის სამკრით არს დაბა ეკლესია, და სიცხისათვის ჯოჯოხეთად წოდებული. აქ ითხრების მიწა და ხდიან გვარჯილასა, ეგრეთვე იაღლუჯის მთასა შინაცა მიწისაგან ხდიან გვარჯილასა. ხოლო ალგეთის მსახლობლის ბარათიანთაგან ეწოდების ამ ადგილთა საბარათიანო აწინდელს ჟამსა, თვინიერ დბანის-კევისა, თრიალეთისა, ტაშირისა და სომხითისა, ჟამთა ამათ. ხოლო ალგეთის შესართავის ჩდილოთ, იაღლუჯამდე, მტკვრის პირს

ფრიად მრავალ არს, ვგონებ ყოფად ამას, ვინათგან საზღვარიცა არს გარდაბანისა, ანუ ნახიდურს, რამეთუ ნახიდური ეწოდების ხიდ უმყოფელობისათჳს, გარნა ყოფილარს მუნცა შენობა და საქალაქო კეთილი".

[111]) ტფილისიდამ კაბენის მონასტრამდე 15 ვერსია. კაბენში დღეს რამდენიმე რუსის ბერია ჩასახლებული. მისი ჩუქურთმა დიდის ხელოვნებით ნაქმარია. აქედგან მეფეთ საზაფხულო სადგომ აზეულამდე სულ 7 ვერსია. აზეულას ერქვა აგრეთვე კოჟორი და დღეს ჰქვიან კოჯორი.

სახლობენ ელნი მაჰმადიანნი, მთესველნი ბრინჯისა, ბამბისა და ყოვლისა თესლ-მარცვლისა. აკეთებენ აბრეშუმსა. მოხარკენი არიან მეფისა, სავსენი ყოვლითა პირუტყვითა. საყალტუთნის დასავლით არს იაღლუჯის მთა, უტყეო და უწყლო, და სადაცა სდის წყარო მცირე, იგიცა მწარე და მლაშე. არამედ არს ფრიად ბალახოვანი, ზამთარ-ზაფხულს მოუკლებელი, რომელსა ზედა იზრდებიან არვენი, მროწლენი, ჯოგნი და აქლემნი. იპოვების მგზავსი იამანის ქვისა, დიდი და მცირე, მრავალ-ფერნი. აქა არს ბალახი კალია, რომლის ძირს დასწვენ და ნაცრითა მისითა ადუღებენ საპონს უმჯობესსა, კვალად ხმარობენ სხვაფერცა. ამის მთის დასავლით, ხოშაგერმას იქით, არს ობისტიხე, ველსა ზედა, და აწ შემუსვრილი. და ამის ჩდილოთ კერძ არს ტბა კუმისისა, მლაშე, შესდის წყარო კოდისა, კვალად ერთვის კოჟრისა და გუდელისის კევის წყალი. ამ ტბის დასავლით არს კუმისი, დაბა დიდი, ვენახოვანი, ლეღვიანი, ბროწეულიანი, ხილიანი. ამის მინდორსა შინა მოვალს ყოველნი თესლნი, ბრინჯ-ბანბას გარდა; კანაფი უმუშაკოთ სცენდების. კუმისის თავს, კლდესა შინა, არს გამოკვეთილნი ქვაბნი. კუმისის აღმოსავლით, მტკვრისაკენ, არს თელეთები და ეკლესია წმიდის გიორგისა სასწაულთმოქმედი. მტკვრის კიდეზედ არს ჭალა ყურყუთა, და აწ სონღალული წოდვილი, ნაყოფიერი ყოვლითავე. ამ ჭალიდამ იაღლუჯამდე და კუმისის ტბამდე და მტკვრამდე არს მინდორი დიდი, აწ წოდებული სარვანისა, მეფეთ აქლემთა დგომისათჳს, უწყლობით უნაყოფო.

ადგერა სკვირეთის მდინარისა. ხოლო კოჟრის ჩდილოთ კერძ არს სკვირეთის მდინარე, აწ წოდებული ვერე. გამოსდის დიდგორის მთას, მოდის აღმოსავლით, ერთვის მტკვარს დასავლიდამ, ტფილისის ჩდილოთ კერძ. შესართავსა ზედა არს ლურჯ-მონასტერი. და კეობა ესე დიდ-გორის მთის კერძო არს უვენახო, უხილო ვანათამდე, მას ქვეით ვენახოვანი, ხილიანი, ტყიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. ვანათს ქვეით არს

ციხე წვერისა. სამხრით აქავ არს კევი გელიყარისა. მას ქვეით წყდულეთს ერთვის ვერეს კევი, და ამ კევის თავს, მთაში, ჩდილოთკენ, არს ციხე ჯასტისა. ამას ქვეით, სამკრით, ყოვლად წმიდის მონასტერი ბეთენია, გუნბათიანი, მაგარს ადგილს, თამარ მეფის აღშენებული, აწ ხუცის სამარ [112]). მუნ ერთვის კევი ვერეს სამადლოდამ. ამას ზედ არს რკინის-ციხე უქვიტკირო, კლდისაგან მოზღუდვილი [113]). ამას ქვეით არს ახალდაბა და მის დასავლით უძო, ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა, მჭვრეტი კოჟრისა და ტფილისისა. არამედ არს კეობა ესე ფრიად მაგარი და მოსავლით და პირუტყვით შემკული, განა იცის სეტყვა ხშირად, რამეთუ მოადგს დიდგორი. ხოლო მთა დიდგორისა არს მაღალი და თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი, ბალახ-ყვავილითა და წყაროებითა შემკული, ნადირნი მრავალნი. აქა არს წყარო: ცივებით გაყვითლებულმან უკუთუ სვას და დაიბანოს პირი, წამს განჰკურნებს; იყო ძველად მეფეთა სადგური ზაფხულს, აწ არს მეფეთა ცხენთა საბმური ზაფხულს. არს მრავალთა ადგილთა მჭვრეტელი. ამისი ჩდილოთ კერძი მეოთხე სადროშოსი, ხოლო სამკრით კერძი ამის სადროშოსი. ამის პირის-პირ, სამკრით, მთა ბენდერისა, ეგრეთვე ტყიანი და ბალახ-ყვავილოვან-წყაროიანი, და თხემთა უტყეო და თრიალეთისაკენ სრუ-

---

[112]) ბეთანიის ტაძრის წარწერა (1196 წლ.): „ადაშენა მამასახლისმა საბამ განსასვენებლად ამირსპასალარის ამილბარისა, მეფის კვირიკის ასულის რუსუდანის მეუღლისა“. აქ ორი ტაძარია, დიდი და პატარა, ერთმანეთზე გადაბმული ტაძრის კედლები მოჩუქურთმულია და მოხატული. ეკლესიის შესავლის მარცხნივ კედელზე დიდებულად გამოსახულია თამარ მეფე ხელებ აპყრობილი, ქმარი მისი დავით და ძე გიორგი. ამნაირადვე გამოსახულია თამარ მეფე ვარძიის ტაძრის კედელზე.

[113]) აქ ვახუშტს წაუშლია სიტყვები: „ვგონებ ობისციხედ ამას“.

ლიად უტყეო. ხოლო ესენი, რომელნიცა აღვსწერეთ, ძველად არს ორ საერისთოდ.

გარდაბანისა და გაჩიანის საერისთოანი. რამეთუ გარდაბანი არს საზღვრით: აღმოსავლეთით, მტკვარი და ხუნანის გამართებით ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა; სამკრით, შულავრისა, ჭაპალისა და ბოლნისის გორაები; ჩდილოთ, მტკვრიდამ ტფილისის გორაები, ტაგნაგეთამდე; დასავლით, კევი ასურეთისა წინ-წყაროს გამომართებით ნახიდურამდე და ბოლნისის მცირეს მთამდე. იწოდების ქართლოსის ძის გარდაბანის გამო, რომელსა მისცა დედამან თვსმან ხუნანი და ესენი და მან უწოდა სახელი თვსი [114]). ამასვე უწოდეს შემდგომად აგარანი, არამედ შემდგომად განდგომისა გრიგოლი მთავრისა [115]) ამას დაედვა გრდანი, ლიდო და მარტყოფი, და იწოდებოდა ესენი გარდაბანად, და არს საერისთო ხუნანისა: წინთქმული გარდაბანი, სომხითი, ბერდუჯის მდინარე, ტაშირი და ბამბაკი. ხოლო მეორე საერისთო—სამშვილდისა—არს საბარათიანო, დბანის-კევი, სკვირეთი, თრიალეთი, რომელი იყო წილი გაჩიოსი, გარდაბანს ზედით. ამან აღაშენა ქალაქი გაჩიანი [116]). იყო ესე ძე ქართლოსისა, რომელსა მისცა დედამან ობისციხე და სკვირეთიდამ ვიდრე ფანავრადმდე და აბოცის თავამდე, და განყოფილებამდე იყო ესრეთ საერისთოთ, არამედ უწოდებდენ დღემდე სომხითსაცა, თვინიერ თრიალეთისა ორთა საერისთოთა, რამეთუ ვინათგან ხოსროვანთა შემდგომად დაიპყრეს ბაგრატ მეფისამდე სომხითის მეფეთა ადგილნი

---

[114]) გარდაბანი ანუ გარ-დაბანი=გარე-დაბანი.

[115]) გრიგოლი (787—827 წ.).

[116]) „გაჩიანი", ჩვენის ფიქრით, წარმომდგარა სახელიდამ ღმერთის გაცისა, ისე, როგორც სახელები ზადენ-გორა (=ზედაზენი), არმაზ-თა, არმაზის წყალი ღმერთებისავე ზადენის და არმაზის სახელებიდამ (გაჩიანი=გაციანი).

ესენი, ვითარცა მოგვითხრობს ცხორება, ამისთჳს უწოდეს სომხითი. ხოლო აწინდელს ჟამსა იყო ერთ სასპასპეტოდ, რომელნი შეიცვალებოდნენ სპასპეტნი.

ბოსტან-ქალაქი და გარეჯის მთის **აღწერა.** კვალად იალლუჯის აღმოსავლით და მტკვრის გაღმართ არს ბოსტან-ქალაქი, რომელი არს რუსთავი, ხოლო აწ ნაგები. ესე აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან ციხე-ქალაქი. შემდგომად კ^{ბ} მეფემან თრდატ [117]) აღაშენა ეკლესია კეთილი. გორგასალ დასვა აქა ეპისკოპოზი და იყო ᲐᲓ მეფის დავითისამდე, არამედ გამოსლვასა ბერქა ყეენისასა [118]) მოოკრდა და აწცა არს ოკერ. ამ ჟამთა ქმნა სასახლე ᲣᲑ მეფემან ერეკლემ, მერმე შემუსრა ᲣᲓ მეფემან ვახტანგ [119]). ხოლო საზღვარი ამისი არს: დასავლით, მტკვარი; ჩდილოთ, კევი ლოჭინისა; აღმოსავლით, მთა გარეჯისა ვიდრე მწარე-წყლამდე; სამკრით, მწარე-წყალი.

ნაგების აღმოსავლით და სამხრით არს ველი დიდი ᲣᲐრაიისა [120]), სავსე ქურციკითა, რომელსა მოინადირებდენ მეფენი წლითი-წლად. ხოლო მტკვრის კიდეთა ჭალა დიდი, სავსე ეშვითა [121]), მშვლითა, დათვითა, მგლითა და წვრილის ნადირითა. ირემი იმყოფის ჟამად, და კოკობნი მრავალნი. გარეჯის მთას არს მონასტერნი კლდესა შინა გამოკვეთილნი, სე-

---

[117]) თრდატი (393—405).

[118]) თათართ ბერქა ყეენი შემოესია საქართველოს დაახლოვებით 1260 წ.

[119]) გამაჰმადიანებულ ერეკლემ (ნაზარალიხანმა) 1698 წელს იწყო ბოსტანქალაქის (რუსთავის) აღდგენა, აიშენა სასახლე და მის გარშემო დაასახლა ყიზილბაშნი. ვახტანგ სჯულმდებელმა დააქცია სასახლეცა და სხვა შენობებიც. აქაური ეპისკოპოსი გადავიდა მარტყოფს და იქაც ისევ იწოდებოდა რუსთაველად.

[120]) ᲣᲐრაია, აწ ᲣᲐრაიაზი.

[121]) ეშვი, ღორი.

ნაკნი, ტრაპეზნი, პალატნი. ზამთარ თბილი, ზაფხულს გრილი. ნათლის-მცემელს ზის არქიმანდრიტი, ჩიჩხიტურს ზის წინამძღვარი, დავით-გარეჯას არქიმანდრიტი, ბერთ-უბანს წინამძღვარი. არამედ ყოფილან მონასტერნი მრავალნი ვიდრე მწარე-წყლამდე, და მოწესითა სავსენი. ხოლო აწ არს ხუთი მოწესითა მყოფი. არა არს აქა წყალი, არამედ იპყრობენ წვიმისაგან კლდის ჭათა შინა და სმენ მას. არა არს ტყე, არამედ ძეძვი, მით ხარშვენ და აცხობენ. არს ეკლესიანი შემკულნი და დახატულნი ძველითგანვე. მონასტრად ქმნული არს აგ მამათაგანისა დავითისაგან [122]), მერმე შემკული, მომატებული მეფეთაგან. რამეთუ ნაგებიდამ გაიღო ჟდ მეფემან ვახტანგ რუ მტკვრისაგან, და მიერ ჟამითგან ნაყოფიერებს ჭალებს ქვეითი მინდორი. ყარაის ჭალას ქვეით მტკვრის კიდეს ესახლნენ ელნი დემურჩიასალნუ, სავსენი პირუტყვითა: რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოუკლებელი არს ადგილი ესე, და პირუტყვნი მათი დგებოდნენ გარეჯის მთასა ზედა. რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას, მლაშენი არიან და პირუტყვთა შემრგონი. არს მთასა ამას ზედა თუთუბო, კაპარი მრავალი. ხოლო რაოდენნი ელნი დავსწერენით ქართლს, ზამთარ არიან ამ ადგილებთა შინა, და ზაფხულს აღვლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა. არამედ აჰყარა შანადირ და დასხნა ხორასანს, და არს ესეცა სასპასპეტო საბარათიანოსი. ნაგების ჩდილოთ, მტკვრის კიდეზედ, არს ჭალა

---

[122]) გარესჯაში პირველად დამკვიდრდა დავით გარესჯელი (VI საუკუნეში). მისმა მოწაფეებმა და მიმდევრებმა გააშენეს თერთმეტი უდაბნო—მოწამეთა, ბერთუბანი, დოდორქისა, ნათლისმცემელი, ჩიჩხიტური, თეთრსენაკები, მღვიმე, ქოლაგერი, მოხატული, ვერან-გარეჯა და პირუკუღმართი. დავით გარესჯა ააოხრა შაა-ბაზმა მე-XVII საუკუნეში და აღწყვიტა 6000-მდე ბერი. უდაბნო განაახლა მაპუტაძემ მე-XVIII საუკ. დასაწყისს, მოუპოვა ბევრი ძვირფასი წიგნი, სამკაული და შემოსავალი.

ურარდუჯისა, ეგრეთვე ნადირიანი და კოკობ-ფრინველითა სავსე. იდგა ჯოგი მეფეთა და უწოდებენ საჯოგის ჭალას. არამედ ესე ადგილნი, ნაგებს ზეით, არს ძველად ეუხეთისა, რომელსა მისცა დედამან კუხოსს. ხოლო ნაგებს ქვეითი წერეთისა არს, და აწ უწოდებენ ყარაიას და გარეჯის მთას მასვე ძველს სახელს. ხოლო მსახლობელნი არიან სომხით-საბარათიანოს მთავარნი და აზნაურნი, ვითარცა ნიშანი გვიდვია რუკასა ამას. არამედ არიან მშვიდნი, მორჩილნი, ბრძოლასა შემმართებელნი, შვენიერ-ჰაეროვანნი, ეგრეთვე ქალნიცა უმეტეს ნაზნი. ხოლო თათარნი, რომელნიც დავსწერენით, არიან სუნნი, ქცევითა ვითარცა შვენის პირუტყვთა მწყემსთა, განამანენი, შემმართებელნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი; უწოდებენ თარაქამად, ვინათგან ბრიყვნი, უცოდინარნი არიან; ქალნიცა ეგრეთნივე, არამედ მოშავგვრემონი, მხნენი და მბრძოლნი უფროს კაცთა, ცხენითა თუ ქვეითათ.

აღწერა მეოთხე სასპასპეტოსი. ხოლო არს მეოთხე სასპასპეტო ტფილისიდამ ვიდრე ტაშის-კარამდე [123]), მეფისა თანა მყოფნი. და იმზღურების: აღმოსავლით, ლილოს საზღვრით, რომელი განვლის ხაზი შარობის ლილოსასა, აღმოსავლით სამკრითკენ ლოჯინამდე, რომელსა ეწოდების ომანისკეკი; მუნით განვლის სამგორს და ჩადიგარს შუა, და მრავალწყაროსა და სათის-ჭალას შუა და მიადგების ბერთ-უბნის ღელესა. ხოლო ლილოდამ ჩდილოთკენ მიადგების კევძმარს და კევძმარი მტკვარს მიადგების, და მტკვრის კიდე მცხეთამდე; სამკრით, ლოჭინის-კევი და გამოღმართ ჯრწანისის გორა, შინდისისა და წავკისის გორა, და წუნეთის გორა, და სკვირეთის ჩდილოთ კერძი სხალდიდამდე, და სხალდიდიდამ დიდ-გორის მთამდე მიყოლით ერიქალის მთა, კლდე-კარი, ერჯევანი, თორის მთა, და გაყოლით ნარიანის ხაზი ტბის-ყურამდე; ჩდი-

---

[123]) ბოლოჯომამდე.

ლოთ, მტკვარი და დასავლით დამჩხერალოდამ სადგერსა და თორს შუა, ბაკულიანის მთამდე და ტბის-ყურამდე. ხოლო ტფილისის სამკრით ერთვის მტკვარს კრწანისის-კევი, დასავლეთიდამ კუმისისა და შინდისის მკირე მთებიდამ გადმომდინარენი.

აღწერა ტფილისისა. ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი კალას, ტფილისს და ისნს. კალას უდის ჩდილოთ აღმოსავლით, ტფილის ჩდილოთ და ისნს დასავლით და სამკრით. ხოლო კალასა და ტფილისს ჰყოფს სალალაკის-წყალი, რომელი გამოსდის წავკისისა და კოჟრის მთებსა, სამკრით და აღმოსავლით უდის კალას და დასავლით ტფილისს. არამედ პირველ იყო დაბა. კზ მეფის ვარზაბაკურის [124]) ჟამსა შინა აღაშენა შურის-ციხე, მცხეთისათვის, ერისთავმან სპარსთამან. შემდგომად გორგასალ დადვა საფუძველი [125]) და დაჩიმ, დდ მეფემან, ქმნა ქალაქად და ტახტად მეფეთა, და მურვან-ყრუს *) შემ-

---

[124]) ვარზაბაკურ (379—394).

[125]) სოფელი ტფილისი არსებობდა ფარნავაზისა და მცხეთოსის დროსაც (ქ. ცხ., 20, 31), ხოლო ქალაქის აშენებას ქ. ცხოვრება მიაწერს ვახტანგ გორგასალს. ეს არე-მარე ტყით იყო დაბურული. მცხეთიდამ მეფე წამოვიდა სანადიროდ. მისი მიმინო ხოხობს გამოედევნა და მალე გადიკარგნენ ცის სივრცეში. მეფე იმავე მხრისკენ წავიდა და ნახა, მიმინო და ხოხობი ჩავარდნილიყვნენ თბილს წყაროში და ჩათუთქულიყვნენ. მეფეს მოეწონა ეს თბილი წყლები და აქაური არე-მარე და იწყო ქალაქის აშენება. ამ დროს იგი 60 წელს მიღწეულ იყო. ბარათაშვილის ქ. ცხოვრებით ვახტანგი დაიბადა 457 წელს და ჩვენის გამოკვლევით 477 წ. მაშასადამე, ქალაქ ტფილისის დაარსება ხვდება ანუ 517 წელს (457+60) ანუ 537 წელს (477+60). ქალაქი, თბილის წყლების გამო, იწოდება ტ ფ ი ლ ი ს ა დ ანუ თ ბ ი ლ ი ს ა დ, რადგან ტფილი—თბილი=მეგრ. ტიბუ=სვან. ტებდი.

*) მურვან-ყრუ, ძმა ხალიფა აბდალმელიქისა, საქართველოში შემო-

დგომად შემუსრეს ხაზართა [126]) და აღაშენა ამირ აგარიამან. შემდგომად შემცირებასა მცხეთისასა და აოკრებისა მისისასა, უმეტეს ტახტი იქმნა ბაგრატოვანთა. ტფილისს დის ცხელი წყალი კლდიდამ, არს მით აბანონი ექვსნი, და დიდ-შენნი ავაზიანნი. მარადის მომდინარე ცხელი წყალი. აქ, თბილისს, ყოფილა ციხე, არამედ აწ შემუსვრილი არს. აქ დასხნა შასეფიმ [127]) სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს *). ყოფილან ეკლესიანი დიდ-შენნი, არამედ აწ შემუსვრილნი არიან. კალას არს ციხე, ნაშენი მაღალს კლდესა ზედა და ჩამოზღუდვილი სალალაკის-კევი მტკვრამდე. სალალაკის კევის კარს უწოდებენ განჯის-კარად. მაღალს ციხეში არს ეკლესია გუნბათიანი, წმიდის ნიკოლაოზისა, და სასახლე მეფისა. პალატნი დიდ-დიდნი და შვენიერნი. არამედ დაუტევა ესთ მეფემან როსტომ [128]), ჩამოზღუდა კალა, ციხიდამ ხიდის ყურამდე, და მისცა სპარსთა, მიერითგან უპყრავთ მათ, და თავისა თვისისათვის სამეფოდ აღაშენა, სიონსა და ანჩისხატს შუა, სასახლე, მტკვრის გარდაკიდებით, ყიზილბაშთა რიგისა. ჟდ მეფემან ვახტანგ აღაშენა სახლი შვენიერი, სრულიად სარკითა და მოოქროვილი, დიდ-მხატვრობითა, ლაჟვარდითა და მარმარილოს კედლითა. შემუსრეს ოსმალთა. არს კალას ეკლესია გუნბათიანი, დიდი, დიდად შვენიერი, სიონი წოდებული, ღუთის-

---

ვიდა მე-VII საუკ. გასულს.

[126]) 718 წელს გამეფდა ჯუანშერ არჩილისძე. ხაზართა მეფემ ცოლად თვისად მოითხოვა არჩილ მეფის ასული შუშანა. ჯუანშერმაც და შუშანამაც უარი შეუთვალეს. გადმოვიდა ხაზართა ჯარი, შემუსრა ტფილისი, დაატყვევა შუშანა და დაბრუნდა. დარიალს რომ მიაწიეს, შუშანამ საწამლავი შესვა და იქვე გარდაიცვალა.

[127]) შასეფი † 1642 წ.

*) სეიდის შენნი. ვახუშტი.

[128]) როსტომ † 1658 წ.

მშობლისა, რომლისა საფუძველი დასდვა ჲთ მეფემან გურამ [129]), შემდგომად შეასრულა ქვრივმან ვინმე და მოქალაქეთა, და მა მთავარმან ადარნასემ [130]), ხოლო აწ დარღვევასა ზედა მიხდილი განაახლა და აღაშენა ძირიდამ გუნბათითურთ ჟდ მეფემან ვახტანგ. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ტფილისის სამკრით ქციისამდე. არს კვალად ეკლესია ჯვარის [131]), გუნბათიანი, შვენიერი. განაახლა აწ იმერლისშვილმან. არს კვალად ანჩისხატი [132]), დიდი, უგუნბათო, კათალიკოზისა; შემუსრვილი აღაშენა კათალიკოზმან დომენტიმ [133]), ძემან ქაიხოსროსამან; არს ნათლის-მცემლის, გუნბათი მოარღვია ჲთ მეფემან როსტომ, სხვით განაახლა ჟდ მეფემან ვახტანგ. არს კვალად, დაბალს ციხესა შინა, ეკლესია გუნბათიანი და აწ ცარიელი, და სხვანი გუნბათიანი არიან. გ უპყრავთ სომეხთა. უგუნბათო აღაშენა კარის საყდრად ჲთ დედოფალმან მარიამ [134]). კვალად აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ ორი უგუნბათო. ჟ დედოფალმან როდამ [135]) აღაშენა ერთი უგუნბათო, კვალად უგუნბათო ოთხი, აწ უპყრავთ სომეხთა. ხოლო ხიდის ყურს აღაშენა მეჩიტი შა ისმაილ [136]). ჲთ მეფემან როსტომ აღაშენა ციხეს გარეთ ერთი, სასახლესა შინა თჳსსა ერ-

---

[129]) გურამ ბაგრატიონი (575—600 წ.).

[130]) ადარნასე I (619—639).

[131]) ეკუთვნოდა იერუსალიმის ქართველთა ჯვრის-მონასტერს.

[132]) სახელი დაერქვა ანჩიდამ მოტანილ ხატის გამო.

[133]) დომენტი ქაიხოსროს ძე (1660—1675).

[134]) მარიამ დადიანის ასული, მეუღლე როსტომ მეფისა († 1658).

[135]) მეფე ვახტანგ V-ემ (1650—1670) განუტევა თვისი ცოლი როდამ და შეირთო როსტომ მეფის ქვრივი მარიამ.

[136]) შაისმაილ (1499—1523) ტფილისს შემოვიდა 1522 წელს, აღოხრა იგი და ააგო მეჩითი ხიდის ყურს.

თი, და განჯის კართან ერთი. ურუმთ ქორონიკონსა ჩდკზ აღაშენეს სამი, არამედ შემუსრნა შანადირ.

ისნს არს, კიდესა ზედა მტკვრისასა, კლდესა ზედა, ციხესა შინა, ეკლესია მეტეხი *) ღუთის-მშობლისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერ-ნაშენი, საარქიმანდრიტო. შემუსრვილი აღაშენა ჯვ მეფემან დიმიტრიმ. ჯბ მეფემან ერეკლემ მისცა სპარსთა, და არს უქმად. აქ განვალს ხიდი კალიდამ ისნს, ციხიდამ ციხესა. ხოლო ხიდის ყურის სამკრით არს საფლავი წმიდის აბოსი, რომელი იწამა სპარსთაგან ტფილისს. ხოლო ისნის-ციხე ყოფილ არს დიდი, რომელსა განაახლებდენ ოსმალნი ქორონიკონსა ჩდკ^{ბ}, და დაშთათ უსრულნი. ისნს არს ეკლესია ერთი უგუნბათო, არამედ გუნბათიანი ორი. და უგუნბათო ერთი უპყრავთ სომეხთა. ყოფილან ძველად მრავალნი ეკლესიანი ტფილისს, კალასა და ისნს, არამედ აწ შემუსრვილნი არიან [137]).

კალა მოზღუდა მეორე შაბაზ [138]), პირველ შემუსრვილი. სამკრით მოავლო სალალაკის კლდეზედ, დასავლით ქმნეს ორი კარი, ჩდილოთ ორი კარი. ზღუდეს გარეთ უკმობენ აწ გარეთ-უბანს, სადაცა არს ასპარეზი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი ბ, უგუნბათო ბ, და უპყრავთ სომეხთა, ხოლო უგუნბათო ბ უპყრავთ ქართველთა [139]). კალას არს რომაელთა ეკ-

---

*) იტყვიან ამის აღშენებას გორგასალისასა. ვახუშტი.

[137]) ვარიანტი უმატებს: „არს კვალად ისნს ეკლესია დიდი უგუნბათო, შვენიერ ნაშენი, რომელი აღაშენა დედოფალმან დარეჯან, დადიანის ასულმან, ჯ ჰყო კარის საყდრად სამეფოდ წელსა 1784“. ეს დარეჯანი იყო ერეკლე II-ის მეუღლე. მისს აგებულს საყდარს ჰქვიან დარიის მონასტერი.

[138]) შაბაზ მეორე (1642—1667).

[139]) ვარიანტი უმატებს: „და აწ აღაშენა საფუძველით ეკლესია დიდი, კეთილ-ქმნული და შვენიერი, წმიდის გიორგისა, ქ ა შ ო ე თ ა დ წოდებული, ამილახორმან გივმან, რომელსა სპარსნი სახელად უწოდებენ

ლესია ერთი, და მონოზონნი. ხოლო აწ უწოდებენ ოთხთავ ქალაქთა ტფილისს და განყოფით: კალას—ტფილისსა, ტფილისს—სეიდაბათს და ისნს—ავლაბარს, და კარეთ-უბანი არს ტფილისისა. მსახლობელნი არიან ციხესა და სეიდაბადს სპარსნი მოჰმადიანნი, ხოლო ციხეს გარეთ უფროს სომეხნი და მცირედ ქართველნი, ქცევა-ზნით ქართულითა. სახლნი ნაშენნი არიან ქვა-ტალახითა და გალესილი გაჯითა, ზოგთა სპარსთ რიგისა, ზოგთა ქართული. არამედ ციხე, ეკლესიანი და ზღუდენი ქვიტკირისანი არიან. ჰავითა არს მშვენი და მხიარული, ერნი შვენიერნი და მშვიდნი, ქალნი ფრიად კეკლუცნი. გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლის ხილითა და ყვავილითა სავსე, განა ქალაქი ვიწრო, ფოლორცნი [140]) უშვერნი. ზაფხულს ცხელი და არა გაუძლისი, ზამთარ ცივი. გაზაფხულ-შემოდგომა მშვენი და სატრფო. სანადირონი მრავალნი ახლოს, ფრინველთა და ნადირთა. ხოლო კვალად დასავლით, აშიტუტრუქის კლდესა შინა, არს მონასტერი მთა-წმიდისა, და აწ ცალიერი [141]). ხოლო ტფილისის

შაჰ-ყულიხანს. შესავალ კარების ზემო აწერია: „ჩვენ ამილახორმან გივმან, ძემან ანდუყაფარ ამილახორისამან და თანამეკხედრემან ჩვენმან ორბელისძის ასულმან ბანგუამ აღვაშენეთ ეკლესია ესე ღვაწლით შემოსილისა მთავარმოწამისა გიორგისა ზღუდით, ბურჯით და სახლით, რათა მეოხ გვეყოს ჟამსა სიკვდილისასა. ვინც იხილვიდეთ, შენდობასა გვიბრძანებდეთ. აღეგო მეფობასა კეთილმსახურისა გვირგვინოსანის თეიმურაზისასა და ძისა მისისა კეთილმორწმუნისა მეფის ირაკლისასა, ხოლო მამათმთავრობასა ანტონი დავითიანისა, განხორციელებითგან სიტყვისა ღუთისასა ჩენდ“ (=1754 წელს).

[140]) მეიდნები.

[141]) მთაწმინდის ტაძარი ააშენა დავით გარეჯელმა მე-VI საუკუნეში. XI საუკ. აქვე ათონის ქართველ ბერებმა ააშენეს მეორე ტაძარი. 1592 წელს ტაძრები განაახლეს დავით და ნიკოლოოზმა, შემდეგს საუ-

სამკრ-აღმოსავლით არს ნათლუნი. მუნ დის ნავთი, კიდესა მტკვრისასა, არამედ წყლის სიახლოვით მრავალი არ იღების. აღმოსავლით ტფილისისა არს ლიდო. არა არს მუნ ვენახნი და ხილნი მთობისაგან, და არს უმდინარო წყაროებითა, და ნაყოფიერებს მთურად. ტბანი არიან მცირენი და უთევზონი, მყვრითა სავსე. სხდების წყრო და ბატი მრავალი. ტფილისის ჩდილოთ არს მინდორი დიდუბისა, რომელსა პირველ ეწოდა ცხენის-ტერფი [142]). ტფილისიდამ მცხეთამდე უწყლო, არამედ მოსავლიანი. კვალად ტფილისის ჩდილოთ არს ლურჯ-მონასტერი, ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო, დიდი, აწ ხუცის სამარ [143]). ვერესა ზედა არს ხიდი დიდი ქვიტკირისა.

კუნოებში მოოხრდა. 1809 წელს ანტონი კათალიკოზის ნებართვით თომა გრიგორიევმა განაახლა ტაძარი, გაუსწორა ეზო, გაუკეთა გზები. აქ მარხია ბევრი შესანიშნავი კაცი, დ. ყიფიანი, გრიბოედოვი და სხ. გრიბოედოვის საფლავს აწერია: „ალექსანდრე სერგეის ძე გრიბოედოვი დაიბადა 1795 წ. 4 იანვარს; მოჰკლეს თეირანს 1829 წ. 30 იანვარს“.

[142]) ტერფი—ჩლიქი. დიდუბე ძველადვე განთქმული იყო თავის ალოცავით. თამარ მეფემ დიდუბის ტაძარში დაიწერა ჯვარი დავით სოსლანზე 1192 წელს. ეს ხალხსაც დაუხსოვნია:

საქართველოს დედოფალი, დედა ქართლისა თამარი,
სიმშვენიერით მოსილი, ამომავალი მზის დარი,
დავით სოსლანის მეუღლე, რომელს უმშვენა მან მხარი,—
დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი;
ნადიმობა გაუმართა, მოიწვია თავის ჯარი;
ასი სული ცხვარი დაკლა და ორასი ნიშა ხარი,
ლურჯი სუფრა გაუშალა, იქნებოდა ასი მხარი,
ქვრივ-ობლებსა უწყალობა ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი.

[143]) მისი ძველი წარწერა: „ულირსი ბასილი, ქართლისა მთავარეპისკოპოზ ყოფილი... ცეებრსა ამას გიმკობ საყდარ-სართულსა, ამას ტაძარსა შენსა... ანდრია... ვაშენებ ნაცვალ საგებელად ჩემთვის და საყვარ-

განა ვერე წყნეთამდე წალკოტითა შემკული და მრავალნი. მის სამკრით არს ველი საბურთალოსა. ამას შინა ყოფილა რუ ვერიდამ მოტანილი და აწ უმისოდ უნაყოფო არს [144]). მას

ლისა ძმისა ჩემისა ქართლისა ამირთ ამირისა, რუსთავისა და შვიდთა მთელულთა პატრონისა აბულასანისთვის". ეს აბულასანი არის თანამედროვე თამარ მეფისა „ამირი ქართლისა და ტფილისისა აბულასანი, მეფეთ მეფისაგან წყალობით ხელდასხმული" (ქ. ცხ., 284).

[144]) შარდენი, რომელიც ტფილისში იყო 1671 წელს, სწერს: ტფილისი შვენიერი ქალაქია. არტყია ლამაზი და მაგარი გალავანი. ტფილისში არის შვენიერი სახლები. სავაჭრო სახლები და ქულბაქები კარგა აშენებულია და სუფთად შენახული. ტფილისის გარემონი გამშვენებულია ბევრ სასახლეებით, რომელნიც სალხინო და საზაფხულო სამყოფად აგებულნია. ბევრია უშვენიერესი ბაღ-ვენახიც. ყველაზე დიდი ბაღი ეკუთვნის მეფეს. ქალაქი დიაღ დასახლებულია. ვაჭრობა აქვს დიდი. მეფის სასახლე ვრცელია და კეთილი, ღირსი სატახტო ქალაქისა". იოსებ დელაპორტი, რომელიც ტფილისში იყო 1768 წელს, ამბობს: „ტფილისი ვრცელი არ არის, მაგრამ ლამაზია. მასში არის ფრიად კარგი შენობები, პალატებიც კი. ქულბაქები ქვით ნაშენია და სუფთად დაცული. საფრანგეთში კი ქულბაქები აუშნოებენ უკეთესსა და უმთავრესს ქალაქებს. აბანოები ბევრი არ არის. ქართველთა სახლებში საკმაო სისუფთავეა. საქართველო ისეთი ქვეყანაა, საცა ცხოვრობენ სიამოვნებით და მცირე ულუფით. იგი მდიდარია პურით, ბოსტნეულით, ხილით. პური და ხორცი გემრიელია, მეტადრე ნადირი. აქაურ ქალებზე შვენიერი არა არის-რა. განუცვიფრებლად ვერ ვუცქეროდი მათ. ამ ქვეყანას შეიძლება ვუწოდოთ შვენიერების სამკვიდროდ. აქ ისევე იშვიათად შეხვდები ულამაზო ქალს, ვით სხვაგან ლამაზს. ეს შვენიერი ქართველი ქალები თითქო იმიტომ გაჩენილან, რომ შეიყვარონ და შეაყვარონ თავი თვისი. ტფილისში აკეთებენ ზარბაზნებს, ყუმბარებს, წამალს, უკეთეს ღვინოდ ითვლება კახური. დიდებულთა ქალები ცხენით მგზავრობენ. თავზე ხურავთ ქუდები, თავთით და სირმით მოვლებული". ისტორია ტფილისისა არის ისტორია მთელის საქართვე-

ზეით არს ტბა ლისისა და მის დასავლით მთა სხალდიდისა, კეთილი აგარაკი და შვენიერი ყოვლითა. ამის სამკრით კეობა *) დიდმისა. გამოსდის ამისი წყალი სხალდიდსა და სათოვლის მთას და დის აღმოსავლით, მიერთვის მტკვარს დასავლეთიდამ. არს წოდორეთამდე ვენახოვან-ხილიანი, და მას ზეით მთებრი. სამკრით არს ველი დიდი დიღმისა უნაყოფო, არამედ ბალახოვანი, და ზამთარს იზრდების ცხვართა და ზროხათა სიმრავლენი. ნაქულბაქევს ზეით არს დევის-ნამუხლი,—კლდე გაჭრილი გზად. მას ზეით მუსდ-გვერდი. მას ზეით, მცხეთის ხიდის სამკრით, არს მონასტერი ახალქალაქური, ყოვლადწმიდისა, უგუნბათო, კეთილს ადგილს, იდგნენ მოწესენი. მის დასავლით მცირე კევი ქართლისა, სდის მისსავე მთას და მოდის ჩდილოთ. აქა არს ციხე, რომელი აღაშენა ქართლოს, და უწოდა სახელი თვისი; არაოდეს შემუსრვილი მტერთაგან, რომელი დადგა ყრუს მოსვლასაცა. ამ ადგილის გამო ეწოდა ამ ქვეყანათა ქართლი. ა მეფემან ფარნაოზ აღმართა აქა კერპი არმაზ, სახელისა თვსისა, და მისგამო ეწოდა არმაზი ადგილსა ამას, და დაეფლა ქართლოს აქავე, და ფარნაოზცა წინაშე კერპისა თვსისა. არამედ კერპისა ამის მსახურნი, რომელნი იყუნენ, იგინი იყუნენ საქართველო. ხოლო შემდგომად შემუსრა კერპი ესე წმიდამან ნინომ. არამედ იყო ქალაქი არმაზი აქითგან ვიდრე ნაქულბაქევამდე, და ყრუსაგან და შემდგომად მისა მოოკრდა [145]). ხოლო აწ არს დაბნები.

ლოსი და იგი აღწერილია თხზულებებში: პლ. იოსელიანისა „Описдрев. Тифлиса", მ. ჯანაშვილისა „საქართვ. დედაქალაქი ტფილისი", დ. ბაქრაძისა და ბერძენოვისა „Тифлисъ въ историч. и этногр. отношеніяхъ".

*) აქიდამ ძეგვის-წყლამდე მუხრანისა არს. ხოლო აწ ესრეთ რიცხვენ. ვახუშტი.

[145]) არმაზი ძრიელი ციხე-ქალაქი იყო, აქვე თავდაპირველად იყო

ადწერა მცხეთის ზემოთისა. დასავლით არმაზისა არს ციხე-დიდი, მის დასავლით კევი ძეგვისა. სდიან სხალდიდს, მიერთვიან მტკვარს სამკრიდამ. არს ღვინო და მბალი მუნებური კეთილი. კვალად ამის დასავლით კევი ნიჩბისისა გამოსდის დიდგორს, დის ჩდილოთ, ერთვის მტკვარს სამკრიდამ. **ნიჩბისისათჳს.** ნიჩბისს არს შენობა დიდი და მონასტერი მცირე, აწ ხუცის სამარ. ამ ნიჩბისის წყლის შესართავზედ არს მტკვარზედ კოწახურას ფონი, მუხრანს გამსვლელი. **კავთისპეგეისთჳს.** ნიჩბისის დასავლით კევი კავთისა. გამოსდის დიდგორს, დის ჩდილოთ, ერთვის მტკვარს სამკრიდამ. ქვათახევამდე ვენახოვანი, ხილიანი. ქვათახევს არს მონასტერი ყოვლადწმიდისა, გუნბათიანი, მშვენიერ-ნაშენი [146]) ზის არქიმანდრიტი და არს ადგილი შემკული. ზაფხულს გრილი, წყაროიანი, ზამთარ თბილი. გარემოს მთა ტყიანი, შენობა მრავალნი. ამას შინა შეჰყარა ლანგთემურ მოწესენი და შეასხა ეჟვანნი, (რომელნი იტყოდენ: „ვაი ჩვენს დედაბრობასა, ეს რა გვეჟღარუნებიან“), და გამოსწვა ყოველნი ეკლესიასა შინა, და ჩანს დღესაც იატაკსა ზედა კელნი, ფერკნი, თავნი და გვამნი. არავინ შევალს ფეკცმული, არამედ ფერკ-შიშველნი, სიწმიდისათჳს [147]). ამას ზეით, დიდგორის კალთას, არს ციხე კავთისა,

---

ქართველთა უმთავრესი სალოცავები, მეფეთა ტახტი. უკანასკნელად იგი მოაოხრეს თათრებმა და მონასტერი კი ისევ არსებობდა და მასში 1526 წ. მოღვაწეობდა კათალიკოზი მელქისედეკი. სახალხო ლექსი:

არმაზის ციხე-ქალაქო, ძველადგან გაოხრებულო,
ხალხითა ერთხელ სავსეო, ძლიერო, ყოვლთაგან ქებულო,
შენ ვიღამ გნახოს ნაშენი, მტერთა მახვილით მოსრულო.

[146]) ვარიანტი უმატებს: თეთრ-თლილ ქვით აღშენებული, პალატ-ზღუდე კეთილ ქმნილი.

[147]) ქვათახევის ტაძარი ყოვლად წმიდის მიძინებისა აშენებულია მე-X—XIII საუკუნეში. თავდაპირველად დედათა-მონასტერი იყო და შე-

მაღალს კლდესა ზედა შენი. კავთას ქვეით ერთვის ამ კევს კევი ბოტისისა. ქვათაკევ-წინარეხს [148]) ქვეით ერთვის ამავე კევს კევი გუდარეხისა- წინარეხის აღმოსავლით და გომიჯვრის ზეით არს მონასტერი ლავრა, გუნბათიანი, შვენიერს ადგილს და აწ უქმად [149]). გუდარეხის კევზედ არს, თვალიგს, სასახლე შეფეთა, ნაშენობა დიდი.

თეძმისათჯს. ხოლო დასავლეთით კავთისკევისა დის მდინარე თეძმისა. გამოსდის ჭვარებსა და თორის საშუალს მთასა, და დედა-ციხემდინ დის აღმოსავლით, მერმე დის ჩდილოთკენ, და მიერთვის მტკვარს სამკრიდამ. აქ, მტკვრის კიდეს, არს მონასტერი ყოვლად წმიდისა გუნბათიანი დიდი, მეტეხი, კეთილ-შენი გორგასლისაგან, საარქიმანდრიტო. ამას ზეით არს სხერტის ჭალა [150]). ამის სამხრით არს, თეძამზედ, ახალ-ქალაქი. ამის ზეით ეკლესია გუნბათიანი ერთა-წმიდისა, სასწაულთ-მოქმედი [151]). ამის აღმოსავლით არს ციხე ცხირეთისა,

---

მდეგ ლანგთემურისა, რომელმაც ამოსწყვიტა მოლოზანნი, საბერო მონასტრად გადაკეთდა. მთელს ქართლში უპირველეს მონასტრად ითვლებოდა. მონასტერი ფრიად მდიდარი იყო და სვიმონ მეფის ტყვეობიდგან გამოსასყიდად გამოიღო 70,000 ლეკი.

[148]) ვარიანტი უმატებს: წინარეხს ზეით არს მონასტერი ყოვლად-წმიდისა, ბეთლემად სახელ-დებული და იქავ სახლობენ აზნაურნი მაღალაძენი.

[149]) ტაძარი ლავრა თლილის ქვით არის ნაშენი. მისი კარები და ფანჯრები შვენიერად მოჩუქურთმულია (პ. იოსელიანი. გიორგი საკაძის ცხოვრება, გვ. 117—122).

[150]) აქ დიდი ბრძოლა გადაიხადა მეფე ლუარსაბმა 1609 წელს, მრავალი მეომარი ამოუწყვიტა თათარხანს (ყირიმის ხანს) და მერე თვით იგიც შემუსრა გორს ზემო, მტკვრის პირას.

[151]) ვარიანტი უმატებს: „თლილი ქვით ნაშენი, კეთილოვანი, საარქიმანდრიტო, არამედ კათალიკოზს უპყრია ტახტად თვისად". ერთა წმი-

ნასახლევი მეფეთა. ერთა-წმიდის დასავლით არს ციხე **დრისა**, მაღალს კლდესა ზედა, მაგარი, მდინარესა ზედა თეძმისასა. ამის სამკრით, ზემოთ, მდინარესა ზედა არს, **ჯორჯონს**, მონასტერი გუნბათიანი, ფრიად მაგარსა და შეუალს ადგილს. აქა არს ლითონი ბრპენისა მრავალი, იტყვიან ვერცხლისაცა. ზის წინა-მძღვარი. აქამომდე არს თეძამი ვენახ ხილითა ნაყოფიერი. ამას ზეით ვითარცა თრიალეთი ქვარებითურთ. კრკონს ზეით, კევლრმას, არს მონასტერი. მას ზეით, ერიქალის მთის ქვეშა არს **დედა-ციხე**, კლდით მოზღუდვილი, ფრიად მაგარი. და მდინარესა ამას შინა არა არს თევზი, თვინიერ კალმახისა, და იგი მრავალი, განა წყალ-დიდობას შემოვალს კაპოეტნი, და ჟამად ორაგულნიცა. **ბოდიდამ** მეტეხამდინ არს **ქალა სხერტისა**, და არს ჯოკობი მრავალნი. **ხოგლესათჯს**. თეზის დასავლით **არს** კევი ხოგლესი. გამოსდის რაზმითის მთას, მოდის ჩდილოდამ, ერთვის მტკვარს სამხრიდამ. არს ვენახოვანი, ხილიანი და ნაყოფიერი. თეზიდამ ატენის-წყლამდე მინდორი დოესისა, რომელი ირწყვის თეზის რუთი, და არს ფრიად მოსავლიანი, თვინიერ ბრინჯ-ბამბისა. **ატენისათჯს**. ამის დასავლით არს კეობა ატენის მდინარისა. ტანა გამოსდის ჯამჯამას და საცხენისის მთას, დრის კევამდე დის აღმოსავლით, მერმე დის ჩდილოთ, ერთვის მტკვარს სამკრიდამ. მტკვრის სამკრით დასავლეთიდამ ერთვის ატენის წყალს **წედისის** კევი. **წედისს** არს ციხე მცირე, და არს კეობა ესე ვენახოვანი, ხილიანი. კვალად ატენის წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ვერის კევი, აქა არს ციხე მაღალს კლდესა ზედა, და კეობა ესე არს ვენახოვან ხილიანი. **ვერის** **დაბის** დასავლით არს, დანახვისის მთის ძირს, **მონასტერი** **კეთილ-შვენიერი**, **ყოვლად-წმიდისა**. **ამას**

და აშენებულია წმ. ევსტათეს საოხად მე.XI—XII საუკ. ტაძარი **შვენიერად** მოჩუქურთმულია.

ზეით ატენი, მცირე ქალაქი [152]). მოსახლენი ქართველნი, სოშეხნი, ურიანი. არს ციხე მაღალს კლდესა ზედა ნაშენი, დიდი, და ციხის გორის სამკრით, არს საცივი, ვითარცა მყინვარი, სადაცა დგება ღვინო წარჩინებული. ჩდილოთ კერძ სდის თბილი წყალი, მკურნალი ბუგრისა. და სდის სხვაცა ცივი წყარო. ატენის სამკრით არს მონასტერი სიონი, გუნბათიანი, კეთილ-ნაშენი, და აწ სმენ გადამდგარს ეპისკოპოზს, ახტალის მაგიერ, ვინათგან იგი უქმ არს, და აწ არს ნიში მისი [153]). ხოლო სიონის პირის-პირ დანახვისის ძირში, არს მონასტერი ნათლის-მცემლისა. დანახვისი დგას მაღალს მთასა ზედა, ეკლესია წმიდის გიორგისა, მჭვრეტი ქართლისა. ამას ზეით მოერთვის ტანას კეცი დრისა, გამომდინარე რაზმითის მთისა, და არს მთა კალთათა ტყიანი, თხემთა უტყეო.

---

[152]) ატენი მდ. ტანას ხეობაშია. აშენებულია მეფის ფარსმანისაგან 184 წ. ქრ. შ. აქ უყვარდა ცხოვრება მეფე დავითს (მე-XVI ს.). 1689 წ. იგი გაოხრეს სპარსებმა და შემდეგ შეიქნა ბუდედ ლეკთა ბრბოებისა. 1821 წელს ხელახლა მოშენდა. მასში ცხრა საყდრის ნანგრევია. ატენის სიონი ააგო ბაგრატ III-ემ († 1014 წ.).

[153]) ატენის სიონის გარეშემო ნანგრევებია კოშკებისა, სახლებისა, კედლებისა და მილებისა. აქ მილით წყალი გამოყვანილი ყოფილა მდინ. ტანადამ. ტაძარი თლილის ქვით აშენებულია. მისს კედლებზე გამოქანდაკებულია სახეები ბაგრატ მეფისა, მის მეუღლისა, სამფსონი, წმ. ევსტათე. საკურთხevლის სვეტები უკეთეს მარმარილოსაგან გაკეთებულია. დიბუას ეს სვეტები მიაჩნია წარმართულ დროის ნაშთად. ატენის სიონი 853 წელზედაც ადრეა აშენებული. მისს კედელზე დ. ბაქრაძემ ნახა შემდეგი სიტყვები, 853 წელს წარწერილი: „აგოვსტოსსა ე-სა დღესა შაბათსა, ქორონიკონსა ოგ-სა ზ(ედა) წ(ელსა) სარკინოზთასა ა... ტფილისი დაატყვევა ბუღამ და შეიპყრა და მოკლა ამირაჲ საჰაკ და მასვე თვესა აგოვსტოსსა კვ-სა დღესა შაბათსა ვეზირა შეიპყრა კახამ და ძე მისი თარხუ“. ესვე ცნობა დაუცავს ქ. ცხოვრებას (იხ. „ქართველთა მატიანე“, გვ. 55).

აქა არს საფლავი ჯაფირისა, რომლისა სიგძე ხუთი ადლი, და სკოცხლებდა ჟამსა როსტომ მეფისასა [154]). ბობნავს ზეით ერთვის ტანას ღუის-კევი, გამომდინარე საცხენისის მთისა, და ბობნავამდე კეობა ესე არს ვენახოვანი, ხილიანი, მას ზეით მთური, ვიწრო და მაგარი, კლდიანი, ტყიანი და ცხელი. კოწახური არს ტყედ. ბობნავს ზეით, ჩდილოთ კერძ, არს ციხე კიკანთ-ბერი, კლდით მოზღუდვილი, და წყარო შიგ გამომდინარე, და ფრიად მაგარი. ამ ციხის დასავლით მთასა შინა, არს ეკლესია წმიდის გიორგისა, ახალჯვარი, სასწაულთ-მყოფი რამეთუ არს მარადის კარნი დაუხშველნი, და მცველნი არაოდეს. ვერ შევალს მპარავნი და ვერცა ნადირნი. ხოლო მდინარესა შინა ატენისასა ზის კალმახნი გემოიანი მრავალნი, და სხვა თევზნი არა. წედისის ჩდილოთ და გორის პირისპირ არს ეკლესია წმიდის გიორგისა, მაღალს გორასა ზედა ნაშენი, სასწაულთ-მოქმედი. თავი წმიდის გიორგისა მდებარებს ჯვარსა შინა. უწოდებენ გორიჯვარს. არა იყო მუნ წყალი, ჯდ დედოფალმან რუსუდან [155]) მოიტანა ბურეთის მთიდამ.

აღწერა სატიციანოსი ხვედურეთ ზეით დამჩხერდომდე. დასავლით გორიჯვრისა არს კევი სკრისა, და მიერთვის სამკრიდამ მტკვარს. ამ კეობის დასავლით არს ხვედურეთის კეობა. გამოსდიან საცხენისის მთას და მიერთვის სამკრიდამ მტკვარს, და არიან ესე ორნი კეობანი ვენახოვანნი, ხილიანნი. ხვედურეთის დასავლეთით არს მონასტერი ეინტვისს, წმიდის ნიკოლაოზისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად ნაშენი, მაღალს ად-

---

[154]) როსტომ † 1658 წ.

[155]) რუსუდანი, ჩერქეზთ ბატონის ასული, მეუღლე ვახტანგ სჯულმდებელისა. გორიჯვრის რუ განაახლა ოთარ ამილახორმა ერეკლე II-ის მეფობაში. გორიჯვარი მდებარეობს მაღალს გორაზე, მოხღუდვილია მაგარის ციხით. ასავალი გზა აქვს მეტად ძნელი.

გილსა ზედა, ზის წინამძღვარი. ამის სამკრით, მთასა შინა, არს სარკეს მონასტერი უგუნბათო, ფრიად კეთილ-ნაშენი, და აწ უქმი. ყინცვისის დასავლით არს ძამის კეობა. გამოსდის თორის მთასა, მოდის საგლონის ჭალამდე აღმოსავლით, მას ქვეით დის ჩდილოთ, მიერთვის მტკვარსა სამკრიდამ. მტკვრის კიდესა ზედა არს ციხე სამწევრისს, დიდი, შიგ ეკლესია კეთილ-შენი. სამწევრისის სამკრით მოერთვის ძამას იმერხევის კევი. გამოსდის საცხენისის მთას. აქ არს მონასტერი ძამისა და აწ ხუცის სამარს. იმერ-ხევის დასავლით, ძამაზედ, არს მძორეთი, მცირე ქალაქი [156]). მოსახლენი სომეხნი, ურიანი. ციხე არს მაღალს კლდესა ზედა ნაშენი. ესე არს ძამის-ციხე. ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა. მძორეთის დასავლეთს, გვეძინეთს, ერთვის ძამას კევი მუხალეთისა, აქა არს ციხე. კვალად გვეძინეთის დასავლით მოერთვის კევი აბუხალოსი. აქა არს ქვაბნი გამოკვეთილნი მაღალს კლდესა შინა, მრავალნი. მას შინა ეკლესია კეთილი და კაცთა შეუალი სიმაგრით. აქიდამ გარდავალს გზა გუჯარეთს, რაჭის-კევზედ. აბუხალოს დასავლით გარდავალს გზა გუჯარეთს. ამ გზის დასავლით და ქოზიფას ზეით არს კლდე ფშვნიერი, ყვითელი და ბრწყინვალე, ვითარცა ოქრო. და მის ქვეით არს მონასტერი ქოზიფას, უგუნბათო, კეთილ-შენი, მთასა შინა და აწ უქმი. არამედ გვეძინეთამდე არს კეობა ესე ვენახოვანი, ხილოვანი და მას ზეით მთური. მძორეთის ჩდილოთ, გორას იქით და სამწევრის ზეით, არს მონასტერი ყოვლად-წმიდისა წრომს, გუნბათიანი, შვენიერი, სოფის კენჭი ჩაწყობილ-დახატული [157]), და ხუცის სამარ. ხოლო ამას ქვეითს მინდორს რწყავს რუ

---

[156]) მძორეთი ააშენა მეფე მირდატმა 113 წ. ქრ. შ. იგი დააქცია მურვანმა მე-VII საუკ. (პლ. იოსელიანი).

[157]) ვარიანტი უმატებს: „მონასტერი დიდი და პატიოსანი მაცხოვრისა, გარეთ თლილის ქვით, გუნბათიანი, და შიგნით სოფიის კენჭით".

ძამისა, და ნაყოფიერებს წრომის დასავლით არს კევი მიწობისა, მის დასავლით არს კრისის კევი, ამის დასავლით კაცისის-კევი, და არიან კევნი ესენი ვენახოვანნი, ხილიანნი.

ხოლო დამჩხერალოდამ ტფილისამდე, მტკვრის კერძო მთამდე, არს ნაყოფიერი. ბრინჯ-ბანბას გარდა, ყოველნი მარცვალნი, რომელნი აღვსწერეთ, ხილნი და ვენახნი მრავალნი, ღვინო აქაური უმჯობესი ყოვლისა ქართლისა, და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა; პირუტყვთა სიმრავლე ყოველთავე, თუნიერ აქლემისა. ჰაერი კეთილი და შემკული, და მთათა დაბნები ეგრეთნი, ვითარცა მთისანი დავსწერენით ნაყოფითა და პირუტყვითა, ტყიანი, ნაძოვან-ფიჭოვანი და ნადირიანი. მთა დიდგორისა და ერიქალისა ჩდილოთ კერძი არს ამ ადგილისა, და ნადირიანნი არიან, და ერიქალის მთასა შინა არს მეტი სხვათა თხა. კლდე-კრის დასავლით არს მთა ერჯევნისა, მაღალი და თხემთა უტყეო, ჭვარების კერძოსაკენ ტყიანი. არს დიდნი და მცირენი ნადირნი მრავალნი. აქ მთის თხემსა ზედა არს წყარო: თუცა სვას დაცონილმან, ჭგონებს სამდღე უჭმელობასა. და შემკულნი არიან მთანი ესენი შვენიერებითა. ხოლო კვალად წრომის ჩდილოს მტკვრის კიდესა ზედა არს დაღალულა მინდორი და ნაშენი, და ფრიად ნაყოფიერი, ზამთარ პირუტყვთა ბალახნი მოუკლებელი, და ფრინვლითა სხვა და სხვითა სავსე. განა ზაფხულს გაუძლისი. ტფილისიდამ გორამდე მტკვრის კიდე აქა და იქით არს ჭალიანი, კლდიანი. ნადირნი და კოკობნი მრავალნი. გორიდამ დამჩხერალოდამდე ფლატოიანი და ჭალიანი, ვითარცა დაღალულა.

ადწერა თორისა და აწ გუჯარეთისა. ხოლო ჭვარების დასავლით და მძოვრეთის სამკრით არს მდინარე და კეობა თორისა, რომელი გამოსდის ჭვარებსა და ამის შუათს მთასა, და მიდის დასავლით, მერმე მომრგვალდების ჩდილოთ სადგერს ზეით, და მიერთვის მტკვარს სამკრიდამ. და აწ განყოფილი არს სადგერად და გუჯარეთად. ამ ადგილის კაცნი ყოფი-

ლან მბრძოლნი ძლიერნი, აწცა არიან მკნენი. გომარეთს ზეითი ჭვარებამდე არს კეობა გუჯარეთისა, და ყოფილ არიან მრავალნი შენობანი და ეკლესიანი, განა აწ შემუსვრილნი. გუჯარეთის სოფელს ქვეით კიმოთისმანამდე, თორის წყალზედ, აქათ და იქით არს კლდე, რომელი აიყრების დიდ-დიდი ფიცარი, ფიქალ-ფიქალი, შავი, და ბურვენ მით სახლებსა. არს გუჯარეთის ჩდილოთ, მაღალს მთის თხემსა ზედა ციხე თოთხმი, მჭვრეტელი ქართლ-იმერეთისა. ამას ქვეით არს ციხე მაამწვარს და ეკლესია მცირე და შენობანი დიდნი. არს კვალად სარბიელას ზეით ციხე. სარბიელას კევის თავს, მაღალს მთის წვერზედ, არს ციხე ალეწისა, მაგარი და მჭვრეტი ქართლ-იმერეთისა. ხოლო ადგილნი ესენი იყო უშენი, მცირეთაგან კიდე. აღაშენა ჟდ მეფემან ვახტანგ. არა არს აქა ვენახნი და ხილნი, თუნიერ მთის ხილთა, და სხვით ნაყოფიერი მთისებრ, ბალახ-ყვავილითა, ტყითა და წყაროებითა შემკული. ნადირნი მრავალნი, წყალი კალმახით სავსე. მოერთვიან სამკრიდამ და ჩდილოდამ კევნი თორის წყალსა. აწ იყო ნარიანიცა ამისი, სადაცა დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე ვიდრე ტბის ყურამდე, ადგილსა ვაკესა და შვენიერსა. დის ქცია საშუალს ნარიანისა, კალმახით სავსე. (იტყვიან ტბის-ყურისას: „თამარ მეფემ ჰყო ტბად, ვინათგან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანაო ქციდამ“ და აწ უქმი არს).

ხოლო არს სასპასპეტო ესე შემკული მთითა, ბარითა, პირუტყვითა, ნადირ-ფრინველითა. მოსავალნი, რომელნიცა აღვსწერენით, მრავალნი ნაყოფიერებს. კიცნი და ქალნი შვენიერნი, მშვიდნი, მორჩილნი, და ვიეთნი შფოთის მოყვარენი, მბრძოლნი ძლიერნი. სამწყსონი არიან კათოლიკოზისანი. სახლობენ მთავარნი ოთხნი და აზნაურნი მრავალნი. აწ ვიწყებთ სხვასა.

აღწერა მესამე სასპასპეტოსი. მესამე სასპასპეტო არს რომელი იწყების მცხეთიდამ. ხოლო კათალიკოზი ვინათგან მეფისათანა მყოფი არს და არს მეოთხე სასპასპეტოსი, არამედ

მუხრანი, ორი არაგვი, ქსნის კევი და მამული მისი მესამე სასპასპეტოსი არს. ხოლო მუხრანმან მოიგო სახელი ესე მუ-ხათაგან, სადაცა არს ადგილთა ამათ შინა ტყე უმეტეს მუ-ხანი. განა საზღვარი მუხრანისა არს ძეგვის წყლიდამ დიღმის იწრომდე. არამედ აწ აღმოსავლით მზღვრის არაგვი, სამკრით მტკვარი, ჩდილოთ ციხე ბოდავისა და ტინის მთა, დასავლით გორა ოკამისა, სამკრითკენ გარდაჭრილი ხაზი შავტყესა და წლევისა კასპის ბოლომდე.

ადწერა მცხეთისა. ხოლო მცხეთა არს ორს მდინარეს შორის. სამკრით უდის მტკვარი, აღმოსავლით არაგვი, და მუნ შეკრბებიან. აღაშენა მცხეთოს, ძემან ქართლოსისამან და უწოდა სახელითა თჳსითა. შემდგომად იქმნა ქალაქი დიდი, რომელსა უწოდებდენ დედაქალაქსა [158]). მერმე მოზღუდა არ-დამ ერისთავმან სპარსთამან; მანვე აღაშენა ხიდსა ზედა ციხე და ჩდილოთ ციხე. კვალად არმაზიდამ წარმოზღუდა მტკვრა-დმდე, ამის გამო ისწავლეს ქართველთა ქვიტკირი, და იმყო-ფოდა ქალაქსა ამას შინა უხუცესი ყოველთა საქართველოსი, და მორჩილებდენ ამას. შემდგომად აზონ [159]) მოარღვია ზღუ-დე, ა მეფემან ფარნაოზ კვალად მოზღუდა, და მეფენი ჟამი-თი ჟამად ამაგრებდნენ. ხოლო მირიან აღაშენა ეკლესია მო-ციქულთა, ხისა, სამოთხესა [160]) შინა თჳსსა, სადაცა არს კვა-

---

[158]) სიგელ-გუჯრებში მცხეთა მუდამ დედაქალაქად იხსენიების, ას-რე: „ესე წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ თქუენ წმიდასა დედაქალაქსა და საყდარსა და მას შიგან სუეტსა ღუთივაღმართებულსა კუართსა საუფლოსა და მირონსა ღმერთმყოფელსა და თქვენ წმიდასა მეუფესა და მღვდელთ მთავართა მთავარსა ქართლისა კათალიკოზსა“... (სერაპიონ მაწყვერელის გუჯარი, საეკ. მუზ. № 320).

[159]) აზონ ანუ აზოჲ († 324 ქრ. წ.) იყო ძე არან ქართველთა მე-ფისა.

[160]) ბაღსა.

რთი უფლისა, რომელი მოიღო ელიოზ, და ხალენი ელიასი. და კგ მეფემან მირდატ [161]) აღაშენა მონაკვეთსა სვეტისასა გარემო ქვიტკირის სვეტი, და ამისგან ეწოდა სვეტი-ცხოველი ეკლესიასა ამას, და აღმართა მას ზედა ჯვარი, რომელსა სდიოდა მირონი სამკურნალო, და აწ უწოდებენ სამირონესა. და ჩდილოთ ამისა მირიანვე აღაშენა ეკლესია მაცხოვრისა ღუთაებისა სამთავრო, ქვიტკირისა, გუნბათიანი, დიდ-შვენიერი, და დაეფლა მირიან მუნ და მგ მეფე მირ. ამას შინა დასვა გორგასალ ეპისკოპოზი, და აწცა ზის მთავარ ეფისკოპოზი, მწყემსი რეხულას ზეით დიდ-ლიახვამდე [162]). ვახტანგ გორგასალ აღაშენა მცხეთა ქვითკირითა და შეამკო დიდად. მანვე დასვა კათალიკოზი [163]). შემდგომად ძვრით დარღვეული აღაშენა ოა მეფემან გიორგიმ, მერმე შემუსრა ლანგთემურ, აღაშენა ოვ მეფემან ალექსანდრემ [164]). არს სიგრძით... ადლი [165]), და განით... ფრიად მაღალი. შემდგომად შთამოვარდა გუნბათი, მოაშენა ჰთ მეფემან როსტომ. ყდ მეფემან ვახტანგ შეამკო კარი სამირონესი ოქროთა, მინითა და ვეცხლითა, და ჰყო მოფენილ-მოფარდაგულ ზეზით კერილითა. დაფლულ არიან მეფენი გორგასალ, დავით ლაშასძე, დიმიტრი თავდა-

---

[161]) მირდატმა (364—379) ააშენა აგრეთვე ეკლესიები თუხარისის ციხეში, კლარჯეთს (ქ. ცხ., 102).

[162]) სამთავრო და სვეტიცხოველი გააოხრა ლანგთემურმა და ორთავე განაახლა მეფე ალექსანდრემ († 1442 წ.). სამთავრო იწოდების ზემო ეკლესიად და სვეტიცხოველი ქვემო ეკლესიად. ვახტანგ გორგასლის ჟამს სამთავროში მამადმთავრობდა სამოელი. 1811 წ. გაუქმდა სამთავროს მამადმთავრობა და იქ დაარსდა დედათ მონასტერი.

[163]) ჩვენის გამოკვლევით 512 წელს, ბარათაშვილის ქართლის ცხოვრებით 534 წელს.

[164]) მეფობდა 1414—1442 წლამდე.

[165]) შესავალ კარებიდამ საკურთხეველამდე 30 საჟ.

დებული, დიდი ლუარსაბ, სვიმონ და გიორგი (აწცა ეფლ-ვიან, არამედ უშვერ არს). აქავ და მეფემან არჩილ [166]) აღა-შენა ეკლესია სტეფანწმიდისა, აღმოსავლით, არაგვის კარსა ზე-და. ყოფილან ეკლესიანი მრავალნი, არამედ შემუსვრილნი არიან. არიან შენობანი დიდნი, პალატნი დიდ-დიდნი. ხოლო აწ არღარა არს ქალაქი, არამედ დაბა. რამეთუ შემდგომად ყრუსა მოოკრდა. (იტყვიან მძლავრებისათჳს მოჰმადიანთა არ-ღა-რა ჰყვეს ქალაქი, რათა არა მათ იპყრან და შეიგინოს სი წმიდე). ხოლო არს ზამთარს ცივი, ქარიანი, ზაფხულ ცხე-ლი, არამედ ჰავით მშვენი, მთებთა შორის მდგომი. რამეთუ აღმოსავლით აქუს მთა ჯვარ-ზედაძნისა, დასავლით მთა სარ-კინეთისა, სამკრით მთა ქართლისა და კარსნისა [167]).

---

[166]) არჩილ I-მა (410—434),

[167]) მცხეთის საპატრიარქო საყდარი შვენებაა ქართველთა სატახტო ქალაქის მცხეთისა. ძველად მცხეთა ფრიად დასახლებული ქალაქი იყო და 30,000 მეომარი გამოჰყვანდა შიშიანობის დროს. მისს დასავლეთს უბანს ერქვა კოდმანი, რომელსაც იცავდა ძლიერი ციხე სარკინეთი, ჩრდილოე თისას—ქინძარი, აღმოსავლეთისას—წიწამური, ბორცვი (ბორცვისჯვარი შემდეგში) და კარსნი ანუ კარსანი, სამხრეთისას—არმაზი და ციხე დიდი. არმაზის მხრივ მცხეთა მოზღუდვილი იყო ქვიტკირის კედლით, შემდეგ კი-დევ გაამაგრა ფარნავაზმა. მცხოვრებნი ყოველწლივ 6-ს აგვისტოს ადიო-დნენ არმაზს ანუ ქართლს, საცა აღმართულ იყვნენ ღმერთნი არმაზი, გა-ცი და გაიმი, და თაყვანს სცემდნენ ამ სალოცავებს. თაყვანს სცემდნენ იგი-ნი აგრეთვე ზადენს, აინინას და დანინას. ამ უკანასკნელ ღმერთების ან-დალმები აღმართული იყო გზის პირას, მცხეთის შესავალში, ხოლო ზადე-ნისა ხედაძნის გორაზე. უმთავრესი ღმერთები ოქრო-ვერცხლის იყვნენ და თვლებით მორთულნი (იხ. ზემოთ, მ ე რ ვ ე შენიშვნა). 324 წელს 6 აგვის-ტოს მირიანმა და წმ. ნინომ მონათლეს ქართველები. სანათლოები გამა-რთული იყო მტკვარსა და არაგვში. იმავე წელს მოსპრეს კვიპაროზის ხე, რომლის ფესვებს დაეფარა სიდონიას საფლავი ქრისტეს კვართითურთ. ამ

აღწერა მუხრანისა. ხოლო სარკინეთი არს მცხეთის დასავლით, სადაცა აღაშენეს ქალაქი ძლიერი თურქთა, და მოსვლასა ალექსანდრე მაკიდონელისასა განხვრიტეს მთა სხალტბისაკენ, და ივლტოდენ კავკასეთად. მერმე შემუსრა ალექსანდრემ, და არიან ქვაბნი გამოკვეთილნი კლდისაგან მრავალნი. და კლდე ესე არს ვითარცა ნაშენი ქვიტკირისა. არს აქა მონასტერი დიდი, გუნბათიანი, და მდგომე მას შინა, რომელსა შინა სცხორებდა წმიდა შიო იგ მამათაგანი. ზის აწ არქიმანდრიტი. არს მღვიმესა შინა საფლავი წმიდის შიოსი, სასწაულთ-მოქმედი *), რომლისა გარემოს მისა ვერ იკადრებს მკეცნი შეჭმად პირუტყვთა მონასტრისასა. არს აქა კვალად

სიდონიას საფლავზე ააგეს საყდარი იმავე კვიპაროზის ხის შტოებისაგან და სვეტისაგან (სვეტი ცხოველი). ამ ტაძრის ადგილზე მე-V საუკ. დასდგეს ქვიტკირის საყდარი, საკათალიკოზო 512 წლიდგან და სამარხი ბაგრატიონთა მე-VI საუკუნიდგან. მცხეთაში არის ნაშთები ძველის საყდრებისა—ანტიოქიისა, ბეთლემისა. სამთავროს ახლოს არის მცირე საყდარიც იმ ადგილას, საცა იყო წმ. ნინოს მაყვლოვანი. სამთავროს ზემო, გზის პირას, 1871-სა და 1872 წ. ბაიერნმა აღმოაჩინა ძველის-ძველი და საკვირველად მოწყობილი საფლავები. 1867 წელს მცხეთის ახლო იპოვნეს ქვა ზედწარწერით: „იმპერატორმა ვესპასიანემ, აგვისტომ... და იმპერატორმა ტიტემ ცესარმა, ძემან აგვისტოსმან... და დომიციანე კეისარმან, ძემან აგვისტოსმან... ივერიის მეფეს მიტრიდატს, ფარსმანისა და იამაზდის ძეს, მეგობარს კეისრისა და მეგობარს რომის ერისა აუშენეს ციხე". ეს წარწერა ეკუთვნის 75 წელს ქრ. შ.

*) წმიდის შიოს ნაწილი აღმოვიდოდა წლითი-წლად, ძვალი შიშველი, თვნიერ კორცთა, და თაყვანის სცემდენ და მიიღებდენ კურნებასა. შანადირ მოავლინა მოჰმადიანნი, რათა იხილონ უკეთუ ჭეშმარიტი არს. ხოლო მათ შემუსრეს სამყოფი ნაწილთა და დაამტვრიეს. შემდგომად შეკრიბეს და დაასვენეს მუნვე. მიერით არღარა აღმოვალს ამ ჟამამდე.

ვახუშტი.

ეკლესია დიდი, უგუნბათო, კეთილ-ნაშენი. ხოლო იტყვიან, ძველად იდგა ჭ მონაზონნი ამათ ადგილთა შინა [168]). არამედ მთა ესე არს ტყიანი, ღელე-ღრანტოიანი, უწყლო, ნადირიანი, თუნიერ ირმისა ყოველნი. სამკრით კერძი მტკვრისა უმოუსავლოიანი, ხოლო ჩდილოთ კერძი მოსავლიანი, ვენახ-ხილიანი, დაიწყების მთა ესე მცხეთიდამ და მივალს გორამდე და ვიდრე ალამდე.

ხოლო მცხეთას განჰკვეთს არაგვი, გარნა მოებმის ზედაძნის მთა და მივალს ქისიყამდე. ხოლო მდინარე არაგვი განჰყოფს ქართლსა და კახეთს, და ეწოდა სახელი ესე ამ მდინარეს თვისითავე: ვინათგან დის ჩქარად, მოგვის და იმღვრევის შავად: „ხედავ, არა გვის ეს წყალი ამ კევთა [169])!“ არამედ არს მდინარე ურგები. თევზი, თუნიერ ორაგულისა, არა რაი, და იგიცა ჟამად. გამოსდის მაღრან-დვალეთის ქნოღოს კავკასის მთიდამ, და ციკარიდამ დის აღმოსავლეთ-სამკრეთს შუა ვიდრე გუდამაყრის კევამდე, და მუნიდამ სამკრით დის მტკვრამდე. ამიერ და იმიერ ჭალანი ჯღარდლოვანი, ეკლოვანი, ნადირითა, ეშვითა და კოკბითა სავსე.

ხოლო მცხეთის ჩდილოთ არს ციხე ბელტისა, აღაშენა

---

[168]) შიომღვიმეში სამი ტაძარია: უმთავრესია იოანე ნათლისმცემლისა, მეორე ღვთისმშობლის მიძინებისა და მესამე წმ. შიოსი. ღვთის მშობლის მიძინების საყდარი ააგო დავით აღმაშენებელმა († 1125 წ.) იმ წელიწადს, როდესაც მღვიმის მოღვაწეთა შემწეობით დაამარცხა განდგომილი მთავარი ძაგანი და მისი შვილი მოდისტოსი. მეფემ შესწირა მონასტერს 3000 ცხვარი, ბევრი ოქრო-ვერცხლის ნივთები და ჯამაგირი დაუნიშნა მონასტრის მგალობლებს.

[169]) არაგვი იმავე ფესვიდგან უნდა წარმომდგარიყოს, რომლიდგანაც სახელები არაქსი (=არეზი=რახსი), ალგეთი, რეხულა, ლიახვი, რიონი, ალაზანი და აგრეთვე სიტყვები რუ (=რეკი=რო=როი), არხი, რონინი და სხ.

არდამ ერისთავმან. ამის ჩდილოთ არს დართის-კარი, კევი ღრმა და მშრალი. მის ჩდილოთ არს მდინარე ნარეკვავისა, რომელი გამოსდის ალევის მთასა და დის სამკრით ტყვილიანამდე, მერმე აღმოსავლეთით და მიერთვის არაგვს დასავლეთიდამ. ესე გამოვლის შორის მუხრანსა. არაგვის დასავლით, ნარეკვავსა ზედა, არს ჭალა ნარეკვავისავე, ნადირითა და კოკბით სავსე, და არს მდინარე ესე უჟასამდე ვენახითა და ხილითა ნაყოფიერი. და ნარეკვავის ჩდილოთ არაგვისპირს არს საფურცლე, და საფურცლის ჩდილოთ მისაქცეელი, მთის ძირს. ამის დასავლით, ამ მთის ძირს, არს ეკლესია წილკანს, ღუთის-მშობლისა, გუნბათიანი და შვენიერი. აღაშენა კე მეფემან ბაქარ [170]), ზის ეპისკოპოზი, მწყემსი მუხრანისა, ორისავე არაგვისა და ბაზალეთისა. ტყვილიანიდამ ისო წილკანელმან, იგ მამათაგანმან, წარმოიღო ყავარჯნის თრევით რუ, რომელსა მოსდევდა უმუშაკოთ წყალი, და მოიღო წილკანს, და დის დღედმდე. დაფლულ არს წმიდა ისო მუნ [171]). ხოლო ირწყვის მინდორი ამისი რუთა მით და ნაყოფიერებს ფრიად. ტყვილიანის ჩდილოთ არს მონასტერი მჯადის-ჯვარისა, საბურდიანოსა შინა, გუნბათიანი, და აწ უქმი. კვალად ნარეკვავის შესართავის დასავლით, სარკინეთის მთის ჩდილოს გვერდი

---

[170]) ბაქარ ანუ ბაკურ (342—364). რუფინი, მწერალი მე-VI საუკ. დასაწყისისა, ასწერს-რა ქართველთა მოქცევის ამბავს, შენიშნავს: „ეს გვიამბო სარწმუნო კაცმა ბაკურმა, იქაურ ქვეყნის (საქართველოს) მეფემ, რომელიც მზევლად იყო ჩვენს იმპერატორთან და მხედართმთავრობდა პალისტინის საზღვრებზე (ა. ხახანაშვილი. Источники, გვ. 4—6, 33—34).

[171]) წილკანს ეპისკოპოზი იჯდა მე-VI საუკუნიდამ. პირველი ეპისკოპოზი იყო ისო წილკნელი და უკანასკნელი გერვასი († 1817). წილკნელს ემორჩილებოდა ორი ქორეპისკოპოზი—ბოდორნისა და სიონისა (დარიალის ხეობისა). წილკნის საყდარი დიდებული შენობაა, მასში ასაფლავია ისო წილკნელი შვენიერს ლუსკუმაში.

ვიდრე ქანდა-ციხის ძირამდე, არს ვენახოვანი, ხილიანი, ბალახიანი და ტყიანი. ხოლო ციხისძირს ჩამოუდის კსანი. ოძისამდე არს მუხრანისა, ოძისის ჩდილოთ კერძი კსნის კევისა. ციხის ძირის სამკრით არს ციხე მტკვრისა, სარკინეთის მთასავე ზედა, რომელი აღაშენა ოთ მეფის კოსტანტინეს [172]) ძემან ბაგრატ. ამ ციხის სამკრით, მტკვრამდე და ნასპარსევამდე, არს მინდორი ნასპარსევისა წოდებული: ოდეს დაისხნენ თურქთა მოსვლასა სპარსნი და მოსწყვიდნა ალექსანდრე დიდმან, მათ გამო ისახელა. არს უწყლოობით უნაყოფო, არამედ ზამთარ ბალახიანი, და იზრდებიან ცხოვართა და ჯოგთა სიმრავლე. ხოლო კსანი მდინარე ერთვის მტკვარს ჩდილოდამ, ციხეს ქვეით. ციხის-ძირს ზეით ერთვის კსანს შიოს-უბნის წყაროს წყალი, აღმოსავლეთიდამ. არამედ შიოს-უბანს არს შენობა დიდი სასახლეთა, ხოლო ოსმალთა აღაშენეს ციხე ქორონიკონსა ჩდჯ, აწ არს სახიზრად. ამის ჩდილოთ ქსორისი. მუნ არს აღებული რუ და რწყავს ორთა ამათ მთათა შორისთა მინდორთა, სარკინეთისა და ციხე-ბოდავის მთათა შორისსა, და ნაყოფიერებს მით ფრიად. მას ზეით ოძისი და დასავლით კსნისა ირტო-თეზ-ოკმის მინდორი და ჩანგილარ-ბეგთათავისა, ირწყვის კსნის რუთივე, და ნაყოფიერებს. ხოლო ციხის ძირის დასავლით, კსანს იქით, ასტყდების მთა თხოთისა, რომელსა ზედა მოიქცა მეფე მირიან ქრისტეანედ. აწცა არს მუნ ნიში ჯუარისა, რომელი აღმართა წმიდამან ნინომ, სვეტისაგან გამოკვეთილი. ამ მთის მობმით მთა წლევისა წარვალს გორამდე. ამ მთათა სამკრით არს მტკვრამდე და კასპამდე, ქსნიდამ, მინდორი აღაიანისა, უწყლო, უნაყოფო, განა ბალახიანი, და ზამთარს მზრდელი ცხოვართა და ჯოგთა. ხოლო მდინარემან ქსანმან მოიგო სახელი ესრეთ: რამეთუ მდინარე ესე არს სხვათა მდინარეთა ერთი ქსანი [173]), და არს სარგებ-

---

[172]) მეფე კოსტანტინე (1469—1505).

[173]) ქსანი ვვ მისხალია.

ლიანი მდინარე და თევზიანი. არამედ ესე მუხრანი ფრიად შემკული არს, ზამთარ სითბოთი და მეფეთა სადგური, ბალახ-ჩალიან-ლერწმოვანი, ზაფხულს მშვენი, კეთილ-აგარაკოვანი, ცივნი წყარონი, ჰავით მშვენი. მოსავალნი მტილთა, წალკოტთა, ვენახთა, თესლ-მარცვალთა, მრავლად ნაყოფიერებს. პირუტყვნი, აქლემს გარდა, ყოველნი, მრავალნი. რამეთუ ზამთარ ბალახთა მძოვარნი არიან. ფრინველნი გარეულნი და შინაურნი მრავალნი, სანადირონი მოუკლებელნი. სახლობენ გვარიანნი აზნაურნი და კაცნი მუნენი და მბრძოლნი, არამედ მპარავნი. პირველ იყო მეფეთა სადგური, აწ უპყრავს, შემდგომად ბაგრატისა [174]), მუხრან-ბატონსა, ამასვე აქუს დროშა სასპასპეტო არაგვ-ქსნისა.

აღწერა არაგვის პირისა და ბაზალეთისა. ხოლო კვალად არაგვის პირს არს ოხერ-ხიდა, რომელსა ეწოდა პირველ ხიდარი, სადაცა აღაშენა ვარზაბაქარ ციხე და უკუჯდა კევსა კახეთისასა და არაგვის პირს. მისაქციელიდამ და ოხერ-ხიდიდამ ანანურამდე არს ვენახოვანი, ხილიანი. და ოხერ-ხიდის ჩდილოთ არს ბოდორნს ქვაბნი გამოკვეთილნი და ციხე მაგარი. ამის ჩდილოთ ურია, მოსახლენი ვაჭარნი. ჩდილოთ მისა, ანანისთან [175]), ზანდუკლის-კევი, მას ზეით ვეძათ კევის-კევი. ამ კევისა და არაგვის კიდეზედ არს ანანური [176]). ძველად იყო ეკლესია მცირე, არამედ წელსა ქრისტესა ჩდდ აღაშენა გიო-

---

[174]) ბაგრატ, ძე კოსტანტინესი († 1505) და ძმა მეფის დავითისა. 1512 წელს ბაგრატმა წილად ითხოვა მუხრანი, არაგვისა და ქსნის ხეობანი მთიულეთითურთ და აქ დასახლდა. მან აიშენა მაგარი ციხე ქსანკის ახლოს. ციხეს ეწოდა მტკვრის ციხე.

[175]) ანანისი, ე. ი. კუთვნილი ანანისა. ანანი იყო ახოს († 324 წ. ქრ. წ.) მამა.

[176]) დაბოლოება ური გვიჩვენებს, რომ ეს ადგილი ყოფილა ღმერთის ანანისა ანუ ანანად წოდებულის კაცისა,

რგი ერისთავმან ეკლესია გუნბათიანი, დიდი. გარემო მოავ-
ლო ზღუდე კვიტკირი და მაღალს კლდესა ზედა ქმნა კოშკი
და ციხე, ჰგონებდა სიმაგრედ თვისად და მომავალთა თჳსთა,
არამედ ქმნა საბრძოლ და მომწყვეტელ ძეთა და ნათესავთა მი
სთა [177]). ვეძათ კევის დასავლით არს სოფერშეთი და ალევი მთა-
სა ზედა. და ალევი არს მთა მაღალი, თხემთა უტყეო, კალ-
თათა ტყიანი. ესე წარივლის სამკრით ოძისამდე და ჩდილოთ
ლომისამდე. ესე მთა ჰყოფს ქსნის კევსა და ბაზალეთსა. ამ
ალევის მთის თხემსა არს ეკლესია უგუნბათო, მეფრეტი ქართლ
კახეთისა. ამას შინა არს სიმრავლე ხატთა და ჯუართა ოქრო-
სა და ვერცხლისათა და სამსახურებელნი ეკლესიისანი მრავა
ლნი. კარნი აქუს ოქროსი, რომელი უქმნეს სპარსთა: რა
ჟამს წარიღეს ხატი მისი, მუნ სასწაულის მხილველთა უქმნეს
კარნი ოქროსანი და დასდვეს ურემსა კარ-ბმულსა, და მოიღო
მუნ. ამ მთას გასდის ნარეკვავი [178]). არამედ კეობასა ამას,
ბენის-ჭილუტამდე, ეწოდების გრემის-კევი. არა არს გრემის-
კევს ვენახნი და ხილნი, სხვითა ყოვლითა მოსავლიანი. და ამ
სიმრგვლეს შორის არს ბაზალეთი, რომელსა ეწოდა დაბის გა-
მო. აქვს ბაზალეთს აღმოსავლით არაგვი, სამკრით ციხე-ბოდა-
ვისა და ტინის მთა, დასავლით გრემის-კევი და ალევის მთა,
ჩდილოთ ჭართალის [179]) მთა. არს აქა ტბა ბაზალეთისა, დუ-

---

[177]) 1739 წელს რუსეთიდამ დაბრუნდა ერისთავი შანშე, მოიწვია ლეკები, შემოერტყა ანანურს, შეიპყრო ბარძიმ ერისთავი და მისი სახლობა ამოსწვა ანანურის ციხეში (ქ. ცხ., 255).

[178]) ალევის მთა საკმაოდ მაღალია, მის კალთებზე შეფენილია სოფლები ზემო-ალევი და ქვემო-ალევი. ალევის მწვერვალზე ტაძარია და აქედგან გადასახედავი ყოველმხრივ. ყოველად წმიდის მიძინების დღეს აქ იყრება დიდძალი მლოცავი. ალევის საყდრის აშენება მიეწერება დავით აღმაშენებელს (პლ. იოსელიანი. Алевская святиня).

[179]) ჭარ-თალი იხსენიება წმ. ნინოს დროსვე. ჭართალელნი მან მო-

შეთის წინარე მდებარე, და არს ურგები და უთევზო და წუ-
რბელი მრავალი. სხდებიან ფრინველნი მრავალნი. არიან
ტბის გარემოს, მუხრანის კერძ, არაგვისკენ, გრემის კერძ და
ანანურის კერძოთ, დაბნები ვენახოვანნი, ხილიანნი, მოსავ-
ლიანნი და უწყლოობით არა მრავალ ნაყოფიერნი. არიან
მცირე წყარონი დაბნებთა. ჰავითა მშვენი და კეთილი. კაცნი
მბრძოლნი და მპარავ-ავაზაკნი, და უშიშნი ღუთისა. წილკნის
მთის ზეით ვიდრე ანანურამდე უმეტეს ტყიანი, ღელოვან-
კრამოვანი.

ადწერა გუდამაყრისა. ხოლო ანანურს ზეით ერთვის
არაგვს დასავლიდამ **ჭართალის-კევი.** მის ჩდილოთ არს მთიუ-
ლთ-კარი სიმაგრე მტკიცე, მას ზეით ნასასახლევი მეფეთა და
ხანდოს კევი, რომელი გამოსდის ლომისის მთას, ერთვის
არაგვს დასავლეთიდამ. მის ზეით ერთვის **კევი გუდამაყრისა**
არაგვს ჩდილოდამ. გამოსდის კავკასს, გუდამაყარსა, კევსა და
ძურძუკს შორისსა, და არს გუდამაყრის კეობა მაგარი, მოსა-
ვლით ვითარცა სხვა მთის ალაგნი და უფროს მწირი. კაცნი
და ქალნი მგზავსნი მთიულთა, კელოსანნი, მშვილდთ მოქ-
მედნი: აკეთებენ რქისაგან მჯიხვისა, თხისაგან და კართაგან.

ადწერა მთიულეთისა. ხოლო გუდამაყრის-კევის შესარ-
თავს ზეით, დასავლეთ ჩდილოს შუა, არს მთიულეთი. ამ მთი-
ულეთს და ქსანის კევს განჰყოფს ცხრაზმასა და ხანდოს ლო-
მისის მთა. გუდამაყრის-კევს ზეით სამკრიდამ მოერთვის არაგუს
ამირთ-კევი. კვალად მოერთვის სამკრიდამვე ჩოხელთ-კევი. ამას
ზეით მოერთვის არაგვს, ცეცხლის-ჯვარიდამ, კარხელთ-კევი.
ამას ზეით არს ნაღვარევი, მეფეთა ნასასახლევი, შენებულება
დიდი. მას ზეით მოერთვის არაგვს **ღუდოს-კევი.** ამას ზეით
არს მონასტერი ყოველად-წმიდისა და **ანწ უქმი.** და ეს კევნი
გამოსდიან ლომისის მთას. მონასტრის სამკრით, მთის თხემსა

აქცია. ზაქათლის მაზრაშიაც არიან მეზობლად სოფლები ჭ ა რ ი და თ ა ლ ი.

ზედა არს ეკლესია წმიდის გიორგისა, წოდებული ლომისა (და ამის გამო ეწოდებოდა მთასა ამას სახელი ესე), უგუნბათო. არს მრავალნი ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი, დახიზნულობით [180]). უჭვრეტს სამკრით კსანსა, ჩდილოთ მთიულეთს. მთა ესე უტყეო არს და ბალახ-ყვავილიანი, კალთათა ტყიანი. ხოლო ღუდოს კევის ჩდილოთ, არაგვს გაღმა, არს დაბა კაკა, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე. მის ჩდილოთ არს ციკარა, ადგილი კლდოვანი და ჲ კოშკოვანი გარემოს, და არს მუნ ეკლესია მცირე. ამ ციკარას დასავლით გარდავალს გზა კევსა შინა. ხოლო ციკარის აღმოსავლით არს ნასასახლევი მეფეთა, ნაშენი დიდი. და ამას ქვეით იყოფის ციკარას წყალი ორად და მიერთვის არაგვს ხარხელის ზეით და ქვეით, ჩდილოდამ. ხოლო ჩდილოთ წარმოივლის კავკასი და განჰყოფს მთიულეთს გუდამაყრისა და კევისაგან. და არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუალი არს, უვენახო, უხილო, მცირე მოსავლიანი, არამედ მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი. არა არს აქა აქლემი, კამბეჩი და ვირი, არს ცხოვარი უდუმო-კუდიანი, ძროხა და ცხენიცა არა მრავალ, სივიწროვისგამო. ჰავით არს ფრიად კეთილი და მშვენიერი წყაროა-წყლითა და მწვანითა. წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი, პური ნოყიერი, ეგრეთვე ქრთილიცა. კაცნი ჰაეროვანნი, მკნენი და მბრძოლნი, ერთგულნი, ბრიყუ-საქციელნი, საჭურველთ-მოყვარენი, სამოსელთა და იარაღთა გამწყობნი. ქალნიცა შვენიერნი, არამედ უგ-

---

[180]) ლომისის აშენებას მიაწერენ იმავე დავით აღმაშენებელს. ამ ტაძარს ჰქონდა ოქროს კარები და ამიტომ ეძახდნენ ოქროკარიანს. ლომისის წმ. გიორგი ფრიად მიჩნეულია მთელს ამ მხარეს. ახალციხის მხარესაც იყო ამნაირივე სახელის ციხე—ლ ო მ ს ი ა.

ბილათ მოსილნი. აქა არს ქვა, რომელი აიყრების კლდისაგან ფიქალ ფიქალად, და ასხედს მას ქვასა სიბრტყეზედ ხშირად მუწუკთაებრ, ვითარცა ოქრო და ვერცხლი, ანუ ნარევი და მბრჭყვინავი ფრიად. ივლებენ ამას ზღუდეს გარემოთ, და არს პატიოსნება მათ შინა ესე.

აღწერა კეკისა. ხოლო მთიულეთის ჩდილოთ არს **კეკი.** გარდავალს გზა კევს, კადის დასავლეთიდამ, კავკასსა ზედა. არამედ არს დაბალი და უტყეო, ზამთარს ვერა ვლის ამას ზედა ცხენი, თოვლის სიდიდითა. ზაფხულ არს ბალახიან-ყვავილიანი. ამას უწოდებენ **ეეკს.** ხოლო ჩდილოთკენ ერთვის კევის მდინარეს კევი, და უწოდებენ **შთასვალს.** აქა არს წყარო სპეტაკი ვითარცა თოვლი, და ჰყრია ბროლი მრავალი, მგზავსი გათლილისა, ღა სცვივა კლდესა. აქა იპოვების ბროლი და სუვირს წითლად, და, გასტეხო, არს შიგ წითელი ბროლი. არამედ მდინარესა ხევისასა ეწოდების არაგვი ჩერქეზამდე და მუნ ლომეკის [181]) მდინარე ძველადვე და აწ უწოდებენ თერგსა, გამოსდის ქურთაულისა, ზახისა და მაღრან-დვალეთისა შუათს, აღმოსავლეთიდამ, კავკასის მხრიდამ, დის აღმოსავლეთად ჩასავლამდე.

ამ ჩასავალს ზეით არს **თრუსო** სამ კევად. აღმოსავლით აქუს **კეკი,** დასავლით **ზახა** და **მაღრან-დვალეთი,** სამხრით **მთიულეთი,** ჩდილოთ **ქურთაული,** და მოზღუდვილი არს კავკასით, თუნიერ კევიდამ. მოსახლენი არიან ოსნი, დვალნი. **შთასავალს** ქვეით **მოდრეკების** არაგვი და დის ჩდილოთ ვიდრე ქისტის წყალამდე, და მიდის ფრიად მსწრაფლად. ამ დინების გამო არა არს თევზი მდინარესა ამას შინა, თუნიერ კალმახისა. და არს **ეეობა** ესე **მოზღუდვილი** კავკასითა. რამეთუ დასავლით აქუს **მუინვარი,** უმაღლეს ყოველთა კავკასთა და მარადის ყინულით შეკეერცხილი. და განჰყოფს მთა ესე თაგაურს,

---

[181]) ლომეკი=თერგი.

ჩიმსა და კევსა. აღმოსავლით უძევს კვალად კავკასი, იგიცა მარადის თოვლიანი. განჰყოფს მთა ესე ქისტს, ძურძუკს და კევსა. სამკრით აქუს კვალად კავკასი, და განჰყოფს ესე გუდამაყარს, მთიულეთს და კევსა. ხოლო ჩასავალს ქვეით არს, ჩდილოთ კერძ, არაგვის დასავლით, ციხე არშისა [182]), თვინიერ კაცთა ხელთაგან ქმნული, მაღალს კლდესა ზედა, მოზღუდვილი კლდითავე და შეუალი კაცთა, მყინვარის კალთასა ზედა. აღმოსავლიდამ არაგუს ერთვის, არშას ქვეით, აწხოტის კევი არაგუს *). აქ არს ციხე ღუდუშაურისა, მკირე, არამედ ფრიად მაგარი. ამ კევიდამ გარდავალს გზა გუდამაყარს. ამის ჩდილოთ არს სტეფან-წმიდა, დაბა კარგი. ამის დასავლით არს გეორგეთი, არაგვს იქით კიდესა. ზეით ამისსა არს, მყინვარის კალთასა ზედა, მონასტერი სამებისა, გუნბათიანი, მცხეთის სამკაულის სახიზრად, სადაცა ესვენა ნინოს ჯუარი, შვენიერნაშენი, შვენიერს ადგილს. მყინვარის კლდესა შინა არიან ქვაბნი გამოკვეთილნი, ფრიად მაღალსა (კლდესა) *) და უწოდებენ ბეთლემსა, გარნა საჭიროდ [183]) ასავალი არს: რამეთუ არს ჯაჭვი რკინისა გარდმოკიდებული ქვაბიდამ და მით ალვლენ. იტყვიან, უფლის აკვანსა მუნ და აბრაამის კარავსა, მდგომს უსვეტოდ, უსაბლოდ და სხვათაცა საკვირველთა. არამედ მე ვდუმებ. კვალად ძირს მისსა არს მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი, უდაბნოდ, და აწ ცალიერი. გერგეთს ქვეით, ჩდილოთკენ, დასავლეთიდამ ერთვის კევი გელათისა,

---

[182]) 1623 წელს თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველებმა საფურცლეს შეიპყრეს შაბაზის მომხრე ანდუყაფარ ამილახვარი და არშის ციხეში დაამწყვდიეს

*) დედანში: არაგუს (გამეორებულია ამ წინადადებაში).

*) დედანში „კლდესა“ არ არის.

[183]) საჭიროდ—ძნელად, გაჭირებით.

ძველად ესრეთ წოდებული დაბისა ამის სახელი. ხოლო აწ უწოდებენ გველეთს.

ამ გველეთს ქვეით ერთვის არაგვსვე კევი. სამხრ-აღმოსავლეთიდამ გამოსდის გუდამაყარისა და ძურძუკის კავკასსა. მოდის დასავლეთს ჩდილოს შუა, და არს უშენი. გარდავალს ამ კევიდამ გზა ძურძუკსა და ქისტეთს ძნელი, საჭირო. კვალად გარდავალს გზა გუდამაყარსაცა. ამ კევს ქვეით დავიწროვდების კევი ესე კლდითა, და აქა არს ციხე დავითისა, არაგვის აღმოსავლით, კლდესა ზედა, ადმაშენებელის აღშენებული. ამას ქვეით არს დარიელ, არაგვის აღმოსავლით კიდესა ზედა, გ მეფის მირვანის მიერ: შეაბა კარი და ქმნა სიმაგრე, ხაზართა და ოვსთათვის, რათა უმისოთ ვერღარა ვიდოდნენ *) (და არს სახელი ესე მომრევი [184]). ამას ქვეით ნასასახლევი მეფეთა: ოდეს გაილაშკრიან ოვსეთად, მუნ დადგიან. ხოლო კეობა კევისა არს მოსავლიანი ხორბლისა, ქრთილისა, სელისა, შვრივისა, შთასავლით გველეთამდე. არა არს აქა ხილნი, თვინიერ მთის ხილთა: არს კოწახური, მოცხარი, კლდის მერსენი და სხვანიცა ბალახთა ხილნი. არს ვარდი ჭალათა მრავალფურცლოვანი და წითელი მრავალი, და სხვანიცა ყვავილნი მთისანი მრავალნი. პირუტყვნი, რაც ოდენ ეტევის, მრავალნი. ცხვარი უდუმო. არს აქა მჯიხვი მრავალი ჯოგად და არჩვი. არს ფრინველი შურთხი, გლონი [185]), და ზაფხულს მწყერი ურიცხვნი. იტყვიან ლითონს ოქროსასა და ვერცხ-

---

*) ამას უწოდებენ ევროპელნი კავკასიის კარად და მეორეს ლეკეთის კავკასის გზასა. ვახუშტი.

[184]) „დარიელს" ქართველთ ძველი მწერლები სწერენ: დარიალანთ-კარად, დარღალანთ კარად, დარიალანად დარიალად. „დ ა რ ღ" ოსური სიტყვაა და ნიშნავს გ რ ძ ე ლ ს (შეად. დარღხოხ=გრძელი მთა), ა ლ ა ნ ი —სახელია ერისა (ოსებისა) „დარღ-ალანთ-კარი"=ალანების გრძელი კარი.

[185]) ვარიანტში: გნოლი.

ლისასა. არა არს ტყე აქა, არამედ ზიდვენ გველეთის ქვემოდამ. ჰავით არს კეთილ მშვენი. კაცნი არიან მბრძოლნი, ძლიერნი, ახოვანნი, ჰაეროვანნი ვითარცა მთიულნი, განა ესენი უმჯობესნი ყოვლითა. სარწმუნოებით ქართველთა თანა, არამედ მისიცა უმეცარნი.

ადწერა ქსნის კეგისა და მაჭუდასა მისისა. ხოლო მდინარე ქსნისა, ოძის ძეით, ბაზალეთისა და ალევის მთის დასავლით დის და გამოსდის ქნოლოს ემურის საშუალს კავკასს; ქარჩოხამდინ დის აღმოსავლეთად, ქარჩოხს ქვეით სამკრით, გაივლის მუხრანს და მიერთვის მ ტკვარს. ხოლო ოძის ზეით არს შონასტერი ხოფა [186]), უგუნბათო, დიდ-შენი კეთილად, და აწ ცარიელი. მის ჩდილოთ არს მცირე ქალაქი ახალგორი [187]). მსახლობელნი არიან სომეხნი და სასახლე ქსნის ერისთვისა. მას ზეით, ქსნის დასავლით კიდესა ზედა, არს ციხე დაბასა წირქვალსა. ამის სამკრით, ბოდსა და ახალდაბას შუა, არს ახალდაბის ციხე ამილახორისა. წირქვალს ზეით, ჩდილოთ არს მონასტერი კაბენი, [188]), გუნბათიანი, ყანჩიეთს, კე-

---

[186]) ხოფის მონასტერი ნათლისმცემლისა. აქ ორი საყდარია, ერთი მაოგან მოხატულია. ამავე სახელის მონასტერი (ხოფის მონასტერი) არის სამეგრელოშიაც.

[187]) ქალაქ ახალგორის აშენებას პლ. იოსელიანი მიაწერს საურმავს (223—162 ქრ. წ.). იგი ითვლებოდა ქსნის ერისთვების სატახტო ქალაქად. აქ ხშირად ჩნდებოდნენ ქვეყნის მოღალატენი და მათ შესახებ დავით გურამიშვილი ასრე სწერს:

მინახავს ერთი პირუტყვი
გიორსა თუ ახალგორსაო:
თავისთვის მუტრუკს აკეთებს,
სხვათ გაუკეთებს ჯორსაო.

[188]) კაბენის მონასტერი აშენებულია თლილის ქვით, მოჩუქურთმულია მსგავსად იკორთის, მეტეხის და სხ. ტაძრებისა. 1848 წელს ეს

თილად ნაშენი, შვენიერს ადგილს, და აწ ხუცის სამარ. ჩდილოთ ყანჩიეთისა, ზებეყურის მთის ძირს, არს ხადის-ციხე, მაგარი. ზებეყურის მთა არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. ეს მთა ჩამოადგების ცხვირად კსანს, დასავლიდამ, და აღმოსავლეთიდამ ალევის მთის ცხვირი, და დაავიწროვებს კსანს კლდითა. ამ კლდეს ქვეით მტკვრამდე, კსანი არს ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ, და ამ კლდეს ზეით იწროდა და მჭიდრო, უვენახო, უხილო, მწირი, ვითარცა სხვანი მთის ალაგნი მოსავლითა, ტყიანკლდიანობითა. ამავ კლდის ჩდილოთ, საძეგურს, ერთვის კსანსა აღმოსავლეთიდამ კევი ალევის მთის გამომდინარე. საძეგურის ჩდილოთ არს მონასტერი ჯარგვისი, წმიდის თევდორესი, აღმოსავლით უდის კსანი, სამხრით ჭურთის-წყალი, უგუნბათო, შემკული ყოვლითა [189]), აწ ხუცის სამარ. აქა ჰყო შანშემ ციხე, ჯრამედ ურგებად თვისად [190]). ამის ჩდილოთ ერთვის კსანს აღმოსავლიდამ ცხრაზმის-კევი. გამოსდის ლომისას, და არს ადგილი ესე მოსავლიანი მთის ალაგთაებრ. და ამ კევს ზეით, ჩდილოთკენ, არს ციხე ქარწოხისა, კსნის პირსა ზედა, ლომისიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. უდის სამკრით კსანი და აღმოსავლით კევი ლომისის მთის გამომდინარე, და აღვალს აქედამ გზა ლომისის ეკლესიისა თანა და

ტაძარი დაათვალიერა ბროსემ და აქ ნახა მრავალი ტყავზე ნაწერი წიგნი, ჭია-ღუისაგან გამოხრული.

[189]) ვარიანტი უმატებს: რომელი გუნბათოვან ჰყო ერისთავმან დავით.

[190]) შანშე 1741 წელს შანადირმა ტყვედ გაგზავნა ხორასანს. ქსნის ერისთაობა გაუქმა ერეკლე მეფემ 1777 წელს. ქსნის ერისთავები იწოდებოდნენ ლარგველებადაც, რადგანაც აქ ჰქონდათ სასახლე. ლარგვისს ჰქონდა მრავალი ტყავზე ნაწერი წიგნი, ზოგი ჩამოტანილია საეკლ. მუზეუმში, ტფილისს.

შთავალს მთიულეთს. ხოლო ქარჩოხის დასავლით არს კსანსა ზედა ჟამური. აწ მსახლობელნი არიან ოსნი. საშუალს ჟამურისა არს ციხე ბერტიხედ წოდვილი, კსანსა ზედა და კლდესა ზედა მდგომარე. არამედ მთიულეთსა და ამას შუა არს მთა მარადის თოვლიანი, უტყეო, კალთათა მცირე არყნალი. ჟამურის მკარეს ამ მთასა ზედა არს კოშკნი წარიგებულნი მრავალნი, მაღალნი და კეთილ ნაშენნი. მოსავლით ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. ცხვარი აქაცა უდუმო, პირუტყვნი არა ეგოდენ მრავალნი. ხოლო სამკრით ჟამურისა არს მთა განმყოფელი ჭურთისა და ჟამურისა, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი და ნადირიანი. ამ მთის სამკრით არს ჭუთრის-კევი, რომლისა წყალი გასდის ამავე მთასა. და სად ერთვის ამ წყალს ცხრა-წყაროს წყალი, მუნ, ამ ორთა წყალთა შუა, არს ციხე წინკიბე, ფრიად მაგარი. ამ ორთა კევთა უწოდებენ ჭურთას. და მიდის აღმოსავლეთად და მიერთვის, მონასტერს, კსანსა. ამას შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით ქართველნი, ეგრეთვე კსნის კევისა და ცხრაზმისა. მოსავლით არს ჭურთა ვითარცა სხვანი მთის ალაგნი. კაცნი და ქალნი ამ სამთა კეობათანი არიან ვითარცა დავსწერეთ მთიულნი, მათნი მიმზგავსებულნი, და ისინი ყოვლითა უმჯობესნი, ხოლო ესენი ქურდნი, მპარავნი, მძარცველნი, უსირცხონი.

აღწერა ქოლოთქვიტკირისა. კვალად ცხრაწყაროს სამკრით არს მთა კსნიდამ ისროლის-კევის მთამდე მდებარე აღმოსავლიდამ დასავლეთად, თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი. ამ მთას გასდის სამკრით რეხულა, და არს აქა ციხე მცირე, და მას ციხეს ქვეით ქოლოთ-ქვიტკირი. ესეცა არს მთის ალაგთაებრ ვიდრე ზახორამდე. **აღწერა ისროლის კევისა.** ხოლო კვალად ჭურთისა, ცხრა-წყაროსა და ქოლოთ-ქვიტკირის დასავლით არს ისროლის-კევი. ბიყრის კევს ზეით არს მამული კსნისა. ეს მდინარე არს მეჯვდა. გამოსდის ჟამურის მთასა, დის სამკრით დაბის მეჯვდამდე, ჟამურის მთის კალთასა არს აშტურთ-კარი და ციხე. ხოლო განყოფს ამ კეობასა, ქოლოთ-

ქვიტკირს და ჟამურს, მთა კარუჯისა, მდებარე ჩდილოდამ სამკრით, ტყიანი და ნადირიანი. აშატურთ-კარს ქვემოთ ერთვის მეჯვდას, დასავლიდამ, მერის-კევი. გამოსდის ბენდერის მთას. ხოლო ამ კევის სამკრით, მზისიდამ, წარიევლის მთა ტყიანი და ნადირიანი, ორბოძლის მთამდე. ხოლო ორბოძალი არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. ამ ორბოძალსა ზედა არს ბალახი. უკუთუ მოძოოს არა მუნეურმან ცხენმან, მასვე წამს მოჰკლავს, ეგრეთვე თივაცა მისი მოაკუდინებს. და არს ესე ბალახი ამ მთებთა ზედა ყოველგან მრავალი. და მივალს ესე ორბოძალი ვიდრე ბენდერის მთამდე. მერეს კევს ქვეით ერთვის მეჯვდას ბიყარის-კევი ალმოსავლიდამ. გამოსდის უსანეთს. და ამ ბიყარს ზეით არს ისროლის-კევი, ვითარცა სხვანი ამ მკრის მთის ადგილნი, იწრო, ტყიანი და მწირი. ხოლო კვალად ორბოძლის მთის სამკრით არს მთის კალთასა შინა, იკორთს, მონასტერი დიდი, გუნბათიანი, კეთილად ნაშენი, კარგს ადგილს [191]), ზის არქიმანდრიტი. ადწერა გვერდის ძირისა. ამ მთის სამკრით კერძს, ჯარიაშენიდამ ვანათამდენ, უწოდებენ გვერდის-ძირს, და არს ადგილი ესე ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი. ბრინჯ-ბანბას გარდა, ყოველნი სკენდების ნაყოფიერად, ვითარცა დავწერთ ქართლისასა, არამედ ღვინო აქაური თხელი და მომჟავო, გარნა საამო სასმელად.

ადწერა პატარა ლიახვის კეობისა. ხოლო ისროლის-კევის და ჟამურის დასავლით არს პატარა ლიახვის კეობა. ამათ განჰყოფს მთა ბენდერისა, წიფორისა და ქნოღოსი. მდებარებენ მთანი ესენი ჩდილოდამ სამკრით, კავკასიიდამ. ამ მთებს უძეს ალმოსავლით ისროლის კევი, ჭურთა და ჟამური, დასავლით პატარა-ლიახვი. გამოსდის პატარა-ლიახვი ქნოღოს ზე-

---

[191]) იკორთას მონასტერი, ბროსეს სიტყვით, აგებულია 1172 წელს. შემდეგში ითვლებოდა ქსნის ერისთვების სამარხად.

ით მკირეს ტბას და მოდის ფოტრისამდე სამკრეთად, მერმე, სატხენის ქვემოთამდე, დასავლეთად, მერმე კიდევ სამკრით. ხოლო ვანათს ერთვის დასავლიდამ ლიახვს კევი გერისა. გამოსდის მშხლების მთას და დის სამკრით. ამას ზედა მსახლობელნი არიან ოსნი. უწოდებენ ვანათითურთ სავახტანგოს. ხოლო ვანათსა, საცხენისსა და ბელოთს ზეით ერთვის ფოტრისის ხევი, ღრმა და კლდიანი, ძნიად განსავალი. გამოსდის გერისა და შუა-ცხვირის მთას. შუაცხვირს მსახლობელნი არიან ოსნი. ამ ფოტრისას კევს ზეით არს აწერის კევი. აქ ალაშენა შანშემ ციხე სიმაგრედ თვისად. არამედ ექმნა გალიად, რამეთუ გამოიყვანეს ცოლი და დედა-წული მისი მუნიდამ. მას ზეით მოერთვის კევი შანბიანისა ლიახვს, აღმოსავლიდამ. გამოსდის ჟამურის მთას და დის დასავლეთად ამ კევს ზეით ერთვის ლიახვს კევი ჩაბარუხეთისა. გამოსდის გერის მთას, დის აღმოსავლით, ერთვის ლიახვს დასავლიდამ. ამ ლიახვის შესართავს, ორსავ წყალს შუა, არს ციხე ბეუჩასი. ამ ციხეს ზეით არს ქნოდო, სამ კეობად, აღმოსავლიდამ, ჩდილოდამ და დასავლით ჩდილოდ შუადამ. ხოლო ტბა ქნოღოსი არს მკირე, რომელსა სდის ლიახვი. ამ ტბიდამ ვანათამდე არს ლიახვის კეობა უვენახო, უხილო, ვითარცა დავსწერეთ მთის კევნი, და სივიწროვით ესე უფრო მწირი, არამედ აწერის კევს ზეით არიან მოსახლენი ოსნი სულიად.

ადწერა მაღრანდვალეთისა ხოლო კვალად ქნოღოს ჩდილოთ კერძოთ არს მთა დიდი კავკასი. ამ კავკასის ჩდილოთკენ არს მაღრან-დვალეთი, და იმზღვრების ესე მაღრან-დვალეთი: აღმოსავლეთით, კავკასით მთიულეთსა და მაღრან-დვალეთს შუათითა, სამკრით, კავკასით ქნოღო-მაღრან-დვალეთის შორისით, ჩდილოთ კავკასით და მთითა უმჯობლესითა, თრუსო-ზახასა და მაღრან-დვალეთის შორისით; დასავლით, მთით ჩამოსულით კავკასიდამ ჟბასა და მაღრან-დვალეთს შორისით. აქ მაღრან-დვალეთს გამოსდის დიდი ლიახვი თრუსოსა და ზახის კავკასსა, და დის სამკრეთს და დასავლეთს შუა.

და არს მაღრან-დვალეთი სამ კეობა, მოსავლით ვითარცა ამ მკრის მთის ადგილნი დავსწერეთ. მსახლობელნი არიან ოსნი. ხოლო ქსნის მამულნი, რომელნი დავსწერეთ, არიან მაგარნი მთითა, კლდითა და ტყითა. არს მთანი შემკობილნი ყვავილითა და ბალახითა. კაცნი ჰგონე ვითარცა არაგვისანი, არამედ ისინი უმჯობესნი. ამ მთის ადგილებთა შინა, რომელნი აღვსწერენით, დიან წყარონი ფრიად ანკარანი, მომლაშონი, არამედ საჭმლის მომდნობნი და მომნელებელნი, და სმენ მუნებურნი, უწოდებენ ვეძას, პირუტყვთ შემრგო, გამასუქებელი. ხოლო რაოდენნი ოსნი დავსწერეთ ამ ადგილებთა შინა, პირველად სახლებულან ქართველნი გლეხნი. შემდგომად მეპატრონეთა მათთაგან გადმოსახლებულან ოსნი, და ქართველნი ბართა შინა ჩამოსულან, ვინადგან მტერთაგან ბარს შინა კაცნი შემცირებულან. არამედ ჩვეულებასა ამ ოსთასა დავსწერთ მის ადგილს, ოსეთის აღწერასა შინა.

აღწერა მეორე სასპასპეტოსი და საამიღასხვარიოსი ვიწყებთ მეორეს სასპასპეტოს, მემარჯვენეს, შიდა-ქართლის ნაკუსთსა, რომელი არს აწის ზემო-ქართლი. ხოლო საზღვარი ამისი არს: აღმოსავლით, რომელი დავსწერეთ ხაზი კასპიდამ წარსრული ჩდილოს, გამჭრელი წლევისა, შავტყისა, და მისრული ქსნის კიდემდე და ბოლამდე; სამკრით, მდინარე მტკვარი, ჩდილოთ, რომელი აღვსწერეთ ქსნის მამულის საზღვარი, და მერმე კავკასი. დასავლით, ძირულას იქითი მთა კოლბეურისა, მცირე, რომელი მიჰყვება ჩდილოთ-კერძ პერანგამდე, მუნიდამ ერწო-კუდარამდე, და ესევ მთა კოლბეურისა კეფინის კევსა და ამაშუკეთს შუა მიჰყვების სამკრით ვერტყვიღამდე, ვერტყვილიდამ ხაზი ჩხერიმე ლის დაბის ქვაბამდე, და მუნიდამ მახვილოს მთის გამჭრელი დვირამდე და ბაკულიანის მთამდე. ხოლო მუხრანს თხოთის მთიდამ მოსდევს მთა დასავლეთად მტკვრის კიდესა გორის ქალაქამდე, და ეწოდების მთა წლევისა, მერმე კვერნაქი. არს ამ მთისა ჩდილოთ კერძო ტყიანი ვიდრე ზეკანამდე, მას ზეით კვერნაქი, უტყეო გორამდე, და

სამკრით კერძი სულიად უტყეო, განა ბალახიანი ზამთარცა და თბილი. კლდენი მაღალნი და ქვაბნი გამოკვეთილნი მრავალნი. კლდე ესე აშურიანამდე ვითარცა სარკინეთისა, მერმე თირი. ხოლო წლევის მთას გასჭრის მდინარე რეხულა, ქოლოთ-ქვიტკვრის ქვეით. დის ლეხურა სამკრით, ერთვის კასპს მტკვარს, ჩდილოდამ. კასპი აღაშენა ჰირველად ქალაქი უფლოს, მცხეთოსის ძემან, და იყო ქალაქი ყრუმდე, ხოლო აწ არს დაბა დიდი [192]). კასპს ზეით წლევის მთაში არს მონასტერი მამებს, სტეფან-წმიდისა, თათესაგან აგ მამათაგანის ქმნული. დაფლულია წმიდა თათე მუნ. იტყვიან ამის ნაწილის აღმოსვლასა, ვითარცა წმიდის შიოსას. არამედ აწ დეკანოზის მიზეზით დაყენებული, და აწ არს ხუცის სამარ [193]). მას ზეით არს ციხე, სადითგან გამოიყვანეს ოვსთა გორგასლის დაი. ამის ზეით, კორკეთსა, ერთვის რეხულას კევი უსისტყისა, და გამოსდის მკურვალეთის მთას. ამას ზეით არს რეხულას აღმოსავლით სამთავისი, ეკლესია დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად შენებული. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ქსნისა და ლეხურას კეობისა. ქმნული არს აგ მამათაგანისა ისიდორესაგან, და დაფლული არს იგი მუნვე [194]). ხოლო სამთავისის ჩდილოთ, ჭალას, შენობა დიდი სასახლეთა. ჭალის აღმოსავლით არს ციხე ცხვიდოსისა, მთის ძირსა ზედა, და წარიველის მთა ესე ჩდილოთ, ზებეყურამდე, და დასავლით უსანეთამდე, და

---

[192]) მეშვიდე საუკ. ქალაქი კასპი გააოხრა მურვან ყრუმ. დაბა კასპი იხსენიების ფარნავაზ მეფის უწინარესაც.

[193]) აწინდელი ტაძარი, პლ. იოსელიანის სიტყვით, აგებულია წარმართულ დროინდელ საყდრების ნაშთებზე. აქაურობის პატრონები იყვნენ ღაზნელები. მათი სიმაგრე იყო ღაზნა. იგინი ამოწყვიტეს 1625 წ. (იხ. „Святчня Мамеба“).

[194]) სამთავისის ტაძარი მოჩუქურთმულ-მოხატულია დიდის ხელოვნებით, აგრეთვე მისი ფანჯრები და კარებიც.

არს ტყიანი და ნადირიანი. ჭალას ზეით არს დაბა რეხი, რომლის გამო იწოდა მდინარე ესე. ამ რეხის აღმოსავლით არს მონასტერი ქვაბისმანი. ზის წინამძღვარი. აქამდენ არს რეხის კეობა ხილიან-ვენახიანი და ნაყოფიერი. ამას ზეით ქოლოთ-ქვიტკირითურთ, ვითარცა სხვა მთის ალაგნი. რეხის დაბის ზეით ერთვის რეხულას კევი წოლდისა, და განჰყოფს ამას მთა წინ-ხსენებული ცხვილოსისა. ჩდილოთ ამ მთის არს წოლდი, სამკრით, ბერშოეთ-კირბალი, და სხვანი. წოლდის კევი გამოსდის უსანეთის მთას. უსანეთის მთის თხემს არს ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო. ამის გამო ეწოდა მთასა ამას სახელი ესე. ამის აღმოსავლით ზემორ არს ზახარი, ზახორს ზეით ციხე კაბერი, და ამ ციხეს ზეით ქოლოთ-ქვიტკირი. ხოლო კვალად ჭალასა და რეხის დასავლეთად, მხურვალეთს ზეით, არს მთაში მონასტერი კეთილ-ნაშენი, აწ უქმი. ამ მთის მიყოლვით, დასავლეთისაკენ მეჯვდამდე და ვიდრე დიდ ლიახვამდე, და კვერნაქის მთის შორისი მინდორი დიდი და უტყეო, გარნა დაბნებთა არს წალკოტნი, ნიგვზნარნი და ვენახნი მრავალნი, და ირწყვის მინდორი ესე მეჯვდის აღმოსავლეთისა მეჯვდის რუთი. მოვალს ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა. მთის ძირის დაბნებნი ეგრეთვე ვენახოვანნი და ხილიანნი, პირუტყვთა სიმრავლე, თვინიერ აქლემის არს ყოვლისავე. ამ ადგილს უწოდებენ სასმელსახარეოსა. კვალად კასპის დასავლით მინდორი მტკვარსა და კვერნაქს შუა არს აშურიანი, უწყლობით უნაყოფო, უფლის ციხემდე, არამედ ზამთარს ბალახიანი, და იზრდების ცხოვართა, რემათა და მროწლეთა სიმრავლე, და თბილი ზამთარ. აშურიანს ზეით არს უფლის-ციხე, კვერნაქის გამოკიდებულის კლდის გორასა ზედა, მტკვრის კიდესა, რომელი აღაშენა პირველად უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ჩინგისამდე, აწ არს შემუსვრილი. არამედ შენობა უცხო, კლდისაგან გამოკვეთილი. პალატნი დიდ-დიდნი, ქანდაკებული კლდისაგანვე. გვირაბი ჩახვრეტით ჩაკაფული მტკვრამდე, დიდი. დასავლით

აქუს ქარაფი მაღალი, და მას შინა გამოკვეთილნი ქვაბნი მრავალ-დიდნი, არამედ აწ შეუალ არს. აქა არს ბუზნი, გამოსული იხილვების სპა-ლაშქარნი შუბოსან-მშვილდოსანნი, ცხენოსანნი, გალაშკრებულნი, ნიშენენ მისნობად და უწოდებენ უფლის-ციხეს [195]).

აღწერა გორის ქალაქისა. ამის დასავლით არს ქალაქი გორი. ამან სახელი მოიგო გორისაგან, რომელი აღმოსული არს მუნ დიდი, ლიახვის მდინარის კიდესა ზედა, და მოსდგამს ამ გორას აღმოსავლით კვერნაქი, ჩდილოთ, მთა რუისისა, ლიახვის დასავლეთად, რომელი იწოდების კვერნაქადვე, სამკრით, მთა ბურეთისა და გორიჯვრისა. და ამ მთის ძირს, გორსა და მთას შუა, დის მდინარე მტკვარი. ხოლო ქალაქს გორს ჩაუდის დასავლით მდინარე ლიახვი, და მიერთვის ლიახვი მტკვარს, ჩდილოდამ. არამედ არა არს უწყვბული ვისით აღშენდა პირველ. განა ცხორებასა წერილ არს: „ერეკლუ კეისარმან უწოდა ტფინთიო (რომელი არს ოქროს მთა), და ჰყო საფლველად საგანძურთა". არს გორასა ზედა ციხე დიდი. დასავლით არს გვირაბი ჩატანილი ლიახვამდე, ქვიტკირისა, ამის გარმოხვეული ლიახვიდამ ლიახვამდე ქალაქი. ჰგ მეფემან სვიმონ წარუხვნა ოსმალთა და შემუსრა ციხე. ჰთ მეფის როსტომის მეფობას, აღაშენა შასეფიმ კვალად ციხე, და მიერით

---

[195]) უფლისციხის ამშენებელს თუ რქმეოდა უფ ლ ო ს ი და არა უფლისი, მის მიერ აგებულს ციხესაც დაერქმეოდა უფლოსციხე და არა უფლისციხე. უფლისი ანუ უფლისა მამაკაცის სახელია. უფლისის მსგავსად ყველა დანაშთენი სახელების დაბოლოებაც უნდა ყოფილიყო ი ს ი და არა ოსი: მცხეთისი, ქართლისი, კახისი, ეგრისი, ბარდისი და არა მცხეთოსი, ქართლოსი, კახოსი და სხ. უფლისციხე მიწი ქვეშ აგებული ქალაქია: შიგ კლდეში გამოკრილია საყდარი, სასახლეები, სახლები, ოთახები, სხვა და სხვა სადგურები, საჯდომები, საწოლები, აუზები, კიბეები და სხ. ეს საკვირველი ქალაქი გაოხრეს მონგოლებმა.

ეპყრათ ყიზილბაშთა. ჟდ მეფის ვახტანგის ჟამს იყო ცარიელი, შემდგომად დაიპყრეს ურუმთა, მერმე შანადირ დაარღვია ციხე, არამედ დაძალ-ყოფილი ოსმალთა, და ლეკთა და ყიზილბაშთაგან, შემცირდა ქალაქიცა. და არს შენობა უმეტეს ქვიტკირისა, ეკლესიანი კეთილ-შვენიერნიცა, განა ერთი შემუსრეს ოსმალთა, სომხისა. აქა ჰთ მეფემან როსტომ ქმნა სასახლე ყიზილბაშთა რიგისა, წალკოტ-სავარდითა, დიდი. ავაზანი წყლიანნი დიდ-დიდნი, შვენიერნი. ჟდ მეფემან ვახტანგ განაახლა, შემუსრეს ოსმალთა [196]). არამედ არს ადგილი ჰავითა შვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი. ზაფხულ კეთილი, ზამთარს ცივი, ქარიანი, სანადირო მოუკლებელი ფრინველითა, თევზითა და სხვითაცა. ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი. მსახლობელნი არიან ქართველნი და სომეხნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, შვენიერნი, ამაყნი და დიდიე მთქმელნი.

მეჯვდის მდინარის აღწერა ბიყრამდე. აქ, ციხისძირს ერთვის ლიახვს მეჯვდის მდინარე. არს ბიყრამდე მეჯვდა ვენახოვანი, ხილიანი. ამიერ და იმიერ დაბნები მრავალნი, თესლთა, მარცვალთა მოსავლით ნაყოფიერი. გორს ზეით, ბერბუკს, ერთვის მეჯვდას სველნეთის ფშანი. არს მეჯვდაზედ, იკორთისა და კირბალის მთის ძირს, დაბა მეჯვდა, რომლისაგან ისახელა მდინარე ესე. გორიდამ ჩდილოთკენ, მეჯვდას ზეით უსანეთის მთის ძირში, მონასტერი წმიდის თევდორესი, აწ ხუცის სამარ. ამას ზეით არს მონასტერი მეჯვდის მდინარის დასავლეთად მთის ძირში, ბიეთს, მონასტერი კეთილ-შვენიერს ადგილს [197]). ამას უდის კევი გამომდინარე მერის მთი-

---

[196]) გორი ითვლება დედაქალაქად მთელის ქართლისა. მცირე, მაგრამ კოხტა ქალაქია.

[197]) ბიეთის ტაძრის კედელზე არის წარწერა, რომელიც იკითხება

სა, და მიერთვის მეჯვდას დასავლიდამ. უზის ბიეთს წინამ-ძღვარი. ბიეთს ზეით არს კევი მახისისა. აქამომდე კეობა მე-ჯვდა ვენახოვანი, ხილოვანი, მოსავლიანი. ამას ზეით არს ბი-ყარი და ისროლის კევი, ვითარცა აღვსწერეთ.

ადწერა დიდის ლიახვისა და პატარას ლიახვის კანათამ-დე. ხოლო გორიდამ ლიახვის მდინარის სიგრძე არს მაღრან-დვალეთამდე და დის მაღრან-დვალეთიდამ, აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მუგუთამდე, მუგუთიდამ დის სამკრით გორამდე, და გორს მცირეთ ქვემოთ მიერთვის მტკვარს ჩდილოდამ. არამედ არს მდინარე ლიახვი სარგებლიანი, მრწყველი ველ-თა იმიერ და ამიერ ლიახვისათა, ჩქარად მომდინარე და რი-ყიანი და კმოვანი, სასმელად შემრგო და გემოიანი, მარა-დის ცივი, განა ვერ განჰყინავს ზამთარს სიჩქარისათვის. თე-ვზნი მრავალნი. რომელნი ველნი ირწყვიან ლიახვითა, პუ-რი მისი არს ყოველთა ქართლისათა უმჯობესი, და გემო-იანი და სპეტაკი. გორს ზეით ლიახვს ერთვის გორისავე ჭა-ლისა და ნაჭარმაგევისა წყალნი. ნაჭარმაგევი იყო სადგური მე-ფეთა და კეთილ სანადირო, და აწ კარაღეთად წოდვილი, ად-გილი ტურფა, ჭალიან-მინდვრიანი, ნადირიანი, ფრინველი-ანი [198]). არამედ ამ გორს ზეით არღარა არს კაკაბი, გარნა მცირედთა ადგილებთა თუ მოიპოვების. გორს ზეით, კარალე-თის პირისპირ, ლიახვის დასავლით, რუისის მთის ძირს, არს თედოწმიდა. მცირედ მას ზეით ერთვის დასავლეთიდამ ლიახვს

ძნელად. მეღვინეთხუცესიშვილს ამოუკითხავს სიტყვა: „გაბრიელს“.

[198]) ნაჭარმაგევს ძველადვე მეფეთა საადგარაკო სასახლე იყო. დავით აღმაშენებელი ამბობს:

როს ნაჭარმაგევს მეფენი შვიდნი მე ჰურად დამესხნეს,
თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,
თევზნი ამერთა წყალთაგან იმერთა წყალთა შთამესხნეს,—
აწ ამათსა მოქმედსა გულზედან ხელნი დამესხნეს.

ვარიანის ფშანი და ახალდაბისა. ამ ფშანსა შინა იპყრობის კალმახი ყვითელი და ფრიად კარგი. ვარიანს ზეით ერთვის ლიახვს აღმოსავლეთიდამ პატარა-ლიახვი. ამის გამო ეწოდა დაბასა ამას შერთული. ვანათამდე არს ვენახიანი, ხილიანი, დაბნებიანი და მრწყველი ველთა გორს ზეითისა, მეჯვდის მდინარისა და პატარა-ლიახვის შუათთა, გვერდის-ძირამდე. შერთულს ზეით არს ეკლესია არბო-წმიდისა *), სასწაულთ-მოქმედი [199]), პატარა-ლიახვის კიდეზე, დასავლით. ამ არბო-წმიდის ზეით ერთვის პატარა-ლიახვს აღმოსავლეთიდამ მერის-კევი, ამ კევზე, აღმოსავლეთით, არს ორბოძლის მთის კალთასა ზედა კულბითს ციხე. კულბითს ქვეით მოერთვის ამ კევს ლაფაჩების კევი. გამოსდის ორბოძალს. ამ კევს ერთვის სნეკვის კევი. გამოსდის სნეკვსავე, და არს სნეკვი და ლაჩაფები, და მერე ქსნისავე. ამ მერის კევის ზეით ჩდილოთ კერძ, არს ვანთი, პატარა ლიახვის კიდესა. მაღლა გორასა ზედა არს ციხე სნეკვიდამ წამოსულს მცირეს მთასა ზედა. ეს მთა განჰყოფს კულბითს, ვანათამდე სოფლებსა, და საცხენისსა, და ბელოთს, და პატარა-ლიახვს და მიადგების ორბოძალს. ჩდილოთ უდის პატარა-ლიახვი, სამჯრით აქუს კულბითი და ვანათი [200]). ვანთის ციხე შემუსრვილი გაანახლა შანშემ. შემუსრეს კვალად ყიზილბაშთა. ციხის უკან, ჩდილოთ, არს კლდე მაღალი *), ქარაფოვანი, მჭვრეტი ლიახვისა, და მას შინა ქვაბნი გამოკვეთილნი მრავალნი. ხოლო

---

*) ეგონებ აქა ტფილის წამებულის აბოს ნაწილსა და სახელსა ზედა მისსა აღშენებულსა და სასწაულსაც მის მიერ. ვახუშტი.

[199]) არბოობა ფრიად განთქმული დღეობაა მთელს ზემო ქართლში.

[200]) ვარიანტი უმატებს: „ხოლო აქა, ბელოთს, კეთილ-ჰავისათვის ქნა სასახლე ქსნის ერისთვის ძემ ყულარ-აღასმა გიორგიმ საყოფელად თვისად“.

*) დედანში: მაღი.

კვალად შერთულს ზეით, დიდს-ლიახვზედ, არს მედვრეკისს მონასტერი უგუნბათო, უზის წინამძღვარი დასავლით მეღვრეკისისა, ლიახვს გაღმა, არს ნიქოზს ეკლესია ღუთაებისა, დიდი, გუნბათიანი, აღაშენა გორგოსალ და დადვა მას შინა გვამი წმიდისა რაჟდენისა. მანვე გორგასალ ჰყო საეპისკოპოზოდ და დასვა ეპისკოპოზი; ზის დღესაც მწყემსი კავკასიანთა, დვალთა, და აწ ოსეთად წოდებულისა, გლოლა ღეთურთ. და არს ეკლესია დიდ-შენი, კეთილს ადგილს, შვენიერი [201]). ამ ნიქოზის ჩდილოთ, დიდის-ლიახვის კიდეზედ, არს მცირე ქალაქი ქცხილვანი [202]), კეთილ-ჰაოვანი. მსახლობელნი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. გარემოს წალკოტოვანვენახოვანი, საზრდლით მაძღარი. ლიახვს გაღმა, აღმოსავლეთით ქცხილვანისა, ასტყდების მთა-ტყიანი, და ეს მთა მიჰყვების ჩდილოთკენ მშხლებამდე. ამ მთის ძირს, ქრცხილვანის აღმოსავლით, ბატარა-ლიახვისაკენ, არს ერედვს ციხე, და ეკლესია მას შინა წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. მის ჩდილოთ, მთის კალთას, არს ციხე მცირე სხვა. ამ ერედვის ჩდილოთ განჰყოფს მთა ესე ვანათ გერის კევსა და დიდს-ლიახვსა. კვალად ერედვის ჩდილოთ ამავე მთასა შინა არს, ქრცხილვანისაკენ, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, კარგს ადგილსა და შვენიერსა, საბა-წმიდა, დიდ-ნაშენი, და აწ ხუცის სამარ [203]). მის ზეით, ამავ მთაში არს, აღმოსავლისაკენ, ჟდაბნო, მაღალს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი ეკლესიით. ძეს მოწესე მკუდარი დღედმდე დაუშლელი კუბოსა შინა კლდი-

---

[201]) ნიქოზის საეპისკოპოსო გააუქმეს 1811 წელს. ნიქოზის საყდარი აშენებულია წმ. რაჟდენის საფლავზე. რაჟდენი აწამეს სპარსელებმა 504 წლ. ახლო ხანს.

[202]) ქცხილვანი=კრცხილვანი=ცხილვანი=ცხინვალი სიტყვიდამ ცხილა.

[203]) საბაწმიდა აგებულია თლილის ქვით.

სასა, ანაფორითა. აქა არს კარკალი, სადაცა ზამთარ დნების თოვლი, ხოლო ზაფხულს ჰყინავს, და ხმარობენ ზაფხულ ყინულად.

კვალად ქრცხილვანს ზეით არს, ლიახვის დასავლით, თა-მარაშენი [204]), მცირე ქალაქი. მსახლობელნი სომეხნი, ურიანი და ქართველნი. თამარაშენს ზეით ერთვის თირის მონასტრის კევი. ამ ხევზედ, გორის ძირს, არს აჩაბეთი, სასახლე და ციხე მეფეთა [205]). ამის დასავლით არს, მთაში, თირის-მონასტერი, უგუნბათო, არამედ ფრიად კეთილ-შენი, კეთილს ადგილს. ზის წინამძღვარი [206]). აჩაბეთს ზეით, კეხვს არს, მთის კალთას, ციხე კეხვისა. და მთა ესე ასტყდების დასავლეთის კერძოთ ქცხილვანიდამ და წარმოივლის ჩდილოთ, და კევს ზეით მოვიწროვდების კლდითა, და მერმე წარვალს დასავლით და მიადგება პერანგის წარმოსრულს წონისა და ფაწუს შორისს მთასა, და კვალად ქცხილვანიდამ წარვალს დასავლით და მივალს ბეყმარამდე. ხოლო კეხვს ზეით მოვიწროებულსა ზედა არს ხიდი სვერისაკენ გამსვლელი. და ამ ხიდს ქვეით ხიდთა მუსრავს ლიახვი მტკიცესაცა. და გორიდამ სვერამდე არიან,

---

[204]) ააშენა თამარ მეფემ 1190 წ. ქალაქის აღებ-მიცემა გავრცელებული იყო აქაურს ხეობებში, ოსთა შორის. ქალაქი გააოხრა ჯელალედდინმა მე-XIII ს. დასაწყისს (პ. იოსელიანი).

[205]) შემდეგში ამ ციხე-სასახლის პატრონები შეიქმნენ თავადნი, მაჩაბელნი (მ-ა ჩ ა ბ ე ლ ნ ი), რომელთაც ემორჩილებოდნენ პირგადმოღმა ოსებიც.

[206]) თირის მონასტერი ყ-დ წმიდისა ფრიად შვენიერი ტაძარია. აგებულია თლილის ქვით. კედლები, კარები და ფანჯრები მოჩუქურთმული აქვს. წარწერები აქვს რავდენიმე. ერთი წარწერა გადმოგვცემს, რომ ტაძარი 1622 წ. ააშენა წმ. ნიკოლოზის საოხად ეპისკ. ფილიპემ. მეორე წარწერა ამბობს, აქ ჰმარხიაო ვახტანგ სჯულმდებელის შვილი როსტომი. (დ. ბაქრაძე).

ლიახვის იმიერ და ამიერ, დაბნები ხილიან-ვენახიანნი. არა-
მედ არს ღვინო თხელი და მომჟაო, სასმელად მშვენი.

კეხვის აღმოსავლეთიდამ ლიახვს ერთვის კეკი სვერსა და
ქუმურტს შუა, ჩამოვარდების ჩდილოდამ. გამოსდის ამასა და
გერის შორისს მთას. ამ მთის თხემზედ არს ეკლესია სუანსის
წმიდის გიორგისა, და არს ხატი დიდი ოქროსი, სპარსთაგან
ქმნული, სასწაულისათჳს მის მიერ ქმნულისა, და აწცა არს
სასწაულიანი. კვალად სვერიდამ წარივლის მთა ტყიანი ჩდი-
ლოთ, და სადაცა მოდრკების ლიახვი, მოდრკების მთა ესე-
ცა, და წარივლის აღმოსავლით და მიადგების გერის მთასა.
სვერის ხიდსზეით ჩამოვარდების ითრაფულა დასავლეთიდამ
და მიერთვის ლიახვს. ამას ზეით, გუფთჳს არს ნაციხვარი. გუ-
ფთას ზეით მოერთვის ლიახვს მდინარე ფაწა. გამოსდის ერ-
წოსა და ამას შუათს მთას, მიდის აღმოსავლეთად. და ამ კეკს
მოერთვის სხვა კეკი სამკრიდამ. გამოსდის მასვე მთას, მოდის
აღმოსავლეთად. ამ კეკის შესართავს ზეით ერთვის ფაწას პა-
ტარა-ჯავის კეკი. გამოსდის დვალთ გორასა. ამას ზეით ერთ-
ვის ფაწას სოხოს კეკი. სოხოს კეკს ზეით ფაწასვე მოერთვის
ქეშელთის კეკი. და სდიან ეს კეკნი დვალთ გორასა. ხოლო
პატარა-ჯავასა და ხწვეს შუა არს მთა ტყიანი დვალთ გორი-
დამ ფაწამდე სამკრით მდებარე. ფაწის შესართავს ზეით არს
სხჳები და ჯავა. ჯავას ზეით ერთვის ლიახვს დასავლეთიდამ
ხწვის კეკი. სდის დვალთ გორასა. ხწვის პირისპირ, ლიახვს
გაღმა კიდურს არს მიწა სასუნებელი, და უდის სუნი ფრიად
ძნელი, არამედ ჰკურნებს ქარსა, სევდასა და ინთილას სუნე-
ბითა, განა მსუნებელი შებნდების სუნითა. ხწვეს ზეით ერთ-
ვის კეკი მუგუთისა ლიახვს, დასავლიდამ, და გამოსდის დვალთ
გორასა. აქ აღაშენა ციხე მაჩაბელმან, შეუმუსრეს ურუმთა,
რომელი იყო მაღალს კლდესა ზედა. მცირეთ ამ მუგუთს ზე-
ით მოდრკების ლიახვი და მოერთვის მუნ კეკი კოშკისა. მას
ზეით მიერთვის ლიახვს როკის კეკი. როკს ზეით მიერთვის
ლიახვსვე ბჟის კეკი. და სდიან ეს კეკნი დვალთ გორასა და

დიან სამკრეთად. ხოლო ბჟის კევი სადაცა სდის კავკასსა, მუნ დამდაბლდების ზეკარის კავკასი, და გარდავალს გზა ზამთრისა და ზაფხულისა ზახს და დვალეთს. კვალად ლიახვს ერთვის ბჟას [207]) ზეით, სამკრიდამ, მშხლების კევი, და გამოსდის გეერის მთას. და ამას ზეით არს მადრან-დვალეთი, ვითარცა აღვსწერეთ. არამედ სვერს ზეით რომელი ლიახვის კეობა აღვსწერეთ, არს უვენახო, უხილო, მსახლობელნი არიან ოსნი, დვალნი. მოსავლით მთის ალაგებრი და პირუტყვითაცა ეგრეთი. ხოლო ქცხილვანის დასავლით არს, წინ-ხსენებულის მთის ძირს, თიხრევის-კევი. გამოსდის ძრს, დის სამკრით, არამედ მინდორად ვერღარა დის. ტბეთ ზეით არს ნაციხარი. ამას ზეით ითხრების ქვა შავი დუდეთს [208]), ამ ქვით ბურვენ ეკლესიებთა, სიბრტყისა და სიმსუბუქისათვის. განა არიან ქცხილვანის კეობის კაცნი შვენიერ-ჰაეროვანნი, მებრძოლნი, სირცხვილის მდევარნი, ამაყნი, ერდგულნი. სახლობენ თავადნი და აზნაურნი, და ქალნიცა ეგრეთვე რიცხვე.

ადწერა გორისა და ლიახვის ზეითისა. ხოლო კვალად გორის დასავლით არს მთა რუისისა, ტინის ხიდით, თედო წმიდით სასირეთამდე და მტკვრამდე, მცირე ადგილს ტყიანი, საკნავი და მოსავლიანი ნაყოფიერად, უწყლო, და ადგილ-ადგილს დის წყარონი მცირენი. მტკვრის პირად ღრატოიან-კლდიანი; და ამ მთის დასავლით, მტკვრის კიდესა ზედა, არს ურბნისი: ალაშენა ქალაქი უფლოს, ძემან ქართლოსისამან, და იყო ქალაქი ყრუსადმდე, ხოლო აწ არს ეკლესია დიდი, უგუნბათო, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი დიდის-ლიახვისა და რომელი ირწყვის ლიახვითა მით. შემუსრვილი აღაშენა და განაახლა ჟდ მეფემან ვახტანგ და შეამკო ხატი მისი წმიდა სტე-

---

[207]) ბ ჟ ა მეგრულად მზე.

[208]) დ უ დ ი მეგრულად თავი.

ფანე პირველ-მოწამისა, მოზღუდა ქვიტკირითა [209]). ურბნისის დასავლით, დუდეთს, დის წყარო ფრიად დიდი, კიდესა მტკვრისასა, რომლით ბრუნვენ დიდნი წისქვილნი ზამთარცა, ვინათგან ვერ განჰყინავს. სამკრით ურბნისისა არს, რუისის მთის ძირს, დაბა დიდი, რუისი და ეკლესია ღუთაებისა, გუნბათიანი, დიდი, დიდშენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამ რუისა ზეითის ქართლისა ლიხ-ტაშის კარამდე, და აწ ესევ მწყსის ხეობასა და სადგერს [210]), ვინადგან მაწყვერელი [211]) არღარა არს. შემუსრა ლანგთემურ, აღაშენა ეკლესია ესე ოჯ მეფემან ალექსანდრემ. შემდგომად კვალად განაახლა და შეამკო ჰთ დედოფალმან მარიამ [212]). და ამ რუისის მთის სამკრეთის მინდორი, ნიქოზამდე და ლიახვით დვანის-წყლამდე, ირწყვის ორის ლიახვის რუთი თამარ მეფის ქმნულითა, და ნაყოფიერებენ დაბნები ყოვლითავე მრავალნი. ხოლო სალთვისის რუ განაახლა ყ მეფემან ვახტანგ, არამედ აწ უქმი იყო. ხოლო რუისი არს ღწყლო, თუნიერ წყაროსა ერთისა, რომელი არს ეკლესისა თანა. არამედ სცხორებენ მით რუთი, და ირწყვის მინდორი ურბნისამდე ამითვე.

---

[209]) ურბნისი ვრცელი ქალაქი იყო და წმ. ნინოს შემოსვლისას მისი ერთი უბანი დასახლებული იყო ურიებით. ურბნისის საყდარი წმ. სტეფანესი დიდი ტაძარია, აშენებული მე-VI საუკუნეში. ურბნისის პირველ ეპისკოპოსთაგანი იყო წმ. ნეოფიტე, ჩამომავლობით არაბიელი. ქრისტიანობა მიიღო შიომღვიმეში და სჯულის გამოცვლისთვის არაბებმა აწამეს.

[210]) ვარიანტი უმატებს: „მწყსიდა ხეობასა და სადგერს... არამედ უმწყსოდ ხეობა მისცა ურბ ელ ეპისკოპოზსა, სამწყსოს სიმცირისათვის, კათალიკოზ-პატრიარქმა ბატონისშვილმან დომენტიმ, ოდეს მოაწია კოსტანტინეპოლიდამ ქართლს ქრისტეს აქეთ 1741 წელს“.

[211]) მაწყვერელი—აწყურის მიტროპოლიტი.

[212]) აწინდელი რუისის ტაძარი ააგო ძველის ადგილას შეფე ალექსანდრემ (1413—1442). რუისის საეპისკოპოსო გააუქმეს 1811 წელს.

აღწერა დვანის წყალისა. რუისის დასავლით არს დვანის წყალი. ეს გამოსდის თირის მონასტრიდამ წარსრულს მთას, დის ჩდილოდამ სამკრით, ერთვის მტკვარს ჩდილოდამ. მტკვრის ჩდილოთ, ამ მდინარის აღმოსავლით, არს ბრეთს მონასტერი უგუნბათო, რომელი ქმნა პიროს იგ მამათაგანმან, და დაფ-ლულ არს იგიცა მუნვე. არს აწ ხუცის ამარ. ბრეთის დასა-ვლით, წვერიდამ ასტყდების მთა კვერნაქი, და მივალს ფცის წყლამდე, რომელსა ეწოდა ცეცხლისჯვარი [213]). წვერს ქვე-ით, არადეთს, არს ჭია (ჭა?) მარიამული, რომელი ჰკურნებს ბრა-ზიანის ნაკბენს სმითა. ამის ჩდილოთ და ამ წყლის დასავლით კიდესა არს დირბს მონასტერი, სადა ზის არქიმანდრიტი იაᲒ. რუსალემის ჯვარის მონასტრისა. არამედ მეფენი ქართლისანი დასმენ ქართველთა და ყოველს საქართველოსა შინა არს მა-მული მისი, და ჰფლობს ესე, და მოსავალს გზანის ვერცხლაჯ იᲒრუსალემს [214]). ამას ზეით, დვანს, ამ წყალს ერთვის კევი

---

[213]) მე-XV საუკუნის გასულს მესხი ვაჭარი წავიდა აბრეშუმის საყი-დლად შაქს (ნუხს). იქ შეექმნა შფოთი შაქელ ვაჭართან, რომელმაც ჰგვემა მესხი. ამან აქადა ძალი და სიმხნე ათაბაგისა. შაქელი უფრო გაბ-რაზდა, ხელახლა სცემა და გამოისტუმრა, სიტყვით: „შენმა ათაბაგმა არ მიმიბას ყური სამსტვლითა დუქანსა ჩემსა და არა მცეს წიხლი". მესხი და-ბრუნდა და ყოველივე აუწყა ათაბაგს ყვარყვარეს. 300-ის ცხენოსნით ათაბაგი მივიდა შაქს, მიუხტა შაქელ ვაჭარს, სამსტვლით მიუბა ყური დუქანს, დაბრუნდა, გამოიარა ყარაია, შიდა ქართლი, საციციანოს მოე-წვნენ ქართლელნი, შეებრძოლნენ არადეთთან. ყვარყვარეს გაემარჯვა არადეთის გორასთან, რომელსაც ფიცხლად ბრძოლისთვის ყვარყვარესა და ქართლელებ შორის დაერქვა ცეცხლის ჯვარი.

[214]) ვახუშტის სიტყვები მტკიცდება ძველის სიგელ-გუჯრებითაც, რომლებიდგანაც სჩანს, რომ იერუსალიმის ჯვრის საყდრის წარმომადგე-ნელს ქართველთა მეფე ამწესებდა ქართველთაგანვე (იხ. ჩვენი „Груз. обит. внѣ Грузіи").

ჭოლიბურისა. ამ კევს ზეით ერთვის ამ წყალს კევი წუნარისა. წუნარს არს ეკლესია გუნბათიანი, აწ უქმი. წუნარის კევს ზეით არს ეკლესია ერკნეთს. დგანან მთა-წმიდის მონოზონნი ბერძენნი. აქ ამ წყალს მოერთვის დასავლეთიდამ ნულის კევი. არს ნულს ციხე. ამ კევს ზეით მოერთვის აღმოსავლიდამ ყორნისის კევი, გამოსდის ძარის მთას. ყორნისს არს ქვაბნი კლდისანი და კოშკოვანი, განა შემუსრეს ლეკთა. ყორნის ზეით, ფორბისს, ერთვის ამ წყალს ხტანის კევი. ფორბისს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა, არს ციხე საქართველისა, მაგარი. არამედ კეობა დვანისა არს ვენახოვანი, ხილიანი, მარცვლითა ყოვლითა ნაყოფიერი.

აღწერა ფცის წყლისა. დვანის წყლის დასავლით არს ფცის წყალი, და დის ლოხოისა პერანგას მთათაგან, მოდის სამკრით და მიერთვის მტკვარს ჩდილოდამ. კიდესა მტკვრისასა არს ქვენა ტკოცა, მას ზეით ბერძენსული. ამას ზეით მოერთვის ამ წყალს ტკოცის კევი დასავლიდამ. ამას ზეით, ფცის ზემორ, ამ წყალს მოერთვის აღმოსავლიდამ ღოღეთის კევი, სდის ლებეურის მთას. ამას ზეით, ავდევს, მოერთვის ამ წყალს დასავლიდამ ბრეძის წყალი. არს ბრეძს მცირე ციხე. გამოსდის ეს წყალი პერანგას, მოდის სამკრით ბრეძამდე, მერმე აღმოსავლით. აბანოს ერთვის ამ წყალს ზედა წყალი, და ბრეძას მოერთვის აბანოს წყალი. ეს გამოსდის მშვლდაურის მთას, მოერთვიან ორნივ ბრეძის წყალს დასავლეთიდამ. აბანოს დის თბილი წყალი. ჰკურნებს ქარით დახუთვილსა და ბუგრსა მუწუკსა. ბრეძის ჩდილოთ არს ეკლესია ატოცს, წმიდის გიორგისა, სასწაულიანი. ავლევს ზეით, ფცის წყლის აღმოსავლით, არს ოქონს მონასტერი დიდი, გუნბათიანი [215]), არამედ უცხო არს, რამეთუ ძვრისაგან წახრით მდგომარებს ჩდილოთ-

---

[215]) ოქონის მონასტერი აშენებულია მე-XI საუკუნეში. 1034 წ. ბაგრატ IV-ემ შეირთო ელენე, იმპერატორის რომანოზ არგირის ნათე-

კენ, და არა დაირღვევის, ადგილს შვენიერს, წყაროიანსა. აქ არს ნიგოზი. გასტეხო რა, ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი. დასავლით მეტეხისა და ფცის წყლისა არს თიდვს ჯვარის მონასტერი, რომელი აღაშენა ასულმან აღმაშენებელისამან თამარ [216]), გუნბათიანი, დიდ-შვენიერი, კეთილად ნაშენი. შენობანი გარემოს მრავალნი, და აწ ხუცის სამარს. ამის ჩდილოთ კერძ არს ძადინა. აქა არს ლითონი ვერცხლისა, არამედ უსარგებლობისათჳს დაუტევეს. აქავ, მდინარის კიდეს არს მუხაური, მოსახლენი არიან ურიანი და სომეხნი ვაჭარნი. მუხაურის ბოლოს ეყრების ფცის წყალს ხტანის კევი. ძადინას არს ციხე და სასახლე, ხოლო ფციისა და დვანის წყალს ჰყოფს მთა ლებეური, რომელი ასტყდების დაბის ფციდამ და მდებარებს ხტანამდე, სამკრიდამ ჩდილოთ, ტყიანი და ნადირიანი. მუხაურს ზეით არს მონასტერი ფციისა და ოჟორის წყალთა შუა, წოდებული ოჟორისა, უგუნბათო, შემკობილს ადგილს, და აწ ხუცის ამარად [217]). ხტანის ზეით არს ეკლესია მთასა შინა, წოდებული გოშართა, აწ ცარიელი. მუნიდამ წარვალს გზა ლოხოისის მთასა ზედა და პერანგის მთასა ზედა გარდავალს იმერეთის ჭალას შინა.

აღწერა ადის წყლისა. ხოლო ფცის წყლის დასავლე-

სავი, რომელსაც მზითვად ხვდა ერთი ლურსმანი (ქრისტეს სამსჭვალი) და ოქონის ხატი ღვთის-მშობლისა. ელენეს მოჰყვა მისი მოძღვარი, წინაპარი აწინდელ გარსევანიშვილებისა. იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი ამბობს, ქრისტეს ერთი სამსჭვალი ჩააგდეს ადრიატიკის ზღვაშიო, მეორე კოსტანტინე დიდმა მოახმარა თავის ცხენის ლაგამსო და დანარჩენი ინახებაო საქართველოში („Груз. об. внѣ Грузіи“). 1590 წელს ოქონის ხატი ოფიშვითის ბრძოლაში დაატყვევა იმერეთის მეფემ და მხოლოდ 1660 წელს დაუბრუნეს ისევ ძველსავე ტაძარს.

[216]) ეს თამარი გათხოვილი იყო შარვანშაზე.

[217]) ოჟორა გორიდგან 39 ვერსზეა.

თით არს ალის წყალი. გამოსდის ლიხის მთას, მოდის სამ-
კრით, ერთვის მტკვარს სამკრიდამ. ამის შესართავთან არს და-
ლალული. ამ მტკვრის კიდეზედ, სამკრით, არს სომანეთი. ამ
სომანეთის სამკრით არს ვაუ. ვაუას ზეით არს ნაბახტევი და
ნაციხვარი. სომანეთსა და ქვენა-ტკოცას შუა არს მოხისი, და-
ბა დიდი, ცეცხლჯვრის მთის ძირს, და ამისი მინდორი მტკვრა-
მდე უწყლო, არამედ მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა. ნა-
ბახტევს ზეით ერთვის ალის წყალს ბრილის წყალი. დის
ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს. აქ ბრილს
ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის.
ბრილის წყლის შესართავს ზეით არს ალის წყალზედ დასავ-
ლით კიდესა ზედა ადი, ქალაქი მცირე. მსახლობელნი არიან
სომეხნი და ურიანი, მცირედ ქართველნი. გაზაფხულ-შემოდ-
გომას ჭყვაპიან-ტალახიანი, ზამთარ ცივი, ზაფხულს ცხელი,
არამედ ჰავით კეთილი, მხიარული. ალს ზეით არს ლიხის მთის
კალთას ციხე ალისა [218]). ციხეს უკან არს სოფელი უწდევი,
მთაში. აქ აკეთებენ ჭურსა ღვინისასა, კეთილსა, ყოველთა
უმჯობესსა. ამავ ციხეს ზეით ერთვის აღმოსავლიდამ ალის
წყალს ჭერათკევის-კევი, არამედ უშენობო. ამ კევს ზეით არს
მონასტერი ულუმბას, უგუნბათო, დიდი, დიდ-შენი, მიქელ იგ
მამათაგანის ქმნული, და დაფლული არს მიქელი მუნვე. ზის
წინამძღვარი [219]).

ადწერა სურამის წყლისა. ხოლო კვალად ალის წყლის
დასავლეთით არს წყალი სურამისა. გამოსდის ლიხის მთას, მი-
ერთვის სამკრიდამ მტკვარს, ოსიურს ზეით. აქა არს ჭალა სუ-

---

[218]) ქალაქი ა ლ ი დაანგრია მურვანყრუმ, ბაგრატ III აღადგინა, მონგოლებმა ისევ გააოხრეს.

[219]) ულუმბის ღვთის მშობლის საყდარი დაანგრია ლანგთემურმა და იმავე დროს იგი აღაშენა ქუცნა ამირეჯიბმა, ნათიას მამამ. ეს ნათია იყო მეუღლე მეფის გიორგი VII-ისა (1395—1407).

რამისა, მტკვრის კიდესა, დაღალულიდამ შოლამდე. არამედ გაჰკაფა ჟდ მეფემან ვახტანგ და ქმნა დაბნები. ოსიაურს ზეით, ხაშურს, ერთვის სურამის წყალს ქემერტის წყალი აღმოსავლიდამ. გამოსდის ლიხის მთას. ამ კევის შესართავის დასავლით, შინდარას დასავლით, არს სურამი, მკირე ქალაქი. მოსახლენი არიან ქართველნი, სომეხნი, ურიანი. არს საშუალს ციხე, მაღალს კლდესა ზედა, მტკიცე. არს ჰავითა მშვენი და მხიარული [220]). სურამს ზეით, სამკრიდამ, მოერთვის ამ წყალს უთხვის კევი. მას ზეით არს იტრიას მონასტერი ყოვლად-წმიდისა უგუნბათო, დიდ-შენი, აწ ხუცის ამარად. სურამის ბეკმიდამ ასტყდების მაღალი გორა, მდებარებს დასავლით წიფამდე და ლიხამდე. ამ მთის სამკრით არს ბეკამი [221]), ტეძერი, ვიდრე შოლამდე; ჩდილოთ, სურამის კეობა. შოლის მდინარე გამოსდის ლიხის მთას, მიდის აღმოსავლეთად, მიერთვის მტკვარს სამკრიდამ. შოლის პირიდამ გაიტანა ჟდ მეფემან ვა-

---

[220]) სურამის აშენებას პლ. იოსელიანი მიაწერს ფარნაჯობს (112—93). სურამის ციხე მე-XVIII საუკ. გასვლამდის ითვლებოდა უმაგრეს სიმაგრედ. გადმოცემით მისის საძირკვლის შესამაგრებლად საჭირო შეიქმნა შეეწირათ ქვრივის ერთად-ერთი ვაჟი ზურაბი. ჩაყუდეს ზურაბი თხრილში და იწყეს ბალავარის ამოყვანა. კედელს რომ აშენებდნენ, დედა და შვილი ერთმანერთს ეკითხებოდნენ:

დ ე დ ა. შვილო ზურაბ, სადამდის?

ზ ურ ა ბ ი. გულამდის.

დ ე დ ა. ზურაბ, სადამდის?

ზ ურ ა ბ. მხრებამდის.

დ ე დ ა. ზურაბ, სადამდის?

ზ ურ ა ბ, თავამდის.

[221]) მეგრული დაბოლოება ა მ ი უდრის ი ა ნ-ს (ცხენამი=ცხენიანი, ჩილამი=ცოლიანი და სხ.), ამიტომ ბეკამი უნდა ნიშნავდეს ბეკიანს, სურამი—სურიანს, რომელიც უახლოვდება პლინიუსის Surium-ს.

ხტანგ რუ. რამეთუ იყო მინდორი ესე უწყლო, და ჰყო წი-
სქვილნი, და სმენ პირუტყვნი. შოლის-პირის დასავლით, შო-
ლისავ კიდეზედ, არს ქვიშხეთი, ზაფხულს ჰავითა ამო, შვენი-
ერი, ზამთარ ცივი, ქარიანი, საპირო. ქვიშხეთ ზეით, შოლა-
ზედ არს ციხის-ძირს ციხე. ქვიშხეთის სამკრით არს, მთის ძირს,
მტკვრის ახლო, დაბა ტაშისკარი. და ლიახვის მდინარეს აქათ,
ტაშისკარამდე, რომელნიცა მდინარე-კევნი აღვსწერენი, უწო-
დებენ, თჳნიერ შოლისა, ფრონეთა. ამ ფრონეთა შინა შე-
მოვალს წყალ-დიდობას მრავალნი კაპოეტნი, იქმნების ჟამად
ორაგულნიცა, და წყალცოტაობას არს მათ შინა წვრილნი
თევზნი მრავალნი, და მთის კერძოდ კალმახნი ფრიადი და
გემოიანნი. არამედ გორს ზეითნი ადგილნი ესენი არიან მო-
სავლიანი, თვინიერ ბრინჯ ბანბისა, ვენახით, ხილით და ყოვ-
ლითა მარცვლითა. აკეთებენ მცირედს აბრეშუმსაცა, პირუტ-
ყვნი მრავალნი, აქლემს გარდა, ყოველნი, არამედ არა ეგდე-
ნად, ვითარცა აღვსწერეთ სომხით-საბარათიანოსა, ზამთრისა-
თვის. რამეთუ არს სამ თვე თოვლი, და ზაფხულის ვერ სთი-
ბენ თივას, საკუნავთ გამო მიწათა და მთათა შინა მცირეთა,
არა საკმაოთა. ჰავითა მშვენი და ამო. სასმელი და საჭმელი
აქაური უმეტეს გემოიანი სხვათა ადგილთაგან. კაცნი არიან
ჰაეროვანნი, ამაყნი, მკნენი, შემმართებელნი, მხიარულნი, უხ-
ვნი, სტუმართ მოყვარენი. ქალნი ეგრეთვე, ვითარცა სხვანი
დავსწერენით. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი მრავალნი.

ადწერა მთის აქათისა. ხოლო კვალად სურამის დასავ-
ლით, ლიხის მთის საშუალსა შინა, არს დაბა ფონა [222]). ამ
ფონას გასდის ჩხერიმელის მდინარე და მიდის დასავლეთს

---

[222]) ფონა (ფ ო ნ—ა) ჰქვიან ადგილს, საცა ყოფილა ანუ არის ფონი (შეად. სახელები: პერანგ-ა, უნაგირ—ა, ტაბახმელ—ა, შავნაბად—ა და სხ.) „ფონი“ ჩნდება სახელებშიაც: ტირიფონა, ზესტა-ფონა (ზესთა-ფონი=ზემო ფონი) და სხ.

სამკრეთ შუა, მებოძირის [223]) ზეითამდე. მას ქვეით დაბის ქვაბამდე არს ქართლისა; მებოძირს ზეით ამ ჩხერიმელას ერთვის კევი ჩდილისა. ამ ჩდილის კევს ერთვის კევი ნუნისისა, სამკრიდამ, ამისა და ხეობის შუას მთის გამომდინარე. ჩდილის კევი გამოსდის მცირეს ლიხის მთას, სად გასდის იქით შოლა. ნუნისს არს ეკლესია მონასტერი შვენიერი, შვენიერს ადგილს, უზის წინამძღვარი. ხოლო კევნი ესენი არიან ვენახოვანნი, ხილიანნი.

აღწერა კეფინის კ ი ბ ი ს ა. კვალად ფონას ზეით და სურამის დასავლით, ლიხის მთას გასდის კეფინის-კევის წყალი, და მიერთვის ძირულას აღმოსავლეთიდამ, ხოლო ძირულა გამოსდის მთასა პერანგას, და დის ღოდორამდე სამკრით, და მუნიდამ მომგრგვალვით დასავლეთად. არამედ არს ვერტყვილამდე ქართლისა, და უწოდებენ ვერტყვილიდამ ნადაბურამდე კეფინის-კევსა. და მას ზეით არს [224]) ულუმბის მონასტრისა, არამედ აწ მიხმული აქუს იმერთაგან. განა აძლევენ ცვილისა, ზეთისა და საკლმის ფასსა აწცა. ვერტყვილას მოერთვის სამკრიდამ ვერტყვილისავე კევი. ხოლო ვერტყვილს და ამაშუკეთს შუა არს მცირე მთა, მისრული კოლბეურის მთამდე, და ესე არს საზღვარი ქართლ-იმერთა, აწინდელი. ამ ვერტყვილის კევს ზეით ერთვის ძირულას ბეინევის-კევი. აქა არს სამკრით მონასტერი გესამნია, გუნბათიანი, კეთილ-შენი, საწინამძღრო. მას ზეით კევი გრიგალეთისა ერთვის ძირულას, მას ზეით კეფინის-კევის წყალს ერთვის კევის ჯვრის-კევი. მას ზეით ამასვე ერთვის კევი წაქვისა. და კევნი ესენი ყოველნი სამკრეთიდამ ერთვიან, გამომდინარე ფონის გამდინარის ჩხე-

---

[223]) მ ე ბ ო ძ ი რ ი ანუ ნებოძირი ჰქვიან ისეთ ადგილს, საცა მრავალნი გზანი ერთად შეკრბებიან და გაიყრებიან.

[224]) ვარიანტი უმატებს: „არს სამწყსოდ კათალიკოზისა და ულუმბის მონასტრისა მცირედ შეწირულობა“.

რიმელისა და კეფინის-კევის შუა მთიდამ. და არს კეობა ესე კეფინის-კევი მოსავლიანი, ვენახოვანი, ხილიანი. ქართლისაგან მეტი არს აქა ღომი, ხურმა, წაბლი. რომელი მთას იქითი დავსწერეთ, ქვიშხეთის დასავლით, იგინიცა ესრეთვე ჰგონე. არს ცხოვარი უდუმო, სთესვენ სიმინდსა მრავალსა. ხოლო ადგილები ესენი რომელნი აღვსწერენით, ლიხის მთის შორისი, ეგრეთვე ჰგონე, ვითარცა აღვსწეროთ იმერეთი.

აღწერა მტკვრის კეობისა. ხოლო ტაშის-კარის სამკრით ჩამოვალს დასავლეთიდამ მთა მახვილდასი ცხვირ-ცხვირად და აღმოსავლიდამ ყერძენის მთის წვერი, და მოავიწროებს მტკვარს კლდითა. აქ მოვიწროებულსა შინა არს განსავალი კარი და კოშკი მას ზედა, ქართლიდამ კეობასა შინა სავალი. ამის მიერ ეწოდა ტაშის-კარი (ესე არს ქვის კარი [225]). და ამის პირის-პირ, სამკრიდამ, ერთვის მტკვარს სარმანიშვილის კევი. გამოსდის ყერძენსა და ამას შუას მთას. ამის დასავლით არს ახალდაბა, მცირე ქალაქი. მტკვრის იმიერ ამიერ მოსახლენი ქართველნი და ურიანი. აქა არს ხიდი მტკიცე. ახალდაბის სამკრით არს ციხე, მაღალს კლდესა ზედა, დიდ-ნაშენი და მაგარი. ახალდაბას ქვეით მტკვარს მოერთვის ჩდილოდამ კევი ნეძვისა. გამოსდის ამასა და მთას-იქით შუას მთას. კვალად ახალ-დაბას ზეით ერთვის მტკვარს სამკრიდამ კევი ქიმერეთისა. გამოსდის ყერძენის მთას. ქიმერეთის კევს ზეით ერთვის მტკვარს, სამკრიდამვე, კევი კორტანეთისა. გამოსდის მასვე მთას. ჩდილოდამ მოერთვის მტკვარს ზანავრვილის კევი, ამასა და მთას იქითის შუას მთიდამ გამომდინარე.

აღწერა სადგრის კეობისა. ამ ხევს ზეით ერთვის მტკვარს

---

[225]) ქვას თათრულად ჰქვიან ტ ა შ და ვახუშტს ტაშისკარი მიუჩნევია ქ ვ ი ს კ ა რ ა დ, მაგრამ ტაშისკარს ჰქვიან აგრეთვე ტასისკარი. ჩვენის ფიქრით ტაშის=ტასის ძველად უნდა ყოფილიყო ტაოხის, შემდეგ ჯავახისს ტახის და ტაშის.

თორის წყალი, სამკრიდამ. ამ შესართავს სამკრით არს სადგერს ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის აღმოსავლით თორის მდინარე, დასავლით შავწყალი. და შავწყალი გამოსდის ბაკულიანისა და კოდიანის მთასა, და მიერთვის მტკვარს სამკრიდამ. გომარეთამდე შავ-წყალსა და თორის წყალს უწოდებენ აწ სადგერისხეობას *). არამედ სადგერი არს მაგარი და შეუალი, ეკლესია შემუსრვილი აღაშენა და შეამკო ხატი მისი ჟდ მეფემან ვახტანგ. ამ აადგერს ზეით, დასავლით, არს დაბა თორი, მას ზეით ციხის-ჯვარი და ციხე მისი შავწყალსა ზედა, დასავლისაკენ. კვალად სადგერს ზეით მოერთვის თორის-წყალს სამკრიდამ ბაკულიანის წყალი, გამომდინარე ბაკულიანის მთისავე. აქა, თორის წყლის აღმოსავლით, არს კიმოთისმანს მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს. ზის წინამძღვარი. ხოლო ეს სადგრის კეობა არს ეევენახო და მოსავლით, ვითარცა აღესწერეთ გუჯარეთის კეობა, ესეც სცან, ეგრეთვე ნაყოფიერი მთითა, ნადირითა და პირუტყვითა. კიმოთისმანს ქვეით არს ციხე თორისწყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, უზნარიანისა, ფრიად მაგარი.

კვალად კეობის აღწერა. ხოლო კვალად ჩდილოდამ კეობაში მტკვარს ერთვის ეშმაკთ-უბნის-კევი, გამომდინარე ამასა და მთასიქეთის მთის შუადამ. ამას ზეით, ნუას, მოერთვის შავ-წყალი. ნუას ზეით, ჭალის პირისპირ, სამკრიდამ ერთვის მტკვარს დღვაშის-კევი. გამოსდის კოდიანის მთას. მას ზეით არს, მტკვრის კიდესა ზედა, სამკრით, ჰეტრეს ციხე, ფრიად მაგარი და შეუალი მტრისაგან. ამ ციხეს დასავლით უდის ყვერბილის-კევი, მოერთვის სამკრიდამ მტკვარსა, გამოსდის

---

*) ეგონებ თორელთა სამთა ამათ კეობათა, სადგერს, გუჯარეთს და მტკვრის ხეობას, ვინათგან სახელნი და ადგილნი მათნი ეგრეთ წარმოაჩენენ. ვახუშტი.

კოდიანსა. პირისპირ ციხისა მოერთვის მტკვარს ჩდილოდამ ლიკანის-კევი. გამოსდის მახვილო-ფერსათს. ამ კევთ ზეით არს ჭობის კევი. და არს დვირამდე ქართლისა. არამედ არს ესე მტკვრის კეობა ვენახიანი, ხილიანი, ვიწრო და მწირი, მაგარი და შეუალი მტრისაგან. კაცნი ჰაეროვანნი, ტანოვანნი. მთანი ნადირიანნი, ნაძოვან-ფიქოვანი. ირემი, თხა, არჩვი და სხვა ნადირნი მრავალნი. ჩდილოთ მთა აქუს ღადოსი და მახჯლოს წამოსული აღმოსავლით ვიდრე ტაშისკარამდე, სამკრით, კოდიანიდამ წამოსული აღმოსავლეთს ჩდილოს შუა მთა ამასა და სადგრის კეობის შუათი.

სეერისთოსა სასპასპეტოსა და სადროშოსა გითარ ესს და იგო. ხოლო ტაშის-კარსა და ლიხის მთას ქვეითი არაგვ ტფილისამდე სანნი ესე სასპასპეტონი: მემარცხენე მუხრანისა, მემარჯვენე ქართლისა მეფის თანა მყოფი, ტფილისს ზეით მტკვრის სამკრეთისა და თრიალეთი ფანავრამდე არნ წილი უფლოსისა, მცხეთოსის ძისა, და უფლოსისაგან ეწოდა ზენა სოფლები შიდა-ქართლს, და ესენი პირველ იყო ერთი სასპასპეტო და ყოველთა ერისთავთა და სპასპეტთა ზედამხედველი. შემდგომად თამარ მეფისა, ქართლის ერისთავი სხვა, ქსნისა სხვა. და შემდგომად განყოფისა ესრეთ სამ სადროშოდ იქ-ნა, არამედ რაოდენნი ეკლესიანი ანუ მონასტერნი აღესწერენით, ანუ პალატნი, არა არს არცა ერთი, რომელნი არა იყოს თლილის ქვითა ნაშენნი, რამეთუ ყოველნივე თლილის ქვითა არიან აღშენებულნი. კვალად არა არიან დაბანი ანუ აგარაკნი, რომელსა შინა არა იდგეს ეკლესია თლილის ქვისა, უგუნბათონი, მცირენი და დიდნი, და მით იცნობების ნასოფლარნი, სადაცა დგას ეკლესია. ხოლო მონასტერნი, რომელნი ცალიერნი დავსწერენით, აწ ხუცის სამარად, მამულნი მათნი მიუხვამთ აწ მთავართა ანუ აზნაურთა მათნი შეწირულობანი, ანუ მეფეთა ხიზრად მოსულნი დაუსადგურებიათ მუნ, და ჟამთა ცვლილობითა შერჩომიათ მათ, არღარა დაუსვამთ წინამძღვარი, და უსაზრდელობითა მონაზონთათა აწ

ცარიელნი არიან. კვალად რომელნი ეკლესიათა აღმაშენებელნი არა მოვიხსენეთ, ვინათგან დავსწერეთ მეფენი ეკლესიათა მაშენებელნი, მათ მიერ არიან აღშენებულნი ყოველნი, ხოლო ზოგნი მთავართა და ხუროთ-მოძღვართაგან, ვითარცა ზედვე ეკლესიათა წერილნი აჩენენ,

აღწერა

ჩერეთისა, კახეთისა და კუხეთისა, კვალად თუშეთისა და დიდოეთისა.

სახელდთათჳს: ხოლო ქვეყანისა ამის სახელნი არიან სამნი: რამეთუ **ჩერეთი** ეწოდა თარგამოზის ძის ჩეროსის გამო, რომელსა ძმათა თჳსთა შორის წილად ხუდა ქვეყანა ესე, და დაიპყრა საზღვარი თჳსი, ვითარცა აღვსწერეთ. ხოლო **კახეთი** და **კუხეთი** არიან წილნი ქართლოსისა: რამეთუ შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა განუყო დედამან მათმან ძეთა თჳსთა ქართლოსის წილი ქვეყანა, და მისცა კახოსს საზღვარი: აღმოსავლით მთა კავკასი, სამკრით საზღვარი ჩერეთისა, თურდო-შტორის კევი ვიდრე კავკასამდე; დასავლით მთა კახეთისა, რომელსა განჰკვეთს ერწო-თიანეთს იორის მდინარე, და მერმე მზღვრის მდინარე არაგვი, და ჩდილოთ მთა კავკასი. და ამათ შორისი ქვეყანა არს **კახეთი**, წილი კახოსისა, და მისის სახელის გამო ეწოდა ამას სახელი ესე, არამედ აწ უწოდებენ ფშავ-ხევსურსა (რომელთა პირველ ეწოდათ ფხოელნი), თიახეთს, ერწოს, ირტოს-კევს, ჰანკისის კეობას, სუდრიოს და ალთს. ხოლო **კუხოსს** მისცა საზღვარი: აღმოსაელით მთა კახეთისა, სამკრით საზღვარი ჩერეთისა, რომელ არს ხუნანის გამოსწვრივ გულგულამდე, დასავლით მტკვარი და არაგვი; ჩდილოთ იგივე მთა კახეთისა; და ამათ შორის ქვეყანას ეწოდა **კუხეთი** **კუხოსის** სახელის გამო, არამედ აწ უწო-

დებენ თიანეთს, საგურამოს ანუ თეძმისკევს (რომელსა ეწოდებოდა ხერკი ამის გამო: ოდეს ლტოლვილნი ნაბუქოდონოსორისაგან მოსრულნი ურიანი დასხნა აქა მცხეთელ მამასახლისმან და ჰყვნა მეხარკედ), კვალად გრდანი, მარტყოფი, ლილო, დიდუბე, სამგორი, ჩადიგარი, ომანისკევი, ყარაღაჯი, ნაგები და ყარაია. ხოლო ხოსროვანთ გარდავლინებისა შემდგომად, განდგა რა გრიგოლი მთავარი [226]), ამან მოსპო სახელი კუხეთისა და იწოდა კახთა მთავრად ანუ ქორიკოზად. და ამათ მთავრობასა შინა ჯვარს ქვეითს სამკრის კერძს ეწოდა გარდაბანად. არამედ შემდგომად კვირიკემ დაიპყრა რა Ცერეთიცა, იწოდა კახთ მეფედ [227]). გარნა Ცერეთს აქუნდა თვისივე სახელი მოუსპობელი.

---

[226]) ერისთავთ-ერისთავი ჯუანშერ აღესრულა 787 წ. და გამთავრდა გრიგოლ (787—827 წ.).

[227]) კვირიკე III, დიდი (1010—1029). მეფე ბაგრატ III-ემ დაამარცხა კვირიკე ღა თავის სამეფოს შეუერთა კახეთი და Ცერეთი. ბაგრატი რომ გარდაიცვალა (1014 წელს), კვირიკემ ისევ დაიპყრა კახეთ Ცერეთი და დაადგინა ერისთავები: ა) რ უ ს თ ა ვ ს და მისცა მას კუხეთი (ნაგები, ყარაია, ჩადივარი, სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი (საგურამო), და არაგვისკერძი ვინვანამდე; ბ) კ ვ ე ტ ე რ ს და მისცა უჯარმის ზეითი, კახეთისა და კუხეთის მთებ შორისი კავკასამდე (ერწო, თიანეთი, ფხოელნი, ძურძუკი და ღლიღვი); გ) პ ა ნ კ ი ს ს (მარილისს) და მისცა Ცერეთის საზღვარს ზეითი კახეთის მთამდე თუშეთითურთ; დ) ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ს და მისცა ქისიყი და გარეთ კახეთი კუხეთის საზღვრამდე, ალაზანსა და მტკვარს და Ცერეთის მთის შიგნითი; ე) ვ ე ჯ ი ნ ს და მისცა ქისიყის საზღვარს ზეით თურდოს ხევამდე და ალაზანსა და Ცერეთის მთის შიგნითი (შიგნით კახეთი). ვ) მ ა ტ ს (ბელაქან-ლაგოდეხს) და მისცა მატის წყლის (მაზიმ-ჩაის, ლაგოდეხის წყლის) ქვეითი ალაზნის აღმოსავლეთი შაკიხითურთ (ხუხითურთ) და ხუნძარითურთ; ზ) შ ტ ო რ ს და მისცა შტორის ხევიდამ მატის წყლა-

ხოლო შემდგომად განდგომილებისა, ქორონიკონსა ჩუჲგ ქართულს ჩნდ [228]) მოისპო სახელი Ბერეთიაცა და იწოდნენ საკუთრად კახთ მეფედ; და Ბერეთს უწოდებენ შემდგომად აწამდე განყოფით ესრეთ: კაჲმა-მკარს, ელისენსა, შიგნით-კახეთს და ქისიუს, და გარეთ-კახეთს. და არს სულიად აწინდელის კახეთის საზღვარი: სამკრით დიდის-ალაზნისა და პატარას ალაზნის შესართავი, და მუნიდამ ხაზი კავკასამდენ გავლილი, და კვალად ხაზი მტკვრამდე მისული; აღმოსავლით მთა კავკასი, ლეკეთსა და კახეთს შორისი; დასავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მწარე-წყალს ქვეით მტკვარი, და ჩდილოთ მთა კავკასივე. და მდებარებს ქვეყანა ესე სიგრძით ჩდილო-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-სამხრეთს შუა, და არს ქართლისა, რანისა, მოვაკანისა და ლეკეთის შუა მდებარე. ხოლო ქვეყანისა ამის საშუალს არს მთა, რომელი გამოხდების ფშავ-ღლიღვის საშორისის კავკასიდამ, და გამოვლის მახვილის კევსა და ფშავს შორის, კვალად ერწო-თიანეთსა და ირტო-საყდრიონს შორის და ჟალეთის ბოლომდე მდებარებს ჩდილოდამ სამკრით, მერმე წარმოვალს და მივალს მალარო-ხორნაბუჯამდე, აღმოსავლეთ-სამკრეთს შუა მდებარებს, და უძეს აღმოსავლით შიგნით-კახეთი, სამკრით ქისიუი, დასავლით გარეთ-კახეთი და ერწო-თიანეთი. და ეწოდების მთასა ამას, კავკასის კერძოსაკენ, მთა კახეთისა, მერმე გომბორი, შუამთა და

მდე, ალაზნის აღმოსავლეთი დიდოეთითურთ (გაღმამხარი). თიანეთს ააგო სასახლე „ხელოვანი", თელავი ჰყო სასახლედ და ტახტად კახეთ-Ბერეთისა. კვირიკე რომ მოკვდა, ბაგრატ IV-ემ შეიპყრა პანკისის ერისთავი სტეფანოს, ხორნაბუჯის ერისთავი ვაჩე, მაჟის ერისთავი დაჩი, გადავიდა თიანეთს, დასწვა კვირიკეს სახელოვანი დარბაზი, მიიბირა კვირიკეს სიძე მარილელი მთავარი აშოტ (ვახუშტი, 155, ქ. ცხ., 99).

[228]) ვარიანტი: ქსა 1469, ქართულსა 152 (უნდა იყოს: ქართულსა ქორონიკონსა 157).

ტივი; არამედ მთა კუხეთისა ანუ აწ ზედაძნისა უმეტეს საჩინოდ შემოერთდების მთასა ამას, და მთა ზედაძნისა მობმული არს მთისა სარკინეთისა, რომელსა კვერნაქადცა უწოდებენ, თვინიერ განკვეთისა არაგვისაგან. ამისთვის უწოდებენ გონბორის მთასაცა ქისიყამდე კვერნაქად. არამედ მთასა ამას და კავკასს შორისი ქვეყანა არს ტყიანი შაქამდე [229]) და მცირე ველოვანი, და ამისი დასავლით კერძი საგარეჯოს ქვეით უტყეო, მცირეთაგან კიდე, ჩალიან-ბალახიანი, ლერწმოვანი, უმდინარო, თჳნიერ იორის მდინარისა, და მცირე წყარონი. ხოლო ჰავითა არიან მშვენნი, ზამთარ თბილი, ზაფხულ ცხელი და არა ეგდენ, მცირე-თოვლიანი, უყინულო, უყივნო, ვინათგან ვეროდეს განჰყინავს მდინარეთა, და არცა დაადგრების თოვლი დღე სამ, და უქარო. არამედ ალაზნისა და იორის კიდენი და მისი ქვემოთნი ფრიად ხაშმიანნი, ცხელნი და გაუძლისნი.

ნაყოფთათჳს და კაცთა. ხოლო ქვეყანა ესე არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა, ხილითა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა და თევზითა, არამედ უფროს Ѳერეთი და უმეტესად ალაზნისა და იორის კიდენი. რამეთუ, თვინიერ ნარინჯისა, თურინჯისა, ლიმოსა და ზეთისხილისა, ნაყოფიერებენ ყოველნი, რომელნიცა აღვსწერენ ითა აბრეშუმით, ბამბით, ბრინჯით, და ხურმა და წაბლი იმერეთისაგანცა აქ უმჯობესი არს. გარნა არა სთესვენ ღომს, და არცა არს კირჩხიბი აქა. ხოლო ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისაცა, და თაფლი იმერეთისა უმჯობეს და უმრავლეს აქაურთა [230]). ხოლო კაცნი და ქალნი შვენიერნი,

---

[229]) შაქი—ნუხი.

[230]) სტრაბონი (4, 1): „აქაური ქვეყანა იძლევა ყოველგვარ ნაყოფს. ნიადაგს აქ სრულიად არ უვლიან. ბევრს ადგილს ერთგზის დათესილი მიწა იძლევა ნაყოფს ორ ანუ სამგზის, პირველად ორმოცდაათეუ-

ჰაეროვანნი და მგზავსნი ყოვლითავე ქარ ოველთა, ზნითა, ჩვეულებით და ქცევით; არამედ ლაღნი, ამაყნი, მეხოტბენი, დიდ-მთქმელნი, მეჩხუბარნი, შემმართებელნი, უფრო გლეხნი, ერთგულნი, მოსილნი ქართულად, ენითა და სარწმუნოებითა ქართლისათა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი.

ქვეყანა-წყლისათჳს. ხოლო არს ქვეყანასა ამას შინა უდიდესნი მდინარენი: ალაზანი და მეორე მცირე ალაზანი ანუ ოთრი, რომელთა მოიგეს სახელი ალონის გამო [231]), არამედ იორი გაორებისათჳს, ვინადგან აქუთ სახელი ერთი: „იორა ამ მდინარემ“ [232]); ხოლო გამოსდის ალაზანი თუშ-ფშავსა და ძურ-ძუკს შორისს კავკასსა და დის ჩდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთს-სამკრეთ შუა, და მიერ ოვის მტკვარს განჯის ბოლოს. აქ მტკვრისა და ალაზნის შესართავს შორის არს მოვაკანი, რომელი აღაშენა მოვაკანოს, და ამის გამო ეწოდა წილსა მის-

---

ლად და ისიც გადახნული არა რკინის გუთნით, არამედ ხისა. ქვეყანას შეხედულობა მუდამ ამწვანებული აქვს და ამიტომ შვენიერი საბალახოები აქვს. ჰაერიც უკეთესია. ვენახს არ ჰბარვენ და ვახს ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავენ. ახალი დარგული ვახი ნაყოფს იძლევა მეორე წელიწადსვე, და ძველი კი იძლევა იმდენ ყურძენს, რომ უმეტეს ნაწილს არ ჰკრეფენ. აქ კარგად ნაყოფიერებს გარეული ვახიც (კრიკინა).

[231]) დასაჯერებელი არ არის, რომ ალაზანს ასრეთი სახელი დარქმეოდეს ალონის გამო. „ალაზანი“ იმავე ფესვიდგან უნდა იყოს, რომლისაგან წარმოსდგნენ სახელები მდინარეებისა არაზი (=არეზი, რახსი, არაქსი), არაგვი, ალგეთი.

[232]) „იორა ამ მდინარემ“, ე. ი. გამეორდაო. ი ო რ ი-ს პირველ სახედ ჩვენ მიგვაჩნია ი ვ ე რ ი, ვინაითგან ამ მდინარის ხეობას ჰქვიან ივრის-ხეობა და ი ვ რ ი ს მიჩუმებითი ზედშესრული სახელია სიტყვიდამ ი ვ ე რ ი ა (ივერიის=ივრის). ო=ვე: მაწონი=სვან. მაწვინ, ორბი=სვან. ვერბ, გომი=სვ. გვემ, მინდორი=სვ. მინდვერ, ტოლი=ტველ, ტოტი =ტვეტ და მრ. სხ.

სა მოგვკანი, ვითარცა აღაშენა ბარდ ბარდოს და უწოდა სახელითა თვისითა წილსა თვისსა. ხოლო მტკვრისა და ალაზნის შესართავს ზეით, ჩდილოთკენ, მოერთვის ალაზანს მცირე ალაზანი ანუ იორი, და ამათ შესართავს შორის არს წეარეთი, რომელი აღაშენა Ცეროს, ქალაქი თჳსის სახელისა, და ამის გამო ისახელა ქვეყანაცა ესე, და აწ უწოდებენ ამას ადგილსა ხორანთას. და იყო ქალაქ და ციხე ყრუმდე და ბერქამდე [233]), შემდგომად მოოკრდა და აწცა ოკერ არს.

იორის მდინარისათჳს და მის ქჳეყანათა. ხოლო იორი გამოსდის ფშავისა და თიანეთის შორისს მთას, და დის ჩდილოდამ სამკრით უჯარმამდე, მერმე ჩდილოთ-დასავლეთიდამ აღმოსავალ-სამკრეთ შუა, განა უფროს აღმოსავლით. არამედ იორს და მტკვარს შუა ასტყდების მცირე მთა ხორანთიდამვე, რომელსა ეწოდების გძელტბა და გარეჯა. ეს მთა აწ ჰყოფს ქართლსა და კახეთს: ხორაუგიდამ [234]) მწარე-წყლამდე და მტკვრამდე კახეთისა, ხოლო მწარე-წყალს იქით ნახევარი აღმოსავლეთის კერძი კახეთისა და ნახევარი დასავლეთის კერძი ქართლისა. ეს გარეჯის მთა მიადგების სათის-ჭალას კუხეთის მთას, და მერეთ ჩადივრის გორაებით მიადგების ლილოს, და ლილოს მთა მიადგების ეგრეთვე კუხეთის მთას. მდებარებს მთა ესე ვითარცა მდინარე იორისა, და არს უტყო, თჳნიერ ძეძუთა და თუთუბოთა და ეგეთთა სხვათა მრავალთა. არა სდის მდინარე და იშვით წყარო-ტბანი, არამედ თუ სადმე არს, მლაშენი და მწარენი. განა არს ბალახიანი ზამთარც, და გამოიზრდებიან სიმრავლე არვეთა, მროწლეთა, ჯოგთა, რემათა, იმიერ და ამიერ. განა არს ზაფხულ ცხელი და გაუძლები. ხოლო მდინარის იორის კიდე იმიერი და ამიერი არს

---

[233]) ბერქა შემოვიდა საქართველოში 1260 წლ. ახლო ჟამს.

[234]) ხორაუგი: მეგრ. ხორუა—სახლება (შეად. ხურო, ხურვა). ხორა—უგი, ე. ი. სახლაუგეველი, უსახლო, უშენობო ადგილი.

ფრიად ნაყოფიერი, ვინადგან აღმოვლენან რუნი და ირწყვიან ველნი, და სცენდებიან ყოველნი მარცვალნი. და დასდევს ოორს მცირე ჭალაცა და ლერწმოვან-ჩალიანი, და არიან ნადირნი და ფრინველნი მრავალნი, და უმეტეს კოკობნი. განა იყო ალაზნის შესართავამდე და ვიდრე სამგორამდე შენობანი დიდ ფრიად, არამედ მოოკრდა გამოსვლასა ბერქასსა და შემდგომად ლანგთემურისაგან, რომელნი ჩანან დღესაც. შემდგომად დასხნეს ელნი ამათ ადგილთა აწინდელთა მეპატრონეთა, ვიბარცა ბატონმან თეიმურაზ და ხანებმან, და სთესდენ ესენი ყოველსავე, და ესენიცა წარიყვანა შანადირ [235]) და დასხნა ხორასანს. ხოლო ოორს არა რაი ვითარი მდინარე ერთვის ანუ კვეი საგარეჯოდმდე, და არს მუნამდე ალაზნიდამ ველი, და არს ადგილი ესე ზამთარ თბილი, ბალახიანი, მცირეთოვლიანი, ნადირ-ფრინვლიანი, ჰავითა მშვენი, ხოლო ზაფხულის ცხელი, ხაშმიანი, გაუძლისი. ოორის პირს ყოფილა სასახლე დამპალას აწინდელთა კახთა მეპატრონეთა საზამთროთ ნადირობისათჳს არჩილ მეფისამდე [236]), კეთილს ადგილს, შვენიერ-წყაროიანსა.

გარეთ-კახეთისათჳს. ხოლო დამპალას აღმოსავლით ჩდილოთ არს, Ცერეთის მთის ძირს, მანავი, სადაცა აღაშენა სასახლე იმანყულიხან [237]). მთისძირად არს ძველადი ციხე და აწ

---

[235]) შანადირ † 1746 წ.

[236]) არჩილ † 1710 წ.

[237]) იმანყულიხან=დავით, ერეკლე 1-ის ძე, კახთა მეფე 1703 წლითგან. დავითის სატახტო იყო ყარაღაჯი. ჰარელებმა რომ დაამარცხეს (1706 წ.), გადმოსახლდა მანავს და ზამთარს ცხოვრობდა მანავსა და თელავს და ზაფხულს—მაღაროს (ქ. ცხ., ტ. 2, გვ. 133).

შემუსვრილი. არამედ ღვინო მანავისა კეთილი. მანავს ქვეით ქისიყამდე, ციგ-ბონბორის მთის კალთათა, არიან შენობა-დაბნები, ვენახ-ხილიანნი. უძეს იორისკენ სახვნელნი ველნი და უკან მთა ტყიანი, უწყლო. მოსახლენი არიან მთავარნი, აზნაურნი, გლეხნი. ადგილი ნაყოფიერებით აღმკული, გარნა წყლისათვის შემჭირნობს, თვინიერ წყაროთა, დაბნებთა შინა უსაკმაროობით, ვინათგან არა აქუს მთას მდინარე, ვერა რით რწყვენ ველთა. არამედ არს აქა პირუტყვთა სიმრავლე, ცხოვარნი, ცხენი, ძროკა, კანბეჩი, ვირი. ხოლო მანავის დასავლით არს კევი გიორგი-წმიდისა, გამოსდის შუამთას და დის ჩდილოდამ სამკრით. ამან მოიგო სახელი ოდეს შესწირეს გარეჯის უდაბნოს დაბნებიესე, უწოდეს საგარეჯო [238]). ამის დასავლით ერთვის იორს ნინო-წმიდის კევი, გამოსდის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე. ამ კევზედ არს ნინოწმიდა, ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა გორგასალ და დასვა ეპისკოპოზი, და ზის აწამდე, მწყემსი ამ ქვეყნისა ქისიყამდე [239]). ამის სამკრით და იორის მდინარისა არს გარეჯის მთასა შინა,

---

[238]) ვარიანტი უმატებს: ამას უწოდებენ თვალსაცა. ამ ხევის კიდეზედ, დასავლით, არს ეკლესია მოციქულთა პეტრესი და პავლესი, მაღალს მშვენიერს ადგილსა, რომელი სპვრეტს სრულიად თვალსა გარესჯისასა და იორის იმიერ-ამიერ ველთა. კეთილ დიდ შენი, უგუმბათო. ესე არს აღშენებულ დავით გარესჯელის მონასტრის მონაზონთაგან.

[239]) ნინოწმინდის ტაძარი აშენებულია წმ. ნინოს დროსვე ძველ საკერპოს ადგილას. მე-XVIII საუკუნემდე ტაძარი ისევ მტკიცე და მაგარი იყო. 1824 წელს ტაძარი შეირყა მიწის ძვრისაგან და დაზიანდა. ნინოწმინდას ჰყვანდა ბევრი სახელოვანი მღვდელმთავარი, მაგალ. არსენი ნინოწმინდელი, ფრიად სწავლული მოღვაწე, რომელიც წავიდა ათონს მე-XI საუკუნის დამდეგს, ანტონი ერეკლე მეორის ძე, უკანასკნელი კათალიკოზი საქართველოისა, რომელიც გარდაიცვალა 1827 წელს.

ნათლის-მცემელსა [240]) და დავით გარეჯას [241]) შუა, მონასტერი დიდი, რომელი ქმნა მამამან წმიდამან დოდომ, რომელიცა იყო ნათესავით და ქვეყნით კახი, მოწაფე დავით გარეჯელისა, და დაფლულია იგი მუნვე. და მონასტერი ესე არს ვითარცა სხვა გარეჯის მონასტერნი აღესწერეთ. უზის წინამძღვარი. ხოლო კვალად ნინოწმიდას ზეით ერთვის იორს სამების კევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე ვითარცა წინათნი კევნი. და ამის შესართავზედ ხაშმს ჰყვეს მონასტერი და ციხე ნათლისმცემლის მონოზონთა. ამას ზეით ამ კევზედ არს ეკლესია დიდშენი, გუნბათიანი, სამებისა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ამას ზეითის ქვეყნისა ერწოდმდე [242]) (და იტყვის გარეჯის-უდაბნოს თესად). ესევე კევი არს საზღვარი Ცერეთისა და კახეთისა. ამ კევზედ არს ციხე ვერნისა მაგარი, და გარდავალს გზა შიგ-

---

[240]) მურავიევი (Грузія и Арменія, ნ. 1): მონასტრის ეზოკლდის პირპირ მოზღუდულია გალავნით. ეზოს შუაში იყო რავდენიმე ნუშის ხე. მივადექით ციცბო კლდეს, საცა დაბალი კარები იყო გამოჭრილი. დაკუზულები შევიდით და ავიმართენით დიდებულს ტაძარში, კლდეში გამოკვეთილს მაღალს სვეტებზე, მოჩუქურთმულ კანკელით. სამსხვერპლო მოწყობილია ძველს წესზედ. მაზვერპლის შესაწირავს ზეპო გამოხატულია სამება. სამსხვერპლოს გარეშემო კედლებზე გამოსახულნია პალესტინის მწირნი და მათთან დავით გარეჯელი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე მისის ქმრით დავითით და შვილით გიორგი ლაშათი.

[241]) იხ. შენიშვნა 122.

[242]) სამებიდგან ხაშამდე სულ ექვსი ვერსია. სამება უგუნბათოა, მოზღუდულია, შიგნით მოხატულია. მის ეპისკოპოზთაგან სახელოვანი იყო იოსებ სამებელი, რომელიც აკურთხა კათალიკოზ დომენტიმ 1705 წელს. ლეკებმა რომ გააოხრეს სამება, იოსებ სამებელი გადაიყვანეს წილკანს. აქედგანაც ვანდევნეს ოსმალებმა. იოსები წავიდა რუსეთს და კეთილად იმოღვაწა სამწერლო ასპარეზზე (იხ. თ. ჟორდანიას „იოსებ სამებელი", დ. ბაქრაძეს „Кавказъ въ др. пам. христ.").

ნით-კახეთს შუამთაზედ. კვალად ამ კევს ზეით არს, იორსა ზედა, უჯარმა, ორთა მთათა შორის, კახეთისა და კუხეთისასა, რომელი აღაშენა კგ მეფემან სურმაგ [243]), ციხე ქალაქი, და კვალად განაახლა გორგასალ და ყო სიმაგრე და ქალაქი დიდი. არამედ აწ არს დაბა. რამეთუ განყოფისა სამეფოთა მოოკრდა.

ერწოსათჳს. უჯარმას ზეით, ჩდილოთ, და იორის აღმოსავლით არს ბოჭორმა ციხე. და ბოჭორმიდამ უჯარმამდე არს კეობა ფრიად მაგარი, მთოვანი, კლდოვანი, ძველად შენობიან-ეკლესიანი. ხოლო ბოჭორმა აღაშენა ცოლმან ქართლოსისამან და უწოდა დედა-ციხე. ესე არს მაღალს კლდესა ზედა. გამოსდის ციხესა შინა წყარო, არს შენობა დიდი და მაგარი (ესე არს რომელი წილად ხუდა კახოსს და შენებასა ჩელეთისასა მისცა კუხოსს, და შეეწია კუხოს შენებასა ჩელეთისასა კახოსს); შემდგომად უწოდეს ჟეჟორმა: ესე იგი არს „ვეჭ ორმა ძმამ ცილება ყვეს ამ ციხესა ზედა". მერმე უწოდეს ბოჭორმა [244]). ხოლო ბოჭორმას ზეით ერთვის იორს დასავლეთიდამ ერწოს წყალი. გამოსდის ხერკისა და ერწო-თიანეთის შუას მთას და მოდის აღმოსავლეთ სამკრეთს შუა. ამ წყალზედ არს მონასტერი მცირე, შვენიერი, შვენიერს ად-

---

[243]) ქ. ცხოვრებაში სწერია: „ამან ასფაგურ აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა". ხოლო ეს ასფაგურიც (262—265) მე-23 მ ე ფ ე დ ითვლება. ბერძენ-რომაელთა მწერლების ჩვენებით ივერთა მეფენი ასპაგურ და სურმაგ მეფობდნენ ერთად 368 წლითგან 374 წლამდე. (იხ. ამ მეფეთა შესახებ ჩვენს წერილში: „ქართველთა მატიანე", გვ. 96).

[244]) ვახუშტის ახსნა გაზვიადებულია. ბოჭორმა, ბოჭორიშვილი ერთის ფესვიდგან ნაწარმოები სიტყვებია, მაგალ. ბოჭვიდგან ანუ ბოჩოდგან (ბოჩი ანუ ბოჩო ქართველების თავდაპირველ ენელს ღმერთს ერქვა. ჭ=ჩ: ფუჭი=ინგ. ფუჩი (აქედგან ფუჩეჩი), კრეჭა=კრენჩა, ჭიპი=ჩუპეკ, ჭამა (კბენა)=მეგრ. ჩამინი.

გილს, და აწ ხუცის ამარ. დაჴარს კეობა ესე იმიერ და ამიერ შენობა-დაბნებიანი. კვალად ამავ წყლის შესართავს ზეით, იორის პირზედ, არს აღმოსავლით კერძ ჟალეთი, შენობა დიდი და შემუსვრილი; ვგონებთ ამას ჩელეთად, რომელი აღაშენა კახოს ქალაქი, რომელსა პირველ ბერ ერქვა. შემდგომად გორგასალ აღაშენა ეკლესია კეთილ-შვენიერი, გუნბათიანი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო თიანეთისა, ფშავ-ხევსურისა და კერკისა. ხოლო ჟალეთს ზეით მოვიწროვდების იორი კერკის მთიდამ წარმოსრულის მცირეს მთით, და ამას ქვეით ბოპორმამდე არს ერწო [245]), და მზღვრის: აღმოსავლით მთა კახეთისა, საყდრიონსა და მას შორისი; სამკრით, მთა კუხეთისა, იალონიდამ წამოსული უჯარმამდე. ჩდილოთ, მთა მცირე, თიანეთსა და მას შორისი, კერკის მთიდამ წარმოსული. დასავლით, მთა ხერკისა.

თიანეთისათჳს. ხოლო კვალად ჟალეთს ზეით იორს მოერთვის თიანეთის წყალი, რომელი გამოსდის თვალივს ქვეით ხერკის მთას და აწ თიანეთისას, და მოდის აღმოსავლეთს სამკრეთს შუა, და მოერთვის იორს დასავლეთიდამ. ხოლო ამ წყლის სათავისა და საშიშის თვალივის იქით, თეთრის-არაგვის მჭვრეტად არს ხარჭაშოს ეკლესია გუნბათინი, კეთილ-შენი, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ერწო-თიანეთისა, ფშავ-კევსურისა და თუშეთისა. რამეთუ შემუსვრასა ჩელეთისასა მოსცვალეს აქა [246]) (ანუ ეს არს ჩელეთი). კვალად ამ

---

[245]) 1681 წელს არჩილ მეფე სწერს („არჩილიანი", 55): ერწო კაი საკურდღლეა, მწყერიც მრავალი, წვრილმანს ტყეებში ნადირი, ჩალებში წერო ბევრი სხედს საკვირცხოდ.

[246]) ბროსე სწერს 1848 წელს: ხარპაშოს შვენიერი საყდარი აშენებულია თლილის ქვით, უგუნბათოა. სამრეკლო აგურით აშენებულია. საყდარი მთლათ მოხატულია. გრიგოლ ხარპაშნელი გარდაიცვალა აშტარხანს 1797 წელს.

თიანეთის წყლის შესართავს ზეით, იორზედვე, არს მთაში ციხე ოჩანისა, მაგარი და შეუალი და შენი არს ორთა მდინარეთა შორის [247]). ხოლო ეწოდების თიანეთი ვიდრე ერწოს საზღვრამდე, და არს შენობიანი და დაბნებიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით, ამასა და კვეტერა-ბანკის შორისი მთა, სამკრით, ერწოს საზღვარი და ნოკორნისა და ბოკოწინის შორისი გორა, ხერკის მთიდამ არაგვამდე მისული. არამედ ამას ზეით ჟინვანამდე იყო ხერკისა ძველად, ხოლო აწ თიანეთისა; ჩდილოთ, ფშავსა და ამას შორისი მთა; დასავლით, შავი და თეთრი არაგვი. განა სახელი ეწოდა თიანეთს: ვინადგან არს ძველივე, ვგონებთ ძეთაგან კახოსისათა, არამედ არიან ორნივე მთანი უვენახონი, უხილონი, განა ნაყოფიერი, პირუტყვიანი, ნადირიანი, ბალახოვან-ყვავილოვანი, წყაროიანი, ვითარცა თრიალეთი, თუნიერ სიმცირისა. ხოლო ამ იორის მდინარესა შინა, უჯარმას ზეით, არს უმეტეს კალმახი და მრავალნი, და მას ქვეით სხვა თევზნიცა და არა ეგოდენ მრავალი მდინარის სიმცირისათჳს [248]). ხოლო კვალად ხარჭაშოს, საშიშს დასავლით, დის თეთრის-არაგვის მდინარე. ესე გამოსდის ძურძუკს ფშავს შორისს კავკასსა, და მოდის ჩდილოდამ სამკრით და მიერთვის ჟინვანს, აღმოსავლიდამ, შავს-არაგუს.

კევსურეთისათჳს. ამ ჟინვანს ზეით და ხარჭაშოს ზეით მოერთვის თეთრს-არაგვს კევსურეთის წყალი. გამოსდის ესე ძურძუკსა და ამას შორისს მთას კავკასს, მოდის ჩდილო-

---

[247]) ამ ოჩანის ციხეში დამალა (1513 წელს) გარსევან ჩოლაყაშვილმა ყრმა ლევანი, რომელიც შემდეგ გამეფდა კახეთში.

[248]) „თიანეთს ვინც მივა, კალმახით იქ გასჯერდება. თიანეთს სხვა მთის ალაგი ვერ შაადარონ! თიანეთს ეს სჳირს სიკეთე: დიდია, გაშლილი, ქალები მოვლენ ტანწვრილნი, შავ-თმა ჩაშლილი. ერთი წყალი საკალმახოდ იორს არ შეედრება. მთიდგან ნადირს მოიტანენ, გორა-გორათ დაეყრება“ („არჩილიანი“, 55).

დამ სამკრით. ამას მოერთვის კევნი იმიერ და ამიერ. და განჰყოფს კევსურეთს: აღმოსავლით, კავკასიდამ ჩამოსული მთა სამკრეთად, ამასა და ფშავს შორისი; სამკრით, ფშავის საზღვარი; ჩდილოთ, კავკასი ამასა და ძურძუკს შორისი. დასავლით, კავკასიდამ ჩამოსული სამკრეთად მთა, ამასა და გუდამაყარს შორისი [249]).

ფშაგისათჳს. ხოლო კევსურეთის აღმოსავლის მთას იქით არს ფშავი, რომელსა შუაში უდის თეთრი-არაგვი, და მოერთვიან კევნი აღმოსავლით დასავლეთიდამ. აქ ფშავსა შინა არს ეკლესია მეფის ლაშასაგან აღშენებული, რომელსა შინა არიან მრავალნი ხატნი და ჯუარნი ოქრო-ვერცხლისანი, ჭურჭელნი და წიგნნი, და უწოდებენ ლაშს-ჯუარს და აქუთ სასოება მას ზედა ფრიად, რამეთუ ვერც ფშავი, ვერც კევსური, უკჱთუ იშოვნოს ოქრო ანუ ვერცხლი, ვერარაიდ იხმარებენ

---

[249]) ხევსურეთი მცირე ქვეყანაა დიდის კავკასიონის წიაღში, 62,20° და თითქმის 43° აღმოსავლეთის სიგრძისა და 42,30° და 42,45 ჩრდ. სივრცის შორის. მისი მიჯნებია კავკავის მაზრა, შიგნითი ქისტეთი, თუშეთი, ფშავი, მდინარე ცნოს ხეობა (ყაზიბეგის სადგურთან). კავკასიონის უმთავრესი უღელტეხილი ხევსურეთს ორად ჰყოფს—პირიქითელისა და პირაქეთისად. ხევსურეთის მთის უმაღლესი მწვერვალია არხოტისთავი. ადგილს, რომელსაც ჰქვიან ორწყალი, იყრებიან ხევსურის-არაგვი და ფშაეის-არაგვი. ხევსურის-არაგვს ერთვიან ბლოსწყალი, ხახმატის წყალი. აქ სოფლებია გული, ბარისახო, როშკი და სხ. პირიქეთელ ხევსურეთში ჩამოდის შატილის წყალი, არდოტის წყალი, გუროს წყალი, ქისტეთის წყალი. არდოტის წყალი ბორბალოს ახლოდგან გამოდის, ანდაკიდამ, საიდანაც გზა გადმოდის ფშავს. არხოტის ხეობაში ჩამოდის ახიელის წყალი, ტოტი თერგში შემდინარე წყლის ასსისა (ნ. ხუდადოვი). 1788 წელს ფშავ-ხევსურთ უნდა გამოეყვანათ 40,000 მეომარი (იხ. ერეკლეს ბარათი საქართ. ისტ., 472).

თავისად, არამედ მიუძღვნის ლაშას-ჯუარსა [250]). და არიან ესენი სარწმუნოებითა და ენითა ქართულითა, გარნა აქუსთ სასოება ქადაგსა ზედა, რომელი წარმოდგების კაცი უცები და ვითარცა ხელ-ქმნილი, და ღაღადებს მრავალსა მაგიერად წმიდის გიორგისა; და რასა იგი იტყვის, სთნავთ და ჯერ-იჩენენ უმეტეს ქეშმარიტებისასა. და არიან ყოვლითა ვითარცა მთიულნი აღვსწერეთ. არამედ ესენი ვერად ქებულნი ბრძოლასა შინა, და უფროსად კევსურნი და უმეტეს ბრიყვნი მთიულთაგან და უზნეონი, მებატონეთა თვისთა ერდგულნი. და ვინადგან ფრიად მაგარ არს ქვეყანა ესე და უბრძოლველი მთითა, და კლდითა და ტყითა, ამისთჳს იმყოფიან მშვიდად, და სიმწირისათჳს მონებენ ვისცა უპყრავსთ თიანეთი, რამეთუ იზრდებიან მუნიდამ. ხოლო მჴღვრის ფშავს: აღმოსავლით, მთა კავკასიდამ ჩამოსული; სამკრით, კავკასივე, ამასა და მახვილოს-კევს შორისი; სამკრით, მთა ამასა და თიანეთს შორისი. ჩდილოთ, კავკასი ამასა და ღლიღვს შორისი; დასავლით, მთა კავკასიდამ ჩამოსული სამკრით ამასა და კევსურეთს შორისი. არამედ ძველად ეწოდა ამ ორთა კეობათა ფხოელნი [251]) და აწ უწოდებენ ესრეთ. განა სდებენ ამათ გამო კახნი ძურძუკთა, ღლიღუთა და ქისტთა თავისად. გარნა მათ არა უწყიან ესე მიერ ჟამით, ოდეს განდგნენ. ხოლო ჟინვანი არს შავისა და თეთრის-არაგვის შესაკრებელოს შორის ციხე შენი და მაგარი, და იყო ქალაქი და აწ უქმ არს [252]).

---

[250]) მეფე გიორგი IV ლაშა, ძე თამარ მეფისა, და თვით თამარ მეფე ფშავ-ხევსურეთში დიდად სწამთ და წმიდანად ითვლებიან. ლაშა † 1223 წელს.

[251]) ეს სახელი მერჩენია სიღნაღის მაზრის სოფელს ფხოელს და თიანეთის მაზრისას შუაფხოს (შუა-ფხო).

[252]) ჟინვანი არის შავის-არაგვისა და თეთრის-არაგვის შესართავთან; ანანურიდამ ჟინვანამდე 8 ვერსია, აშენებულია ძველის-ძველად. მე-VII სა-

დანარჩომი თიანეთისათჳს, არამედ პირველ იყო კუხეთი. და ამ ჟინვანს ქვეით ერთვის შავს-არაგვს კევი ბოდავისა, გამოსდის წინკსენებულს ხერკის მთას და აწ თიანეთისას, მიდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ბოდავს არს მონასტერი გუნბათიანი, დიდ-შენი, შვენიერს ადგილს, და აწ ცარიელი[253]). ამას ქვეით ერთვის არაგუსვე წირდალის კევი, გამომდინარე მისვე მთისა, და მომდინარე ეგრეთვე. ამას ქვეით ერთვის არაგვს ნოკორნის კევი, გამომდინარ-მომდინარი მისვე მთისა ეგრეთვე. ამის თავს არს ნოკორნა, მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, დიდი. ესე აღაშენა მდ მეფემან არჩილ და ყო მონასტრად. შემდგომად წამებისა მისისა ცოლმან მისმან დაფლა წმიდა გვამი მისი მუნ[254]). არამედ ბოკოწნის კევს და ამ კევს შორის ჩამოვალს მცირე მთა წინთქმულის მთიდამ დასავლეთად. ეს მთა არს თიანეთისა და ხერკის საზღვარი. და აქამდე აწ უწო-

---

უკუნეში დაანგრია მურვანყრუმ. აქ იყო სასახლე თამარ მეფისა და გიორგი ბრწყინვალისა († 1346 წ.). ახლა აქ არის ნახევრად დანგრეული ციხე და საყდარი. აქვეა ხიდი არაგვზე. მანდატურთუხუცესის ჭიაბერის სიგელი, ხელმოწერილი თამარ მეფისაგან, თეოდორე კათალიკოზისაგან, შოთასაგან და სხ., გვაუწყებს: „...ჩემსა ე ი ნ ო ვ ნ ი ს ქუნებასა შინა ვჰკადრე და მოვახსენე ღუთისა სწორსა მეფეთმეფესა თამარს და მათ მიერ ბრძანებითა და კითხვითა გკადრე და მოგახსენე შენ, წმიდასა მამასა შიოს და შენთა ცრემლთა მიერ აღშენებულსა უდაბნოსა მღვიმისასა“... (იხ. ეს სიგელი ჩვენს წიგნში Царица Тамара, გვ. 122).

[253]) ბოდავის ტაძრის აშენებას მიაწერენ თამარ მეფეს. დუშეთიდგან ბოდავის წმ. გიორგიმდე 17 ვერსია,

[254]) ნოკორნის ტაძარს ერქვა ნოტკორა, აწ ჰქვიან ნოდოკრა. სიმაღლე მისი $4^1/_2$ საჟენია, სიგრძე ექვსი და სიგანე სამი. საყდრის სარქველზე დიდრონი ხეებია ამოსული. არჩილ მეფის საფლავს ეხლაც უჩვენებენ მგზავრს ადგილობრივნი მცხოვრებნი. არჩილ II მოჰკლა არაბების სარდალ ჭიჭუმმა 718 წელს.

ლ ებენ თიანეთს, განა პირველ იყო ჟინვანამდე წილი კუხოსისა.

ხერკისა და საგურამოსათჳს. ხოლო ბოკოწნის კევი ერთვის ჯიდაურს არაგვს. გამოსდის ერწოსა და მის შორის მთას, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. აძას ქვეით ერთვის არაგვს ხერკის კევი ანუ თეზმის კევი. გაჰოსდის კუხეთის მთას ანუ იალონს, მოდის დასავლეთად. ხოლო ამის შესართავსა და ნარეკვავის შესართავს ქვეით არს, არაგვის დასავლით, მთა სარკინეთისა და აღმოსავლით მთა მაღალი კუხეთისა, გაკუსთილი არაგვით. ორნი ესე მთანი, პირისპირ მდებარენი და მერმე იალონად [255]) წოდებული, ამისთვის: რამეთუ თუცა მას მთასა ზედა არს მცირეცა ღრუბელი ანუ ნისლი, არა იქმნების, თუმცა არა აღმოვიდეს ფიცხელი ქარი ღრდი. ამ მთის თხემსა ზედა, მჴვრეტელი არაგვისა, მუხრანისა, ხერკისა, მცხეთისა და ტფილისისა, აღაშენა ციხე დ მეფემან ფარნაჯომ [256]) და აღმართა მუნ კერპი ზაზენი, და ამითი ეწოდა მთასა ამას ზედაზაზენი. შემდგომად იგ მამათაგანმან მამამან იოანემ ჰყო აქა მონასტერი და ეკლესია სადგურად თჳსად, და დაფლულ არს მუნვე. ამ ეკლესიის კამარიდამ სწვეთს წყალი და ადგს ქვე-

---

[255]) იალონი=ალონი; არის აგრეთვე მთა ა ლ ო ნ გ ვ ე რ დ ი, ადგილი ალონი მტკვრის მარცხენა კიდეზე, განჯის პირდაპირ (ქ. ცხ., 249), სოფელი ა ლ ვ ა ნ ი. ო=ვა: თოლი=თვალი, ხომალდი=ხვამალდი, ცხორი=ცხვარი და სხ. ამიტომ ალონი იგივე ალვანია (=ბერძენ-რომაელთა ალბანია). ეს სიტყვა შეიძლება ნიშნავდეს ანუ სიმაღლეს (ბლ. იოსელიანი ამბობს, ა ლ ე ვ ი სიმაღლეს ნიშნავსო („Алевская святыня", გვ. 2), და მართლაც ამ ფესვიდგან გვაქვს სახელი ა ლ ვ ი ს-ხე) და ანუ „ცისკრის მზარეს", „აღმოსავლეთს: ალიონი (იალონი)=ძველ. ალონი=სვ. ალვენ. რადგან „ალონი" პირველად მთების წვერებს ანათებს, ამიტომ თვით ამ მთებსაც დაერქმეოდა ალონი.

[256]) ფარნაჯობ (112—93 ქრ. დ. წ.).

მორ ავაზანი ქვისა და შეიკრიბვის მას შინა, არაგარდმოედინების და არცა აღმოვსებით მოაკლდების უკუთუ აღმოიღო რითმე, და ჰკურნებს სენთაცა [257]). ხოლო მთა ესე კუხეთისა ანუ ზედაძნისა წარვალს აღმოსავლეთად და შეერთბამდების ერწოს მთასა, რომელი არს ხერკისა. და არს ამათ შორის ხერკი, არამედ აწ სკურამ ანუ თეზმის კვეი. აქუს ხერკს: აღმოსავლით, მთა ერწოსა და ამას შორისი; სამკრით, მთა ზედაძნისა, ჩდილოთ, ნოკორნა-ბოკოწანს შორისი გორანი, ჩამოსული თიანეთის მთიდამ არაგვამდე; დასავლით, არაგვი. ხოლო მთა ზედაძნისა წარვალს უჯარმამდე და მივალს და დამდაბლდების ხარაუგს. აღმოსავლით აქუს ამ მთას ერწო, დასავლით გრდანი. ხოლო ზედაძნის მთას უძეს სამკრით გრდანი, და ჩდილოთ ხერკი, და არს ტყიანი მთა ესე და ნადირიანი, მცირე წყლიან-მდინარიანი. კვალად ზედაძნის სამკრით არს, ამავ მთის განკიდულ - გორასა ზედა, მცხეთის პირისპირ, აღმოსავლით არაგვის კიდესა, მაღალს კლდესა ზედა, ჯვარის მონასტერი, კეთილ-დიდ-შენი. აქ დაასვენა წმიდამან ნინომ ჯვარი სვეტისაგან გამოკვეთილი. შემდგომად გურამ კურატპალატმან, ჯომეფემან, იწყო ეკლესია, ვინათგან აქამდე ჯვარი უეკლესიოდ ესვენა, და ძემან მისმან დიმიტრიმ შეასრულა. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით, მუნვე კლდესა შინა, დის წყარო წმიდის ნინოსაგან სასმისად კეთილი და ჰკურნებს სენთა. და არს გარემონი მისნი მლაშე და მწარენი და იგი ფრიად ტკბი-

---

[257]) ღმერთის ზადენის გამო ამ მთას მიეჩემა სახელი ზადენ-გორა და შემდეგში ეს სახელი შეიცვალა ზედა-ზადენად, ზედაზენად (ზედა-ზენი —высь высей—წინად უნდა ყოფილიყო „ზადი (=ზადენი) ზენა"). ზედაზენი მოოხრდა შაბაზის დროითგან. ზედაზნის საყდარი ააშენა წმ. იოანემ მე-VI საუკუნეში ძველ საკერპოს (ზადენის) ადგილას. ქართველთ ეკლესია ასრე ამკობს წმ. იოანე ზედაზნელს: „ზედაზენისა მთისა სინა მყოფელი ზედა-ზენს კიბედ ზენად ზეცისად იდგამს". „ედდაქალაქი ქართველ-

ლი [258]), ამას ქვეით გრდანამდე არს ველი მთასა და მტკვარს შორისი, და არს დაბნებნი მთასა შინა მცირე წყაროთი, უვენახო, უხილო. ხოლო კეობა გრდანისა და მდინარე მისი გამო-

---

ლთა წმინდა იქმნა სწავლითა შენითა, წმიდაო მამაო იოანე, მამათა თვალო, აღიწიე მთად ზედაძნელისა, რომელიცა სთნდა სულსა შენსა, არქვ მოწაფეთა შენთა: წარვედით და განამტკიცებდით ქრისტეს სამწყსოთა, რამეთუ ახალნერგ არს ქვეყანა ესე ქართლისა".

[258]) კლდე-გორას, რომელზედაც აღმართულია ჯვარის მონასტერი, ერქვა ბორცვი. 324 წელს წმ. ნინო, მეფე მირიანი, დედოფალი ნანა და მცხეთის ერი გამოემართნენ ამ ბორცვისკენ. მოჰქონდათ მცხეთიდამ სასწაულთმოქმედის ხისაგან გაკეთებული ჯვარი, მღვდლები წინ უძღოდნენ, გალობდნენ. მოვიდნენ, ბორცვის ძირს დადგნენ ღამის თევად. აქვე ბორცვის კლდეში იყო მწარე წყარო. ნინოს ლოცვით წყარო გემრიელად იქცა და მას აქეთ დაერქვა ცრემლისწყარო. მეორე დღეს ავიდნენ ბორცვის თავზე და აღმართეს ჯვარი. ყველანი დაჩოქილ-ხელაღპყრობილნი ევედრებოდნენ ღმერთს. ზე-მაღლა გამოჩნდა გუნდი ანგელოზებისა, მაკურთხეველნი ერისა. ჯვრის ძალით უძლურნი, მკელობელნი, ბრმანი იკურნებოდნენ, მკვდრად მისუსტებულნი ცოცხლდებოდნენ. მცხეთის ჯვრის ძლიერების ამბავი სწრაფად მოედო საქართველოს, კავკასიას, სომხეთს, და ყოვლის მხრიდგან მოდიოდნენ დედაქალაქში ამ ჯვრის თაყვანის საცემლად. ასე იყო 579 წლამდე. ამ წელს სომხეთის კათალიკოს აბრაამმა უბრძანა თავის მრევლს: „გიბრძანებთ ივერთა შესახებ: ამიერითგან არა გქონდეთ მათთან ერთობა ლოცვაში, არც ჭამა-სმაში, არც მეგობრობაში, არც შვილთა კვებაში. არ მიხვიდეთ თაყვანისცემად მ ც ხ ე თ ი ს გ ა ნ თ ქ მ უ ლ ჯ ვ ა რ ი ს ა, არც მანგლისის ჯვარისა, არ მიიღოთ იგინი ჩვენს ეკლესიაში, ცოლქმრობას მათთან ერიდეთ, მხოლოდ ნება გაქვთ ივაჭროთ მათთან, როგორც ურიებთან" (კალანკატ., გვ. 216). სწორედ ამ დროს მეფე გურამი (575—600) შეუდგა ჯვრის მონასტრის აშენებას და ამოიყვანა ბალავარი. ხოლო მისმა შვილმა დიმიტრიმ და სტეფანოზმა და ადარნასემ (619—639) დაამთავრეს. სტეფანოზ მეორემ (639—663) შემო-

ხდის ზედაძნის შესართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩდილოდამ სამკრით, მერმე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, და მიერთვის ავეკალას აღმოსავლიდამ მტკვარსა. ავკალა [269]) არს მტკვრის კიდესა ზედა, სანადირო კეთილი. ამ ავეკალის ბოლოს არს კუდმარი: ჩამოვარდების მშრალი კევი ქვიტკირისლილოდამ მტკვრამდე. და ესე არს საზღვარი აწინდელი ქართლ-კახეთისა. აქამდე უწოდებენ საგურამოს ხერკითურთ, გურამიანთ გამო. განა არს ესე საგურამო ნაყოფიერი ხილით, ვენახით, მარცვლით, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა, პირუტყვითა, ნადირითა, ფრინველითა, ტყითა, ველითა და მთით შემკობილი. არამედ არ აკეთებენ აბრეშუმს აქა. განჰყოფს გარდანს აღმოსავლით ერწოს მთა, სამკრით კევძმარი, ლილო, მარტყოფი, ჩდილოთ მთა იალონი, დასავლით მტკვარი და არაგვი.

მარტყოფისათჳს. ხოლო ამას ქვეით, ლილოს მთისა და კუხეთის მთის შორის, არს მარტყოფი. გამოსდის წყალი მისი ამასვე მთას. საცხენისის კევამდე მარტყოფისა. ხოლო მას ქვეით მტკვრამდე უწოდებენ აწ ლოჯინსა, არამედ ძველად ეწოდა ომანის-კევი. ხოლო მოერთვის ამას ლილოს-მთის წყარო, დასავლეთიდამ, და ამას ქვეით ერთვის ამავ მარტყოფის წყალს კევი, გამომდინარე კუხეთის მთისა, მომდინარე აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ კევსა ზედა არს სამკრით ეკლესია ღუთაებისა, გუნბათიანი, დიდ-შენი, გარ ზღუდე-გოდლოსანი, მგზავსი ციხისა, კეთილს შვენიერს ადგილს. აქ დაადგრა

ზღუდა და აუშენა სამეფო სადგურები. გადმოცემით, ჯვრის მონასტრიდამ სვეტიცხოვლის გუმბათამდე გადაპიმულიყო წვრილი ჯაკვი და წმ. ბერები მით გადადიოდ-გადმოდიოდნენ. ერთხელ ამ „ხიდზე“ გადადიოდა მწირი, ქვეშ, არაგვში ბანაობდნენ მცხეთელი ქალები. ამათ თვალი მოჰკრა მწირმა, შესცოდა. ხიდი ჩაუწყდა... მონასტერს დაერქვა ჯაკვის საყდარი.

[269]) ავკალა==ავი ტალა. შეად. ორთაკალა==ორთა ტალა (ორს მდინარეს შორისი ტალა), სართის ტალა, ზემოკალა და სხ.

იგ მამათაგანი ანტონი და ჰყო მონასტრად ესე, ხოლო თვთ მცირედ განშორებით ქვაბსა შინა მყოფობდა მარტოდ და მით ეწოდა ადგილსა ამას მარტომყოფი, და აწ მარტყოფი. ხოლო შემდგომად, რაჟამს მოოკრდა რუსთავი, მუნებური ეპისკოპოზი მოსცვალეს აქა და ზის აქამდე, და არა შეუცვალეს სახელი, არამედ იგივეს რუსთველს უწოდებენ. მწყემსი არს მარტყოფ-საგურამო-ხერკისა. არამედ აწ აქუსცა დროშა სასპასპეტო და არიან ამის სასპასპეტოსანი გარეთკახეთი ქისიყამდე და მარტყოფ-საგურამო, და არს მემარცხნე ბრძოლასა [260]). ამ კევს ქვეით ერთვის ჭოტორის კევი, გამომდინარე უჯარმასა და ამას შორისის კუხეთის მთისა და მომდინარე დასავლით. ამ კევს ქვეით ერთვის საცხენისის კევი, მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთ მომდინარე. არამედ არს ესე მარტყოფი ვენაკოვან-ხილიანი და ყოვლითა ვითარცა საგურამო. ავითა მშვენი. ხოლო საცხენისის და ლოჭინის სამკრით არს სამგორის ველი და ჩადივარი. და სამგორს უწოდებენ სამის გორისათვს, რომელი არს ველსა სწორესა ზედა, ბალახოვანი და უწყლო. სათის ჭალამდე და გარეჯის მთამდე. სათის-ჭალის ზეით, კუხეთის მთის კალთას, არს ხორაუგი. კვალად სამგორს აქუს დასავლით ჩადივარი და აღმოსავლით კუხეთის მთა, და ხორაუგიდამ დამდაბლდების კუხეთის მთა, და მივალს გარეჯის

---

[260]) უმთავრესი ტაძარი სიგრძით $8^1/_2$ საჟენია, სიგანით $6^1/_2$. წინაპირი საყდრისა შემკულია ჩუქურთმით, კარიბჭეში გამოხატულია ხელთუქმნელი ხატი მაცხოვრისა. ორს სვეტზე დაყრდნობილია ტაძარი და გუმბათი. სვეტებზე გამოსახულია ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი. საყდრის აღმაშენებელმა ანტონიმ უკანასკნელს ხანს თვისის სიცოცხლისა 1ბ წელიწადი გაატარა მაღალს კლდის სვეტზედ. დაყუდებით. რუსთავი (ყარაიას) რომ დაანგრია თემურლენგმა, აქაური ეპისკოპოსები (რუსთველები) დაბინავდნენ მარტყოფს და ისევ რუსთველებად იწოდებოდნენ (პლ. იოსელიანი).

მთამდე. ხოლო ხორაუგის აღმოსავლით დის იორის მდინარე, ვითარცა აღვსწერეთ.

კაკეასა და ელისენისათჳს. ხოლო აწ კვალად ვიწყებთ ალაზნის შესართავიდამ. სად არს ხორანთა, მას ქვეით დიდს ალაზანს მოერთვის გიშის წყალი [261]), რომელი გამოსდის კავკასს, კულმუხსა და Ѣერეთს შორის, და მოდის გიშამდე ჩდილოდამ სამკრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით. არამედ გიში [262]) არს მთის ძირს, რომელი იყო საერისთო წუქეთისა, და ეკლესია დიდი, გუნბათიანი, და იჯდაცა ეპისკოპოზი, მწყემსი ელისენისა [263]), წუქეთისა და შაკიხის [264])ა. არამედ მიუხუნა [265]) შაბაზ კახეთს და ჰყო სასულთნოდ, და ამას ეწოდა წუქეთი და აწ უწოდებენ ალის-სულთნად. კვალად გიშის წყლის შესართავს ზეით ამ გიშის წყალს მოერთვის ჩდილოდამ ქურმუხის წყალი. გამოსდის მასვე კავკასსა და მოდის ჩდილოდამ სამკრით. ამ წყალზედ არს ქურმუხის სიმაგრე დიდ-შენი და აწ სახლი ალის-სულთნისა (იტყვიან მივიდა ვახახისშვილი წინაშე შაბაზისა, ქორონიკონსა ჩოვზ, ქართულსა სოე, გამოჰმადიანდა, და მო-

---

[261]) აწ ეგრისწყალი "(ეგრიჩაი).

[262]) გიში, შემდეგ შაკიხი, შაქი, შექი (ნუხი).

[263]) ელისენი ჰქვიან ალაზნის მარცხენა მხრის საინგილოს სოფლებს. მისგანვე წარმოსდგა „ელისო", სახელი აქაურ სულთნის სატახტო დაბისა.

[264]) გიშელ ეპისკოპოზს მე-40 ადგილი ეჭირა საქართველოს იერარქიაში.

[265]) 1117 წელს წუქეთს ჰმართავდნენ ასამ და შოთა, გრიგოლ ერისთავის შვილები. ამ წელს დავით აღმაშენებელი მოვიდა, აიღო გიში, მერე შირვნის სიმაგრე ყაბალა, დაიპყრა კასპის მხარე, დაბრუნდა განუხს და წავიდა არეხისკენ (ქ. ცხ., 245—246). მე-XIII საუკ. აქ ერისთაობდა შოთა კუპრი (ქ. ცხ., 249). ერთ ამ შოთას მიეწერება აშენება სოფლის შოთავარისა.

სელასა ერევანს მიუღო ალექსანდრეს [266]) და დასვა სულტნად იგივე აქა) [267]). კვალად ხორანთას ზეით ალაზანს ერთვის წყალი

---

[266]) ალექსანდრე II კახეთისა (1574—1605).

[267]) უკანასკნელ სულთნად იყო დანიელ-ბეგი, რომელიც 1849 წელს გაიქცა დაღისტანს და შამილმა თავის ნაიბად დანიშნა. მისს სასულთნოს შეადგენდა მხოლოდ ქურმუხის ხეობა, დასახლებული ინგილო-ქართველებითა, მუღალებითა და ლეკებით. დანიელ-სულთნის ანუ „ბატონის“ გაქცევის შემდეგ, ქართველ-ინგილოებმა, რომელნიც მანამდე ქრისტიანობას აღვიარებდნენ საიდუმლოდ, მოიწვიეს ტფილისიდამ სამღვდელოება, განაცხადეს თვისი ქრისტიანობა და მოინათლნენ (1850 წელს). მათ მოთავეებად იყვნენ ივანე ბულუღაშვილი, გიორგი ჯანაშვილი, კოსტა ბულუღაშვილი და კიდევ ოთხი სხვა ინგილო. ჯერ 70 კაცი, და მათ შორის ცნობილი დიმიტრი ჯანაშვილიც, მოინათლნენ ტფილისში და მერე დანაშთენნიც სოფ. კაკს, ალიბეგლოს, ყორაღანს და სხ. სოფელი კაკი (კახი) და მისი არემარე სავსეა ქართულ ნაშთების ნანგრევებით. გარდმოცემით, კაკი ძველად იყო 1001 კომლოვანი ქალაქი, თორაღაჲ ანუ თორღა. აქ იყო სადგური ამ ქვეყნის მმართველისაჲ. მისს უბნებში—მათეს ყალას, ფანცაურს, კეტენს, აზნაურს (საკანს) და სხ. მრავლად ჩნდება მიწაში დაფლული ქვევრები, სასაფლაოები, ბევრია ნანგრევები ციხეებისა, საყდრებისა. მთის დიდგუბის გამოშვერილს სერზედ არის კასრის საყდარი, რომელიც ააშენა არჩილ მეორემ († 718 წ.). აქ 1890 წ. მიხ. ყულოშვილმა იპოვნა ქვა შემდეგის წარწერით: „ესე „ქა ვა მიუხაზვა თავღისაშვილ ქრისტესიამ შესანდოთ შვილთა დავით და იოანნესი და ვინც შენდობა ბრძანოთ, თქუენც მოგიხსენოს ღმერთმან სასუფეველსა შინა. მოიხსენოს უფალმან სასუფეველსა შავროდანშზე, სასუფეველსა შეუნდნეს“. (პირველი სიტყვა „ქა ვა“ უნდა იყოს ანუ ქ ვ ა და ანუ „ქორონიკონსა ექვსსა“, რომელიც უფრო სარწმუნოდ მიგვაჩნია. დაწერილია ასომთავრულით და ქანი ე-ი უნდა უდრიდეს ანუ 786 წელს და ანუ 1818-ს. ინგილონი ლაპარაკობენ ქართულად, დაუცავთ ბევრი ძველი სიტყვა („გზას წასვლა“=ქართ. „იოლად წასვლა“, პაშტაჲ, სასტული=სასთაული და

ფიფინეთისა. გამოსდის იმასვე კავკასს, მოდის ფიფინეთამდე ჩდილოდამ სამკრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლით, მერმე ჩდილოდამ სამკრით. ხოლო მთის ძირს არს ფიფინეთი [268]), სად დასხნა ე მეფემან ლევან ლეკნი [269]), რათა უზიდონ ზაფხულს კავკასიდამ ყინული, და იყო არჩილამდე [270]) ეგრეთ. შემდგომად იწოდა ჭარი, და ყვეს სიმაგრე, და იქმნენ სახელოვან ბრძოლათა შინა. აქ, ჭარს ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, კარგს ადგილს, არამედ მათ გამო უქმი. ხოლო ამ წყლის შესართავს ზეით არს ალაზანი ყურედ და ყურედ და მომდინარე მომრგვალვით, და დაუტევებს შიგნით ადგილსა დიდსა ვითარცა კარით შესავალსა, და მორტყმული არს წყლითა. ამ ადგილს უწოდებენ მოსაბრუნს. აქ, ჭარის პირისპირ და ყარალაჯის ბოლოს, აღაშენეს ხანთა [271]) სასახლენი დიდ-შენნი,

---

მრ. სხ.), თუმცაღა ზოგი სიტყვა შეუთვისებიათ თათრებისაგანაც. (იხ. შენიშ. 274 და 293).

[268]) ფიფინეთი ჭარის უბანია, წილბანი. ფიფინა ბრინჯის ფუშრუკს ჰქვიან, არის გვარიც, ფიფინაშვილი. აქედგან ფ ი ფ ი ნ—ე თ ი.

[269]) ლევან მეფე (1520—1574). 1536 წ. ჯათამაზმა გააოხრა ტფილისი და წავიდა ყარაბაღს. იქვე მის წინაშე წარსდგა ლევანი, მეფე კახეთისა. ყეენმა მოწყალედ მიიღო ლევანი და გამოისტუმრა. მისს სამეფოს არ უსვენებდა შაქის (ნუხის) მმართველი ასანბეგ. ლევანი მიუხტა, დაამარცხა, მოჰკლა იგი, დაამშვიდა ქვეყანა და დიდის ნაზოვრით დაბრუნდა სატახტო ქალაქ გრემს. 1549 წელს ლეკებმა წაასხეს გალმამხრელების საქონელი. ლევანი გამოეკიდა მათ, დაეწია დაღისტნის გზახედ, დაამარცხა იგინი, ბევრნი ამოწყვიტა და ბევრნიც მორეკა და დაასახლა ფიფინეთს (ქ. ცხ., 107—108).

[270]) არჩილი გამეფდა 1664 წ.

[271]) კახეთს ჰმართავდნენ შემდეგი ხანები: სალიმხან (1657—1659), მურთუზალიხან (1659—1664), ბეჟანხან (1677—1683), ხანები (1689—1703).

არამედ აწ არს ოკერ. ამას ზეით, ბოეთანს [272]), ერთვის ალაზანს ბელაქნის წყალი. ამ წყალსა და გიშის წყალს შორისი, ალაზნამდე და კავკასამდე, არს ელისენი [273]), არამედ აწ ქურმუხს აქეთი, და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახ-ხილითა, რამეთუ ტყენიცა სავსე არიან ხილითა. ნადირნი, პირუტყვნი, ფრინველნი მრავალნი. აბრეშუმი, ბრინჯი, ბანმა მრავლად. განა ჰავითა ცხელი, ხაშმიანი ზაფხულს. არამედ მთის კერძნი კეთილ-აგარაკოვანნი და მშვენნი. ხოლო ზამთარს კეთილ-ჰაოვანი, თბილი, უთოვლო, უყინულო. მზღვრის ელისენს: აღმოსავლით მთა კავკასი, კულმუხსა და მის შორის, სამგრით ალის-სულტნის საზღვარი, ჩდილოთ წყალი ბელაქნისა, დასავლით ალაზანი. ხოლო ბელაქნის წყალი გამოსდის ხუნზახსა და ამას შორის კავკასს, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. აქ, მთის კალთას, არს ციხე მაკაბელი და სასახლე მეფეთა, რომელსა ეწოდა პირველ ნოხბპატო. აქ აღაშენა მდ მეფემან არჩილ ციხე და ეკლესია შვენიერი, უგუნბათო, და არს აწცა [274]). ამ წყალს ამ ციხესთან

---

[272]) თეიმურაზ I-მა (გამეფდა 1605 წ.) ერთი ზამთარი გაატარა ბოეთანს (არჩილიანი, 61).

[273]) იხ. 263 შენიშნვა.

[274]) საინგილოს (ზაქათლის მაზრის) დაბა-სოფელთა ადგილმდებარეობას ვახუშტი ზოგიერთგან სწორედ ვერ აღნიშნავს. მაგალ. ნუხ-პატისი (აწინდელი ნუხი) ბელაქნის წყალზედ კი არა, გიშის წყალზეა. ლაგოდეხს აქეთ კავკასიონიდამ ჩამოვარდება შემდეგი ხევები: მაწისწყალი (მაზიმ-ჩაი), ბელაქნის წყალი, მაწეხის წყალი, ჰარისწყალი, მუხახის წყალი, კაპისწყალი (ყაფიჩაი), ყუმისწყალი, ქურმუხი, კოშკის წყალი (ყაშხაჩაი) და გიშის წყალი (ეგრისწყალი). ამ წყალთა ხეობები სავსეა ციხე-ქალაქებისა, ტაძარ-მონასტრებისა, კალო-ნასოფლარების ნანგრევებით. კათალიკოზ მელქისედეკმა (მე-XI საუკ.) მცხეთის სვეტიცხოველს შესწირა დიდებული და მდიდარი მონასტერი Ѳერეთისა, კატეხის საყდარი მისის შე-

მოერთვის სხვა კევი, ეგრეთვე გამომდინარე და მომდინარე, და არს ადგილი ესე ფრიად კეთილი აგარაკი და მაგარი. აწინდელთა ჟამთა დაეშენნენ ჭარელნი, განა მოსრნა იგინიცა შანადირ, და აწ ოკერ არს [275]).

ყარადაჯისა და ქისიეისათჳს. ხოლო ბოეთნის პირისპირ და ალაზნის დასავლით არს ყარადაჯი, სასახლე, რომელი ყოველ ხანთა ვითარცა მცირე ქალაქი, და შემდგომად ოსმალთა ამ

მოსავლით, ოარი ვაჭარი, სოფ. კაკ'ს მკხოვრებნი, და დიდი დაბა ზიარი (ქრისტომ. ჩუბინაშვილისა, გვ. 203—207). 1292 წელს ბელაქანს ბრწყინავდნენ პიმენ სალოსი და ანტონი ნაოხრებულიძე: პიმენი „ვარესჯით წამოვიდა და 'დაემკვიდრა ბელაქანს ქვაბსა რასამე და ნათესავი ლეკთა წარმართობისაგან მოაქცივნა, რომელნი ჰგიან სარწმუნოებახა ზედა ქრისტესა. ამასთანა ბრწყინავდა დიდცა იგი მოღვაწე ანტონი ნაოხრებულისძე, ნათესავით მესხი (ქ. ცხ., 419). დიმიტრი მეფემ (1270—1289) სადუნ მანკაბერდელს ჩააბარა გამგეობა თელავისა და ბელაქნისა (ქ. ცხ., 412). 1604 წელს თინათინ დედოფალმა შუამთის მონასტერს შესწირა ბელაქნის მცხოვრებნი—6 კომლი ურია და 2 კომლი ქართველი (დ. ფურცელაძე, გუჯრები, გვ. 8Უ). დაშთენილა აგრეთვე ცნობა შესახებ ამ ადგილების მოხილვისა კათალ. ეფთვიმესაჯან. „სათავად-აზნაურო სიით“ წერეთელნი იმერეთს გადასახლებულან ლეკეთიდგან, ალბად ბელაქნიდგან: შტაბის რუკა ბელაქნის ხეობაში აღნიშნავს წერეთელ-ტახტს, წერეთელ-ორს (ორი ლეკურად რუ, ხევი). 1263 წელს ეს ქვეყანა აღოხრა მონგოლთა მხედარმა ალათემურმა, რომელიც აქ შემოვიდა კახეთ-კამბეჩოვანიდამ და ბელაქნის გზით გადავიდა ხუნძახს (ქ. ცხ., 399). მისის სახელით დღესაც კაკის ბოლოს აგარაკი იწოდება „ალათემურად“. ბელაქანში ბევრი ნაშთებია, ერთს მათგანს აწერია ასომთავრულით: „ქრისტე, მოიხსენე სული ბირთველისა. ესე ქვაჲ მისი არს“. შეადარე სახელები ბელაქანი, ბელაგორი („ბელას-ქნილი“, „ბელას გორი“) (იხ. შენიშ. 293).

[275]) ნადირშამ აღოხრა ჭარი 1789 წელს.

ჟამთა ჰყვეს ციხე, და აწ ჯერეთ ოჯერ არს [276]). კვალად ყარა-ლაჯის სამკრით, ალაზნის კიდურთა ზედა ასტყდების კბოდე და მივალს ვიდრე ხორანთამდე, და არს ალაზნისკენ მცირე-ტყიანი და ბალახიანი და აღვსილი ნადირითა დიდ-მცირეთი. და კბოდეს ზეით არს ველი ხორანთიდამ ქისიყამდე, წოდებული—კბოდეს ქვეით, ალაზნისკენ, წინამინდორი, ხოლო ზეით, ყარალაჯითურთ, უფუდარი [277]). და არს ესე სანადირო კეთილი. განა ყოფილ არსცა ძველად შენობა დაბნებთა, არამედ

---

[276]) ყარალაჯი ანუ ყარა-ალაჯი თათრული სიტყვაა და ნიშნავს თეალას. ყარალაჯი გადიდდა ხანების ჟამს (1657—1703 წლებში). აქ სასახლე ააგო ბეჟანხანმა (1677—1688) და მიემხრო ჭარელებს. 1688 წელს კახეთის მოთავენი ჩოლაყაშვილი რევაზ, ქიზიყის მოურავი აბელ, ელისნის მოურავი მერაბ შეითქვნენ და გადასწყვიტეს მოჰკლან ყარალაჯის ხანი, მოიწვიონ გიორგი მეფე და გააერთიანონ ქართლ-კახეთი. ეს დაწყობილობა ჩაიშალა თამაზ სპასპეტის ღალატით და დუშია მოურავის უკუდგომით. ხანი უმეტესად გადაეკიდა კახელებს, ჭარელები მოუსია კახეთს. კახელებმა ვეღარ მოითმინეს, შევიდნენ ჭარს, დაარბიეს ქვეყანა და დაბრუნდნენ. მაგრამ მზირად ჩასაფრებულ ჭარელებმა დაამარცხეს იგინი და დიდი ზიანი მისცეს. ინგილო ხუციშვილების ოთხთავის მინაწერი გადმოგვცემს: „ქორონიკონსა ტოზ (=1698 წ.) კახნი ჭარს მიუხტნენ და გატეხეს და მრავალი ზიანი უყვეს; და ჩვენ მოგვიკლეს აბელ მოურავი და ჩოლაყაშვილი ზურაბ სახლთხუცისშვილი და იქმნენ მოწამეთა თანაზიარ, თვესა მაისსა 15-სა, დღესა კვირიაკესა“ (საქართ. ისტ., 380). ოსმალნი ყარალაჯს დამკვიდრდნენ 1729 წელს, ააშენეს ციხე, გაამაგრეს ზარბაზნებით და შიგ ჩააყენეს თვისი ლაშქარი (საქართ. ისტ., 391). ქართლ-კახეთს ოსმალნი ონავრობდნენ 1724 წლიდგან 1735 წლამდე.

[277]) ადგილი ყარალაჯ—დედოფლის წყაროდგან ოორისა და ალაზნის შესართავამდე მე-XIII საუკუნითგან იწოდა უვადარად და ამ არე-მარეს მოშენდა მუღალთა (მონგოლთა) სოფლები ფარდარლო, მუღანლო. ამ მუღალთ დედოფლისწყაროს უწოდეს თუქურმიშა.

შემდგომად ბერქას გამოსვლისა ოკერ არს. კვალად ყოფილ არიან ალაზნის მოსაბრუნთა შინა ძველად შენობა ქრისტეანეთა, და შემდგომად დასხნეს ელნი, და უმეტეს ხანთა—ელი ფადარი, დიდი, მრავალი. განა იგიცა აჰყარა შანადირ იორის პირის ელითურთ. ხოლო ყარაღაჯის სამკრით, სადაცა დასწყდების Ცერეთის მთა ანუ ცივის მთა, მუნ არს ხორნაბუჯი [278]) და აწ უწოდებენ ჯოეთს. აქ, კლდესა ზედა შენი არს ციხე მაგარი და იყოცა ქალაქი კარგი. ესეცა ბერქას გამოსვლასა მოოკრდა. ხორნაბუჯის დასავლით არს ბოდბის კევი, პირველ წოდებული ბოდა, გამომდინარე ცივის მთისა, მოდის ჩდილოდამ სამკრით, და ვერ მდინარებს ველსა ზედა, სიმცირით. ამ კევსა ზედა არს ბოდბეს ეკლესია გუნბათიანი, დიდ-შენი, შვენიერი. აქ მიიცვალა წმიდა ნინო და დაეფლა აქავე [279]). აღაშენა და შეამკო საფლავი მისი და ეკლესია კე მეფემან ბაქარ [280]). ზის ეპისკოპოზი მწყემსი ქისიყისა და ვიდრე კონდოლამდე [281]) აქუს სასპასპეტო დროშაცა, და არიან სადროშონი მისნი ქი-

---

[278]) ხორნაბუჯი=ხორ-ნაბუჯი: მეგრ. ხორუა—სახლება, დასახლება (დოხორე—სასახლე; ინგ. დახალი—მიწური სახლი). შეად. ქართ. ქორი (სახლი), ხურო, ხურვა, ხუროთმოძღვარი. ნაბუჯი მიმღეობაა სიტყვიდამ ბუდე, ბუდობა (დ=ჯ: ხიდი=ხინჯი). ხორ-ნაბუჯი=ხორ-ნაბუდი, ე. ი. სახლი (ქორი) ნაბუდი, სახლი სატფური. (სამეგრელოში არის სოფელი ობუჯი, ქართულის გამოთქმით საბუდი). შეადარე ბუდი=ბუდინი=ბოდბე.

[279]) წმ. ნინო გარდაიცვალა 338 წელს 14 იანვარს და დაასაფლავეს 13 თებერვალს. სიკვდილის წინად თავისი თავგარდასავალი უამბო სიდონიასა და ფეროეავრას და მათ დასწერეს მისი ნათქვამ-ნაამბობი ანუ „ქართველთა მოქცევის“ ისტორია, შეტანილი მეათე საუკუნის შატბერდის კრებულში.

[280]) ბაქარ (342—364).

[281]) ვარიანტი უმატებს: ვიდრე ველისციხემდე და მანავამდე.

სიყით კონდოლამდე და მანავამდე, და არს ბრძოლასა მეწინა-
ვე. ბოდბელი არს პირველი ეპისკოპოზი კახეთისა, [282]) პატივი-
სათვის წმიდის ნინოსა [283]). ბოდბეს ზეით, ამ კევზედ, არს მა-
ღაროს სასახლე მეფეთა საზაფრულოდ [284]). ამავ ბოდბის დასავ-
ლით არს ლაკბის კევი, მისვე მთის გამომდინარე და ეგრეთვე
მომდინარე. და ვერცალა ეს მდინარებს ველსა ზედა. კვალად
ხორნაბუჯის ჩდილოთ არს ხირსას მონასტერი, რომელი [285])

---

[282]) ვარიანტი უმატებს: და აწცა ზის ეპისკოპოსი, გარნა არღა პირ-
ველი. ესეცა პატივისათვის მისისა ჯერეთ არა აღუღიესთ აწ, ვითარცა
სხვანი საეპისკოპოსონი ქართლისა და კახეთისანი. აქა აღაშენა ბოდბელმა
იოანე მაყაშვილმა სასახლე ფრიად კეთილი და სასახლის ეკლესია დაუჯ-
დომლობისა ფრიად კეთილ შვენიერი. ამანვე განაახლა და განაშვენა ეკ-
ლესია დიდი საფლავითურთ შიგნით და გარეთ. ეგრეთვე გარემონი მის-
ნი ზვრით, წყაროთი და მარნითურთ.

[283]) ბოდბის ტაძარი შორავს სიღნაღს ორის ვერსით. ექვსს სვეტს
უჭერია მისი ცა. სიგრძით არის $9^1/_2$ საჟენი, სიგანით—ექვსი და სიმაღ-
ლით—15. ტაძრის განყოფილებაში არის საფლავი წმ. ნინოსი. უკანასკ-
ნელი ბოდბელი იოანე მაყაშვილი გარდაიცვალა 1837 წელს.

[284]) ვარიანტი უმატებს: ამ მაღაროს კვალად ბოდბისხევის
ჩდილოთ, კარგად მოშორებით, არს ქალაქი სიღნაღი, რო-
მელი აღაშენა მეფემან ქართლისა და კახეთისამან ირაკლი მეო-
რემან, ძემან ცხებულის მეფის თეიმურაზისამან. რომლისა ზღუდე
მოავლო მაღალთა გორათა ზედა ფრიად ვრცლად, ესრეთ, რომელ
დაიტევს სრულიად ქისიყსა დედაწულითურთ. გარნა არს უწ-
ყლო. ამ სიღნაღს დასავლით და ჩრდილოთ აქვს ხევი ანაგისა, გამომდინა-
რე მისვე მთისაგან, აღმოსავლით ვაქირი, მაშრაანი და სამხრით ნუკრიანი
და წმიდისა ნინოს ეკლესია. ოლო საქუაბე (აწინდელი საქობო) არს
აღმოსავლით ამ ეკლესიისა.

[285]) ვარიანტი უმატებს: მთაში არს ეკლესია ამაღლებისა კეთილ შვე-
ნიერ ნაგები, გუმბათიანი, შეუმუსრავი და დახატული. ამის ჩრდილო ჩა-

ჰყო იგ მამათაგანმან წმიდამან სტეფანემ, დიდ კეთილ-შენი [286]). დაფლულ არს მუნვე წმიდა სტეფანე. ზის წინამძღვარი [287]). არამედ საქვაბე-ასანურამდე არს ადგილი ქისიყისა, რომელი მოხვევია მთასა ცივის მთიდამ ჩამოსულსა. ამას ეწოდა პირველ კანბეჩოვანი, კანბეჩთა სიმრავლისათვის [288]), შემდგომად ქისიყი უსაქციელობისათვის: „მქის იყი“ [289]). არამედ არიან კაცნი მბრძო-

---

მოვარდების ხევი ხირსა, გამომდინარე ცივის მთიდამ და მომდინარე აღმოსავლეთად დასავლეთიდამ. ამ ხევის კიდეზედ, ჩრ დილოთ კერძს, არს მონასტერი ხირსისა, რომელი ჰქმნა...

[286]) ვარიანტი უმატებს: გუმბათიანი.

[287]) ხირსის საყდარი (ხირსა) დიდებული შენობაა, მოზღუდვილი მაღალის გალავნით. მისი ერთ წინამძღვართაგანი იყო იოანე მანგლელი (საკაძე), რომელიც სახარებას უქადაგებდა დაღისტნელებს. 1724 წელს იგი მივიდა დარუბანდს და ააშენა ეკლესია. იქვე 1739 წელს ააშენა საყდარი ყოვლადწმიდის შობისა, ხოლო ზღვის პირად საყდარი წმ. ეკატერინესი, მანვე ააშენა საყდრები აშტარხანს ყოვლად წმიდისა და ყიზლარს ჯვართამაღლებისა. აქ, ყიზლარს, ქართველ არქიმანდრიტ დანიელმა გამართა სასწავლებელი 1738 წელს. იოანე ხირსელი † 1751 წ., 28 მარტს. მისი გვამი 1752 წელს მოასვენეს ტფილისს და დამარხეს სიონის ტაძარში. (პლ. იოსელიანი—Путев. запис. по Кахетіи, გვ. 121—127).

[288]) იგივეა კამბეჩიანი, კამბეჩანი და სტრაბონის (ცხოვრებდა 1-ლ საუკ.) Kambisene=Kambiseni. კამბეჩენი ანუ კამბეჩენნი მართლაც აღნიშნავს „მეკამბეჩეს“.

[289]) ქიზიყი=ქიციყი=ქისიყი წმ. ნინოს ცხოვრებაში იწოდება ქცელთა დაბად, მაშასადამე ეს სიტყვა (ქიციყი) წარმომდგარა ფესვიდგან „ქც“. გვგონია, „სიღნაღი“ (თათრულად მჭიდრო, ოღრო-ჩოღრო) უნდა იყოს თარგმანი „ქიციყისა“: ვინაიდგან თვით ქიცვა, ქეცვა-ც ნიშნავს მჭიდროს, შეხინცულს, შემჭიდროვებულს, მიქცეულ-მოქცეულს. „ყი“ სიმრავლის აღმნიშვნელი დაბოლება უნდა იყოს და უდრიდეს OIO-ს, ხი-ს (ჰყავ-O=ინგ. ჰყავა—Y=სვან. ხა-ყა—ხ. შეად. ფარა—ფარეხი, ქიცვა—

ლნი, მკნენი, აკოვანნი, შემმართებელნი, მაგარნი, მიმყოლნი ურთიერთთა. და უძეს ქისიყს: აღმოსავლით ველი შირაქი [290]) ალაზნამდე; სამკრით უფადარი და წინა-მინდორი ხორანთაიორამდე; ჩდილოთ მთა Ცერეთისა. ხოლო მზღვრის: აღმოსავლით ადაზანი; დასავლით ლაკბის კეკი და ხაზი მისი იორამდე გასული; სამკრით იორი ანუ მტკვარი; ჩდილოთ მთა ციკისა, კარდანეხსა და ქისიყს შორისი, და ხაზი ასანურ-საქვაბეს [291]) შორის გასული ალაზნამდე.

გადმა.მკრასა და შიგნათ-კახეთისათჳს. ხოლო კვალად ბელაქნის წყლის შესართავს ზეით მოერთვის ალაზანს მაწისწყალი. გამოსდის ხუნზახსა და ამას შორისს კავკასს, მოდის ჩდილო-აღმოსავლეთს შუადამ დასავლით სამკრეთს შუა. ამ კეზედ არს, მთასა შინა, თოდა [292]), სასახლე მეფეთა, ფრიად მშვე-

---

ქიციყი=ქიციხი.

[290]) შირაქი ფრიად ვრცელი და დიდი მინდორია, საცა შემოდგომა-ზამთარს გამოიზრდების დიდძალი საქონელი თუშ-ფშავ-ხევსურებისა და სხ.

[291]) საქვაბეს დღეს ჰქვიან საქობო (ინგ. ქობი=ქვაბი).

[292]) თოდა ანუ თორდა (ინგ. თორაღად) იყო გმირი. მას დღესაც შეაქებენ ფშავ-ხევსურნი. „თამარ მეფის ჟამს თორდაისძენი იყვნენ „თავნი კახეთისანი“ (ქ. ცხ., 297). სიმტკიცე თორდა არის რამდენიმე ადგილას, ლაგოდეხის ზემოთი თოდა, რომლის ახლოს გადადის გზა ბელაქნიდამ დაღისტანს, უნდა იყოს სომეხთ მწერლების ჩოდა, ჩორა და პროკოპიოსის (მე-VI საუკ.) Tzur. აქვე არის აგრეთვე წოორ-კაწი, ბელაქნიდამ გადასავალი ბილიკი წოორი ანუ ჭუური, რომელიც სრულიად უახლოვდება პროკოპიოსის Tzur-ს, Tzour-ს. აქ, თოდას, არის დიდი ციხე, რომლის წარწერა ასომთავრულით გადმოგვცემს: „...ბაგრატ აფხაზი (?) მშობელი გამოგუიბრწყინდა, მისი ყმავე და მხლებელი ახსართან მას გვადიდა, რანთა და კახთა მფლობელი. ციხის თავებსა არა მიეგოს კელი, რათა არ დაადნეს კელი...“ ეს ახსართან მეფედ იყო მე-XI საუკუნეში.

ნვარე ზაფხულს. ამას ეწოდა მაჯი. აქ ეყრების კეკი სხვა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. გამომდინარე მისვე კავკასიდამ. ამ ჯეობათა ზედა ყოფილა შენობა კაცთა სიმრავლით, არამედ შემდგომად შაბაზისა ლეკთა მიერ ოკერ არიან. ამ მაწის წყლის ჩდილოთ არს ველსა ზედა ციხე ტრაწუალისა, და აწ უქმი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძ ველსა ზედა, ციხე ლაკვთისა, მდ მეფის არჩილისაგან ქმნული და აწ ლაკგეთად წოდებული, მაგარი, დიდ-შენი, განა აწ ოკერი. ამან მეფემანვე აღაშენა სამორის ციხე და ეკლესია [293]). კვალად მაწის წყლისა და ამ ციხეთ ზეით მოერთვის ალაზანს ნეინის-წყალი. გამოსდის ლეკეთსა და ამას შორისს კავკასსა, და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და ველსა ზედა ფრიად გრეხით. ამ წყალზედ არს ჯიაური და ქვაბლოვანი. ამას ზეით მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ კარდანეხის წყალი. გამოსდის Ѳერეთისას ანუ ციკის მთას, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად [294]) ხო-

---

[293]) **ᲛᲓ** მეფე არჩილი † 718 წელს. ქართ. ცხ., გვ. 180: „მოვიდა არჩილ კახეთად და ყოველთა ტაძრეულთა მისთა მიუბოძა კახეთი და აზნაურ ყვნა იგინი; აღაშენა ეკლესია ს ა ძ მ ო რ ს ა და შეირთო ცოლი, ასული გურამ კურატპალატისა. და დაჯდა წუქეთს და აღაშენა კასრი (=კასრის საყდარი სოფ. კაკს), ხევსა ლაკვასტისასა აღაშენა ციხე. და პოვნა წუქეთს მთავარნი, რომელთათვის ვახტანგ მეფეს (გორგასალს) მიებოძა წუქეთი და მაშინ აბუხვასრო ერისთაობდა თუშთა, ხუნძთა (ხუნძახთა) ზედა და ყოველთა წარმართთა მთისათა, და არა ინება მისგან წაღება (წართმევა) წუქეთისა. აღაშენა ციხე-ქალაქი ერთი ნუხპატის, ორთა წყალთა შორის. ნუხპატელნი იყვნენ კაცნი წარმართნი და მხეცის ბუნებისანი, მურვან ყრუს მოესრნა იგინი და დანაშთენნი არჩილმა მონათლა. შემდეგ ადარნასეს ძმისწულთ, სამს ძმას მიუბოძა შაკიხი (ნუხი) გულგულამდის, ხოლო პატიახშთ ნატამალს—წუქეთი ციხით და კარითურთ (იხ. შენიშ. 267 და 274).

[294]) ვარიანტი უმატებს: ამ წყალზედ არს დაბა კარდანახი. მსახლო-

ლო ნეინის-წყლის ზეით, ჩდილოთ კერძ ველსა ზედა, არს ციხე კართუბნისა და აწ ცალიერი. მას ზეით, ჩდილოთკენ ველსა ზედა, გორისწყლის ციხე და აწ უქმი. ამათ ზეით ერთვის ალაზანს ბედიყრისწყალი. გამოსდის კავკასის კალთას, დის ჩდილოთ-აღმოსავლის შუადამ, მოდის დასავლეთს სამკრეთს შუა. ამაზედ არს სტეფანწმიდა მონასტერი, მამათაგან ანუ წმიდის ეფთვიმესაგან აღშენებული. ხოლო ამ წყლის შესართავის ალაზნის დასავლით, ციების მთის ძირს, არს ვეჯინი, [295]) მას ზეით, მთის კალთას, კლდესა ზედა არს ციხე შენი მაგარი და დიდ-გებული, შიგ გამომდინარე წყაროთი და ეკლესიით [296]). კვალად ალაზანს ერთვის, ბედიყრისწყლის შესართავს ზეით, გავაზის-წყალი. გამოსდის ამასა და დიდოეთს შორისს

ბელნი არიან თავადნი და გლეხნი. ამ ხევის ჩრდილოთ მცირედ ზემოთ არს ეკლესია წმიდისა საბასი, თლილის ქვით ნაშენი, გუნბათიანი, უზის წინამძღვარი და სასაფლაო არს ვაჩნაძიანთი. ამ კარდანახის ჩდილოთ არს ხევი ჩალაუბნისა, მისივე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე. ამ ხევზედ არს დაბა ბაკურციხე, მაღალს გორასა და კეთილს ადგილს. ამასა და კარდანახსა აქვს ვენახები აღმოსავლეთით და ღვინო აქაური კეთილი.

[295]) იხ. შენ. 227.

[296]) ვარიანტი უმატებს: ეკლესია ღმრთაებისა, გუმბათიანი. აქა იფლვიან ენდრონიკაანი. ამ ვეჯინის ჩრდილო არს ბანდრისუბნის ხევი, გამომდინარე მისივე მთისა. ამ ხევის კიდესა ზედა, მცირედ ზემო-ჩდილოთ კერძ, არს მთაში ეკლესია წმიდის გიორგისა, უგუნბათო, კეთილშენი, კეთილს ადგილს. (აქა იტყვიან მოწესეთ დგომასაცა). ამის ჩდილოთ არს ხევი მცირე კახთუბნისა ანუ გურჯაანისა. ამ ხევზედ მთაში ჩდილოთ კერძო წყლის კიდეზედ არს ეკლესია დიდი, ორგუნბათიანი, ღმრთისმშობლის მიცვალებისა, კეთილშენი, შვენიერს ადგილს. აქაცა იტყვიან ყოფასა მონაზონთასა და აწცა არიან. უზის წინამძღვარი და აქვსთ სასაფლაოდ ენიხელთ მოურავიანთა (ამას იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან). კვალად ამ სოფლის გურჯაანის ჩდილოთ მთის კალთას არს ახტალა, რო-

კავკასსა, და მოდის ალმოსავლეთ-ჩდილოთ შუადამ სამკრითდასავლეთს შუა.

ამას ზეით მოერთვის ალაზანს ყვარელისწყალი, გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე. ამ წყალზედ, ყვარელს [297]) ზეით მთასა შინა, არს ნეკრესი, დ მეფის ფარნაჯობისაგან ალშენებული ქალაქი იყო. შემდგომად მეფემან თრდატ ალაშენა ეკლესია დიდ შენი, გუნბათიანი. აქა დაადგრა წმიდა აბიბოს, იგ მამათაგანი, და იქმნა იგი ეპისკოპოზ, მწყემსი გალმამკრისა დიდოთურთ. ამან მოაქციენა უმრავლესნი მთიულნი, ესევ ეწამა სპარსთაგან, ვითარცა მოგვითხრობს მეტაფრასი, და დაფლული არს არს სამთავროს. და არს აწცა საეპისკოპოზო, და ზის ეპისკოპოზი, არამედ არღარა არს ქალაქი. ამასვე აქუს დროშა სასპასპეტო და არიან სადროშონი მისნი გალმამკარნი ელისენით, და მემარჯვნე [298]). ხოლო

მელსა იტყვიან ნასოფლარად და რისხვით დანთქმულსა. სადა აღმოდის კუპრი დღესაცა, ვითარცა მდუღარე, და სადა დაამტკიცებენ რეცა აღმოჰქონდეს ჟამად კოვზი, ჯამი და სხვანი სახმარნი გლეხთანი.

[297]) წმ. ნინო რომ დადგა ჟალეთს, დაბასა ედემს, და ნათელსცა ერწო-თიანელთ, ყვარელთ მიესმათ-რა ეს ამბავი, არ ინდომეს გაქრისტიანება და გადავიდნენ თუშეთს. იგინი მოაქცია თრდატ მეფემ (393—405).

[298]) ნეკრესი ანუ ნელქარი ააშენა ფარნაჯობმა (112—93 ქრ. წ.). ღვთისმშობლის ტაძარი ააგო თრდატმა (393—405). ეპისკ. აბიბოსმა ბევრი იშრომა ქრისტიანობის გასავრცელებლად კავკასიის მთიელთა შორის, მეტადრე დიდოელებისა. მოგვთა დაბეზღებით სპარსთა უფროსმა იგი მიიწვია ქართლის სოფელს რეხას, საცა აწამეს და მხეცთა და ფრინველთ საჭმელად დააგდეს უდაბნოში. გარნა ღვთის მოსავთ მოიპარეს მისი გვამი, მიასვენეს მცხეთას და დაასაფლავეს სვეტიცხოველში. 1762 წელს აქ იყო სასწავლებელი, რომლის წარსამატებლად დიდად ზრუნავდა ერეკლე მეფე. იგი სწერდა აქაურს ეპისკოპოსს დოსითეოზს: „იცოდეთ, ძრიელ მიამება, თუ ერთგულად მოეკიდებით სკოლის საქმეს“, უკანასკნელ ნეკრესელად

კვალად ყვარელის წყლის შესართავს ზეით ალაზანსავე ერთვის ჩელთისწყალი, გამომდინარე მისვე კავკასისა და მომდინარე ეგრეთვე. ხოლო ამის შესართავის პირისპირ, მცირეთ ზემორ, დასავლეთიდამ მოერთვის ჭერემის წყალი, გამომდინარე ცივის მთისა და მომდინარე ჯერეშმდე ჩდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამკრეთს შუა, მერმე დასავლეთ-სამკრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოთ შორის. ამ წყალსა ზედა არს, ალაზნის დასავლით ველსა ზედა, ვედის-ციხე [299]), და აწ უქმი. ამავ წყალზედ არს ცივისა ანუ ცერეთის მთის საშორისსა ჯერეში, რომელი იყო ქალაქი, სადაცა აღაშენა გორგასალ ეკლესია დიდ-შენი, გუნბათიანი, და ქალაქი მაგარი, და დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი შიგნითკახეთისა, და ზის დღესცა. ხოლო ამ ჭერამის სამკრით, მთას იქით, არს მანავი, კვალად ჭერემს ვეჯინს შუა და ვეჯინის ჩდილოთ, მთის კალთას, არს ახტალა, რომელსა იტყვიან ნასოფლარსა და რისხვით დანთქმულსა, აღმოდის კუპრი ვითარცა მდუღარე, და აღმოაქუს ჟამად კოვზი, ჯამი და სახმარნი გლეხთა [300]). ხოლო კუალად ჩელეთისწყალს ზეით ალაზანს ერთვის საბუე-გრემისწყალი, გამომდინარე დიდოეთსა და ამას შორის კავკასს და მომდინარე ვითარცა წინანი მდინარენი. ამ წყალზედ არს გრემი, რომელი ქმნეს ქალაქად ქორონიკონსა ჩუჯ და განდგომილებისა კახთ

იყო ამბროსი, რომლის შესანიშნავ ქადაგებათა კრებული დაბეჭდა ყ"დ უსამღვდელოეს ალექსანდრემ.

[299]) ვარიანტი უმატებს: ველისციხე, ვითარცა მცირე ქალაქი. მსახლობელნი არიან გლეხნი და სომეხნი ვაჭარნი.

[300]) ახტალას ამოდუღს ტყვიის ფერი ტალახი, რომელიც ჰკურნებს ჭარს, მუწუკს და სხ. ავადმყოფნი საბანაოდ მოდიან ივლისის დამდეგს. არის აგრეთვე ახტალა ბორჩალოს მაზრაში. იხილე შენიშვნა 296.

მეპატრონეთა, და მყოფობდენ მუნ [301]). აწცა არს შენობა და ეკლესია შეუმუსრავი. ოდეს მოაოკრა შაბაზ, მიერით არს დაბა და არღარა ქალაქი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი კეთილ-შენი, მთავარ-ანგელოზთა, და არს ე მეფე ლევან დაფლული

---

[301]) გრემი ძველის ძველი ქალაქია. „არჩილიანში", რომელიც დაწერილია 1681 წელს, არის ფრიად საყურადღებო ცნობა შესახებ თეიმურაზის მოგზაურობისა და ნადირობისა კახეთს. „...ჰიაურიდგან ჩვენ (მეფე თეიმურაზი და მისი ამალა) წავედით (1605 წელს) გავაზს, საცა ვსვით შვენიერი გავაზური ღვინო და ვიგემეთ ვაშლი. მეორე დღეს მიველით გრემს, საცა დამიხვდა დედოფალი დედა ჩემი ქეთევან სასახლის ქალებითა და მრავალის ერით. ტახტზე დამსვეს და ცოლად შემრთეს გურიელის ასული. ქორწილი გარდამიხადეს თოღას, მაგარს და მიუდგომელს ციხეში. ქორწილმა გასტანა 40 დღეს. მიძღვნეს მრავალი ოქროული და ვერცხლეული, ერთს დღეს ნაძღვენით გაივსო ათი გოდორი. ხან ვნადირობდით, ვბურთაობდით, თოფს ვისვრიდით, ვასპარეზობდით და კვლავ ვუბრუნდებოდით ნადიმს... კახეთი შვენიერი სანადირო ადგილია. საიდგანღაც აქ გაჩნდა გუნდი ინდაურებისა. პაპა ჩემმა ალექსანდრემ იგინი დაიჭირა, მოაშინაურა. აწ ინდაური ჰთელს საქართველოში მოშენდა. ინდაურები არის გრემის სასახლეშიაც. ეს შვენიერი სასახლე ააშენა მეფე ლევანმა (1520—1574). სასახლის შეჭკობილს ბაღს ამშვენებდა კვიპაროზის ხე, ალვისხე და სხ... ჩვენ წავედით სანადიროდ, ვიყავით შუამთას, გომბორს, თიანეთს, ერწოს. ეს ადგილები სავსე იყო ნადირით, კურდღლით, მწყერით და იორი კი კალმახით. ჩვენ დასახვედრად გამოდიოდნენ დიდოანი, თუშნი, ფშავნი, ხევსურნი, ქისტნი, ღლიღვნი და ძურძუკნი, და გვძღვნიდნენ ჩოხას, ნაბადს, შავს ვერძებს, გვეგებებოდნენ აქაური ქალებიც, წელწერწეტნი, თეთრნი, შავ თმიანნი... ყველაზე შესანიშნავია შვიდი მინდორი, სავსე ირმით, ჯეირნით, დათვით, ტახით და სხ. ეს მინდვრებია: წინამინდორი, შირაქი, ტარბანა, ელდარი, ყაჯირი, ლუხი, ბაიდი, გოლი, სამგორი, ჩადივარი ღა ყარაია, საცა უმეტესად ბევრია ჯეირანი. ვიყავით ბოეთანსა და თოღასაც, საცა ვიზამთრეთ, ვიყავით შამულსა და განუხსაც,

მას შინა. ამ გრემის წყლის შესართავის პირისპირ მოერთვის ალაზანს დასავლეთიდამ აკურასკევი. გამოსდის გონბორისა და ცივის მთას. ამ კევს ზეით მოერთვის კვალად ალაზანს კისის-კევი. გამოსდის გონბორის მთასა, მოდის დასავლით-სამკრეთს შუადამ ჩდილო-სამკრეთ შუა. ამ კევზედ კლდეში არს ქვაბნი მრავალნი გამოკვეთილნი. აქავ ღვინო [302]) კონდოლისა წარჩინებული. ამას ზეით ერთვის ალაზანს ლოპოტის-კევის წყალი, გამოსდის თუშეთსა და მას შორის კავკასსა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლად. ამ კევზედ მთაში არს ლოპოტი, კლდე დიდი და კლდითავე მოზღუდვილი, მაგარი და შეუალი მტრისაგან, რომელი დადგა მოსვლასა ყრუსასა. აქ მოერთვის კევი დიდოსა და ამას შორის კავკასიდამ გამომდინარე. ამ კევს ერთვის კავკასიდამ გამომდინარე კევი. ამ ორთა კევთ შორის არს ლოპოტი.

კვალად ამ ლოპოტის წყლის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის თურდოს-კევი, გამომდინარე შუამთიდამ. ამ კევზედ არს გუჯგულა, რომელსა ეწოდა პირველ ტუეტბა. ეს კევი არს საზღვარი ხერეთისა და კახეთისა. ამ კევის სათავეს ზეით მთაში არს შუამთას მონასტერი კეთილი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა ე მეფის ლევანის ცოლმან, გურიელის ასულმან თი-

---

მხოლოდ ერთს დღეს კულმუხელებს და სხვათ დავურიგეთ ასი ტყავი, მრავალი ძვირფასეული, მრავალი შვენიერი ცხენი და 60 აქლემის საპალნე აბრეშუმი (არჩილიანი, გვ. 44—60).—ორი წლის შემდეგ თეიმურაზისაგან კახეთის მოვლისა ამ ქვეყანას შემოესია (1615—1616 წ.) შაა-ბაზ I, გაქლიტა 60—70 ათასი კახელი, გადაასახლა სპარსეთს 100,000 მეტი, კიდევ 30 ათასი კვალწმინდად დაიკარგა, 10 ათასი გასწყდა მარაბდის ომში. ერწო-თიანეთიდგან წაასხა 40000 ცხვარი, ქართლიდამ 2000 ხარი. მთელი კახეთი ნანგრევად აქცია ამ უუბოროტესმა მტერმა ქართველებისამ.

[302]) ვარიანტი უმატებს: ღვინო კეთილი, კონდოლისა წარჩინებული,

ნათინ, და დაეფლა მუნვე. ზის წინამძღვარი და უწოდებენ მოძღვართ-მოძღვარს [303]). ხოლო მთა ესე ამის სამკრით ხორნაბუჯამდე არს მთა Ცერეთისა, თხემთა შიშველი და უტყეო, ბალახ-ყვავილოვანი, მცირე-წყაროიანი, კალთათა ტყიანი და ნადირიანი; მთის ძირად კალთას, იმიერ და ამიერ, შენობადაბნებიანი, ვენახოვან-ხილოვან-მოსავლიანი. არამედ შუამთა ეწოდა საშუალობისათჳს გზისა გარდასულთა სამებიდამ თელავს, და არს ადგილი შვენიერი, ყვავილოვანი; ამას ქვეით მთა გონბორი იწოდა უმაღლესობისათვის, და ამას ქვეით მთა ცივისა კარდანეხის კევამდე არს, ვინადგან აქუს იქით და აქათ ცხელნი ადგილნი. და მთა ესე არს მაღალი, აგარაკოვანი, ბალახოვან-ყვავილიანი, წყაროიანი და გრილი ფრიად. ხოლო გულგულას ქვეით, თურდოს კევის სამკრით, არს თელავი, რომელი ჰყო კვირიკემ, პირველ გამეფებულმან კახეთს და Ცერეთს, სასახლე დიდი ვითარცა ქალაქი. ხოლო მისცვალა მცირედ მეფემან არჩილ და განაახლა. აწცა არს სასახლე და ციხე, და მაგრობენ მას შინა [304]). კვალად თურდოს კევის ჩდილოთ

---

[303]) შუამთა შვენიერი ადგილია, ტყიანი. აქ ორი ტაძარია—ძველი შუამთა და ახალი შუამთა. ეს ახალი შუამთა ააშენა თინათინმა, ლეონის მეუღლემ (1520—1574). ტაძარი სიგრძით 13 საჟენია, სიგანით 6 და სიმაღლით 15. კანკელი ფრიად ლამაზია და მდიდარი. ტაძრის ხატია ხახულის ღვთისშობლის პირი. 1604 წ. აქ დაისადგურეს ბორის გოდუნოვის ელჩებმა.

[304]) შუამთიდგან თელავის შესავალს არის სოფელი ვარდისუბანი. თელავის მდებარეობა უშვენიერესია. ქალაქი გადაჰყურებს ალაზნის ველს და კავკასიონს. თელავი უძველესი ქალაქია. მისი სახელი თელავი, ალბად, წარმოსდგება არა სიტყვიდამ თელი (=მთელი ადგილი), არამედ თელა. პტოლომეოსი მას უწოდებს Teleba. იგი შეიქმნა კახეთის სამეფოს მეორე სატახტო ქალაქად კვირიკე III დიდის (1010—1029) დროიდგან. პლ. იოსელიანი სწერს: „თელავში ძველი სიმტკიცეა. ერთშია სა-

არს იყალთოს კევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთად, არამედ ვერ მიერთვის ალაზანს სიმცირით. ამ კევზედ, კახეთის მთის კალთას, არს იყალთოს მონასტერი, კეთილშენი, გუნბათიანი, ქმნული იგ მამათაგანის წმიდის ზენონისა, და დაფლულ არს მუნვე, და წმიდა არსენცა, რომელი იყო ქვეყნით კახი [305]). კვალად თურდოს კევის შესართავს ზეით ალაზანს მოერთვის შტორის კევი. გამოსდის თუშეთსა და ამას შორის კავკასსა და მოდის აღმოსავლიდამ დასავლით. თორდის ციხესთან ერთვის ამ კევს სხვა კევი, გამომდინარე მისვე კავკასისა. თორღის ციხე არს მაგარი და კლდესა ზედა ნაშენი, არამედ აწ უქმი [306]). სად მიერთვის ეს კევი

სახლე მეფისა, სასახლე კათალიკოზისა და საკრებულო ტაძარი, და მას ჰქვიან ბატონისციხე, რომელიც ოთხკუთხეა, სიგრძე-სიგანით 800 ნაბიჯი. არის აგრეთვე ციხეები ყორჩიბაშისა, ვახვახიშვილისა და ძველციხე. არჩილ მეფის სასახლე ორსართულიანია, გარნა დანგრეული. ბევრს ახსოვს კიდევ სასახლე, რომელშიაც გარდაიცვალა ერეკლე მეორე".

[305]) თელავიდგან 8 ვერსზე არის იყალთოს მონასტერი, რომლის არემარეს, ხალხის თქმით, „ერთ ნაკლებ 60 საყდარია. წმ. ზენონს გარდა მასში მარხია არსენი (ვაჩნაძე), მოძღვარი დავით აღმაშენებელისა. იგი იყო კაცი მეცნიერი და იყალთოსა და გრუმს დააარსა უმაღლესი სასწავლებელნი.

[306]) თორღის ციხე მაღალს და მიუდგომელს ბორცვზეა აშენებული. 1616 წელს ეს ციხე ფრიად გაამაგრა თეიმურაზ მეფემ და შიგ დაკრძალა თავისი ქონება. თვითონ წავიდა შაბაზის მოსაგერებლად. ყაენმა კახეთი მოტყუებით დაიპირა. თეიმურაზი ჟალეთის გზით იმერეთს გაიქცა. ყაენი მივიდა გრუმს, შევიდა მის შვენიერს ტაძარში და აღლას მადლობა შესწირა ქართველებზე გამარჯვებისთვის. მივიდა ალავერდს. აქ შეიტყო, ქართველები თორღას გამაგრებულანო. გაუსია ლაშქარი. ქართველები დამარცხდნენ. ციხე აიღო მტერმა მთელის მისის ქონებით. მარტო ალავერდელის მიტრა დააფასეს 500 თუმნად. ალავერდს ჩააყენა ჯარი,

ალაზანს, მუნ არს ლალისფერს ციხე (ვგონებ ნახჭევნად). ამ შტორის კევისა და თურდოს კევის ჩდილოთი ქვეყანა არს კახეთი, ამათ სამკრითი—Ცერეთი.

ამ შტორის კევს ზეით, ალაზნის დასავლით, არს ალავერდი, კახეთის მთის კალთის ველსა ზედა, დიდშენი, ზღუდეპალატებიანი, გუნბათიანი, რომელმან მოიგო სახელი ალჯონის გამო, რომელ არს ალონ-გვერდს, და შემდგომად ყრუსა უწოდეს ალავერდი *). აღაშენა იგ მამათაგანმან წმიდამან იოსებ და ჰყო მონასტერი წმიდის გიორგისა, და დაფლულ არს მუნვე. და იყო მონასტერი განდგომილებისამდე ქორონიკონსა ჩუჯ და ამათ ყვეს ეპისკოპოზი და მწყემსი თურდოს კევს შტორს ზეით კახეთის მთად კავკასამდე და უპირველეს კახთა ეპისკოპოზად [307]). დაიქცა ძვრით. როსტომ იწყო შენებად, არჩილ შეასრულა. კვალად დაიქცა ქრისტესგან ჩდმა ძვრითვე [208]). ხოლო ალავერდს ზეით ერთვის ალაზანს

სპარსთ აიკლეს და გააოხრეს ხერკი, საგურამო, გომბორი, კახეთი. (იხ. ‘შენიშ. 301).

*) „ღმერთმან მომცა“. ვახუშტი.

[307]) ვარიანტი უმატებს: აქა არს ხატი წმიდის გიორგისა, ნაწილიანი და სასწაულთ მოქმედი.

[208]) თელავიდგან ალავერდამდე 18 ვერსია. გზა და გზა გვხვდება სოფლები მერე („მერე“—სწორი, ვაკე ადგილი; ამავე სახელის სოფლებია დუშეთის, გორის, ახალქალაქის, შორაპნის, ართვინის მაზრებშიაც), არტოზანი, ახატელი, ჯანაანი და სხ. ტაძარი ააშენა წმ. იოსებმა მე-VI საუკ. და განაახლა კახეთის მეფე კვირიკემ XI საუკ. სიგრძით 27 საჟენია, სიგანით 13½, და სიმაღლით (გუმბათის თავამდე) 37. 1530 წელს მიწის ძვრისაგან გუმბათი ჩამოენგრა და ლეონ მეფემ განუახლა. მიწისძვრისაგანვე 1742 წ. მეტად დაზიანდა ეს ტაძარი და დიდოეთიც, და კვლავ განაახლეს. მას არტყია მაგარი გალავანი, აქვს სასახლეები. ალავერდელს ქართულს იერარქიაში ეკუთვნოდა მეხუთე ალაგი. მასში მარხიან ქეთევან დედოფა-

ახმეტას კევი. გამოსდის კახეთის მთასა, ამასა და თიანეთს შორისს, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. და ახმეტის ღვინო კეთილი. კვალად ახმეტის კევს ზეით ერთვის ალაზანს უტოს კევი, გამომდინარე კახეთის მთისა და მარილის პანკისის შუათის მთისა, მომდინარე კვეტერის ციხემდე ჩდილოდამ სამკრით, მერმე დასავლიდამ აღმოსავლეთად. ამ კევს, კვეტერის ციხესთან, მოერთვის სხვა კევი, გამომდინარე პანკისის მთისა, მომდინარე ჩდილოდამ სამკრით. ამ ორს კევს შორის არს ციხე კვეტერისა, ფრიად მაგარი და დიდ-შენი [309]). ხოლო უტოს კევის შესართავის პირისპირ, ალაზნის აღმოსავლეთის კიდესა ზედა, არს ციხე ბახტრიანი ანუ მაღრანისა, რომელმან მოიგო სახელი დაბნებთაგან მის გარემოსთა მყოფთა (ვგონებთ ლორწობანსაც ამას ანუ ამას ზეით მთასა შინა). ესე ყოფილ არს დიდშენი და მაგარი, განა აწ უქმი. ამ ციხესა და ლალისყურს შუა არს ველი ალაზანად [310]) წოდებული და სანადირო კეთილ ფრიად. კვალად უტოს კევს ზეით ერთვის ალაზანს კევი, გამომდინარე პანკის-კვეტერას შორის მცირეს მთისა. ამ კევის სამკრით არს მარიდისი [311]). ხოლო მარილისის დასავლით მთაში არს, ქაჩალურს, მონასტერი კეთილი, და აწ ცარიელი. ამის სამკრით არს მონასტერი წმიდის მარინესი, ფრიად შვენიერ-კეთილნაგები. ამის დასავლით არს კვალად მონასტერი გუნბათიანი, დიდ-შენი, ყოვლად-წმიდისა, ცხრაკარად წოდებული, შვენიერს ადგილს და აწ ხუცის ამარ.

პანკისისათჳს. ხოლო მარილისის ჩდილოთ კევი, რომე-

ლი († 1624 წ.), მეფე ალექსანდრე, მეფე დავითი, თავის დროს განთქმული მწერალი მაკრინე, თეიმურაზ II-ის და და სხ.

[309]) იხ. შენ. 227. აქ, კვეტერს, არის ფრიად დიდი, შვენიერი ტაძარი. ამ ადგილს ნაქალაქევიც ჰქვიან.

[310]) იხ. შენიშ. 255.

[311]) იმერეთში არის მარელისი, ქვიტირი.

ლი აღვწერეთ, მის კევის ჩდილოთ კერძი არს პანკისის კეობა, რომლისა შორის დის ალაზანი, და აღმოსავლით აქუს პანკისის [312]) კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი; დასავლით მთა კახეთისა, ფშავს, თიანეთსა და ამას შორისი; ჩდილოთ კავკასივე ღლიღვსა და ამას შორისი; სამკრით კევი წინთქმული და მთა მცირე კახეთის მთიდამ ჩამოსული აღმოსავლეთად ალაზნამდე, და მერმე იქიდამ ხაზი, გასული კავკასამდე. ხოლო კახეთის მთიდამ ჩამოსულის მთის ზეით ერთვის ალაზანს კევი, და გამოსდის კახეთის მთას, მოერთვის დასავლეთიდამ ალაზანს. ამ კევს ზეით ერთვის სხვა კევი. გამოსდის თუშეთსა და ამას შორისს კავკასსა, მოდის დასავლეთად. ამ კევიდამ გარდავალს გზა თუშეთს. ამ კევს ზეით განიყოფის ალაზანი ორად, და ამ ორთა წყალთა შუა არს ციხე ხორჯისა ანუ მახვიდი, მაგარი და შეუალი, არამედ აწ უქმი. ხოლო კეობა პანკისისა არს ვენახოვანი, ხილიანი, დაბალნი [313]) და მთის კერძნი, ვითარცა მთათა ადგილნი. თევზნი, კალმახნი, ტყე ნადირიანი, მარცვალთა ნაყოფიერი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა; პირუტყვნი მრავალ, განა ღორი უმრავლეს. ხოლო პანკისის კეობის სამკრით, ვიდრე ქისიყის სამზღვრამდე, უწოდებენ შიგნით-კახეთს, რომელი იმზღვრების: აღმოსავლით ალაზნის მდინარით; სამკრით ქისიყის ხაზის საზღვრით; დასავლით ცგერეთისა და კახეთის მთით; ჩდილოთ პანკისის საზღვრით. და არს ადგილი ესე ტყიანი, მცირედ ველიანი, განა ტყე უმეტეს ხილიანი, მცირე წყლიან-მდინარიანი, ვენახოვანი, ხილიანი, ღვინო კეთილი და კარგი. ფრინველნი, თვინიერ დურაჯისა და კაკბისა, რომელნი ტყეთა გვაროობენ, მრავალნი; პირუტყვნი, ცხოვარი მცირედ, სხვანი მრავლად, არამედ ღორი

---

[312]) ვარიანტში პანკისს.

[313]) ვარიანტი ასწორებს: არს ვენახოვან, ხილიან და ბაღიანი.

უმრავლეს: რამეთუ ერთ გლეხს ჰყავს ს—უ—ჩ—ტ.[314]) ნადირნი მრავალნი. მოსახლენი არიან თავადნი და აზნაურნი; და არს შენობიანი მთის ძირად. კაცნი ზნით აღწერილისაებრ გულისხმაჰყავ. ხოლო ამის აღმოსავლით არს გაჯმამკარი, რომელსა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი, ლეკეთისა, დიდოეთისა, და თუშეთისა და ამას შორისი, სადაცა გადავლენანცა გზანი მათ შინა გაღმამკრიდამ; სამკრით ელისენის საზღვარი, დასავლით ალაზნის მდინარე; ჩდილოთ მთა კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი, სადაცა გარდავალს გზა თუშეთს, და საზღვარი პანკისისა. და არს ქვეყანა ესე შემკული ყოვლითა და, უმეტეს კახეთის ადგილთა, წყლითა, წყაროთი, მდინარითა, ტყითა, ველითა, სიმაგრითა, მოსავლის ნაყოფიერებითა, ვენახითა, ხილითა. რამეთუ ტყენიცა ხილნარითა სავსე არიან, ნადირნი, ფრინველნი, თევზნი მრავალნი და უმეტეს კალმახი მთის კერძოდ. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი, და არიან მჯნედ მბრძოლნი. და Ѳერეთის ქვეყანას აკეთებენ ყოველგან აბრეშუმს, არამედ უფროს გაღმამკარსა შინა და უმეტეს ელისენში[315]). ეგრეთვე ბანბასა და ბრინჯსა სთესვენ. განა იორის პირსაცა ზედა მრავალსა სთესვენ ბრინჯ-ბანბასა.

დიდოეთისათჳს. ხოლო თუშნი და დიდონი უკѲთუ არიან წილნი ლეკოსისა, არამედ შემდგომად მეფეთა ქართველთა დაპყრობილი, ვითარცა ვიხილავთ, და მოხარკენი მათნი, და უკანასკნელის განდგომილებისა, ვინადგან დავითსა ზედა დაშთნენ ნამსახურად დიდონი, და მიერითგან მორჩილებენ კახთ მეგბატონეთა[316]). არამედ შემდგომად თუშეთი დაიპყრა ე მეფემან

---

[314]) ყოველს გლეხს ჰყავსო 200,400,1000 და 2000 ღორი.

[315]) საინგილოში.

[316]) უკანასკნელი განდგომილება იყო 1466 წელს. ამ წელს დავითმა, ალექსანდრე მეფის დიმიტრის ძემ, დაიპყრა კახეთი. მეფე გიორგი შემოებრძოლა მას. ვერ გაუმაგრდა და დიდოეთს დაიმალა. დიდოელებმა

ლევან, ამისთვის აწცა ჯერ არს აღწერად კახეთსა ზედა. ხოლო დიდოეთი არს ლოპოტისა, გრემისა, შილდა-ყვარელისა და ჭიაურის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩდილოთ კერძოსა შინა. და არს დიდოეთი ორ-კეობად, და დის მის შორის მისივე მდინარე, რომელსა ლეკეთს ეწოდების ყოზლუხი, და უმეტეს ვაკესა შინა. ამ კევის აღმოსავლეთით არს მეორე კევი, და განჰყოფს ამ ორს კევს კავკასი მათვე შორისი, და ამისი მდინარეცა მიერთვის მის მეორეს კევის მდინარესა. ხოლო მზღვრის ამ ორს კეობას დიდოეთისასა: აღმოსავლეთით კავკასი, ყაენარისა, ლეკეთისა და ამას შორისი; სამკრით მდინარე ამისივე და კავკასიიდამ ჩამოსული კავკასივე ჩდილოთ მდებარე; დასავლით მთა კავკასი, ამასა და გალმამკარის კახეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი, ამასა და თუშეთს შორისი. და არს ქვეყანა ესე ფრიად მაგარი და შეუალი მტერთაგან, მწირი, ვითარცა აღესწერეთ ოსეთი, და უმეტესადცა მისსა. განა ესენი უბილწესნი ზნითა, ქცევითა, ჰაეროვნებითა და სახითა. ენა აქუთ თჳსი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი. რამეთუ იტყვიან: ოდეს დიდმან ალექსანდრემ შემუსრა სარკინეთი, განხვრიტეს მთა იგი ამათ, მოვიდნენ და დაეშენნენ აქა; და მიერითგან არიან მასვე რჯულსა და წესსა ზედა [317]), ვითარცა ჩანს ქცევა-ზნითა მათითა;

დიდის პატივით მიიღეს. მეფე რომ დაბრუნდა, კახელებმა ჩამოიყვანეს დავითი და ბოდბეს აკურთხეს ცერეთ-კახეთის მეფედ (1469 წელს).

[317]) მემატიანის გადმოცემით, ალექსანდრე მაკედონელი რომ შემოვიდა საქართველოში, აქ, მტკვრის პირს, სარკინეთს, ციხედიდს, ურბნისს და სხ. ნახა ერი ბუნთურქი, უბილწესი ზნითა და ჩვეულებით. იგინი ყოველს სულიერს სჭამდნენ, მკვდარს არ მარხავდნენ, თვითონვე სჭამდნენ. იგინი გაუმგრდნენ ალექსანდრეს სარკინეთში. მაგრამ საქმე რომ გაუჭირდათ, გახვრიტეს კლდე, რომელიც სარკინეთს ეყუდა ჩრდილოეთის მხრით, გაიქცნენ და კავკასიონის წიაღს მიიმალნენ. ამ ბუნთურქების შთა-

რამეთუ არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა; ყოველსა სულიერსა სჭამენ. მოგვრის მამა თჳსი მცირესა ძესა თჳსსა ცოლსა და ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე, თჳთ მამა თანა-ეყოფის აღრევითა დედაკაცსა მას, ხოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მაშინ მისცემს მას ძესა დედაკაცსა მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უვის მის დედაკაცისა თანა შობილი მამასა: ნახევარს მისცემს ძესა და არს ძე ძისა მისისა, და ნახევარს დაიპყრობს თჳთ და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქრმისა. და სხვანიცა მრავალნი უკსთურებანი არიან. უვისთ მოხუცებულნი. იგინი ბჭობენ, განარჩევენ და განაგებენ და დააწყნარებენ შფოთსა და დააწყნარებენ. ბრძოლასა შეუმართებელნი და ურგებ-უძლურნი არიან, ავათ მოსილნი, ავმოიარაღენი, ყოველნი სულიად შავით მოსილნი, ეშმაკის კერძობისათჳს, შალითა და ნაბდითა. არამედ სიმაგრის გამო არიან მშვიდობით და მტერთაგან უვნოდ [318]). კელოვნება უწყიან ოსთავე მგზავსათ, და ამათი ჩოხა-ნაბადი სხვაგვარი: ჩოხა უხაო და ნაბადი ბოჭკომალალი, ვითარცა ქუნთისა, განა შავი და არა სხვა ფერი. ხოლო ლეკის მკარე დაიპყრნეს—რომელიმე ლეკთა და მოჰამადიან ჰყვეს, და სხვანი ჰგიეს და არიან ეგრეთვე. და კახეთის მკრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს. ვინათგან ზიდვენ კახეთიდამ საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარსა თჳსთა.

მომავალნი, ვახუშტის ფიქრით, არიან დიდონი. ესრეთი განმარტება ჭკუაზე ახლოა: პლინიუსი (29—79 ქრ. შ.) მათ იხსენიებს დ ი დ უ რ ე ბ ა დ, ხოლო დიდური წარმოებულა სიტყვიდამ დ ი დ ი (დიდი—დიდური) ანუ ც ი ხ ე-დ ი დ ი, რომელიც მათ წინაპართ, ალბად, ეჭირათ.

[318]) ქ. ცხ. გვ. 333: თამარ მეფე დვინს იყვის, ხაფხულ—ჯოლას და ცელისტბას, ხოგჯვრ აფხაზეთს, გეგუთს, ცხუმს. ამ დროს იწყეს გა-

თუშეთისათჳს. ხოლო თუშეთი არს ლოპოტისა, თორ-ღისა და პანკისის აღმოსავლით, კავკასის მთის ჩდილოთ კერ-ძოთა შინა, და არს ორსკევად, და მდებარებს ჩდილო-დასავ-ლეთის შუადამ აღმოსავლეთა სამკრეთს შორის, და უდის შო-რის მდინარე თჳსი, და მიერთვის სონა მდინარეს, რომელი განვლის ჩაჩანს და მიერთვის ბორალანს თერგის მდინარეს. ხოლო პანკისის გარდასწორ კავკასს იქით არს წოგა, წოვას ქვეით გომეწარი და მას ქვეით ჩაღმა. და ჩაღმიდამ გარდავალს გზა თორღას და ლოპოტის კევზედ. და არიან დაბნები ესენი უმჯობესნი, და სხვანი დაბნები არიან ჯზ. ამის ჩდილოთ არს ფარსმანის თუშეთის კევი, რომელთა უძეს შორის კავკასიევ. და არს ფარსმნის-თუშეთს დაბანი ჯვ და განჰყოფს ფარსმანსა და წოვა-გომეწარ-ჩახმართის კევთა ქისტ-ღლიღვიდამ წამოსუ-ლი კავკასი, აღმოსავლეთ-ჩდილოთ შუა მდებარე; და მზღვრის ორსივ თუშეთს: აღმოსავლით კავკასი ჰავარსა, ჩაჩანსა და ამას შორისი; სამკრით კავკასი ამასა და დიდოეთს შორისი; დასავლით მთა კავკასი ამასა და კახეთს შორისი; ჩდილოთ კავკასი ამასა და ღლიღვ-ქისტს შორის. არამედ არს ქვეყანა ესე ყოვლითავე, ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი, სიმაგრით, მო-სავლით, პირუტყვით, ნაყოფიერებით და კელოვნებით. არა-

---

ნდგომა ფხოელთა და დიდოთა. დიდონი უკვე მშთვარსა და უხარშავსა ჰამენ, მრავალნი ძმანი ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად; რომელნი-მე უჩინარს რასმე ეშმაკს თაყვანს სცემენ და ზოგნი—უნიშნოსა შავსა ძა-ღლსა. ხოლო ფხოელნი ჯვარის მსახურნი არიან და ქრისტეანობას იჩე-მებენ. ამათ იწყეს რბევად, ხოცად და ტყვეობად. თამარ მეფემ მოუწოდა მთიულთა, დვალთა, ცხრაზმელთა, ხეველთა, ხადელთა, ცხავატელთა, ჯა-რთალელთა, ერწოთიანელთა, ჩაბარა იგინი ივანე მხარგრძელს და წარ-გზავნა მთასა ფხოელთა და დიდოთა. ძურძუკნიც მოეგებნენ და მოეხმარ-ნენ. დარჩნენ იქ სამს თვეს (ივნისს, ივლისს, აგვისტოს), დიდო-ფხოელთ მოსცეს მხევლები, მორჩილება აღუთქვეს. ივანეს ლაშქარი დაბრუნდა.

მედ კახეთის თუშნი ინახვენ ცხოვართა სიმრავლესა, ვინათ-
გან აქუთ ზაფხულს თჳსთა მთათა შინა საძოვარი და ზამთარს
ჩამოვლენ გაღმამკარსა შინა, და ამით უმეტეს მორჩილებენ
კახთა. ხოლო ფარსმანი უფროს მწირ არს, განა ამათ მიერ
იგინიცა გამოიზრდებიან კახეთით: რამეთუ მათ მოჰყავთ და
ვაჭრობენ. არამედ იგინი არა ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა,
ხოლო ესენი მორჩილნი, მოლაშკრენი და მეხარკენი არიან.
და არიან ბრძოლასა შემმართებელნი, მკნენი, ძლიერნი, მკე-
დარნი წარმატებულნი და უსაქციელონი, ბრიყუნი. რამეთუ
ოდეს შობს დედაკაცი, არავინ მიეახლების, არამედ განუტე-
ვებენ შორს მარტოდ, და შობისა შემდგომად მ დღეთა მოი-
ყვანებენ შობილითურთ. ხოლო უკეთუ ვინ მდედრი იყოს
გულითა კაცთაგანი და ივლტოდეს ბრძოლასა შინა, ამას აჭ-
მევენ ძაღლთა თანა, გობასა შინა ძაღლთასა და არღარა კაც-
თა თანა. ხოლო სარწმუნოებითა და ენითა არიან ქართული-
თა; აწ მწყსის ალავერდელი მიმტაცე ხარჭაშნისა. არს ეკლე-
სია მცირე, აღშენებული ძველითვე, და უვისთ ხუცესნი,
არამედ უმეტეს უცნობელნი ჭეშმარიტებისანი: რამეთუ აქუსთ
კლდე დიდი და მაღალი და დღესა ილია წინასწარმეტყველი-
სასა მივლენ და შესწირვენ მას კლდესა ცხოვარსა და ძრო-
ხასა, და თაყვანისცემენ კლდესა მას, და რა იგი ესმის კლდი-
სა მისგან, რწამთ უმეტეს ყოვლისა იგი. ხოლო რომელნი არი-
ან მკარეთა ქისტთა და ღლიღვთა, უწყიან ენანი უფროს მა-
თნი. განა ფარსმანის კევისანი სარწმუნოებით და ენით შე-
რეულნი არიან, ვითარცა ქისტნი. არა იქმნების მათ შინა სი-
ძვა ანუ მრუშება, და უკუეთუ მძლავროს ვინმე და შეეხოს
მის თანა [319]), მოიკლავს თავს დედაკაცი იგი, და კაცსა მას
მოჰკულენ თემნი და მცნობი არა ილტვის სხვათა ქვეყანასა.

ქმნულება და ცხოვრება ოერეთისა და კახეთისა. ხოლო

---

[319]) ვარიანტი ასწორებს: შეეყოს მისთანა.

რაჟამს მოვიდა Ცეროს წილსა თჳსსა ქვეყანასა, აღაშენა ქალაქი ორთა ალაზანთა შესაკრებელთა შორის, და უწოდა სახელითა თჳსითა Ცერეთი, და დაიპყრა ქვეყანა წილ-ხდომილი თჳსი: სამკრით ხორანთიდგან მტკვრამდე და კავკასამდე, საზღვარი მოვაკანისა; ჩდილოთ ხუნანიდამ გულგულამდე და კავკასამდე; აღმოსავლით კავკასი, დასავლით მტკვარი. ამათ შორისი ქვეყანა არს Ცერეთი, რომელსა შინა დაეშენა. და შემდგომად განითესნენ ნათესავნი და ძენი მისნი ქვეყანასა ამას შინა, და იყვნენ თჳთ იგი და ნათესავნი მისნი მორჩილებასა შინა ქართლოსისასა და მცხეთელ მამასახლისისასა, ჟამად და ჟამად განდგომილნი, ვითარცა აღვსწერეთ. ეგრეთვე კახოს და კუხოს და ნათესავნი მათნი, ვიდრე პირველის მეფის ფარნაოზისამდე. ხოლო მეფემან ფარნაოზ დასვა კახეთისა და კუხეთის ერისთავი ერთი, და შემდგომად დასვეს Ცერეთის ერისთავი სხვა, და თუშთა, დიდოთა და ხუნზახთა სხვა, ვითარცა იწერვის ჟამსა შინა მდ მეფის არჩილისასა [520]). არამედ

---

[520]) დიდოეთს, თუშეთს და ხუნზეთს (ხუნძახს) არჩილ მეფის († 718) დროს განაგებდა აბუხვასრო, შთამომავალი იმათი, რომელნიც ამ ქვეყნების გამგედ დაედგინა ვახტანგ გორგასალს. კვალი ქართველობისა ღლიღვს, საჩეჩნოს და ხუნზს დღესაც არ გამქრალა. საჩეჩნოს, მდ. ასსის ხეობაში, არის ძველი ტაძარი, რომლის ქართული წარწერები იხსენიებენ აქაურს ერისთავს (830 წელს), ეპისკოპოზ გიორგის და სხ. ხუნძახის ახლოს აგრეთვე არის ტაძარი „დათუნა“, რომლის ქართული წარწერა წაიკითხა ე. თაყაიშვილმა (ქართ. მატიანე, გვ. 58). ყაბარდოსაც აღმოჩნდა ქართულ წარწერიანი საყდარი. რომ ქართველებს დიდი ზე-გავლენა ჰქონიათ აქაურობაზე, ეს სჩანს, თუნდა იმ ქართულ სიტყვებით, რომლითაც სავსეა ჩაჩნურ-ღლიღვური ენა. რამდენიმე მაგალითი: ორშაბათი—ო რ შ უ თ, პარასკევი—პ ე რ ი ს კ ა, შაბათი—შ ო თ, კვირა—კ ი რ ი ნ დ ე; ბზა—ბ ა. ზ ა, ხევი—ხ ი, ხე—ხ ე ნ, მახათი—მ ა ხ ა, მანგალი (ნამგალი)—მ ა ნ-გ ა ლ, ქათამი (მეგრ. ქოთომი)—კოთამ, დედა (ნენა)—ნ ა ნ ა, (ლეკ. ნ ი-

ოდესმე დასმიდნენ ძეთა თჳსთა მეფენი, ვითარცა მისცა მირიან რევს და ბაქარ რევის ნათესავთა და ჩამომავალთა, ხოლო ვახტანგ-გორგასალ მისცა ძესა თჳსსა დაჩის [321]). და შემდგომად ადარნასე ხოსროვანი ერისთობდა Ცერეთს, ჟამსა შინა მეფისა გურამ კურადპალატისასა. გარნა იყუნენ მარადის ესენი მორჩილებასა და მსახურებასა შინა მეფეთა ქართველთა. ხოლო შემდგომად იოვანესა და ჯუანშერის გარდაცვალებისა განდგა გრიგოლი მთავარი და დაიპყრა კახეთი და გარდაბანი, და ესე იყო პირველი განდგომა თავადად [322]) და ამის განდგომილებიდამ დავით აღმაშენებელის ერთმეფობამდე ისხდნენ მთავარნი კახეთს და მეფენი იდ. არამედ Ცერეთი დაიპყრეს ძმისწულთა ადარნასე ბრმისათა, რომელთა დასწუნეს თვალნი მამის ძმისა; და არჩილ მოწამემან მიუბოძა ამას შაკიხი და ცოლი აბუხოსროსი, და ამის ძეთა დაიპყრეს შაკიხიდამ გულგულამდე და შემდგომად ჯუანშერის სიკუდილისა დაიპყრეს სულიად Ცერეთი და იწოდეს მეფედ, და დასხნეს ერისთავნი, ვითარცა იწერვის: ერისთავი შტორისა [323]), ერისთა-

---

ნ ო), ვირი—ვ ი რ, არე—ა რ ი, ცეცხლი (წვა)—წ'ე, ყბა (ბაგა)—ბ ა გ ა, ხპილო (პილო)—პილა, ძაღლი (სვან. ქელ)—ქალი, რემა (ჯოგი, ნახირი)—რ ე მ ა, ძუ—ძ უ დ, ჩოხა—ჩ ო ა, ქუდი—ქ უ ჲ, გურგალი—გ ო რ გ ა ნ, ცალი—ც ა ჲ, ათი (მეგრ. ვიოთი)—ი თ, ვინ (მეგრ. და ინგ. მ ი ნ) =მ ი ლ ა, ისთე—ი შ ტ ი. აქვე დავუმატებთ: ჩაჩნის ლაუდაევის თქმით ამ ქვეყნის კეთილშობილი წოდება უმეტესად გადმოსახლებულა საქართველოდგან.

[321]) ვახტანგმა დაჩის მისცა ქალაქი ჰერამი, ნეკრესი და ქალაქი კამბეჩისა, რომელ არს ხორნაბჯჯი, და ყოველი ქვეყანა მტკვარსა აღმოსავლით, და თვით გორგასალ დაჯდა უჯარმას (ქ. ცხ., გვ. 146).

[322]) ვარიანტი ასწორებს: განდგომა მთავრად და თავადად.

[323]) იხ. შენიშ. 227, 321.

ვი ხორნაბუჯისა [324]), ერისთავი ვეჯინისა, ერისთავი მაჯისა. გარნა არა არს უწყებული, თუ რავდენნი მეფენი ისხდნენ, და სახელნი მათნი ვიდრე კვირიკეს ვ ქორიკოზისამდე [325]), არამედ ამ შლილობაებთა შინა იყუნენ იგინი მშვიდობით. და ოდეს მოვიდიან მძლავრნი, მისცემდიან ხარკთა და დაიმშვიდიან. ხოლო წელსა ქრისტესსა შიზ [326]), ქართულსა რდზ, მოიხსენების სახელი ადარნასე პატრიკისა და ძისა მისისა, დინარ დედოფ-

---

[324]) ზემოხსენებული (შენიშნ. 316) დავითის ძე გიორგი გამეფდა კახეთში 1471 წ. ამან მოსპო ერისთავნი (იხ. ზემო შენ. 227) და დანიშნა მოურავნი ქისიყს, ელისენს, წუქეთს, დიდოეთს, თიანეთს, ჭიაურს, შილდა-ყვარელს, მარტყოფს, გრემს, პანკისს, და ყველანი ჰყო ოთხ სადროშოდ და, რომ მოურავნი არ გაძლიერებულიყვნენ, ეს დროშანი მათ კი არ ჩააბარა, არამედ ეპისკოპოსებს (რუსთველს, ნინოწმინდელს, ბოდბელს და ალავერდელს), ალავერდელი ჰყო თავ-კახთა ეპისკოპოსებისა. გრემი გაადიდა და სატახტო ქალაქად გამოაცხადა. აგრეთვე მოსპო სახელი Ცერეთისა, „არა მისცა მთავართა ძალი, არამედ თვით დაიპყრა“. თვითონ თავის თავს უწოდებდა მეფედ და სხვები კი ეძახდნენ კახბატონად. ფშავ-ხევსურნი და თუშნი მას არ ემორჩილებოდნენ და დიდონი კი ერთგულებდნენ. უხუნ-ყეენი რომ შემოვიდა და მოსრა ხერკი, საგურამო, მარტყოფი და თიანეთი, ეს გიორგი მიეგება მას და უძღვნა ქალ-ყრმანი. (ქ. ცხ., 103).

[325]) 3 კვირიკე ქორიკოზი † 915 წ. ამის დროს შემოვიდა ამირ აგარიანი, აიღო უჯარმა და ბოჰორმა. კვირიკე მიეგება მას. აგარიანმა შეიწყნარა, ამით გაბნევებული კვირიკე გადაემტერა Ცერეთის მეფეს ადარნასეს. შემდეგ ადარნასეს წინააღმდეგ კვირიკემ მოიყვანა აფხაზთა მეფე კოსტანტინე (915 წ.). შეეიწროებული ადარნასე დაუზავდა კვირიკეს სოფელ ვეჯინს და ამის შემდეგ ველარ იკადრა მეფედ წოდება, არამედ იწოდებოდა პატრიკად.

[326]) 917 წ.

ლის ქრმისა, და ძისა მათისა იშხანიკისა[327]), რომელნიცა აღ-
ვსწერეთ რიგოვანად თჳს რიგსა ზედა.

[327]) Ცერეთის პატრიკმა ადარნასემ თავის შვილს შერთო ცოლად
დინარი, ასული ადარნასე ერისთავთ ერისთავისა († 898 წ.), ძისა გურგენ
მამფალისა არტანუჯის მფლობელისა და ძმისა აშოტ კუხისა, († 918 წ.)
ტბეთის ამშენებელისა. დინარის ძე იყო იშხანიკი. აქამომდე Ცერეთი იყო
მწვალებელი და ამ დინარ დედოფალმან აქაურნი სომეხთა წვალებისაგან
მართლმადიდებლად მოაქცია (ქ. ცხ., 97). ბაგრატ მეფემ (980—1014)
დაიპყრა კახეთ-Ცერეთი, კახეთის ქორეპიზი კვირიკე და დინარ დედოფალი
წამოიყვანა და „დაიმბირა თვისსა კარსა ზედა" (ქ. ცხ., გვ. 210).

ა ღ წ ე რ ა

აწინდელისა ოვსეთისა ანუ კავკასიათა შინათა.

ესახელისათჳს. ქვეყანა ესე, რომელსა აღვსწერთ, წილხდომილ არს კავკასოსი, ძისა თარგამოზისა. ხოლო მოვიდა რა ორნი ესე ძმანი, ლეკანს და კავკასოს, ლეკანს დაიპყრა წილი თჳსი, და გამოსვლასა ხაზართ მეფისასა [328]), მისცა მამის ძმისწულსა თჳსსა ხაზართ მეფემან ტყვენი რანისა და მოვაკანისა და ლეკანის წილი ქვეყანა, და დაეშენა თჳსითა და მით მუნ, ხოლო ხოზონის, რომელი უწარჩინებულ იყო ნათესავთა ლეკანისთა, შემოვიდა მთათა შინა და აღაშენა ქალაქი, უწოდა სახელი თჳსი ხოზონსეთი, და ხარკს მისცემდა ხაზართა; ხოლო კავკასოს დაიპყრა ქვეყანა ლეკანის საზღვრიდამ ვიდრე პონტოს ზღვამდე, კავკასის მთის ჩდილოთი ველითურთ, და ამისგან ეწოდა მთასა კავკასი და ველსა ოსი, ბოლოს მონა-

---

[328]) ხაზართ გამოსვლა ანუ ხაზართ შემოსევა საქართველოსა და სომხეთში იყო მე-VII საუკ. ქრ. წ. ხაზართ ჯერ დაუწყეს ბრძოლა ლეკებსა და კავკასოს ნაშენობას, რომლის მბრძანებელი იყო დურძუკი (ძურძუკი) ტირეთის ძე (ტინენისძე). ამათ ქართველებს სთხოვეს შემწეობა. ესენიც შეიკრიბნენ, გადავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიას, მოსტყვენეს ხაზარეთის საზღვრები, ააშენეს მისს საზღვარზე ქალაქები (ციხეები) და დაბრუნდნენ. გავიდა მშვიდობით რავდენიმე ხანი. ხაზართ დაიდგინეს მეფე ჩინებული და დიდის ლაშქრით გამოვლეს დარუბანდის კარი, შემოესივნენ საქართველოსა და სომხეთს, შემუსრეს ქალაქნი არარატის მხრისა და

წყვეტი კავკასოსი: ვითამ მისი გამოსვლამდე ხაზართა [329]). არამედ ხაზართა მეფემან მისცა ქვეყანა კავკასოსი ძესა თჳსსა ურბანოს და ტყვენი ქართლ-სომხეთისანი. ამან მოსწყვიტა ნათესავი კავკასოსი და დაეშენა აქა თვისითა და ტყვითა მით, და უწოდა ოვსეთი, ესე არს ხაზარულად „ზოგი თესვად" [330]): ვითამ ზოგი მოვსწყვიდე და ზოგი დავსხი თესვად. ვითარცა

სხვა ადგილებისა, ხოლო ვერ აიღეს თუხარისი (ციხე-ქალაქი ჰორეზის ხეობაში), სამშვილდე და მტკვრისციხე (ბუნანი). ხაზართ მეფემ ტყვედ წაასხა მრავალი სომეხი და ქართველი და ეს ტყვენი მისცა თავისს შვილს უობოსს და დაასახლა იგი კავკასიოსის წილხდომილს ქვეყანაში, კავკასიონის გადადმა თერგიდგან აზოვის ზღვამდე, და ამ უობოსის ნათესავთაგან წარმოსდგნენ ოსნი, რომელთა ქვეყანას დაერქვა ოვსეთი. იმავე ხაზართ მეფემ ტყვენი რანისა და მოვაკანისა მისცა თავისს მამის ძმისწულს და დაასახლა ლეკანის წილხდომილ ქვეყანაში კასპიის ზღვითგან ოვსეთის საზღვრამდე, ხოლო ხოზანისი, უფროსი ლეკთა, შეივლტო მთის ნაპრალებში, ააშენა ქალაქი ხოზანიზეთი ᲦᲐᲛᲐᲒᲠᲓᲐ (ქ. ᲪᲐ. ᲒᲕ. 22). ეს ხაზართა მეფე იყო მადიასი. ამ ხაზართ (სკვითთ) დაამარცხეს კიმვრნი, კასპიის ზღვის დასავლეთითა და კავკასიონის ჩრდილოეთ მინდვრებში მცხოვრებნი, და შერეკეს მთებში, მერე მადიასის წინამძღოლობით დაეშვნენ მიდიისკენ (625 წ. ქ. წ.) და 18 წლის განმავლობაში ონავრობდნენ აქ, შემდეგ ზოგი ისევ უკანვე დაბრუნდა და დანაშთენნი გაქლიტეს (ფრ. ლენორმან. Руководство др. исторіи Востока, ტ. 2, გვ. 184—186). „ხაზარ" ოსურად ნიშნავს სახლს და ხაზარეთი უნდა ნიშნავდეს მოსახლეთ-ს.

[329]) კავკასოსი: ამ სიტყვის დაბოლოვება ვახუშტს მიაჩნია სიტყვად ოსი (კავკას—ოსი). ეს ახსნა ირღვევა მით, რომ ძველად ამ ერს ქართველები ეძახდნენ ოვსს და მათ ქვეყანას—ოვსეთს. გვგონია, ესრეთი სახელწოდება წარმოსდგა ამ ერის წინაპარის უობოსის სახელისაგან ანუ, უკეთ ვსთქვათ, თვით ქვეყნის უობოს სახელი გადაკეთდა ობოს-ად, ობს-ად(მეგრულ. ოფსი), ოვსად და ოსად (ვ ისპობა: ცხორება=ცხოვრება).

[330]) ოვსეთი ვახუშტს რუსული „Ов сѣти" (сѣяти) ჰგონია!

უწოდეს ბარდოსის წილს რანი: ესე არს წყლულნი [331]), რამეთუ მუნ მოსწყვიტნეს უამრავნი მძორთა უტევარნი. ხოლო ძე ტინენისა დურძუკოს უწარჩინებულეს იყო ნათესავთა შორის კავკასოსა, შემოიევლტო კავკასის მთასა შინა, აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თჳსი; ამის გამო ეწოდა არაგვს აღმოსავლის კერძს, ლეკეთის საზღვრამდე, ძურძუკეთი, ხოლო არაგვისა დასავლით, რომელ არს მდინარე ლომეკი და აწ თერგი, რომელი დის კევიდამ, კავკასთა შინათა, დვალეთი, მისვე ურბანოსისაგან ხაზარულათ, ესე იგი არს „ორი წელიწადი“: [332]) ესე იგი არს რამეთუ ვინადგან ძურძუკეთსა შინა მცხოვრებელნი და კავკასთა შინა მცხოვრებელნი ხარკსა მისცემდნენ ურბანოს, ამისთჳს ორი წელნი უწოდეს, რამეთუ ორის წლისა შემდგომად ხარკსა გამოართმიდენ, რომელი დღესაც ეგრეთვე მოხარკენი არიან თჳს თჳსთა უფალთა, რომელსა უწოდებენ საჩუქარსა აწინდელს ჟამსა. ხოლო შემდგომად ფარნაოზის გამეფებისა, დარჩა ფარნაოზს ძურძუკი და დვალეთი, და სხვანი კევნი იგინი დაშთენ მეფეთა თვისთასა, და იწოდენ კევნი იგინი ოვსეთად, შემოსახლებითა და დამონებითა მათითა მათგანვე. ხოლო შემდგომად კვალად განიყო ძურძუკეთი ძურძუკად, ქისტად და ღლიღვად, და ისახელა ესრეთ ანუ ძურძუკოს ძეთაგან ანუ შემოსულთა ოვსთაგანვე. არამედ დვალეთიცა განიყოფების კევ-კევად და იწოდების კევნი ესრეთ: ჯასრისკევად, ზრამაგად, ულდედ, ნარად, ზრდგოდ და ზახად. ხოლო რომელნი დაშთენ მეფეთა ოვსთა, სახელონი მათნი არიან ესენი: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი, და სახელნი ესენი ეწოდნენ ანუ დაბებთაგან, განა

---

[331]) რ ა ნ ი ვახუშტით წყლული (თარგმანია რუსულის სიტყვისა рана!)

[332]) დვალეთი ვახუშტს მიახნია „два лѣт“-ად! მაგრამ ეს სახელი წარმოსდგება სიტყვიდამ დ ვ ა ლ ი (შად. დვალიშვილი, დვალი, დვალიძე) და არა ფრაზიდამ „два лѣта“.

უმეტეს შემოსრულთა ოსთაგან, რომელნი შემდგომად ჩინგიზყეენთა მოსულისა ბათო-ყეენმან მოსრნა ოვსეთი და მოაოკრნა, ხოლო ოვსნი შემოივლტოდნენ კავკასიათა შინა, და იწოდნენ სახელითა მათითა კეობანი ესენი ესრეთ, ვითარცა აჩენს გვარნი მათნი: რამეთუ უწარჩინებულესნი გვარით არიან ოვსნი, და გვარნი ოვსთანი ესენი არიან: ბასიანი, ბადელიძე, ჩერქესიძე, თაგაური, ქურთაული, სიდამონი და ჭახილიძე. ხოლო შემდგომად მოოკრებისა ოვსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიასა შინა იწოდნენ: ოვსეთი—ჩერქეზად ანუ ყაბარდად და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან, ოვსეთად; რამეთუ აწცა გვარიანთა მათ უწოდებენ ოსად, ხოლო სხვათა უგვაროთა—კვალად დვალადვე. არამედ კევი, რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, არს დვალეთისავე, განა ვინათგან მტკიცედ დაიპყრეს მეფეთა ქართლისათა, იგი უწოდეს შეცვლილითა სახელითა კევად, ვინადგან არს კევი შვენიერი. არამედ თრუსო კვალად არს დვალეთისავე და ეგრეთ საცნობი ესეცა.

ხოლო აწინდელისა ამის ოვსეთისა საზღვარი არს: აღმოსავლით, თრუსოსა და კევის საზღვარი, მერმე მყინვარის კავკასი და ახოტის კავკასი, რომელნი ძენან სამკრიდამ ჩდილოდ და დასწყდების კევის ბოლოს მდინარესა ზედა ლომეკსა, მერმე ლომეკის მდინარე ვიდრე ხეთაძე ჩერქეზის მთამდე; სამკრით მზღვრის კავკასი, კევის ყელიდამ წარსრული დასავლეთად, რომელ არს ბრუცსაბძელამდე, და ზეკარა, კედელა და რაჭა-დიგორ-ბასიანს შორისი კავკასნი. ხოლო ჩდილოთ, ჩერქეზსა და მას შორის მთა მაღალი, და ჩერქეზის კერძოდ ტყიანი და ოსეთის კერძოთ უტყო, არამედ ღელეებთა შინა მცირე-ტყიანი; და დასავლეთით მზღვრის კავკასი-ვე რაჭასა და ღელეს შორისი, მერმე ბასიანსა და სვანეთს შორისი.

ქვეუნისათჳს. ხოლო ქვეყანა ესე არს მაგარი და შეუა-

ლი უცხოს მტერთაგან, მაღლის მყინვარის და თოვლიანის მთის მიერ, რომლისა ყინულის სიმაღლე არს კ და ღ მკარი ზაფხულის, კვალად სივიწროვისაგან და მაღლის კლდის ქარაფოვანთაგან, და მდინარეთა დიდთა და ჩქართა მომდინარეთაგან, რამეთუ ძნიად განვალს ცხენი ფონად, თუნიერ ხიდისა, არამედ მცურავთაგანცა არა ძალიდების ცურვად. არა არს აქა ტყე მცირეთაგან კიდე, და იგიცა უმეტეს არყნალი, განა მდინარეთა კიდეთა და ღელოვანთა შინა, რამეთუ სივიწროვე სიცივისა და კლდოვანობის გამო ვერ იზრდების, გარნა ვიეთნი ზიდვენ ჩერქეზის მთიდამ, და სხვანი სწვენ წივასა. ხოლო სიგრძე ამის ქვეყნისა არს კევიდამ სვანეთის კავკასამდე, და განი ქართლის კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე. არამედ ნაყოფიერება ამ ქვეყნისა არს მცირედი, ვინათგან არარაიმე მარცვალნი ნაყოფიერებენ თუნიერ ხორბლისა, ქრთილისა და შვრივისა, სიცივის, გვიან გაზაფხულისა და ადრე შემოდგომისათუს. განა ამასაც ვერ სთესვენ მრავლად, უმიწობისა და კლდოვანობის გამო. გარნა, რა იგი დასთესონ, ფრიად ნაყოფიერებს და მრავლად, და უკსთუ მოვიდეს სეტყვა, რომელი ხშირობს მათ შინა, მოყმდებიან ძლიერად. კვალად არარაი მოვალს, და უწყიან მტილისანი ანუ წალკოტნი და ხილნი, განა ვიეთთამე ადგილთა იპოების კოწახური, კლდის მერსენი, უელი და ასკილი. პირუტყვნი არიან ცხოვარნი უდუმო-კუდიანი და მომცრო, ძროხა, ცხენი, თხა, ღორი, არამედ არა მრავლად, განა არიან ფრიად გემოიანნი სხვათა ადგილებთაგან უმეტეს. და ვინადგან აქუთ საძოვარნი და სათიბნი მცირედ, ამისთუს ვერ ინახვენ ცხოვართა, თუნიერ კ—მ და რ კიდე, ეგრეთვე ცხენთა და ძროხათა ი—კ და მ და უფროსი არღარა. ხოლო არიან ვეძანი, რომელ არს წყარო ანკარა მლაშე და მრავლად ყოველსა ოვსეთსა შინა. ამას სმენ კაცნი და პირუტყვნი და ფრიად ერგებისთ, გარნა უფროს პირუტყვთა, რამეთუ პოხიერ ჰყოფს და გემოიან და ურბილებს მატყლსა, ფრინველნი ჰყავთ ქათამნი, და სხვანი არარანი და

გარეულნიცა წვრილთა სირთაგან კიდე არარაი არს მუნ. გარნა არს ფრინველი შურთხი სახელით, რომელი ყოველსა კავკასიასა შინა გვარობს, მგზავსი სახით კაკბისა და სიდიდით ორის ქათმისა. ეს შურთხი შეიკრებს თჳსად საზამთროდ ბალახსა მრავალსა და ამას ზამთარს შეუჭამს ჯიხვი, ხოლო შურთხი გამოიზრდების კურკლითა მისითა. და არს ესე შურთხი ფრიად გემოიანი. ნადირნი არიან ვიეთთა ადგილთა ირემი, არჩვი, მშველი, ფოცხვერი, მელი, მგელი, ტურა, მაჩვი, დათვი, კურდღელი, და არა მრავლად; ხოლო ჯიხვი, რომელი მგზავსობს თხასა, არამედ არს ფრიად უდიდესი მისსა და შვენიერი სახითა და რქითა, ესე გვარობს კავკასთა ამათ შინა ყოველგან, ჯოგად და ჯოგად. ესე ვალს კლდესა ზედა ქარაფსა და მაღალსა, რომელსა ზედა ვერარაი ცხოელი შემძლებელ არს განსლვად: აღვალს იანვრის ტეხვრა-ქარიშხალსა შინა უმაღლესს კავკასსა ზედა, და შეაქცევს ცხვირს ქარსა და დაწვების ეგრეთ და არარაი ევნების. არს აქა ფუტკარი და ჰყავთ, და არა ეგდენ მრავლად, რათამცა ·კმა ეყოს თაფლნი. არიან აქა ლითონნი ვერცხლისა, ბრპენისა, რკინისა, გოგირდისა, გვარჯილისა და ქვისა ბროლისა. არამედ არა უწყიან კელოვნება გამოღებისა, რათამცა იხმარონ მრავლად. არა არს თევზნი აქა მდინარეთა შინა, ჩქარად დინებისაგან, თჳნიერ ვიეთთამე ადგილებთა იპოების კალმახნი.

ქატისა და ჩგეულებისა, ზნისა და ხელოჳნებისათჳს. ხოლო კაცნი და ქალნი არიან შვენიერნი, ჰაეროვანნი, შავთვალწარბანი, შავ-თმოსანნი, თეთრ-ყირმიზნი, ტანოვანნი, წერწეტნი, განა უმეტეს ქალნი წერწეტნი, მკვირცხლად ფიცხელნი, თჳსთა ქვეყანათა შინა მცირედ მჭამელნი: რამეთუ კმა იყოფენ თჳნიერ წყალსა და პურსა და შრატსა, სხვათა ადგილთა და სტუმრობათა შინა გაუძღომელნი, ვერ შემმართებელნი ბრძოლასა შინა, რამეთუ ეშინისთ ლაშკართაგან ფრიად. არამედ ღამით შემმართებელნი და შემპარავნი ლაშკართა შინა და გამომსვლელნი, უსაქციელონი, ბრიყუნი,

ქვეყანათა თჳსთა ლაღნი და ამაყნი, სხვათა ქვეყანათა შინა მდაბალნი, გონიერად მოუბარნი, ქურდნი, მპარავნი, მატყუარნი, ხარბნი, მომხვეჭნი, მესისხლენი, მემრუშავნი, ტყვის მყიდველნი, განა არა თჳსთა ჰყიდიან; არამედ ქალნი მათნი იცვენ ქალწულებასა ვიდრე შერთვადმდე ქმრისა, და მერმე სახელ არს მათ შორის რაოდენნიცა უვისთ კურონი; რამეთუ სირცხვილად აქუსთ დღისით ხილვა ცოლშვილთა თჳსთა ქმრისაგან. ხოლო ცმულნი არიან ხამის პერანგით, საყელო ბეერულად მოჭრილითა, და ნიფხავი ხამისავე. მას ზედა ჩოხა მოკლე მუკლამდე, და პაიჭიცა შალისა. არამედ ჩოხა ნაოჭიანი და უგუჯასტო, ჩოხას ზეით ნაბადი მოსხმული; ფერკთა ზედა ტყავთაგან აცვიათ, რომლისა არს ლანჩსა გამობანდული დახეულის ტყავისაგანვე და მას შინა შთასდებენ თომსა და ჩაიცმენ ეგრეთ, რათა არა მოუსხლტეთ ფერკი ყინულსა, კლდესა და ბალახთა ზედა; უდიდესნი იცმენ წულასა და ბურავსთ თავსა ქუდი მრგვალი და ბეწოსანი შალისაგანვე. ბოდიშობენ ურთიერთს და მიემშვიდებიან ქუდის მოხდით. სხედან სკამთა ზედა. არამედ უწარჩინებულესნი მათნი იცმენ იმრიგადვე, ლეინსა დარაიას დარაიბაფთს, ყუთნსა და რაისაც ლარს იშოვნიან. ეგრეთვე მგზავსად იცმენ ქალნიცა, არამედ უგრძესად, და ბურავთ მათცა ქუდი იგივე, აცვიათ წულა პაიჭი, და არა ნიფხავი. მოირტყმენ სარტყელსა კაცნი და ქალნიცა, ეითარიცა ძალუცთ შოვნად. სარწმუნოებით არიან ძველად ქრისტეანენი და სამწყსონი ნიქოზლისანი, [333]) და უფროს დვალნი. არამედ აწინდელთ ჟამთა დვალნი სახელითოდენ ქრისტეანენი: რამეთუ იმარხვენ დიდმარხვასა, ხატთა, ეკლესიათა და სამღვდელოთა პატივსა და თაყვანსსცემენ, და სხვისა სულიად უმეცარნი. არა უვისთ მღვდელი და უნათლისღებონი არიან, თჳნიერ რომელნი ქართლსა და რაჭას მო-

---

[333]) იხ. ზემო გვ. 111.

ინათვლიან. ხოლო თაგაურნი, ქურთაულნი, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორელნი და ბასიანელნი, რომელთა თავნი და წარჩინებულნი მათნი არიან მოჰმადიანნი და დაბალნი გლეხნი— ქრისტეანენი, განა უმეცარნი ორივეს რჯულისანი: რამეთუ გარჩევა მათი არს ესე: რომელნი სჭამენ ღორსა, არიან ქრისტეანენი და რომელნი სჭამენ ცხენსა, ესენი არიან მოჰმადიანნი. გარნა ყოველთავე უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსა უწოდებენ ვაჩილას: რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა, და კოორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მაღალს ძელსა ზედა და თაყვანისცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყანისანი. კვალად არიან, ვითარცა ნადირნი, უწიგნონი, უცოდნარნი. ენა აქუთ ძველი, დვალური, და აწ უბნობენ ოსურსა საკუთრად, ვინათგან ჩერქესთა ენა სხვა არს. ვიეთთა მოთავეთა და ქართლსა და რაჭას მომსვლელთა უწყიან ქართულნი, ხოლო ჩერქესთა შინა მსვლელთა უწყიან ჩერქეზული და თათრული ჯალათასი. შეირთვენ—მდიდარნი ორსა და სამს ცოლსა და დაბალნი—ერთსა; არამედ თუ მოკუდეს ძმა ერთი, შეირთავს მეორე ძმა თჳსს ძმის ცოლსა, ვინადგან მისცემენ სახლის პატივად ქალის სახლეულს ი—კ—Ქ —და მ ძროხასა, ამისთჳს არღარა განუტევებენ სხვის შერთვად, არამედ ირთვენ თვითვე. უწყიან გვარნი, და უწარჩინებულესნი გვარითა არიან ოვსნი. ხოლო ესე ოვსი განიყოფების ესოდენ გვარად: სიდამონად, ჭახილიძე [334]), თაგაურად [335]), ქურთაულად [336]), ბადელიძედ, ჩერქესიძედ, ბასიანად, და არიანცა ესენი უწარჩინებულესნი სხვათა ზედა. და ამათ გვართა იციან გვართა თჳსთა ნიჯადი, ერთმან მეორესა ზედა ლაშკრობა, შვე-

---

[334]) ოსურად: წახილთე (=წახილთანი).

[335]) ოსურად: თაგიათე (=თაგიათნი).

[336]) ოსურად: ქურდდათე.

ლა, მესისხლობა: რამეთუ უკუ‌ბთუ მოკლას ერთმან, არა დასცხრების მეორე იგი გვარი შვილით შჭილამდე, უკუნისამდე, თუმცა არა მოკლას მანცა, და მკულელი მოკლულსა მათთვს გვარსა ჩასძახებს საფლავსა შინა: „მოვჰკალო მკულელი შენი“; და რწამსთ ესე საცხონებლად მისად. არამედ უკ‌ბთუ დაზავდნენ ბრჭეთაგან და მისცეს სისხლი, განა კვალადცა მოჰკლავს და უკუნ-სცემს სისხლსა მინაცემსა თჳსსა. არამედ დვალნი უმდაბლესნი არიან გვარითა. გარნა თუ განდიდნეს ანუ განმდიდრეს ოვსი ანუ დვალი, ანუ შეირთავს ორ სამს ცოლსა, ანუ აღაგებს კოშკსა, ანუ მოჰკლავს კაცსა, და უკ‌ბთუ მძლეველ ექმნას მესისხლე თჳსი, შევალს კოშკსა შინა, და არღარა გამოვალს სიკუდილადმდე.

კვალად უწყიან პატივი მოხუცებულთა თჳსთა ფრიადი და უვისთ ვითარცა პატრონნი თჳსნი. ამათ მოხუცებულთაგან ჰყოფენ ბჭობასა და ზავსა და ყოველსავე სამჭირნოსა თვისთა განაგებენ მათით. სიმდიდრე მათი არს თოფი, კრმალი, ჯაჭვი, ჯავშანი. სპილენძი, და ოქრო და ვერცხლი მცირედ. არა უწყიან თეთრი, არამედ თეთრისა წილ ნაბადი, ჩოხა, ხამი, შალი, ცხვარი, ძროხა და ტყვე, და ვაჭრობენ ურთიერთსა შინა ამით. არცა უწყიან ადლი, არამედ მწყრთა. უწყიან უცხოთა სტუმართა პატივი და უვნებელობით დაცვანი: რამეთუ ვერავინ რაის ავნებს ერთისა ვისმე სტუმარსა, ვინათგან მოსწყდებიან მისთვის გვარით. არამედ თვით გამოუხმენ, რაოდენნი ძალუცს სტუმარსა, და ამას უწოდებენ საჩუქარსა, რომელიცა ჯერ არს მათგან იგინივე მიუხმენ. უწყიან კელოვნებანი ტყავისა, ქსოვა შალისა, თელვა, კეთება ნაბდისა კარგისა. იციან მჭედლობა, ზეინკლობა, ხეთა მუშაკობა, სახლთ შენება, არამედ არღარა კმარობენ ქვიტკირსა. განა აღაშენებენ სახლთა უსარკმლოდ და მრავალსა ერთმანერთსა ზედა და კოშკსა ფიქალთა ქვათაგან მიწით, მაღალ ს კლდე-გორიანსა ზედა, ვინათგან გამოუნახავთ უმჯობესად ზავისა კვეთებისათვს, რამეთუ არღარა ეკვეთვის. გარნა ავიდეს რა კაცი

კოშკსა შინა, ირყევის და არა დაირღვევის, არამედ დგას მტკიცედ. ხოლო ძველადნი არიან ციხენი, კოშკნი, ეკლესიანი ქვიტკირისანი, მეფეთაგან ნაშენნი და უმეტეს—იტყვიან იგინივე—თამარ მეფისაგანსა. გამოიღებენ მიწიდამ ბრპენსა, გვარჯილასა, გოგირდსა. ქალთა მათთა უწყიან კერვანი წმინდა და კეთილნი. არა არს ქვეყანათა მათთა შინა მარილი, სელი, კანაფი, და ბანბა და აბრეშუმი, რათამცა ყონ სამოსნი თვისნი. ამისთვის უმეტესნი სცხორებენ ცხოვართა ტყავითა, გარნა ამათაც ზიდვენ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ, და ამისთვისცა მორჩილებენ თვისთვისთა მკარეთა, და კვალად უმეტესად საზრდელთათვისცა. ხდიან მცირედს ლუდსაცა, არამედ არა არს მათ შინა სვივა და იგიცა მიაქუთ ქართლიდამ, რაჭიდამ და ჩერქეზიდამ. კვალად ხდიან და აკეთებენ იყსა, ბოზასა,—პურთა და ქერთაგან, და სმენ დღესასწაულსა თვისსა და სტუმრობასა შინა. უწყიან სულთა მკვლართა მათთა სახსრად და მოსახსენებლად, რომელსა უწოდებენ დოღსა: რამეთუ ცხენოსანთა კაცთა ორის სამის დღის საველიდამ გამოუშვებენ, და რომელი მათგან უპირველეს მივალს, მას მისცემენ ნიჭსა და გარდაიხდიან პურობასა და ლხინსა დიდსა, ვის რაი ძალუცს. და ჰგონებენ ამას სალხინებლად და საცხოვრებლად სულთათჳს მკედართა მათთათვის.

ადგებთათჳს. ხოლო მთათა, კევთა, მდინარეთა, წყალთა და შენობათა აღწერანი ესენი არიან, და დავიწყებთ კევიდამვე. ხოლო კევის ბოლოს არს ლაზური, მას ქვეით, ჯარიეხს, მოერთვის კევის არაგუს ქისტ-ძურძუკის წყალი. მას ქვეით არს ხეთაძე. ჩამისათჳს. არამედ ამ ქისტისწყლის შესართავს, არაგვის დასავლით, მაღლა მთის ძირს არს ჩიმი, დაბა დიდი და კოშკოვანი. მოსახლენი არიან ოვსნი, სიდამონნი გვარითა, და არიან აწ თავნი მათნი მაჰმადიანნი, ჩერქეზთა შინა სლვისათჳს, არამედ არიან მისიცა უმეცარნი. თაგაურიასათჳს. ამის ჩიმის დასავლით და კევის დასავლით არს თაგაურის კეობა. ამისი მდინარე გამოსდის მყინვარის კავკასსა და

ხოხისაცა. სიგრძით არს ხოხიდამ ჩერქეზამდე, და დის სამკრი-
დამ ჩდილოთ, და მიერთვის არაგვს დასავლეთიდამ. ხოლო ამ
თაგაურის მდინარეს ერთვის ჩიმითის-წყალი, რომელი გამოს-
დის ახოტის კავკასს. ამ კევზედ არს ჩიმითი, დაბა დიდი და
კოშკოვანი, ვითარცა ჩიმი ყოვლითავე. ამ კევის შესართავს
ზეით თაგაურის-წყალს მოერთვის ჯაბანს სხვა კევი, რომელი
გამოსდის მყინვარის კავკასს, და ამ კევს მოერთვიან მყინვა-
რის კავკასიდამ კევნი. არამედ ყაბანი არს ამ ორთა მდინარე-
თა შორის, დაბა დიდი, კოშკოვანი. მას ზეით, თაგაურის
წყალზედ არს, დასავლეთის კიდურზედ, ეკლესია მცირე, ძვე-
ლადვე აღშენებული მეფეთაგან. ამას ზეით, ამავე წყალზედ,
არს ჯიბლიზი, დაბა დიდი, კოშკოვანი, და ციხე აღშენებუ-
ლი მეფეთაგან, მაგარი, შეუალი მტრისაგან. მას ზეით არს
უაედური, დაბა დიდი, კეთილი, კოშკოვანი, და ხოხის კავ-
კასის ჩამოსულს ძირში გორა-კლდესა ზედა ციხე, აღშენებუ-
ლი მეფეთაგან, ფრიად მაგარი. და არიან კევნი ესენი შენო-
ბიანნი, და დაბნებიანნი.

ქურთაულისათჳს. ხოლო თაგაურის დასავლით არს ქურ-
თაული, რომლისა წყალი გამოსდის ხოხისავე მთასა და მო-
დის სამკრეთიდამ ჩრდილოთ, და გასჭრის ჩერქეზის მთასა
ვითარცა თაგაურის წყალი, და მიერთვის ლოშეკსა ანუ თერ-
გსა. ხოლო სად გასჭრის ჩერქეზის მთასა, მის მთის ზეით მო-
ერთვის ამ თაგაურის წყალსა აღმოსავლიდამ კევი. მას კევს
ზეით, დასავლეთით, ამ წყლის კიდურზედ არს ეკლესია მცი-
რე. მას ზეით, ამ წყლის აღმოსავლით კიდურზედ არს ქურ-
თათა და ციხე მაგარი, ნაშენი კლდესა ზედა. აქ მოერთვის
აღმოსავლიდამ ამ წყალს კევი. ამ ორს წყალს შუა არს ქურ-
თათა. ქურთათას ზეით მოერთვის დასავლიდამ კევი ქურთა-
ულის-წყალსა. ამ ორს კევს შუა არს დაბა ჯაბა. ამას ზეით
არს ჩიმი. ამ წყალზედვე დაბა ორს კევს შუა. ამას ზეით,
ხოხის კავკასის მთის ჩამოსავალზედ არს კვარა, დაბა კეთი-
ლი, კოშკოვანი, და ციხე დიდი და მაგარი, შენი მეფეთა.

კვარადამ გარდავალს გზა ხოხის კავკასსა ზედა, ნარასა და ზროგოს. ხოლო ქურთაულსა და თაგაურს განჰყოფს მთა, ხოხიდამ ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ ჩერქეზის მთამდე, ქურთაულ-თაგაურს შორისი, და თაგაურსა და კევსა განჰყოფს მთა მყინვარი და ახოტი, და მთა, ახოტიდამ ჩამოსული ჩდილოთ კერძოდ, ჩიმსა და თაგაურს შორისი.

ვალაგირისა-ფაიქომისათჳს. ხოლო ქურთაულის დასავლით არს კეობა ვალაგირისა [337]) და ფაიქომისა [338]), რომელი იწოდა დაბნებთ გამო მუნ მყოფთა. და წყალი ვალაგირისა გამოსდის ხოხისავე კავკასსა და დის სამკრიდამ ჩდილოთ. ამას მოერთვიან კევნი მცირენი, და არს კეობა ესე დაბნოვანი, მოსახლენი—სიდამონი და ჭახილიძენი. ხოლო განჰყოფს ვალაგირსა და ქურთაულს მთა ხოხიდამვე ჩამოსული, ჩდილოთ მდებარე ჩერქეზის მთამდე, ვალაგირსა და კასრის-კეობას შორისი. არამედ სამთა ამათ კეობათა მზღვრის: ალმოსავლით მთა, რომელი დავსწერეთ კევსა და თაგაურს შორისი, ჩერქეზის მთამდე; სამკრით მთა ხოხის კავკასი, ფრიად მაღალი და მყინვარი და უმაღლესი ბრუცაბზელ-ზეკარისა. ამან მოიგო სახელი თვისი ხოხვით [339]) სლვისათჳს: რამეთუ ძნიად გარდავალს ცხენნი მას ზედა, განა მკვირცხლნიცა—ჭირითა. და მდებარებს მთა ესე ალმოსავლიდამ დასავლეთად, მყინვარის კავკასიდამ კასრის კეობამდე; და კვალად მზღვრის ჩდილოთ კერძ მთა ჩერქეზისა, და დასავლით—კასრა-ვალაგირს შორისი მთა.

კასრის-კეგეისათჳს. ხოლო ვალაგირისა ანუ ფაიქომის დასავლით არს კასრის კეობა [340]), რომელი იწოდების აწცა დვალეთად. და აქუს სიგრძე დვალეთს ზეკარის კავკასიდამ ვიდრე

---

[337]) ოსურად: უალლაგ—ირ (=ზემო ოსეთი).

[338]) ოსურად: ბაჯქომ (=ბაისხეობა).

[339]) ვახუშტი სცდება: ოსურად ხ ო ხ არის მთა.

[340]) ოსურად: კასარაჯ ქომ—კასრის ხეობა.

ჩერქეზამდე. და მდინარე ამისი გამოსდის ზეკარისა და ზახა-
თრუსოს შორის კავკასთა, და მოდის სამკრიდამ ჩდილოთ.
ხოლო კასრის-კეობასა შინა მოერთვიან ამ წყალს, დიგორისა
და ამის შორისის კავკასიდამ, კევნი და გარდავლენან მას ზე-
და გზანი დიგორს. ეგრეთვე ვალაგირსა და ამის შორისის
მთიდამ მოერთვიან კევნი, და გარდავალს გზანი ვალავირსა
და ფაიქომს. და არს კეობა კასრისა კასრის-კარიდამ ჩერქეზის
მთამდე შენობიან-დაბნებიანი. ხოლო კასრისკარ არს ქვემო-
ზრამაგას ქვეით, სად მოვიწროვდების ხოხის მთის ჩამოსულის
კლდითა და გლოლისა და ამის შორის კავკასის ჩამოსულის
კლდითა. და არს აქ კარი კლდისაგან და ქვიტკირით ქმნუ-
ლი, დიდ-კამაროვანი, მდინარესა ზედა, მეფეთაგან ქმნული,
რათა არა ვიდოდენ თჳნიერ მათსა ოვსნი. და არს კეობა ესე
ფრიად მაგარი და შეუვალი. აქა არს ლითონი ბრპენისა მრა-
ვალი, რომელსა სწურვენ იგინივე. კვალად არს გოგირდი
ფრიად კარგი. არს ლითონიცა ვერცხლისა, არამედ არა უწ-
ყიან გამოღება. კვალად კლდის ნოტიობისაგან აკეთებენ გვა-
რჯილასაცა.

ელელის-კეგისპოჳს. ხოლო ამ კასრის-კარს ზეით მოერ-
თვის, ქვემოზრამაგას, ელელის-კეობის წყალი დასავლეთიდამ.
გამოსდის კედელის კავკასს, მოდის სამკრიდამ ჩდილოთ. ამ
წყალს მოერთვიან აღმოსავლიდამ და დასავლეთიდამ კევნი
მცირენი. და ელელესა და გლოლას შორისს კავკასზედ ამ კე-
ვებიდამ გარდავლენან გზანი გლოლას. ამის მდინარის სათავი-
დამ გარდავალს გზა კედელის კავკასსა ზედა კუდაროს, და
რაჭას და ქართლს. და არს კეობა ესე შენობიან-დაბნებიანი.
აქა არს ქილაქას დაბას წყარო დიდი, რომელი ჟამ რაოდენ-
მე დის და ჟამ რაოდენმე დადგების, და არღარა გამოსდის,
მერმე კვალად გამომდინარდების, და კვალად დადგების. ხო-
ლო განიყოფის კეობა ესე: აღმოსავლეთიდამ, ზეკარიდამ ჩა-
მოსულის მაღლის მთით ქვემო-ზრამაგამდე, ელელე-ზრამაგას
შორისითა, სამკრიდამ ჩდილოთ კერძოთ მდებარითა, და სამ-

კრით ზეკარა-კედელის კავკასითა; დასავლით, ამასა და გლოლას შორისით კავკასითა, კვალად კედელის კავკასითა. ჩდილოთ, ამასა და გლოლას (შორისის კავკასიდამ ჩამოსულის მთით, რომელი შეჰკრავს კასრისკარსა. ᲩᲠᲐᲛᲐᲒᲗᲐᲗᲥᲡ. ხოლო ქვემო-ზრამაგა[341]) არს კასრისა და ჟღელის წყლების შესართავს შუა, და ციხე დიდი, ფრიად მაგარი; იტყვიან აღშენებულსა თამარ მეფისაგან, და დაბა კოშკოვანი.

ᲜᲐᲠᲐᲡᲗᲥᲡ. ხოლო ქვემო-ზრამაგას ზეით ერთვის ნარის-კეობის წყალი. გამოსდის ხოხის კავკასსა, დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. და აქუს ამ კეობას აღმოსავლით ხოხის კავკასი, სამკრით—ხოხიდამ ჩამოსული მთა მაღალი, ამასა და ზროგოს შორისი, დასავლით—ზრამაგის-კეევი და ჩდილოთ ხოხისავე კავკასი. ამ კეევში არს დაბა Ჩ მოსახლენი. ხოლო ამის შესართავს ზეით არს ᲩᲣᲛᲐ-ᲖᲠᲐᲛᲐᲒᲐ, დაბა კოშკოვანი, და ეკლესია მცირე. აქ მოერთვის კეევი ზეკარიდამ მომდინარე და მოერთვის დასავლეთიდამ. და ამ ორთ კეევთ შორის არს ზრამაგა. ᲖᲠᲝᲒᲝᲡᲗᲥᲡ. ხოლო ზრამაგას ზეით მოერთვის ზროგოსკეობის წყალი. გამოსდის ხოხისავე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, და აქუს ჩდილოთ ნარის მთა და სამკრით ზახის მთა, აღმოსავლით ხოხის კავკასი და დასავლით ზრამაგისკეევი, და არს დაბოვან-შენობიანი.

ᲖᲐᲮᲘᲡᲗᲥᲡ. ხოლო ამის შესართავს ზეით მოერთვის ზახისკეობის წყალი. გამოსდის თრუსოსა და ზახას[342]) შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, არამედ ბოლოს მოდრკების და მიერთვის ზრამაგის წყალსა. ამ ზახის-წყალს მოერთვის სამკრეთ-ჩდილოდამ კეევნი, და არიან დაბანი კოშკოვანნი. აქა არს ეკლესია მცირე. აქიდამ გარდავალს გზა თრუსოს, მაღრან-დვალეთს და ᲟᲑᲐᲡ, დიდლიახვზედ. ამას აქუს

---

[341]) ზრამაგა ოსურად ზარაᲐᲛᲐᲒ.

[342]) ზახა ოსურად ზაჰყაა.

აღმოსავლით თრუსოს მთა, სამკრით კავკასი ზეკარისა, ჩდილოთ ამასა და ზროგოს შორისი, ხოხიდამ ჩამოსული მთა, დასავლით კევი ზრამაგისა. კვალად ამ ზრამაგისკევის სათავიდამ გარდავალს ზეკარაზედ გზა ქართლს დიდ ლიახვზე.

თრუსოსათჳს. ხოლო ზახის აღმოსავლეთის მთის იქით არს თრუსო, რომელსა აქუს: აღმოსავლით მთა, ხოხიდამ და კევის ყელიდამ ჩამოსული მთანი შთასავალამდე, და მთანი ესენი განჰყოფენ კევსა და თრუსოსა; სამკრით—კავკასი, მთიულეთსა, მაღრან-დვალეთსა და თრუსოს შორისი ; ჩდილოთ—მყინვარი და ხოხის კავკასნი; დასავლით—თრუსოსა და ზახას შუათი მთა. და არს თრუსო სამ კეობად. გამოსდის ერთი ზახის მთასა, მეორე მაღრანდვალეთის კავკასსა, და მესამე ხოხის კავკასსა. ამ კეობაზედ, ხოხისაკენ, არს ეკლესია ყოვლად-წმიდისა მცირე. და არიან ამ კევთა დაბნები ᲑᲐ. არამედ კეობანი ესენი, რომელნი აღვსწერეთ მაღრან-დვალეთითურთ, არიან დვალეთი. და კვალად დიდისლიახვისა, პატარასლიახვისა, ქსნის კევისა და კუდაროს მოსახლენიცა არიან დვალნივე, ამ დვალეთიდამ გარდასულნი, რჯულითა, წესითა და ზნითა ერთნი, და დღესაც მონათესავენი ურთიერთთა. ხოლო ამ დვალეთს მზღვრის: აღმოსავლით მთა თრუსოსა და კევს შორისი, და კასრისკევსა და ვალაგირს შორისი მთა; სამკრით—კავკასი მაღრან-დვალეთისა, ზახისა, ბრუცსაბძლისა, ზეკარისა და კედელისა (არამედ ბრუცსაბძელი ეწოდა, ვინადგან არს მგზავსი საბძლისა და უქმი [343]). ხოლო ზეკარა—კარსავით ყოფისათვის, სადა გავლის მას შორის გზა [344]), და კედელა—ამა-

---

[343]) ბრუცსაბძელი შეიძლება იყოს ანუ ბრუტ-სამძელი (პრომეტეოსის სამსკვალი), ანუ ბორცვ-საბზელი.

[344]) ზე-კარა, ასრევე იწოდება ვიწრო გზა, რომელიც მესხეთიდამ გადადის იმერეთს.

რთებით ყოფისათჳს კედელსავით [345]). არამედ ქართლიდამ ესე კავკასნი უმეტეს ყოველთა კავკასთაგან უმაღლესად მჩენარებენ და დიდად, და ამისთვის უწოდესცა სპარსთა იალბუზი *), და მარადის მყინვარედ იხილვებიან [346]). რამეთუ ზაფხულს გზებთა ამათ ზედა ვლენენ ცხენით, განა ჭირითა, და თჳნიერ ზაფხულისა— ვერცა ერთი სულიერი. ხოლო ჩდილოთ მზღვრის დვალეთს ხოხის კავკასის მთა და კასრის ბოლოს ჩერქეზის მთა. დასავლით—მთა კავკასი, კედელიდამ წამოსული, რაჭასა, გლოლასა და ამას შორისი, მერმე დიგორსა და ამას შორისი ვიდრე ჩერქეზის მთამდე. არამეღ რომელნი აღვსწერენ ით—ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირ-ფაიქომი და დვალეთი, ამათ ყოველთა მდინარენი ჩადიან ჩერქეზსა შინა და მიერთვიან ლომეკსა ანუ თერგს სამკრიდამ.

დიგორისათჳს. ხოლო კასრისკეკვის დასავლით არს დიგორი, რომელი განიყოფის ორად, ჩერქეზიძედ და ბადელიძედ, და არს სიგრძე ამისი რაჭის კავკასიდამ ჩერქესამდე. ამისი მდინარე გამოსდის ღებისა, გლოლისა და ამის შორისს კა-

---

[345]) დაბოლოება ა გვიჩვენებს კედელსავით მყოფობას. შეად. სახელები: ტაბა-ხმელა (ხმელი ტბა), პერანგა (მთა პერანგა), უნაგირა (მთა უნაგირა), კედელა და ხ.

*) ქარმყინვარი. ვახუშტი.

[346]) იალბუზი ვახუშტს უთარგმნია ქარ-მყინვარად: თათრული Ѳელ—ბუზი, ნიშნავს არა ქარ მყინვარს, არამედ სიტყვებს ქარი (Ѳელ), ყინვა (ბუზ). იალბუზის სახელებია ალბორჯ, ალბურს, ელბრუს, რომელიც უახლოვდება ქართულს (ბრუც-საბზელს), იალ-ბრუც-ს, იალბორცვს (იალ=ალ: იალონი=ალონი). ზემოთ (შენიშ. 253) აღვნიშნეთ, რომ ი ა ლ—ა ლ შეიძლება ნიშნავდეს სიმაღლესო და მართლაც ამ სიმაღლის მაჩვენებელია პრეფიქსი ა=აღ=არ=ალ (ასვლა=აღსვლა; ადგილი=არდგილი, ამართვა, აღმართვა, აღმართი). შეიძლება თვით მაღალიც იყოს მიმღეობა: მ-ა ღ ა ლ ი.

ვკასსა, მოდის სამკრიდამ ჩდილოთ კერძოდ და ჩადის ჩერქეზში, მიერთვის ლომეკს. ამას უწოდებენ რიონსავე, ვინათგან მასვე კავკასსა გამოსდის აქათ, და იქით—რიონი იმერეთისა. და ამ მდინარეს, ჩერქეზის მთას ზეით, ერთვის კევი, გამომდინარე ბასიანის მთისა, და მოერთვის დასავლეთიდამ. ამას ზეით ერთვის სხვა კევი, გამომდინარე კასრისკევისა და ამას შუათის მთიდამ, და დის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ეს კევი არს ბადელიძისა. ამ კევს, რიონის შესართავს ზეით, ერთვის სხვა კევი, სიგრძით ჩერქეზის მთიდამ მომდინარე, და მოერთვის ჩდილოდამ. ამ კევიდამ გარდავალს გზა ჩერქეზსა შინა. ამ კევს ზეით კვალად მოერთვის სხვა კევი სამკრიდამ. ამათ შესართავს შუა კლდეზედ არს მაღლა ციხე და მცირე ეკლესია. არამედ ესენი, რომელნი დავსწერეთ კევნი, არიან ბადელიძენი, და არიან შენობიანი, და დაბნებიანნი და კოშკოვანნი მრავლად, რომელთა შინა მოთავენი მათნი არიან ყმიანნი მებატონენი. ხოლო ამ ბადელიძისწყლის შესართავს ზეით რიონზედ არიან ჩერქესიძენი, და მას ქვეით ჩერქეზის მთამდე კვალად ბადელიძენივე. და ამ ბადელიძის წყლების სათავიდამ გარდავალს გზანი კასრისკევში, ჟღელის კეობაში, და ქელმაჰმადის სოფლიდამ ჩერქეზესა შინა. ხოლო ამ ბადელიძის წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ მდინარე რიონივე. გამოსდის გლოლასა და ამას შორისს კავკასსა, მოდის სამკრიდამ ჩდილოდ. ამას მოერთვის სხვა კევი, აღმოსავლიდამ. გამოსდის ამასა და ბადელიძეს შორისს მთას. ამაზე გარდავალს გზა ბადელიძეებში. ამას ზეით მოერთვის კვალად სხვა კევი აღმოსავლიდამ, მისვე მთის გამომდინარე. ამ რიონის სათავიდამ გარდავალს გზა კავკასზედ გლოლას, სადა არს კავკასის ძირში, დიდს მაღალს კლდესა შინა, ქვაბნი გამოკვეთილნი დიდ-დიდნი. მოგზაური მივალს მას ქვაბსა და დილას წარვალს, ჩავალს გლოლას. ეგრეთვე მუნიდამ მოსრული მუნ განისვენებენ დაშრომისათჳს. და მეორის ამის რიონიდამ გარდავალს გზა ლებს. არამედ ამ გზებზე ზაფხუ-

ლით ცხენით ვლენან, გარნა ჭირითა დიდითა, და თუნიერ ზაფხულისა—ვერც ქვეითნი. და ამ კეობასა ზედა არიან დაბნები და შენობანი. და მზღვრის დიგორს: აღმოსავლით კავკასი ამასა და კასრაჟღელეს შორისი; სამკრით კავკასი ამასა და გლოლა-ღებს შორისი; ჩდილოთ მთა ამასა და ჩერქეზს, შორისი, მაღალი და დიდი; დასავლით კავკასი ამასა და ბასიანს შორისი.

ბასიანისათჳს. ხოლო დასავლით დიგორისა არს ბასიანი, კეობა დიდი, რომელსა შინა დის მდინარე, გამომდინარე რაჭასა და ბასიანს შორისის კავკასიდამ, და მიდის სამკრიდამ ჩდილოთ კერძოდ, სიგრძით კავკასიდამ ჩერქეზის მთამდე. ამის მდინარეს მოერთვიან კევნი აღმოსავლიდამ გამომდინარენი, ამასა და დიგორის საშუალის კავკასიდამ და დასავლეთიდამ სვანეთისა და ამის შორისის კავკასიდამ. და ამ კევებიდამ გარდავლენან გზანი სვანეთს და დიგორს. და ამის წყლის სათავიდამ გარდავალს გზა რაჭას, ღებს და ლუხენზედ. და მზღვრის ბასიანს: აღმოსავლით მთა კავკასი, ბასიანსა და დიგორს შორისი, სამკრით მთა კავკასი, ამასა და რაჭას შორისი, ჩდილოთ მთა ჩერქეზისა, ბასიანსა და ჩერქეზს შორისი; დასავლით მთა კავკასი ამასა და სვანეთს შორის. და არს ესე ბასიანი შენობიანი, დაბნებიანი, და უმეტეს გვარიანნი სხვათა ყოველთა ოსთაგან, და არიან მებატონენი ყმიანნი. და მდინარე ესე ჩადის ჩერქეზსა შინა, მერმე მიერთვის თერგის მდინარესავე. არამედ რაოდენნი კავკასნი აღვწერენით, ს

ანუ ლომეკი, ამ არაგვს ხეთაძის დაბის ზეით ერთვის ქისტეთისწყალი და ძურძუკისა. ესე მოერთვის აღმოსავლეთიდამ, გამოსდის ძურძუკეთსა და ფშავ-ხევსურეთს (რომელი არს ფხოველი) შორის კავკასსა, დის სამკრიდამ ჩდილოთ და მცირედ ჩდილო-დასავლეთ შუა. სიგრძით არს კავკასიდამ ლომეკამდე. ხოლო სად იყრებიან ორნი ესე მდინარენი, მუნ არს შუაში ჯარიეხი, კლდე დიდი, მოვლებული ველსა დიდსა გარე, ქარაფოვანი, და ამით არს ფრიად მაგარი, და შენი არს კოშკი დიდი, ზღუდოვანი ვითარცა ციხე, და ამ წყალსა ზედა, კეობაში, ამ ჯარიეხს ზეით, არს ქისტეთი, დაბნებიანი, შენობიანი.

ძურძუკისათჳს. კვალად ამის სამკრით, ქისტეთ ზეით, არს ძურძუკი, შენობიანი, დაბნებიანი, კოშკოვანი ორნივე. ამ კეობათა მზღვრის: აღმოსავლით კავკასი, ქისტ-ძურძუკსა და ღლიღვს შორისი, სამკრით კავკასი ფშავ-ხევსურსა და ძურძუკს შორისი, დასავლით, კავკასი ქისტ-ძურძუკსა და კევს შორისი, ჩდილოთ მთა ჩერქეზსა და ქისტეთს შორისი. და გარდავლენან გზანი ქისტ-ძურძუკიდამ ამ კავკასებთა ზედა კევს, ფშავ ხევსურეთს, ღლიღვეთს და ჩერქეზთა შინა.

ღლიღვისათჳს. ხოლო ამ ქისტ-ძურძუკის აღმოსავლეთად არს ღლიღვეთი, ღლიღოსისაგან, ძურძუკის ძის ძისაგან სახელდებული, ანუ უმოსელობისათვის წოდებული. რომლის მდინარე გამოსდის ფშავისა და ღლიღვის შორისს კავკასსა, და მოდის სამკრიდამ ჩდილოთ, და მიერთვის... წყალსა, მერმე მიერთვის ბორალნისწყალსა. ამ წყალზედ არს ანგუსტი, დაბა დიდი. და არს შენობიანი კეობა ესე და დაბნებიანი. და მზღვრის ღლიღვს: აღმოსავლით მთა ღლიღვსა და... შორისი, ჩდილოთ მთა ჩერქეზსა და ღლიღვს შორისი, სამკრით—კავკასი, ღლიღვსა და ფშავს შორისი, დასავლით მთა ღლიღვსა და ძურძუკს შორისი. ხოლო ანგუსტის მოსახლენი არიან მგზავსნი ჩერქეზთა, რჯულით მოჰმადიანნი, სუნნი. ხოლო ამ ღლიღვის აღმოსავლით არს... კეობა, რომლისა მდინა-

რე გამოსდის ამასა და პანკის შორის კავკასსა, მოდის სამკ-
რიდამ ჩდილოთ, მიერთვის ღლიღვისწყალსა და მერმე მიერ-
თვიან ბორალნისწყალს დასავლეთიდამ. და არს ჯეობა ესეცა
შენობიან-დაბნებიანი. და მზღვრის ამას: აღმოსავლით თუ-
შეთსა და ამას შორისი კავკასი, სამკრით კავკასი, პანკისსა
და ამას შორისი, ჩდილოთ მთა ჩერქეზისა, ამასა და ჩერქეზს
შორისი, დასავლით მთა ამასა და ღლიღვს შორისი. არამედ
ეს ჯევნი, რომელნი აღვსწერეთ, პირველ იყო ყოველთა სა-
ხელი ძურძუკეთი, ხოლო აწ ესრეთ განიყოფებიან.

ხოლო არიან ჯეობანი ესენი ფრიად მაგარნი და შეუალ-
ნი მტერთაგან, მთით, კლდითა, სივიწროვითა და მდინარითა,
და ტყითა, მწირი და მოუსავლიანი, მცირე პირუტყვიანი,
ვითარცა აღვსწერეთ ოსეთი. ეგრეთვე კაცნიცა, რჯულითა,
სარწმუნოებითა, ზნითა, ქცევითა, ჩვეულებითა სცან ოსთა-
ებრ. არამედ აქუსთ ენა თჳსი საკუთარი, და ქალნი მათნი
მოსილნი სხვებრ. არცა უწყიან კლვა და მესისხლობა ურთი-
ერთთა. გარნა თუ შეიმთხვევს, მოხუცებულთა მათთა განბრ-
ჯობითა ზავ-ჰყოფენ, და არიანცა უმეტეს პირისწყლიანნი ოს-
თაგან, კაცით ქალამდე. არამედ იციან ორ-სამ ცოლობანი
და მრუშება ქმრიანობასა შინა, განა ქალწულთა—არაოდეს,
ვითარცა ოსთა. უწყიან ქვიტკირნი და მით აღიშენებენ სა-
ხლთა, კოშკთა და სიმაგრეთა. ხოლო მორჩილებენ და აძლე-
ვენ ხარკთა ჩერქეზთა, მემკრეთა თჳსთა: უსაზრდლობისა, სა-
შიშლოსა და მარილისათჳს.

ცხორება. ხოლო ოდეს მოვიდა კავკასოს წილხდომილ-
სა თჳსსა და დაეშენა ამათ ქვეყანათა, და დაიპყრა მან და ძე-
თა მისთა და ძის ძეთა მისთა, განმრავლდენ ესენი და იყუ-
წენ მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისა, და ოდესმე
განდგომილნი და მტერნი, ვითარცა აღვსწერენით, გამოსვლა-
მდე ხაზართა მეფისა. ხოლო ოდეს გამოვიდა ხაზართა მეფე,
მისცა ქვეყანა ესე ურბანოს ძესა თჳსსა (რომელმან უწოდა
ოვსეთი), და ტყვენი რანისანი და სომხითისანი. მაშინ მოვი-

და ურბანოს ტყვითა მით, დაეშენა თჳთ, და ტყვენი იგინი დაეშენნა აქა, ველსა ამას. არამედ ძურძუკოს, ძემან ტინენი-სამან, რომელი უწარჩინებულეს იყო ყოველთა ძეთა შორის კავკასოსათა, შამოვიდა ესე ძურძუკოს კავკასიასა შინა და პოვა ადგილი ფრიად მაგარი, და აღაშენა ქალაქი, და უწოდა სახელი თჳსი ძურძუკი, და ხარკსა მისცემდა ხაზართა. და ეწოდა შემდგომად მისსა ძურძუკეთი კევის აღმოსავლეთთა კეობათა, ხოლო კევის დასავლეთისათა—კავკასნი ანუ დვალეთი, რომელთა შინა დაეშენნენ კავკასოს ძეთაგანნი და ნათესავთაგანნი. და იყვნენ ყოველნი ძურძუკოს მორჩილებასა შინა, და შემდგომად მისა—მის ჩამომავალთა, და ესენი მორჩილებასა შინა მცხეთელ მამასახლისისა, ვიდრე პირველის მეფის ფარნაოზისამდე. ხოლო ფარნაოზ მოიყვანა ნათესავი ძურძუკოსი, ქალი ძურძუკეთიდამ, და შეირთო თჳთ ცოლად, და დაიმორჩილა კვალად უმეტესად ძურძუკეთი ამით. და შემდგომად ფარნაოზ მეფისა, ვითარცა აჩენს ცხორება, იყუნენ მორჩილებასა შინა და მომცემელნი ხარკთა მეფეთა ქართველთათა ძურძუკი, კევი, დვალეთი, კასრისკარს ზეითი. ხოლო სხვანი იყუნენ მორჩილებასა შინა ოვსთა მეფეთათა [347]). ხოლო მოსვლა-

---

[347]) ოსთა მეფეების ყოფა-მდგომარეობას კავკასიის ერთა შორის საკმაოდ ნათელს ჰფენს შემდეგი ლექსი:

„ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი, ჩარჯონიძე-ბარხილანი:
ოს-ბაყათარ, დავით-სოსლან, ოთხ სამეფოთ მებრძოლანი,
ფიდაროს, ჯადაროს, საყურ—მტერთა რისხვით შემხედვარნი,
გიორგი, ისაკ, რომანოზ—იქმნენ ქრისტეს კარგნი ყმანი.
ჩვენ გვიპირავს მიმოვალთა ოთხივ კუთხივ იწრო გზანი;
კასრს სიშაგრე მაქვს, საბაჟო, აქ მიპირავს ხადის კარი,
საიქიოს მოიმედე, საიქაოს კარგა მდგარიჯ
ოქროსა და ვერცხლის მიწა იმდენი მაქვს, ვითა წყალი.
კავკასიონი დავიპყარ, ოთხს სამეფოს გავუმკლავდი,

სა თათართა ჩინგიზყეენთაგან და უმეტეს ბათოსა და ორხანი-საგან [348]) მოისროდენ და მოოკრდნენ ქალაქნი და შენობანი მათნი, და მეფობა ოვსთა იქმნა მთავრობად, და შემოიევლტო-დენ ოვსნი ამ კავკასიათა შინა, და უმეტესნი უდაბნონი იქ-მნენ, ვითარცა არს დღესაც ჩერქეზი. და კვალად შემდგომად მოსვლისა ლანგთემურისა და აღებისა კოსტანტიპოლისა [349]) ემძლავრენ ოსთა—იქით თათარხანი [350]) და აქათ ლანგთემურის ელნი მოჰმადიანნი, და შემოიევლტოდნენ კავკასიასა შინა, და დაიპყრნეს კავკასთა ნათესავნი, რომელნი არიან დვალნი. და ოვსეთს მიერით ეწოდა ჩერქეზი ანუ ყაბარდი, და ამისთვის განირყვნა და იქმნა მრავალ სამთავროდ. ეგრეთვე განყოფასა ქართლისასა სამ სამეფოდ, დაშთა კეეი და დვალეთი მეფეთა ქართველთა, რომელი მოსცემენ დღედმდე ხარკსა მეფეთა და მთავართა მისთა ადგილნი ესენი. ხოლო ძერძუკ-ქისტს სდებ-ბენ თჳსად კახნი და ღლიღვსაცა. არამედ არარაის მორჩილე-ბდნენ ხარკით, და არიან მორჩილებასა შინა უფროს ჩერქეზ-თათა. ეგრეთვე სხვანი ოსნიცა. განა დიგორი მცირედ რასმე მორჩილებს რაჭის ერისთავს, ვინადგან უპყრავს რაჭა მას. და არს დღეინდელად დღედმდე ესრეთ და წარმართი უწყის ღმერთმან.

ქართველს შეფეს და მოვტაცე, არ დავაგდე ჩემი გვარი.
მამწედა, ფიცით მიღალატა, მან დაიდვა ჩემი ბრალი:
ბაყათარ წყალსა მიეცა, აღიხოცა ოსთა ჯარი.

[348]) მე-XIII საუკ.

[349]) ოსმალთ აიღეს კოსტანტინეპოლი 1453 წელს, მოჰკლეს ქარ-თველთა სიძე—იმპერატორი კოსტანტინე და ბერძნების წილ თვითონ გა-ბატონდნენ ამ დიდებულს ქალაქში.

[350]) ყირიმის ხანს ქართველები თათარხანს უწოდებდნენ.

ა ღ წ ე რ ა

საჩინოთა ადგილებთა სამცხე-საათაბაგოსი.

ადგილებთა სახელის წარმოჩენისათჳს. ხოლო ქვეყნისა ამის სახელი არს საკუთარი ქართლი ამისთჳს, რამეთუ არს წილივე ქართლოსისა და მისგანვე ეწოდა ქართლი და შემდგომად სიკუდილისა მისისა საქართლო ანუ საქართველო, და იწოდების დღედმდეცა ეგრეთვე. არამედ, ვინათგან ჟამითი-ჟამად შეეძინნენ სახელნი მრავალნი განყოფილებისაგან და ადგილებთა განყოფისათვის, და ისახელნეს ესრეთ: რამეთუ შემდგომად ქართლოსის სიკუდილისა, ცოლმან მისმან, განყო რა ძენი თვისნი და მისცა უხუცესსა ძესა თვისსა მცხეთოს ტფილისისა და არაგვის დასავლეთი, ფანავრის ტბის დასავლეთის ქვეყანა, წილი ქართლოსისა, ზღვამდე სპერისა [351]) და ტაოსა და კლარჯეთს შორისის მთამდე, და დაიპყრა მცხეთოს ქვეყანა ესენი,—ამან მცხეთოს უწოდა ტფილისის და არაგვის დასავლეთს, ლიხის მთამდე და ტაშიშკარამდე [352]), შიდა-ქართლი და ტაშისკარსა და ფანავრის დასავლეთს ზღვამდე უწოდა ზემო-ქართლი; და განყო იგივე ქართლოსის სახელი ესრეთ. ხოლო შემდგომად მცხეთოს განუყო სამთა ძეთა და თჳსთა წილი

---

[351]) სპერის ზღვა—შავი ზღვა, უფრო კი მისი სამხრეთ-აღმოსავლეთი მხარე.

[352]) ასეა დედანში. იხ. შენიშვნა 225.

თჳსი და მისცა უფლოს ძესა თვისსა რა იგი აღვსწერეთ, და ძესა თჳსსა ოძრახოს მისცა ტაშისკარს ზეითი და მტკვრის დასავლეთი ვიდრე ზღვამდე, საზღვრამდე ქართლოსისა, რომელ არიან აწ: სამცხე, გურია, ლიგანი, შავშეთი. არტანუჯი, ფანასკერტი, ოდთისი და ტაო, და ამათ ადგილებთა უმეტეს ეწოდა ზემო-ქართლი. ხოლო ფანავრის დასავლეთი და მტკვრის აღმოსავლეთი, ვიდრე თავადმდე მტკვრისა, მისცა მცხეთოს ძესა თვისსა ჯავახოს, და ამის მიერ ეწოდა ამ ადგილებთა ჯავახეთი; და არიან ამათ ადგილთა შინა ჯავახეთი, არტანი, ერუშეთი, კოლა და მტკვრის აღმოსავლეთი; ხოლო კლარჯეთი არა არს წილი ამათი, არამედ ფარნაოზ დაიპყრა შემდგომად აზონის სიკუდილისა [353]), და არს საზღვარი ამისი: აღმოსავლით, მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა, ზღვამდე; სამხრით—მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა; დასავლით—მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, და ჩდილოთ—შავიზღვა. და არიან ამათ შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფოროჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი. (არამედ უცნობელ არს, რით ეწოდა სახელი ესე, განა საგონებელ არს ღვლარჭნილთა და კლდოვან-ღრატო-ღრიღოვანებისა მიერ და მაღალთა მთათაგან: რამეთუ მთა-ბარი ახლორებს ესრეთ, ჟამისა ანუ ნახევარ ჟამისა სავალთა არს თოვლი და ბართა ნარინჯი, თურინჯი, ზეთის-ხილი და ყოველნი ნაყოფნი).

და ესრეთ განიყო სახელი ზემო ქართლისა სამად. არამედ აწ ოძრახოს წილს, გურიის მთამდე და არსიანის მთამდე, უწოდებენ სამცხეს, მცხეთოსისა და ქალაქის მცხეთის გამო, პირველვე წოდებულს მცხეთის მორჩილებისათჳს (კვალად იტყვიან: ოდეს აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან [354]) ციხე დემოთს,

---

[353]) ქ. ცხოვრებით აზონი მოკლა ფარნაოზმა 302 წელს ქრ. წ.

[354]) სუმბატ ბივრიტიანი ცხოვრებდა მეფე არმაზელის დროს (87—108 წ.

სამთა ციხეთათვს ლომსისა, ოძრახესა მეპირის პირედ, ესე იგი არს სამ ციხეთა, ამით იწოდა სამცხე) [355]). ხოლო ამისვე წილი გურია აღვსწერეთ იმერეთსა ზედა, მუნ იხილავ. ხოლო ჭოროხის მდინარე იწოდა ქვა-ყრილობით და რიყოვანობით მას შინა მყოფთასა, რამეთუ მის მიერ დის მჩქეფრად და ჩქარად [356]), და ჯევსა მისსა—ლიგანის კევად, კლდოვან განლიგე-

---

[355]) შემდეგი დროის ს ა მ ც ხ ე და ძველი მ ე ს ხ ე თ ი, ჩვენის მოსაზრებით, წარმოებულა ერთისა და იმავე სიტყვისაგან. მესხი=მეშები (დაბადებისა)=მესეხი (იეზეკიელისა)=მოსოხი=მოსხი (Ѳეოდოტისა)=მუშკაია=მუშკა (ასურულ ლურსმურ ნაწერებისა): რადგან მ ე=მ ო=მ უ: მეველ (ინგ.)=მოველ=მუელ; მოციქული=სვან. მეცქვილ, მოწამე=სვან. მეწმ; მესხი=მუსხი (სოფელია მესხეთში), მუსხელაშვილი და სხ. ფორმები შკა, შეხი, სეხი ჰგვანან ნუხის არემარეს ძველს სახელს შაქი=შექი, შაკიხი. ძველად ხ ა ხ ლ ს ერქვა სახი („და წარვიდა ს ა ხ ი დ (სახლად) თვისად"). მე-სახი (მესახლე) ადვილად გადაიქცეოდა მოსახე-დ (მოსახლედ), მესეხად, მესხად, მოსხად, მუსხად, მუსკად. რადგან ამავე ფესვისა უნდა იყოს: ს ა კ ა ნ ი (გამოქვაბული, მცირე სახლაკი) (შეად. საკი, სკა). საკვირველი არ არის, რომ ერს რქმეოდა სახელი იმ შენობებისა, რომელშიაც ცხოვრობდა. ასე, კოლხიდის ერს მ ო ს ი ნ ე კ ე ბ ს ასეთი სახელი დაერქვათ მათ კოშკებისაგან, რომლებსაც ერქვათ მოსინი (Mosyni). ს ა ნ ა ნიშნავს აღშენებულს (საბას ლექსიკ.) და ამ ს ა ნ ა-დგან შემდეგ წარმოსდგა შ ე ნ ე ბ ა, შ ე ნ ი (თამარა—შენი, ახალ—შენი), შ ი ნ ა. და მ ო შ ე ნ ე მართლაც ნიშნავს მოსენაკეს, მოსახლეს. რადგან ხ=ც: სხალი=სვან. იცხ, დაცდენა=ინგ. დასტენა, ცდენა=სვ. (ლი)-სედ). ამიტომ სიტყვიდამ მესხი ადვილად წარმოსდგებოდა სამესხე=სამცხე (გერუნდივში ე ისპობა: ირემი—საირმე, მგელი—სამგლე). ადვილადვე შეიძლებოდა მ ე ს ხ ე თ ი-დამვე წარმომდგარიყო მსხეთი=მცხეთი=ცხეთი.

[356]) საბა ორბელიანით „ჭოროხი—მდინარისაგან ქვაშა შეყრილი". ბერძენთ ძველი მწერლები მას უწოდებენ ბ ო ას—ს, რომელიც უნდა იყოს თარგმანი ქართულის ჭორ—ოხი ანუ ოხ-ოხი, რადგან ბერძნ. ბოას ნიშნავს ყვირილას, ოხ-ოხას.

ბისათჳს, ანუ დაბისაგან; ეგრეთვე შავშეთი: ვითამ შავში და არა სპეტაკში,—მთა-კლდოვან ტყის გამო [357]), და არტანუჯი—შვენიერებისათვის: „არა ტანი, არამედ უნჯი [358])". ანუ იწოდნენ ძეთაგან ოძრახოსათა, რომელთა ეწოდათ სახელი ესენი, და დაიმკვიდრეს-რა ადგილნი ესენი, უწოდეს სახელნი თჳსნი. არამედ ჯავახეთს უწოდებენ მასვე ძველს სახელს [359]); ხოლო არტანი ეწოდა მისვე ჯავახოსაგან: ვითამ ჯავახეთის „არა ტანი, არამედ პირი". და კოლა იწოდა მუნ მცირე ქალაქის გამო. ხოლო ქვეყანასა კლარჯეთისასა ეწოდნენ სახელნი იგინი დაბნებთა და ქალაქებთაგან, მუნ მყოფებთა, ანუ ძის ძეთაგან ჰაოსისთა; და ჰანეთს ეწოდა მათგანვე, ანუ შემდგომად, მლი-

---

[357]) ᲪᲔᲠᲝᲓᲐᲢᲔᲡ Saspires შეიძლება იყოს „პირი (მხარე) შავშთა" ვინაითგან ᲰᲝᲠᲝᲡᲘᲡ მარცხნივ, Saspires პირდაპირ, იყო „ᲰᲘᲡᲞᲘᲠᲐᲢᲘᲡᲘ", ე. ი. ისპირეთი, ისპირი.

[358]) მეგრ. ჯი=რი: ᲮᲝᲯᲘ=ᲮᲐᲠᲘ, ᲧᲣᲯᲘ=ᲧᲣᲠᲘ, ამიტომ არტანუჯი =არტანური, ᲑᲔᲠᲓᲣᲯᲘ=ᲑᲔᲠᲓᲣᲠᲘ.

[359]) ჯავახეთი ჩვენ მიგვაჩნია ᲢᲐᲕᲐᲮᲔᲗᲐᲓ=ᲢᲐᲝᲮᲔᲗᲐᲓ (ო=ვა: თქო =თქვა, კომლი=კვამლი=სვ. კვამ, ეჩო=ᲰᲔᲒᲠ. ᲔᲩᲕᲐ; Ტ=Ჯ: ᲢᲝᲠᲘ= ᲯᲝᲠᲘ=ინგ. ᲢᲝᲠᲘ, ᲯᲝᲠᲘ. ერთისა და იმავე სიტყვის ფესვისაგან წარმოებულა ჯავახი და ჯავა, ერთის ფესვისაგანვე ᲢᲐᲝ, ᲢᲐᲝᲡᲙᲐᲠᲘ, ᲢᲐᲝᲮᲘ (კსენოფონტესი), ᲢᲐᲘ (კსენოფანტეს თანამედროვის სოფეინეტისა) და ᲢᲐᲘᲙᲘ. მაშასადამე, უნდა ყოფილიყო

ᲢᲐᲝ—ᲢᲐᲕᲐ—ᲯᲐᲕᲐ
ᲢᲐᲝᲮᲘ—ᲢᲐᲕᲐᲮᲘ—ᲯᲐᲕᲐᲮᲘ } ვითარცა ფარა—ფარეხი.
ᲢᲐᲝᲮᲔᲗᲘ—ᲢᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘ—ᲯᲐᲕᲐᲮᲔᲗᲘ.

კსენოფონტე სწერს: „ᲢᲐᲝᲮᲜᲘ ცხოვრობენ მიუდგომელს ადგილას, საცა ინახვენ თავიანთ სარჩოს. იმათ ქვეყანაში შესვლა შეიძლება ერთად ერთის კარით" (მის გამო თუ ᲰᲥᲕᲘᲐᲜ ᲢᲐᲝᲡ-ᲙᲐᲠᲘ). ბერძნებმა ამათ წაართვეს მრავალი ხარი, სახედარი და ცხვარი. თვით ᲢᲐᲡᲘᲡᲙᲐᲠᲘ (იხ. ᲨᲔᲜᲘᲨ. 225) თავდაპირველად შეიძლება ყოფილიყო ᲢᲐᲝᲡᲙᲐᲠᲘ, ᲢᲐᲘᲡᲙᲐᲠᲘ, ᲢᲐᲝᲮᲘᲡ ᲙᲐᲠᲘ.

ქნელობისა და მდედრობისა მათთათჳს ჭანად [360]). არამედ ბაგრატიონთ მეფობასა შინა ყოველთა ამათ ადგილებთა და ქვეყანათა კრებით ეწოდა მესხნი *) იგივე ძველი სახელი სამცხეთოსი, და სიმოკლისათჳს მესხნი ითქმის [361]). ხოლო ბრწყინვალემ მეფემ გიორგიმ [362]) მისცა-რა ათაბაგობა და მის ქვეშე დაუწესნა მის ქვეყნის ერისთავნი, მიერით იწოდა საათაბაგო და უმეტეს განდგომილებისა ყვარყვარე [363]) ათაბაგისაგან, და ისახელების დღედმდე საათაბაგოდ.

ხოლო სიგრძე ქვეყნისა ამის არს ქართლის საზღვრიდამ ქართლისყელამდე და ბაიბურდისა და ჭანეთის საზღვრამდე, და განი დევაბოინისა და ირიჯლუს და ყალნუს მთებიდამ ღადოსა და გურიის მთადმდე და ზღვამდე. და მზღვრის ქვეყანასა ამას: აღმოსავლით საზღვარი ქართლისა, რომელი აღვსწერეთ, და მთა ყარსისა, არტან-ოლასა და ყარს შორისი; სამკრით—მთა წინ კსენებული, სომხით-ქართლის საზღვარი, რომელი აწ ისახელების ირიჯლუსა და დევაბოინის მთად;

---

[360]) სტრაბონი მოწმობს, რომ სანთ წინად ერქვათ მაკრონიო. დიონოსე პერიეგეტი მათ უწოდებს სანნებად ანუ ჭანებად (Tzani). პლინიუსით მაკრონნი ცხოვრობდნენ მდ. ირისიდგან ტრაპეზუნტამდე. მაკრონი, რასაკვირველია, იგივე მაგრალია, მეგრელი (მარგალი=მაგრალი) და სანები იგივე ზანები (სვანურად ზან—მეგრელი).

*) ამათ ყოველთა კრებით ქვეყანათა სწერენ ძველს ღეოღრაფიასა შინა, უწინარეს მაკედონელისაცა, სახელსა მოსხი, ესე იგი არს მესხი, და მთათა დევაბოინისას, ირიჯლუსას ,ყალნუსა და თორთომისას—მოსხის მთად, ეს არს მესხის მთა. ამით საჩინო არს მცნეთოსისა და მცხეთისგან იწოდა სახელი ესე, და არს ძველითვე, ვითარცა იწოდა ბაგრატიონობასა შინა.

ვახუშტი.

[361]) იხ. შენიშ. 355.

[362]) გიორგი ბრწყინვალე † 1346 წ.

[363]) ყვარყვარე † 1466 წ.

ჩდილოთ მზღვრის მთა ღადო ანუ ფერსათი და მთა აჭარა-
გურიის შორისი და ზღვა პონტოსი; დასავლით—მთა აზრუ-
მისა, ეზინგისა და საქართველოსყელს შუა წავლილი, ანუ
რკინის-პალოსი, და მისრული ზღვამდე, რომელი აღვსწერეთ
ტრაპიზონისა და ჭანეთის საზღვარი **).

ქვეყნისათჳს. ხოლო არს ქვეყანა ესე ფრიად მრავალ და
დიდროვანმთიანი, კლდიანი, ჯევიანი, ღრატოიანი, ტყიანი,
შამბ-შროშნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ვე-
ლოვანი; ზამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდ-თოვლიანი და
ადგილ-ადგილ ფრიად თბილი, ზაფხულს შეზავებული: რამე-
თუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს
ფრიად ცხელი და გაუძლისი, თვინიერ აგარაკთა. ჰავით მშვე-
ნი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფი-
ერებს ქვეყანა ესე ყოვლითა მარცვლითა და არა ყოველგან.
ადგილად აკეთებენ აბრეშუმსაცა მცირედ. და ხილნი, რომე-
ლნიცა აღვსწერეთ, არიან მრავლად და კეთილნი. არიან წა-
ლკოტნი, მტილნი და სავარდენი. განა ტყეთა, მთათა და ვე-
ლთა, ვიეთთა ადგილებთა შინა, მრავალ არიან, ვინადგან მთა
და ველნი შროშნითა ფშვიან. პირუტყვნი ყოველნი მრავალ-
ნი და ნადირნი მრავლად, არამედ ქურციკი არა არს. ფრინ-
ველნი ურიცხვნი, განა დურაჯი, შხერო, ასკატა არა არს
აქა. ჩიტნი და სირნი უამრავნი. მდინარენი მრავალნი, დიდ-
ნი და ჩქარად მომდინარენი. წყარონი ტკბილნი, მშვენნი და
კარგნი. ტბანი კეთილნი და თევზიანნი და უმეტეს კალმახ-
ნი დიდნი და წვრილნი. არამელ ზუთხი არა არს მდინარე-
ტბათა ამათ შინა, არცა კირჩხიბი. მწერნი და მძრომელი ად-
გილ-ადგილ მრავალნი, და ადგილად არა ეგოდენნი. ფუტკა-
რი მრავალნი, და თაფლნი კარგნი და მრავალნი.

კაცისათჳს. ხოლო კაცნი და ქალნი არიან მგზავსნი ქა-

**) ესენი არიან მოსხის მთანი. ვახუშტი.

რთველთანი, არამედ უმეტეს ნელიად და ენა-ტკბილად მოუბარნი, ტანოვანნი, მკნენი, შემმართებელნი, შვენიერნი, ცოდნა-კელოვნების მოყვარენი, არამედ აწ, მაჰმადიანობის გამო, არღარა. სარწმუნოებით იყუნენ, წლისამდე ქრისტესისა ჩქვ, ქართულისა ტიდ-მდე, სულიად ქრისტეანენი ქართველთა თანა, და სამწყსონი ქართლის კათალიკოზისანი; ხოლო აწ მთავარნი და წარჩინებულნი არიან მოჰმადიანნი და გლეხნი—ქრისტეანენი, არამედ კლარჯეთს გლეხნიცა უმეტესნი მოჰმადიანნი; გარნა ვინანიცა არიან ქრისტეანენი, იგინიცა უმწყსელნი არიან, ვინათგან არღარა რაისა მორჩილებენ ქართლის კათალიკოზსა, და ბერძენთა არა სცალს მათთჳს. ამისთვის უეფისკოპოზონი და უხუცონი არიან, თვინიერ რომელნიმე ქართლს იკურთხიან [364]). ენა საკუთრად აქუსთ იგივე ქართული. განა წარჩინებულნი ნადიმთა და კრებულთა შინა უბნობენ აწ თათრულსა და თვისთა სახლებთა ანუ ურთიერთის მეგობრობათა შინა იტყვიან ქართულსავე. სამოსლით მოსილნი არიან—წარჩინებულნი და მოჰმადიანნი ვითარცა ოსმალნი და ქრისტეანენი ვითარცა ბერძენნი, ხოლო ჯავახეთისანი და ვიეთნიმე მესხნიცა ვითარცა თრიალელნი, და გულისხმაჰყავ ეგრეთვე ქალნიცა მათნი.

სამცხისათჳს. ხოლო ქვეყანასა ამას შინა არიან მდინარენი უდიდესნი მტკვარი და ჭოროხი. რამეთუ მტკვარს მოერთვიან ყოველნი მდინარენი სამცხისანი, ჯავახეთისანი და კოლა-არტანისანი, და ჭოროხს სულიად კლარჯეთის მდინარენი, თჳნიერ ჭანეთისანი. ამისთჳს ჩვენ კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე აღწერასა, ვინადგან დაგვშთა ქართლიდამ სრულად აღწერა მისი.

და მდინარე ესე მტკვარი გამოსდის, კოლას ზე-

---

[364]) იხ. სამცხე-საათაბაგოში მაჰმადიანობის გავრცელების შესახებ ცნობები „საქართველოს კალენდარში" (1904 წლ., გვ. 94—96).

ით, არსიანის მთას და აწ წოდებულსა ყალნუს და ყარსის მთასა, და მუნიდამ მიდის სამკრეთიდამ ჩდილოეთად ვიდრე ახალ ციხის წყლის შესართავადმდე; მერმე მუნიდამ გაბრუნდების აღმოსავლეთად და მიდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად ჭობისკევადმდე; და მას ქვეითი აღვსწეენით ქართლსა ზედა. გარნა ესე მტკვარი დის ერუშეთის მდინარის შესართავიდამ ვიდრე ჭობისკევამდე ქართლისაგან უმეტეს ჩქარად და კლდოვანსა და ხრამსა ქვიანსა შინა. და ერუშეთის მდინარის შესართავს ზეით, არტანსა და კოლასა შინა, ფრიად მდორედ და გრეხით, სივაკის გამო, და არსცა თევზთა სიმრავლე მას შინა, და მთის კერძოდ უფროს კალმახნი დიდნი და წვრილნი. სასმისად არს გემოიანი და შემრგო უფროს ქართლისაგან, და სხვად არარადმდე საკმარი.

ხოლო ამ მტკვარს, ჭობისკევს ზეით, მოერთვის ჩდილოდამ ქვაბისკევი, გამომდინარე ფერსათის მთისა. ამ კევის დასავლით, მტკვრის კიდეზედ, არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი (ვგონებთ ამას დემოთისციხედ, რომელი აღაშენა სუმბატ ბივრიტიანმან, და განავსნა სპითა შემწედ წუნისათჳს და შურად ოძრახოსა და ლოსმსიასათჳს, და რათა ვერღარა ვიდოდენ სპანი ქართლისანი მას ზედა, ვინაჲთგან ჯავახეთი ეპყრა მასვე)[365]). ამ ციხეს ზეით მოერთვის მტკვარს კევი ბობნავისა, გამომდინარე კოდიანის მთისა. მოდის ჩრდილოდამ სამკრით მტკვრამდე. ამას ზეით მოერთვის მტკვარს სლესისკევი ჩდილოდამ. გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრით (ამ კევთაგან ერთს ვგონებ ლოგად კევად). სლესისკევს ზეით მოერთვის მტკვარს სამკრიდამ თიხრევისკევი, გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩდილოდ. ამ თიხრევისკევს მოერთვის ყინცვისს სხვა კევი, გამოსდის კოდიანსავე. თიხრევისკევს ზეით, მტკვრის კიდეზედ, სამკრით,

---

[365]) იხ. შენიშვნ. 4.

არს აწუვერი, ქალაქი და ციხე დიდშენი. მოსახლენი არიან მეხსენი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი, არამედ წარჩინებულნი— მოჰმადიანნი. აქა არს ეკლესია დიდშენი, შვენიერად ქმნული, გუმბათიანი, ყოვლად-წმიდის ღუთისმშობლისა. იჯდა მიტრაპოლიტი, მწყემსი ყვიბის კორტანეთს ზეითისა და მტკვრის ჩდილოეთისა და ბოცოს წყლის ჩდილოეთის კერძოსი, ვიდრე გურიის მთისამდე. გარნა აწ უქმი არს [366]). არამედ ციხესა შინა დგანან იენგიჩარნი [367]). აქ არს ხიდი მტკვარსა ზედა.

ამის ზეით მტკვარს მოერთვის ზიკილიის კევი, ჩდილოდამ, ეგარს. გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრით. ამ კევს ზეით, ხიდის-თავს, მტკვარს მოერთვის სამკრიდამ ხოსპიოს კევი, გამომდინარე კოდიანისა და მომდინარე ჩრდილოთ. ამის პირისპირ, მცირეთ ზემორ, ჩდილოდამ მოერთვის მტკვარს, წინუბანს, აბანოსკევი. გამოსდის ფერსათს და მოდის სამკრით. ამ კევს ზეით, წნისს, ერთვის მტკვარს წნისისკევი, გამომდინარე ფერსათის მთისა. ეს მოდის პირველ ჩდილო-დასავლეთიდამ აღმოსავლეთს-სამკრეთს შუა, მერმე ჩდილოდამ სამკრით. ამ კევზედ არს, წნის ზეით, მონასტერი, მადალს კლდესა ზედა, კეთილ შენი, გუნბათიანი, და აწ უქმი. ამ კევის სათავეს, მთახა შინა, არს ჭვინტის დასავლეთად, ჯვარისციხე, მაგარი და დიდშენი. ჯვინტას არს მონასტერი კეთილი, შვენიერშენი და აწ უქმი. წნისს არს, მტკვარზედ, ხიდი კარგი. ამ ხიდს ზეით მომდორდების მტკვარი და მოდრკების სამკრიდამ აღმოსავლეთად. სად მოდრკების, მოერთვის მტკვარს მუნ ახალ-

---

[366]) დიდებულის აწყურის ტაძრიდამ აწ დაშთენილა მხოლოდ სამი კედელი, ისიც დაზიანებული, დანგრეული. მის აშენებას მიაწერენ მე-VII საუკ. მე-XIII საუკ. დაინგრა მიწის ძვრისაგან. შემდეგ განაახლეს. აწყურის ღვთისმშობლის სასწაულთმოქმედი ხატი, მატიანის გადმოცემით, აქ მოიტანა ანდრია მოციქულმა. ახლა ეს ხატი გელათის ტაძარშია.

[367]) ოსმალთა ჯარი აწყურის ციხეში იდგა 1828 წლამდე.

ციხის წყალი, და ახალციხისწყალი ეწოდების კვანჯღამდე ამ წყალსა, და მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ხოლო კვანჯღას ზეით ახალციხის წყალი განიყოფის ოთხ მდინარედ, და ეწოდების თჳს თჳსნი სახელნი. ხოლო ამ ახალციხის წყალს, მტკვარს ზეით, მოერთვის ოლდამისკევი მარდაებთან. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის სამკრიდამ ჩრდილოთ. ამ კევს ზეით, ახალციხეს, ერთვის, ურიაებთან, ბორჯომისკევი, მისვე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე. აქა არს ახალ-ციხე [368]) ქალაქი, ფერსათის მთის კერძოთ ჩამოსულს კლდესა ზედა. არს ციხე ქალაქის თავს (ამას ვგონებ ლომსიად: ვინა-თგან, ისახელებისრა ახალციხე ცხოვრებასა შინა, არ-ღარა მო-იკსენების მერმე ლომსია). ამ ახალციხეს უდის წყალი თჳსი სამკრით და დასავლით—ლიკანისკევი, რომელი გამოსდის ფე-რსათს და მოდის სამკრეთად. ხოლო ქალაქი არს მოზღუდვი-ლი ციხიდამ ქვიტკირის სამის ზღუდით. მას შინა მოსახლენი არიან წარჩინებულნი და ჩენილნი მოჰმადიანნი, და ვაჭარნი-ცა. გარნა სახლობენ სომეხნი, ურიანი და მცირედნი მესხნი-ცა. ჰავით არს მშვენი, ზამთარს ცივი და თოვლიანი, ზაფ-ხულის არა ეგდენ ცხელი. გარემოს ქალაქისა წალკოტნი, ვენახნი და ხილნი მრავალნი. აწ მჯდომარებს ფაშა მუნ, რო-მელსა უწოდებენ—საქართველოსანი კვალად ათაბაგადვე, ხო-ლო ოსმალნი—ახალციხის ფაშად, და უპყრავს ამას სულიად სამცხე საათაბაგო [369]).

ხოლო ახალციხეს ზეით, კვანჯღას, მოერთვის ახალ-ციხის წყალს ოცხისწყალი. ეს გამოსდის ფერსათს და

---

[368]) ხალკოკონდილა (ჰანი, ნ. 2, გვ. 3) ამ ქალაქს უწოდებს ხალ-ტციხი. იქნება, მართლაც, ამ ქალაქს ძველად ერქვა არა ახალ-ციხე, არა-მედ ხალტ-ციხე ანუ ხალდ-ციხე, ციხე ხალდთა. გრაფ პასკევიჩმა ახალცი-ხე დაიპყრა 1828 წ. 16 აგვისტოს.

[369]) ათაბაგობა (ახალციხის ფაშობა) მოისპო 1828 წლიდგან.

მოდის ჩდილოთ დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამკ-
რეთს შუა. ამ ოცხისწყალს ერთვის, ვაშლობს, პანტნოვანის-
ხევი, გამომდინარე ფერსათისა, და მოდის ჩრდილოდამ სამკ-
რით. ამ კევის ზეით, მთის ძირში, არს ოძრახე, რომელი აღა-
შენა ოძრახოს, ქალაქი და ციხე, და უწოდა სახელი თჳსი.
ამისაგან ეწოდაცა საერისთოსა ამას საერისთო ოძრახოსი, და
იყო ქალაქი და ციხე, განყოფილებისამდე სამეფოსა, საერის-
თოდ, და შემდგომად მისა—დაბად. ხოლო აწ არს ოკერ, და
ციხე შემუსვრილი. მცირედ ამის ქვეით, სამკრით, არს მთის
კალთას წყაროდ გამომდინარე, ფრიად დიდი და ცხელი, მდუ-
ღარის მგზავსი, რომელსა უწოდებენ ოცხეს. მას ზედა არს
შენი აბანო, და ბანობენ მრავალნი: რამეთუ ჰკურნებს ქარით
დახუთვილსა ძლიერსა, მუწუკსა და ბუგრსა, ძნიად საკურნებე-
ლსა მკურნალთაგან [370]). გარდავალს აქედამ გზა კაკას [371]) ხიდზედ
ბაღდადს. ამ გზას ეწოდა, მთით, რკინისჯვარი [372]). ამ ოცხის-
წყლისა და ახალციხის წყლის შესართავს ზეით იყრებიან ერთად
ქვაბლოვანისა და ბოცოს წყალნი, და მოერთვიან ოცხე ახალ-
ციხის წყალსა. და ქვაბლოვანისწყალი დის ოცხესწყლის სამ-
კრით და გამოსდის გურიის მთასა, მოდის ჩდილო-დასავლეთს
შუადამ აღმოსავლეთ-სამკრეთს შუა, და ამის სამკრით დის

---

[370]) ოძრახე ანუ ოძრხე უნდა ნიშნავდეს საძროხეს, საძროხე ადგილს (სა=მეგრ. ო: სა—ზომელი=ო-ზომალი, სა-რტყელი=ო-რტყაფუ, საფე-თქელი=ო-ფეთქალა, სა-ღორე=ო-ღეჯე). თვით ოცხე-ც თუ არ არის იმავე ფესვისა, რომლისგანაც წარმოსდგა ს ა მ ც ხ ე, ან და სიტყვები ცხე-ლი, სიცხე, შეიძლება იყოს იგივე ოძ(რ)ხე, რადგან „ოცხე" უახლოვ-დება მეგრ. ჩხე (ძროხა). დღეს აქაურს აბანოებს უწოდებენ აბასთუმანს (აბაშთ-მანი, ვითარცა კოდ-მანი, ფლავის-მანი, ტიმოთის-მანი და მრ. სხ.).

[371]) კ ა კ ა კაცის სახელია. შეად. კაკი (აწ კახი).

[372]) ანდრია მოციქულმა აქ აღმართა რკინის ჯვარი (ქართ. ცხ., ტვ. 42).

ბოცოსწყალი. ეს გამოსდის გურიისა და აჭარის მთასა, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. და ამ ბოცოსწყალს, ხვანას ზეით, ერთვის სხვა კევი, რომელი გამოსდის გურიისვე მთასა. ესეც მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამას ზეით, ბოცოსწყალზედ არს, ნაოხარს, სასახლე თამარ მეფისა, დიდ-შენი, შვენიერს ადგილს და აწ ოკერ. ბოცოსწყალსა და ქვაბლოვანისწყალს შორის, ხვანასა და უდეს შორის, არს მთა წარსრული გურიის მთიდამ აღმოსავლეთით. ამ მთასა შინა არს ვანს მონასტერი, შვენიერი, კეთილ-ნაგები, და მუნვე ქვაბნი გამოკვეთილ-ნი, დიდ-დიდნი, კლდესა შინა, და აწ უქმნი. ამავ მთაში არიან ზეგანის დაბნები. ხოლო ბოცოს და ქვაბლოვანის წყლის შესართავს ქვეით ამ წყალს ერთვის ჯაყისწყალი. გამოსდის არსიანის მთას და მოდის აღმოსავლეთად. და მოერთვის ბოცო-ქვაბლოვანის წყალს სამკრიდამ, და ამ ჯაყისწყალს, ჭვინტას ქვეით, მოერთვის ტყისსოფლისკევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის სამკრით. ამ კევს ზეით, ჯაყისწყალსავე, წურწყუმს, მოერთვის ფოცხვისკევი. გამოსდის ერუშეთსა და მის შორის მთასა, მოდის დასავლეთად და მერმე ჩდილოდ. ხოლო წურწყუმას არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-შვენიერად ნაგები და დიდი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ბოცოსწყლისა და ახალციხისწყლის სამკრეთისა, ვიდრე მტკვრადმდე და ერუშეთისა და არსიანის მთამდე [273]). წურწყუმს ზეით, ჯაყისწყალზედ, არს ყველის-ციხე, მრავალჯერ შემუსრვილი და აწ ოკერი [274]). ყველს ზეით, მთაში, არს ზარზმის მონასტერი გუნბათიანი, კეთილშენი, შვენიერს ადგილს და აწ

---

[273]) წურწყუმას ტაძარი გაოხრებულია.

[274]) ყველისციხე ანუ ყუელი შესანიშნავი და სახელგანთქმული სიმაგრე იყო მე-IX—X საუკუნიდგანვე. ბერძნის მწერლები მას უწოდებენ „კუელს“ (ჰან, ნ. 2, გვ. 2, 3). (იხ. ქვემო „ტბეთი“).

ულმი [375]). ხოლო ქვაბლოვანისა და ბოცოსწყლის სათავიდამ გარდავლენან გურიას და აჭარას გზანი, და ჯაყისწყლის სათავიდამ გარდავალს აჭარასა და შავშეთს გზანი, და ფოცხვისწყლის სათავიდამ გარდავალს ერუშეთს გზა. არამედ აწ, ვინადგან აღვსწერეთ ახალციხის დასავლეთი, ამისთჳს კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე, და აღვსწერთ მის შემრთველს წყალთა.

ახალციხისწყლისა მტკვრის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის ცუნქისკევი. გამოსდის ერუშეთის მთას და მოდის აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის. ამ კევს ერთვის ღრელისკევი, მისვე მთის კალთის გამომდინარე. ამ კევზედ არს სოფრას მონასტერი, შვენიერად დიდშენი, გუნბათიანი, ყოვლად-წმიდისა. ეს იყო შემკული ყოვლითა საეკლესიოსა და წმიდათა ნაწილებითა, და დაეფლოდნენ ათაბაგნი, და აწ არს ხუცის ამარ [376]).

---

[375]) ზ ა რ ზ მ ა ნიშნავს ზარცემას, ზარ ქჳნას (ზარ—ზმა). მისი სახელი ამართლებს მიზეზს მისის აშენებისას. დავით კურატპალატის ჯარს წაუძღვა სახელოვანი თორნიკი და დაამარცხა ვარდა სკლეროსი, იქიდგან დაბრუნებულთ აუგიათ ეს ტაძარი და დაურქმევიათ ზარ-ზმა. წარწერა გვაუწყებს: ივანე სულაისძემ აღვაშენე ეს ეკვდერი (ზარზმისა) მაშინ, როდესაც სკლეროსი განდგა და კურატპალატ დავითმა († 1001 წ.)—ადიდენ ღმერთმანნ—უშველა წმიდათა იმპერატორთა და ჩვენ ყველანი წარგვგზავნა შველად მათდა. სკლეროსი უკუვაქციეთ. დავითმა აღაშენა ეს ტრაპეზი ე. თაყაიშვილის გამოკვლევით, ზარზმა აუშენებიათ სწორედ შემდეგ სკლეროსის დამარცხებისა, მეათე საუკ. გასულს. ტაძარი მთლათ მოხატულია, აქვს მრავალი შესანიშნავი წარწერა, სრულად გადმოწერილი ე. თაყაიშვილის მიერ 1903 წელს. მის ახლოს არის სოფელი ჩორჩანი, საიდგანაც ყოფილან სახელოვანნი მოღვაწენი მე-X—XI საუკუნოისა, ჩორჩანელები. ტაძარს უკვე აახლებენ, ხოლო სწორედ მისი ყაიდისა და მისი მგზავსი უკვე ააშენეს აბასთუმანს.

[376]) საფარა—საფარველი (სა-ფარა). საფარაში 12 საყდარია, და უმთავრესი კი წმ. საბასი. საფარის უმთავრეს ტაძარზედ უდიდებულე

ამავ კევს ზეით, ცუნქისკევს მოერთვის ჭობარ ეთისკევი, გამო-მდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე (ამას ვგონებთ ხინგის მდინარედ). ამ კევს მოერთვიან, კევაშენებს, ორნი კევნი, დასავლეთიდამ მომდინარენი. ხოლო ხობას ზეით არს, ცუნქაღრელის კევთ შორის, თმოგვს, კლდესა ზედა, ციხე შენი. თმოგვი იყო ქალაქი, არამედ აწ არს დაბა [377]). კვალად მტკვარს მოერთვის, ცუნქისკევის შესართავის პირისპირ, აღ-მოსავლიდამ, ინწყორასკევი, გამომდინარე კოდიანის მთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ კევს მოერთ-ვის, გიორგიწმიდას, სხვა კევი სამკრიდამ, მცირე. ხოლო ცუ-ნქისკევს ზეით, მტკვრისა და წითელისკლდის დასავლეთით, არს მონასტერი გუნბათიანი, დიდშვენიერი, შვენიერს ად-გილს და აწ ცალიერი. კვალად მტკვარს მოერთვის, წითელ-კლდეს ზეით, ღობიეთის, პირისპირ, ოშორისკევი. ესე გამოს-დის კოდიანის მთას და მოდის დასავლეთად. ამ კევზედ, ზე-მო-ოშორს ზეით, არს მონასტერი გუნბათიანი, დიდ-კეთილად ნაგები და აწ ცარიელი. ოშორასკევის შესართავს ზეით, ინ-დუსს, არს ხიდი მტკვარზედ. მას ზეით მოერთვის მტკვარს

სი ძნელად თუ კიდევ იქნებაო, ამბობს დიუბუა. მისი გეგმა მოგვაგონებს ბელათის საყდარს, მაგრამ ჩუქურთმით ესწმდიდარია იმაზედ. მტკ-ად ხელოვნურად ნაკეთებია მისი სარკმლები და სვეტები. აქვეა წმ. მარინეს საყდარი შესანიშნავის წარწერებით, რომელიც უკვე გადმოიღო ე. თაყაიშვილმა (იხ. ბაქრაძისა „Кавк. въ др. пам. христ." „Матеріалы по арх. Кавказа", გამოც. IV, I. ვეიდენბაუმისა Матеріалы, გვ. 380).

[377]) თმოგვი ააშენა მეფე ფარნაჯობმა მე-III საუკ. ქრ. წ. აქ დაიბადა სახელოვანი მწერალი სარგის-თმოგველი, კაცი ფილოსოფოსი, ბრძენი, თანამედროვე თამარ მეფისა და მისის შვილებისა, მთარგმნელი ვისრამიანისა. აქ იყოო, ამბობს პ. იოსელიანი, სასახლე თამარ მეფისა, და ამ სასახლის ნანგრევები დღესაც მოჩანსო მიუდგომელს კლდეზედ. არსებობს აგრეთვე ეკლესიაო და მასში საფლავი სარგისისა („Города...").

სველისკევი დასავლეთიდამ. ამას ზეით ერთვის მტკვარს ასპინძისკევი, აღმოსავლეთიდამ. გამოსდის კოდიანისას ანუ ჯავახეთის მთას. ამის შესართავთან არს ხიდი მტკვარსა ზედა. ასპინძის თავს და აგარის ბოლოს არს ციხე კლდესა ზედა შენი, მაგარი [378]). ასპინძის ზეით, ჩდილოთ კერძოთ, არს მგელციხე, მაგარი, დიდშენი. ამავ კევზედ, ოთას, არს კლდესა შინა გამოკვეთილნი ქვაბნი დიდ-დიდნი, სახიზრად. ოთას ამ კევს ერთვის ჯაბოეთისკევი. გამოსდის ჯავახეთის მთას. და ასპინძისკევის სათავეზედ, მთის ძირში, არს შორაპანს მონასტერი უგუნბათო, შვენიერს ადგილს, დიდშენი, სულიად სოფიის კენჭით, და აწ ცალიერი. ასპინძისკევის შესართავს ზეით მოერთვის მტკვარს ვარენთისკევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის დასავლეთად. ვარენთას არს ციხე მაგარი, კლდესა ზედა შენი. ამ კევის შესართავს ზეით, მტკვარს მოერთვის აღმოსავლიდამ კოხტისკევი. გამოსდის ჯავახეთის მთას ანუ კოდიანს და მოდის დასავლეთად. კოხტას ამ კევს მოერთვის სხვა კევი, მისვე მთას გამომდინარე. ამ ორს კევს შორის არს ციხე კოხტისა, დიდშენი და მაგარი [379]). კვალად მტკვარს მოერთვის, კოხტისკევის შესართავს ზეით, დადეშისკევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა. დადეშს არს მონასტერი გუნბათიანი, კე-

---

[378]) ასპინძას მოკლეს ნასრი 888 წელს. ასპინძას ერეკლე მეფემ დაამარცხა დიდძალი ოსმალთ ლაშქარი 1770 წელს, 20 აპრ.

[379]) მე-XIII საუკ. შემოეკრიბენ საქართველოს თათრები (მანღულები), მოსწვეს, გაოხრეს ქვეყანა და მძიმედ დახარკეს. აქ, კოხტას, შეიყარნენ საქართველოს თავ-კაცნი (ცოტნე დადიანი, სარგის თმოგველი, შანშე, ვარამ გაგელი და სხ., მოილაპარაკეს, როგორ უშველონ ქვეყანას და როგორ გაათავისუფლონ. ვიდრე დაწყობილობას სისრულეში მოიყვანდნენ, თათრებმა შეუტყეს და შეიპყრეს ყველანი, გარდა ცოტნე დადიანისა. შემდეგ ცოტნეც შეპყრობილებთან მივიდა, თავი იმართლეს და განთავისუფლდნენ პყრობილობიდგან (ქ. ცხ., 375).

თილ-შვენიერს ადგილს შენი, აწ ცალიერი. ამ კევის შესართავს ზეით, ნიჯგორის პირისპირ, მტკვარს მოერთვის, შულავრისკევი, გამომდინარე ერუშეთის მთისა. ამ კევს ზეით, ხერთვისს, ერთვის ჯავახეთის მდინარე მტკვარს, რომელსა უწოდებენ ჯავახეთის მტკვრად. და ამ მდინარეს მოერთვიან ყოველნი ჯავახეთის მდინარენი. ხერთვისს არს ხიდი მტკვარსა ზედა [380]). ამ ხიდს ზეით მოერთვის მტკვარს ჭაჭარაქისკევი. გამოსდის ერუშეთის მთას, მოდის აღმოსავლეთად. ამ კევს ზეით მოერთვის მტკვარსვე ქარზამეთისკევი, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. ქარზამეთს არს მონასტერი გუნბათიანი, მდიდრად შენი, კეთილს ადგილს და აწ ცალიერი. ამას ზეით არს ვარძიას მონასტერი, კლდესა შინა გამოკვეთილი, სენაკ-პალატებითურთ, და მას შინა აღშენებული და მეფის გიორგისაგან და შესრულებული თამარ მეფისაგან. ესე შემკული იყო საეკლესიოს სიმდიდრითა და ყოვლის წესიერებითა. დაფლულ არიან და მეფე გიორგი, და მეფე კოსტანტინე და სხვანიცა. არამედ აწ ცალიერი [381]).

ხოლო აქამომდე, რომელნი აღვსწერენით, ესე არს უმე-

---

[380]) ზღვათა და წყალთა საშუალს ხმელს ადგილს ჰქვიან ხ ე რ თ ვ ი ს ი და, მართლაც, აქაური ხერთვისიც ასეთია: კლდიანი, ხმელი, მწირი, მარჯვენა კიდეზე მტკვრისა და მარცხენა კიდეზე მასში შემდინარე ჯავახეთის წყლისა. სიმწირის და სივიწროვის გამო აქაურები ღრმად ხვრეტენ კლდიანს ფერდობებს, აყრიან ნოყიერ მიწას და ახარებენ ხეხილებს. აქვე არის მაგარი და ბურჯებიანი ციხე. ხერთვისი და წუნდა შესანიშნავ სიმაგრეებად ითვლებიან მე-IV საუკუნითგან ქრ. წინ. ხერთვისის ციხის კედელზე არის წარწერა „შეფეთ მეფე, სე“ (ქორონიკონს 985 წ.).

[381]) ვარძია კლდეში გამოკვეთილი დიდი ქალაქია, ეკლესიებიანი, სენაკ-პალატებიანი, მეიდნებიანი, წყაროიანი, ვენახ-ბაღიანი გარედგან შესავალშივე. იგი დაიტევს 20,000 კაცს. ვარძია აოხრა შაჰთამაზმა 1551 წელს.

ტესად ზემო-ქართლი და შემდგომად სამცხე წოდებული, და აწ-ცა სამცხედგე ისახელების. და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავ-ლით საზღვარი ქართლისა და მთანი კოდიანისა, შარვაშეთი-სა და საზღვარი ჯავახეთისა; სამკრით მთა ერუშეთისა და სა-მცხეს შორისი, მერმე არსიანის მთა, შავშეთსა და ყველს შო-რისი. ხოლო არსიანის მთა [382]) მდებარებს სიგრძით აჭარის მთი-დამ არტანამდე, აღმოსავლეთ-სამკრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავ-ლეთს შუა. და არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი. გა-მოსდიან მდინარენი ამიერ და იმიერ. არს ყვავილოვანი, ბა-ლახოვანი, წყაროიანი, ნადირიანი, ფრინველიანი. არტანიდამ მოდრკების არსიანის მთა და წარვალს სამკრით, მიადგების ყარსის მთას. ამ არსიანის მთას უწოდებენ: არტანს—ქვა-ურიდს, და კოლას—ულდნუმთას. ამ მთას აქუს აღმოსავლით კოლა, არ-ტანი და დასავლით—არტანუჯი და ფანასკერტი. და არს მთა ესე არსიანსავით, არამედ უმეტესად უტყეო. ხოლო დასავლით მზღვრის სამცხეს მთა გურია-აჭარისა, რომელი მდებარებს ჩდი-ლოდამ სამკრით, ფერსათის მთიდამ არსიანამდე. და არს ესე-ცა თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, წყარო-მდინარიანი, შამბ-ყვავილიანი, ნადირ-ფრინველიანი; და ჩდილოთ მზღვრის მთა ფერსათი, არამედ პირველ-წოდებული ლადო და ლომსია, და ქართლის კერძოდ ეწოდების მახვილო, რომელი არს უმა-ღლესი და მარადის თოვლიანი, მყინვარი და სიმაღლე-სიწვ-რილისათჳს ეწოდა მახვილო. და ძეს მთანი ესე აღმოსავლეთი-

---

[382]) ა რ ს ი ა ნ ი და სიტყვა ლ ი ხ ი ერთის მნიშვნელობისა უნდა იყოს: ლ ი ხ (სვან.)=ა რ ი ა ნ; ამავე არსებით ზმნიდგან ალბად წარმოსდგნენ სახელები არტანი=არდანი, არტანუჯი (არტანური)—არდა-ნუჯი (არდანური): შეად. მ-ერდე=არსი, არდა (სვ)=ორდუ (მ.)=არი-ედ. არსიანი მნიშვნელობით უნდა იყოს იგივე ა რ ს ი ს ა (ესრეთი სახელი ქვეყნისა გვხვდება ვანის ლურსმურ ნაწერებშია). შესაძლებელია ამავე ფესვისა იყოს სახელი არსენიც (არსენ-რუმ=არზრუმ).

დამ დასავლეთად, ქართლის კეობიდამ გურიის მთამდე. არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, გარნა რომელთამე ადგილთა თოვლიანი, ყინულიანი მარადის, ბალახოვანი, შამბნოვანი, ყვავილოვანი, წყარო-მდინარიანი, ნადირ-ფრინველიანი ძრავლობით. ჩდილოთ აქუს იმერეთი და სამკრით სამცხე. და ამ საზღვართა შორისი არს სამცხე, შიგნით მთიანი, გორიანი, ღრატოიანი, კევიან-კლდიანი, მაგარი მთა-ბართა სიახლოვითა, ვენახიანი, ხილიანი მრავლად. მარცვალნი ყოველნი ნაყოფიერებენ, პირუტყვნიცა მრავლად, არამედ ცხოვარნი უმრავლესად. ჰავით მშვენი და შემკული, აგარაკოვანი. თევზნი, თვინიერ ზუთხისა, მრავალნი და გემოიანნი ყოველნი. კაცნი და ქალნი, ვითარცა აღვსწერეთ, იუწყეთ ეგრეთ. არამედ გლეხნი კვალადცა მაჰმადიანდებიან ჭირისათჳს დიდისა.

ჯავახეთისათჳს. ხოლო აწ ვიწყებთ ჯავახეთს. და სად ერთვის მტკვარს ჯავახეთის მტკვარი, ამ ორს მდინარეს შორის არს ხერთვისი, მტკვრის აღმოსავლეთის კიდეზედ და ჯავახეთის მტკვრის სამკრით. და შენი არს აქა ციხე ფრიად მაგარი, და დგანან აწ იენგიჩარნი [383]). არამედ ეს ჯავახეთის მტკვარი გამოსდის ფანაგრის ტბას, და მოერთვის სადამოს ტბასა, კვალად გამოსდის საღამოს ტბასაცა და მოდის აღმოსავლეთ-სამკრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. სიგრძით არს საღამოს ტბიდამ ხერთვისამდე, და დის ფრიად ღრმას და კლდიანს ჯრამსა შინა, რომლისა იმიერ და ამიერ არიან გამოკვეთილნი კლდესა შინა ქვაბნი მრავალნი სახიზრად. ხოლო ხერთვისს ზეით, ამ ჯავახეთის წყალს ერთვის გოკიის მდინარე, გამოსდის შარვაშეთის მთას ანუ ჯავახეთისას, მოდის გოკიამდე ჩდილოდამ სამკრით, მერმე აღმოსავლიდამ დასავლეთად, და მიერთვის ჯავახეთის მტკვარს ჩდილოდამ. გოკიაᲐ არს ქალაქი

---

[383]) იხ. შენ. 380.

მცირე, მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი და ურიანი ვაჭარნი [384]). გოკიას ქვეით ამ გოკიისწყალს ერთვის ოლდამისწყალი, გამომდინარე შარვაშეთის მთისა და მომდინარე ჩდილოდამ სამკრით. ხოლო კვალად გოკიისწყლის შესართავის, ჯავახეთის მტკვრის სამკრით, მაღლა მინდორსა ზედა, მთის ძირად, არს ტბა კარწახისა, დიდი და აღვსილი თევზითა, უმეტეს კალმახითა, ფრიად გემოიანითა [385]). ამ ტბას მოერთვის წყალი ფოსოსი, რომელი გამოსდის ყარსის მთას, და მოდის ჩდილოთ კერძოთ. ამ წყალზედ არს, ტბის მჭვრეტი, წყაროსთავს, ეკლესია, ფრიად დიდ-შვენიერი, გუნბათიანი, რომელი აღაშენა მირდატ გორგასლის ძემან. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი მტკვრის აღმოსავლეთისა არტანითურთ, ვიდრე ყარსის მთადმდე და ხავეთამდე [386]). ამავ წყალზედ არს ფოსო ანუ ჩუდურეთი [387]). ამ ფოსოს აქუს, აღმოსავლით, მთა ნიალისყურისა, სამკრით—მთა ყარსისა, დასავლით—მთა არტანისა და მის შორისი, ჩდილოთ—მთა ნიალისყურისავე, წყაროსთავის სამკრით, რომელსა გასჭ-

---

[384]) გოკიაში დაშთენილა შვიდი საყდრის ნანგრევი. ახლა მასში ცხოვრობენ თათრები—ყარაფაფანნი (ი. როსტომაშვილი. Ахалк. уѣздъ въ арх. отношеніи, გვ. 53).

[385]) როსტომაშვილი ამბობს, (იქვე, გვ. 59), ამ ტბაში არავითარი თევზი არ არისო. გვგონია, არც ძველად უნდა ყოფილიყო, რადგან მისი სახელი კ ა რ წ ა ხ ი ნიშნავს ფრიად მწარე-მჟავეს (ინგ. კარწახი=კაწახი =კოწმახი). კარწახის ტბა სიგრძით 6—7 ვერსია და სიგანით 4.

[386]) ამ მაკურთხეველის სამწყსოს არე-მარე მთლად გაოხრებულია, თუმცაღა დიდებული ტაძარი ისევ მთელია. მისი წარწერა გვაუწყებს: ქრისტე, შეიწყალე გიორგი ეპისკოპოზი. ქრისტე შეიწყალე ხუროთ მოძღვარი და მაშენებელი ამის წმ. საყდრისა. ქრისტე შეიწყალე იოვანე სამთავრელი ეპისკოპოსი". (იხ. იქვე, გვ. 67).

[387]) ჩუღური ინგ. ჩაღრმავებული ადგილი ანუ ფოსო (ჩუღურეთი და ფოსო მნიშვნელობით ერთია. შეად. ოღრო-ჩოღრო).

რის წყალი ფოსოსი. და არს ეს ფოსო უვენახო, უხილო, ვითარცა ჯავახეთი, ყოვლითა მოსავლით, პირუტყვით და კაცითა. ხოლო კვალად გოკიისწყლის შესართავს ზეით, ჯავახეთის მტკვარსა ზედა, სამკრეთისაკენ, კიდეზედ, არს წუნა, რომელი აღაშენა—ციხე-ქალაქი მტკიცედ მოზღუდვილი—ჯავახოს, მცხეთოსის ძემან. ამასვე უწოდეს ტურა, შემდგომად უწოდეს ამასვე სომეხთა ქაჯთა-ტუნი, და მერმე ეწოდა ქაჯთა-ციხე. იყო ქალაქი და ციხე და საერისთო ერთმეფობამდე. არამედ აწ არღარა არს ქალაქი, განა ციხე არს[388]). ამ წუნას ზეით კრამის თავს, მინდორზედ, სამკრით კერძოთ, არს კუმურდოს ეკლესია, გუნბათიანი, ფრიად დიდ-შენი, შვენიერად ნაშენი. რომელი აღაშენეს კოსტანტინეს მოგზავნილთა, ჟამსა მირიანისასა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი სულიად ჯავახეთისა, ხერთვისს ზეითისა[389]). ხოლო წუნას ზეით, ჯავახეთის

---

[388]) წუნა=წუნდა მტკვრის მარჯვენა კიდეზეა და ჯავახეთის-მტკვრის სამხრეთით 18 ვერსზე. მისს ძველს სახელს ტური ჩვენ ვუახლოვებთ შუამდინარის ქალაქის სახელს ურ, ტურა და ბიბლიის ურ-ქალდს. ეკლესიის წარწერა: სახელითა ღუთისაჲთა მე იჩქითმან გურგენის ძემან აღვაშენე ეკლესიაჲ ესე მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმ. ნათლისმცემელისსა სალოცველად ჩემთვის და მშობელთა ჩემთათ. (იქვე, 129).

[389]) კუმურდოს დიდებული ტაძარი აგებულია 964 წელს ლეონ მეფის ჟამს. იგი ჯერ ისევ მკვიდრად დგას, გარეშემო კი სომხები დასახლებულან. კუმურდოს მაკურთხეველს საპატიო ადგილი ეჭირა საქართველოს ღვდელმთავართა შორის. აქაურ ეპისკოპოზების იოვანე ლასურიძისა და ზოგიერთ სხვათა ხიგელნი შენახულა საეკლ. მუზეუმში. თვით ეკლესიის წარწერები იხსენიებენ იოანეს, გაბრიელს, ეფრემს და ზოსიმეს, აგრეთვე მეფე ლეონს, დედოფალს მარიამს, ერისთავს ზვიადს და სხ. ეი ერთი წარწერა: შეწევნითა ღუთისაჲთა იოანნე ეპისკოპოსმან დაუდვა საძირკველი ამა ეკლესიასა ჲელითა ჩემ ცოდვილისა საკარისთა ლეონ მეფისა ხO—ადიდენ ღმერთმან—ქრონკსა რაჲდ (=964), თუესა მაისსა დღესა შა-

მტკვარს მოერთვის ჩდილოდამ ბარალეთის მდინარე, რომელი გამოსდის ფანავრისტბისა და სანსრების შორისს მთას, და მოდის აღმოსავლეთად. ამ წყალზედ, მტკვრის შესართავს ზეით, არს ბარალეთი, მცირე ქალაქი. მოსახლენი არიან მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი [390]). ბარალეთს ზეით, ამ წყალს, კაჭიოს [391]), მოერთვის აზავრეთისკევი [392]), გამომდინარე შარვაშეთის მთისა, და მომდინარე სამკრეთად. ამას ზეით ამავ წყალს ერთვის ბოჟანოს ქვეით, ბუშათისკევი. გამოსდის მასვე მთას და მოდის ეგრეთვე; ამას ზეით, მასვე ბარალეთის მდინარეს მოერთვის მოდეგისკევი, მისვე მთის გამომდინარე და მომდინარე ეგრეთვე. ხოლო კვალად ბარალეთის წყლის შესართავს ზეით მოერთვის ჯავახეთის მტკვარს, სამკრიდამ, ახალქალაქის წყალი, რომელი გამოსდის აბოცის დაბის მცირეს ტბასა და მოერთვის მცირედ მუნვე ხავეთისტბასა, და კვალად მის ტბის გამომდინარე მოდის აღმოსავლეთ-სამკრეთს შუადამ ჩდილოთ დასავლეთს შორის. ხოლო ახალქალაქი არს ამ ორთა მდინარეთა შესართავს შორის. ესე იყო ქალაქი მოზღუდვილი და ციხე ძლიერი, არამედ შეიმუსრა მრავალგზის. განა აწ აღაშენა

ფათსა ა მთოარისსა, ერისთვობასა ზჯასსა. ესე ბალავარი მან დადვა. ქრისტე შეეწიე მონასა შენსა. ან. (იქვე, 84).

[390]) ბარალეთი—ადგილი ბარიანი, ვაკე (ბარალი=ბარ—არი). სწორედ ასრეთია ამ სოფლის ადგილ-მდებარეობა. მისი ძველი ეკლესიის წარწერა: აეშენა ეკლესიაი ესე მათ ჟამთ შინა, ოდეს ლაშა მეფედ დაჯდა (=1213 წ-). ადიდენ ღმერთმან ორთავე ცხოვრებასა შინა. (იქვე, 40).

[391]) კაჭიოს არის პატარა ლამაზი საყდარი ქართულის წარწერით კედელზე: ქრისტე შეიწყალე ჰაელე.

[392]) აზავერი—დიდი ხარი (შეად. მოზვერი=მო-აზავერე). მის თლილის ქვით აგებულს საყდარს აწერია: ოკფალო, თედოჟასძეს მ... შეუნდვენ.

კვალად შავშეთის ბეგმან, ქართლიდამ [393]). ამ ახალქალაქს ზეით, არს ამირანისკოცრა [394]), მტკვრის სამკრის კიდეზედ. მუნ არს მტკვარსა ზედა ხიდი. ამას ზეით არს ტბა სადამოსი [395]), დიდი და აღვსილი თევზითა გემოიანითა, ამისთჳს: რამეთუ არს ანკარა და ქვიანი. ამის საკრით არს ტბა ფანაგრისა [396]), რომელი აღვსწერეთ ქართლსა ზედა, და ამ ფანავარს გამოსდის ჯავახეთის მტკვარი, დაბას გასადინარსა.

ესე არს ჯავახეთი. და არიან ამ ტბებთა და მდინარე-კევთა ზედა დაბნები და მოსახლენი. ხოლო მზღვრის ჯავახეთს: აღმთსავლით საზღვარი ქართლისა, რომელიცა აღვსწერეთ, სამკრით—მთა ნიალისყურისა, რომელი მდებარებს გოლის ტბიდამ ანუ ხავეთიდამ ყარსის მთამდე ანუ ფოსოს წყაროსთავამდე,—აღმოსავლეთიდამ დასავლეთად; და არს მთა ესე სულიად უტყეო, ბალახ-შამბ-ყვავილიანი და წყაროიანი, ხოლო ფოსოს კერძონი და წყაროსთავის კერძო მტკვრამდე,—ტყიანი, ნადირიან-ფრინველიანი. ხოლო დასავლით მზღვრის ჯავახეთს—ძველად მტკვარი ღა აწ ნიჯგორს-ხერთვის ზეითი და წყაროსთავის დასავლით წარსრული მცირ გორანი; ხოლო ჩრდილოთ პირველი საზღვარი არს კოდიანის მთიდამ წარსუ-

---

[393]) ახალქალაქი ააშენა ბაგრატ III-ემ (980—1014), ხოლო მისი ციხე ბაგრატ IV 1045 წელს.

[394]) ამირანის გორაზედ ყოფილა ძლიერი ციხე, რომელიც დღეს შემუსრვილია.

[395]) აქვე სოფელ საღამოს არის სამი ძველი საყდარი, ერთზე აწერია: ქრისტე, შეიწყალე მონა შენი გეორგაისძე (ი. როსტომაშვილი).

[396]) ამ სახელს (ფანავარს) იხსენიებს ახალქალაქის ახლოს ჯავახეთის-მტკვრის ნაპირზე მდებარე სოფლის ბავრის თლილის ქვით აშენებული ეკლესიის წარწერა: „წინაშე ფანავარს ქონქოლისძემ ღუთისაითა აგო ესე ეკლესია“ (იქვე, 38). ამ ფანავრის ნაპირზე ღამე გაათია წმ. ნინომ, როდესაც მცხეთას მოდიოდა 318 წელს.

ლი მცირე მთა ნუსხამდე და მერმე ხაზი მის გასწვრივ მტკვრამდე, და აწ კოხტის მდინარის აქეთი სამკრის კერძოს მცირე მთა, ნიჯგორის თავამდე და კოდიანამდე. არამედ არს ესე კოდიანის [397]) მთა ტყიანი, ნადირიანი, მდინარიანი, რომელი წარმოვალს ბაკულიანიდამ და ჭობისკევიდამ და მოვალს კოხტისთავამდე, მერმე დამდაბლდების და დასწყდების ნიჯგორს ზეით კრამზედ. ხოლო ჯავახეთ 'არს, ვითარცა თრიალეთი, უვენახო, უხილო, უტყეო, ვიეთთა ადგილთა სწვენ წივასა, და მოსავლითაც ეგრეთვე, არამედ ესე უმეტეს ნაყოფიერი და მოუცდენელი. ჰავითაც მგზავსი, განა უმჯობესიცა. ზამთარი დიდთოვლიანი და ყინვიანი. ცხოვარნი, მროწლენი და ჯოგნი მრავალნი. თევზნი მრავალნი. ფრინველნი, რომელნიცა მთათა გვარობენ, მრავალნი. თაფლნი მრავალნი. კაცნი და ქალნი მგზავსნი ქართლის გლეხთა, ტანოვანნი, შვენიერ-ჰაეროვანნი, უსაქციელონი, ბრიყვნი. სარწმუნოებით გლეხნი ჯერეთ ქრისტეანენი სულიად, არამედ არღარა უვისთ მწყემსი ეპისკოპოზი, განა ჰყავთ მღვდელნი ქართველნი. ენა აქუსთ ქართული, და უწყიან მოთავეთა თათრულიცა, დამჭირნეობისათვის ოსმალთა.

ერუშეთისათჳს. ხოლო აწ კვალად ვიწყებთ მტკვრიდამვე. ვარძიას ზეით, კრამის თავს, სამდერეთს, მტკვარს მოერთვის ერუშეთის მდინარე. ეს გამოსდის ერუშეთსა და ფორჩხისკევის შორის მთასა. მოდის ჩრდილოთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთს-სამკრეთს შუა. ამ წყალზედ არს, სამღერეთის დასავლით, ნაქალაქევი, სადაცა იყო ქალაქი და აწ არს დაბა. აქ აღაშენა ეკლესია გუნბათიანი, შვენიერი, წარმოგზავნილმან დიდის კოსტანტინესამან, წარსაგებელითა კეისრისათა, რომელნი მოვიდოდნენ მირიან მეფისათანა, და დაასვენეს

---

[397]) კ ო დ ი ა ნ ი. ამავე ფესვიდგან უნდა იყოს კოდმანი, კოდა. ინგ. კ ო ტ მ ა ნ ი საზოგადოდ მაღალს, გორაკივით აბურცებულს ნიშნავს.

მას შინა სამსჭვალი [398])ქრისტეს უფლისა. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ერუშეთისა და არტანისა, მტკვრის დასავლეთისა. აწ-ცა არს ეკლესია დაურღვეველი, არამედ ცალიერი. ხოლო ერუშეთს მზღვრის: აღმოსავლით მტკვარი და მთა ამისი და სამცხეს შორისი, და გარდავლენან მას მთასა ზედა გზანი სა-მცხეს; სამკრით—არსიანიდამ ჩამოსული მთა აღმოსავლეთად სამღერეთამდე, ერუშეთს და არტანს შორისი; დასავლით—მთა არსიანი, სადაცა გარდავლენან გზანი შავშეთს და ტბეთს; ჩდი-ლოთ—მთა ამასა და ფოცხვისკევს შორისი და ამასა და სამ-ცხეს შორისი. ამ მთაზედ გარდავლენან გზანი ფოცხვისკევსა და სამცხეს შინა. და არს ეს ერუშეთი უვენახო, უხილო, ვი-თარცა ჯავახეთი, ეგრეთვე მოსავლითაცა, პირუტყვით, ნა-დირითა და მდინარე-თევზითა, არამედ მთანი არიან ტყიანნი გარემოს მისსა და ყვავილოვან-ბალახოვან-წყაროიანნი.

არტანისათჳს. სოლო სამღერეთისა და ერუშეთისწყლის შესართავს ზეით არს არტანი, ქალაქი მცირე, რომელიცა აღა-შენა ჯავახოს, ძმან მცხეთოსისამან, მტკვრის დასავლით კი-დეზედ, და ციხე მაგარი. შემდგომად, მეფობასა შინა ბაგრა-ტიონთათა, იჯდა ერისთავი არტანისა [399]) და კოლისა. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, დიდშენი, შვენიერი და აწ ცალიერი. ამას ზეით, მტკვრის კიდესა ზედავე, არს, დასავლით, ჯინჭ-რობი. ამ ჯინჭრობს ზეით ჩამოვალს მთა ქვა-ყრილის მთიდამ აღმოსავლეთით მტკვრამდე, ეგრეთვე ფოსოს მთიდამ მტკვრა-

---

[398]) სამსჭვალი—ლურსმანი, რომლითაც მიმსჭვალეს ქრისტე ჯუარ-ზე. იმპერატორ კოსტანტინეს მოციქულები მოვიდნენ 327 წელს.

[399]) არტანი ძველის ძველი ქალაქია. პტოლომეოსი (120—170 ქ-შ.) მას უწოდებს ივერთ ქალაქ Artanissa-ად, იხსენიებს აგრეთვე ქალაქს Zalissa-ს (=ძალისი დუშეთ. მაზ.) და სხ. აქ იყო ძლიერი ციხე, რომე-ლსაც განაგებდნენ ერისთვები. ოსმალებმა დაიპყრეს არტაანი (არდაგანი) მე-XVI საუკ. და ქრისტიანობა ამოაგდეს აქაურობიდამ.

მდე. ეს მთანი არიან საზღვარნი არტანისა და კოლისა. და ამ არტანს შინა მოერთვიან მდინარენი მტკვარს ქვაყრილისა და ფოსოს მთიდამ, რომელთა ზედა არიან დაბნები და მოსახლენი; ხოლო მზღვრის არტანს: აღმოსავლით მთა ამასა და ფოსოს შორისი; სამკრით—მთა ამასა და კოლას შორისი; დასავლით—არსიანი და აწ ქვაყრილად წოდებული, სადაცა გარდავალს გზა არტანუჯს; ჩდილოთ—მთა მცირე, ამასა და ერუშეთს შორისი. ხოლო არს არტანი ვაკე და უტყეო, ბალახყვავილიანი, მოსავლით ვითარცა ჯავახეთი, და მთანიცა უტყეონი, მცირე არყნალთაგან კიდე.

კოლისათჳს [400]). ხოლო არტანისა და კოლის საზღვარს ზეით, მტკვრის კიდის დასავლეთით, არს მცირე ქალაქი კოლა, და ზის აწ ფაშა კოლას, და უწოდებენ კოლის ფაშას. ამ კოლას ზეით, მტკვრის კიდეზედ, დადეშს არს [401]) ეკლესია, დიდშვენიერ-გუნბათიან-შენი, და აწ უკმობენ დორთ-ქილისიას [402]). იჯდა ეპისკოპოზი სულიად კოლისა, და აწ უქმიარს. ხოლო მტკვრის სათავეს ზეით, ყალნუ-მთის ძირზე, არს ციხე შენი ქუმურლუსი, მაგარი და შეუალი (ვგონებ ბეჭისციხედ). აწ ცალიერ არს; ამას ზედა გარდავალს გზა ბანს და ფანასკეტს. არამედ კოლის ადგილებთა შინა მოერთვიან მტკვარს მდინარენი ყარსისა და ყალნუს მთიდამ, და მათ ზედა შენ არიან

---

[400]) კოლას იხსენიებს ჰეკატე მე-VI საუკ. ქრ. წინად. იგი ამბობს Koli ერია კავკასიონის ძირში. კიპერტის რუკები კოლის დასავლეთით უჩვენებს Calarzene-ს (კლარჯეთს).

[401]) ზევით (გვ. 18) ვახუშტი შენიშნავს: დადიანები ძველად, თამარ მეფემდე, უფლობდნენ კარის (ყარსის) მხარესო. „დადეში", იქნება ამტკიცებდეს ამ თქმულობას, აქედგან, შეიძლება, წასულიყვნენ დადეშქელიანები, დადიანები (დადეში=დადესი, დადისი). სამეგრელოში შეგვხვდება დადისწყალი.

[402]) დორთ-ქილისა=ოთხი ეკლესია.

დაბნები. და მზღვრის კოლას: აღმოსავლით მთა ყარსისა, რომელი მდებარებს ყალნუს მთიდამ ნიალისყურის მთამდე, დასავლეთს-სამკრეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოს შორის, და არს მთა ესე მცირე-ტყიანი, და არს ბალახ-შამბ-ყვავილოვანი, წყაროიან-ნადირიანი. გარდავლენან მას ზედა გზანი ყარსის ადგილებთა შინა; დასავლით მზღვრის კოლას არსიანის მთა, და აწ ყალნუდ წოდებული, რომელსა ზედა გარდავლენან გზანი ბანას, არტანუჯსა შინა. და არს მთა ესე მაღალი და მცირეტყიანი, წყაროიან-ბალახ-შამბ-შროშნიანი და ზაფხულის ფრიად შვენიერი; ჩდილოთ მზღვრის კოლას არტანკოლას შორისი მცირე მთა. და არს ადგილნი კოლისანი მოსავლით, პირუტყვით და ჰავით ვითარცა ჯავახეთი. და კაცნიცა ჰკონე ეგრეთვე, არამედ აწ უმეტესნი მოჰმადიანნი. ხოლო იყო პირველ ჯავახეთი, არტანი და კოლა ერთი საერისთო—და შემდგომად იქმნა ორ საერისთოდ ბაგრატიონობასა შინა—წუნისად და არტანისად. და აწ ზის ჯავახეთს ნიჯგორს მჯდომი ფაშა და კოლას ფაშავე, განა მორჩილებასა შინა ახალციხის ფაშისასა. და ესენი არიან აღწერანი მტკვრის შემდინარის მდინარეთა და ქვეყანათა, რომელთაცა ძველად ეწოდებოდა ზემო-ქართლად, ამისთჳს: მტკვარი ვინადგან ქართლს მიმდინარე არს, შესავალ-გამოსავალი ამ ორთა ქვეყანათა დაუბრკოლებელი აქუსთ.

ჭორჭანისათჳს. ხოლო აწ ვიწყებთ კლარჯეთს [403]). და ამ ქვეყანასა შინა უდიდესი მდინარე არს ჭორჭანი, რომელი გამოსდის ირიჯლუს მთასა და დის სამკრიდამ ჩდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად, ხვარამზეს ხიდამდე. მას ქვეით მოუ-

---

[403]) კლარჯეთი=კიპერტის რუკებზე Calarzene მდებარებს ჭოროხსა და მტკვრის სათავეს შორის. აღმოსავლით აქვს Coli (=კოლა), სამხრით Taochi (ტაო, ტაოსკარი), ჩრდილოეთით Moschi (=მესხეთი). შემდეგში კლარჯეთად იწოდებოდა მთელი ჭოროხის ხეობა.

ზევეს და დის უმეტეს ართვანიდამ ჩრდილოთ დასავლეთს შუა, და მიერთვის, ბათუმს ქვეით, შავსზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრიად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და კრამოვანსა შინა. და არს თევზიანი, განა, მთის კერძოდ, უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი ღა სხვებ ერგეები, ვინათგან არარაი კეთდების ანუ ირწყვის, თუნიერ ერკეს, გონიას და ბათუმს. არამედ ვინადგან აღესწერენით ბათომი, გონია და ერგე გურიასა ზედა, აწ ერგეს ზეიდამ ვიწყებთ, აჭარის წყლის შესართავიდამ.

ხოლო ჭოროხს მოერთვის აჭარის წყალი აღმოსავლეთიდამ, და გამოსდის ზარზმა-აჭარას შორის მთასა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამ წყლის კიდეზედ, ამ კეობის საშუალს, არს მცირე ქალაქის მგზავსი დაბა, ქედ[404]). მოსახლენი არიან ვაჭარნი. ხოლო მოერთვიან ამ აჭარის მდინარეს, გურიის მთიდამ და აჭარას და ლიგანისკევის შორისის მთებიდამ, კევნი და მათ ზედა არიან დაბნები შენნი. არამედ მზღვრის: აღმოსავლით მთა აჭარასა და ზარზმას შორისი, და გარდავალს მას ზედა გზა სამცხეს; სამკრით—მთა აჭარასა და ლიგანისკევს შორისი; დასავლით—მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ—მთა გურიასა და აჭარას შორისი, სადა გარდავლენან გზანი გურიას. და არს აჭარის-კეობა ვენახოვან ხილიანი, მოსავლიანი, თუნიერ ბრინჯბანბისა, ყოვლითა მარცვლითა, არს ტყიანი, კლდიანი, იწრო, კრამოვან-ღრატოიანი. მთანი ტყიან-ნადირიანი, კაცნი კელოვანნი ხის მუშაკობითა. აქ აკეთებენ ყველს: ერთი იქ მნების ი, ეე და ვ ლიტრა, არაოდესვე წახდების, არცა დაობდების, რაჟამს გნებავს, შემგბარი კეთილ-სახმარ არს.

ფოთჩხის კეობასათუს. ხოლო აჭარის წყლის შესართავს

---

[404]) ქედა—ქედზედ მყოფი (ქედ—ა. შად. უნაგირ—ა, ზ-ვნაბად-ა, ქედვლ-ა).

ზეით მოერთვის დასავლეთიდამ ჭოროხს ფორჩხისკევის მდინარე, გამომდინარე ბაიბურდისა და ფორჩხის კეობის საშუალის მთიდამ, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამ კევს მოერთვიან ჭანეთისა და ისპირის მთიდამ კევნი და შენ არიან დაბნები. ამ მდინარეზედ არს, ჭოროხის დასავლეთად, დაბა დიდი ფორჩხა [405]), ამის გამო იწოდა კეობაც ესე ესრეთ. ხოლო მზღვრის ფორჩხის კეობას: აღმოსავლით, ლიგანისკევი; სამკრით, მთა ისპირისა, სადაცა გარდავლენან გზანი ისპირის კეობასა შინა; დასავლით, მთა ბაიბურდისა და ამის შორისი; ჩდილოთ, მთა ჭანეთისა, და მას ზედა გარდავლენან გზანი ჭანეთს. არამედ არს კეობა ესე ვენახოვან.ხილიანი, ვიწრო და კლდიანი, და მოსავლიანი რაოდენიცა მიწანი იკვნიან, პირუტყვიან-ნადირიანი. მთა-ბარნი. ახლორებენ ფრიად.

ანჩა. ხოლო ფორჩხის კეობას ზეით არს მცირე კევი; გამოსდის ისპირის მთას, მოდის სამკრიდამ ჩდილოთ, მიერთვის ჭოროხს. ამ კევზედ, აღმოსავლით და ჭოროხის დასავლით, ისპირის მთის კალთას, არს ეკლესია ღუთაებისა ანჩა, გუნბათიანი, დიდშვენიერად ნაგები, კარგს ადგილს. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ლიგანის კევისა გალმა-გამოლმართისა გონიამდე, ფორჩხის კეობისა და აჭარისა. და აწ ცალიერი არს. [406]) ანაკერტი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს ანაკერტის-კევი, აჭარის მთიდამ. ამ კევზედ არს, ჭოროხის აღმოსავლით აჭარის მთის

---

[405]) ფორჩხა=დღევანდელ ბორჩხა.

[406]) ანჩის ღვთაების ხატი აწ ასვენია ტფილისის ანჩისხატში. თამარ მეფის ბრძანებითა და საფასით ეს ხატი შეუმკია ანჩელს, გვარით რკნაელს, და მოუტვედია ბექას. ეს ანჩელი იოვანე ეტრატზე ნაწერს სახარებაში (1161 წლ.), როდესაც თამარ მეფე ჯერეთ ნ-ის წლის ყრმა იყო, წოდებულია მთავარეპისკოპოსად ანჩისა. 861 წ. გადაწერილს მეტაფრასში ნათქვამია, ეს წიგნი გადაიწერაო მამადმთავრობასა ანჩას მაკარისასა.

კალთას, ანაკერტი [407]), დაბა დიდი და კარგი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს შავშეთის მდინარე, აღმოსავლეთიდამ. აქ არს ფანაკარის-ციხე [408]), ორთა მდინარეთა შორის. ნათლისმცემლის მონასტრისათჳს. ამ შავშეთის წყლისა და ანაკერტის შორის, ჭოროხის აღმოსავლით, აჭარის მთის კალთასავე, არს მონასტერი ნათლის-მცემლისა. ამას შინა იყო კორხი ნათლის-მცემლისა; და იყო დიდ-კელოვნებით ქმნული და დაშენებული. ამისნი შედეგნი იგ მონასტერნი და თავი იყო, სადა ესვენა კორკი. იდგნენ მონაზონნი მოწესენი მრავალნი, და იყო ფრიად შემკული და მდიდარი ყოვლითა საეკლესიომ წესითა და მამულითა შეწირულობითა, და აწცა არს დიდ-შენებულებანი, არამედ უქმცარიელ არს. ამას უწოდებდენ ოპიზის მონასტრად [409]), რო-

---

[407]) ანაკერტი=ანაკეტი (ნა-კეტი, დაკეტილი) „კეტი" (კერტი) წარმოსდგება სიტყვიდამ კეტვა, დაკეტვა და უდრის რუსულს замокъ. ქვეით შეგვხვდება აგრეთვე ფანასკეტი, ე. ი. ციხე, სიმაგრე ფანასი. ამას შეადფანავარი, ფანიანი და სხ. კეტვა და კლეტვა =(კრეტვა, კრეტ-საბმელი) (მეგრ. კილუა, სვ. (ლი)—კილდი) არ განსხვავდებიან მნიშვნელობით და ამიტომ იხმარება ᲥᲘ წერება ხან ანაკეტი, ფანასკეტი, ხან ანაკერტი, ფანასკერტი.

[408]) ფანა--კარის—ციხე, ე. ი. ფანას კარის ციხე.

[409]) ოპიზა ანუ ნათლის-მცემელი. უმთავრესს ტაძარს ჯვრის სახე აქვს, მაღალი გუმბათი. შიგნით კამარა შეკრულია. მოხატულობა დაშთენილა ზოგიერთ პატარა ტაძრებში. ერთის ნახატის ქვეშ აწერია ᲐᲨᲝᲢ. ოპიზის არემარეს არის ბევრი შესანიშნავი ადგილი (ბერთა, წეფთა) და სხ. სიძველენი ქართველ მოდგმისა, მართლად წოდებულისა ქრისტიანეთა მოწინავე ლაშქრად აზიაში (გ. ნ. ყაზბეგი, Три мѣсяца въ Турецк. Грузіи. გვ. 76). 1161 წელს გადაწერილ სახარების წარწერა იხსენიებს ოპიზელს ანტონის. 1027 წელს ბაგრატ IV-ეს ოპიზის მამანი მიართმევენ სიგელს, ბოძებულს ოპიზისათვის გურამ მამფალის მიერ († 883 წ.), და ამ საბუთის ძალით ედავებიან მამულს მიჯნაძორის მაშებს. ოპიზა და მიჯნაზორი ფრიად მდიდარნი იყვნენ მე-XIII საუკ. გასულსაც (ქ. ცხ., 404).

მელი აღაშენა მეორედ გურგენ, აშოტ დიდის კურატპალატის ძემ, და დაეფლა თვითცა მას შინა [410]).

შავშეთისათჳს. ხოლო შავშეთის წყალი გამოსდის ერუშეთსა და შავშეთს შორისს არსიანის მთას. ეს დის პირველად აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მერმე მოდრკების და დის აღმოსავლეთს სამკრეთს შუადამ ჩდილოთ-დასავლეთს შორის. ამას ჭოროხის შესართავს ზეით მოერთვის მდინარედ ჭილოგნის კევი. გამოსდის არსიანის მთას, მოდის ჩდილოდამ სამკრით, გრეხით. ამ ჭევიდამ გარდავალს გზა ზარზმას და ეგეკლს. ამავ კევის სამკრით სახლობს აწინდელი შავშეთის ბეგი. ამათ მდინარეთ შესართავს ზეით მოერთვის ჭილოვნისკევს 'შავშეთსავე მდინარე სათლესი და ტბეთისა. ესეც გამოსდის არსიანსავე და მოდის ტბეთამდე აღმოსავლეთად, და მერმე ვითარცა შავშეთის წინათი მდინარე, ეგრეთ ესეცა დის. ამ წყალზედ არს სათლე, ქალაქი მცირე [411]), და მოსახლენი ვაჭარნი მას შინა. ამ სათლეს ზეით არს ტბეთი,—სამკრით ამ მდინარის კიდესა,—რომელმან მოიგო სახელი მუნ მყოფთა მცირედთა და მრავალთა ტბათაგან. ტბეთს არს ეკლესია გუნბათიანი, მდიდრად ნაგები და დიდ-შვენიერი. ეს აღაშენა აშოტ კუხმან ბაგრატიონმან. იჯდა აქ ეპისკოპოზი, მწყემსი ანაკერტს ზეითისა,

---

[410]) ვახუშტი სცდება: აშოტ დიდს (786—826) გურგენად წოდებული შვილი არა ჰყვანდა, მისი შვილები იყვნენ ადარნასე, ბაგრატ მეფე (826—876) და გვარამ მამფალი († 883 წ.). ეს გვარამი, მართლაც, ითვლება ოპიზის მეორედ აღმაშენებლად და მასშივე დამარხულად (ქ. ცხ., 193). ოპიზას, თლილის ქვით აგებულს პალატზე აწერია: „ესე მე აშოტმან ოთხს წელს ავაგე" (ვახუშტი, გვ. 122, შენიშ. დ. ბაქრაძისა).

[411]) სათლე—ადგილი სათალი (თლა—სათლე). პროკოპიოს კესარიელი († 565 წ.) ამბობს (Исторія войнъ, გვ. 75) სპარსთა სარდალი მერმერო რომაელებს შეებაო სატალას (სა-ტალა—საყარაულო!).

სულიად შავშეთისა და არტანუჯისა[412]). ტბეთის პირისპირ, ჩდილოთ კერძ, მდინარის გაღმა, არს ციხე თუხარისი, რომელი

---

[412]) ტბეთი—ტბიანი ადგილი. ტობა=ტაბა=ტბა და აქედგან სახელები ტბათა და სოფელთა: ტობანიერი, ტობისყური, ტაბახმელა, ტობორავანი (=ტობა-ფარავანი), ტყე-ტბა და სხ. ამავე სახელს ჩვენ ვუკავშირებთ მეშეხების (მესხების) მეზობლად მცხოვრებ ერის ტუბალების (თობელების) სახელს. ტბეთის ეპისკოპოსებს ერქვათ ტბელი, ტბევარი, ძველის გამოთქმით იქნებოდა ტობელი=ტაბალი და ეს კი უახლოვდება ლურსმურ წარწერების ტ ა ბ ა ლ ს=ბიბლიის თობელს (ტუბალს). ფლავიოსი ამბობს: „თობელისაგან იშვნენ თობელნი (ტუბალნი), რომელთაც ჩვენს დროს ეწოდებათ ივერნი“.—ტბეთის საყდარი დიდებული შენობაა და ეხლაც მაგრად დგას და ამშვენებს არე-მარეს. იგი აშენებულია თლილის ქვით. სუმბატის ქრონიკა გვაუწყებს: „აშოტ ერისთავთა ერისთავმან,—ძემან გურგენ კურატპალატისამან,—რომელსა ეწოდა კუხი, აღაშენა ტბეთი შავშეთს და განასრულა იგი ყოვლითა განგებითა და დასვა პირველად ეპისკოპოსად სანატრელი სტეფანე უწყებითა სულისა წმიდისაჲთა, და გარდაიცვალა ესე აშოტ კუხი ქკნსა რლᲘ (=918 წ.). ეს სტეფანე ეპისკოპოსი მეცნიერი კაცი იყო და ითვლებოდა სასულიერო ცენზორად. მან დასწერა „ცხოვრება“ გობრონისა, რომელიც არაბებმა აწამეს 920 წელს. არაბთა მეფე აბულკასიმი, ძე აბულსაჯისა, ამირი და მფლობელი სპარსეთისა და 60 დიდდიდ ქალაქისა და უფალი 7-თა მეფეთა, სწერს ეპ. სტეფანე, გაურისხდა სომხებს, აღაოხრა სასომხეთო და გამოეკიდა სომეხთ მეფეს, რომელიც აფხაზეთს გამოიქცაო. დიდის ლაშქრით, ასის აქლემის საპანე ისრით და ამდენივე საპანე შუბით აბულკასიმი შემოვიდა საქართველოში და შემოერტყა ციხე ყველს (იხ. ზემო შენიშნ. 374), რომელშიაც გამაგრებულ იყო გობრონი. ქრისტეანე ერი ყველის გარეშემოდგან გადასახლდა აპარას, რადგან ძალა არ ჰქონდა გამაგრებოდა უთვალავს მტერს. აპარა გაივსო ხალხით, როგორც სამხეცე ივსება მხეცით. ამის გამო ერს შემოაკლდა საზრდო, იგი უკვე ბალახით იკვებებოდა, რომ მტერმა აიღო ციხე ყველი და დაბრუნდა (სამოთხე, 396).—მეათე საუკუნეშივე ტბეთს ღვდელმთავრობდა იოანე ტბევარი, კაცი მეცნ-

ალაშენა—პირველ ოძრახოს, ძმამან მცხეთოსისამან, შემდგომად კვ მეფემან მირდატ ალაშენა ეკლესია ციხესა შინა, მერმე, ყრუსაგან მოოხრებული, ალაშენა მტბევარ ეპისკოპოზმან. არამედ მოიგო სახელი სიმაგრით სიმტკიცისათვის: „თუ ხარ შენ ციხე, და არა სხვა“ [413]). ხოლო ამ ორთა შავშეთის მდინარეთა ზედა არიან დაბნები შენნი, დიდ-მცირენი. და მზღვრის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიანი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხვის კეობას და ზარზმა-ყველს; სამკრით მზღვრის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორისი, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდამ დასავლეთად ვიდრე კნინღა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდესა შინა გზა ვითარცა კარი, და თვინიერ მისა არა არს გზა; დასავლით—მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხს შორისი; ჩდილოთ—მთა არსიანიდამ ჩამოსული დასავლით ჭოროხამდე. და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თვინიერ ბრინჯ-ბანბისა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიცა იხმარების სივიწროედ.

ნიერი და წმიდანი. მან მამა თეოდორესთან ერთად შეიძინა დიდი, ეტრატზე ნაწერი, კრებული მე-IX საუკუნ. (საეკლ. მუზ. № 19). ეს იოანეზე დახატულია დიდს ეტრატზე დაწერილს საგალობელში (წ. კ. ბიბლ. № 425, გვ. 119) და მასშიეე შეტანილია მისი სტიქარონები. შემდეგ ამ იოანეს მიეცა მიტრაპოლიტობა აწყურისა (წარწერა 995 წლ. სახარებისა). მე-XI საუკ. დასაწყისს ტბევრად იყო საბა, რომელიც ეზრა ანჩელითა და აზნაურებით გამაგრდა მის მიერვე აგებულს ტბეთის სვეტში და ხელი შეუწყო ბაგრატს (1027—1072) მტრების დამარცხებაში. 1161 წ. ტბეთის ეპისკოპოსად იყო პავლე. 1233 წ. ტბეთს მცხოვრებ აბუსერიძემ გამოსცა საგალობელთა კრებული.

[413]) თუხარისიდგან მოსულ არიან აზნ. თუხარელები.

ართვანისათჳს. ხოლო შავშეთის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის დასავლეთიდამ ისპირის მდინარე, წოდებული ჭოროხადვე. და ამ ისპირის მდინარის შესართავს ზეით, ჭოროხის მდინარის აღმოსავლეთის კიდეზედ, არს ართვანი, ქალაქი მცირე [414]). მოსახლენი არიან ვაჭარნი. და ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს სამზღვრამდე, ჭოროხის კეობის იმიერი და ამიერი იწოდების ფიგანის-კეობად. და არს ეს ლიგანისკეობა, თჳნიერ სივიწროვისა, ფრიად ნაყოფიერი ნარინჯით, თურინჯით, ლიმოთი, ზეთისხილით, ბროწეულითა, ლეღვით, ვენახით, ხილით, შემკობილი და ქებულნი მუნებურნი ყოველნივე. ~~ბარ~~ცვალნი ყოველნი ნაყოფიერებს, განა სივიწროვით ვერ სთესვენ ბრინჯ-ბანბას. ჰავით არს ზაფხულს ცხელი, ზამთარს ფრიად თბილი. ახლორებენ მთანი თოვლიანნი და აგარაკნი შვენიერებით აღმკულნი, ჟამისა და ნახევარ ჟამის სავალთა, წყაროებითა. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი, და ყოველითა ნაყოფიერებითა აღვსილი. ხოლო ართვანს ზეით მოერთვის ჭოროხს დასავლეთიდამ კევი, რომელი გამოსდის თორთომისპირის მთასა, მოდის აღმოსავალით; ამ კევზედ არს აშენნს ციხე, ფრიად მაგარი, დიდ-შენი და ეკლესია გუნბათიანი, დიდ-შვენიერად ნაგები. აქ იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ისპირისა, თორთომისა, ბაიბურდისა, ვიდრე ტრაპიზონის მთამდე, და აწ ცალიერ

---

[414]) ართვანი (დღევანდ. ართვინი) ძველის-ძველი ქალაქია და ბათუმს შორავს 80 ვერსით. სახლები მოშენებულია ჭოროხის დაქანებულს კიდეზედ და ამის გამო ეტლით სიარული შეუძლებელი ხდება. ართვინსა და მის გარეშემო სოფლებ აქვთ დიდი ბაღები და ზეთისხილის ჭალანი. ართვინიდგან ბათუმამდე მომეტებულად მგზავრობენ ნავებით (ვეიდენბაუმ, Матеріалы.., 366). ართვინის სომეხთა ეკლესიაშმ არის ფრიად ხელოვნურად ნახატ-ნაწერი ქართული სახარება, ტყავზე დაწერილი. ართვანი, ალბად, საბაყო ადგილი იყო (ართვანი=ართვინი მრ. რიცხვი ფორ-

არს [415]). ამ კევს ზეით არს, ჭოროხზედ, ხვარამზეს ხიდი [416]), ქვიტკირისა, მრავალ-თვალი, შვენიერად გებული.

ართანუჯისათჳს. ამ ხიდს ზეით მოერთვის ჭოროხს მდინარე ართანუჯისა. ეს გამოსდის ქვაყრილის მთას, მოდის ალმოსავლეთიდამ დასავლად. ამ წყალს მოერთვის, ჩდილოდამ, ჭოროხს ზეით, სხვა წყალი ართანუჯისავე. ესეც გამოსდის ქვა-ყრილის მთას და ართანუჯსა და შავშეთს შუათს კლდეს. ამ წყლის შესართავის ზეით, წინათქმულს წყალზედ არს ართანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს ალაშენა გორგასალ, შემდგომად შემუსრა ყრუმ, მერმე ალაშენა და განაახლა აშოტ კურატპალატმან, და ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პავლესი; მოკლეს მას შინავე და დაფლეს მუ-

---

მებისა ართვა, ართვი) ან და ო რ ტ ვ ი ნ ი (მეგრ. მტილი) ბალ-მტილოვნობის გამო.

[415]) იშხანი აგებულია ყვითელის ქვით. მისი გუმბათი დაყრდნობილია 4-ს მაღალს სვეტზე. იშხნის მოხატულობა უშვენიერესია. იგი აგებულია საოხად პორტაიტის ღვთის-მშობლისა, ქართველთა ათონის ტაძრის მფარველისა, და წმ. სვიმონ სასწაულთმოქმედისა. ტაძრის ეკვდერი აღაშენა მეფე გურგენმა († 1008 წ.), ხოლო თვით ტაძრის განმაახლებელი იყო მთავარეპისკოპოსი მათე. მთავარეპისკოპოზ ანტონიმ განუწესა აღაპი მეფე დიმიტრის († 1156 წ.), მის დას თამარს და მის შვილთ დავითს და გიორგის (თამარის მამას). მეათე საუკუნეშივე იშხანი მდიდარი იყო ტყავზე ნაწერ წიგნებით. საეკლ. მუზეუმში არის დიდი, ეტრატზე ნაწერი კრებული (in folio, გვ. 1316). ეს კრებული გადაწერილია პარხალის მონასტერში იშხნის დედნით. საქართველოს იერარქიაში იშხნელს ეკუთვნოდა მეცხრე ადგილი და მეფის კურთხევასა და საერთო შეკრებილებაში შემოდიოდა შემდეგ კუმურდოელისა. მე-XVII საუკ. გასულს იხსენიება ძმისწული იშხნელის ნიკოლოზისა. (ტყავ. ნაწერი წიგნი № 1).

[416]) ხვარამზე და შემოკლებულად ხვარა კაცის სახელია, მაგალ. ხ ვ ა რ ა ერქვა მირიან მეფის მეუღლის ბიძას.

ნვე [417]). არს არტანუჯს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შვენიერ-ნაგები. ეს იყო მონასტერი და აწ არს უქმი. კვალად აქავ არტანუჯს აღაშენა გორგასალ მონასტერნი მერისა, შინდობისა და ახიზისა, ფრიად შვენიერნი. კვალად ქმნა ახიზს ქვაბნი კლდისა გამოკვეთილნი, ფრიად მაგარნი და შეუალნი. ხოლო ამ არტანუჯის მდინარეთა მოერთვიან სხვანიცა მდინარენი, და მათ ზედა შენებულ არიან დაბნები. და მზღვრის არტანუჯს: აღმოსავლით მთანი ყალნუ-ქვაყრილისა, და გარდავ-

---

[417]) ა რ ტ ა ნ უ ჯ ი და დ ო ლ ი ს ყ ა ნ ა. 787 წელს აღვიდა ტახტზე აშოტ დიდი, რომელიც იმყოფებოდა ტფილისსა და ბარდას (განჯას). საქართველოს ამირად კი იყო ალი შუაბისძე, ხოლო ბერძნებს ეომებოდა არაბთა სარდალი მასლამა. აშოტი განუდგა არაბებს და შემუსრა იგინი ქსანზედ. ეს შეიტყო ხალილ იეზიდისძემ, არაბეთიდამ დაიძრა, გამოვლო სომხეთი და შემოვიდა საქართველოში. აშოტი წავიდა არტანუჯს. ეს მხარე გაეოხრებინა მურვანყრუს და შავშეთ-კლარჯეთს მოშენებული ადგილები ცოტაღა დარჩენილიყო. აშოტმა აღაშენა სოფლები და ციხეები, ხალხით გაავსო იგინი. აქვე ჰპოვა ვახტანგ გორგასლისაგან კლდეზედ აშენებული ციხე არტანუჯი, მურვანისაგანვე გაოხრებული. ეს ციხეც განაახლა აშოტმა, გაადიდა და მის ძირში ააშენა ქალაქი, შიგ ციხეში დადგა პეტრე-პავლეს საყდარი. 826 წელს იგი წამოვიდა ნიგალის ველს მტრის დასაზვერავად, არაბებმა იცნეს, გამოეკიდნენ. აშოტი გაიქცა არტანუჯსვე. არაბნი შეცვივდნენ ციხეში, მეფე იპოვნეს პეტრე-პავლეს საყდარის საკურთხეველში და იქვე დაჰკლეს. მეფის ჯარი მაშინ იდგა დოლისყანას. შეიტყეს-რა ეს ამბავი, ეცნენ არაბებს, დაეწიენ ჭოროხის ნაპირზე, სავანეს, და სულერთიან ამოწყვიტეს (29 იან. 826 წ.). მერე დაბრუნდნენ, დაიტირეს მეფე აშოტი და დამარხეს იქვე პეტრე-პავლეს ტაძარში (ქ. ცხ., 188—189).—თვით დოლისყანას (შეად. ოქრო-ყანა, ლამისყანა და სხ.) არის დიდებული საყდარი, აშენებული მეფის სუმბატისაგან († 958 წ.), სწორედ იმ სუმბატისაგან, რომელიც, არაბთა ისტორიკოსის მასსუდის სიტყვით, იყო მეფე „დიდის საქრისტიანო მოდგმის ჯურჯანისა“.

ლენან გზანი მათ ზედა კოლა-არტანს; სამკრით—ფანასკეტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყალნუს მთიდამ დასავლეთად ვიდრე ჭოროხამდე; დასავლით—მთა მცირე არტანუჯსა და ჭოროხს შორისი, და თვით მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ—კლდე შავშეთსა და არტანუჯს შორისი. არამედ არს არტანუჯი ვენახიანი, ხილიანი. მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამათ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და მცირე ველოვანი. პირუტყვნი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. ჰავით მშვენი, კეთილი, ზამთარ თბილი და დიდ-თოვლიანი, ზაფხული არა ეგოდენ ცხელი. კაცნიცა ჰგონე ეგრეთვე სარწმუნოებითა და ენითაცა. არამედ არტანუჯი, შავშეთი და ლიგანისკეკი არს ოძრახოსავე წილი და საერისთო მისი. ხოლო შემდგომად იქმნა არტანუჯის ერისთავი სხვა, შავშეთით, და აწ უზისთ თჳსთჳსი ბეგი, ოსმალნი [418]).

კალმახის ციხისათჳს. ხოლო კვალად არტანუჯის მდინარის შესართავს ზეით ჭოროხს მოერთვის თორთომის მთიდამ გამომდინარე წყალი, რომელი მოდის აღმოსავლეთად. ამ კევზედ არს ციხე კალმახისა, რომელი აღაშენეს პატიახშთა [419]), დიდ-შენი, მაგარი და შეუალი, იყო საერისთო ტაოსი. ამას ზეით მოერთვის ჭოროხს მდინარე ბანა-ფანასკეტისა, გამომდინარე ყალნუმთისა და მომდინარე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. **ფანასკეტისათჳს.** ამ წყალზედ, ჭოროხის აღმოსავლით, არს ციხე ფანასკეტისა, კლდესა ზედა, დიდ-შენი, მაგარი. აქ

---

[418]) იმპერატორი კოსტანტინე ძოწითმოსილი მის მიერ 952 წელს დაწერილს წიგნში ამბობს: არდანუჯი ფრიად მაგარი სიმტკიცეა, ციხე-ქალაქი. ეს არის სავაჭრო შუაგული ტრაპიზონისა, ივერიისა, აფხაზეთისა, მთელის სომხეთისა და ასურეთისა. ამათთან ვაჭრობს. იგი ითვლება კლიტედ ივერიისა, აფხაზეთისა და მოსხისა. იგია წილი და სასაყდრო ქართველთ ბაგრატიონებისა.

[419]) კალმახი—ჩუბინაშვილით „კალოზედ ჰურის მოთხოვნა"სასარგე-

იჯდა ერისთავი ფანასკეტ ოლთისისა, და აწ არს დაბა [420]). ამას ზეით, ამ წყალზედ, მთაში, არს ბანა, აწ უწოდებენ ფანაქს. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, დიდი, შვენიერად ნაგები, კეთილ-შვენიერს ადგილს. ღლაშენა მეფემან ადარნასემ, და დაფლულ არიან მეფენი. იჯდა ეპისკოპოზი, მწყემსი ფანასკეტისა და სულიად ტაოსი, ოლთისისა და ნარუმაკისა, და აწ არს ცალიერი [421]). ოლთისისათჳს. ამას ზეით, ჭოროხის ალმოსავლეთის კიდეზედ, არს ოლთისი, ქალაქი კარგი და კეთილ-ჭაოვანი. აქ არს ციხე მაგარი და დიდ-შენი. არს მეორე საჯ-

---

ბლოდ მონასტრისა". კალმახი შეიძლება ნიშნავდეს წვეტიანს, მრგვლად ამართულს: კალო—მახვილი (კალო=სვ. კალ; მახვილი სიტყვიდამ მახვა; მახო—ლომის ჭანგი (ინგ. ყარმახი=ანკესი). აზნ. კალმახელიძეების თავდაპირვანდელი სამშობლო იყო კალმახი. პატიახჳთა შესახებ იხ. შენიშნ. 293.

[420]) ფანასკეტი ძველადეე იყო სიმაგრე ციციშვილებისა. ამათი წინაპარი აქ გადმოსახლდა ურიასტანიდგან (ურ-ქალდიდამ?). თამარ-მეფეს მათ მსახურეს ერთგულად, ამის გამო დიდებულმა მეფემ უბოძათ თავადობა, მამულები და დაადგინა ფანასკეტის ზედამხედველად. ბაგრატ დიდის ჟამს (1360—1395) სახელოვან მებრძოლად ითვლებოდა ზაქარია (ზაზა) ფანასკეტელი და ბაგრატ მეფემ, რომელიც მაშინ ებრძოდა შემოსეულს ლანგთემურს, მოიყვანა ეს ზაზა და მისცა სოფლები ქძოვრეთის ხეობაში, ხოლო მისნი განაყოფნი დაასახლა ნიჩბისის ხეობაში. ზაზას შემდეგ განითქვა სიგმირით მისი შვილი ციცი და ამ ციცის გამო გაეგვარათ ციციშვილობა (1488 წელ!) და მათს მამულს დაერქვა საციციანო (თავად-აზნაურთა სია, გვ. 11).

[421]) ბანა—ბანისებური (ბანი—ბანა, ვითარცა კედელი—კედელა, პერახგი—პერანგა). ქ. ცხ., გვ. 198: მეფე ადარნასემ (1881—923) აღაშენა საყდარი ბანა ხელითა კვირიკესითა, რომელ იყო პირველი ეპისკოპოსი ბანისა". მე-XI საუკ. დასაწყისის ტყავზე ნაწერი დიდი კრებული (საეკლ. მუზ., № 1) გადაწერილია ბრძანებითა ზაქარია ბანელისათა. ბანა ბრწყინავდა ჯერ ისევ მე-XV საუკუნეშიაც. 1445 წელს ბანაში დაასა-

დომი ათაბაგისა, ვითარცა ახალციხე [422]). ოლთისს ზეით, ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ, არს ნარუმაკი და აწ ნარიმანი, დაბა დიდი. აქამდე არს ფანასკეტი-ოლთისი ხილიანი, ვენახიანი, ვითარცა სხვანი აღვსწერეთ. ხოლო ნარუმაკს ზეით კვალად ჭოროხის აღმოსავლის კიდეზედ არს დაბა დიდი, იდი, კეთილი. ამას ზეით არს ვითარცა მთის ადგილნი ნაყოფითა.

ტაოსათჳს. არამედ ართვანს ზეითი, იდამდე, ჭოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით, არს ჰარახლი ანუ [423]) ტაოს-კარი ანუ ტაო [424]). და მზღვრის ამას: აღმოსავლით ჭოროხის მდინარე; სამკრით—თორთომიდამ ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით—თორთომის მთა; ჩდილოთ—ჭოროხი და ისპირის მთა. და არს ეს ტაო ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, და მთის კერძოთ ვითარცა ჯა-

---

ფლავეს მეფე ვახტანგი მის მეუღლის სითიხათუნის გვერდით. იმავე კრებულის აშიაზედ (გვ. 23) არის ესრეთი შენიშნვა: აქ აკლია ერთი რვეული, რომელიც დაიკარგა ჟამსა ღელვისასა. ღმერთმან დასწყევლოს მზეჭაბუკი. ამინ.—იგულისხმება ათაბაგი სამცხისა მზეჭაბუკ (1502—1516). ეს მიემხრო ოსმალთ, გურიელს წაართო ჭანეთი და აჭარა, ოსმალთ ლაშქარი შემოიყვანა სამცხეს, მისცა საზრდო და მიუსია იმერეთის მეფეს.

[422]) ოლთისი ააშენა მირვანმა მე-2-ე საუკ. ქრ. წ., გაამაგრა მეფე დავითმა (1264—1294).

[423]) „ჰარახლი ანუ„ დედანში სტრიქონებ შუა მიწერილია სხვა ხელით.

[424]) იხ. შენიშ. 359 ტაო იყო მამული და სამფლობელო საქართველოს უდიდებულეს მეფის დავით დიდის კურატპალატისა († 1001 წ.), რომელმაც იშვილობილა ბაგრატ მესამე, გამაერთიანებელი საქართველო-აფხაზეთისა 985 წელს. მისს კარს ბრწყინავდნენ მწიგნობარნი, ნიპიერნი მეომარნი, თორნიკე, იოანე და სხ. ტაოს მოღვაწეთაგან აშენდა ქართველთა ცნობილი ათონის მონასტერი, ამყვავებელი საქართველოს მწერლობისა.

ვახეთი. არამედ არს მთიანი, გორიანი, ღელოვან კრამოვანი, ლრატოიანი, წყლიანი და იწრო. და არიან კევთა დაბნები. კაცნიცა ეგრეთნივე. განა იდი და ნამურაკი არიან ვითარცა თრიალეთი ანუ ჯავახეთი, ყოვლითურთ.

ბასიანისათჳს. ხოლო ოლთის, ნარიმანისა და იდის სამკრით არს, ირიჯლუს მთას იქით, ბასიანი. და ესე ბასიანი თუმცა არს სომხითისა, არამედ, შემდგომად ბაგრატიონთა მეფობისა, რა დაიპყრეს მათ, არს მიერით სამცხისა. და არს ბასიანი რახსისა ანუ არაზის სათავესა ზედა. პირველად ეწოდა ქალაქსა ამისსა ბასიანი, და მის გამო ეწოდა სახელიცა ესე ამ ადგილთა. ხოლო აწ უწოდებენ მას ქალაქსა ასანყალას. და არს საშუალ ბასიანისა, არაზის კიდესა ზედა, ჩდილოთ კერძ. არა დიდი ქალაქი და მზღვრის ამას ბასიანს: აღმოსავლეთი მთა ჩამოსული სამკრეთის მთიდამ, რომელი არს სომხითის მთა; დასავლით — მთა ირიჯლუ-დევაბოინისა; ჩდილოთ, მთა ირიჯლუ-ყალნუსი; სამკრით—მთა დევაბოინიდამ წამოსული-სომხითის მთა. და ადგილთა ამათ შორის მოერთვიან რახსს იმიერით და ამიერით მდინარენი მთებთაგან. და შენებულ არიან დაბნები. არს უვენახო, უხილო და მარცვლის მოსავლითაცა ვითარცა ჯავახეთი. არამედ ესე უმჯობესცა ჰავითაც; უტყეო, თჳნიერ მცირე არყნალნი. სწვენ წივას და ზიდვენ ხესა და შეშას რახსის კრამიდამ. ამ ასანყალას ქვეით არს ხიდი რახსსა ზედა, და ვლენან ქარავანნი, თჳნიერ მისა ვერ განვალს არაზს [425]).

---

[425]) ბასიანი=კესენოფონტეს (431—354 ქრ. წ.) Basiani (ფასიანი), მხარე არეზის (არაქსის) სათავეზე, მასისის დასავლით, ჭოროხის ხეობის და შესხის მთების სამხრით. ფ ა ს ი ა ნ ი (ბასიანი) უნდა იყოს ფშიანი, ფშეგიანი ადგილი. ბასიანი, ვიმეორებთ, არეზის სათავეშია, ხოლო მდინარის სათავე შესდგება მრავალ გუბე-წყაროთაგან, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ ფშას, ფშანს (ფშავს, ამოჩუხჩუხებს, ამოწურწუერბს; ფსიადი—

ისპირისათჳს. ხოლო ისპირის კეობის მდინარე გამოსდის, ბაიბურდს ზეით, ტრაპიზონის მთას. სიგრძით არს ტრაპიზონის მთიდამ ჭოროხამდე, მოდის დასავლეთიდამ აღმოსავლეთად, კევსა კლდიანსა და ქვიანსა შინა. და ამ ისპირის წყლისა და ჭოროხის მდინარის შესართავს ფრიად ზეით, ამ ისპირის მდინარეს მოერთვის სამკრიდამ თორთომის კეობის მდინარე. და ამ თორთომის მდინარის შესართავს ზეით ისპირის მდინარის კიდეზედ, არს ქალაქი მცირე ისპარა, და ამის გამო სახელიდვა კეობა ესე და მდინარე. ამას ზეით მოერთვის კვალად ისპი-

---

ლულეინი). ბასიანივე არის აგრეთვე რიონის გადადმა ჩრდილო კავკასიის ხეობაში, რომლის მდინარესაც ვახუშტი უწოდებს რიონსვე. რადგან კოლხიდა ამ ორთავე ბასიანს (ფაზიანს) შორის იყო, ადვილად დაერქმეოდა ფაზიანივე და მისს მდინარეს ფაზისი (მით უმეტეს, რომ აქვეა მდ. აბაში, აფსარი, აფშილი, ფასი-მთა, აბაზი, ობეზი). დღესაც თითქმის მთელი იმერეთი ფშიანი ქვეყანაა და უწინ ხომ მთელი არე-მარე ფშის წყალს დაეფარა. მკვიდრთ სახლები ჩაეყუდათ ჭაობებში, მამულების მოსავლელად ნავებით მიდი-მოდიოდნენ (ჰიპოკრატი, 470—376 ქრ. წ.).—კოსტანტინე ძოწითმოსილი სწერს 952 წელს: ლეონ იმპერატორმა სცნო-რა, ფაზიანის (ბასიანის) ეკლესიები სარკინოზებს ჯარების სადგურად გაუხდიათო, გაგზავნა თავის ლაშქარი, ეკლესიები წაართვა, ფაზიანი აღაოხრა. დაუწყო ბრძოლა თეოდოსიოპოლსაც (არზრუმს). იმპერატორებს ლეონს და რომანოზს უნდოდათ აეღოთ კეპეონი, საიდგან საზრდო შეჰქონდათ თეოდოსიოპოლს. ივერთ მეფეს აღუთქვეს, თეოდოსიოპოლს მოგცემთ, თუ შენის ძალით მას აიღებო. ხოლო ივერთ ამის ასრულება არ მოინდომეს ამ ქალაქის მცხოვრებთა სიყვარულით და იმიტომაც, რომ ქალაქი არ აოხრებულიყო და არც მისნი გარემონი. მოლაპარაკება დასრულდა მით, რომ ქართველთა და ბერძენთა მიჯნად დაიდო არეზი (არაქსი), რომლის მარცხენა მხარე დარჩა საქართველოს და მარჯვენა (არზრუმისკენ) საბერძნეთს (ჰან, 2, გვ. 30). არზრუმს ძველის-ძველად ერქვა კარანა, რომელიც, ჩვენის მოსაზრებით, არის იგივე კარიანა, ე. ი. კარის მქონებელი, ადგილი კარივით (კარნი=კარანი, კარანა).

რის მდინარეს [426]) საქართველოსყელის მდინარე ანუ გურჯი-ბოლაზისა. და ამ მდინარეს ზეით არს მთა, რომელი მზღვრის ბაიბურდსა და ისპირსა. ხოლო ამ ისპ-რის მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერით კევნი ისპირისავე მთებიდამ, და არიან დაშენებულნი დაბნები მათ ზედა. და მზღვრის ისპირის კეობას: აღმოსავლით ისპირის მთებიდამ ჩამოსულნი მთანი, სამკრით ჩდილოეთიდამ ისპირსა, ტაოსა და ლიგანისკევის შორისნი. და არს მთანი ესენი ტყიანნი, კლდიანი, ღრატოიანნი, კევქარაფიანი და ნადირიანი; ხოლო სამკრით მზღვრის მთა ისპირისა, ისპირსა და თორთომის კეობას შორისი, და გარდავლენან გზანი თორთომის კეობას შინა. და მდებარებს მთა ესე აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. არს თხემთა უტყეო, და ადგილს თოვლიანი, და კალთათა ტყიანი, წყაროიანი, ბალახყვავილიანი და ნადირიანი. ეგრეთვე დასავლით მზღვრის მთანი, ისპირისა მთებიდამ ჩამოსულნი, ისპირისავე მდინარემდე, სამკრით ჩდილოეთიდამ, ბაიბურდსა და სპერს შორისი, და არიან მთანი ესენი ტყიანნი, კლდიანნი, და მივლენან გზანი ბაიბურდს; ჩდილოთ მზღვრის მთა ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლიდამ დასავლეთად ფორჩხის კეობასა და ისპირას შორისი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ფორჩხას. და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი ამისი

---

[426]) კოპერტის Atlas antiquus-ში მარჯვნივ კიდეზედ ბოასისა (ზემო-ჭოროხისა) აღნიშნულია ქვეყანა Saspires და ამ სასპირეს გასწვრივ, ბოასის მარცხენა მხარეს,—Hispiratis-ი.ეს უკანასკნელი არის ჩვენი ისპირი, ისპირეთი ანუ ისპირათი. ქვეყნის დასასრულის, მოპირისპირე კუთხეების აღსანიშნავად ქართველები ვხმარობთ სიტყვებს: ი ს პ ი რ—ე ს პ ი რ ი (ი-პირი=ის-პირი; ე-პირი=ეს-პირი). ამან გვაფიქრებინა, რომ თვით სახელი ი ვ ი რ ი იპირი-საგან წარმოებულაო, გარნა შემდეგ სხვა აზრს დავადეგით (იხ. შენიშ. 67). თვით სტრაბონი ამნაირადვე იხსენიებს ქართველებს, როდესაც ისპირის მხარეს უწოდებს Esperii wires.

ისპირის მთა. განა არს ესე ისპირის კეობა ქარაფოვან-კლდიანი, ღელე-ღრატოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე-ველოვანი, მოსავალ ნაყოფიერი, ვითარცა აღვსწერეთ ლიგანისკევი ყოვლითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა. ჰავით ზაფხულს ფრიად ცხელი, არამედ აქუს მთანი და აგარაკნი ახლორეს. ზამთარი თბილი. კაცნი იუწყე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთათა.

თორთომისათჳს. ხოლო თორთომის მდინარე გამოსდის დევაბოინის მთასა და მოდის სამკრიდამ ჩდილოდ, გასჭრის სპერის მთას და მიერთვის ისპირის მდინარეს. ამ ისპირის მთას ზეით არის თორთომის კეობა, და ამ ისპირის მთის ფრიად ზეით მოერთვის დასავლეთიდამ თორთომის მდინარეს ჯევი შიფაქლუს მთის გამომდინარე, და მოდის პირველ სამკრიდამ ჩდილოდ, მერმე დასავლეთიდამ აღმოსავლეთად. ამ კევზედ, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია მონასტერი ხახულისა, ყოვლად-წმიდის ღუთის-მშობლისა, დიდი, გუნბათიანი, დიდ-შვენიერად გებული, შვენიერს კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით კურატპალატმან, ბაგრატ მეფის მამობილმან. აქავ არს ეკლესია ფრიად შვენიერი, დიდ-შენი, რომელი აღაშენა მცხ მეფემან დავით. არამედ აწ უქმ ცალიერ არიან, და ხატი ამისი არს გელათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემან [427]). ამ კევს ზეით, თორთომის მდინარეზედ, არს

---

[427]) „ხახული“ მიმდეობაა ზმნიდამ ხახვა (კაკვა), ახახვა, ამაღლება, აყაყვა (ხახვა—ხახული, ვით წერვა—წერული). ხახულის მონასტერი ააშენა დავით კურატპალატმა († 1001 წ.), ბაგრატ III ის მამობილმა. იგი მალე შეიქმნა მდიდარ და აყვავებულ ლავრად და განათლების კერად საქართველოს შვილთათვის. სწავლული და მდიდრად მცოდნე ქართულის ენისა გიორგი თავის მასწავლებლის გიორგი მთაწმინდელის († 1066 წ.) ცხოვრებაში ამბობს. „ათ წლამდის ჰაბუკი გიორგი სწავლობდა მონასტერს ტაძრისში (ახალციხის მაზრაშია) თავისის დის საბიანას ხელმძღვანელობით, მერე წავიდა ხახულს, საცა მოღვაწეობდნენ მისნი ბიძანი, გიო-

ციხე თორთომისა, მაგარი, კლდესა ზედა დიდ-შენებული. ამის მიერ იწოდა კეობა ესე თორთომის კეობად [428]). ამ ციხეს ზეით

რგი, მწერალთ უხუცესი დავით კურატპალატისა, და საბა, კაცი კეთილი და უცოდველი. გიორგი წარუდგინეს ხახულის მოღვაწეთ, წინამძღვარს მაკარის, ბასილი დიდს (ბაგრატ III-ის შვილს), მასწავლებელსა და ჩვენისა ქვეყნის განმანათლებელს, და ღვთივგანშვენებულს ანტონის. მათ აკურთხეს ყრმა გიორგი და მისცეს სწავლებად ილარიონ თუალელს, კაცსა ფრიად სწავლულს და მბრწყინავს დილის ცისკარივით. აქ ისწავლა გიორგიმ მთელის წლის საგალობელნი, ყველა წიგნები ძველისა და ახალის აღთქმისა. ხოლო ბერძნული ენა და ბერძნული ფილოსოფია ისწავლა სახლობაში ჯოჯიკისა, რომელსაც ცოლად ჰყვანდა ბაგრატ მესამის ასული, დაი ზემოხსენებულ ბასილი დიდისა (ათონის კრებული, გვ. 288—290).—ხახულის ყოვლადწმიდის ხატი, ძვირფასად შემკული მეფეებისაგან, დღეს გელათშია. უამრავი დიდ-წვრილი იაგუნდი, ზურმუხტი, ალმასი (კაკლის ოდენები ტოლოჩანოვის სიტყვით), მინანქარი ამშვენებს ამ ხატს.

[428]) ამ ხეობაშივეა მონასტერი ეოშხი, რომელიც აღმართულია მთის დაქანებულს ფერდობზე და მთებითვე მოზღუდვილია. შენობა შვენიერია. სამხრეთის კედელზე მოხაზულია კაცის სახეები ადგილობრივ ტანისამოსით. ერთს მათგანს ხელში უჭერია ტაძრის გეგმა.—ტაძრის წარწერა: ჩვენთა გვირგვინოსან მეფეთა იწყეს ამ ტაძრის აშენება. ძლიერებითა კურატპალატ ადარნასესი, ერისთავთ ერისთავის ბაგრატისა, დავით შამფალისა ღირს ვიქმენ მე, გრიგოლი, შველად მათდა. აშენებას ყოველწლივ უნდებოდა 2000 დრაჰკანი, იხარჯებოდა ღვინოზე 5000 დრ., რკინა უნდებოდა 50 ლიტრა, პური 250 გრივი, განუწყვეტლად მუშაობდა 70 კაცი, ქვას ზიდავდნენ 30 ურმით, სპონდიკი მოჰქონდათ გიორგიწმინდით და ამას უნდებოდა 30 ჯორი და სხ. საქონელი. ...აღაშენა მეფე ბაგრატმა და შეიმკო ჯოჯიკის საფასით 1036 წელს. უმთავრესი ტაძრის-ამშენებელი იყო ადარნასე (881—923) (დ. ბაქრაძე. Кавк. въ др. пам. христ.).

არს ხენძორეთი [429]), დაბა დიდი და გზა აზრუმისა. არამედ თორ-
თომის მდინარეს მოერთვიან კევნი თორთომისა და შიფაქლუს
მთიდამ, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი.
ხოლო მზღვრის თორთომის კეობას: აღმოსავლით მთა თორ-
თომისა, *) თორთომსა და ტაოს შორისი, რომელი მდებარებს
სიგრძით სამკრეთ-დასავლეთს შუადამ აღმოსავლეთ-ჩდილოს
შორის, გამოვალს ირიჯლუს მთიდამ და მიადგების ისპირის
მთას, და არს ისპირის მთის კერძოთ თხემთა უტყეო და კა-
ლთათა ტყიანი, ნადირიანი, და მას ზეით სულიად უტყეო,
წყაროიან-მდინარიანი, ბალახ-შამბ-შროშნიანი. გარდავლენან
გზანი ტაოს შინა. ხოლო სამკრით მზღვრის მთა ირიჯლუ-დე-
ვაბოინისა, რომელი ეგრეთვე უტყეო არს. დასავლით—მთა
შიფაქლუსა, თორთომსა და ქართლისყელს შორისი, რომე-
ლი მდებარებს სამკრიდამ ჩდილოდ, გამოვალს დევაბოინის

---

[429]) ხ ე ნ ძ ო რ ე თ ი და შ ა ტ ბ ე რ დ ი. ხენძორეთი უნდა იყოს
იგივე ხანძთა, ტყავზე ნაწერი მეტაფრასი: ცხოვრება ესე დაიწერა პატრი-
არქობასა საქართველოსა მიქელისა, მეფობასა აშოტისა, მამადმთავრობასა
ა ნ ჩ ა ს მაკარისა, მამობასა ხ ა ნ ძ თ ა ს თეოდორესი, შ ა ტ ბ ე რ დ ს—გრი-
გოლ ლიპარიტისძისა. ეს ხანძთა, შატბერდი და ბევრი სხვა შესანიშნავი
საყდრები ააშენა ნეტარმა გრიგოლ ხანძოელმა (VII—VIII საუკ.). გრი-
გოლის ცხოვრება აღწერეს ხანძთის წინამძღვარ თეოდორემ, მისმა შვილმა
იოანემ და მეტაფრასის გადამწერმა გიორგიმ. ბევრია შატბერდს დაწე-
რილი წიგნები და კრებულები. მე-X საუკ. აქ მოღვაწეობდა ბერაი, რო-
მელმაც შეადგინა შატბერდის კრებული. ამაში შეტანილია საქართველოს
მოკლე ისტორია მე-IX საუკ. დასაწყისამდე. 1060 წელს ბაგრატ IV-ემ
გიორგი მთაწმინდელს მიუძღვნა „შვენიერნი ლავრანი—შატბერდი კლარ-
ჯეთისა და ნეძვი ქართლისა" (ათონის კრებ., 320).

*) ეს მთანი არიან, რომელსა სწერენ ძველს ლეოლრაფიათა შინა მო-
სხის მთად, რომელნი არიან მესხის მთანი ირიჯლუსი, თორთომისა, ში-
ფაქლუსი და დევაბოინისა და ისპირისა. ვახუშტი.

მთიდამ და მიადგების ისპირის მთას, და არს ხახულამდე უტ-ყეო და ყოვლითა ვითარცა სხვანი მთანი, ხახულს ქვეით ეგრეთი ისპირის მთამდე, ვითარცა თორთომის მთის კერძი დავსწერეთ; ჩდილოთ მზღვრის მთა ისპირისა, ამასა და ის-პირს შორის, და გარდავლენან გზანი ისპირის კეობასა შინა. არამედ თორთომის მდინარის კიდე, ხახულს ზეითამდე ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კე-რძონი ყოველგნით ვითარცა ჯავახეთი აღვსწერეთ, განა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინვლიან-ნადირიან-თევზიანი, შემკული მთით და ბარით. კაცნი ვითარცა მესხნი და აწ სუ-ლიად მოჰმადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უბნობენ თურქულსა.

გურჯიბოლაზისათჳს. ხოლო ამის დასავლით და შიფა-ქლუს მთის იქით გურჯი-ბოლაზის კეობა ანუ **საქართველოს-ეულისა**: რამეთუ, ოდეს დაიპყრეს ოსმალთა აზრუმ, მიერ ჟა-მით უწოდეს სახელი ესე [430]). სიგრძით არს დევაბოინის მთიდამ სპერის მდინარემდე. გამოსდის დევაბოინის მთასა, მოდის **სა-მკრიდამ** ჩდილოთ, და ხენძორეთის გარდასწვრივ არს **გურჯი-ბოლაზი** დასავლეთით, და ეს კევი არს საზღვარი, ბაიბურდის მთამდე, საქართველოსა და ბერძენთა. და კეობა ესე არს ფრი-ად ვიწრო, კლდიანი და ტყიანი.

ბაიბურდისათჳს. ხოლო სადაცა მიერთვის ისპირის მდი-ნარეს გურჯი-ბოლაზის მდინარე, მას ზეით არს ისპირის მთე-ბიდამ ჩამოსულნი მთანი, ისპირისა და ბაიბურდის საზღვარი, ვითარცა აღვსწერეთ. ამ მთებს ზეით არს ბაიბურდი, ყოვლგნით

---

[430]) ყვარყვარე ათაბაგმა († 1466 წ.) კახაბერ გურიელს დაუთმო აჭარა და ჭანეთი და განუდგა ქართლის მეფეს გიორგის. გაათაბაგდა-რა მისი შვილი ბაადურ († 1475), ოსმალებმა დაიპყრეს ტრაპიზონი და არ-ზრუმი და შემოჭრნენ ჭანეთსა და კლარჯეთში. მზეჭაბუკ ათაბაგმა (1502—1516) ოსმალნი შემოიყვანა სამცხეს, გურიელს წაართვა

მთით მოხვეული და თვითცა მთა. ამას შინა დის ისპირისავე მდინარე. ამ წყალზედ, შუას ადგილს, არს ქალაქი ბაიბურდა, არა დიდი, და არიან აწ სულიად მოსახლენი მაჰმადიანნი, მცირედი თუ ვინმე ქრისტეანენი. ამ ქალაქის გამო იწოდების ადგილიცა ესე ბაიბურდად [431]). ხოლო მოერთვიან ბაიბურდის ადგილთა შინა ისპირის მდინარესა, აჭარა-ეზინგის მთიბიდგან, მდინარენი, და არიან მას ზედა შენნი დაბნები. არამედ მზღვრის ბაიბურდს: აღმოსავლით—მთა ისპირისა და მის შორისი; სამკრით—მთა ეზიგსა და ბაიბურდს შორისი, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, უტყეო; დასავლით—მთა ტრაპიზონისა; ჩდილოთ—მთა ჭანეთისა, ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი. და არს ეს ბაიბურდი, ვითარცა ჯავახეთი, მთებრი, მოსავალ-პირუტყვითა. გარემოს მისსა მთანი უტყეონი, და ზიდვენ ჭანეთის მთიდამ ხესა და შეშასა, უმეტესად სწვენ წივასა. ჰავით ზაფხულის კეთილ-ამო და შვენიერი, ზამთრივ ცივი, თოვლიანი და გაუძლისი. გარდავლენან გარემოს მთებთა ზედა გზანი ადგილებთა შინა, რომელი აღვსწერეთ მას გარემო. კაცნი არიან სულიად მოჰმადიანნი და ზნითაცა მათითა.

აჭარა და ჭანეთი. მისი ძე ყვარყვარე († 1535 წ.) დაამარცხა იმერთ მეფემ, აჭარა და ჭანეთი წაართვა და გურიელს მისცა. 1552 წელს ოსმალთ დაიპირეს არტანუჯი არსიანამდე, ფანაკარი (ფანაკარის ციხე) ააშენეს, არტაანიც აიღეს.

[431]) კიპერტის რუკაზე ბაიბურდის ადგილას აღნიშნულია ბაიბერდონი. გვგონია, ბ ე რ დ ი (ბაი-ბერდი) უნდა იყოს ა) ანუ მონათესავე სახელებისა ბერდიკი, ბერდუჯი, ბერდა, ალა-ვერდი და შატ-ბერდი-ც, თუ ეს უკანასკნელი არ არის სა—ტბერდი (შავთელი იხსენიებს შატბიერს, არიან აზნ. შატბერაშვილები) ანუ შ ა ტ-ბ ე რ დ ი, მაღალი, აშოტილი ფერდობი (ხევსურეთში არის სოფელი შატილი) და ბ) ანუ სახელისა ბურცვი=ბორცვი, ბაი-ბურცვი=ბაი-ბურდი „მრგვალი ბორცვი", „თვალი აბურცული".

ჯანეთისათჳს. ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამჴრით, ჯანეთის მთას იქით [432]), არს ჯანეთი, და აწ უწოდებენ ლაზსა-

---

[432]) ეს მთა არის პონტოს უდელტეხილი ანუ ლაზისტანის მთა. ამ მთის აღმოსავლეთის ფერდობზე, ისპირის წყლის ტოტს პარხალზე არის სოფელი პ ა რ ხ ა ლ ი და მასში ქართველთა უუდიდებულესი მონასტერი პ ა რ ხ ა ლ ი. 1874 წელს სოფ. პარხალს იყო 200 მეკომური და ესენი ლაპარაკობდნენ „გაფუჭებულს ქართულს ენაზე“ (გ. ყაზიბეგი Три мѣсяца въ Турецкой Грузіи, 119). ტაძარი აღმართულია შესწორებულს ადგილას. თლილის ქვით აგებულია, უგუნბათოა, სვეტებზე კამარა-კრულია. აღმოსავლეთის კედელს გარედგან აქვს დიდებული შეხედულობა, რვა სვეტიანია და შუალა სვეტები სიმაღლით 75 ფუტია. კედლებს ამკობს უუშვენიერესი სარკმლები. საკურთხევლის კამარაზე დარჩენილა გამოხატულობა ღვთაებისა, გარშემორტყმული ფრიდათა დასით. ტაძრის იატაკი მოკირულია. 1874 წელს პარხალს ისევ იყო ქართველთა რამდენიმე ქრისტიანე სახლობა, საიდუმლო ქრისტიანეთა სახლობა კი 80-მდე ითვლებოდა. ქრისტიანეთა მღვდლად იყო ღებრაძე. 1518 წელს პარხალი ჯერ ისევ იყო მცხეთის კათალიკოზის გამგეობაში. დარჩენილა რამდენიმე ტყავზე ნაწერი წიგნი, პარხალს გადაწერილი. ერთი მათგან ფრიად დიდია (№ 95, infolio, გვ. 1316). გადამწერი მისი გიორგი ამბობს (გვ. 1222), ნაწილი ამ წიგნისა შედგენილია პარხლის დედნითაო და ნაწილი კი—იშხნ-ს მონასტრისა, წიგნის გადაწერაში მიშველეს გაბრიელ ხორგამ, იოანე გაცვეთილმა და სხ. 973 წ. ტყავზედ გადაწერილ სახარებაში ვკითხულობთ: „ღირს ვიქმენ მე, იოანე-ბერაჲ დასრულებად ამ წიგნისა სალოცველად მეფისა ჩვენის ბაგრატისა, დავით მაგისტროსისა, ერისთავთ ერისთავის სუმბატისა... მე იოანე ბერაჲმა, შატბერდელმა მწერალმა. დავწერე ეს სახარება 973 წელს შატბერდს და შევწირე პარხალს საოხად ყოველთა ძმათა შატბერდელთა. ეს ბერაი არის შემადგენელი შატბერდის დიდის კრებულისა (№ 1141 წ. კ. ს. ბიბლ.), რომელშიაც, როგორც ვთქვით, სხვათა შორის, შეტანილია საქართველოს მოკლე ისტორია მე-IX საუკუნემდე.

ვე [433]). არს ესე შავისზღვის კითის წადევნებით, გონიიდამ ტრაპიზონის საზღვრამდე. გონიის დასავლით მოერთვის ზღვას მდინარე ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა, რომელი მდებარებს ჭანეთსა და ფორჩხის კეობას შორის, და მოდის ჩდილოთ. ამ მდინარის იქით არს ხოფჯა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხოფჯისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ეგრეთვე. კვალად მოერთვის ზღვას მდინარე ხოფჯას, იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთისა, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლით არს ქალაქი მცირე რიზა [434]), ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთასა და მოდის ჩდილოთ. ხოლო ამის დასავლით ჩამოვარდების მცირე მთა, კნინლა ზღვამდე, ჭანეთის მთიდამ, და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის-ჭალა, აქავ არს სატყეშელა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამემან [435]) ციხე,— შემდგომად ყოუს შემოსვლისა (ვგონებ რიზას). ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწევით, და მივალს ვიდ-

---

[433]) ჭანების შესახებ იხ. შენიშ. 360 ⁂ 437. რაიც შეეხება სახელს ლ ა ზ, რომელიც უდრის აფხაზურს ა ლ ა ზ, შეიძლება იყოს იმავე სიტყვის ფესვისა, რომლიდგანაც წარმოსდგა არაზი (არაქსი, რახსი), ალაზანი, არაგვი. „ალაზნი“, იქნება, მოვიდნენ არაზის სათავიდგან. კიპერტის რუკაზე თვით ტრაპიზონი და მისი არემარე იწოდება კოლხიდად.

[434]) რიზა ანუ რიზეონი. დიოკლეტიანე რომ მოკვდა 308 წელს, იმპერატორ მაქსიმიანმა სათლეველს და მერმე აფხაზეთ-ჯიქეთს დასამწყვდევად გამოისტუმრა წმ. ორენტი და მისნი ექვსნი ძმანი. უფროსი ძმა მოკვდა ბანაკებს, ორენტი რიზეონს (საეკლ. მუზ. ტყავზე ნაწერი წიგნი № 222, გვ. 375).

[435]) არჩილ II † 718 წელს.

რე ჭოროხამდე [436]). არს თხემთა უტყეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი. განა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღელე-

---

[436]) აქვე დავურთავთ ცნობას შესახებ სამცხე-საათაბაგოს სამწყსოისა ისე, როგორც ამ ცნობას გადმოგვცემს ძველი სიგელი, არა უგვიანესი მე-XI საუკუნისა (Арх. путеш. по Гуріи и Адчарѣ д. ბაქრაძისა, გვ. 79—85): „კათალიკოზის (მცხეთის) სამწყსო სამცხე-საათაბაგოში. არის მისის უწმინდესობის კათალიკოზის სამწყსო ზემო-ქართლს, რომელ არს სამცხე-საათაბაგო, თავადნი და სოფელნი: კ ა ვ კ ა ს ი ძ ე მისითა მამულითა—პარხალი მისითა შესავალითა და ახნაურის შვილებითა, საყმო სამწყსოთი; ს ა მ ძ ი ვ ა რ ი მისითა სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; ა ვ ა ლ ი ს შ ვ ი ლ თ ა და ს ლ ე ს ა რ თ ა აქვს ლონგისძენი სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; ლ ა ს უ რ ი ს ძ ე თ ა აქვს ხერხემელისძე სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა (აქვე დღესაც არის სოფელი სალასურიძეო); თ ა ქ თ ი რ ი ს ძ ე ს აქვს ჩორჩანელი სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; ერისთავთ-ერისთავს ხ ურ ს ი ს ძ ე ს აქვს ღობერნი სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; დ ი ა ს ა მ ი ძ ე თ ა აქვს აბუსერისძენი სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; ბ ო ც ო ს ძ ე ნ ი სასაფლაოჲთა მონასტრითა და კარის ეკლესიითა; ო ლ ი დ ა ს შ ვ ი ლ თ ა აქვს ოთარა სასაფლ. მონასტ. და კარის ეკლ.; შ ა ლ ი კ ა შ ვ ი ლ თ ა აქვს ხერთვისარნი სასაფლ. მონასტ. და კ. ეკლ.—კიდევ სასაფლაო მონასტრის და კარის ეკლესიის მქონებელნი არიან: ქ ა მ ქ ა მ ი ს ეულზედ ა მ ა ტ ა კ ი ა ნ ნ ი და შალიკაშვილნი; რ ჩ ე უ ლ ი ა ნ თ და ფ რ ო ფ ლ ი ა ნ თ აქვს ასპინძისძენი; სფირიდონს აქვს კალმახელი; უ ზ ნ ა ს ძ ე თ აქვს დუკისძენი; ფ ა ნ ა ს კ ე რ ტ ე ლ ნ ი, ს პ ა ს ა ლ ა რ ნ ი; კ ა კ უ ლ ა რ ნ ი, ა ნ ძ ა ვ ე ლ ნ ი, კ ო პ ა ს ძ ე ნ ი, თ უ ხ ა რ ე ლ ნ ი, მ ი ნ ა ს ტ რ ი ო ჲ შ ვ ი ლ ი.—ე პ ი ს კ ო პ ო ს ნ ი: მ ა წ ყ ვ ე რ ე ლ ი (აწყურის მიტროპოლიტი), კ უ მ უ რ დ ო ე ლ ი, ი შ ხ ნ ე ლ ი (ამის სამწყსოა გურჯიბოღაზს აქეთ თორთომი, ტაოს ქვემოთი, არტანუჯს საკრულავს აქეთი, გალმა ორჯოხის მთის აქეთი, საკავკასიძეო ისპირ-ტრაპიზონის მთას გარდმოღმა), ა ნ ჩ ე ლ ი

იანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი, ბრინჯ-ბანბითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად. პირუტყვნი, ენადირნი ფრიად მრავალნი, ფრინველნი და თევზნი ურიცხვნი, მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰავით— ზღვის კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილ-ჰაოვანნი. ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძლისი. კაცნი არიან კეთილ-ვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სულიად მოჰმადიანნი. განა მცირედნი ვინმე მოიპოვებიან ქრისტეანენი, არამედ იციან კვალად ქართულ ენა ვიეთთამე. ხოლო მზღვრის ჭანეთს: აღმოსავლით გონიის საზღვარი, სამკრით—მთა ჭანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ჭანეთს შორისი; დასავლით—მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ—ზღვა-შავი [437]).

(სამწყსო მისი სამწყალს აქეთი ხანცას და ოპიზას შუა დახატულა, ნიგალისხევი, გაღმა გამოღმართი გონიას საზღვრამდე), მ ტ ბ ე ვ ა რ ი (მისი სამწყსო: დახატულას ზედათი ანაკერთს აქეთი მთელი შავ'შეთი, აჭარა დანდალოთ ზეითი), წ უ რ წ ყ ა ბ ე ლ ი (ხურსიძის სახლი, ბოცოთხევი ხერთვისს ქვეით), წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ე ლ ი (ზევთი, პალაკაციო კოლას საზღვრამდე), ე რ უ შ ნ ე ლ ი (ტალაშოს ზეითი არტანი კოლას საზღვრამდე ვალაშკერტს (=ალაშკერტს) აქეთ ხინუსი, დევაბოინის აქეთი), ვ ა ლ ა შ კ ე რ ტ ე ლ ი (ყაღზევანს ზეითი ვალაშკეტს აქეთ ხინუსი და დევაბოინის აქეთი, ა ნ ე ლ ი (მისი სამწყსო ზირიშტიანი, შირავოინი, მაღასბერეთი), კ ა რ ე ლ ი (სამწყსო: კარი და კოლისა და ოლთისის საზღვრის გადმოღმა გოგჩევანი და კაღზევანი), ბ ა ნ ე ლ ი (მისი სამწყსო: ბანი, ტაოსკარი, ფანასკერტი, ჰარიზის (არეზის?) ხეობა, ოლთისი და ნარუმაკი), დ ა დ ა შ ნ ე ლ ი (მისი სამწყსო: კოლა და ხორტევანი ყარასალზედ მიდგმამდე). „ამ ეპისკოპოსთ მაკურთხეველი და უფროსი ქართლის კათალიკოზია, იმის ხელთ არის ყველა“.

[437]) კესნოფონტე (431—354 ქრ. წ.): ტაოხების ქვეყნიდამ (ტაოსკარიდამ) ჩავიარეთ და მივედით ხალიბთა მხარეს. ესენი აქეთკენ განთ-

ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩენილთა ადგილებთა, რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა. არამედ არა

ქმულ არიან ვაშკაცობით. ამათ აცვიათ სელისაგან გაკეთებული ჯავშანი, რომლის ბოლო კალთები დახლართულია ბაწრით. აცვიათ აგრეთვე საგულე და ჩაჩქანი. წელზედ ჰკიდიათ ხმლები. ამ ხმლებით ყველას თავს სჭრიდნენ, წინ გარბოდნენ შუშპარით. მათი შუბები სიგრძით 15 ადლი იყო. წყნარად იყვნენ ვიდრე გავივლიდით, მერე კი გვეცემოდნენ. მათი ადგილსაცხოვრებელი მიუდგომელია და იქ შენახული აქვთ თვისი საზრდო. მათს ქვეყანაში ჩვენ ვერა ვიშოვეთ-რა... შემდეგ შევედით მ ა კ რ ო ნ ე ბ ი ს მხარეს და მივადექით ერთს მდინარეს. მის მარჯვენა კერძო იყო მაღალი მთები, მარცხნივ—უტეხარი ტყე. ამ ტყის ჭრა ვიწყეთ, რომ გზა გაგვეკაფა. მოვიდნენ მაკრონნი, რომელთაც დავუზავდით. ამის შემდეგ იმათაც გვიშველეს ტყის გაკაფვაში. მივედით კოლხების სოფლებში, რომლებიც სავსე იყო საზრდოთი, უფრო კი—თაფლით. ეს თაფლი რომ იგემეს ჩვენმა მეომრებმა, ყველანი ავად დახდნენ, დასუსტდნენ და გადირივნენ, მაგრამ მეორე დღეს ყველანი მოჯობინდნენ და გზას გავუდექით. მივედით ტრაპეზუნტს. კოლხებისაგან მივიღეთ საჩუქრად ხარები და გავსწიეთ დასავლეთისკენ, მოსნეკების ქვეყანას. აქეთური მოსინეკები იქითურების მტრები იყვნენ, ვუშველეთ ამათ, რომელთაც ჰქონდათ ფარები, მახვილები, შუბები. იგინი მოგვეგებნენ 300-ის ნავით. დავამარცხეთ იქითურნი, რომელთა მეფე კოშკში სცხოვრობდა. მათს სარდაფებში ვიპოვეთ ბევრი გამომცხვარი პური. ახალი პური ჯერ არ გაელეწათ. კასრებში ჰქონდათ დამარილებული ხორცი და ქონი, სახლების ზემო სართულში წაბლი, რომელსაც ხარშავდნენ და ისე სჭამდნენ. ჰქონდათ ღვინოც. მოსინეკების კაცი და ქალი მეტად ნაზი და თეთრი იყო. აქედგან მივედით ხალიბების ქვეყანაში, ესენი ბემადნენი არიან. იქიდგან ტიბარენების მხარეს, მერე კოტიორას და ნავებით საბერძნეთს.—ზევით ჩვენ შევნიშნეთ (შენიშ. 360), რომ ბერძენთა ს ა ნ ნ ი (ტსანნი) და მ ა კ რ ო ნ ნ ი არიან ზანნი (=ჭანნი)=მაგრალნიო (მეგრელნი). კიპერტის რუკებით ისპირეთის ჩრდილოეთით, ჭანეთის მთის გადა-

არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა იდგეს საყდარი ანუ ეკლესია, თლილის ქვით ნაშენნი,—ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და ეგრეთვე ყოველთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღვსწერენით. კვალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საყდარნი, სადაცა ძნიად

ღმაა ქვეყანა Sani-ებისა, მის დასავლეთით Macron-ებისა, ამის ჩდილო კერძო შავზღვამდე—კოლხებისა (აქვეა ტრაპეზუნტი), მის დასავლეთით არიან Mosyn-ები, Tibaren-ები, Chalyb-ნი, მაკრონების სამხრით ბაიბურდი და ხალდნი, ბათუმიდამ ჩაჰყვებიან ზღვის პირის ქალაქები: ა ფ ს ა რ ი, არ-ა ბ ი, მ ა რ თ უ ლ ა (მ ა რ თ ვ ა—მ ა რ თ უ ლ ა), ათენე, რიზუს (=რიზა) მდ. აწყურ-ზე (Ascurus; ასრეეე აღნიშნულია ბორჯომის აწყური), სუსურმენა, ტრა-პეზუნტი („ქალაქი კოლხთა"), ფარნაკი, კოტიორა,, თემისკირა (Themiscyra). ამას იქით მდინარენი ლიკუსი (Lycus) და ღალისი. სტრაბონი ამ-ბობს (ჰან, 74) „თემისკირას, მდინ. თერმოდონის ახლო მდებარე მინდორს, და მას ზე ამაღლებულს მთებს უწოდებენ მთად ამაზონებისა, რომელ-ნიც, ამბობენ, იქიდგან გარეკესო". ჩვენ გვგონია, ეს ამაზონები უნდა იყ-ვნენ იგივე მეგრელები=სვ. მზან-ები: ა) ზ ო ნ ბერძნული=ზ ა ნ ქართუ-ლი (Alazonios=ალაზანი), ბ) სვანურად ზ ა ნ—სამეგრელო, მზან—მე-გრელი (ვით მეგვიპტელი, მარგველი, მროველი და სხ.); მამულის მაჩვე-ნებელი მ (მ—ზან) არის იგივე მა, მ ო, მ უ (მუ-შვან—სვანი, მჰ-ქართ —ქართველი, ე. ი. მო-ქართლე, მო-სვანე, მ ო-ზ ა ნ ე=მ ა-ზ ა ნ ე (მ ო-მ ა ვ ა-ლ ი=მ ა-მ ა ვ ა ლ ი, მ ო-ნ ა ს უ ლ ი=მ ა ნ ა ს უ ლ ი და სხ.). ამ მა-ზ ა ნ-ს თავში ემა-ტ ე ბ ა ა (ლ ა ზ ი=ა ფ ხ. ა-ლ ა ზ, გ უ რ ი ა=ა-გ უ რ ა, დ გ ო მ ა—ა-დ გ ი ლ ი) და წა-რ მ ო ს დ გ ე ბ ა სახელი „ა მ ა ზ ა ნ" (ბერძნ. ა მ ა ზ ო ნ), ე. ი. მ ცხოვრები ზ ა ნ-ისა (სამეგრელოისა). ნაირნაირი სახელები ერთისა და იმავე ქართველ თემისა წარმოსდგებოდა ადვილად, რადგან მას ერქვა და ჰქვიან ზ ა ნ (სამეგრე-ლო), მ ზ ა ნ (მ ე გ რ ე ლ ი), ჭ ა ნ ი, ჭ ა ნ ე თ ი, მ ე გ რ ე ლ ი=მ ა რ გ ა ლ ი (მ ა გ რ ა ლ ი)-ა გ რ უ ა. რაიც შეეხება ამ სიტყვების ეტიმოლოგიურ მნიშვნელობას, შეი-ძ ლ ე ბ ა ს ა ნ ი=ზ ა ნ ი წარმომდგარიყო არა ჭ ა-დ ა მ (ჭ ა ნ ი), და არც სი-ტ ყ ვ ი დ ა მ ჭ ა ნ ი (ხ მ ე ლ-ხ მ ე ლ ი კ ა ც ი), არამედ ხ მ ნ ი დ ა მ შ ე ნ ე ბ ა: ს უ ლ ხ ა ნ-ს ა ბ ა-

ხვდებიან კაცნი, თჳნიერ დღესასწაულთა მათთა, ამისთჳს: რა-
მეთუ, ვინათგან კერპობასა შინა მათ მთა-გორათა ზედა იყუ-

თი: „ს ა ნ ა—აღშენებული“. ეს სიტყვა იცვლება: შენება=სვ. ლი-შნავი, შ ე ნ ი=იგივე სანა (აღშენებული). ამიტომ თვით მოსინეკებს, რომელთაც სახელი მიეჩემათო Mosyn-ებისაგან, ე. ი. იმ სახელებისაგან, რომლებშიაც სცხოვრობდნენ, ჩვენ ვთვლით მოშენე-დ, მო-სან-ედ, მზან-ად. მსგავსადვე „მარგალიც“ შეიძლება ნიშნავდეს მოსახლეს, ვინაითგან სვანურად არგი (ფესვიდგან აგება) ჰქვიან სახლს: არგვეთი (აშენებული ქვეყანა), მარგველი (არგვეთის მცხოვრები).—ხ ა ლ დ ი ა ს ქართლის ცხოვრება სწერს (გვ. 215) ხ ა ლ დ-ად და ხალად-ად. ამ ერს ერქვა აგრეთვე ხალიბი და ძველადვე განთქმული იყო მადნეულობის შემუშავებითა და ხელოსნობით. Ѳეკატე (მე-VI საუკ. ქ. წ.) ამათ ქალაქად სთვლის სტამენას, ხოლო ს ტ ა მ ა ნ სვანურად ნიშნავს ბურჯელს და იქვე სვანეთში არის სოფელიც ხალდა. თვით „ამაზონების“ ქალაქი თ ე მ ი ს კ ი რ ა თუ თ ე მ ი ს კ უ რ ა შეად. ქართულს თემის-ყური, წალას-ყური, ან და მეგრულს საწულესკირო ამაზონების ერთს მინდორს ერქვა დ ო ი ა ნ თ ა (აპოლონ როდოსელი). დ ო ი ა ქართულად გვრიტს ჰქვიან, ხოლო დ ო ი ა ნ თ ა გვრიტიანს ადგილს (შეადარე: გურიან-თა=გურიის მთა, ლომსიანთა და სხ. აქვე, ზღვის პირად იყვნენ ფ ი ლ უ რ ე ბ ი (პირი=სვ. პილ=ფილ; 'ფილური=პილური=პირული, ე. ი. ნაპირის, ზღვის კიდის ერი). და სხ. ტრაპეზუნტი აღნიშნულია კოლხეთში. ქართველთა წყაროებით „ტრაპეზუნტი, ქალაქი მეგრელთა სანახებსა“ (1042 წლ. ქრონიკა „გამოლაშქრება იმპერატორის ერეკლესი“, გვ. 48). შეიძლება თვით ტრაპეზონი=ტრაპეზუნტი თავდაპირველად ყოფილიყო ტრაპიზანი, ტრაპიზანთა, ე. ი. ზურგი ანუ სიმაგრე ზანთა (იხილე ლექსიკონში სიტყვა ტროპი=ტრაპი). რუკებზედ გონიისკენ აღნიშნულია ოხვამე, რომელიც მეგრულად და ბანურად ნიშნავს საყდარს (ხვამა—ლოცვა, ოხვა, ხვეწნა. ო ხ ვ ა მ ე—საოხვო, საოხავი, საყდარი).—ტიბარებს ერქვათ აგრეთვე ტიბრანი (ჰან,

ნენ კერპნი ალმართებულნი და დღესასწაულობდენ მუნ სიდიდობითა, და ქრისტეანობასა შინა შემუსრნეს კერპნი, არა-

---

გვ. 143). შად. სვანური ტ ვ ი ბ—ხევი, ღელე, ტვიბრანი=ტიბრანი შეიძლება იყოს მოხევე, ტბელი, ტბევარი (ტვიბ-არი). Ბეროდოტე (მე-V ს. ქრ. წ.) ამბობს, ტიბარენები, მაკრონები (სანები) და მოსინეკები ისრევე იპურავებოდნენ საომრად, ვითარცა მოსხნიო, თავზედ იხურავდნენ ხის ჩაფხუტებს, იკეთებდნენ ფარებს, ხმარობდნენ გრძელ რკინიან შუბებსაო, ერთს ოლქს შეადგენდნენო მოსხნი, ტიბარენები, მაკრონნი, მოსინეკნი და მარები და ყველა ესენი ყოველწლივ სპარსეთს ხარკად უგზავნიდნენ 300 ტალანტ (=19, 500 გირვანქა). სტრაბონი (I-ლი ს. ქ. შ.) გვაუწყებს: ქვეყანა ტიბარენებისა და ხალდებისა, კოლხიდამდე და ფარნაკამდე, აგრეთვე ტრაპეზუნტი დღევანდლამდე ექვემდებარებიან პითოდორიდას, ჰკვიანსა და მოსაქმე დედაკაცს (ჰან,გვ. 83).—ტიბარენების მეზობლები იყვნენ მარნი (Mares), Ბეკარტეთი (VI ს. ქ. წ.) მარებს იქით იყვნენ მოსინეკები. შეადარე: სვან. მ ა რ ე—კაცი; სოფელი მარადიდი —კაც-დიდი, მ ა რ ა ლ—კაცები; სოფლები მარალეთი (გორის მაზ.), მარელისი (შორაპ.), მარელი (ახალც.). აქვე იყო ქალაქები პატრასი (Patrasis) და ხადისია. პატრასი იგივე პატარასი უნდა იყოს (ინგ. პატრა= პატარა. პატარაი აპარული სახელია), ხოლო ხ ა დ ი ს ი—სახადილო, სალოცავი ადგილი (შად. სოფლ. სახელები: ხადილა (ართვინ. მაზ.), ხადო (თიან. მაზ.).—აღწერილი ქვეყნები ღალისიდგან თითქმის გონიამდის შემდეგში შეადგენდნენ ერთს სამეფოს, პ ო ნ ტ ო ს ა ს. ვეპობთ, რომ ეს სახელიც არ იყოს ქართული. არაბთა მწერალი ომარ—იბნ-რუსტე (903 წ.) მას უწოდებს ბონტოს, ხოლო ქართულად ბ ო ხ დ ი ჰქვიან ღრმა ღელე-მდინარეებზე გადაკიდებულს ვაზებისაგან გადახლართულს ხიდს. თავდაპირველად, ალბად, ამგვარი ბონდი გადაპიმული იყო აზიიდგან ევროპის გადასასვლელს მარმარილოს ზღვის ვიწრო სრუტეზე და ამის გამო ზღვის ნაპირებს დაერქვა ბონდო (ბონდ-ო=ბონდიანი) და თვით ზღვას— პონტოს (ბონდოს) ზღვა. ამავე ზღვას ბერძენთ მწერლები ძველად უწო-

შედ კვალად არა დასცხრენ მუნვე განცხრომასა სიმთვრალითა, სიღოდითა და როკვითა, აღაშენეს მათ ზედა მუნ ეკლე-

---

დებდენ ა ქ ს ი ნ ო ს—არა სტუმართმოყვარე, მერე ე ვ ქ ს ი ნ ო ს—სტუმართმოყვარე. ვეტყობთ, ესეც არ იყოს ქართული ა ვ ქ ს ი ნ ი (ავი-ქსინვა, წყლის ცივი სუსხი, მკსინვარება, დიდი ყინვა, ზღვის სუსხიანი ბერვა.—პონტოს პირველი მეფე იყო არტაბაზი, დადგინებული დარიოზისაგან. 402 წ. ქრ. წ. აქ მეფობდა არტაბაზი, მემკვიდრე მიტრიდატ (=მიერდატ) I-ისა. ამის შვილი მიტრიდატ II აღმაშენებელი იყო. მისმა შვილმა მიტრიდატ III-ემ დაამარცხა ლისიმაზი, მაკედონიის მეფე, და თვისი გამარჯვების წელიწადი (284 წ.) დასდო დასაბამად წელთა აღრიცხვისა, ე. ი. ერ ად და ეს ერ ა მიიღეს კოლხიდასა და საქართველოშიაც (დ. ჩუბინაშვილი. ეთნოგრაფიული განხილვა, გვ. 16). 123 წელს გამეფდა მიტრიდატ VII, ახოვანი მეომარი, შემმაერთებელი, დიდად განათლებული, მცოდნე 22-ის ენისა. მიტრიდატი დიდის ძლიერებით შევიდა კოლხიდაში, დაიპყრა აპარა, გურია, იმერეთი, აფხაზეთი და ბოსფორი (ყირიმი). თვისი შვილი არიარატ დასვა კათბადუკიაში, დაიმონა მცირე-აზია, რომაელებს გამოჰგლიჯა თრაკია. რომაელებმა დაამარცხეს. შეურიგდათ (85 წ. ქრ. წ.). მაგრამ კიდევ გაჩაღდა ომი და მიტრიდატმა ორჯელ ზედიზედ დაამარცხა რომაელების სარდალი მერენა. 79 წელს ბოსფორის მეფედ დასვა თავისი შვილი მახარა. შემდეგ კიდევ იბრძოლა რომაელებთან, ბევრჯელ იგინი დაამარცხა. გარნა ბოლოს სძლიეს. იგი გამოიქცა კოლხიდას და გადავიდა ბოსფორს. იწყო ლაშქრის მზადება რომაელებთან საომრად. მაგრამ შვილმა უღალატა და ამისგამო მიტრიდატმა თავი მოიწამლა და მოკვდა (64 წ.).—მთელს იმერეთს და პონტოსაც ძველად ერქვა კოლხიდა და შემდეგ ლ ა ზ ი კ ა, ლ ა ზ ე თ ი; პროკოპიუსი, მაგალით., ლაზთა ქალაქებად სთვლის სკანდას, შორაპანს, ბიპვინტას და ლაზთა მდინარედ—ფაზისს (რიონს). მეექვსე მსოფლიო კრების განაჩენზე, სხვათა შორის, ხელს აწერენ: „თეოდორე, უღირსი ეპისკოპოსი ლაზთა ქვეყნის ფაზიისა“, „იოანე, უღირსი ეპისკოპოზი ლაზთა

ხიანი, რათა თაყვანისცენ ამათ და არღარა მოიხსენონ კერპნი სიღოდა-განცხრომითა.

ქვეყანის პეტრისა" (პეტრა ძლიერი ციხე-ქალაქი იყო. აპარაში, ჰგონებენ აწინდელს პორტას). მე-V—VI საუკ. აპარაში არტანუჯ-ტაოსკარს, გაძლიერდნენ და განითქვნენ ბაგრატიონნი. გურამ ბაგრატიონი კიდეც გამეფდა (576—600). მათი მპყრობელობა არტანუჯ-ტაოდგან თანდათან გავრცელდა ჩრდილოეთ-აღმოსავლეთისკენ და ბოლოს (985 წ,) მათს ხელმწიფებას ქვეშე გაბრწყინდა აფხაზ-ქართლის ძლიერი თვითმპყრობელობა. ბაგრატ მესამე (980—1014) იყო გამაერთიანებელი მთელის ივერიისა, ქართველთა გვარ-ტომ-მოდგმისა. მისნი შემწენი ამ დიადს საქმეში იყვნენ ტაოელი დავით კურატპალატი და ქართლის ერისთავი იოანე მარუშიძე. ამ ძლიერის კაცის და წარჩინებულის მამულისშვილის რჩევით, მოსაქმეობითა და თაოსნობით დავით კურატპალატმა შემოიკრიბა ყოველნი ქართველნი აზნაურნი და გამოუცხადათ: ამიერიდგან ბაგრატი არს „მკვიდრი ტაოსა, ქართლისა და აფხაზეთისა, შვილი და გაზრდილი ჩემი, და მე ვარ მოურავი მისი და თანაშემწე; ამას დაემორჩილენით ყოველნი". და დაემორჩილნენ.

ა ღ წ ე რ ა

ეგრისის ქვეყნისა, ანუ აფხაზეთისა, ანუ იმერეთისა.

სახელისათჳს. ქვეყანისა ამის სახელნი არიან საერთოდ სამი: პირველად ეგრისი, მეორედ აფხაზეთი, მესამედ იმერეთი. რამეთუ ეგრისი ეწოდების ეგროსის გამო, ძისა თარგამოსისა, რომელსა ძმათა შორის თჳსთა ხვედა წილად ქვეყანა ესე. და იწოდებოდა სახელითა ამით ვიდრე ხოსროვანთ გარდავლინებამდე. ხოლო აფხაზეთი—ლევანის გამო, რომელი შემდგომად პირველის ლეონისა, მეორე ლევან ერისთოაპდა აფხაზეთს, ქორონიკონსა ღპე, ქართულსა ე. ესე ლეონ, შემდგომად ხოსროვანთ გარდაცვალებისა, გამეფდა და დაიპყრა სრულიად ეგრისი, და ამან უწოდა აფხაზეთი სამეფოსა თჳსსა, და მოიღო საერისთოსა თჳსისა სახელი ეგრისსა ზედა [438]) ჴარამედ იმერეთი—ბაგრატიონთა მიერ, რამეთუ, რაჟამს დაიპყრეს სრულიად აფხაზეთი და ყოველი საქართველო, ამათ უწოდეს ქართლს ამერეთი და აფხაზეთს იმერეთი, ანუ იმერნი და ამერნი უმეტესად შეერთებისათჳს, და აწცა საზოგადოდ უწოდე-

---

[438]) აფხაზნი თავის თავს უწოდებენ აფსუა, თავის ქვეყანას—აფსნ. ძველად ქართველები უწოდებდნენ აფსარს, აფშილს, პლინიუსი მათ ეძახის ა ბ ს ი ლ ი, არრიანე—ა ფ ს ი ლ ი. ერისთავებად ჰყვანდათ ანოსი, გოზარი, იუსტინიანე, პოლიკარპოს, კაპარუკი და ლეონ I-ლი. ამ ლეო-

ბენ იმერეთსა [439]). ხოლო ესე აფხაზეთი ანუ იმერეთი განიყოფების ადგილებად, და ეს განყოფით ადგილებთა სახელები დავსწეროთ თჳს თჳსთა რიგთა ზედა. არამედ ოსმალნი და სპარსნი საყოველთაოთ ამ ქვეყანას უწოდებენ ბაშაჩუხს, რომელ არს თავახდილი [440]), უქუდობისათჳს, რომელთა ჰბურავთ მცირე რაიმი ნაჭრისაგან ლართა, ვითარცა მდებარედ თავსა ზედა [441]).

ქვეყანასათჳს. ხოლო სიგრძე ქვეყანისა ამის არს ლიხის მთის თხემიდამ შავსზღვამდე, და მერმე კიდევ ეგრისის მდინარიდამ ვიდრე ზღვამდე. ხოლო განი—ჭოროხის მდინარიდამ ალანის კავკასამდე [442]) და ლიხის მთის კერძოთ ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-სვანეთის კავკასის მთის თხემამდე. და მზღვრის ქვეყანასა ამას: სამკრით ღადო მთა ანუ

ნმა შეირთო გურანდუხტი, ასული არჩილ მეფის († 718 წ.) ძმის მირისა. 786 წელს გარდაიცვალა უკანასკნელი ხოსროვანი იოანე, და ლეონ II, ძმისწული ლეონ I-ისა, დაუახლოვდა ხაზარებს, შეირთო მათი მეფის ასული და მათის ლაშქრის შემწეობით დაიპყრა აფხაზეთი და იმერეთი, თავისი თავი აღიარა მეფედ ლიხს იქითი ქვეყნისა, სატახტო ქალაქად გამოაცხადა ქუთაისი და თავის სამეფოს დაუდგინა ცალკე კათალიკოზი. ორის საუკუნის შემდეგ ეს სამეფო ისევ შეუერთდა საქართველოს და ბაგრატ გამაერთიანებელი შეიქმნა (985 წელს) მეფედ აფხაზეთ-ქართლისა. იმავე მეფე ბაგრატმა დასწერა „ცხოვრება“ აფხაზეთისა. ბაგრატიდგან იწყება ეგრედ-წოდებული „ოქროს საუკუნე“.

[439]) ამერეთ-იმერეთს ჰყოფს ლიხის მთა, რომლის აღმოსავლეთს არის ამერეთი და დასავლეთს—იმერეთი. ამ იმერეთს ვახუშტი უწოდებს ეგრისს.

[440]) ბაშ—თავი, აჩუღ—ღია, ახდილი.

[441]) ავქსონი იგულისხმებს ფაფანაკს.

[442]) ალანიის კავკასი არის სამურძაყანო, საცა დღესაც არიან გვარნი ალანია.

ფერსათი; ჩდილოთ კავკასის მთა და მდებარებს ორთა ამათ მთათა შორის. დასავლით უმდებარებს შავიზღვა, აღმოსავლით მთა მკირე ლიხისა. ხოლო მთა ლიხისა მდებარებს ჩდილოდამ სამკრით კავკასიდამ ლადომდე და არს ტყიან-ნადირიან-ფრინველიანი. და გაზდიან მდინარენი, ამიერ — ყვირილა, ძირულა და ჩხერიმელა იმიერ—ფაწა, ოთხი ფრონენი და შოლა. და არს ქვეყანა ესე ფრიად ტყიანი, რამეთუ იშვით არს ველნი, თუ არ ადგილ-ადგილს მკირენი, თუნიერ საკენელთაგან. არამედ ტყენი ადგილ-ადგილ ხილიან-ვენახიანი, ჰავითა კეთილმშვენი. განა ტყის გამო ზაფხულს იმყოფის სიცხე, ვინადგან ძნიად იძვრის ქარნი, და არა გაუძლისი სიცხე, თუნიერ ადგილთა რომელთამე. ზამთარი თბილი, რამეთუ ვერ ოდეს განჰყინავს მდინარეთა, ვერცა გუბესა, რომელსა ზედა შედგეს უტყვი ანუ მეტყველი. არამედ თოვლი დიდი, რომლისა სიმაღლე ოდესმე მკარი და უმეტესიცა. თვალ-ა ქვეშე შვენიერება ეგოდენ არა სჩენაროობს ტყის გამო, თუნიერ ადგილ-ადგილთა: რამეთუ უკუთუ დახედო მაღლის მთიდამ, იხილავ სრულიადს იმერეთს ტყედ და არსადა შენობასა.

მარცვალთათუს. ხოლო მარცვალნი, რომელნიცა დავსწერენით, ყოველნი ნაყოფიერებენ ფრიად, განა ბრინჯ-ბანბას სთესენ იშვით, და ეგრეთვე ხორბალსა, და ქრთილსა და ღომსა ფრიად მრავლად, და გამოიზრდებიანც მით, და სხვათა მარცვალთა სიმრავლენი იმყოფიან. რამეთუ ერთი მხოლოდ მუშაკად მოქმედი კაცი, მხოლოდ წალდ-თოხისა მქონებელი, დასახლდების, მოიყანს საზრდელსა ჯალაბთასა და გარდაიხდის ბეგარასაცა.

აბრეშუმს აკეთებენ და ქსოვენ ლარს არა დიდ ფასსა, უოქრო-მკედოსა, და ხმაროობენ სხვებრცა. ეგრეთვე ბანბასა, და კანაფთაგან ტილოსა, არამედ სხვათა ქვეყანათაგანი უმჯობენი არიან.

ხის ნაყოფთა და ბარუტეგოთუს. წალკოტნი არა არიან აქა, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი,

ამისთვს, რამეთუ ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი. აქა არს ხურმა, წაბლი და ვაშლ-ატამი ქართლზედ მეტი, და სხვანი, რომელნი აღვსწერეთ, მრავლად. ეგრეთვე მტილოვანნი ყოველივე. რამეთუ მელსაპეპონი და პუნპულა უმუშაკოდ ნაყოფიერებენ. სავარდე არა უწყიან, არამედ ველთა და ტყეთა შროშანნი ვარდითურთ აურაცხელნი და ფშონი. სოკონი მრავალნი სხვა და სხვანი, განა ნიყვი არს, რომელი აღმოხდების სპეტაკის ბუდით, მერმე განსქდების, და არს სოკონარინჯი მას შინა, ფრიად გემოიანი. პირუტყვნი, თვინიერ აქლემისა, არიან ყოველნი, და არა ეგდენ მრავალ, ვითარცა სხვათა საქართველოთა შინა. გარნა ცხოვარნი უდუმონი და კუდიანნი, მარადის მშობელნი ტყუბთა, და ოდესმე სამ-ოთხთა, და არცა ჰყავთ არვედ. არამედ ძროხა, კამბეჩი მროწლედ, ცხენი ჯოგად. რამეთუ არა უხმთ თივა, ვინადგან ზამთარცა მძოვრად არიან, თვნიერ არგვეთისა და რაჭა-ლეჩხუმისა. ნადირნი ყოველნი. რომელნი აღვსწერეთ, ფრიად მრავალ არიან, თვნიერ ქურციკისა და აფთრისა. ფრინველნი — წერო, ბატი, სავათი, ლაკლაკი, კაკაბი, დურაჯი, ასკატა, სვავი, ყაჯირი არა არს აქა, და სხვანი ყოველნი მრავალნი, არამედ სირნი, ჩიტნი და ტრედნი ესეოდენ, რომელ იპყრობს კაცი ერთი წამოსაკრავის ბადით ფ ერთ-გზის, და სხვითა მახეებითა სირთა და ჩიტთა, და სძეს ბეგრათ გლეხთა ტ—ვ, და უფროსნიცა.

თევზთათვს. მდინარენი არა მრავალნი, არცა ეგოდენ დიდ, არცა თევზთა სიმრავლე მათ შინა, არამედ რიონსა შინა საკურდღლიამდე იპყრობენ ზუთხსა მაისსა, ივნისსა და ივლისსა შინა, და თვნიერ ამ თვეთაგან კიდე არა. სხვა თევზნი არიან: ლოქო, გოჯა, ბოლო-წითელი, კობრი, მწერი და წვრილი თევზნი და კალმახნი მრავალნი. ხოლო ზღვის კიდეთა შინა იპყრობიან ანდაკია... [443]) და სხვანიცა. არამედ კირჩხიბი ყოველგან მრავალნი და ფრიად გემოიანნი.

---

[443]) დედანში ასეა.

მწერთა და მძრომთათჳს. მწერნი მრავალნი და გაუძლებნი, არამედ ფუტკარი სარგებლობს ფრიად თაფლთა და ცვილთა სიმრავლითა და თაფლი კეთილი: რამეთუ ვიეთთა ადგილთა სპეტაკი და შეყინული, სისქით ვითარცა შაქარი, რომელსა უწოდებენ კიპრუპსა [444]). მძრომნი და გველნი მრავალნი, არამედ გველი უწყინარი და უვნო.

ჯანთათჳს. ხოლო კაცნი და ქალნი, ვითარცა ვსთქუთ, ეგრეცა იუწყე, განა უშვენიერესადცა და უუჰეროვნესადცა, ვინადგან გლეხთაცა შვილნი მიგვანნი წარჩინებულთა შვილთა. სუფთანი, სამოსელთ გამწყსონი, ეგრეთვე ცხენთა და იარაღთა და საჭურველთა, ცქვიტნი, კისკასნი, ენატკბილნი, მსუბუქნი, ფიცხნი, ბრძოლასა შემმართებელნი და ძლიერნი და არა სულგრძელნი მას შინა და სხვათა შინაცა, უხუნი და მომხვეჭნი, დღეისის მძიებელნი, ხვალისას არა გამომკითხველნი, მომღერალ-მგალობელნი და მწიგნობარნი წარჩინებულნი, და უმეტესნი კეთილ-კმოვანნი და სხვათა და სხვათა შემძინებელნი. სარწმუნოებითა და ენით არიან ქართველთა თანა აღმსაარებელნი, არამედ უცქვიტესად მოუბარნი. გარნა უზისთ კათალიკოზი თვისი, და არა საჩინოთ უწყებული ცხორებიდამ, თუ როდეს განთავისუფლდა, არამედ მწერალი იტყვის ცხორებისაგანვე: ოდეს განდგა ლეონ და იწოდა აფხაზთა მეფედ, მაშინ მოუძლურებულ იყუნენ ბერძენნიცა, და ამ

---

[444]) იმერეთში, მეტადრე აფხაზეთსა და გურია-აჭარაში, მთელი ტყეებია, საცა გარეული ფუტკარი ბლომად აკეთებს თაფლს. ზოგიერთგან მცხოვრებნი ამაგრებენ ტყეში ხეზე სკას, რომელშიაც იბუდებს ფუტკარი და აკეთებს შვენიერს თაფლს. ზოგიერთგან კიდევ ფუტკარი ბუდობს კლდეთა ნაპრალებში. აქაური თაფლით, ამბობს ნ. დანილევსკი 1846 წელს (Кавказъ и его горскіе жители, გვ. 89), ფრიად სპეტაკია, შეყინული, გემრიელი, სურნელოვანი. მას პურივით სტეხავენ და ისე მიირთმევენ.

ლევანის მიერ ანუ შემდგომთა მისთაგან განთავისუფლდა. თხოვნითა ბერძენთაგანვე. ვინადგან სახელიცა მისი ესრეთვე წარმოაჩინებს. რამეთუ უწოდებენ კათალიკოზსა აფხაზეთისასა და არა ეგრისისა და იმერეთისასა. ხოლო სხვანი ზნენი იმერთა დავიდუმეთ, ვინადგან შემთხვევით არიან და არა მტკიცითა ანაგებითა.

ქვეყნის აღწერისათჳს. ხოლო აწ ვიწყებთ წერად მთათა, ველთა, ტყეთა და მდინარეთა. არამედ ამ ჟამად, ვინადგან უწოდებენ ცხენის-წყალს ზეითს იმერეთს, აღმოსავლეთის კერძსა ვიდრე ლიხის მთამდე, პირველად დავსწერთ ამას. და განიყოფის ესე იმერეთი ჯაკედ, ფერსათის კერძოდ, არგჳეთად, ოკრიბად, რაჭად და ლეჩხუმად. — **რიონის მდინარისათჳს.** არამედ აქა ვინადგან უდიდესი ყოველთა მდინარეთა არს რიონი და ამას მიერთვიან ყოველნი მდინარენი იმერეთისანი, პირველად ვიწყებთ ამას და მერმე მას შინა შემდინარეთა, ცხენისწყლის შესართავიდამ ვიდრე გლოლა-ღებამდე. ესე რიონი გამოსდის სვანთა, დიგორისა, ბასიანისა და რაჭის სიშორისს კავკასსა, და დის ესე რიონი: კავკასიდამ გლოლის წყლისამდე აღმოსავლეთს სამკრეთს შუა, გლოლის წყლიდამ უწერამდე — დასავლეთს სამკრეთს შუა, უწერიდამ ხომლის კლდემდე — აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მცირედ ჩდილოს კერძ მიწეულად, ხომლის კლდიდამ ყვირილის შესართავამდე — ჩდილოეთიდამ სამხრეთად, ყვირილის შესართავიდამ — აღმოსავლეთიდამ დასავლეთად მიწეულად ჩდილოს კერძოდ, და მიერთვის ფოთს ზღვასა; და გამოვლის რაჭას, ლეჩხუმს, ოკრიბას, ვაკესა და სალომინაო საჩინოს შუა, და განჰყოფს ოდიშსა და გურიას. და სიგრძე აქუს კავკასიიდამ ზღვამდე, ესრეთ გრეხის დინებითა. ხოლო სიგრძე იმერეთის არს: ლიხის მთის თხემიდამ უნაგირამდე ძველად და აწ ქართლის საზღვრიდამ, რომელი აღვსწერეთ, ცხენისწყლამდე, და განი ფერსათის მთის თხემიდამ რაჭა-ლეჩხუმისა და სვანეთს შორის კავკასის თხემამდე. ხოლო სახელი მოიგო მდინარემან რიონმან დაბის რიონის

გამო, ანუ ონისაგან — „რაი ონი“, ანუ ჩქარად დინებისაგან — „რიონ“ იგი ჩქარა დინებამან. არამედ ბერძენნი უწოდებენ ფასონს [445]). და მოდის სათავიდამ ქუთაის კახნიაურამდე ფრიად ჩქარად და მსწრაფლად. არცა არს თევზი მას შინა, არცა ფონი, ორ-სამთა ადგილთაგან კიდე. ხოლო კახნიაურს ქვეით დამდორდების და ბაჟს ქვეით ფრიად მდორე და განიერი ზღვადმდე და უფროს ცხენისწყალს ქვეით განვრცელებული. რამეთუ ვლენან ნავებითა ზღვიდამ ბაჟამდე, და იპყრობენ აქამდე ზუთხსაცა ჟამად [446]).

ცხენისწყლისათჳს. ხოლო ამას რიონს მოერთვის ჩდილო-

---

[445]) ზევით უკვე შევნიშნეთ (შენიშნ. 425), რომ ფაზიანი (კოლხიდა, ბასიანი) უნდა იყოს იგივე ქართული ფშიანი. ეს ქვეყანა ეხლაც სავსეა ფშა-წყაროებით, ჭალა-ტყეებით და უწინ, როგორც ბერძნის მწერლები ამბობენ, მთელი აქაური არე-მარე წყლით დაფარული იყო. ამ ფშების ნადინარს მდინარეს სამართლიანად დაერქმეოდა ფშისი და ბერძნულის გამოთქმით ფასისი=ფაზისი.—რაიც შეეხება სახელს რ ი ო ნ ი, იგი სვანურის გამოთქმით იმავე ფშას, მდინარეს ნიშნავს. შეადარე რუვი =შატბ. კრებ. რო=რუ; სვანურად თვით წყალს ჰქვიან ნიც=ლიც. შეადარე ლიც-ლიცი).

[446]) სტრაბონი და ბერძენთა სხვა მწერლები იხსენიებენ შემდეგ მდინარეებს: კოროს (მტკვარი), ალაზონიოს (ალაზანი), არაგონ (არაგვი), ფაზი (რიონი), ხანეს (ხანისწყალი), ხობი და სხ. სტრაბონი ამბობს: კოლხიდიდგან ივერიაში (ქართლში) უნდა შეიაროო ოთხის შესავალით. ერთი ამათგან მიდის კოლხიდის ციხის სარაპანიდგან (შორაპანიდგან) და მის ზემო ხეობებიდგან. ამ ხეობებიდგან ღელვით და სწრაფად მორბის ფაზისი. გრეხით მომდინარეობის გამო მასზე გადებულია 120 ხიდი. წვიმიანობის დროს ამ ადგილს ხრამავს მრავალი ნაკადული. ფაზისის სათავეები ივერიის ზემო მთებშია. ვაკეზედ იგი მდორდება და დიდდება და სანაოსნო ხდება. იგი ერთვის ზღვას და შესართავთან არის მისივე სახელის, კოლხთა სავაჭრო, ქალაქი (ფოთი) და აგრეთვე ტბა. ფაზისში არის ლოქო

დამ აბაშა-ტეხურის მდინარე, უნაგირას მთის ზეით [447]), ისუ-ლეთს. ამას ზეით რიონს, ტყვირს, მოერთვის ჩდილოეთიდა-მვე ცხენისწყალი. ეს გამოსდის ლეჩხუმისა და სვანეთის შო-რის კავკასსა და მოდის აღმოსავლეთს ჩდილოს შუადამ სამ-ეგრეთს დასავლეთს შუა, არამედ მდინარისა ამის სახელი არს პირველ მდინარე თაკვერისა, ხოლო ოდეს მოაშთო ცხენნი ანაკოფ-იდამ უკმოქცეულის ყრუს სპათა ჯჩ [448]), ამისათჳს უწო-დეს ცხენისწყალი [449]). არამედ წყალი ესე, ვინადგან არა უტე-ვებს ხიდსა ქვისასა და ხისასა, ამისთჳს შესწენენ ვაზისაგან და გააბმენ ამ-ერ კიდით იმიერამდე და გაუბმენ ვაზისაგანვე სა-საკელურებსა აქეთ და იქით, და ვლენან ქვეითნი მას ზედა, და ექანების მკიდარებისაგან ფრიად ხიდი იგი, განა უწყიან ოდიშსა შინა ხშირად ხიდი ესე და უწოდებენ ბონდსა [450]).

ლეჩხუმისათჳს. ხოლო ისულეთიდამ ხაზი ცხენისწყლის კიდისა ვიდრე გორდამდე არს დასავლის მკარე—ოდიშისა და აღმოსავლეთის კერძო—იმერეთისა, ხოლო გორდიდამ ვიდრე კავკასამდე არს კეობა ლეჩხუმისა, რომელსა უწოდებენ თა-კვერად *). არამედ მოიგო სახელი ესე გარემოსთა მთათაგან,

---

და სხ. თევზი.

[447]) ამ მთას სახელი დარქმევია უნაგირის მიმსგავსებით. შეადარე: პერანგა, კედელა, შავნაბადა და სხ.

[448]) ჯჩ=60000.

[449]) ბერძნების მწერლები ამ მდინარეს უწოდებენ ი პ პ ო ს ს, რომელიც თარგმანია იმავე ქართულის „ცხენის-წყალი" (იპპოს—ცხენი). აზრი სიტყვებისა „ცხენის-წყალი" და „ცხარ-წყალი" ერთი და იგივეა და, შეიძლება, თავდაპირველად ყოფილიყო ცხარ-წყალი და მერე ცხენის-წყალი (მეგრულად მდინარეს ჰქვიან „მალე-წყარი").

[450]) იხ. შენიშვნა 437.

*) პირველად თაკვერს უწოდებდნენ რაჭას ბაგრატიონთამდე, ვითარცა აჩენს ცხოვრება: რამეთუ გარდმოვლესო ოსთა გზა თაკვერისაო. ვი-

კვერსავით მდებარისა: „იხილე ესე მთა კვერი“, ანუ ციხისაგან ფრიად მაგრისა მუნვე თაკვერისა [451]). ხოლო ლეჩხუმი ეწოდა ხომლის კლდის გამო: „ესე არს ლეჩ ხუმი“ [452]). განა ლეჩხუმსა და რაჭას განჰყოფს: გველისთავის მკირე მთა აღმოსავლიდამ, ჩდილოთ—მთა კავკასი, ლეჩხუმსა და სვანეთს შორისი, დასავლით—მთა კავკასიივე და კავკასიდამ ჩამოსული სამკრეთად მთა გორდამდე, სამკრით—რიონი და მთა ხომლის კლდიდამ წარსული დასავლეთად გორდამდე [453]), ამასა და ოკრიბას შორისი. ხოლო ამ ცხენისწყალს მოერთვის, გორდს ზეით; ჩდილოდამ, კავკასის გამომდინარე კევი, და ამ კევზედ არს ციხე თაკვერი, მაღალს კლდესა ზედა, დიდშენი და ფრიად მაგარი. ამ კევს ზეით მოერთვის ცხენისწყალს სხვა კევი აღმოსავლიდამ. გამოსდის ამასა და ლეჩხუმს შორის მთას. ამ კევზედ არს ციხე ორბეთისა, კლდესა ზედა შენი, ფრიად მაგარი. ამ კევს ზეით, ლეჩხუმის საშუალს, ცხენისწყლის კიდეზედ არს ციხე

ნადგან არს გზა ოსეთისა რაჭა და არა ლეჩხუმი; კვალად ვითარცა მოწმობს სვინაქსარი მაქსიმე აღმსაარებელისა სახელდობ ციხეთა [მას შინათა. ხოლო შემდგომად ამას უწოდეს რაჭა და მას—თაკვერი ციხისთვის მუნ მყოფისა. ვახუშტი.

[451]) უნდა იყოს არა მთა-კვერი, არამედ თავ-კვერი, ე. ი. კვერივით თავიანი (ვ ისპობა: თაყვანისცემა=თავ-ყვანისცემა. იხ. შატბერდ. კრებ.).

[452]) ლეჩხუმი ფრიად კალმახიანი ადგილია და მისი სახელი ლეჩხუმი ანუ ლეჩხომი სვანურის გამოთქმით ნიშნავს სათევზოს (ჩხომი=ჰეგრ. თევზი, ლე-ჩხომი=სათევზო. ასრეკე წარმომდგარა აქაური სოფლების სახელები: ლეგერსამე=საგერასიმე, ლეგოგიე=საგოგიე, ლედგებიე=სადგებუაძეო, ლეხაინდრავო=სახაინდრაო, ლეხიდრის-თავი=სახიდარისთავი, ლეწურწუმე=საწურწუმო და სხ.).

[453]) პლინიუსი (29—79 ქრ. შ.) ამბობს: „გორდიას მთებში (montes Gordyaei) ცხოვრობენ ვალნი და სვანნი“ (ჰან. გვ, 107).—გორდში არის დადიანების საზაფხულო სასახლე.

კლდესა ზედა შენი, ლეხვირი, თავი თაკვერისა: რამეთუ რო-
მელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა შინა მისსა არიან სულიად.
ამის სამკრით და ცხენისწყლის აღმოსავლით არს ცაგერს ეკ-
ლესია დიდშენი, გუნბათიანი. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ლეჩ-
ხუმისა და სვანეთისა [454]). ამას ზეით არს მონასტერი წოდებული
მაქსიმე აღმსაარებელისა და მუნ არს მაქსიმე აღმსაარებელი და-
ფლული. არს შვენიერშენი, კეთილს ადგილს და აწ ხუცის
ამარად [455]). მას ზეით, ცხენისწყალზედ, არს კავკასის ძირს

---

[454]) ცაგერის საყდარი არის მურის ციხის ახლოს და გორდს შორავს 30-ის ვერსით. მისი სახელი ცაგერი წარმოსდგება სვანურის სიტყვიდამ ცაგ—ეკალი. ადგილმდებარეობა მონასტრისა უშვენიერესია. აგებულია თლილის ქვით და შემოვლებულია ზღუდით. ტაძრის შიგნითი მოხატულია. სჩანს სახეები თამარ მეფისა და ლაშა გიორგისა. ვერცხლის ჯვარზე აწერია ქორონიკონი რეგ (973) და მეფეთ მეფე გიორგი. კანკელი გაუკეთებინებიათ კაცია დადიანს და მისს მეუღლეს ანას 1786 წელს ცაგერელ მიტროპოლიტის სოფრონის დროს. აქვეა საფლავი გრიგოლ დადიანისა, უკანასკნელ მთავრის დავითის პაპისა, ზედწარწერით „23 ოკტ. 1804 წ.“ ეკვედერშია საფლავი თეიმურაზ II-ის ასულის ელისაბედისა, რომელიც მისთხოვდა კაცია დადიანს 1765 წელს და მოკვდა 1770 წელს. საფლავის გარდასაფარებელზე გამოქსოვილია თეით ელისაბედის სურათი და გამოყვანილია გრძელი წარწერა (Бакрадзе. Кавказъ въ др. пам. христіанства).

[455]) წმ. მაქსიმე აღმსარებელი მონოთელიტების (სევეროზის) მწვალებლობის უარყოფისათვის წარმოგზავნეს დასამწყვდევად სამეგრელოს ორის მოწაფით. აქ მაქსიმე დაამწყვდიეს ჰიმარის ანუ მურის ციხეში, ხოლო მისი მოწაფე ანასტასი შეაგდეს წებელდის ციხეს კოტორს (ყოდორს), მერე ბუკელეს და შემდეგ სვანეთს. იგი მოკვდა ნურს (24 ივლისს). მეორე მისი მოწაფე შეამწყვდიეს ციხეს თაკვერს, ხოლო იმპერატორის კონსტანტინეს სიკვდილის შემდეგ მას მიეცა თავისუფლება და წავიდა სამშობლოს. მაქსიმემ მრავალი ტანჯვა გამოიარა. მან დასწერა სარწმუნოების

მურის ციხე, არვისგან შემუსვრილ-აღებული. მუნიდამ გარდავალს სვანეთს გზა. ხოლო ამის აღმოსავლით, მთას იქით, არს ჯეობა სხვა ლეჩხუმისა, რომლისა წყალი გამოსდის მასვე კავკასის მთასა, და მოდის ეგრეთვე, ვითარცა ცხენისწყალი, და მიერთვის ხომლის კლდესთან რიონს ჩდილოდამ. ამ კევს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ კევნი, და არს შენობიან-დაბნებიანი. ამ კევის აღმოსავლით არს, მთას იქით, ჭევისი, მინდორსა კლდე-ამოსულსა ზედა ციხე დიდშენი, მაგარი. ამ ჭყვისის სამკრით, რიონზედ, ორპანს [456]), ძევს ხიდი, და ამ ხიდს ზეით და ჭყვისის აღმოსავლით კავკასის მთიდამ, ტოლის დასავლეთად, ჩამოვალს მთა მცირე სამკრეთისაკენ რიონამდე და ესე არს გველისთავად წოდებული. ამ მთის აღმოსავლეთის კერძო არს რაჭა და დასავლის კერძო—ლეჩხუმი. არამედ თუმცა არს ლეჩხუმი მთის ადგილად თქმული, განა არს ვენახიანი, ხილიანი, მოვალს ყოველნი მარცვალნი, თუნიერ ბრინჯ ბანბისა, გარნა სივიწროვისა და კლდიანობისათუს არა ეგოდენი სიმრავლეთ. მოსახლენი არიან აზნაურნი და გლეხნი, რამეთუ არა არს მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი. და არს მთითა და კლდითა ფრიად მაგარი, და კაცნი მუნებურნი მბრძოლნი და შემმართებელნი, ჰაეროვანნი, ტანოვანნი, მკნენი და მორჩილნი უფალთა თუსთა, არამედ ბრიყვნი, უზნეონი და უწყალონი. პირუტყვნი, თუნიერ აქლემისა და ვირისა, არს ყოველნი და არა ეგოდენ მრავალ. განა ესე ლეჩხუმი, შემდგომად განყოფისა სამეფოთა, იყო ტალანი [457]) იმერთა მეფისა და აწ უპყრავსთ ჩაქოვანს, რომელიცა არს დადიანი.

აღსარება და მოკვდა 13 აგვ. 662 წელს 90 წლისა (მუზეუმ. ხელნაწერები № 97, № 193, № 222).

[456]) დღეს ჰქვიან ალპანი.

[457]) ტალა—დარაჯი, მცველი. სულხან საბა: „ტალა—მოგზაურთ

საჯავახოსათჳს. ხოლო კვალად ცხენისწყლის შესართავს ქვეით რიონს მოერთვის სამკრიდამ საჯავახოსწყალი. ეს გამოსდის ფერსათს და არს შენობიანი კეობა და მოსავლიანი ყოვლითა მარცვლითა, ხილ-ვენახითა, პირუტყვითა, ნადირითა და ფრინვლითა. ხოლო მზღვრის საჯავახოს: აღმოსავლით მთა მცირე ფერსათიდამ ჩამოსული, ჩდილოთ კერძოთ, საჯავახოსა და საჩინოს შორისი, სამკრით—ფერსათის მთა, დასავლით—ფერსათიდამვე ჩამოსული მთა, გურიასა და საჯავახოს შორისი, ჩდილოთ—რიონის მდინარე. ხოლო კვალად ცხენისწყლის შესართავს ზეით სამკრიდამ მოერთვის რიონს წყალდაფანჩულას კევი. სდის საჯავახოს მთას. **გუბის წყალსათჳს.** ამას ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ გუბისწყალი. გამოსდის ოკრიბასა და ვაკეს შორისს მცირე მთას და დის ფრიად ფლატოიანსა და ბარდნალიანს ადგილსა ზედა. ამ წყალზედ არს ფოკე. ამასზედვე, ამასა და ხონს იქით, ქუტირ-ფარცხა-ნაყანევამდინ, არს გოგორაული. და არს ხონს ეკლესია დიდი, გუნბათიანი, შვენიერ-ნაგები. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ვაკისა. ეს იყო ერთობასა შინა ქართლის მთავარეფისკოპოზისა. შემდგომად განყოფისა დასვეს აქა ეპისკოპოსი [458]). ამ გუბისწყალს ეწოდა სახელი ესე გუბედ მიმდინარეობისათჳს. **საჩინოსათჳს.** ამ გუბისწყალს ზეით მოერთვის რიონს, სამკრიდამ, საჩინოს-კევი. გამოსდის ფერსათს. ამ კევს ეყრების, სებეკას ქვეით, სხვა კევი. გამოსდის ფერსათსავე. ხოლო

დარაჯი ღამით".

[458]) ხონის ტაძარი უძველესი დროის შენობაა. მისი წარწერები იხსენიებენ გიორგი მეფეს (1014—1027). მის სიძველეთა შორის შესანიშნავია ხატი წმ. გიორგისა, ხატი ანჩისა, ჯვარი ბაგრატისა. ხატიც წმ. გიორგისა ფირუზებით ძვირფასად შემკული ლევან დადიანის მიერ 1636 წ. უკანასკნელი ხონის ეპისკოპოსი ანტონი გარდაიცვალა 1822 წ. (დ. ბაქრაძე).

სებეკას არს ციხე შენი კარგს ადგილს. **სალომინაოსათჳს.** ამ საჩინოს შესართავს ზეით, საკურდღლიას პირისპირ და როკითს ქვეით, მოერთვის რიონს, სამკრიდამ, სალომინაოს-კევი, გამომდინარე ფერსათისა. ამ კევსა და როკითს ზეით მოერთვის რიონს სამკრიდამ ამაღლების კევი. გამოსდის ფერსათს. ამასზედ არს მონასტერი ამადლებსს, დიდი, გუნბათიან არა [459]), შვენიერს ადგილს, და აწ ხუცის ამარად. ამ ამაღლების-კევს ზეით მოერთვის რიონს ნოღის-ხევი, მომდინარე ფერსათის მთიდამ სამკრით. ნოღას ზეით არს ვარციხე. ეს ყოფილ არს ციხე დიდი და დიდ-შენობა. და გამომდინარობს წყარო შიგ კეთილი **ხანის-წყალისათჳს.** ვარციხეს ზეით ერთვის რიონს ხანის-წყალი, გამოსდის ფერსათს, მოდის ჩდილოთ და მიერთვის რიონს სამკრიდამვე. ამაზედ ალაშენეს ოსმალთა ციხე თხმელის ხისაგან, ქორონიკონსა ჩდგ ქართულსა ტჳჰ, ამისთვის უწოდეს იმერთა თხმელისციხე და პირველ ეწოდა ადგილსა ამას ბადდადი. არამედ შემდგომად ალაშენეს ქვიტკირისა, და დგანან აწ ოსმალნი იენგიჩრით, და არს სავაჭრო ყოველნი, განა უფროს ტყვენი. ამ წყალზედ, ციხის სამკრით ფერსათის კალთას არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი, და აწ უქმი. ამ წყალზედვე მთაში არს კაკას-ხიდი, ფრიად მაღალს კლდესა ზედა, და გზა სამცხისა. არამედ მოიგო სახელი წყალმან ამან დაბისაგან მასზედავე მყოფისა, რომელსა უწოდებენ ხანსა [460]). ხანის-წყლის აღმოსავლით და ყვირილის მდინარის სამკრით, ფერსათის კალთას არს დიმი, სადაცა ჰყო პირველმან მეფემან ფარნაოზ ციხე ჳტკიცე, და აწ არს დაბა. **ყვირილასათჳს.** კვალად ხანის-წყლის შესართავს ზეით რი-

---

[459]) დედანში სიტყვების „გუმბათიან არა''-ს შემდეგ დასმულია წერტილი.

[460]) სტრაბონი იხსენებს (XI. 3, 1) ნავთ-მავალ მდინარეს ხ ა ნ ი ს, მაგრამ მას შეცდომით სთვლის მტკვრის ტოტად.

ონს მოერთვის ყვირილა, აღმოსავლეთიდამ. მდინარემან ამან მოიგო სახელი ესე თჳსის ჩქარისა და კლდესა ზედა დინებითა, ვინადგან კმოვანებს შორ სასმენლად [461]). ხოლო გამოსდის ყვირილა ერწოს ტბას და მოდის ჩდილოდამ სამკრეთად ჭალამდე, ჭალიდამ ნავარძეთამდე—აღმოსავლეთიდამ დასავლად, გრეხით, ნავარძეთიდამ შორაპნამდე—ჩდილოდამ სამკრით, შორაპნიდამ რიონის შესართავამდე—აღმოსავლიდამ დასავლეთად და მცირედ ჩდილოთ კერძოდ მეწევით, არამედ საჩხერიდამ შორაპნამდე—კლდოვანსა და მაღალს კრამოვანსა შინა და შორაპანს ქვეით ფლატოვანს ჭალოვანსა შინა. ამ ყვირილასა შინა იპყრობის თევზნი, რომელნი დავსწერეთ, ყოველნი, თჳნიერ ზუთხისა. ხოლო საჩხერეს ზეით არს კალმახთა სიმრავლე და სხვა არა რაი, და არს სასმისად გემოიანი და შემრგო და თჳნიერ—უხმარი. წყალ-წითელასათჳს და ოკრიბის წყალთა. ხოლო ყვირილას, რიონის შესართავს ზეით, მოერთვის წყალ-წითელა, ჩდილოდამ, რომელმან მოიგო სახელი წითლის მიწისაგან: რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების. ეს გამოსდის გაჭრილის მთას და მოდის ჩდილოდამ სამკრით. სად მოერთვის ყვირილას, მის ჩდილოთ ერთვის ამ წყალ-წითელას, კვაცხუთის ზეით მთაში, ცუცხვათის-კევი, აღმოსავლიდამ დასავლეთად მომდინარე. გამოსდის გოგნის მთასა. ამ კევზედ, გოდოკანს ზეით, არს ცუცხვათს ციხე, რომელი შეთხრით აღიღეს ოსმალთა ქორონიკონსა ჩდკა ქართულსა ფთ და უპყრავთ აწცა მათ. ამას ზეით, დასავლეთიდამ ეყრების წყალ-წითელას მოწამეთას კევი, გამოსდის გახნიაურს და მის შორის მთასა. აქა არს მონასტერი უგუნბათო, შვენიერი, კე-

[461]) ვახუშტის განმარტება მართალია. სახელების დაბოლოება ა გვიჩვენებს თვისებას, მსგავსებას, მაგალ., ყვირილი—ყვირილ-ა, წყალწითელ-ა, ხერიმელ-ა, ჩხარულ-ა, ტეხურ-ა, უნაგირ-ა, პერანგ-ა, კედელ-ა, ტაბახმელ-ა (ტბახმელა) და სხ.

თილს ადგილს. სხენან აქა ტაგრუცთა შინა მოწამენი ქრისტესნი დავით და კოსტანტინე, მდებარენი აწცა კორცითავე, რომელნი აწამა მურვან ყრუმ. უზის წინამძღვარი [462]).

გელათისათჳს. ამ მთის ჩდილოს კერძოდ და წყალ-წითელას აღმოსავლით, გორის კალთას, არს ეკლესია ყოვლად-წმიდის ღუთის-მშობლისა, დიდ-შვენიერი, დიდ-ნაგები და ქმნული შიგნით სოფიის კენჭითა, გუნბათიანი, კეთილ-შვენიერს ადგილსა. აღაშენა აღმაშენებელმან დავით მეფემან და უწოდა სასუფეველს გენაათი და აწ უწოდებენ გელათს. აქა არს ყოვლად-წმიდის ხატი ხახულის ღუთის-მშობელი, ლუკა მახარებლის დახატული, ყოვლად-წმიდის ძითვე და შემკული ძვირფასითა ქვებითა, აღმაშენებელისა და თამარ მეფისათი. აქავ არს ვარძიის ჯვარი, შემკული დიდ ფრიად, და არიან ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლითა და ქვითა შემკულნი ძველითვე მრავალნი, და ეკლესია შემკული ყოვლითა საეკლესიო წესითა. ჰკიდავს ზღუდის კარი ბჭესა მისსა, რკინისა, აღმაშენებელის მოტანილი დარუბანდიდამ. და ეკლესიის ბჭეს ჰკიდავს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გამოთლილი, უცხოსა კელოვნებით ქანდაკებული. ამას შინა დაფლულ არიან აღმა-

---

[462]) მოწამეთის მონასტერი ქუთაისს შორავს 6-ის ვერსით. წყალ-წითელა მას ეხვევა სამის მხრით. საყდარი პატარაა, აგებულია ბაგრატ IV-ისაგან მე-XI საუკუნეში (ზოჯნი ჰფიქრობენ მოწამეთის ამშენებელი არის იმერთა მეფე ბაგრატიო (1366—1395) და მის დროსვე აღმოაჩინესო უხრწნელი გვამები წმ. დავით და კოსტანტინე მთავრებისა და ჩაასვენესო ახალს ლუსკუმაში, რომელშიაც დღესაც უხრწნელად განისვენებენ). ეს დავით და კოსტანტინე, არგვეთის მთავრები, შეიპყრო მურვან-ყრუმ მერვე საუკუნის დამდეგს, აწამა და რიონში ჩაყარა, მაგრამ წყალმა მოიტივტივა იგინი და ნაპირს მოაცურა. ყრუ რომ წავიდა, კეთილ-მორწმუნე ქრისტიანებმა მოასვენეს მოწამენი და დამარხეს. მოწამეთა ფრიად მიჩნეული სალოცავია.

შენებელი, გიორგი, თამარ, ლაშა, რუსუდან, დავით, დავით და სხვანიცა, და აწინდელნი მეფენი შემდგომად განყოფისა იფლვიან იმერთანი. პირველად იყო მონასტერი, შემდგომად ჰყო ბაგრატ საეპისკოპოზოდ. ამას მისცა სამწყსოდ არგვეთის ნახევარი და ოკრიბა, ქუთათლის სამწყსონი [463]). კვალად არს გელათის პირისპირ, აღმოსავლეთად, მონასტერი გუნბათიანი, დიდ-შენი, სოხასტერად კმობილი. უზის წინამძღვარი. გელათის სამკრით, აქავ მთაში არს ქვაბნი გამოკუპთილნი კლდესა შინა მრავალნი, განშორებულთათჳს, და აწ ცარიელ არს. გელათს ზეით, წყალწითელას მოერთვის, ეურსებს, საწირისწყალი. ეს გამოსდის ნაქერალას მთას და მოდის ჩდილოთ

---

[463]) გელათში ტაძარი იყო დავით აღმაშენებლამდე, ხოლო ამ მეფემ ააგო დიდი საყდარი ყ-დ წმიდის ღვთის-მშობლისა. მე-XVI საუკუნეში აქ გაამწესეს ღვდელმთავარი და პირველ ეპისკოპოსად იყო მელქისედეკ საყვარელიძე. დიდი და დიდებულია გელათის ტაძარი და მთლათ მოხატულია. სხვათა შორის ჰხატიან დავით აღმაშენებელი მეფურად ჩაცმული, გვირგვინიანი. მის მარჯვნივ—კათალიკოზი ევდემონ, შემდეგ ბაგრატ მეუღლით ელენეთი, მეფე გიორგი, მეფის ძე ბაგრატ, მეფე რუსუდან. აქაური, ძვირფასად და დიდის ხელოვნებით შემკული და მოჭედილი, ხახულის ხატი მოტანილია აჭარა-კლარჯეთის ხახულიდამ (იხ. შენიშნ. 427). აქ არის დავით აღმაშენებლის დიდი ბეჭედი, რომელსაც აწერია: „წმ. გიორგი, მოსავი შენი, გიორგი, ძალითა შენითა ეძლევ მტერთა ჩემთა“. იმავე მეფის თავის მარჯვნივ და მარცხნივ: „დიდი მეფეთა შორის წარჩინებული აღმაშენებელი საუკუნოდმცა არს ხსენებაი მისი ამინ დავით“. აქაურ „დარუბანდის“ რკინის კარების წარწერა იხსენებს ვინმე ზავირ ბენი-შედდად განჯელს, რომლის ბრძანებით ეს კარები გაუკეთებიათ 1063—1064 წ. გელათში ჰმარხიან დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე და სხ. ტაძარი მდიდარია ხელნაწერებით (Н. Кондаковъ. Опись памятн. древности.—Муравьевъ. Грузія и Арменія, III, 156—213.—Бакрадзе Кавказъ въ др. пам. Хр.).

ალმოსავლეთს შუა. ამ წყალზედ არს ციხე მიტლოკინისა, ვით სახელი ეგრეთ მტკიცე. ამას ზეით, ამავ წყალზედ, სწირეს არს ციხე. ამის გარემოს ითხრების რკინა და არს ლითონი მრავლად. ყურსებს ზეით ეყრების წყალწითელას ახალდაბის კევი. გამოსდის გაჟრილის მთას და მოდის ეგრეთვე. ამ ახალდაბის წყალს ეყრების ჯონიის-კევი, ჩდილოდამ. კვალად ყურსებსვე მოერთვის წყალ-წითელას ოჯოლას-კევი ჩდილოთ დასავლეთს შუადამ. ამის სათავის ზეით არს ჯვარისა ციხე, არა მტკიცე.

ყვირილას მოერთვოდი საჩხეიმო-არგვეთის წყალი. ხოლო კვალად ყვირილას მოერთვის წყალ-წითელას შესართავს ზეით, ალმოსავლეთისკენ, ეკლარის-წყალი. ეს გამოსდის, ჭალის თავს ზეით, ცუცხვათსა და სვიმონეთს შუას მთას, და დის ჩდილოდამ სამკრით. ამ ეკლარის-წყალს ზეით მოერთვის ყვირილას აჯამეთის-წყალი. ზდის ფერსათს, მოერთვის სამკრიდამ ყვირილას. აქ აჯამეთს არს სანადირო მეფეთა, ალვსილი დიდ-მცირითა ნადირითა, საქებელი ფრიად. ზამთარ თბილი, ზაფხულის ცხელი, გაუძლები. ამ აჯამეთის-წყალს ზეით ერთვის ძევრის-წყალი, დაბის ძევრისაგან სახელ-დებული. გამოსდის საღორისა და ველევის მთას, დის სამკრით, და მოერთვის ყვირილას ჩდილოდამ. ძევრს არს ხიდი ქვიტკირისა. სვეტთა ზედა წერილ არს: „არა მამამან, ძე მანდა. არა სულმან წმინდამან, ძე მანდა“. იტყვიან განძსა მდებარესა დანიშნავს ამით [464]). და ამ ძევრის-წყალზედ, ხიდს ზეით, არიან ქვაბნი დიდ-დიდნი, გამოკვეთილნი მრავალნი კლდესა შინა, დასავლით, და არს ქვაბი ერთი დიდ ფრიად, რამეთუ კაცთა

---

[464]) ფრაზა „არა მამამან, ძე მანდა. არა სულმან წმინდამან, ძე მანდა“, ჩვენის აზრით ნიშნავს: „არა, ღმერთმანი (მამამან) ძევს მანდა, არა, წმ. სულის მადლმა ძევს მანდა“. ძე(=ძევს) მიუმსგავსებიათ სოფლის სახელის „ძევრისთვის“.

ქმნულად გასაკვირვებლად. ამ ქვაბსა შინა გამოსდის მდინარე ორი ნაკადელი წყაროდ, და არს მას შინა კალმახნი მრავალ. ამ ძევრულას, ამ ქვაბს ზეით, ერთვის კევი ქვევრულა. სდის ოკრიბა-მუხურას შუას მთას და მოდის სამკრეთად. ამ კევზედ არს ბერ ციხე კლდესა შინა შენი, მაგარი. ამ კევს ზეით, ძევრულასვე ეყრების ტყიბულის-კევი. გამოსდის საღორის მთას და მოდის დასავლეთად. ხოლო კვალად ყვირილას ერთვის, ძევრის-წყლის შესართავს ზეით, ჩდილოდამ, ჩოლაბური. ეს გამოსდის ნაჯიხურევის [465]) მთას და დის ჭალა-ტყემდე ჩდილოდამ სამკრეთით, და ჭალა-ტყიდამ—აღმოსავლეთიდამ დასავლეთად. ამას, ჭალა-ტყეს ზეით, მოერთვის ზუსა, დასავლიდამ, და ყვირილიდამ აქამდე ეწოდების ჩოლაბური, კიდეთა ჩალოვანობის გამო, და მას ზეით—ბუჯა. ამ ჩოლაბურს მოერთვის ჩდილოდამ ჩხარულა. სდის თხილთა-წყაროს მთას, მოდის ჩდილოდამ სამკრით. ამაზედ არს ბოფანთო. კვალად ჩხარს მოერთვის მეორე ჩხარულა. გამოსდის ჩხარის ჩდილოთ კერძოს მთას და მოდის სამკრით. ამ კევზედ არს მთის ძირს ჩხარი. ეს ყოფილა ქალაქი, არამედ აოკრდა ლევან დადიანისაგან. აწ არს დაბა. არს აქა ეკლესია უგუნბათო, რომელსა შინა ასვენია ჯვარი დიდ ფრიად. მდებარებს მას შინა ბეჭი მთავარ-მოწამის წმიდის გიორგისა, მარადის სასწაულთ-მოქმედი. ეს ჯვარი პირველ იყო ყორანთას, შემდგომად სამცხეს, მერმე ატოცს და აწ აქა. ჩხარსვე არს წყარო ორ-ღარად წოდებული და ქებული [466]). ჩხარს ზეით ჩხარულაზედ არს ციხე

---

[465]) მეგრულის გამოთქმით ნ ა ჯ ი ხ უ რ ე ვ ი ნიშნავს ნაციხვარს (ჯიხა=ციხე, ჯიხაიში=ციხისი).

[466]) პლ. იოსელიანი სწერს: „ჩხარი ააშენა აფხაზეთის პირველმა მეფე ლეონმა 797 წელს. გაოხრდა 1623 წელს, როდესაც ლევან დადიანი ებრძოდა იმერეთს. აქაურს ეკლესიას ჰყვანდა თავისი ეპისკოპოსი. საყდრის შენობა მუდამ იქცევდა მგზავრთა ყურადღებას, როგორც ნაშემოქმედარი

მაჭუტაური, მთაში. კვალად ჩოლაბურს მოერთვის, ჩხარულას შესართავს ზეით, ღვანკითის-კევი. ამ ღვანკითის-კევს ზეით ერთვის ჩოლაბურსვე ზორეთის-კევი. და კევნი ესენი დიან მუნვე და მოდიან სამკრეთად. ამას ზეით არს ᲬᲐᲚᲐ ᲢᲣᲔ. არიან მოსახლენი ვაჭარნი სომეხნი და ურიანი და ვაჭრობენ. ამ ჭალა-ტყეს ზეით მოერთვის ბუჯას ზუსა. გამოსდის გარჯილას მთას, მოდის სამკრით ჩდილოდამ. ამ ბუჯაზედ არს, ქვა-ციხეს მდინარის კიდურზედ, წყარო გამომდინარე, რომელსა გაზაფხულს მოუდგმენ გოდორსა და აღივსების წვრილისა თევზითა წყაროდამ გამომავლითა, ვითარ ვერ მოასწრებენ აღმოღებას. სამ თვე ოდენ ესრეთ, მერმე არღარა, და უწოდებენ ამას ღრუდოს. ამას ზეით არს ხრეითი, და ხრეითიდამ გარდავალს გზა რაჭას, ნაჯიხურევზედ. და ხრეითს ქვეით ბიღას ითხრების კაჟი ჩახმახისა, ფრიად კარგი. ხოლო ზუსას ერთვის საზანოს-წყალი, გამოსდის ხრეითსა და მუხურას შუათს მთას, მოდის ჩდილოდამ სამკრეთად. ამ საზანოს წყალზედ არს ᲡᲐᲖᲐᲜᲝᲡ ᲪᲘᲮᲔ [467]), კლდესა ზედა შენი, კარგი. არამედ ზუსა გამოსდის გარჯილას მთასა და დის ყამსას-ციხემდე ჩდილოდამ სამკრით და ყამსას-ციხიდამ აღმოსავლეთ-სამკრეთს შუა. და მიერთვის ბუჯას. ამ ციხეს ზეით, ზუსას მდინარის დასავლეთით არს ᲩᲘᲮᲝᲠᲘ [468]), ქალაქი მცირე. მოსახლენი არიან იმერნი,

---

ქართულ ხუროთმოძღვრებისა. ჩხარი დღესაც პატარა სავაჭრო ქალაქია".

[467]) სვანურად ზან—სამეგრელო, მზან—მეგრელი. მაშასადამე, საზანო=სამეგრელო.

[468]) ჩიხორი ააშენა აფხაზთა მეფე თეოდოსიმ 819 წელს (პლ. იოსელიანი) 1462 წლამდის იმერეთი ემორჩილებოდა საქართველოს მეფეს. ამ წელს შეითქვნენ იმერთა ერისთავი ᲑᲐᲒᲠᲐᲢ, დადიანი, გურიელი, ათაბაგი, სვანთა ერისთავი გელოვანი, აფხაზეთისა შერვაშიძე და განუდგნენ მეფე გიორგის. ეს გიორგი შეება მათ ᲩᲘᲮᲝᲠᲡ, ძლიერი ბრძოლა გადიხადა, მაგრამ დამარცხდა, ქართლს წავიდა. მაშინ ერისთავი ბაგრატ ქუ-

სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. ამის სამკრით არს, მთის კალთას, სკანდას სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდ-შენი. ამას ზეით ზუსაზედ არს დაბა მუხური [469]) და მას ზეით, მთაში, არს ციხე მოდამნახე [470]), მაგარი კლდითა და შეუალი, შენი გარჯილის მთიდამ ჩამოსულს კლდესა ზედა. მუხურიდამ გარდავალს გზა, გარჯილის მთაზედ, რაჭას. ხოლო კვალად ყვირილასავე მოერთვის სვირის და ლომსიათხევის კევი, ჩოლაბურის შესართავს ზეით. გამოსდის ფერსათს, დის სამკრიდამ ჩდილოთ. ამ

თაისს წ-ვიდა და ეკურთხა მეფედ. ამიერითგან იმერეთი შეიქმნა ერთ სამეფოდ და ოთხ სამთავროდ—ოდიშისა, სვანეთისა, აფხაზეთისა და გურიისა. ფარნაოზ მეფის დროს კი მთელი იმერეთი ორ საერისთოს შეადგენდა—ეგრისისა ანუ ბედიისა (ცხენის-წყლიდგან ინგურამდე, სვანეთიდგან ზღვამდე) და შორაპნისა (ცხენის წყალ-რიონს აქეთ და ლიხს იქით ზღვამდე). 786 წელს აფხაზ-იმერთა მეფემ ლევანმა გაჰყო რვა საერისთაოდ და დასვა ერისთავები და მისცა მათ: ა. აფხაზეთი და ჯიქეთი ზღვამდე და ხაზართა მდინარემდე; ბ. ცხომი, ენგურს იქით ანაკოფია ალანითურთ; გ. ბედია, ინგურიდგან ცხენისწყლამდე; დ. გურია; ე. რაჭა-ლეჩხუმი; ვ. სვანეთი; ზ. შორაპანი, რიონისა და ხანის წყლის აღმოსავლეთი ლიხის მთამდე, მთელი არგვეთი; Თ. ქუთაისი, ვაკე, ოკრიბა, ხანის წყლის დასავლეთი გურიამდე და რიონის დასავლეთი ცხენის წყლამდე.—1636 წელს იმერთა მეფე გიორგი შეება ლევან დადიანს, მაგრამ ამან დაამარცხა, შეიპყრა და ოდიშს დაამწყვდია. ამის განსათავისუფლებლად დადიანმა მოითხოვა ჩიხორის ვაჭარნი და ჩხარის სომეხნი და ურიანი. თხოვნა აუსრულეს, მეფე გიორგი დაბრუნდა და აღესრულა (1639 წელს).

[469]) პროკოპიოს კესარიელი († 565 წ.) იხსენიებს (გვ. 291) ძველს ქალაქებს და მათ შორის სკანდას და სარაპანს ივერიის (ქართლის) საზღვარზე და აქვე მოზრდილს ქალაქებს როდოპოლ (ვარდციხე=ვარციხე), მოხორისის (მუხურისი).

[470]) მოდამნახე=მოდი და მნახე.

სვირის კევს ზეით მოერთვის სამკრიდამვე ყვირილას ტაბაკინის-კევი. გამოსდის ფერსათსავე, მოდის სამკრიდამ ჩდილოთ. ტაბაკინს ამ კევს ერთვის გენებერულის-კევი. სდის ფერსათს. და ტაბაკინს არს მონასტერი, კეთილს შვენიერს ადგილს და აწ უქმად.

შორაპნისათჳს. ამ ტაბაკინის კევს ზეით ყვირილას მოერთვის, შორაპანს, აღმოსავლეთიდამ ძირულა, რომელმან მოიგო სახელი მთათა ძირთა შინა დინებითა. ყვირილასა და ძირულას შორის შესართავს შინა არს **შორაპანი**, რომელი აღაშენა ს მეფემან ფარნაოზ, ქალაქი და ციხე, და ყო საერისთოდ, და არს დიდ-შენობა ფრიადი. ამას ჩდილოთ დასავლით უდის ყვირილა, აღმოსავლით სამკრით ძირულა. აღმოსავალ-ჩდილოთ შუა აქუს კლდე გორა მცირე და გვირაბი დიდი, ჩასული წყლამდე. ეს შემუსვრილი აღაშენა გიორგი აბაშიძემ. არამედ შეამუსვრინეს მასვე ოსმალთა. მერმე მისცა ზურაბ აბაშიძემ ოსმალთა და აწ უპყრავთ მათ. დგანან იენგიჩარნი [471]).

---

[471]) შორმპანი ძველიდგანვე განთქმული ადგილი იყო და ითვლებოდა სიმაგრედ ხეობისა, რომლიდგანაც გზა შემოდიოდა ამერეთში. სტრაბონი, რომელიც ცხოვრობდა 1-ლ საუკუნეს ქრ. შ., მას უწოდებს სარაპანა-დ (Sarapanis) და ამბობს, ფაზისიდგან (რიონიდგან) კურამდე (მტკვრამდე) ოთხი დღის სავალია და ამ სავალზე 120 ხიდიაო გამართული. პლინიუსი (29—79 ქრ. შ.) ამბობს, რომ სარაპანის გზა სავაჭრო გზა იყოო. ფაზისითა და მტკვრით საქონელი მოჰქონდათ ნავებითო, ხოლო სურამიდგან (სურიუმ) სარაპნამდე აქლემითა და ცხენებით ეზიდებოდენო. სარაპანი ისეთი ვრცელი იყოო, შენიშნავს სტრაბონი, რომ იტევდა დიდის ქალაქის ოდენა მცხოვრებთო. ეს სარაპანი ყოველწლივ რომაელებს ახარჯვინებდა 100,000,000 სესტერციასაო. ამიტომ პლინიუსი ჩივის, ამ სარაპანმა ლამის გამოულიოს რომს ფულიო.—თვით სახელი ამ ქალაქისა ჰმოწმობს, რომ, მართლაც, იგი ყოფილა სავაჭრო, სატვირთავი ადგილი: შ ო რ ა პ ა ნ ი=ზორად საპნი, სატვირთავი ადგილი, შარაპანი (Sarapanis)=გზა საპანისა (საპანე, საპნა—დასაპანება).

მირულასათჳს. ხოლო ძირულას მდინარე გამოსდის პერანგის მთასა, და ხეფინის-კევის ვერტყვილამდე აღვსწერეთ ქართლზედ. და ხეფინის კევის ვერტყვილიდამ ხარაგეულამდე დის სამკრეთს-დასავლეთ შუა და ხარაგეულიდამ შორაპანამდე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. არა არს ძირულაში თევზი, თჳნიერ კალმახისა, და კალმახი მრავლად. სასმისად არს შემრგო, გემოიანი. ამ ძირულას, შორაპანს ზეით, მოერთვის ოუთს ვარძიის-წყალი სამკრიდამ. გამოსდის ფერსათს. ამ კევზედ ვარძიას არს მონასტერი გუნბათიანი, კეთილ-შენი. ზის წინამძღვარი. ამ კევს ზეით ერთვის ძირულასავე მეედნის ხევი სამკრიდამ. გამოსდის ფერსათს, მოდის ჩდილოთ. ამას ზედ არს მწყერის-ციხე მრავალ-გზის შემუსრვილი. ამის პირისპირ, ძირულას ჩდილოთ და შორაპანის აღმოსავლით, არს წეფას ეკლესია წმიდის-გიორგისა სასწაულთ-მოქმედი. ვარძიის-კევს ზეით, ძირულაზედ არს ხარაგეულის ციხე შენი. ამ ციხესთან ეყრების ძირულას ჩხერიმელა, აღმოსავლეთიდამ. და ამ ხარაგეულს ზეით ძირულას მოერთჳის შრეშის კევი, ჩდილოდამ. ეს გამოსდის ჯარეურთისა და ძირულას შუათს გორაებსა, მოდის ჩდილოდამ სამკრით. ამას ზეით მოერთვის ძირულასვე კოლბოურის-კევი. ეს გამოსდის ჭალის აღმოსავლეთის მთასა. მოდის მანდაეთამდე აღმოსავალ-ჩდილოს შუადამ სამკრეთ-დასავლეთს შუა. მერმე მოუხვევს და მიდის ძირულამდე ჩდილოდამ სამკრით. ამ კოლბეურის-კევის შესართავს ზეით ერთვისვე ძირულას ვაშლების კევი და ამაშუკეთისა. და ამას ზეით არს ვერტყვილა ხეფინის კევი.

ჩხერიმელასათჳს. ხოლო ხარაგეულს ზეით არს, ჩხერიმელაზედ, მჯაშე, ჩდილოთ. მლაშეს ზეით, ჩხერიმელაზედვე არს სამკრით ჩხერის-ციხე, მაგარი და მტრისაგან აუღებელი. ამ ციხისაგან ისახელა მდინარე ესე ჩხერიმელად, ანუ წყლის ჩხერისაგან კლდესა დინებითა. ჩხერს ზეით არს გზა ქართლს მიმავალი, მოსაკიდელი სივიწროვისათჳს წოდებული ვახანამდის. მოსაკიდელს ზეით ერთვის ჩხერიმელას ვახანის-კევი, ფე-

რსათიდამ მომდინარე ჩდილოთ. ვახანს არს ციხე კარგი. ამ ციხის პირისპირ დაბა ქვაბი. ამას ზეით მებოძირი, რომლის ზემოთი დავსწერეთ ქართლზედ მთას-იქითად. არამედ ეს ჩხერიმელა მებოძირიდამ ხარაგეულამდე მიდის აღმოსავლიდამ დასავლეთად.

შორაპნის ზეით ყვირილას მოძრთგელთა წყალთათჳს. ხოლო ყვირილას შორაპანს ზეით არს მარტოთ-უბანი. მას ზეით ბოსლები. მას ზეით მოერთვის ყვირილას კაცხის-წყალი. ეს გამოსდის საწალიკეს, მოდის ჩდილოდამ სამკრით. ყვირილის შესართავს ზეით ამ წყალზედ არს კუტხს ეკლესია მაცხოვრისა, გუნბათიანი, დიდ ფრიად, კეთილ-შენი. ზის არქიმანდრიტი. ამის დასავლით არს ციხე კაცხისა, მთის ძირად, კლდესა ზედა, მაგარი. ციხის აღმოსავლით არს კლდე. კრამსა შინა არს კლდე აყვანილი ვითარცა სვეტი, ფრიად მაღალი. მის კლდის თხემზედ არს ეკლესია მცირე, არამედ ვერღარა აღვალს კაცი, არცა უწყიან კელოვნება აღსვლისა [472]). კვალად ამ კაცხის წყალს ზეით ყვირილას მოერთვის აღმოსავლიდამ სვერის-კევი. გამოსდის კოლბეურის სამკრით წარსრულს გორაებს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამ კევზედ არს

---

[472]) ბროსე ამბობს, კაცხი ქართული სიტყვა არ არისო, ვიცი მხოლოდ, რომ კაცხივე ჰქვია სვანეთის ერთს სოფელსო.—სვანური კ ა ც ხ იგი ვე ქართული კონცხის წვერია. კაცხის საყდარს ჯვრის სახე აქვს. მისი გუმბათი 12-სარკმლიანია, მოჩუქურთმული ისრევე, როგორც ნიკორწმინდა. კაცხის ამშენებლად ითვლება ბაგრატ IV (1027—1072). წარწერებში იხსენებიან აბაშიძენი, მალაქია და სხ. ეს მალაქია ერთხანს (1702—1707 წლ. შორის) მეფობდა იმერეთში. მისი ქალი მარიამი ცოლად ჰყვანდა ისტორიკოსს ვახუშტის. მე-XI საუკ. აქ ცხოვრობდა ბაგრატ მეფის მოწინააღმდეგეს ლიპარიტ ორბელიანის შვილი იოვანე, კაცხს ჰქონდა 100 ვენახი და ჰყვანდა 1083 გლეხი. აქაური სახარება, 1059 წ. დაწერილი კალიპოში, ძვირფასად მოუხატნიათ (საეკლ. ნუზეუმ. № 455).

ციხე სვერი, არაოდეს ძალით აღებული. ესე დგას კლდესა ზედა და გარემოს მისსა ფრიად დიდ-ერამოვანსა. თქმულ არს, ჟამსა ყრუსასა დადგა ციხე არგვეთისა სვერი. ამ სვერის-კევის შესართავს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კიდურსა ზედა, არს ნავარძეთს ციხე. ამ ნავარძეთს ზეით ყვირილასვე მოერთვის ბჟინევის კევი სამჯრიდამ. გამოსდის ბჟინევსვე გორაებს.

მდვიმისათჳს. ამ ბჟინევის-კევს ზეით, ყვირილის ჩდილოთ კერძ კიდეზედ არს მდვიმე, კლდე დიდი, გამოკვეთილი და მასშინა მონასტერი უგუნბათო, წითლის ბრწყინვალის ქვით შენი, კახაბერ რაჭის ერისთვისაგან აღშენებული. ქვაბსა შინა დის წყარო დიდი და კეთილი. უზის არქიმანდრიტი. არამედ სვერისწყლის შესართავიდამ მდვიმე-საჩხერემდე, ამ ყვირილას იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე, და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი, გამოკვეთილნი სახიზრად, და შეუალი მტრისაგან და საკვირველი, თუ ვითარ უქმნიათ. და დადგა ესენიცა ჟამსა ყრუსასა [473]). ამათ ზეით ერთვის ყვირილას ჯრუჭი ჩდილოდამ. გამოსდის კეცების მთასა, მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე ჩდილოდამ საჭერით ყვირილამდე. სადა მოდრკების, მუნ ერთვის ამ წყალს

---

[473]) მურვან ყრუმაც (მე-VIII ს. დამდეგს) ვერ აიღო მდვიმეო. თვით მდვიმეში, რომელსაც სიღრმე აქვს 50 ნაბიჯამდე, ორი საყდარია, დიდი და პატარა. დიდს ტაძარს გარედგან მრავალნაირი შემკულობა აქვს. მისი დასავლეთის კარები გაკეთებულია ვაზისაგან. მდვიმის ცალკე განყოფილება სავსეა ძვლებით; ეს ძვლები ალბად აქაურ მოღვაწეთა ნაშთია. მდვიმის წარწერები იხსენიებენ ნინია კახაბერიძეს, მისს ცოლს რუსუდანს, რაჭის ერისთავს რატ კახაბერიძეს (ამ საყდრის მაშენებელს), მეფე კოსტანტინეს და სხ. ბროსე ჰფიქრობს, მოხსენებული კახაბერიძეები თამარ მეფის თანამედროვენი უნდა იყვნენ. ხოლო მეფე კოსტანტინე უნდა იყოს ძე დავით ნარინისაო (1293—1327) (XII Варр., გვ. 88—93; გ. წერეთელი. Арх. экскурсія по Квирильскому ущелью, გვ. 12—20.

დასავლიდამ სხვა კევი. გამოსდის საწალიკე კეცებს შუა მთასა. ამ კევსა და კეცებზედ გარდავლენან გზანი რაჭას. ძველად ყოფილა ამას ზედა შენობანი და აწ ოკერ არს. კვალად ჯრუჭის შესართავს ზეით, ყვირილას სამკრით კიდეზედ არს სიხხერე. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ [474]). ამ სიხხერის პირისპირს, ყვირილის ჩდილოთ, არს მაღალს კლდესა ზედა ციხე მოდამნახე, მოზღუდვილი კლდითა, მაგარი და უბრძოლველი მტრისაგან. კვალად ამ სიხხერეს ზეით, ყვირილას კიდეზედვე—სავანეთ ეკლესია, უგუნბათო, საკურველად შენებული: რამეთუ არს მთლად ერთის ქვისა, კანკლითურთ [475]). ამ სავანეთს ზეით არს ჭალა. არამედ ჭალიდამ წონამდე არლარა არს შენობა, განა პირველ ყოფილა შენობიანი, სადაცა ჩანან ეკლესიანი, ნადაბარნი.

კვალად რიონის შემდინარისა მდინარისათჳს. ხოლო აწ კვალად ვიწყებთ რიონსავე და მას შინა შემდინარეთა. სად ერთვის რიონს ყვირილა, მის ჩდილოთ და რიონის დასავლეთით არს გეგუთი, სადგური ზამთარს მეფეთა. აქა არს მგზავსი შენებული მეჩიტისა, მრავალ პალატოვანი, დიდნი და მცირენი, თლილის ქვისა. უწოდებენ ციხე-დარბაზს. იტყვიან აღშენებას თურქთაგან, ნზ მეფის გიორგის ჟამსა. ამას ზეით არს, რიონის კიდეზედ, კახნიაური აღმოსავლით. ესეცა სადგური აწცა მეფეთა ზამთარს. ამას ზეით არს ქალაქი ქუთაისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშვენი, თვალთა ქვეშ შვენიერი ადგილი, რომელი აღაშენა აფხაზთა მე-

---

[474]) სიხხერე წერეთლების დაბაა. სოლომონ მეფის დროს აქ სტამბა იყო გამართული.

[475]) სავანე შვენიერი საყდარია. მისი წარწერა გვაუწყებს, ერისთავმა გიორგიმ ავაშენე სავანე ესე საოხად ჩემის სულისა, აგრეთვე ჩემის შვილის გაბრიელისა და მისის დედისა... ქკნსა სა (=981 წელს), მეფობასა ბაგრატ კურატპალატისა (980—1014).

ფემან ლევან და ჰყო ტახტი. არს ციხე, და ციხიდამ ხიდი რიონსა ზედა. აქა არს სასახლე მეფეთაგან, დიდ-შენი, შვენიერად რიონსა ზედა წაკიდებული. ასპარეზი მოზღუდვილი ვარჯად ჭანდრით. მოსახლენი არიან იმერნი, სომეხნი, ურიანი ვაჭარნი. წელსა ქრისტესსა ჩქჲვ, ქართულსა ტნდ მისცა ქუთაისის ციხე ოსმალთა სეხნია ჩხეიძემან და უპყრავთ აწცა მათ. არამედ შემცირდა ფრიად ქალაქი მათგან. აქ აღაშენა ნჳ მეფემან ბაგრატ ყოვლად-წმიდისა ეკლესია შვენიერი, გუნბათიანი, სულიად სოფიის კენჭით შინაგან ქმნული და მარმარილოთა სპეტაკითა, წითლითა და ჭრელითა, და სვეტებითა მისითავე და ყოვლითა შემკობილებითა სრული და ფრიად დიდი. დასვა ეპისკოპოზი, მწყემსი იმერეთისა და გურიისა, თვნიერ რაჭა-ლეჩხუმისა. ზის აწცა და არღარა ეგდენითა სამწყსოთი. დაფლულ არიან ნჳ მეფენი ბაგრატ, ნზ მეფე გიორგი. არამედ წელსა ჩქჲბ ქართულსა ტპ შემუსრეს ოსმალთა და წარიღეს სვეტნი მისნი და მარმარილონი სამცხეს. თუმცა უჩვენა სასწაულნი, განა არარად შეირაცხეს [476]). ამ ქუთათისის ჩდი-

---

[476]) ქუთაისის ადგილმდებარეობა უუშვენიერესია. შუაში ჩემოუდის რიონი, რომლის მარჯვენა გორიანს კიდეზედ ძველი ქალაქია და მარცხენა ვაკე კიდეზედ შედარებით ახალი ქალაქი. ქალაქის პირველს ნაწილს პროკოპიუსი († 565 წ.) უწოდებს უხიმერის და მეორეს ქუთათისს (Cutatisium). უხიმერისს დღეს ჰქვიან „არქელის გორა“ და აქ არის აგებული ბაგრატის დიდებული ტაძარი ზედ წარწერით: ᲑᲐ მეუფეო მფლობელო ყოველთა მეფეთაო ოკმეტესად ადიდე ძლიერი ბაგრატ კურატპალატი აფხაზთა მეფე მამით დედით დედოფლით და ძით მათით ამინ. შეწევნითა ღუთისაითა ბაგრატ წყალობითა ღუთისათა აფხაზთა და ქართველთა მეფე... გურანდუხტ დედოფლისა აღეშენა წმიდა შტოი... ქ. ოდეს განიმტკიცნა იატაკი ქკ᾽ნი იყო 223 (=1003 წ.).—კამარა ამ ტაძრისა ოსმალებმა ჩამოაგდეს 1692 წელს და სხვაფრივაც დააზიანეს. აქედგან თვალწინ იფინება უშვენიერესი სახლეულები ყოვლის მხრივ, მეტადრე გვირა-

ლოთ და რიონის დასავლით არს ქვიშილეთს ციხე ფრიად მა
გარი. ქვიშილეთს ჩდილოთ არს ჩუნეში. ჩუნეშს ჩდილოთ,
გუმათი, გუმათის ჩდილოთ საყორნე, საყორნეს ჩდილოთ არს
გოსტიბე, ცხენის-წყლის აღმოსავლით კიდეზედ, ამის გაღმა
გორდი და ძეს აქ ხიდი გოსტიბიდამ გორდს ცხენის-წყალ-
ზედ. გოსტიბემდე არს ოკრიბა. და კვალად ქუთათის ზეით,
დაბას რიონს ზეით, მოერთვის რიონის მდინარეს, აღმოსავ-
ლიდამ ძმუისის-მუყელეთის კევი. ეს გამოსდის წმიდის-გიორ-
გის მთას, მოდის დასავლეთს სამკრეთს შუა. ამ კევზედ, ძმუ-
ისის მთაში, არს ციხე კლდესა ზედა შენი და მაგარი. ამას
ზეით, რიონის დასავლეთით, მთის ძირს არს ხომლის კლდე,
ფრიად მაღალი. მოიგო ამან სახელი ესე სიმაღლით, ხომლის
ვარსკვლავის სწორობით. ამ კლდეში არს ქვაბი გამოკვეთილი,
მტრისაგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადები [477]). აქამო-
მდე არს ოკრიბისა, მას ზეით ლეჩხუმისა. ძმუისის ჩდილოთ,
მთას იქით, რიონის სამკრით, არს დღნორს-ციხე მაგარი, დიდ-
შენი და შეუალი. აქამდიც არს ოკრიბისა.

რაჭისათჳს. ხოლო ამ დღნორსა ზეით არს რიონზედ არ-
პანი, არპანს ზეით გველის თავი. გველისთავს ზეით რიონს მო-

ბის მხრივ ბაღისა და ქალაქისკენ. ახალს ნაწილში, საცა გემნაზიაა, იყო
დიდი სასახლე („ოკროს ჩარდახი") მეფეებისა. მის ახლოს კოხტა ბაღია
(„ბულვარი"). ქუთაისი ერთი უუძველესი ქალაქია მთელს დედამიწაზე.
იგი იყო დედა ქალაქი კოლხიდის მეფის ეეტისა, მედეას მამისა. მას ბერ-
ძნის მწერლები უწოდებდნენ კიტაისს, კუტაისს, კუტატისს, რომელიც
იგივე ქართული ქუთაისია=ქუთათისი=მეგრ. და სვან. ქუთეში.

[477]) ნარინ დავითმა და დავით მეხუთემ ამერეთ-იმერეთი გაიყვეს
1243 წელს და აგრეთვე „ხომლის ქვაბსა შინა რაიცა იყო, მცირედი გა-
იყვეს და სხვა დაჯტევეს მუნვე". (ვახუშტი. გვ. 244). ეს ხომლის ქვაბი
დადიანის ბრძანებით ეთხარათო, მაგრამ ვერა ეპოვნათ-რაო, ამბობს
ბროსე.

ერთვის ტოლის-კევი. გამოსდის რაჭა-სვანეთის შუას კავკასის კალთას, მოდის ჩდილოდამ სამკრეთად და მოერთვის რიონს ჩდილოდამ. ამ კევზედ, დასავლის კიდეზედ არს, კავკასიდამ ჩამოსულს მთის კლდეზედ, ციხე ტოლს, შენი ფრიად მაგარი. და არს კეობა ესე ხილ-ვენახიანი. ამ ტოლის-კევს ზეით მოერთვის ბარეულის-კევი რიონს სამკრიდამ. სდის წმიდის-გიორგის მთას. ბარეულს, რიონის კიდეზედ, არს ციხე კეთილ-შენი. ამ ბარეულს მოერთვის სამკრიდამ ზნაკვის-კევი. გამოსდის ნაქერალას მთას. ზნაკვს არს ციხე შენი და მაგარი. ამ ზნაკვის-კევს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ სადმელის-კევი. გამოსდის კავკასს რაჭა-სვანეთს შორის და მოდის ჩდილოდამ სამკრეთად. სადმელს არს ციხე კლდესა ზედა შენი, შეუვალი მტრისა. სადმელს ქვეით ამ კევს ერთვის ღვიარას-კევი. გამოსდის მასვე კავკასს და დის ეგრეთვე. ტოლისა და ამ კევებიდამ გარდავლენან სვანეთს გზანი. ამ სადმელის-კევის შესართავს ზეით რიონს მოერთვის ბუგაულის-კევი სამკრიდამ. გამოსდის ნაქერალასა და ფეჯეფის მთის ქვეითს ლემანაურის მთას. ბარეულს არს ციხე კარგი და მაგარი. ბარეულს ზეით არს საკეტე. ამას ზეით მოერთვის რიონს სამკრიდამვე კრიხულას მდინარე, რომელი ისახელა დაბის კრიხისაგან. გამოსდის საღორისა, ნაჯიხურევისა და საწალიკის მთას, მოდის ჩდილოთ კერძოთ. რიონის სამკრით და კრიხულის აღმოსავლით ამბრჯლურს ყოფილა სასახლე აწინდელთა მეფეთა, ადგილის შემკობილებისათვს. ამის დასავლით კრიხულას მოერთვის რიონის სამკრით ხოტევის წყალი. გამოსდის საღორე-გარჯილის მთას ქვეით შაჯრის მკირეს ტბას წყაროდ და ფრიად ცივს და მოდის გრეხით ჩდილოთკენ. კრიხულასა და ხოტევის-წყლის შესართავს ზეით, ხოტევის წყლის აღმოსავლეთით კიდესა, მაღალს გორას კლდესა ზედა არს ციხე კვიტაშვილისა, ფრიად მაგარი. ამ ციხეს ზეით, ხოტევის-წყლის დასავლით, არს ხოტევი და ციხე მისი დიდი, დიდ-შენი [478]) და სახლობენ

---

[478]) ხოტევის მაგარი ციხე 1772 წელს დაანგრია რუსის გენერალმა

აქა ურიანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ხოტევს ზეით ამის წყალსვე ერთვის აგარის-კევი. ამ კევზედ არს ნიკოლა-წმიდა, ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-დიდ-შენი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი გლდანს ქვეითის რაჭისა [479]). ამ კევის შესართავს ზეით არს შაორი, აქა ყოფილა საზაფხულო სასახლე აწინდელთა მეფეთა ადგი-

---

ტოტლებენმა და იმავე დროს დააქცია აგრეთვე შორაპანი, ვარდციხე და ბაღდადი.

[479]) ნიკოლაწმიდა=ნიკორწმინდა დიდი და ჩინებული საყდარია, მოხატული შიგნიდგან, მოჩუქურთმული გარედგან. მის გარეთი შესავალი, როგორც ქუთაისის ბაგრატის საყდრისა, შემკულია ქანდაკით. გამოქანდაკებულია წმ. გიორგი, ყოვლად წმინდა და წმიდანები. სამხრეთის მხრის ქანდაკი წარმოადგენს მაკურთხეველ იესო ქრისტეს. იგი დანდობილია ორს ანგელოზზე. ორი ანგელოზი ნესტავს ნესტვს. მათ შორის მაკურთხეველი ხელია. ქანდაკი სხვაგანაც არის. ქანდაკებულება, კუწუბები გუმბათსა, კედლებსა, კამარებსა და შესავალზე უუშვენიერესია და ფრიად იშვიათი მთელს საქართველოში. ნიკორწმინდა აშენებულია მე-XI საუკუნეში. დასავლეთ-კარების ზემო აწერია: „ძეო ღვთისაო, ადიდე სიმრთელით და დღეგრძელობით შენ მიერ გვირგვინოსანი ბაგრატ, აფხაზთა და რანთა მეფე და ქართველთა კურაპალატი და გაზარდე ძე მათი გიორგი“. ამ ბაგრატმა (1027—1072) გაიმარჯვა განჯის მფლობელ ბენი-შედდანზე და მისგამო იწოდა რანის მეფედაც. ამავე ბაგრატ მეფეს—წარწერები ატენის სიონისა, ხარზმისა, კაცხისა, ზედათმოგვისა, წვიმოეთისა, სამთავისისა, აშურიანისა და კუმურდოსი—უწოდებენ სევასტოსად, მეფედ მეფედ, მეფედ აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და კურაპალატად ყოვლის აღმოსავლეთისა. ნიკორწმინდის წარწერები იხსენიებენ აგრეთვე: ა) აწინდელ წულუკიძეების წინაპართ, ბ) ნიანია ლიპარიტისძეს († XI საუკ.), გ) ლევან კახაბერს, წინაპარს იმ კახაბერიძეებისას, რომელნიც მე-XV საუკუნ. შეიქმნენ მემკვიდრეობით ერისთავებად რაჭისა და დ) ლევანს, მემკვიდრეს იმერეთის მეფის გიორგისა († 1590 წ.).

ლის შვენიერებისათვს, კეთილ-აგარაკოვანი [480]). კვალად კრიხულას ერთვის, კრიხს ზეით, სხოვის-კევი, დის სამკრიდამ ჩდილოთ. ამ კევზედ არს ორმო დიდი, ვრცელი და ღრმა, რომელსა შინა დის წყარო და ვერ განჰყინავს ზამთარს, არამედ ზაფხულის ჰყინავს სულიად, რომელი ამოულეველი არს, რაოდენცა სჭას მრავალმან კაცმან, განა თუ შთავიდეს კაცი უცხო, თვნიერ მუნ მყოფისა, აცივებს წელსა ერთსა. სხოვის სამკრით და კრიხის პირისპირ, აღმოსავლით კიდურს, მაღალს კლდიანს გორასა ზედა არს ციხე კვარსი და მტკიცე.

ხოლო კვალად კრიხულას შესართავსა და ამბროლაურ. ხიმშს ზეით მოვიწროვდების რიონი სამკრიდამ და ჩდილოდამ კლდითა. მუნ ძეს ხიდი რიონზედ. ხიდისთავს კლდის ძირში არს, რიონის ჩდილოთ კიდესა ზედა, ციხე და უწოდებენ ხიდის-კარს. ხიდის-კარს ზეით რიონის კიდეზე გამოდის კლდიდამ თბილი წყალი, არამედ უხმარი. მას ზეით არს წეხი, და ა კარგი. აქა იტყვიან ვერცხლის ლითონს. აქავ, რიონის კიდეზედ არს ნინიას ციხე კლდესა ზ და შენი. ამას ზეით მოერთვის რიონს სამკრიდამ კევი ბარული. გამოსდის კეკეების მთას, დის ჩდილოთ კერძ. ამ კევს ერთვის ჩონისის-კევი დასავლეთიდამ. ამავ ბარის-წყალს ზეით არის მთაში მრავალძალს ეკლესია წმიდის-გიორგისა და ჯვარი დიდი ოქროსი, სასწაულთ-მოქმედი. ამას შესწირა ა შაბაზ კრმალი ოქროთ მოოქვილი, აწცა ძეს მუნ, არათუ სარწმუნოებით, არამედ სცნან, რამეთუ კმალი მისი ჰკიდავს მუნ [481]). ხოლო ხიდის-კარიდამ წავალს

---

[480]) შაორში მდინარე წყალი იკარგება მიწაში, კარგა მანძილს ივლის და ისევ ამოდის გორას იქით. შაორის წყალი სავსეა კალმახით.

[481]) მრავალძალი ლამაზი საყდარია, თლილის ქვით აშენებული, მოჩუქურთმული აღმოსავლეთისა და დასავლეთის მხრივ. შიგნითი მოხატულია, სხვათა შორის, გამოხატულია დიოკლეტიანეს მიერ ტანჯვა-წვალება წმ. გიორგისა.

მცირე მთა კლდიან-ქარაფიანი ჩდილოთ, ვიდრე კავკასამდე. ამაზედ არს ეკლესია თბემსა ზედა შენი, წმიდის-გიორგისა, სასწაულიანი. უწოდებენ მთითურთ ვეჯიეთსა. ამ ეკლესიაზედგარდავალს გზა სადმელს, თვნიერ მისა ერა სადა, წესიდამ. ხოლო ბარულას-წყლის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჩდილოდამ მდინარე ლუხუნი, გამომდინარე კავკასისა რაჭასვანეთს შორისისა და მოდის სამკრეთად. ყოფილა ამ ლუხუნის კეობაზედ შენობა დიდი, არამედ აწ მტერობისაგან სვანთა არღარა და ოკერ არს. ამ ლუხუნის აღმოსავლით კიდის მაღალს კლდის გორასა ზედა და რიონის ჩდილოდ არს ციხე მინდა [482]) მაგარი და აუღებელი მტრისაგან, და ვის უპყრავ ციხე ესე, არს ერისთავი რაჭისა. ამ ციხისავე ძირს კოშკი დგას ლუხუნის კიდესა ზედა, მცველად წყლისათჳს. ამ მინდას ზეით მოერთვის რიონს ჩდილოეთიდამ სორის-კევი. ამაზედ არს მონასტერი უგუნბათო, დიდი, კეთილ-შენი, აწ ხუცის ამარად. ამ სორს ზეით მოერთვის რიონს სამკრიდამ კევი კეფრი. ამ კევმან მოიგო სახელი ღრმა კევთა შინა დინებითა. ეს გამოსდის კაცების მთის კელთას, მცირეს ტბასა. პირველ დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, მერმე სამკრეთიდამ ჩდილოთ ღრმას კრამსა და კლდოვანსა შინა. რიონის შესართავს ზეით კეორს ერთვის ბოყვის-კევი აღმოსავლიდამ. კეორის სათავის მცირეს ტბის ქვეით, ჩდილოთკენ კლდეს გამოსდის წყაროდ დიდი მდინარე და ამ ორის წყლის შესართავს ქვეით არს შქმერი, დაბა დიდი, უვენახო, უხილო, მგზავსი სხვათა მთის ადგილთა და მშვენიერ ზაფხულის ფრიად. კვალად ამ კეორის შესართავს ზეით მოერთვის რიონს ჯეჯორის მდინარე. ეს გამოსდის კედელას კავკასსა და დის კუდაროს ჩასავლის კარგა ქვეითამდე აღმოსავალ ჩდილოს შუადამ სამხრეთს დასავლეთს შორის, მერმე მოიქცევის და დის სამ-

---

[482]) დედანში: ციხე-მინდ.

კრიდამ ჩდილოდ რიონამდე და მოერთვის მას სამკრიდამ. რიონის შესართავს ზეით და ჯეჯორის აღმოსავლით კიდურზედ არს ციხე და ამ ციხეს ზეით და ჯეჯორისვე აღმოსავლით არს დაბა წედისი და ციხე მცირე. აქ არს ლითონი რკინისა და იღებენ მრავალსა. არამედ ჯეჯორის მდინარეზედ სამკრიდამ ჩდილოეთად ფინებულზედ არს დაბნები ვენახოვან-ხილიანნი და მოსავლიანი. მას ზეით მოსახლენი არიან ოვსნი და უვენახო, უხილო, ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. უწოდებენ ამას კუდარჩს. გულოვანთას ერთვის ჯეჯორს აღმოსავლიდამ სხვა კევი, წონასა და ამის შორის მთის გამომდინარე. ამ წყალში ზის კალმახი: რა მოხარშო, მგზავსი არს ზაფრანისა. ხოლო ამ გულოვანთას აღმოსავალ-სამკრით, მცირეს მთას ფქით არს წონა, ადგილი გარმოხვეული მთებითა და შინაგან ვაკე. აქ არს მცირე ტბა. ამას გამოსდის ყვირილა და მიდის ვითარცა აღვსწერეთ. არს წონა ვითარცა სხვანი მთის ადგილნი და მოსახლენი ოსნი. გარდავალს აქიდამ და კუდარადამ გზა ქცხილვანის კეობასა ზედა, დვანის კეობასა ზედა, ქართლში.

ხოლო ჯეჯორის შესართავს ზეით და რიონის სამკრით არს ონი. სახლობენ უ-იანი ვაჭარნი და ვაჭრობენ. ონი ჰავით არს მშვენი და ზაფხულის ცხელი, ორთა მთათა შინა კლდოვანთა ყოფითა. არამედ აგრილებს მდინარე რიონი [483]). ამ ონს ზეით მოერთვის რიონს ღარულასა-კევი სამკრიდამ. გამოსდის კედელის კავკასს. ამაზედ არს შენობა მოსავლიანი, ვითარცა სხვა მთათა ადგილნი. ამან მოიგო სახელი დაბისაგან ღარისა, მუნ რიონის კიდესა დაშენებულისაგან. ხოლო ონის პირისპირ რიონის ჩდილოთ მთის კალთასა შინა მაღლა არს დაბა ძეგლევი. აქა ეკლესიასა შინა არს ზეთი ჭიქითა და მდუ-

---

[483]) ონი ააშენაო, ამბობს პლ. იოსელიანი, ფარნაჯობმა მეორე საუკ. ქრ. წ. აბხაზთ დაანგრიეს იგი 977 წელს.

ლარებს მარადის და, რაოდენ იღებენ, არ აკლს ჭიქასა მას. ამას ზეით ერთვის საქორიას-კევი რიონს ჩდილოდამ. ამ კევის შესართავთან, რიონის კიდეზედ, არს ციხე მაგარი ფრიად. ამას ზეით არს დაბა უწერა რიონის ორთავ კიდესა ზედა. აქ, რიონის ჩდილოთ, არს ეკლესია სიოანი დიდი. ამ ეკლესიის კამარასა შინა მკიდარებს თმა ერთი ნაწნავი და იტყვიან თამარ მეფისასა. აქავ არს მიწა, რომელსა უწოდებენ სასუნებლად, რომელი დავსწერეთ ქართლსაც, არამედ ესე უმეტეს ძალიანი: რამეთუ გარდაფრენილი ფრინველი მას ზედა ჩამოვარდების სუნისაგან. არს ესე ონსაცა, განა ესევე უმჯობესი [484]). ამას ზეით, ჭიდროთას არს ციხე მცირე, რათა ვერ ვიდოდნენ მთის კაცნი თჳნიერ მის ციხისა რაჭას. ჭიდროთას ზეით მოერთვის რიონს აღმოსავლიდამ გლოლის-კევი. აქ ძეს რიონზედ ხიდი. ხოლო გლოლის-კევი გამოსდის გლოლასა და ჟღელეს შორის კავკასსა და მოდის დასავლეთად. ამ კევს ერთვის სხვა კევი ორი [485]). ერთი გამოსდის ამასა და დიგორს შორისს კავკასსა. არს გლოლა დაბა მგზავსი ციხისა, კოშკოვან-გოდლოვან-ზღუდიანი. შიგ ეკლესია აღვსილი ოქრო-ვერცხლის ხატითა და ჯვარითა და წიგნებითა, ძველადვე ხიზნულნი. კვალად გლოლის-კევის შესართავს ზეით რიონის სამკრით არს ჭიორა. დაბა მოზღუდვილი და კოშკოვანი, გოდლოვანი. ამას ზეით, ჩდილოთ კერძოდ, დაბა არს ლები ეგრეთვე ნაშენი. ხოლო ჭიდროთას ზეით ეს ადგილნი, რომელნი დავსწერეთ, არიან ვითარცა სხვა მთის ადგილნი მოსავლით, ნაყოფით, პირუტყვით, მაგარი, ვიწრო და შეუალი მტერთაგან. სარწმუნოებით ქრისტეანენი ქართველთა თანა, არამედ უმეცარნი ამისიცა.

---

[484]) უწერაში ფრიად სახელგანთქმული სამკურნალო აბანოებია და ბაფხულობით აქ მოდის ბევრი ავადმყოფი.

[485] დედანში: იორი.

რაჭის საზღვართათჳს. ხოლო რომელნი აღვსწერეთ, საზელითგან ყოფანი ვთქვით და აწ ვიწყებთ საზღვართა მათთა. რამეთუ მზღვრის რაჭას: აღმოსავლით კუდაროსა, წონისა და ფაწის მდინარის შორისი მთა და კავკასი კედელა და მუნიდამ ჩდილოთ წარსრული კავკასივე ვიდრე დიგორის კავკასამდე, რაჭა გლოლასა და ჟღელეს შორისი, სამკრით—წონიდამ წამოსული მთა დასავლეთად აღმოსავლეთიდამ ვიდრე არპენისა და დღნორამდე, გაჭრილი რიონისაგან მუნ. და მთასა ამას საერთოდ უწოდებენ რაჭის მთას. ხოლო განყოფით დღნორს ზეით წმიდის-გიორგისას, მერმე გაჭრილს ნაქერალას, ველევს, საღორეს, გარჯილას, ნაჯიხურევს, საწალიკეს და კეცებს. ამ მთათა ჩდილოთ კერძი არს რაჭისა და სამკრეთის კერძი—გარჯილა ნაჯიხურევ-საწალიკე-კეცებისა—არს არგვეთისა და მდინარენიცა ეგრეთვე; დასავლით მზღვრის საღორის მთიდამ დღნორამდე რომელნი მთანი აღვსწერეთ და მთა გველისთავისა ხოლო მათ მთათა დასავლის კერძო არს ოკრიბისა და არიან მთანი ესენი მაღალნი და განიერნი, თხემთა უტყეონი და კალთათა ტყიანნი და ზამთარს დიდ-თოვლიანნი, სადაცა ვერ ივლის ცხენი და ზაფხულის უთოვლო წყაროიანი, ბალახიან-ყვავილოვანნი, ნადირიან-ფრინველიანნი. და დაბნები რაჭისანი ამ მთათა კალთათა მყოფნი არიან, ვითარცა შქმერი აღვსწერეთ, აგარაკად და მთის ადგილად; და ჩდილოთ მზღვრის რაჭას კავკასი, რომელი განჰყოფს გლოლას, ღებს, ჭიორასა და დიგორს-ბასიანსა, ლუხუნსა და სვანეთსა, სადმელს, ტოლას და სვანეთსა. და ამ საზღვართ შინაგან არს რაჭა, ფრიად მაგარი მთითა, კლდითა, კრამითა, ტევითა და ტყითა, შეუალი გარე მტრისაგან. ჰავით არს კეთილ-მშვენი, ზაფხულის გრილი, ზამთარ თბილი და უქარო, მოსავლიანი, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა ნაყოფიერებს ყოველნი მარცვალნი, ვენახნი, ხილნი, მტილოვანნი ყოველნი. რიონის კერძოდ ამიერ და იმიერ, სულიად რაჭას ესრეთ ნაყოფიერებს, არამედ მთათა კერძონი ვითარცა სხვანი მთის ადგილნი. პირუტყვნი,

ექლემს გარდა, ყოველნი და არა მრავლად. ცხოვარი უდუ-
მო, ღორი სიცოცხლე მათი. მდინარეთა კალმახნი მრავალნი,
სხვა თევზნი არა რაი, არცა რიონსა შინა. კაცნი ტანოვან-
ნი, მკნენი, ბრძოლასა შემმართებელნი, ძლიერნი, უსაქციე-
ლო-ბრიყვნი, უშვერ-მქცევნი, სხვათა მოკარნი, მომხვეჭნი
და ძვირნი. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი. ქალნი შვე-
ნიერნი, მქცევნი ეგრეთნივე, რბილნი. პირველად იყო რაჭა
შორაპნის საერისთო, მერმე იქმნა თჳთ საერისთო და შემდ-
გომად კახაბერის მოწყვეტისა ეპყრა მეფეთა. მერმე ბაგრატ
იმერთა მეფემან მისცა ჩხეიძეს ერისთობა და აწცა არიან იგი-
ნი ერისთავად რაჭას და არს მესამე სადროშო. ხოლო სახე-
ლი მოიგო გარემოსთა დიდროვანთა მთათაგან და შინაგან
ღრმის ადგილობისა მიერ. „იხილე რა ჭა ა ადგილი ესე“ [486]).

არგვეთის საზღვრისათჳს. ხოლო რაჭის სამკრით არს,
მთას იქით, არგვეთი ანუ მარგვეთი, რომელი იწოდა ქვეყნის ნა-
ყოფიერებისაგან და მრგველობისა მუშაკობისათჳს; მრგველნი
მუნებურნი და არა აღმომფხვრელნი [487]). ხოლო საზღვარი არგ-
ვეთისა არს: აღმოსავლით ქართლის საზღვარი, ლიხის მთის
დასავლის კერძო; სამკრით—ფერსათი, მერმე ხარაგეულს ქვეით
მდინარე ძირულა და შორაპანს ქვეით წყალ-წითელამდე ყვი-
რილა, დასავლით—წყალ-წითელა კვახჭირის მთამდე და ჩდი-
ლოთ—წინ-თქმულნი მთანი კეცები, საწალიკე, ნაჯიხურევი და
გარჯილა. კვალად ჩდილოთ და დასავლეთად მზღვრის არ-
გვეთს საღორე, გარჯილიდამ ჩამოსული სამკრითკენ მთა ჩხა-
რამდე და მერმე დასავლით წარსრული კვახჭირამდე, არგვე-
თისა და ოკრიბას შორისი. და ამ საზღვარს შინაგან არს არ-

---

[486]) „რაჭა“ გვხვდება სიტყვაში კუდ-რაჭა, გამონასკული; მიხვედ-
რილი.

[487]) ჩვენის ფიქრით ეს სახელი (არგვეთი) წარმოიმდგარა სვანურის
სიტყვიდამ არგი—სახლი და მისგან მარგალი (მ არგალი)—მეგრელი,

გვეთი ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, არამედ ბრინჯს არა სთესენ. ხილნი ტყეთა შინაცა მრავალნი. პირუტყვნი მრავალნი, და არა ქართლისაებრ, ვენახი დაბლარი და ღვინო კეთილი, განა ქართლის კერძო ადგილთა—თხელი. ნადირნი და ფრინველნი მრავალნი, თევზნი მდინარეთა არა ეგდენ, არამედ კალმახნი მთათ კერძოთა მრავალნი, კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი შვენიერნი, მბრძოლნი და იმერეთს უმეტეს სხვათაგან შემმართებელად დადებულნი, მომჭირნე მუშაკნი, სტუმართ-მოყვარენი. სახლობენ მთავარნი, აზნაურნი მრავალნი. ძველად იყო საერისთო შორაპნისა და აწ მთავართა თჳს თჳსა პყრობითა არს მეორე სადროშო. ამას შინა დიან მდინარენი ყვირილა, ძირულა, ჩხერიმელა, ჩოლაბური და ამათი შემრთველნი მდინარენი.

საჩხეიძეოს საზღვრისათჳს და საღომინოსა. ხოლო არგვეთის სამკრით არს საჩხეიძო, პირველად არგვეთადვე წოდებული, მერმე ფერსათის კერძოდ. შემდგომად პყრობითა მთავართა ჩხეიძეთაგან საჩხეიძოდ ისახელა[468]). არამედ განჰყოფს საჩხეიძოსა და არგვეთს: ჩდილოთ ჩხერიმელა, ძირულა და ყვირილა, მერმე საჩხეიძოსა და ვაკეს მდინარე რიონი საჩინომდე. ხოლო აღმოსავლით მზღვრის საჩხეიძოს ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა, ჩდილოთ ძირულამდე, ხარაგეულს ქვეით; სამხრით—მთა ფერსათი ანუ ღადო ანუ ლომსიათ წოდებული, ხოლო დაბისაგან აწ ფერსათად. თხემთა უტყეო, კალთათა ტყიანი, მაღალი და განიერი, ზოგან თოვლიანი და ნადირიანი, ფრინველიანი. ჩდილოთ კერძო იმერეთისა, სამკ-

---

[468]) ნარინ დავითის ჟამს ჩხეიძეები უკვე თავადად ცნობილ იყვნენ (1287 წ.). ამათნი სახლისშვილნი იწოდნენ ერისთავად რაკისა. ამ ერისთავის-მიერ დამდაბლებულნი მისი სახლის-კაცნი მოვიდნენ ზოგი ქართლს და ზოგი დაშთა იმერეთს—საჩხეიძეოს (თავად აზნ. სია ერეკლე მეფის შედგენილი),

ჩრით კერძო სამცხისა; დასავლით მზღვრის საჩინო-სალომინაოს საზღვარის ხაზი რიონიდამ ფერსათამდე. არამედ სვირს ზეითს აღმოსავლეთის კერძოს უწოდებენ აწ ლომსიათ-კევს. და არს ქვეყანა ესე მდინარეთა კიდურნი კბოდოვანნი, ფლატოვანი, ჭალიანი, მთის კერძო—ვაკე და აყრილ-ტყიანი, ნიგვზნარ-ხილიან-ვენახიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მაღლარსა ანუ ბაბილოსა. ღვინო მრავლად და კარგი. აბრეშუმს აკეთებენ, არამედ არგვეთში უფროს. ბრინჯს არა სთესენ და ბანბას, სხვანი მრავლნი ყოველნი ნაყოფიერებენ. პირუტყვთა აქა უმეტეს სიმრავლე არგვეთ-რაჭისაგან. რამეთუ ზამთარცა მძოვარნი არიან, აჯამეთიდამ გურიამდე. ნადირნი მრავალნი და ალვსილნი ტყენი მცირე დიდითურთ. ფრინველნი ურიცხვნი. თევზნი: ფერსათის მომდინარეთა წყალთა შინა კალმახნი მრავალ და სხვა არარა. ვაკეთა—კირჩხიბნი. კაცნი მგვანენი არგვეთისანი. მსახლობელნი არიან მთავარნი და აზნაურნი. პირველად იყო არგვეთის საერისთო და აწ პირველი სადროშო.

საჩიჯავაძისათჳს. ხოლო საჩხეიძოს დასავლით არს საჩინო და მის დასავლით საჯავახო. მზღვრის ამას: იგივე მთა ფერსათი, ჩდილოთ—რიონი, რომელი განჰყოფს ვაკესა და საჩიჯავაძოს, დასავლით მზღვრის ფერსათიდამ ჩამოსული მცირე მთა ჩდილოთ კერძ საჯავახო გურიის განმყოფელი ვიდრე რიონამდე, და აღმოსავლით,—რომელი დავსწერეთ სალომინაოს და საჩიჯავაძოს შორისი ხაზი. არამედ არს ადგილი ესე ვითარცა ალვსწერეთ საჩხეიძო და უმეტესადცა ნაყოფიერ და ბარი. კაცნი მათგან ურბილესნი და სადროშო მათივე. და ორთა ამათ ადგილებთა დიან მდინარენი, რომელნიცა გამოსდიან ფერსათის მთასა.

ვაკეის საზღვრისათჳს. ხოლო საჩიჯავაძოს სალომინაოს, რიონს გალმით, სამკრეთით არს ვაკე, და ისახელების მათ ადგილთა სივაკისათჳს. და ამას მზღვრის: აღმოსავლით წყალწითელა ყვირილიდამ კვახჭირის მთამდე; სამკრით მზღვრის ყვი-

რილა და რიონი; დასავლით—ცხენის-წყალი და ცხენის-წყლიდამ წასული ხაზი ისულეთამდე და რიონამდე; ჩდილოთ—კვახჭირის მთიდამ წარსრული ხაზი დასავლით კახნიაურს ქვეით ირიბად ქუთაისის დასავლით და მაღლარის და ოფიშკვითის აღმოსავლით და გუბის-წყლის სათავის გორაებზე, ვიდრე გვასტიბის ბოლოდ ცხენის-წყლამდე. და არს სამ-კუთხედ ადგილი ესე. ამას შინა, ცხენის-წყლისა და რიონისაკენ არს სჭილდა, სამიქელდა [489]). და არს ადგილი ესე ფრიად ნაყოფიერი ყოვლითავე, რომელნი დავსწერეთ, თუნიერ ბრინჯისა. პირუტყვნი მძოვარ არიან ზამთარ ზაფხულს. ფრინველნი ურიცხვნი, თევზნი არსადა, თუნიერ რიონისა, კირჩხიბი მრავალ. არასადა არს მდინარე, თუნიერ გუბის-წყლისა და იგიცა მცირე. იზრდებიან ჭით. არამედ ადგილ ადგილს ჭათა შინა არს ჭია, რომლისა წყლის სმით გამობერავს ყელსა და დაეკიდების კაცსა და ქალსა, ვითარცა პარკი დიდი. უწოდებენ ყიყვს. ვენაკნი დაბლარნი არიან მრავლად, ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა. ტყენი აყრილნი და უწოდებენ ეწერს, და ეწერნი არიან არგვეთს, საჩხეიმოს და საჩიჯავაძოსა შინაცა. კაცნი და ქალნი ჭგონე ეგრეთნივე, არამედ უმეტეს მსწრაფულ მოუბარნი, ფრიად მუშაკნი, რბილად მქცეველნი. სახლობენ მთავარნი და აზნაურნი. პირველად იყო საერისთო ციხე-გოჯისა და შემდგომად იქმნა ქუთათისისა ოკრიბისა თანა. აწ ესეცა პირველი სადროშო.

ოკრიბის საზღვრისათჳს. ხოლო ამ ვაკის აღმოსავალ-

---

[489]) მიქელ მთავარი იყო მოსახლე ვანისა და არზრუმისა საშუალ ადგილს, ტარონს. იგი მსახურებდა ალექსი კეისარს, რომლის და ცოლად ჰყვანდა. 1086 წელს მოვიდნენ საქართველოში და მიიღეს თავადებად, (იქვე).—ჭილაძეები მოვიდნენ ლეკთა მხრიდგან და თამარის მეფის დროს ამათგან ზოგი აზნაური იყო, ზოგი თავადი, ხოლო ირაკლის დროს ჭილაძეთაგან თავადი აღარავინ იყო (იქვე).

ჩდილოდ არს ოკრიბა და არგვეთის ჩდილო-დასავლეთად, რომელი ისახელა თჳსის ადგილობისაგანვე: რამეთუ გარემოთა ადგილებთა თჳსთაგანვე სულიად მჩენარობს ოკრიბა და ამისთჳს ითქმოდა „ოო, კრება ესე კეთილ-შვენიერ ადგილ არს“ [490]). ხოლო ოკრება ესე იმზღვრების: აღმოსავლით, მთით რაჭასა და ამას შორისით ველევ-საღორის მთით და საღორის მთიდამ წარსრულის სამკრით ვიდრე ჩხარამდე მთითა, ოკრიბა არგვეთს შორისით; სამკრით—ჩხარიდამ დასავლეთად წარსრულის მთით კვახჭირამდე, მერმე კახნიაურის ხაზით რიონამდე; ჩდილოთ —ველევი, ნაქერალა, გაქრილი წმიდა-გიორგის მთანი, ვიდრე ღღნორამდე. მერმე ხომლის კლდიდამ წარსრული მთა დასავლეთად, ვიდრე გვასტიბემდე; დასავლით—კახნიაურიდამ წარსრული ხაზი ვიდრე გვასტიბემდე, ოკრიბა-ვაკის საზღვარი. და არს ამათ შინა ქვეყანა, თჳნიერ ბრინჯ-ბანბისა, ყოვლითა მარცვლითა ნაყოფიერი ფრიად, ხილითა, ვენახითა. არამედ ვენახი მაღლარი, ღვინო მსუბუქი, მხე გემოიანი. პირუტყვნი არგვეთისაებრ, ფრინველნი და ნადირნი მრავალნი. არს მცირე მთა-გორიანი, ტყიან-ბალახიან-ყვავილიან-წყაროიანი. დის მდინარე წყალ-წითელა და მისნი შემრთველნი და ქუთაის ზეით რიონი და მასში შემრთველნი ხომლის კლდემდე. თევზ-

---

[490]) ვახუშტი სცდება. მეგრულად კრიბი ჰქვიან კრავს და ოკრიბა არის იგივე საკრაო. Ეკატეს (550 წ. ქრ. წ.) სიტყვით თვით ლეგენდარული ფრიქსოსი კოლხიდას მოვიდა კრავით krios-ით. რადგან ო=ვა (კოლი=კვალი, თოლი=თვალი, ბოლი=ბვალი) და ბ=ვ (ბასილი=ვასილი), ამიტომ კრიოს იგივე კრიბია, კრავი. დიოდორე სიცილიელის სიტყვით, თვით ფრიქსოსის აღმზრდელს ერქვა კრიოსი (=ვერძი) და კოლხიდას მოვიდა მაშინ, როდესაც აქ იყო აქაურ მეფის აიეთის სიძე, სკვითთა მეფე. ამ კრიოსს აიეთმა ტყავი გააძრო და ჩამოჰკიდა თავისს სალოცავში, რომელიც ქალაქს სიბარისს შორავდა 70 „სტადიით“. სიბარისში მეფეს ჰქონდა სასახლე.

ნი, თუნიერ კალმახისა, არარა. კირჩხიბნი მრავალნი. კაცნი და ქალნი ჰგონე ვითარცა ვაკისანი, განა უღონო მუშაკნი, ვერ ღონიერნი, არამედ მთავარნი და აზნაურნი მკნენი, ზნე. ოზიანნი, შემმართებელნი. ეს ოკრიბა—რიონის აღმოსავლეთი პირველად იყო არგვეთისა და დასავლეთისა—ნაქალაქევის საერისთოსი, შემდგომად იქმნა ქუთაისის საერისთოსი და აწ—მეოთხე სადროშო ლეჩხუმითურთ—მეფისა თანა მყოფნი. და სახელნი ესენი ადგილებთა ამათ, რომელნი აღვსწერეთ, ანუ ეწოდათ ესრეთ ანუ ეგროსის ძეთაგან და ძის ძეთაგან, ვითარცა სხვათა ადგილებთა. და ვინადგან შევასრულეთ იმერეთი, აწ ვიწყებთ ოდიშს.

ოდიშისათჳს. ხოლო ესე ოდიში ისახელა ორითა სახელითა: პირველად მეგრელნი, რამეთუ ეგროს აღაშენა ქალაქი და უწოდა ეგრი. ამას სწერენ ევროპელნი კოლხიდად, სადიდამ იაზონ წარიღო ოქროს რუნი ანუ საწმისი. არამედ ჭალაკი აქი იგი არასადა მოიპოვების, არცა მატიანე ჩვენი მოიხსენებს მას, გარნა რამეთუ მას ჟამსა ეგრის-წყალს იქითი—დასავლეთისა—ეპყრათ ბერძენთა, აქა არს ადგილი იგი. ამისთჳს უწოდეს მეეგრელნი. ხოლო ოდიში:—განდგნენ რა ეგროსის მდინარისის იქითნი და მიერთნენ ბერძენთა, იტყოდიან: „ოდეში იყომე ქვეყანა იგი ჩვენი“, და ისახელნენ აწამდე ესრეთ [491]). ხოლო საზღვარი ოდიშისა არს ცხენის-წყალი და ხაზი ისულეთამდე, მერმე თაკვერსა და ოდიშს შორისი მთა კავკასიდამ ჩამოსული სამკრით და კვალად თაკვერიდამვე წარსრული კავკასი ჩდილოთ ვიდრე ეგრისის სათავემდე, ოდიშსა და სვანეთ შორისი; სამკრით—მდინარე რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და კვალად ეგურის მდინარის შესართავს დასავლეთი

---

[491]) თუმცა სამეგრელო ოდიშად პირველად მოხსენებულია თამარ მეფის ჟამს, მაგრამ, ალბად, ეს სიტყვა—ოდიში—თვით ხალხში იხმარებოდა ძველადგანვე.

შავი-ზღვა; დასავლით— ზღვაშავივე და კვალად ანაკოფიის მცი ირე მთა კავკასიდამ ჩამოსული სამკრით ზღვამდე; ჩდილოთ— კავკასის მთა. ხოლო ცხენის-წყლის დასავლეთის კერძო, რომელი დავსწერეთ, ოდიშისა არს. და ცხენის წყლის დასავლით არს მუნვე ბანძა და ციხე კეთილ ნაშენი[492]). ბანძას ზეით და ცხენის-წყლის დასავლით და მისი მჭვრეტი, მაღალს ადგილზედ არს ჭუონდადი, ეკლესია გუნბათიანი, დიდ-შენი, მარტვილისა. ეს აღაშენა ☧ მეფემან აფხაზთამან გიორგიმ[493]) და შეამკო ყოვლითა შემკობილებითა საეკლესიოსათა. დაფლული არს მეფე ბაგრატ. ამანვე დასვა მუნ ეპისკოპოზი და აწცა არს მწყემსი უნაგირის აღმოსავლეთისა ცხენის-წყლამდე[494].

---

[492]) ლიპარიტ დადიანი უწყალოდ აოხრებდა იმერეთს. ალექსანდრე მეფე შევიდა ოდიშს, მოსწყვიტა, მოსტყვენვა, აიღო ციხენი, შეიპყრა წარჩინებულნი და ამათ თავები დააბსნევინა ვერცხლით. გაადადიანა ვამიყი და დაბრუნდა. ლიპარიტ დადიანმა ბ ა ნ ძ ა ს მოიყვანა გურიელი, ათაბაგი და დიდის ძლიერებით წინ დაუდგა მეფეს. ოტია მიქელაძეც მისი მომხრე იყო. ამ ოტიამ შემოუთვალა მეფეს: „მაცნობე,—თუ ჯაბანი არა ხარ—ხვალ რა საცმლით და რაფერ ცხენით გამოხვალ საბრძოლადო". მეფემ აცნობა. ხოლო მეორე დღეს თავისი კურტაკი ჩააცვა ოტიას სიძეს ლევან აბაშიძეს, შესვა თავის ცხენზე, და გავიდა საომრად. შეიქმნა სასტიკი ბრძოლა. ოტია მიქელაძე მოუხტა ლევან აბაშიძეს, სცა მას შუბი თვალში და მიაძახა: „მე ვარ ოტია". მომაკვდავ აბაშიძემ უპასუხა: „რას ეტყვი ასულსა შენსა, უკეთუ შენ ხარ ოტია". ამასობაში მეფემ შეუტია მტრებს და შემუსრა მათი ძალა (1654 წ.).

[493]) გიორგი მეფე † 955 წელს.

[494]) მარტვილის (ჭყონდიდის) საყდარი ერთი უუძველესი და უუშვენიერესი ტაძარია, აქვს რამდენიმე ეკვედერი. მის მოხატულობათა შორის ყველაზე შესანიშნავია ვლაქერნის ღვთის-მშობელი მთავარ-ანგელოზებით, სურათები კოსტანტინე მეფისა და აწინდელ დადიანთა წინაპარის ბაციას ჩიქოვანისა, მის მეუღლისა და შვილებისა—გიორგის, იოსების,

ამათთა დასავლით დის მდინარე აბაშა, პირველ სხვის სახელით წოდებული. შემდგომად მოიქცა რა ანაკოფიიდამ მურვან ყრუ, აქ დაბანაკებულთა მოაშთო ამან ბჩ აბაში და მიერითგან იწოდა აბაშა. ამაზედ არს სახარია, ციხე და სასახლე დადიანისა. ესე სიგრძით არს ტეხურის შესართავამდე. გამო-

---

ოტიის. ეს ჩიქოვანები გამძლავრდნენ ბაგრატ მეფის ჟამს (1669—1678 წ.). გორდს იყო მდაბალი აზნაური ჩიქოვანი. იგი ზურგით თაფლს ეზიდებოდა სვანეთს და ისე გამოიზრდებოდა. მას ჰყვანდა ორი შვილი, რომელთაგან ერთი გაპყონდიდლდა. ამ ბყონდიდლის რჩევით ლევან დადიანმა მოიყვანა მისი ძმა კაცია ჩიქოვანი. კაციას დახმარებით ლეჩხუმსაც დაიპყრობო, ეუბნებოდა დადიანს ბყონდიდელი. 1680 წ. მოკვდა ლევან დადიანი, მისი კანონიერი მემკვიდრე მანუჩარი მოკლა გურიელმა. ოდიშართ უფროსად და გამგედ შეიქმნა კაცია. ამან მოსრა მრავალი წარჩინებული კაცი. „შენს მოწინააღმდეგეს ერთი თოფი ეყოფისო", ეუბნებოდა ძმა ბყონდიდელი. კაციას ძე გიორგიმ დადიანად დასვა ლევანის შვილი, მხევლისაგან ნაშობი ლევანივე. მაგრამ მალე ესეც დაიღუპა და დადიან-ლიპარტიანობა დარჩა კაცია ჩიქოვანის ჩამომავლებს. საქართველოში ბყონდიდ ლებს საპატიო ადგილი ეჭირათ. მათ ეკუთვნოდათ მწიგნობართ უხუცესობის თანამდებობა. იგინი მეფეს მოახსენებდნენ ხოლმე ღარიბ-ღატაკთა და ქერივოლ ლების საჩივარს. (იხ. ზემო გვ. 16). ბყონდიდს ჰყვანდა ბევრი შესანიშნავი ღვდელ-მთავარი, ჩინებული მქადაგებელი. მას დღესაც აქვს ბლომა წიგნები. სიტყვა ბყონდიდი ნიშნავს მუხა-დიდს. დიუბუა ამბობს, მარტვილის ტაძარი აშენებულია საწარმართო დროინდელ საკერპოს ადგილსო და მის ასაშენებლათ ზოგი მასალა საკერპოს ტაძრისა უხმარიათო. ეს დაუჯერებელი არ არის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ კოლხიდის მეფის აეთის სალოცავად ითვლებოდა არეას ბალაკი და ამ ბალაკში საღმთო მუხაზე იყო დაკიდებული ოქროს საწმისი, რომელსაც ჰყარაულობდა ბველ-ვეშაპი. აქვე იყო არეას ტაძარი. არეა ჩვენში ერთ უმთავრეს ღმერთად ითვლებოდა, მისთვის შეწირული იყო სამშაბათი, რომელსაც ერქვა არეასი.

სდის კავკასს ოდიშსა და სვანეთს შორისს და დის ჩდილოდამ სამკრით. არა არს მას შინა თევზი, თვნიერ კალმახისა.

ამის დასავლით დის მდინარე ტეხური. იწოდა ჩქარად დინებისაგან, რამეთუ შემუსრავს და მტეხარე ჰყოფს ხიდსა თუ სხვასა რაის [495]). გამოსდის მასვე კავკასსა, მიერთვის ისულეთს ჩდილოდამ რიონს. ხოლო ტეხურისა და აბაშას შესართავს ზეით, უნაგირას მთის ძირზედ და ტეხურის დასავლის კიდეზედ, არს შხეთს ციხე დიდ-ნაშენი და სასახლე დადიანისა [496]). ამას ზეით, კიდევ ტეხურისავ კიდეზედ, არს სენაკს

---

[495]) ბერძენთა მწერლები, ხშირად, ქართულ გეოგრაფიულ სახელებს თარგმნიან ბერძნულებრ. ცხენის წყალი—იპპოს, ტეხური—Kuaneos და სხ. ბერძნულს სრულს ლექსიკონში Kuaneos ახსნილია სიტყვებით: „საშინელი“, „მრისხანე“ და ტეხურიც ხომ მრისხანეს, მტეხარს ნიშნავს.

[496]) შხეთს დღეს ჰქვიან შხეფი. ახალსენაკიდგან აქამდე 3—4 ვერსია. შხეფის ციხე დიდი არ არის, მაგრამ ფრიად მაგარია და შემრგვალებულის ფერდობის წვერზეა. ასავალი გზა აქვს ძნელი, გასაპირი. შიგ ციხის პატარა ეზოში კამარა-გადახურული დიდი აუზია, რომელშიაც წყალი გამოდის შორიდგან მოტანილ მილით. ციხის კედლები საკმაოდ ძაღლია. შესავალი კარები აქვს ვიწრო და მის ახლოს გალავანი საკმაოდ დაზიანებულა. კარების შესავალს ახლოს, შიგნით კედლის ქვაზე აწერია ასომთავრულით: „ქ. კოშკი: ესე: კარის: თუვალი: შედან: აღაშენა: შეუნდვნეს: ღმერთმან: ვინცა სთქვა: შეუნდვნეს: ღმერთმან“. 1582 წელს მოკვდა გიორგი დადიანი. მას დარჩა მცირე წლოვ ნი ძე, ლევანი. გიორგის ძმა მამია გადადიანდა. მემკვიდრის გიორგი დადიანის დიდი მტერი იყო გიორგი გურიელი. მამია დადიანის ჩაგონებით მოიპარა მცირე წლოვანი ლევან დადიანი და შხეფს ჩააგდო, მაგრამ ყრმა ლევანი უომინოებითა ტყვეობისათა გადმოიპრა ციხიდამ განლტოლვად და მოკვდა“. 1588 წელს ქართლის მეფე სვიმონ გადავიდა იმერეთს და გოფანთოს შემუსრა იმერთა მეფე ლევანი, რომელსაც ამ ბრძოლაში არ შეეწივნენ დადიანი მამია და გიორგი გურიელი. სვიმონი რომ დაბრუნდა, ლევანი ისევ ქუთაისს მოვი-

ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-შენი, საყოფელი აფხაზთა კათალიკოზისა. აწ სენაკს ზეით, უნაგირას ძირში, არს ნაქალაქევი, ციხე-გოჯად წოდებული. ეს აღაშენა ს მეფის ფარნაოზის ჟამს ქუჯიმ, ქალაქი და ციხე, და ამისი საერისთოვე იყო სულიად რიონის დასავლეთი სვანეთით. შემუსრა ყრუმ, არამედ იყო კვალად ქალაქი, და შემდგომ-დ მოოკრდა ქალაქი. აწ არს ციხე კვალად და სასახლე დადიანისა [497]). ხოლო ტე-

---

და და მუქარა შესთვალა დადიანს, რატომ არ დამეხმარეო. მამია დადიანი დიდის ლაშქრით მოვიდა ქუთაისს, შეებრძოლა მეფეს, დაამარცხა და ტყვედ წაიყვანა და ჩააგდო ციხე შხეთს. ლევანი ამ ციხეშივე მოკვდა პატიმრად (1590 წ.).

[497]) ციხე-გოჯი ააოხრა მურვანყრუმ (მე-VIII ს. დამდეგს). მას მაშინ ჯიხან-ქვინჯიც ერქვა. ზოგნი ამბობენ, ვითომ ჯიხან-ქვინჯი იყოს იგივე ციხე-ქვიჯი, ციხე-ქუჯი. გარნა მეგრულის გამოთქმით ჯიხან-ქვინჯი ნიშნავს „ციხის ძირს“. სიტყვები „გოჯი“, „ქუჯი“ გვხვდება სახელებში: გოჯიაშვილი, გოჯიანთკარი (სოფ. თიანეთის მაზრაში), ქუჯია. ნაქალაქევი=მეგრ. ნოქალაქევი პროკოპიოსს († 565 წ.) უთარგმნია არხეოპოლის-ად (=ქველი ქალაქი), რადგან თვით „ნაქალაქევიც“ ძველს ქალაქს ნიშნავს და აქაური ძველი სენაკიც ხომ იგივე არხეო-პოლი-აა. იგი სწერს: არხეოპოლი შემაღლებულს ფერდობზეა. ქალაქს გვერდით ჩამოუდის მდინარე მასზე ამაღლებულ მთიდამ. ქვემო კარები მთის ძირზეა. ზემო კარები მიუსვლელია, რადგან გარემო ადგილი დიდს მანძილზე წვრილის ტყით მოცულია. რადგან ამ ვრცელს ქალაქში წყალი არ არის, მდინარე-მდის მიუყვანიათ ორწყება კედელი, წყალზე მისასვლელად. ეს ციხე-ქალაქი სპარსებმა ვერ წაართვეს რომაელებს და მის ახლოს ააშენეს სხვა ციხე, ონოგურისი. (ეს პროკოპიუსის ონოგურისი, რასაკვირველია, არის უნაგირისი, რადგან თვით ნაქალაქევი და ზემო ხსენებული შხეფის ციხე უნაგირის კალთებზეა აშენებული. სიტყვიდამ უნაგირი=მეგრ. ონანგერი (ონაგერი)=სვ. ჰუნგირ ადვილად წარმოსდგებოდა ონოგურისი (ჰუნე=უნე—ცხენი, უნა-გერი=ონა-ნგერი—ცხენის მგერებელი). ნაქალაქევში უფ-

ხურის დასავლის კიდურსა რიონიდამ წარმოსდევს მცირე მთა კავკასამდე, ტყიან და ნადირიან. ამას უწოდებენ უნაგირას. ამ მთას მზღვრიდნენ ოდესმე იმერთა და ოდიშთა საზღვრად. და არს ჭყონდიდიდამ უნაგირამდე მთის ძირი სამეგრელო-პარტიანო. არიან ამ ადგილთა შინა მოსახლენი მდავარნი და აზნაურნი. და არს ქვეყანა ესე მგზავსი ვაკისა და უმეტეს ნაყოფიერი და ტყიანი. ხოლო ისუჯეთს, ტეხურის შესადინარს ქვეით, სადაცა ერთვის რიონი ზღვას, აქა არს ფოთი [498]). და ამ ფოთის ჩდილოთ კერძ შესდის ზღვას ხორგის-წყალი. მოიგო სახელი დაბის ხორგისაგან ზღვის კიდესა ზედა შენისა, სადაცა არს სასახლე აფხაზთა კათალიკოზისა. გამოსდის მასვე წინ. კსენებულს კავკასს და მოდის აღმოსავლიდამ დასავლეთად. ამავ წყალზედ, მთის ძირში, უნაგირას ჩდილოთ, არს ციხე ჭა-

---

რო კარგად შენახულა ზემოთი სიმაგრე, რომლის კედლების სიმაღლე არის 3—4 საჟენი, კედლებ შუა ეზო სიგრძით 460 ნაბიჯამდეა და სიგანით 60—100-მდე. კედლები აშენებულია უზარ-მაზარ ქვით. ზოგ მეცნიერს ეს ნაქალაქევი მიაჩნია კოლხიდის მეფის აიეთის ქალაქად=აიად. ჩვენის აზრით ა ი ა, ე ა უნდა იყოს სახელი ძველის ღმერთისა, ა ი ე თ ი—აიას ქალაქი, ხოლო ა ი ე თ ი ს ი ის მეფე, რომელიც იყო აიეთიდგან. (ამგვარადვე წარმოსდგნენ სახელები: უფლისი, მცხეთისი, ეგრისი, ეგროსად გადანათლული და სხ.). ა ი გვხვდება რთულს სახელში ღმერთისა აი-ნინა (მცხეთის ახლოს იყო აგრეთვე დ ა-ნინა), ეა-ს ცა იხ. ლექსიკონში სიტყვის „ერმის“ ქვეშე.

[498]) ფოთს სტრაბონი უწოდებს ფაზისს. რას უნდა ნიშნავდეს „ფაზის“, ჩვენ უკვე შევნიშნეთ (ზემო შენიშ. 425), ხოლო ფ ო თ ი ალბად წარმოსდგა სიტყვიდამ ფოთება, შფოთი. ფოთს ოსმალთა ფაშა იჯდა 1725 წლიდგან. 1060 წელს ...„წარვემართენით (გიორგი მთაწმინდელი და მისნი მხლებელნი) კერძოთა აფხაზეთისათა, კეთილითა და ჰამოითა ნავითა, მივიწიენით ფოთს და მიერ სახედრითა ქუთათისს ჟამსა სთულისასა“ (ათონის კრებული, გვ. 319).

ქვითი და სასახლე დადიანისა. ხოლო ამ წყლის ჩდილოთ, მთის ძირს, ველსა ზედა არს ხეთას ციხე და სასახლე დადიანისა [499]). ამის ჩდილოთ დის ჭანის-წყალი, წოდებული ჭელენჯიხის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა და დის აღმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ზღვას ხოფს. ამ მდინარის ჩდილოთ კერძოთ, ზღვის კიდეზედ არს ხოფი. აქა არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-შენი და შემკული. აქ ეკლესიასა შინა მსვენარებს პერანგი ყოვლად-წმიდის ღუთის-მშობლისა, სასწაულთ-მოქმედი [500]). ამ წყალზედ, ჩდილოს კიდესა ზედა და ხოფს ზე-

---

[499]) ხეთას ციხე საკმაოდ ვრცელია, თვით სოფელი ხეთა მეტად დიდი საზოგადოებაა.

[500]) პლინიუსის სიტყვით მდ. ხობი (Chobes) მოდის სვანთა ქვეყნიდგან. ხობი არის აგრეთვე ჭანეთშიაც. ხობი=ხოპი=ხოფი ჰქვიან იარაღს, რომლითაც ხოპვენ წყალს. ხოპ-ს არე-მარე მოცულია წაბლით, მუხით, დაფნით და სხ. მონასტერს არტყია მაღალი ხღუდე და მისს შესავალში აღმართულია გუმბათი. საყდარი დიდი არ არის. მისი ეკვედერი აშენებულია თეთრითა და ლურჯ მარმარილოთი. ხოპისა და ბიბვინტის საყდრები ერთნაირის მასალით და ერთ დროს აგებულნიაო, ჰფიქრობენ ხუროთმოძღვრების მცოდნენი. და მართლაც ეკვედერის წარწერა იუწყება, რომ მარმარილოს ნაპრები მოიტანა ჯიქეთიდგან ვაშეყ დადიანმაო, ძემან ერისთავის გიორგისა, რომელმან დააწყნარა და დაიპყრა ჯიქეთის მოსახლენი, აღაოხრა მამულები ჯიქეთის ბევრ მთავრებისაო. ეს ვამეყი, ბროსეს სიტყვით, უნდა იყოს ვამეყ გიორგის ძე (1384—1396). ამ ვამეყის მამა და დედა ჰმარხიან ხოპის საყდარში. მოხატულობა ხოპის ეკლესიისა საკმაოდ დაზიანებულა. მასში ჰხატიან ერისთავი გიორგი, დადიანი ლევან მეუღლით და მცირეწლოვან შვილით. ხოპში ბევრი შესანიშნავი სიწმიდეა და სამკაული. ერთს ჯვარს აწერია. დავითი, მეფე აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა (ეს დავითი, ბროსეს განმარტებით, არის დავით აღმაშენებელი). მაცხოვრის ხატის წარწერა: მე, თეონილა, ასული კახაბერიძისა, დედა ზვიადისა, ვამკობ შენს ხატს, მაცხოვარო. შეიწყალე

ით, არს ეკლესია ჩაისს, დიდი, გუნბათიანი, კეთილ-შენი და შემკული. ზის ეპისკოპოსი, მწყემსი ამ წულის სამკრეთის კერძოსი უნაგირამდე და რიონა-ზღვამდე[501]). ამავ მდანარის ჩდი-

---

ნათელა მისის ძით ვარდან დადიანით, მანდატურთ-უხუცესი დადიანი ბედან და მისი მეუღლე ხვაშაკი, ასული ქართლის ერისთავის ბეგასი, და ძენი მათნი ერაშარ, გიორგი და ივანე.—მაცხოვრის სხვა ხატზე: ერისთავთ ერისთავი მანდატურთ უხუცესი დადიანი შერგილ მეუღლით ნათელათი და ძით ცოტნეთი. ყველა ეს პირნი ცხოვრობდნენ ლაშაგიორგის და მის დის რუსუდანის ჟამს (მე-XIII საუკ. 1-ლ ნახევარს). აქვეა გულზე საკიდი ჯვარი თამარ მეფისა, რომლის წარწერა გვაუწყებს: „ძელო ბენშარიტო, ძალო ჯუარისაო, შენითა წინაწარძღომითა ყოვლადვე შემწე და მფარველ ექმენ მეფესა და დედოფალსა თამარს“. თვით თამარის დედას ბურდუხანს იხსენიებს აქაურივე ხატის წარწერა (ნ. კონდაკოვი. (Опись памятн. древности, 80—92; თ. ჟორდანია. ქრონიკები, 1, გვ. 269; დ. ბაქრაძე. Кавказъ въ др. пам. Хр.).

[501]) ჩაისს ძველად ერქვა ცაიში=ცაისი, დღეს ადგილობრივ მას უწოდებენ ცაიშს, ცეიშს. აქ, ჩვენის ფიქრით, ძველად უნდა ყოფილიყო ტაძარი ღმერთის ცასი, რომლის სახელი მისჩემებია ხუთშაბათს (ხუთშაბათი: მეგრულად ცაშ-ხა=სვან. ცააშ). ცაისი ლამაზი საყდარია სოფლის ცაისისა, რომლის ადგილმდებარეობა უუშვენიერესია, საოთხისებრ მორთულ-მორკმული. აქ ძველად იყო სამკურნალო წყლები, რომელიც არჩენდა ბუგრს, მუწუკს. ცაისის საყდარი იყო ფრიად დიდი, მაგრამ მიწის ძვრისაგან ორ გზის დაიქცა და წინანდელის ვრცელის საყდრის ადგილას ააშენეს დღევანდელი უფრო მორჩილი ტაძარი. აფხაზეთის კათალიკოზს მალაქიას აქაურს ხატზე წაუწერია: მე, მალაქიამ, გიორგი გურიელის ძემ, ცაიშელ-ჯუმათელმა შევამკე ცაიშის ტაძარი და მოვახატვინე ბალავარიდგან გუნბათამდე. მეორე წელიწადს იყო საშინელი მიწის ძვრა, რომელმაც შემუსრა ცაიში. წლის თავზე მიწის რყევა შედგა. მეუღლისა მალაქია საქართველოს ერმა დამადგინა კათალიკოზად აფხაზეთისა. მაშინ მე, მთავარეპისკოპოსმა სრულიად ჩრდილოეთისა, კათალიკოზ-

ლოთ კერძოთ დიდს ველსა ზედა არს ზუგდიდი, სასახლე დადიანთა, დიდ-შენი და პალატებიანი, ზღუდე-გოდლიანი [502]). ამ ზუგდიდის აღმოსავლით მთის ძირზედ არს ჭელენჯიხი, ეკლესია გუნბათიანი, დიდ-შენობა, შვენიერი, კეთილს ადგილს. ზის ეპისკოპოზი მწყემსი ჭანის მდინარისა და დადის მდინარის შორისის ადგილთა, კავკასიდამ ზღვამდე [503]). ამის ჩდილოთ

ატრიარქმა, ცაიშელ-ჯუმათელმა მალაქიამ ხელახლა აღვაშენე და შევამკე ეს ტაძარი 1619 წელს. ხატზე გამოხატულია თვით მალაქია ზედ წარწერით: კათალიკოზი მალაქია, ამ ტაძრის ამშენებელი.—აქ არის კიდევ ჯვარი, მის წარწერაში იხსენიება ბაგრატ III, საქართველო-აფხაზეთის გამაერთიანებელი 985 წელს. (ნ. კონდაკოვი, გვ. 93—95; დ. ბაქრაძე. Кавк. въ др. пам. Хр.).

[502]) ზუგდიდი შედარებით მაღლობს ადგილზეა მოშენებული და ამიტომაც ჰქვიან ზუგდიდი ანუ ზურგდიდი (სვან. ზუგ=ზურგი). ზუგდიდი პატარა სამაზრო დაბაა, მაგრამ კოხტა, სუფთა, შვენიერი. 1903 წელს ჩვენ აქ დავათვალიერეთ სამეგრელოს მთავრების სასახლე და კარი. უდიდებულეს და უვრცელეს მამულის შუაგულს ვრცელი ეზოა, მისს ერთს კუთხეში ძველი სასახლეა, მეორე კუთხე'ში ახალი სასახლე, იქვე ლამაზი ეკლესია, ახალის სასახლის უკანა ეზოში შადრევანია. ეზოს გარეშემო ბაღებია, წალკოტები, ორტვინები (სამტილოვნო). ბაღი, რომელიც სავსეა ბშვიათ ხეებით, მთლად ტყედ გადაქცეულა. აქვეა მცირე ტბა, საცა მთავრები და დედოფლები თავისუფალ დროს ისვენებდნენ, თევზაობდნენ. მთელს მამულს გარშემო არტყია ღობე. ეზოს ერთს ხეივანში, ძველის სასახლის ახლოს, ვნახეთ უშველებელი სიპი ქვა, რომელიც დადიანების ტახტის კვარცხლბეკად ყოფილა თურმე.

[503]) ჭელენჯიხი ანუ ჭალენჯიხი ნიშნავს ჭალის ციხეს. მისი ადგილმდებარეობა მაღალი, ძნელად მიუდგომელი გორაა. 1847 წელს, როდესაც აქაურობა დაათვალიერა ბროსემ, ჭელენჯიხის მთის მწვერვალს იყო სასახლე გრიგოლ დადიანის ტარიელის-ძისა, იმერეთის მეფის სოლომონ II-ის მეუღლის მარიამის († 1841 ჯ. პეტერბურგში) ძმისა. 1802 წელს

დის მდინარე ეგური, წოდებული დაბის გამო. გამოსდის მასვე სვანეთსა და ოდიშს შორისს კავკასსა, მოდის აღმოსავლეთიდამ დასავლეთად, მიერთვის ზღვას ანაკრიას[504]). ანაკრიას აღაშენეს ოსმალთა ციხე ქორონიკონსა ჩდგ, ქართულსა ტჟა, აწცა უპყრავთ მათვე. ანაკრიის აღმოსავლით ამ მდინარეზედ არს რუხს ციხე დიდ-შენი, შიგ წყარო გამომდინარე. აღაშენა ლევან დადიანმან ქორონიკონსა ჩქმზ, ქართულსა ტდე, შემდგომად შემუსრეს ოსმალთა წელსა ჩდკე, ქართულსა უიგ, და ამის ქვით აღაშენეს ანაკრია უმტკიცესად. რუხს ითხრების კაჟი ჩახმახისა ფრიად კეთილი და მრავალი[505]). რუხს ზეით, ამ წყალზედ, მთასა შინა არს სააფაციო სათავიდამ.

ეს ტარიელი ჰმართავდა სამეგრელოს სამფლობელოს. მე-XIV საუკუნითგან ჰელენჯიხი ითვლებოდა სადგურად დადიანებისა. საყდარი უგუნბათოა. სამხრეთის მხრით მიდგმული აქვს ეკვედორი. იგი აგებულია და მოხატული ვამეყ დადიანის ყამს (1384—1396). კედლებზე გამოხატულია ბევრი სახელოვანი მოღვაწე, სხვათა შორის, დადიანი ლევან მეუღლით ნესტან დარეჯანით და ძით ალექსანდრეთი, მამა ლევანისა მანუჩარ და Lხ. (დ. ბაქრაძე. Кавк. въ др, пам. Хр.).

[504]) ანაკრია=ანაკლია.

[505]) ციხე რუხი, წვრილის, მუშტის ტოლა ქვით აშენებულია, მეტად მაგარია და მკვიდრი და იცავს ზუგდიდის შემოღმართს გზას. 1903 წ. ეს ციხე ჩვენ დავათვალიერეთ. ერთი კედელი დაზიანებული ჰქონდა. 1780 წელს აქ მოხდა აგრედ-წოდებული „რუხის ბრძოლა". 40,000 აფხაზი ენგურზე გადმოიყვანეს ზურაბ, ქელიშბეგ და ბექირბეგ შერვაშიძეებმა და შეებრძოლნენ რუხს, რომელშიაც იდგნენ დადიანი და იმერეთის მეფე სოლომონი. მეგრელ-იმერნი მიუხდნენ მტრებს და შემუსრეს უწყალოდ. ცოტაოდენმა ძლივს მოახერხა გაქცევა. მათი ბარგი-ბარხანა დარჩათ მეგრელ-იმერლებს.—რუხი ენგურის მარცხენა ნაპირზეა. მის იქით იმავე წყლის მარჯვენა ნახარეს დიხაზურგაა (დიხა-ზურგა=მიწის ზურგი) და ჰუბურისხინჯი (ჰუბურისხინჯი=წაბლის ხიდი). დიხაზურგს ეკლესიის ნანგრევში აღმოჩნდა ქვა ზედწარწერით: „ქ. გრიგოლს, გალატოსთ უხუცესს, შეუნდვნეს ღმერთმან ამინ".

კვალად ამ ეგურის ჩდილოთ დის დადის-წყალი, წოდებული დადის დაბის გამო. გამოსდის მასვე აღმოსავლეთის კავკასსა და მოდის დასავლეთად და მიერთვის ზღვას. ამ დადის-წყლის ჩდილოთ დის ეგრისის-წყალი, წოდებული ეგროსის თარგამოსის ძის გამო. გამოსდის მასვე კავკასსა, დის დასავლეთად და მიერთვის ზღვას იდ⁄ᲠᲡ. ხოლო ზღვის კიდეზედ, ამ წყლის დასავლითს კიდეზედ, არს იდ⁄ᲠᲡ ეკლესია წმიდის გიორგისა. ამას უდის: აღმოსავლით—ეგრისი, დასავლით—მდინარე მოქვისა. და უძეს: სამკრით—ზღვა და ჩდილოთ—ველი. არს ეკლესია უგუნბათო მცირე, მდიდარი და შემკული. არამედ სილოვანობის გამო, რათა არა შეირყეს ეკლესია, მოუღიათ ქვა, დიდ-ფრიადი, ფიქალი, და მას ზედა შენი არს სულიად ეკლესია. აქ მოიყვანს კარს ყოველ წლივ Ო ნოემბერს, რომელსა დაჰკულენ და განიყოფენ მეფე დიდებულებითურთ. განა არს ფრიად სასწაულთ-მოქმედი ჰეშმარიტსა ზედაცა. არამედ მოსწვეს ოსმალთა ეკლესია ილორისა ქორონიკონსა ᲩᲓᲒ, ქართულსა უკ[506]). ხოლო ამ ეგრისის მდინარესა ზედა,

---

[506]) ილორიდამ ზღვამდე სულ ორი ვერსია. ილორი შეიძლება ნიშნავდეს იქითურს ᲚᲝᲠᲘᲡ აქეთურ (სომხითის) ლორისაგან გასარჩევად (ლორი—ილორი; ი ისპობა: იდაყვი=დაყვი). ილორი, დ. ბაქრაძეს სიტყვით, ᲠᲐᲝᲑᲘᲐᲜᲘᲡ ადგილზეა გაᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘ. მის გარეშემო უტეხარი ტყეა. ჰავა აქ გაუძლისია, ხაშმიანი. სოფელს ილორში 160 კომლი მეგრელია. ეკლესიის გალავანი რიყის ქვით აᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ და განახლებულია აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძისაგან. საყდარი დიდი არ არის, უგუნბათოა. მისი დღეობა მოდის 10 ნოემბერს. ამ დროს აქ თავს იყრის მრავალი მლოცველი,—აფხაზი, მეგრელი, სამურზაყანელი, იმერელი. ხალხს სწამს, სადღეობოდ თვით წმ. გიორგის ტაძრის ეზოში შემოჰყავს ხარიო. ამას აღნიშნავენ, ვახუშტს გარდა, არქანჯელო ლამბერტი (1633—1653 წ.), აგრეთვე შარდენი. არქანჯელო ამბობს: „წიფურიას გარდა ბაზრობა იცის ილორშიაც იმ დღეს, როცა წმ. გიორგის ხარი შემოჰყავს ეკლესიის გა-

მთასა შინა არს ეგრი, სადაცა მოვიდა პირველად ეგროს, ძე თარგამოსისა, და აქა აღაშენა ქალაქი და დაიპყრა საზღვარი თჳსი. არამედ ამის შემდგომად უწოდეს ბედია, რომელი დასვა ა მეფემან ფარნაოზ ქუჯი ერისთავად რიონის დასავლეთისა, ვინადგან ჰპოვა ბედი. მერმე აფხაზთა მეფის ლევანისაგან განიყო და ცხომის ერისთავი სხვა, ბედიისა სხვა, აფხაზთა სხვა. თამარ მეფემდე ესრეთ. შემდგომად რუსუდანისა, ოდიშისა დადიანი და ბედიელი მას აქეთისა, არღარა ცხომისა. აქავ ბედიას აღაშენა ნდ მეფემან ბაგრატ ეკლესია დიდ-შვენიერ-გუნბათიანი და შეამკო სიმდიდრითა დიდითა ფრიად. ამისთჳს წერილ არს: „ვისაც გენებოს სიდიდე და სიმდიდრე ბაგრატ ნდ მეფისა, განიხილე ბედიის ეკლესია და მით სცნობ“). დასვა ეპისკოპოზი ოდიშისა. და აწცა ზის და მწყემსი არს აწ დადის-წყლისა და მოქვის-წყლის შუათისა ადგილთა. აქავ მოიღო იგივე მეფე ბაგრატ ზვიადა ერისთავმან და დაფლა [507]).

ლავანში. ბაზრობა იციან აგრეთვე ბედიაში, კოცხერში და მრავალგან“. („მოამბე“, 1901, № 2, გვ. 4). ილორი ფრიად მდიდარია სხვა და სხვა წმ. სამკაულით. აქ არის ბედიის ტაძრიდგან მოტანილი კირასაული, რომლის წარწერაში მოხსენებულია ბედიის აღმაშენებელი ბაგრატ მეფე (980—1014) მის დედით გურანდუხტით, აგრეთვე ბედიის მიტროპოლიტი ჩხეტიძე. ხატების წარწერები იხსენიებენ მთავარეპისკოპოს ბედიელ-ცაიშელს, დადიან-გურიელს შამანდავლეს (1470—1474) და მრ. სხ. პირთ.

[507]) ბედია არის სამურზაყანოში, ოქუმის წყალზე. აქაურობა უტეხარ ტყით დაფარულია. თვით ეკლესია მაღალს, შვენიერს ადგილზეა. აქაური ერისთავები იწოდებოდნენ ბედიანად, ბედახად და ბედან დადიანად. საქართველოს სასულიერო იერარქიაში აქაურს ეპისკოპოზს ეკუთვნოდა მე-26 ადგილი და მეფის კურთხევისას დგებოდა შემდეგ ცხუმელისა. ბედიის საყდარი ააშენა ბაგრატ III (980—1014 წ.). მისი კედლები თლილის ქვით მოვლებულია და მოჩუქურთმული. ტაძარი ძალიან დიდი არ

ხოლო ამ ეგრისის მდინარის დასავლით დის მოქვის მდინარე, ჩდილოდამ სამკრით. გამოსდის კავკასს და მიერთვის ილორს ზღვას. ამ მდინარესა ზედა, მთაში, არს მოჭკს ეკლესია გუნბათიანი, დიდ-ნაგები. აღაშენა თ მეფემან აფხაზთამან ლეონ შემკობითა დიდითა. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი კოდორის მდინარისა და მოქვის მდინარის შორისის ადგილისა [508]). არამედ ეს მდინარე მოქვის დის მოქვამდე აღმოსავლიდამ დასავლეთად, ხოლო მოქვის მდინარის დასავლით დის კოდორის

არის, მაგრამ მეტად ლამაზია. მისი გუმბათი ჩამონგრეულა. კედლების ნაპრალებში დიდრონი ხეები დაზრდილა. ბედიელების სადგომი ობლად გამოიყურება აქვე, ეზოში. კედლებზე, შიგნით და გარედ, ქართული წარწერები იხსენიებენ ბედიელებს, დადიანს გიორგის, მეფე კოსტანტინეს. მე-XVII ს. ღვდელმთავართა კრებაზე ქუთაისს, დაესწრო ბედიელიც. 1640 წელს აქ რუსის ელჩს ბედიელმა აჩვენა სხვა და სხვა სიწმინდენი. მისი კირასაული ძვირფასის წარწერებით ილორშია (დ. ბაქრაძე, ნ. კონდაკოვი).

[508]) მოქვი ოჩემჩირეს შორავს 20—25 ვერსით. მოქვი დიდებული შენობაა, საქართველოს დიდების მაუწყებელი. სძევს მოქვის წყლის ამაღლებულს ნაპირას. საყდრის სარქველი, ამბობს ბროსე 1848 წელს, მცენარეულობასა დაუფარავს. გუმბათი მიხი შვენიერია, მაღალი. შიგნით მაღალი სვეტები თლილის ქვისა, თეთრი მარმარილოს იატაკი, შესანიშნავი ჩუქურთმაა,—ყველა ეს მოწმობს, რომ ხელოვნება უმაღლეს წერტილამდე იყო განვითარებული. ეხლა ყველა ეს გაოხრებულა, გაფუჭებულა, განაგვიანებულა. წარწერა არსად ჩანს. ეკლესიის გარეთ სამრეკლოა, მის მარჯვნივ—ნანგრევი მოქველების სადგომისა, მარცხნივ—მცირე ეკვედერი. მოქვში 1659 წელს იყო იერუსალიმის პატრიარქი დოსითეოზი და გადმოიღო წარწერა, რომელიც ამბობს: „მოიხატა კეისრის ალექსი კომონიანოსას და აფხაზთა უდიდებულეს მეფის დავითის ჟამს". ეს დავითი არის დავით აღმაშენებელი (1089—1125). ვახუშტის მიერ ხსენებული მოქვის მაშენებელი ლეონ მეფე არის იგივე აღმაშენებელი კუმურდოსი (შენ. 389).

მდინარე. ამ წყალზედ არს ეკლესია დრანდას, მთაში, გუნბათიანი, შვენიერი, დიდ-შენი. ზის ეპისკოპოზი მწყემსი კოდორისა და ანაკოფიის შორისისა ადგილთა [509]). არამედ აწ აფხაზთაგან არღარა არიან ორთა ამათ შინა ეპისკოპოზნი. განა მდინარე კოდორი დრანდამდის დის აღმოსავლიდამ დასავლეთად, გამომდინარე კავკასიდამ, და დრანდიდამ ზღვამდე დის ჩრდილოდამ სამკრით. მოიგო სახელი დაბის კოდორისაგან, რომელი არს დრანდას ზეით, ამ „წყალზედ, მთაში. ხოლო ამ კოდორის დასავლეთად დის მდინარე ცხომისა, გამომდინარე კავკასისა და მოერთვის ზღვას ჩდილოდამ. ამ წყალზედ მთაში არს ცხომი, და ისახელების მდინარე ესე ამისგან. იყო ცხომი ქალაქ და საერისთო და აწ დაბა [510]). ამ ცხომის დასავლით არს ანაკოფია და მდინარე მისი მცირე, გამომდინარე კავკასისა და მომრთველი ზღვისა ეგრეთვე ჩდილოდამ. ამ მდინარის აღმოსავლით და ზღვის კიდეზედ არს ქალაქი ანაკოფია. ეს აღაშენეს ბერძენთა. აქავ ერეკლეოს კეისარმან დასვა ერისთავი აფხაზთა, ეგრისის მდინარის დასავლეთისა ზღვადმდე.

---

[509]) ცხუმიდამ დრანდამდე 24 ვერსია. დრანდას ვაკე ადგილი უპირავს. აგებულია დიდრონის აგურით. მისი გუმბათი 18 სარკმლიანია. 1860 წელს მასში კიდევ იყო მოხატულობა, მაცხოვრისა, ფერისცვალებისა და სხ. დრანდელ ეპისკოპოსებად სხვათა შორის, იყვნენ ფილიპე (XVI ს.) და საბა, რომელსაც იხსენიებს ლაშხეთის (სვანეთ-შია) ხატის წარწერა.

[510]) ცხომი=ცხომისი ანუ ჩხომისი (მეგრულად ჩხომი—თევზი). მეცნიერნი მას სთვლიან დიოსკურიად და სევასტიად, რომელიც, ვითომ, დაეარსებინოთ კასტორსა და პოლლუკს, იაზონის თანამოგზაურებს. სევასტე ანუ სევასტოპოლი განაახლა და გაამაგრა კეისარ იუსტინიანემ (მე-VI ს. 1-ლ ნახევარს). 1578 წელს ოსმალთ ციხე უფრო გაამაგრეს და უწოდეს სუხუმ-კალე. 1853—1856 წლ. შემდეგ სუხუმი დაიპირა მთავარმა მიხეილ შარვაშიძემ. 1866 წელს სუხუმის ოლქს მიეწერა აფხაზეთი, წებელდა და სამურზაყანო.

იყო ქალაქი კეთილი, შვენიერი, ზღვასა ზედა წაშენებული, და შემდგომად ბაგრატიონთაგან უმეტეს განდიდებული, რომლისა ზღვასა შინა სვეტნი ორმოცამდე დღესაც ჩანან. არამედ აწ ოკერ არს [511]). და საზღვარი ოდიშისა და აფხაზეთისა, ამ ანაკოფიის აღმოსავლით ზღვიდამ მთამდე, შეავლო ზღუდე დიდი ლევან დადიანმან, აფხაზთა გამოუსვლელობისათჳს. განა აწ უქმად არს.

ხოლო სიგრძე ოდიშისა არს კავკასის თხემიდამ ზღვამდე და ცხენის-წყლიდამ ზღვადმდევე, და მეორე—ეგრისის წყლიდამ ანაკოფიამდე. და განი მისი რიონის მდინარიდამ ეგრიხის მდინარემდე, და მეორე ზღვიდამ კავკასის თხემამდე. და არს ჰავითა ოდიში ესე მშვენი. ზაფხულს ზღვის პირნი და ვაკენი ცხელი და არა გაუძლისი. მთის კერძონი გრილნი, აგარაკოვანნი, კეთილნი. ზამთარ თბილი. არამედ ზაფხულ ცა სველი და ნამიანი და ნოტიო, განა უწყინარ, უვნო, უქარო და უყივნო, დიდ-თოვლიანი. მოსავალნი მარცვალთა ფრიად ნაყოფიერნი მრავლად, რამეთუ ბრინჯი ნაყოფიერებს ურწყავად. ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი, ბროწეული ადგილ-ადგილს და სხვანი ხილნი მრავალნი. ვენახნი მაღლარნი, ღვინო მსუბუქი და კარგი. აქა არს ღვინო ზარდაგი [512]), ფერისათჳს

---

[511]) ცხომიდამ ანაკოფიამდე (ნიკოფსიამდე) ორის საათის სავალია-ანაკოფია მდებარეს მდ. ფსირტზე. აქ იყოო ძველის ძველი ქალაქი. დავით აღმაშენებელი მას სთვლის თავისს სამეფოს დასავლეთ მიჯნად. საყდარი დიდი არ არის. გუნბათი დანგრეულია, დასავლეთის ეკკეედერი და საზურავი მცენარეულობით დაფარულია. მისი ნაზი კედლები აშენებულია რომაულ აგურით. 1-ლს საუკუნეს აქ ქადაგებდნენ ანდრია მოციქული და სიმონ კანანელი. გადმოცემით, სიმონ კანანელი ჰმარხია ანაკოფიის საყდარში. ოსმალებმა აიღეს ანაგოპია მე-XVII საუკ. და ზიგ ჩააყენეს თავის ჯარი. შემდეგ დადიანმა კვლავ დაიბრუნა.

[512]) ზარდაგი—მოყვითლო.

ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა. აქ ჰყოფენ აბრეშუმს უმეტეს მრავლად იმერეთისაგან. პირუტყვნი, ცხოვარნი მცირედ და სხვანი მრავლად. რამეთუ უვისთ ჯოგად, მროწლედ და თხა, ცხოვარი და ღორი ერთარვედ. რამეთუ არა უხმსთ მწყემსი და მძოვარ არიან ზამთარ ზაფხულს ბალახთა. ფრინველნი მრავალნი, ფუტკართავან თაფლი და ცვილნი მრავალნი, ვინათგან ტყეთა შინა მრავლად არიან. ნადირნი წვრილნი და დიდნი ურიცხვნი, თუნიერ ქურციკისა. და სანადირო მრავალნი და კეთილნი. თევზნი მთის კერძოდ, კალმახნი მრავლად. ხოლო ვაკეთა სხვანი თევზნი და კირჩხიბნი ურიცხვნი. ზღვასა შინა იპყრობის ანდაკია და სხვანი ზღვის თევზნი. მდინარეთ შემდინარეთა ზღვათა შინა უწოდებენ მას ადგილს თვალსა და არიან ნავსადგურნი. მოდგებიან ნავნი და ვაჭრობენ. ხოლო არიან კვალად ამავ ადგილებთა შინა კევნი და მცირე მდინარენი და წყარონი კეთილ-გემოიანნი, რომელნი სიგრძისათუს დავიდუმეთ. არიან კაცნი და ქალნი შვენიერნი, არამედ იმერთაებრ არა ტანოვანნი, კორციანნი და მწითურნი, გულ-მწყრალნი მყისად და მსწრაფლნი, ბრძოლათა შინა იმერთაებრ ვერ ქებულნი, ბრძოლიდამ გაბრუნებით ქებულნი. სარწმუნოებითა, რჯულითა და წესითა და ქცევითა იმერთათა. სამწყსონი აფხაზეთის კათალიკოზისანი. ენით არიან:—დიდნი და წარჩინებულნი ქართულის ენითა, არამედ აქუსთ თუსიცა ენა, განა წამხდარი ქართულივე, ვითარცა ღმერთი ღორი, ჩემი ჩქიმი, და აქუსთ წიგნი ქართულნივე და არა სხვა. ხოლო აწ ეგრიხის მდინარემდე უპყრავსთ აფხაზთა და მას ზეითი სამგრის კერძო დადიანსა. კვალად ქვეყანა ესე არს ფრიად ტყიანი მთით ბარამდე. და მცირე-ველოვანი. მდინარეთა კიდენი ჭალოვანნი და ვაკეთა აყრილნი ეწერნი, ბარდოვან-ტალახ-ჭანჭრობიანი და ფრიად წვიმიანი. ამისგან არს ფრიადი ნოტიობა, გარნა უვნებელი.

აფხაზეთისათჳს. ხოლო ანაკოფიის დასავლეთი არს აფხაზეთი, პირველად წოდებული ეგრეთვე ეგრისი: რამეთუ ვინათგან წილი ეგროსისა არს ზღვამდე, მის გამო ეწოდა ეგრეთვე. არამედ შემდგომად განდგომისა, დაიპყრეს რა ბერძენთა, მათ უწოდეს აბასს, ხოლო ქართველთა—აფხაზეთი. გარნა უმეტეს საგონებელი არს ძეთაგან ანუ ძის ძეთაგან ეგროსისათა ეწოდა სახელი ესე [513]). ხოლო საზღვარი აფხაზეთისა არს: აღმოსავლით, ანაკოფიის დასავლეთით მცირე მთა კავკასიდამ ჩაიმოსოლი ზღვამდე; დასავლით—ზღვა და კაპპეტის მდინარე. არამედ სხვანი მზღვრიან ჯიქეთის დასავლეთის ზღვამდე; ჩდილოთ მზღვრის მთა კავკასი, სამკრით—ზღვა შავი. სიგრძე ამისი არს ანაკოფიიდამ კაპპეტის მდინარემდე ანუ ზღვამდე, განი—ზღვიდამ კავკასის თხემამდე. ხოლო ანაკოფიის დასავლით დის აღაცოს-წყალი. გამოსდის კავკასს და მიერთვის ზღვას ჩდილოდამ. ამ აღაცოს-წყლის დასავლით დის ზუფუს მდინარე, გამოსდის კავკასს, დის სამკრით, მიერთვის ჩდილოდამ ზღვას. არს ზუფუ მცირე ქალაქისაებრი, სახლი და საყოფელი შარვაშიძისა, რომელი მპყრობელობს აფხაზთა, არავის მორჩილებასა შინა მყოფი [514]). ამ ზუფუს დასავლით

---

[513]) ვახუშტი სცდება: „აბასა“ (=აბაშა)—ობეზი=აბხაზი წარმოდგარა აფხაზურ სიტყვიდამ აფსუა: აფხაზნი თავის თავს უწოდებენ ა ფ ს უ ა და თავის ქვეყანას—ა ფ ს ნ. თანახმად ამისა პლინიუსი მათ იხსენიებს აბსილად (absilae), არრიანე—აპსილად. ქართლის ცხოვრება აფხაზებს უწოდებს აგრეთვე ა ფ ს ა რ ი, აფშილი. საყურადღებოა, რომ კოლხიდის მეფის აიეთის ერთს შვილს აგრეთვე ერქვა ა ბ ს ა რ ი—ანუ აბსირტი (იხ. ქართ. მატიანე, გვ. 116) და აქვე იყო მდინარე აბსარი.

[514]) ქალაქი ზუფუ ააშენა ბაგრატ III-ემ 1012 წელს. დღეს მას ჰქვიან ლიხნი (მრავლობ. რიცხვი სახელისა ლიხი). იმერეთის მეფის ალექსანდრეს (1738 წ.) რუქაზედ იგი აღნიშნულია ლოგინ-ად (პლ. იოსელიანი. Города. ., გვ. 47). მას ერქვა აგრეთვე საუკსუ. ეს სახელი უწოდა

დის მუწის-წყალი. გამოსდის კავკასსავე, მოერთვის ჩდილოდამ ზღვას. ამ მუწის-წყლის დასავლით არს ბიჭვინტას ეკლესია დიდი, დიდ-შენი, კეთილ ფრიად, გუნბათიანი, ზღვის კიდესა ზედა. ეს აღაშენა იუსტინიანე კეისარმან შემკობითა დიდითა. (ბარონია სწერს: „კეისარმან იუსტინიანემ აღაშენა ეკლესია აფხაზეთს წელსა ქრისტესსა 529“. ეს არს ბიჭვინტაღუთის მშობლისა, რომელი იქმნა ჯანყოფასა ხოსროვანთასა, რაჟამს ფარსმან ერჩდა სპარსთა და ძენი მირდატისნი—ბერძენთა. ამით ჩანს, ვინადგან მირდატის ძეთა აღარ ეპყრათ, ფარსმანს მიუღეს კვალად ეგრისის მდინარის იქითი ბერძენთა). პირველ იყო საეპისკოპოზო. ჟამსა აფხაზთა მეფეთათა იქმნა საკათალიკოზოდ, და აწ არს საყდარი აფხაზთა კათალიკოზისა, არამედ აწ ხუცის-ამარად, ვინადგან აფხაზნი არღარა მონებენ რჯულსა და სარწმუნოებასა (ამას ვგონებ ნიკოფსიად და ეკლესიასაცა მასზედ აღშენებულსა მისთვის, ვინადგან ნიკოფსიას დაფლულ არს მოციქული სვიმონ კანანელი [515]). ამის

მას სეფერ-ბეიმ, უკანასკნელის მთავრის მიხეილ შარვაშიძის მამამ. ლიხნი იყო სადგური მთავრისა. მისი შვენიერი საყდარი აშენებულია ბიჭვინტის ტაძრის გეგმაზე მე XI საუკუნეში. შიგ ტაძარში ჰმარხია მთავარი სეფერ-ბეი († 1821 წ.). ამ შარვაშიძეების წინაპარნი მთავრობდნენ შარვანს და ქართველები მათ უწოდებდნენ შარვაშედ. დავით აღმაშენებელმა შარვანი რომ აიღო და მერე ანისი (1124 წ.), აქაური ემირი სახლობით გადმოასახლა აფხაზეთს. ერისთავად პირველად ჩნდება დოთაღოს შარვაშიძე, რომელიც თამარ მეფემ დაადგინა აფხაზეთს.

[516]) „ბიჭვინთა“ უნდა ნიშნავდეს ფიჭვიანს ადგილს, ვინაითგან სტრაბონი მას უწოდებს პ ი ტ ვ ი ს, მარცელინი—პ ი ტ ი უ ს. თვით ბერძნულადაც „პიტის“ ნიშნავს ფიჭვს, ხოლო „პიტვიონ“—ფიჭვიანს ტყეს, ფიჭვნარს. „ფიჭვიანთა“ (შეადარ. გურიანთა, ლომსიანთა, ყორანთა). დღესაც ბიჭვინტის არე-მარე ფიჭვის ტყით მოცულია. დ. ბაქრაძე სწერს: საყდარი მოზღუდვილია. მისი კედლები აგებულია აგურითა და ქვით. კა-

ბიპვინტის დასავლით დის კაპპეტის მდინარე, დიდი და ჩქარად მდინარე. გამოსდის ესე რაჭის მთას კავკასსა, გამოვლის სვანეთს, ალანსა და მას ქვეითთა ორს კავკასს შორისთა, და

ნკელი ქვისაა, დაბალი. საკურთხეველში გამოხატულია ვლაქერნის ღვთისმშობელი მთავარანგელოზებით. მოხატულია აგრეთვე კათალიკოზის ადგილი, აგრეთვე ეპისკოპოზებისა და ღვდლების. ცალკე სტოვაში საფლავია ზედ წარწერით: „მოიხსენე, უფალო, მონა ღვთისა ფარა და ..., რომელმა აღაშენა ეს საყდარი და ეს გუმბათი მთავრობასა ბატონის კათალიკოზის ევდემონისა“. ეს ევდემონი არის ჩხეტიძე († 1578 წ.). გადმოცემით, მოციქული ანდრია ასაფლავია ამ ბიპვინტაში. ამას ნათელს ჰფენს წყალობის სიგელი ანისია აბაშიძისა, რომელიც ამბობს: „ჩვენ ვეკუთვნით წმ. მოციქულს ანდრიას, წამებულს კაცთმბამლების ანუ ხარეტების ქვეყანაში და დამარხულს ადგილსა, რომელსა ჰქვიან ბიპვინტა. უფალო, ადიდე მისი პატიოსანი გვამი, ვინათგან მის ბრძანებითვე აქ აღეგო ყოვლადწმიდის ეკლესია, რომელი შეიქმნა საყდრად კათალიკოზისა. 1731 წ.“ სხვა გარდმოცემით, ეს საფლავი ანდრიასი კი არა, ოქროპირისაა. მართლაც, ოქროპირი წარგზავნილ იყო დასამწყვდევად პიტიუსს, მაგრამ აღესრულა კომანას.—ბიპვინტის აშენებას პროკოპიუსიც († 565 წ.) მიაწერს იუსტინიანეს, რომელმაც აფხაზნი ქრისტიანედ მოაქციაო და ღვდლები დაუდგინაო. მერვე საუკუნეში აქ იყო წმ. აბო და ქართლის ერისთავი ნერსე. მაშინ მთელს აფხაზეთში ბრწყინავდა ქრისტიანობა. 1390 წლიდგან აქ იჯდა კათალიკოზი, რომელსაც ემორჩილებოდა მთელი დასავლეთი საქართველო—იმერეთი, სამეგრელო, გურია, სვანეთი და აფხაზეთი. 1470 წ. ბიპვინტს ჰყვანდა 629 კომლი ყმა, სხვა სიგელის ჩვენებით ყმათა რიცხვი იყო 800 მეკომური ანუ 4000-მდე სული. ოსმალთა ძლიერება რომ მოედო ზავი-ზღვის ნაპირა ქვეყნებს და აფხაზეთში ქრისტიანობა შესუსტდა, ბიპვინტაც გაღარიბდა და სულაც გაოხრდა. მისი კათალიკოზები სცხოვრობდნენ იმერეთში (მე-XVII საუკუნითგან) და მხოლოდ წელიწადში ერთხელ მიემგზავრებოდნენ ბიპვინტას მირონის მოსახარშავად. უკანასკნელი მისი კათალიკოზი მაქსიმე მოკვდა 1795 წელს.

მოერთვის აქა ჩდილოდამ ზღვასა. ხოლო ესე აფხაზეთი შემკული არს ყოვლითა ნაყოფიერებითა და ჰავითა. რამეთუ ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. ხილნი, ვენახნი, პირუტყვნი და ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. არამედ თხა აქაური ფრიად შვენიერი, ბალნითა წმინდა და ჭრელი, კანჭ-მაღალი, ტანად დიდი, რქანი მაღალნი, ვითარ ადლ-ნახევარნი, წვერნი გრძელნი ვიდრე მუხლთ დაბლამდე. განა არს ესე აფხაზეთი ტყიანი, ჭალიანი, ეწროვანი და მცირე-ველოვანი, მთის კერძონი აგარაკოვანნი. ხოლო კაცნი მგვანენი მეგრელთა და უმეტეს ცქვიტნი და ტანოვანნი. წერწეტნი, მპარავნი, ავაზაკნი, ზღვათა შინა მავალნი ოლეკანდარებითა, რომელთა შინა შთასხდებიან რ—ს და ტ, დაუხდებიან ოსმალთა ნავთა და ლაზ-ჯანთა და უფროსად ოდიშ-გურიასა. არამედ არიან ბრძოლასა შინა მდედრნი, მალ-მიმდრეკნი, ზღვასა შინა მაგარნი და ძლიერნი. სარწმუნოებით არიან ქრისტეანენი, არამედ არღარა რისა მეცნიერნი, და ირიცხვიან ვითარცა კერპნი. ვინათგან არა დაჰფლვენ მკუდართა თჳსთა, არამედ მისითავე სამკაულ-იარაღითა და შესამოსლითა შთასდებენ კუბოთა შინა და შესდგმენ ხეთა ზედა, და უკუეთუ შტვენს მკუდარი იგი ეშმაკისა მიერ, სწამთ განსვენებულად მერმესა მას [516]). განა უწყიან ნათესაობა, ცოლი ერთი, მარხვა, აქუსთ

---

[516]) დღესაც აფხაზნი მეხ-დაცემით დახოცილებს სდებენ მაღლა ღია ფარდულზე იმ დრომდის, ვიდრე კუბოში მარტო მკვდრის ძვლები არ დარჩება, და მერე მარხვენ. ამასვე ნათელს ჰფენს ცნობა ბერძენთ მწერლებისა. აპოლონ როდოსელი (250—200 ქრ. წ.) კოლხიდის მცხოვრებთა შესახებ ამბობს: იქ იზრდება ბევრი ვენახი და ტირიფი. მათს წვერვალებზე ჯაჭვებით ჩამოკიდებულ იყო მკვდართა გვამები. ეხლაც კიდევ კოლხიდაში დანაშაულობად ითვლება მამაკაცთა გვამების დაწვა ანუ მათი დამარხვა. მათ ახვევენ ხარის ტყავში და ქალაქის განშორებით ჰკიდებენ ხეებზე. მაგრამ მიწას ხვდება თავის ნაწილი, როგორც ჰაერსაც, ვინაითგან

სასოება მღვდელთა ფრიად. არა იქმნებიან მათ შორის სიძვა, მრუშება: რამეთუ დასწვენ შემცოდეთა. უყვართ სტუმარი და პატივსა უყოფენ და შეიწყნარებენ ფრიად. ენა საკუთარი თვსი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული [517]). სხდებიან სკამთა ზედა და სჯამენ ტაბლასა ზედა. და არიან ერთგულნი ფრიად თვსთა მეპატრონეთა და მორჩილნი მისნი.

ჯიქეთისათვს. ხოლო ამ აფხაზეთს იქით, კაპპეტის-წყლის დასავლეთს, ბაგრატიონთ ჟამს აქეთ აქამომდე უწოდებენ ჯიქეთს. არამედ გორგასლის ცხორება უწოდებს ჯიქეთს ამ ჯიქეთის ჩდილოთ კერძოს, კავკასის მთის იქითს კერძს ზღვამდე. და ამ აწინდელს ჯიქეთს მზღვრის: აღმოსავლით კაპპეტის-წყალი, დასავლით—შავი-ზღვა, სამკრით იგივე ზღვა, ჩდილოთ—კავკასი. და არს ადგილი ესე ყოვლითურთ აფხაზეთისა მოსავლით და ცხოელით, წესით და ქცევითაცა. არამედ კაცნი ჟმეტეს მკეცთ მგზავსნი. ყოფილან პირველად ქრისტეანენი, არამედ აწ უცნობელნი მისნი. განა იუწყე აფხაზთა და ჯიქთა სამოსელნი და იარაღნი და საჭურველნი ვითარცა ჩერქეზთანი, რომელთა ზნეთა ჟამად იმერნიცა ხმარობენ [518]).

მას ეთმობა გვამნი მკვდარ ქალებისა: ასეთი წესია მათში". ამასვე იმეორებენ სხვა მწერლებიც.

[517]) აფხაზთ ენას მცირე ერთობა არა აქვს ქართულ ენასთან. აქ აღვნიშნავ მხოლოდ ამას: ქალაქი აფხაზურად აქალაქ, ნათლა—ანათრა, კამბეჩი—აკამბაშ, ლაზი—ალაზ, კაბა—აკაბა, ქართველი—აქირთუა, გურია—აგურაა, ეგრელი (მეგრელი)—აგრუა, ლაშა—ალაშარა და სხ.

[518]) ჯიქებს სტრაბონი და ბერძენთ სხვა მწერლები იხსენებენ ზიგად, ზიკხ-ად- ჩვენ არ ვიცით თავის თავს როგორ უწოდებს ეს ერი, ხოლო ჯიქი (ჯიქური) ქართული სიტყვაა და ნიშნავს მეტად მაგარს, მყარს. ერთ და იმავე ფესვისა უნდა იყოს სიტყვები ჯიქი, ჯიხა, ციხე და, შეიძლება, ჯიხი-ც—მჯიღი).

სვანეთისათჳს. ხოლო სვანეთი იმზღვრების ყოველითგან კავკასიის მთით. და არს რაჭა-ლეჩხუმის ჩდილოთ და ოდიშის აღმოსავლით. და მზღვრის სვანეთს:ა ღმოსავლით—სვანეთსა და ბასიანს შორისი კავკასია. ჩდილოთ, დიდ-ყაბართ-ჩერქეზსა და ამას სვანეთს შორისი კავკასია; სამკრით – სვანეთსა და რაჭა-ლეჩხუმს შორისი კავკასი; დასავლით—სვანეთსა და ოდიშს შორისი კავკასი და ალანის საზღვარი. სიგრძით [519]) არს რაჭის კავკასის თხემიდამ ოდიშის კავკასის თხემამდე და ალანამდე, და განით რაჭა-ლეჩხუმის კავკასის თხემიდამ ჩერქეზის კავკასის თხემამდე. და რაჭისაკენ ვიწრო, ხოლო ლეჩხუმისაკენ—განიერი, და მას ქვეით, ოდიშის კერძოდ, უმეტეს განიერი. ამას უდის საშუალსა მდინარე თჳსი, რომელი იქმნების ბოლოს კაპპეტისა, გამოსდის რაჭის მთას კავკასს და მიდის დასავლეთს ჩდილოს შორის. ამ მდინარეს მოერთვიან ამიერ-იმიერიდამ კევნი მდინარენი. ხოლო რაჭა-ლეჩხუმის სამკრით არს ჯაშხეთი და ლეჩხუმის სამკრით და ოდიშის აღმოსავლით არს ქცერი. აქა არს ეკლესია სვეტიდ წოდებული, სახიზარი სვეტის-ცხოვლის სამკაულ-საუნჯისა, რომელსა შინა იტყვიან სვეტის-ცხოვლის კანკლის ყოფასა დღესცა,—რომელი მოიღო გორგასალ ინდოეთიდამ, წითლის იაგუნდისა ქმნილი. არამედ საჩინოდ არიან აწცა ხატნი და ჯვარნი ოქრო-ვერცხლისანი და მოოქვილნი ქვითა, მრავალნი და პატიოსანნი, დიდნი და მცირენი, რომელთა ზედა აქუსთ სასოება და პატივსცემენ. არამედ უმჯობესი ხატი უბიათ ძეწკვითა ოქროსათი და იტყვიან, უკუთუ აუშვათ, დალეწავს ყოველსავე აქა მყოფსა ხატ-ჯვართა, და ესოდენ უგუნურ არიან თჳსითა უცნობელობითა! არამედ თუ შეეიდეს მუნ სასიკუდინო ანუ ტყვე, ვერა რაისაცა უყოფენ, განა განუტევებენ თავისუფლად. კვალად აღმთქმელსა ანუ მფიცარს მას ზედა დაერწმუნებიან ფრიად.

---

[519]) დედანში: იგრძით.

ხოლო სვანეთი არს მოსავლითა და პირუტყვითა ვითარცა აღვსწერეთ დგალი ანუ აწინდელი ოსეთი, და უმეტესი მწირიცა. სივიწროვით, მთით და კლდით და მდინარეებით ფრიად მაგარი. არამედ სახელი ესე ეწოდა: ოდეს ვერღარა იტეოდა ძურძუკეთი კაცთა, ბ მეფემან საურმაგ აჰყარა მუნიდამ და მისცა აქა სავანე და დასხნა სულნი დიდ-ძალნი. ამის გამო იწოდა სგანეთი. არამედ არიან კაცნი დიდ-ტანოვანნი, ახოვანნი, დიდ-მძლედ მუშაკნი, ბართა შინა რაზმთა ვერ შემმართებელნი, მთათა, სიმაგრეთა და ციხეთა შინა მაგარნი, სიკუდილის არა მომკსენენი, ავაზაკნი, მეკობრენი, უწყალონი, ბრიყუნი, უზნეონი. სარწმუნოებით არიან იმერთა თანა ქართულითა, და უმეცარნი აწ მისნიცა; ენა თჳსი აქუთ საკუთარი, განა უწყიან ქართულიცა. პირველად იყო ეგრისის საერისთო, შემდგომად დასვეს მეფეთა მისი ერისთავი და აწ უვისთ გელოვანი, ვითარცა პატრონი მათი, და არიან თჳსად და არღარავის მორჩილებასა შინა [520]).

---

[520]) სვანები თავის ქვეყანას უწოდებენ შ ვ ა ნ და თავისთავს—მუ-შვან (მოსვანე). პლინიუსით იგინი არიან suani. ეტიმოლოგიური მნიშვნელობა ამ სიტყვისა შეიძლება იყოს ა) შ უ ა ნ ი, ე. ი. შუა ადგილი, რადგან, მართლაც, უჰერიათ—შედარებით სხვა ქართველებთან—საშუალო ადგილი, გარმოზღუდვილი მაღალის მთებით და ბ) ს ა ვ ა ნ ე თ ი, ე. ი. ადგილი ვ ა ნ ე ბ ი ა ნ ი=სახლებიანი. სტრაბონი († 24 წ. ქრ. შ.) სწერს: „სოანნი (სვანნი) ძლიერი ხალხია. მგონია, იგინი ვაჟკაცობით და სამხედრო ძალღონით თითქმის ყველა აქაურ ხალხებზე ქველნი არიან. სცხოვრობენ-რა კავკასიონის მწვერვალზე, დიოსკურიის ზემო, იგინი ხელმძღვანელობენ გარეშემო მოსახლე ერებს. ჰყავთ მეფე და საბჭო, რომელსა შეადგენს 300 კაცი, და, ამბობენ, მათ შეუძლიანთო საომრად გამოიყვანონ 300,000 მეომარი, რადგან მთელი ეს ხალხი მეტად მეომარია, თუმცა სამხედრო წესი არ იციან. მოგვითხრობენ, ამ ქვეყნის მთის ნაკადულებში არის ოქროო, რომელსაც იღებენო ძირდახვრეტილ კასრე-

ალანისათჳს. ხოლო ალანი არს სვანეთის დასავლით და ბედიის ჩდილოთ. აქუს აღმოსავლით კავკასი და საზღვარი სვანთა, სამკრით—კავკასი ბედია, ოდიშს და ამას შორისი, დასავლით—კავკასი, ჩდილოთცა—კავკასი. უდის შუაში სვანეთის მდინარე. მოსავლით და პირუტყვით ს

არამედ ქართლოსისა. განა ოდეს გამეფდა ლეონ აფხაზთა, მაშინ ამათ არღარა ინებეს მორჩილება ოძრახოს ერისთჳსა, რომელნი იყუნენ ძენი სტეფანოზ ბაგრატიონისანი, ადარნასე და ძე მისი აშოტ. ამათგან განდგნენ და მიერთნენ ლეონს, ვითარცა სახელი აცხადებს: „გურიობით განდგომილნი [522])", და ენა მათი, რომელსა უბნობენ,—მესხური და არა იმერთაებრ. არამედ მზღვრის ამ გურიას: აღმოსავლით მთა ფერსათი, სამცხე-გურიას შორისი და საჯავახოს შორისი; სამჭრით —ჭოროხის მდინარე და მთა მცირე ფერსათიდამ ჩამოსული დასავლით, აჭარა-გურიას შორისი, ჩდილოთ—რიონი, გურია-ოდიშს შორისი, და დასავლით — შავი-ზღვა. ხოლო რიონის თვალზედ, სამჭრეთის კიდესა ზედა, არს ფოთის ციხე, რომელი აღაშენეს ოსმალთა წელსა ჩდკე, ქართულსა უიგ, ნავ-სადგურობისათჳს. და დგანან მუნ მჯდომარის ფაშით [523]). აქ ერთვის რიონს მცირე მდინარე, და ამ ფოთის აღმოსავლით, რიონის კიდესა ზედა

---

[522]) „გურიობით განდგომილნი"=ენებათა მიერ გატაცებით განდგომილნი (იხ. ლექსიკონში „გურიობა"). გურია პირველად იხსენიების მე-VII საუკ., ხოლო „გურიელი"—რუსუდან მეფის დროს (მე-XIII ს.). გურიელთაგან პირველ ისტორიულ პირად იყო კახაბერი († 1483 წ.). კახაბერს სთელიან ვარდანისძედ; ეს გვარი თამარ მეფის დროიდგან იხსენიება გამგედ სვანეთის საერისთოსი, ხოლო გიორგი ბრწყინვალიდგან († 1346 წ.) ვარდანიძეებს მიეცათ გურია, სვანეთი კი—გელოვანს. დიმიტრი ბაქრაძეს აქვს საფუძველი გამოსთქვას აზრი, რომ სიგელ-გუჯრებში მოხსენებულნი გურიელ-დადიანები და დადიან-გურიელები ჩამომავლობენ ვარდანიძეებისაგან, რომელნიც იყვნენ სვანთა ერისთავები გიორგი მეორის ქამითგან (1072—1089). ამით თუ აიხსნება მსგაესება გვარებისა —დადიანი და დადიშქელიანი! (ეს გვარები, ჩვენის ფიქრით, წარმომდგარან სიტყვიდამ მდადე (ინგ. დად, სვან. დადუ, მეგრ. დადე), რომელიც, ალბად, იხმარებოდა მეფის მოადგილის მნიშვნელობით).

[523]) იხ. შენიშნვა 498.

არს ლანჩქუთი [524]). ამ ლანჩქუთის სამკრით წამოვალს მთა საჯავახოს მთიდამ დასავლეთად, და სადაცა დასწყდების მთა ესე, არს ამ მთის მაღალს თხემსა ზედა ეკლესია ჯუმათს, დიდი, გუნბათიანი, დიდ-შენი, მქვრეტი ზღვისა და გურია-ოდიშისა. არამედ ზამთარ არს გაუძლისი და ზაფხულ საამო მშვენი, კეთილ-ჰაოვანი. ზის ეპისკოპოზი, მწყემსი სუფსეის მდინარისა და რიონს შორისის ადგილთა [525]). და არს მთა ესე ჯუმათისა

---

[524]) აწ ლანჩხუთი.

[525]) ჯუმათი მაღალს გორაზეა, საიდანაც მოჩანს მთელი იმერეთი იალბუზამდე და ფერსათამდე, აგრეთვე გურია, ბათომის მხარე, შავი ზღვა, ფოთი. მისი არემარე მოცულია ტყით. საყდარი მოზღუდულია, უგუნბათოა, შიკნიდგან სიგრძე აქვს 18 ნაბიჯი და სიგანე—8. იატაკი თლილის ქვისა აქვს. მოხატულობის ზემო ნაწილი გათეთრებული აქვს. მოხატულობათა შორის შესანიშნავია: სურათი მოხუცისა, რომელსაც ხურავს ქუდი და აცვია ტყავი, ხოლო ხელში უჭირავს კვერთხი. წარწერა მის ქვეშე წაბდალულია. სურათი ქალისა გვირგვინით და ქათიბით. იგია ხვარამზე. ბაქრაძეს აზრით, მოხუცი არის გურიელი გიორგი IV († 1726) და ხვარამზე—მისი მეუღლე. ჯუმათის საყდარი აგებულია მეოხად მთავარანგელოზების მიქელისა და გაბრიელის, რომელთა ხატის წარწერები იხსენიებენ ერისთავთ ერისთავს ვარდან ვარდანისძეს, ლიპარიტ ვარდანისძეს, მარუშიან ვარდანიძეს, სვანეთის ერისთავს და მანდატურთ უხუცესს იოანეს, გურიელს ბეშკენს, მის ძეს მიქელს და მეუღლეს მარიამს, ერისთავთერისთავს სვანეთის ერისთავს გიორგი დადიანს. სხვა წარწერები ჯუმათისა იხსენებენ ჯუმათელს მაქსიმე შარვაშიძეს, გურიელ გიორგის, მის ცოლს ხვარამზეს და სხ. ჯუმათელი მიტროპოლიტები, სხვათა შორის, იყვნენ სვიმონ ჩხეტიძე (XVI ს.), ნიკოლოზი, რომელიც აფხაზთ კათალიკოზად შეიქმნა 1641 წ., მაქსიმე (XVII ს.), იოანე ბერიძე (1688 წ.), გაბრიელი, მაქსიმე შარვაშიძე და ნიკოლოზ შარვაშიძე (XIX ს.).—სახელები ჯუმათი, ჯუმის-წყალი (სვეგრ.), ჯიმითი ერთ და იმავე სიტყვის ძირისა გვგონია და აგრეთვე სიტყვები ჯ უ მ ა შ ხ ა (ეგრ. ოთხშაბათი)—ჯ ი მ ა შ

ტყიანი, შენობა-დაბნებიანი, ვენახ-ხილ-მოსავლიანი და ნადირ-ფრინველიანი. კვალად ფოთის სამკრით, ზღვის კიდეზე, არს ტბა პალიასტომისა [526]), დიდი. ამ ტბიდამ შესდის ზღვას მდინარე ამისივე. აქიდამ შემოვლენან ნავნი და დგებიან ტბასა შინა, განსვენებისათჳს. იპყრობის თევზნი სხვა და სხვანი მას შინა ურიცხვნი. ამას იტყვიან ნაქალაქევს და შემდგომად მოცულსა წყლისაგან. კვალად ამ ტბისა და ჯუმათის მთის სამკრით დის მდინარე სუფსი, გამომდინარე სამცხე-გურიის შუას მთისა, მომდინარე ბახვის-წყლამდე ჩდილოს დასავლეთს შუა, ბ-ხვის-წყლიდამ ზღვამდე—ალმოსავლიდამ დასავლეთად და მიერთვის ზღვას ალმოსავლიდამ. არს მდინარე კარგი და თევზიანი. ბახვის-წყლის შესართავს ზეით არს ციხე ბერძიისა. სამკრითკენ, მას ზეით კეობა სურები, ვენახ-ხილიანი, მოსავლიანი. მოსახლენი მკნენი. სუფსეის სამკრით და ბაილეთის ჩდილოთ არს გურიანთას ციხე კლდე-გორასა ზედა შენი. ამის სამკრით დის აკეთ-ბაილეთის წყალი. გამოსდის სურების მთას, მიერთვის ზღვას ალმოსავლიდამ.

ამ მთის ძირში არს ციხე ასკანისა. ამისვე სამკრით, მთის ძირში არს შემოქმედი, ეკლესია დიდ-შენი, გუნბათიან-, შემკული ყოვლითა. იყო ესე საარქიმანდრიტო, აწ არს საეპისკო-

---

(სვან. ოთხ'ბაბათი). რადგან ძველს ქართულს ენასა და დღესაც მეგრულსა და სვანურში კვირის დღეების სახელებს დაუცავთ სახელები ძველ ქართულ ღმერთებისა (კვირა—მზისა, ორშაბათი—მთვარისა და სხ.), ამიტომ ჯუმა=ჯიმა-ც უნდა ღმერთის სახელი იყოს, ხოლო ჯუმა-თი ის ადგილი, საცა იყო ტაძარი ჯუმასი (შეადარე: ფერსა-თი, მამა-თი, ქუთა-თი, მუხა-თი და სხ.).

[526]) მეგრულად ამ ტბას ჰქვიან პალიასონი. პალიასტომი, ალბად, ძველად იყო პალიას-ტობი, ე. ი. ტბა პალიასი ანუ მპალი-ტბა (არის აგრეთვე ტბა პალა-კაციო).

პოზო. ზის ეფისკოპოზი, მწყემსი მას ქვეითის გურიისა[527]). აქა დის მცირე მდინარე, გამოსდის ხურებსა და ხინოს შუას მთას და დის გრეხით, მიერთვის ხინოს-წყალს ჩდილოდამ. ამ წყალზედ, შემოქმედს ქვეით, არს ოზურგეთი, სასახლე დიდ-შენი, კეთილ-პალატოვანი, გურიელისა. აქავ სახლობენ ვაჭარნი სომეხ-ურიანი და ვაჭრობენ[528]). ამ ოზურგეთის სამკრით დის მდინარე ხინოსი, გამომდინარე აჭარა-გურიის მთისა. მოდის აღმოსავალ-სამკრეთს შუადამ, ჩდილო დასავლეთს შუა ლეხეურის ციხემდე. მერმე დის აღმოსავლიდამ დასავლეთად. მიერთვის ზღვას აღმოსავლიდამ. ამ მდინარესა და შემოქმედს შუა არს ციხე ლეხეურისა, მთის ძირს. და მას ზეით მთაში, ამ წყალზედ კეობა ხინოსი არს მაგარი და მთებრი, არამედ ენახ-ხილიანი და მოსავლიანი. აქა ხინოს არს ეკლესია გუნბათიანი, კეთილ-

---

[527]) შემოქმედიდგან სოფელ ლიხაურამდე ათი ვერსია. შემოქმედი გამაგრებული ციხე-ეონასტერი იყო. მისი სიმაგრე დაანგრიეს რუსებმა მას შემდეგ, როდესაც გურიელებმა მოკლეს პოლკოვნიკი პუზირევსკი. ძველი ტაძარი აგურით აშენებულია, ხოლო კარეთი მბარე კედლებისა მოლურჯო ქვით ამოყვანილია. კანკელი შეკულია ძვირფას ხატებით. მასშია სასაფლაო გურიელებისა. შემოქმედელ-მიტროპოლიტებად იყვნენ ბესარიონი (XVI ს.), მალაქია (1658 წ.), მალაქია ქაიხოსროსძე, დავით ნემსაძე (XVII ს.), იაკობ დუმბაძე, იოსებ თაყაიშვილი და სხ. აქვე მე-XVI ს. აუშენეს ხარზიან მონასტერი. შემოქმედისა, ჯუმათისა და ლიხაურის მრავალი სამკაული აუწერიათ და მათი წარწერები გადმოუღიათ დ. ბაქრაძესნ. კონდაკოვს, ე. თაყაიშვილს და სხ. (Опись..., стр. 102—139; Археол. путеш. по Ачаріи и Гуріи). ჩვენ გვაქონია, დავით ჯიბისძე მის მიერ 1035 წელს ტყავზე გადაწერილს დავითნში იხსენიებს ამ შემოქმედს, როდესაც ამბობს: „ბრძანებითა ეხრა მამადმთავრისა შემოქმედისა და მწყალობელისა ჩემისაითა დავწერე"...

[528]) ოზურგეთი=სახურგეთი (ო=სა: ობუდე=საბუდე, საბუდარი, ობოანალი=საბანელი, ოზიდალი=საზიდელი, საზიდავი),

დიდ-შენი, კარგს ადგილს, ზის ეპისკოპოზი, მწყემსი ხინოს-წყლის სამკრეთისა ჯორჯხამდე [529]). არამედ გურია იყო სულიად ქუთათლის სამწყსო, ხოლო შემდგომად განყოფისა სამეფოთა, გურიელთაგან დაიდგინნენ სამნივე ესე ეპისკოპოზნი თვისსა დიდებისათჳს. ამ ხინოს მდინარის სამკრით, მთის ძირს, არს ჯჳს ციხე კარგი. და ხინოს მდინარის შესართავთან ზღვაზედ არს ადამბარი, სასახლე, შენი გურიელთა, ფრიად მშვენიერს ადგილს. კვალად ალამბარისა და აჭვის სამკრით დის მდინარე ქობულეთისა. გამოსდის ხინო-აჭარის მთასა, მოდის დასავლით, მიერთვის ზღვასა ეგრეთვე. ზღვის პირს, ამ წყალზედ არს ქობულეთი, მცირე ქალაქსავით და ნავსადგური ფრიად კეთილი. ამის სამკრით დის ჩაქვის-წყალი. გამოსდის აჭარის მთას, მოდის დასავლით, ერთვის ზღვას სხვებრთაებრ. ამ წყალზე, ზღვის კიდეს, არს ციხე ქაჯეთისა, მაგარი, მაღალს კლდესა ზედა შენი. აქუს გვირაბი კლდე გამოკვეთილი გზად. ამას ზეით არს ამ წყალზე ჩაქვი. და ამ ჩაქვის სამკრით დის ჭოროხის მდინარე. ზღვის შესართავზედ და ჭოროხის ჩდილოთ კიდურზედ არს ბათომი, მცირე ქალაქი და ციხე კარგი. აწ უპყრავთ ოსმალთა [530]). ამას ზეით, ჭოროხის ჩდილოსავე

---

[529]) ხინოს საყდარი 1873 წელს ნახა დ. ბაქრაძემ. იგი მაშინ გაოხრებული იყო. 1780 წელს ხინო-წმინდელი იოანე სწირავს გამოჩინებულის მონასტერს ყმას.—ხინო=სალხინო (ლხინი=სვან. ხ ი ნ).

[530]) ბათომს სტრაბონი უწოდებს ბატა-ს (Bata). იგი ამბობს: „ბატა დაბაა და ნავ-სადგური, მას იქით 850 სტადიონზე კერკეტების (ჩერქეზების) სანაოსნო კიდეა". ასრეეე უწოდებს ამ ქალაქს პტოლომეოსი. როგორც ბ ა ტ ა ისე ბ ა ტ ა მ ი ნიშნავენ ბატიანს (შეად. მეგრ- ცხენამი=ცხენიანი, მეგრ. ძალამი=ძალიანი=ძალუმი; მსგავსადვე: ბატი—ბატა—ბატიანი—ბატამი—ბატუმი—ბათუმი. თ=ტ: ქვიტკირი=ქვით-კირი). ბათომში ქალაქი ააშენა ბაგრატ IV († 1072), ოსმალებმა აიღეს იგი 1547 წ. და ქრისტიანობა ამოაგდეს; მიუხედავად ამისა ადგილობრივი ქართველობა

კიდესა ზღდა, არს ერგე, და ბათომის პირისპირს ჭოროხის სამკ-
რეთის კიდეზე არს გონია, მცირე ქალაქი და ციხე. უპყრავთ
ოსმალთა, რომელი აღაშენეს ქორონიკონსა ჩფმზ, ქართუ-
ლსა სჯე.

ხოლო სიგრძე გურიისა არს სამცხის მთის თხემიდამ ზღვა-
მდე და განი — ჭოროხიდამ რიონამდე. ჰავით არს კეთილი და
მშვენი, ზაფხულის ცხელი, წვიმიანი, სოელი, ნოტიო. ზამ-
თარი თბილი, დიდ-თოვლიანი, ვითარცა იმერეთი, და უყივნო-
მთა-გორიანი, აგარაკიანი, ტყიანი და მცირე-ველოვანი. ნა-
ყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი. კვალად აბრეშუმი, ბანბა
არ ეგდენ. ცხოვარნი მცირედ. სხვა პირუტყვნი, თუნიერ აქ-
ლემისა, ჯოგად, მროწლედ, მრავალნი და მძოვარნი ზამთარ-
ზაფხულს უმწყემსოთ. ფრინველნი მრავალნი, ხილნი მრავა-
ლნი. და ბათომს, გონიას და ერგეს ნარინჯი, თურინჯი, ლი-
მო, ზეთისხილი, ბროწეული მრავალი და ზღვის კიდესაცა.
ვენახნი მაღლარნი, ღვინო კეთილი, მსუბუქი და შემრგო,
გემოიან სუნიანი მრავლად. არამედ მდინარეთა წოდებანი არ-
ღარა დავსწერეთ, ვინათგან თვსივე სახელნი აუწყებენ დაპე-
ბთაგან. ხოლო კაცნი და ქალნი მგზავსნი იმერთა ზნითა,
ქცევითა, სარწმუნოებითა, რჯულითა. სამწყსონი აფხაზეთის
კათალიკოზისანი, შემოსილნი ეგრეთვე და შვენიერებითაცა,
არამედ უმეტეს კეკელანი და რბილნი, ენა ტკბილ-მოუბარე-

კიდევ დიდხანს პატივსცემდა იქაურს მოხატულს საყდარს, საიდუმლოდ
ისევ ჰკითხულობდა ქართულს წიგნებს, სახლში ინახავდა ხატებს. იოსა-
ფატ ბარბარო 1437 წელს ამბობს, რომ ბათომი სამეგრელოს მთავარს
ეპირაო, ამასვე იმეორებს კონტარინი 1474 წელს.

1878 წელს რუსეთმა ჩამოართვა ბათომი ოსმალეთს და კვლავ და-
ნარჩენს საქართველოს შემოუერთა. მას აქეთ ქალაქი დიდად გაიზარდა.
1898—1902 წლებში პატივცემულმა ს. კ. ზუბალაშვილმა ააგო აქ შვე-
ნიერი ეკლესია.

ნი. უმეტეს წიგნის სიტყვით (მესხთაებრ), არამედ ქართული
სავე ენისანი და არა სხვისა. ბრძოლასა შინა შემმართებელნი
და იმერთა თანა ვერ შემდარენი, უქერდალნი, უავაზაკონი,
ვითარცა ოდიშარნი. სტუმრის მოყვარენი და კეთილად შემ-
წყნარენი, კეთილ-მგალობელ-მწიგნობარნი, მშვიდნი, არამედ
მყის გულ-მწყრალნი. განა გურიელს ეპყრა ოდესმე აჯარა, ჯა-
ნეთი, არამედ არს სამეფისა. ამისთვს მუნვე დავსწერეთ.

ხოლო რაოდენნი ქვეყანანი ანუ ადგილნი დავსწერენით—
მთათა, ბართა ანუ კავკასთა შინანი—საქართველოსანი, განა
თუ აქვთ ზოგთა ენა სხვა, თვსნი საკუთარნი, არამედ წიგნი
არცა ერთსა რომელსამე აქუს თვნიერ ქართულის წიგნისა სა-
კუთრად.

მაჩვენებელ■

სახელთა ანბანის რიგზედ *).

—

ა, ბ, გ, დ, ე, ვ, ზ, ჱ, თ,
1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9,
ი, კ, ლ, მ, ნ, ჲ, ო, პ, ჟ,
10, 20, 30, 40, 50, 60, 70, 80, 90,
რ, ს, ტ, უ, ფ, ქ, ღ, ყ, შ,
100, 200, 300, 400, 400, 500, 600, 700, 800,
ჩ, ც, ძ, წ, ჭ, ხ, ჯ, ჰ,
900, 1000, 2000, 3000, 4000, 5000, 6000, 7000,
ჴ, ჵ, ჶ.
8000, 9000, 10000.

—

| | გვერდი. | | |

	ᲒᲒ.
აგუნა	რ
ადაბნა	ᲔᲗ
ავლაბარი	[illegible]
ავლავარი	
ავქსინოს ზღვ[illegible]	25[illegible]
ავშალა	145
აზეულას ციხე	62
აზნაურნი	6
ათაბაგნი	16
აია	ᲔᲗ
აკაურთა	50
ალავერდი	164. 165. 175
ალაზანი	130, 131
ალათემური	151
ალამბარი	322
ალანი	256. 317
ალაროდი ნ. არარატი.	
ალალაჯა	44
ალბანელნი	რიგ, რიე
ალგეთი	59—63
ალევის მთა და ეკლესია	93
ალეწის-ციხე.	84
ალი	ᲔᲗ
ალის აღწერა	118
ალონი	127. 166
ალპანის ციხე	265
ამაზონები	250
ამარ	რგ
ამარანტა	რზ
ამაღლების ეკლესია	267
ამბროლაური	282

	ᲒᲒ.
ამერეთი	255
ამირეჯიბი	119
ანაკერტი	227
ანანური	92
ანგუსტი (ღლიღვში)	195
ანანა, დანანა.	ᲔᲑ
ანჩის ეკლესია	225, 266
ანჩისხატი	71
არაგველნი და ბაზალელნი.	94
არაგვი ზივ, 89, 92, 138.	139
არადეთი	116
არგვეთი	251. 260. 269 271. 278 289
არგვეთელნი	290
არარატი, ალაროდი ანუ ურარტი	კ. კთ. ლგ
არბო-წმიდის ეკლესია.	110
ართვანი	231
არზრუმი	238
არმაზი	76 რიზ
არპანის ციხე	265
არსიანი ით. კ.,	215
არსის სამეფო	ით, კ
არტანი, ციხე და ეკლესია	222, 224
არტანუჯი, ციხე და ეკლესია.	202, 232, 233, 234
არქევანი	44
არშის ციხე	97
ასან-ყალა	237
ასკანას ციხე	320

ბ3.

ასპინძის ციხე. . 213
ატენი . . 79. 80
ატოცი . 50, 117, 272
აფხაზეთი, აფხაზური ენა
ოვ. 255, 274. 310
ელაიანის მინდორი . 91
ალდგომა . . . 19
აღებ-მიცემა . . რიგ
ალისტევი . . 40
ალჯაყალა . 40
აშატურთ-კარი და ციხე. 101
აშუარიანის მინდორი. 106
აჩაბეთი . . 112
აწერის-ხევი და ციხე შან-
შესი . 102, 103
აწყვერი . . 207
აწყური . . 115
აჭარის წყალი. 225, 324
აჭვის-ციხე : . 322
ახალგორი . . 99
ახალდაბის ციხე ამილა-
ხორისა და ხიდი 99, 123
ახალ-სენაკი . . 297
ახალქალაქი . 78, 219
ახალქალაქური მონასტე-
რი . . 76
ახალციხე . . 208
ახალწელი . . 18
ახალჯვარი . . 81
ახიზის მონასტერი . 233
ახპატი . . რიC, 41

ბ3.

ახტალა 43. 80, 158 160
აჯამეთი . . 271.

ბაგრატის ეკლესია. 280
ბადელიძენი . . 193
ბაზალეთი.. . 92, 93
ბათომი . 320, 323
ბაიბურდი . . 243
ბაიდარი . . 58
ბაკულიანი . . 52
ბაკურიანი . . 52
ბაკურციხე . . 158
ბალიკის-ხევი . . 50
ბამბაკის-ხევი . 41, 42
ბანას ეკლესია . 235
ბანძა . . . 295
ბარალეთი . . 219
ბარეთის ტბა . 54
ბარეულას ციხე . 282
ბასიანი ნა, ნვ, 180, 194,
. . . 237
ბაღდადის მონასტერი.
. . 267, 283
ბაშ აჩუხი . . 256
ბახტრიანი . . 166
ბედია . . . 274
ბეთენია . . 64
ბეთლემის ქვაბნი . 97
ბეკამი . . 120

	გვ.
ბელაქანი .	150, 151
ბელტის ციხე. .	89
ბერდიკი . .	45
ბერდუჯი.	40, 41, 43
ბერთუბანი . .	67
ბერ . . .	137
ბერიქალის ციხე .	56
ბერიძის ციხე .	320
ბერ-ციხე .	101, 272
ბეყჩოს ციხე . .	103
ბეშკენაშენის ხევი .	53
ბეპის ციხე . .	223
ბიანას სამეფო .	კ
ბიეთის მონასტერი .	108
ბირთვისი . .	61
ბოდავის ხევი და ეკლესია . . .	141
ბოდბე	153, 154, 169, 175
ბოდორნას ციხე . .	92
ბოეთანი . .	150
ბოლნისი . .	45
ბორჩალუ .	41, 44
ბოსტან-ქალაქი .	66
ბოქორმა . .	136
ბრეთის მონასტერი .	116
ბრილის წყარო .	119
ბულა სპასალარი .	49
ბანყოფა საქართველოსი	2
განჯის კარი . .	70
	გვ.
გარდაბანი.	43, 65, 128, 174
გარეთ-კახეთი .	128, 129
გარეთ-უბანი . .	72
გარეჯა, გარესჯა,	66, 132
გარსევანიშვილები .	118
გაც და გაიმ, გოგ და მაგოგ.	ᲓᲐ, ᲓᲐ, Ო
გალმა-მხარი.	129, 156, 168
გაჩიანი .	44, 61, 65
გეგუთი . .	279
გელათი. .	67, 240
გესემანიის მონასტერი.	122
გეტის-ხევი . .	50
გვერდის-ძირი. .	102
გვიანა . . .	56
გზები . .	რიგ, რიზ
გიში . . .	147
გლეხნი მუშაკნი .	6, 7
გლოლა, ეკლესია.	193, 287
გოკია . . .	216
გომარეთი .	52, 56
გომართა . .	118
გომბორი . .	129
გონბორი . .	163
გონია . . .	323
გორი . .	107, 114
გორის წულის ციხე.	158
გორიჯვარი . .	81
გორულის ხევი .	44
გრდანი .	65, 128

ბ.

გრემი. 93, 160, 164, 175
გუბის წყალი . 266
გუდამაყარი . . 94
გუდარეხი . . 60
გულგულა . . 162
გურია. ნბ, 274, 322, 323
გურიანთას ციხე . 320
გურულნი . . 319
გურჯაანი . . 158
გურჯიბოლაზი ანუ საქართველოს ყელი. 243
გუფთას ნაციხვარი . 113
გუჯარეთი . 83, 124
გძელტბა . . 132

დადეშის მონასტერი, ეკლესია. 213, 223
დავით-გარეჯა. . 67
დავითის ციხე . 98
დალი . . . რ
დამპალა . . 133
დანანა ნ. აინინა,ადნინა
დანახვისის ეკლესია. 80
დარიალა. რივ, 70, 98
დარიის მონასტერი. 72
დარნები . . 62
დაღალულას მინდორი 83
დბანის ხევის აღწერა. 48—50
დებედა . . . 40
დედა-ციხე . 79, 136

ბ.

დევი . . . რა
დევის-ნამუხლი . 76
დემოთის ციხე . 206
დემურჩისალნუ . 67
დეხვირის ციხე . 264
დვალეთი 103, 114, 179, 183, 188, 191
დვანის-წყალი . 116
დიგორი (ოსეთშია) 192
დიდგორი . . 64
დიდოეთი 127, 128, 168, 173, 175
დიდოელნი . . 169
დიდუბე. . 74, 128
დიმის ციხე . . 267
დირბის მონასტერი 116
დისველის მინდორი. 50
დილმის ხეობა. . 76
დოდორქისა . . 67
დოდოს მონასტერი. 135
დოესის მინდორი . 79
დოიანთა . . 251
დოლის-ყანა . . 233
დორთ-ქილისია ნ. დადეში
დარის-ციხე . . 79
დროშა 20, 64, 175, 289, 290, 291, 292, 293
დუდეთის ქვა, წყარო 114, 115
დურნუკი . . 62
დღნორის ციხე . 281

ბ3·

Ეგრისი . . 255
ევქსინოს ზღვა . 253
ეკლესია (დაბა) . 62
ეკლესია მოციქულთა 85
ეკლესიათა და მონასტერთა შესახებ . 125
ელისენი 129, 147, 175
ეოხშის მონასტერი 241
ეპისკოპოზ-მღვდელთათვის: ლთ, ნთ, 6, 15, 29, 40, 54, 60, 66, 86, 90, 105, 111, 114, 115, 134, 135, 137, 146, 153, 159, 160, 165, 210, 217, 218, 221, 222, 223, 226, 228, 231, 235, 264, 266, 270, 272, 280, 283, 295, 301, 302, 319, 320, 322
ედერვის ციხე და ეკლესია . . 111
ერევნის მთა . . 42
ერთა-წმიდა . . 78
ერისთავნი . . 6
ერკნეთის ეკლესია . 117
ერუშეთი და ეკლესია 221
ერწო . . 127, 136

ბ3·

ერწოს ტბა . . 268

ვაკე . . 260, 291
ვაკელნი . . 292
ვალაგირის ხეობა (ოსეთში) . . 188
ვანათის ციხე . 110
ვანნა ანუ ვან . ით
ვანის მონასტერი . 210
ვარდის-უბანი . 56
ვარენთის-ციხე . 213
ვარიანის ფშანი . 110
ვარციხე . 267, 283
ვარძიის მონასტერი 214, 269, 276
ვაჭარნი . 6, 7
ვახანის ციხე . 277
ვახუშტი და მისი შრომანი ა
ველიეთის ეკლესია . 285
ველის ციხე . . 165
ვერან-გარეჯა. . 67
ვერე . . 63, 74
ვერენის (ვერანას) ციხე 135
ვერის-დაბა . . 79
ვეარა . . 104, 181
ვეჯინი . 128, 158

ზადი, ზადენი . ეზ
ზამთარი . . 47
ზარზმის მონასტერი 210, 321

ბ.

ზახი (ოსეთშია) . . 190
ზებეყურის მთა . 100
ზედაძნის მთა და მონასტერი 14, 130, 142, 143
ზეკარა (ოსეთშია) . 191
ზემო-ქართლი. 104, 215
ზნაკვის ციხე . 282
ზნეთათვის . . 2
ზრამაგა (ოსეთშია) . 190
ზუგდიდი . . 302
ზურტაკეტი . 51

თაბორი . . 70
თაგაურის ხეობა (ოსეთშია) . . 186
თაფლი . . რიდ
თაკვერის ციხე 262, 263
თამარაშენი . . 112
თარგამოული . . 43
თედო-წმიდა . . 109
თევზნი: 35, 40, 53, 55 58, 79, 81, 91, 109, 110, 121, 138, 167, 182, 204, 206, 230, 231, 234, 243, 248, 258, 268, 272, 276, 286, 289, 290, 291, 293, 297, 320

ბ.

თეთრ-სენაკი . . 67
თეთრ-ციხე . . 41
თეზის-ხრამი . . 54
თეზმის-ხევი . 128, 142
თელავი. 129, 133, 163
თელეთები . . 63
თემისკირა . . 251
თეოდოსიოპოლი . 238
თეძამი . . . 78
თვალი . . 134
თვალივი . . 78
თიანეთი 127, 128, 129, 137, 140, 141, 175
თირის მონასტერი . 112
თილვის მონასტერი . 118
თმოგვი . . 212
თოთხამის ციხე . 84
თორთომის ციხე და ხეობა . . 240
თორი . . 83, 124
თორელნი . . 83
თოლა, თორლა რივ, 156, 161, 164
თრიალეთი . 52—55
თრიალელნი . . 55
თრუსო . 96, 180, 191
თურდოს-ხევი . 162
თურქნი . . 4
თუქურმიშა . . 452
თუშეთი 127, 128, 157 168, 171, 173, 175

	გვ.
თუშნი . . .	172
თუხარისი .	178, 229
თხმელის ციხე .	267
თხოთის მთა . .	91
Ialbuzi . .	192
იალონი . .	142
იარაღი . .	რიე
იაღლუჯის მთა .	63
იდი . . .	235
ივერნი . .	რიგ, რიე
იკორთის მონასტერი .	102
იმერეთი	130, 255, 260, 274
იმერნი . . .	259
იორი	130, 131, 132, 136
ინგილოები	იხ. საინგილო.
ინჯა . . .	40
ირტოს-ხევი . .	127
ირჯანის მთა ანუ ყარაღა-ჯისა . .	47
ისნი . .	69, 72
ისპირი .	რიე, 231, 238
ისროლის ხევი .	101
იტრიის მონასტერი.	120
იყალთოს მონასტერი.	164
იშხანის ციხე და ეკლესია	231
კაბენის მონასტერი	62, 99
კაბერის ციხე .	106
კადუზიანნი . .	4
კავთის-ხევი, კავთის-ციხე.	77
	გვ.
კაზარეთის ხეობა .	50
კათალიკოზი	15, 245, 247, 259, 298, 299, 301
კაკასხიდი . .	267
კაკი . .	147, 148
კალმახის ციხე .	234
კამბიზენი . .	რიდ
კანბეჩოვანი .	155, 174
კაპადოკია . .	ლ3
კარალეთი . .	109
კარდანახი . .	157
კართუბანის ციხე .	158
კარკნალი .	55, 62, 112
კარულის მთა .	102
კაპადოკია .	რიდ, რიე
კარწახის ტბა. .	217
კასპელნი . .	რიე
კასპი . . .	105
კასრის საყდარი.	148, 157
კასრის ხეობა (ოსეთშია)	188
კაცთათვის . .	36
კაცთ-ჭამიაობა .	4
კაცხის ეკლესია .	277
კახელნი . .	130
კახეთი	127, 128, 132, 170, 172, 174
კახეთის მთა .	129, 166
კახნიაური . .	279
კბოდე . .	152
კედელა (ოსეთშია) .	191
კერპთათვის .	4, 13

ბ3.

კეჩუთის მთა . 49
კეხვის ციხე . 119
კვარა (ოსეთშია) . 187
კვერნაკი . 130
კვეტერი 128, 166
კვირიკე . 128
კვირიკეთის მთა . 52
კვიტაშვილის ციხე . 282
კიკანათ-ბერის ციხე. 81
კიმოთისმანის მონასტერი 124
კირჩხიბი 258, 290, 291, 292, 293
კისის ხევი . 162
კლარჯეთი . 202, 224
კლდე ბრწყინვალე . 82
კლდე-კარი . 59
კოდიანი, კოდმანი . 221
კოლა . 202, 223
კოლხები, კოლხიდა ლდ, მგ, მᲨ, რიგ., რიდ, რიე, 249
კონდოლი . 162
კოჟრის-ციხე . 62
კორკონის მონასტერი . 79
კოტორის ციხე . 264
კოწახურის ფონი . 77
კოხტის ციხე . 213
კრისის-ხევი . 83
კსანი ნ. ქსნის ხევი. 91
კულბეთის ციხე . 110
კუმისი . 63

ბ3.

კუმურდოს ეკლესია. 218
კუხეთი 68, 127, 141, 173
კუხეთის მთა . 130, 143

ლავრა . 78
ლაზიკა, ლაზეთი . 253
ლაკვათის ანუ ლაგოეთის ციხე . 157
ლაკვის.წყალი . 60
ლალისყურის ციხე . 165
ლანჩქუთი, ლანჩხუთი . 319
ლარგვისის მონასტერი . 100
ლასტის-ციხე . 64
ლაშას-ჯვარი . 133
ლაშკარი 7, 29
ლეკნი . 149
ლელვარის მთა . 45
ლეჩხუმი . 260, 262, 274
ლეჩხუმელნი . 265
ლეჩხუმის ციხე . 321
ლიახვი დიდი 103, 109, 110
ლიახვი პატარა . 102, 110
ლიგანი . 201, 231
ლითონები ნ. მიწალები.
ლილო . 65, 74, 128
ლიპარიტის უბანი . 56
ლისის ტბა . 76
ლიხის მთა . 256
ლოდი პატივნისა,—სამებისა . 60, 61
ლომის ეკლესია . 95

ბ3.

ლოპოტა, ლოპოტის-ხევის წყალი . 162
ლორის ციხე . 41, 42
ლოქის მთა . . 46
ლოჭინი . 68, 145
ლუკუნის მთა. . 50
ლურჯ-მონასტერი . 63, 74

მაკაბელი . . 150
მაკრონები ანუ ჭანები ბ, 249
მამებას -ციხე (საიდამაც ოსებმა გამოიყვანეს გორგასლის და) . 105
მანავი . . . 133
მანგლისი . . 60
მანხუტის-ხევი . 44
მარილისი . 128, 129, 166
მარები . . . 252
მარინეს მონასტერი. 166
მარნეული . . 62
მარტვილის ანუ ჭყონდიდის ეკლესია . 295
მარტყოფი 65, 128, 145, 175
მაქსიმე ალმსარებელის მონასტერი . 264
მაღარო . 133, 154
მაღრან-დვალეთი . 103, 114
მაღრან-დვალელნი . 104
მაღრანი . . 166
აშავერი 48, 49, 50
მაჩაბელნი . . 112

ბ3.

მაჩაბლიანთ-ციხე . 213
მაჭი . 128, 129, 157
მაჭუტაურის ციხე . 273
მგელ ციხე . . 213
მახვილის ციხე . 157
მებოძირი მრავალგზიანი. 122
მერის მონასტერი . 233
მესხის ანუ მოსხის მთები 242
მესხნი ანუ სამცხელნი რიგ, 204
მეტეხი . . 72, 78
მეღვრეკისის მონასტერი 111
მეფეთათვის. 15, 17, 29
მეჩიტი . . 71
მეჯვდის მდინარე 101, 108
მთავარნი ანუ თავადნი 3, 6, 16, 17, 23, 26
მთა-წმიდა . . 73
მთები . . . 34
მთვარე . . . რა
მთიულეთი . . 94
მთიულთ-კარი . 94
მთიულნი . . 95
მიდია . . . რიგ
მილიდ ანუ მილიდდა. კ
მინდას ციხე . . 285
მისხანა . . . 47
მიტფოკინის ციხე . 271
მიტრაპოლიტი . 207, 230
მიწალები, ე. ი. მიწები, ქვები, ლითონები: რიგ, რიდ, 41, 45,

ბ3.

47, 48, 50, 57, 62, 63, 69, 70, 72, 84, 96, 98, 113, 114, 118, 119, 182, 189, 271, 273, 284, 286, 287

მიწად-მოქმედება და მრეწველობა რიგ, რიდ, რიე, რიე

მიწობის-ხევი . . 83

მიჯნაზორი . . 227

მოდამნახე. 54, 274, 279

მოვაკანი . . 231

მომწვარის-ციხე . 84

მოსაბრუნი . . 149

მოურავნი კახეთში . 175

მოწამეთა . 67, 268

მოხატული . . 67

მოხევენი . . 99

მოხისი . . 119

მრავალძალის ეკლესია 284

მსახურნი . . 6, 7

მსხვერპლის შეწირვა . რ0

მტილნი . . 33, 258

მკვრის-ციხე. 58, 91, 178

მტკვრის-ხეობის აღწერა 123—125, 205

მურის ციხე . 264, 265

მუსის-ციხე . . 52

მუშაშირი ნ. არსის სა. მეფო . . ით

მუხად გვერდი . 76

მუხალეთის ხევი და ციხე 82

ბ3.

მუხრანელნი . 92

მუხრანი . 85, 88, 92

მღვიმეს მონასტერი 67, 88, 89, 278

მყინვარე . 96, 181

მცენარენი 63, 67, 81, 181, 257

მცხეთა 3, 85—89, 97, 150

მცხეთის სამეფო . ად

მძორეთი . . 82

მძრომნი და გველნი . 259

მწერნი . 35, 116, 259

მწყერის-ციხე . . 276

მჭადის-ჯვარის მონასტერი 90

მჭედელი . . რ0

მხურვალეთის მონასტერი 106

ნაგები . 66, 128

ნადარბაზევი . . 57

ნადირნი . . 62

ნავარძეთის ციხე . 278

ნათლის-მცემელი 67, 71, 80, 135, 227

ნათლუხი . . 74

ნაირის ერის ისტორია. კზ

ნარეკვავის ხევი . 90

ნარის-ხეობის წყალი (ოსეთშია) . . 90

ნარუმაკი ანუ ნარიმანი. 235

ნასპარსევის-მინდორი. 91

ნაქალაქევნი და ნასოფ-

ბ3·

ლარნი: 14, 133, 137, 152, 157, 159, 166, 221, 297, 320
ნაქულბაქევი . . 76
ნალვარევი . . 94
ნაპარმაგევი . . 109
ნაჯიხურევი . . 272
ნეინის წყალი . 157
ნეკრისი . 159, 174
იგოზ-თხილის ხე . 118
ნიკოლა-წმიდის ანუ ნიკორწმიდის ეკლესია 283
ნნინიას-ციხე . . 284
ნინო-წმიდის ეკლესია 134, 175
ნიქოზის ეკლესია 111, 183
ნიჩბისის-ხევი . 77, 235
ნოდოკრა, ნოტკორა. 141
ნოკორნას მონასტერი. 141
ნოტკორა, ნოდოკრა. 141
ნოხპატო . . 150
ნულის-ციხე . . 117
ნუნუსის მონასტერი 122
ნუხი . . . 128
ნუხპატი . . 157

ᲝᲑის-ციხე. 63, 65
ოდიში . . 294
ᲝᲡურგეთი . . 321
ოთას ქვაბნი . . 213
ოთრეთი . 44, 57, 61

ბ3·

ოკრიბა . 260, 268, 292
ოკრიბელნი . . 294
ოლთისი . 235, 236
ომანის-ხევი . 128, 145
ონი . . . 286
ოპიზის მონასტერი. 227
ოჟორას მონასტერი 118
ორბეთის ციხე . 263
ორბოძლის მთა მაკვდინებელის ბალახით 102
ორმოზანის ტბა . 49
ოსნი და ოსეთი: 49, 96, 101, 103, 104, 114, 177, 182
ოქონის მონასტერი. 117
ოჩანის ციხე . . 138
ოშორას მონასტერი. 212
ოცხეს აბანო ანუ ახლანდელი აბასთუმანი. 209
ოძრახე . . . 209
ოხერ-ხიდა . . 92
ოხვამე . . . 251

პალიასტომის ტბა . 320
პანკისის ხეობა 127, 128, 129, 166, 175
პარხალის მონასტერი . 245
პატივანი . . 60
პატრასი . . 252
პეტრეს ციხე . 5, 124
პირღკუღმართი . 67

		გვ.
პირუტყვნი	.	33, 41, 258
პირღებული	. .	56
პონტო, ბონდო: მგ, რიე,		252, 262
პონტოს მოსახლენი: ნგ, რიე		
ქალეთი	. .	137
ქამური, კოშკოვანი.		101
ქინვანი	. .	140
ქღელის ხევი	. .	189
რადაბრაგანი	.	52
რაჭა	.	260, 274, 281
რაჭველნი	. .	289
რეხი	. .	106, 159
რეხულა	.	105, 106
რიზა ქალაქი და ეკლესია		246
რიონი	.	მთ, 193, 260
რკინის-პალო	. .	246
რკინის-ციხე	. .	64
რკინის-ჯვარი.	.	209
რუვები: 46, 59, 82, 90,		91, 106, 115, 121, 133
რუისის ეკლესია	.	115
რუსთავი.		128, 146, 175
საამილახვრო.		104, 106
საბარათიანო	.	62, 67
საბა-წმიდას მონასტერი		111
საბურთალო	. .	75
საგარეჯო	.	130, 134
		გვ.
საგიმი	. . .	40
საკურამო	.	128, 142
სადგერი		83, 123, 124, 125
სადგრელნი	. .	125
სადმელის-ციხე	.	282
სავანეთ ეკლესია	.	279
სავახტანგო	. .	103
საზანოს ციხე.	.	273
სათლე	. . .	228
საინგილო	.	147, 148
სალალაკი	.	69, 70
სალიპარტიანო	.	299
სალომინაო	.	267, 290
სამართლისათვის	.	8
სამგორი	. .	128
სამების ხევი, ეკლესია,		მონასტერი 61, 97, 135
სამეგრელო, მეგრელნი		ლვ, ნბ, 273
სამთავისი	. .	105
სამთავრო	.	86, 159
სამიქელაო	. .	292
სამშვილდე	.	57, 65, 178
სამცხე-საათაბაგოს აღ-		წერა 199, 200, 201, 203, 215, 247
სამცხელნი ანუ მესხნი		204
სამწევრისის ციხე	.	82
სანადირო ადგილები:		51, 53, 66, 68, 74, 79, 83, 84, 89, 90, 94,

ᲒᲐ·

98, 102, 108, 109, 133, 137, 138, 143, 150, 152, 167, 168, 182, 204, 210, 230, 231, 234, 243, 248, 290, 291, 293

სანადირო-ქალაქი . 44

სანაინი . რიᲘ, 41

სარბიელას ციხე . 84

სარვანის მინდორი . 63

სარკენეს მონასტერი . 89

სარკინეთი 4, 45, 88, 130, 142, 169

სარწმუნოება . ოᲦ, 3

სასხლეული და სასხლეკები მეფეთა და სხვათა: 70, 78, 79, 94, 98, 109, 112, 118, 124, 125, 133, 141, 154, 157, 161, 163, 166, 212, 274, 279, 281, 282, 283, 293, 296, 297, 298, 299, 300, 302, 321, 322

სასპასპეტონი: 67, 84, 104, 125, 146, 153, 159

სატრედო . . 50

სატყეპელა . . 246

საფარის მონასტერი 211

საფიქლის-ხევი . 52

საქართველო. იზ, ლე, ლვ

ᲒᲐ·

საქართველოს სამეფოს აღწერა . . 30

საქართველოს ყელი . 243

საქართლის-ციხე . 117

საქორიას-ციხე . 287

საღამოს ტბა (ნ. ტბები) 220

საყდრიონი . . 127

საჩინო . . . 266

საჩხეიძო . 276, 290

საჩიჯავაძო . . 291

საჩხერე . . 279

საფლავი ჯაფირისა . 81

საცივი . . 80

საციციანო . 81, 235

საძელისი . . 61

საძმორის ციხე და ეკლესია . . 157

საწირის-ციხე . . 271

საჭილაო . . 292

საჭურველთათვის 8, 185

სახარია . . 296

საჯავახო . . 266

სებეკას ციხე . . 267

სენაკის ეკლესია . 297

სვანეთი . 274, 315

სვანები . . რიე

სვერის-ციხე . . 278

სვეტი-ცხოვლის ეკლესია 86

სკანდას-ციხე და სასახლე 274

სკვირეთი . 63—65

სკრა . . . 81

ბ3.

სიონი . . 70, 80
სიღნაღი . . 154
სომეხნი: იᲘ, კზ, Ძგ, 41, 46, 47, 48, 260, 207, 208, 217, 219, 272, 274. 279, 180
სომხითის აღწერა 43, 46, 65
სონღალუღი . . 63
სორის მონასტერი . 285
სოხასტერის მონასტერი. 270
სპარსის წმიდა გიორგის ეკლესია . . 113
სპერის ზღვა (იხ. ისპირი) 199
სტამენა . . 251
სტეფან წმიდა, ეკლესია, მონასტერი, ხატი 87, 97, 105, 114, 158
სუმბული . . 48
სურამი . . . 119
სურამელნი . . 121
სურების-ხეობა . 320
სუფსეის მდინარე . 320
სხალდიდი . 76, 271
სხოვისის ხევის შესანიშ-ნავი ორმო . 284

ᲢᲐᲑᲐᲙᲘᲜᲘᲡ მონასტერი 275
ტალავრის ხევი . 44
ტანძია . . . 50
ტაო. ნᲒ, 202, 234, 336
ტაშირის აღწერა . 46

ბ3.

ტაშის-კარი . 121, 123
ტაძრისის მონასტერი. 240
ტბები: 54, 220, 228, 320
ტბეთის ეკლესია, ნაცი-ხარი . 114, 228, 229
ტბის-ყურის ტბა . 55
ტეხური . . 297
ტიბარენები ᲫᲑ, 249, 251
ტოლას-ციხე . 282
ტომობა და შთამომავ-ლობა ქართველთა. 1, 2
ტორნეს ხევი . 56
ტრაწაყალის ციხე . 157
ტრაპეზუნტი. 249, 251
ტუსპა . . . კᲒ
ტფილისი . 69—76
ტყე ტბა . . 162

ᲣᲬᲜᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ციხე . 124
ულუმბის მონასტერი 119, 122
ურარტი ანუ არარატი კ, კᲒ
ურბნისი . 114, 115
ურიები: 128, 207, 208, 217, 219, 273, 274, 279, 280, 283
უსანეთის მთა და ეკლესია 106
უფადარი . . 152
უფლის ციხე 4, 106, 107
უძო . . . 64
უწერას ეკლესია, აბანო

ᲒᲜ.

და მიწა . . 287
უწლევი . . 119

ᲤᲐᲖᲘᲐᲜᲘ ნ. ᲑᲐᲡᲘᲐᲜᲘ.

ფაზისის მდინარე ანუ რიონი . . მთ, ნა
ფაზის მდინარე . ნა
ფაიქომის ხეობა (ოსეთში) 187
ფანავრის ტბა. 54, 220
ფანაკარის ციხე . 227
ფანასკეტის ციხე . 234
ფარნავაზ . . 4, 5
ფარცხისი . . 61
ფერსათი . 260, 290
ფილურები . . 251
ფინეზაური . . 49
ფინიკიელნი . . რიგ
ფიტარეთი . . 56
ფიფინეთი . . 149
ფოთი . . 299
ფოლადაური . . 45
ფონა . . . 121
ფორჩხის ხეობა . 225
ფოტრისის-ხევი . 103
ფოცხვერიანის-ხევი . 56
ფუნდუკნი: . 51, 59, 62
ფუტკარი: 204, 221, 248, 249, 259
ფშავი. 127, 139, 175
ფცის წყალი . . 117
ფხოელნი . 127, 140

ᲒᲜ.

ᲥᲐᲓᲐᲒᲘ . . 140
ქალიბნი. იხ. ხალიბნი
ქალის-ციხე იხ. ყიზ-ყალა 59
ქაოზიანი . . 41, 44
ქარზამეთის მონასტერი 214
ქართაულის ხეობა . 187
ქართველები და საქართველო . . ი
ქართველნი ქართულნი 36, 6Ე
ქართლი . . რ
ქართლის აღწერა 39, 132, 199
ქართლის-ციხე, ხევი. 76
ქართული ენა . ᲔᲑ
ქართული ქრონიკონი ᲛᲕ
ქარჩოხის-ციხე . 100
ქაჩალაური . . 166
ქაᲯეთის ციხე . 6, 322
ქაᲯთა-ტუნი ანუ ქაᲯთა-ციხე . . 218
ქედა . . . 225
ქვაბისმანის მონასტერი. 106
ქვაბის-ხევი . . 206
ქვაბლოვანი . . 157
ქვაბნი: 42, 58, 63, 82, 92 87, 105, 110, 111, 117, 162, 193, 210, 213, 216, 233, 270, 271, 278, 281

ბ3.

ქვათახევი . . 77
ქვაშვეთი . . 72
ქვეშის-ციხე, ხევი . 50
ქვიშილეთის-ციხე . 281
ქვიშხეთი . . 121
ქიზიყი ანუ ქისიყი 128
129, 151, 155, 175
ქიზიყელნი . . 155
ქოსტეთი . 179, 194
ქობერი . . 42
ქობულეთი . . 322
ქოზიფის მონასტერი 82
ქოლაგერი . . 67
ქოლოთ-ქვიტკირი 101, 106
ქნოლოსტბა . . 103
ქსნის-ხევი 91, 99—101, 104
ქსნის-ხეველნი. . 101
ქუთაისი . 224, 279
ქუმურლუს-ციხე . 223
ქურდვაჭრის-ხევი . 40
ქურთათა . . 187
ქურმუხი . . 147
ქცია 40, 53, 55—59, 84
ქცხინვალი . . 111

ღაზნა, ღაზნელთ სიმაგრე . . 105
ღართის-კარი . . 90
ღები : . . 287
ღვინო. რ, 83, 291, 293
ღმერთი . . რბ

ბ3.

ღლიღვი 128, 179, 195
ღლიღვნი . . 196
ღუდოს მონასტერი . 94
ღუის-ხევი . . 81
ღუდუშაურის-ციხე. 97

უაბალა . . 147
უაბანი . . . 187
უაზანჩი . . 48
უაიუული ანუ აბოცი. 47, 48
უანჩიეთის კაბენის მონასტერი . . 99
უარაბულახი . . 52
უარაია . . 66, 128
უარანთა . 50, 272
უარაღაჯის ანუ ირჯანის მთა 47, 68, 128,
133, 149, 151, 152
უაყიდური . . 187
უვავილნი . . 33
უვარელი . 159, 175
უველი აჭარული . 225
უველის-ციხე . . 210
უვირილა . . 267
ყიზ-ყალა ანუ ქალის-ციხე 59
ყიყვი . . . 292
ყინცვისის მონასტერი 81
ყორნისის ქვაბნი . 117
ყულარა . . 44

შავშეთი . 202, 228

ᲒᲐ.

შაკიხი . . . 128
შანბიანის მთა . 51
შაორი, მდინარე, ტბა, სასახლე, ციხე 55, 282, 283
შარდენის აღწერა ტფილისისა . . 75
შატბერდი 4, 242, 244, 245
შაქი . . 130, 147
შემოქმედის ეკლესია 320, 321
შიგნით-კახეთი 128, 129, 156, 167
შილდა . . . 175
შინდობის მონასტირი 233
შიოს-უბანი . . 91
შირაქი . . 156
შოთავარი . . 147
შორაპინი რივ, რიზ, 213 274, 275, 283
შტორის ხევი. 128, 164, 174
შუამთა . 129, 162, 163
შურთხი . . 182
შურის-ციხე . 69, 70
შქმერი . . 285
შხეთის ანუ შხეფის ციხე 297

ᲩᲐ.

ჩადივარი . . 128
ჩაისის ანუ ცაიშის ეკლესია . 301
ჩალაუბნის-ხევი . 158
ჩანჩქერი ქციისა . 53
ᲩᲐ.

ჩაქვის წყალი . 322
ჩვეულებისათვის . 12
ჩელეთი . 136, 137
ჩერქესიძენი . . 193
ჩიმი . . . 186
ჩიმითი . . . 187
ჩიჩხიტური . . 4
ჩიხორი . . 2
ჩუბინაშვილის ეთნოგრაფიული განხილვა ძველთა და ახალთა კაპადოკიის ან ჭანეთის მკვიდრთა მოსახლეთა ᲚᲕ
ჩხარის ეკლესია . 272
ჩხერის-ციხე . . 276

ᲪᲐ.

ცაგერის ეკლესია . 264
ცამეტნი წმიდა მამანი: 16, 90, 105, 116, 119, 155, 159, 164, 165
ცეცხლი . . რდ
ცეცხლის-ჯვარი . 116
ცივი . . 130, 163
ციკარა . . ᲔᲐ, 95
ციხე-გოჯი . . 298
ციხე-დიდი . 4, 77
ციხის-ჯვარი . . 124
ცორტავი . . 43
ცოფის მონასტერი . 43
ცუნქის ხევის მონასტერი 212
ცუცხვათის ციხე . 268

ᲒᲒ.

ᲮᲕᲘᲚᲝᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ . 105
ᲮᲔᲜᲘᲡ-ᲬᲧᲐᲚᲘ . 261
ᲮᲘᲚᲕᲐᲜᲔᲚᲜᲘ . 114
ᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲐᲜᲣ ᲥᲪᲘᲜᲕᲐᲚᲘ ᲐᲜᲣ ᲪᲮᲘᲚᲕᲐᲜᲘ . 111
ᲮᲝᲛᲘ . . . 274
ᲮᲘᲠᲔᲗᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔ . 78
ᲭᲠᲐ-ᲙᲐᲠᲐᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ 166

ᲫᲐᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ 82
ᲪᲘᲜᲐᲡ ᲪᲘᲮᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔ ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ ᲚᲘᲗᲝᲜᲘᲗ 118
ᲠᲘᲡ ᲮᲘᲓᲘ . . 271
ᲕᲘᲡ-ᲮᲔᲕᲘ . . 77
ᲚᲔᲕᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ . 286
ᲘᲘ ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡᲐ 42
ᲣᲚᲐ . 122, 276
ᲘᲡᲘᲡ ᲪᲘᲮᲔ . 281
ᲫᲣᲙᲘ 228, 177, 179, 195

ᲭᲐᲚᲙᲐ . . . 54
ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ . 26
ᲠᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔ . . 64
Ი, ᲬᲔᲓᲘᲡᲘᲡ-ᲮᲔᲕᲘ. 79, 286
ᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ . 276
ᲔᲗᲔᲚ-ᲢᲐᲮᲢ, ᲬᲔᲠᲔᲗᲔᲚᲝᲠ . . 151
ᲘᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲬᲝᲓᲔᲑᲐᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲠᲘᲖ, 6, 20, 21 . . . 284

ᲒᲒ.

ᲬᲘᲕᲐ . 47, 181, 237, 244
ᲬᲘᲗᲔᲚ-ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ . 54
ᲬᲘᲚᲙᲜᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ . 90
ᲬᲘᲜᲐᲛᲘᲜᲓᲝᲠᲘ . 152
ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲓᲕᲐᲠᲜᲘ . 15
ᲬᲘᲜᲙᲘᲑᲔᲡ-ᲪᲘᲮᲔ . 101
ᲬᲘᲜ-ᲬᲧᲐᲠᲝ . . 61
ᲬᲘᲠᲥᲕᲐᲚᲘᲡ-ᲪᲘᲮᲔ . 99
ᲬᲘᲬᲐᲛᲣᲠᲘ . . ᲠᲘᲖ
ᲬᲛᲘᲓᲐ ᲗᲔᲕᲓᲝᲠᲔᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ . . 108
ᲬᲛᲘᲓᲐ ᲪᲐᲛᲔᲢᲜᲘ ᲛᲐᲛᲐᲜᲘ
ᲘᲮ. ᲪᲐᲛᲔᲢᲜᲘ ᲬᲛᲘᲓᲐ ᲛᲐᲛᲐᲜᲘ.
ᲬᲝᲜᲐ . . . 286
ᲬᲜᲘᲡᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ . 207
ᲬᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲡᲢᲔᲠᲘ 82
ᲬᲣᲜᲐ ᲐᲜᲣ ᲬᲣᲜᲓᲐ 218, 224
ᲬᲣᲜᲐᲠᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ . 117
ᲬᲣᲠᲬᲧᲣᲛᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ. 210
ᲬᲣᲥᲔᲗᲘ. 147, 157, 175
ᲬᲣᲚᲠᲣᲚᲐᲨᲕᲜᲘ . 45
ᲬᲧᲐᲚᲘ ᲑᲣᲒᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲘᲡᲐ . . 117
ᲬᲧᲐᲚ-ᲬᲘᲗᲔᲚᲐ. . 268
ᲬᲧᲐᲠᲝᲜᲘ: 49, 51, 52, 55, 56, 61, 64, 83, 96, 115, 119, 143, 209, 272, 273
ᲬᲧᲐᲠᲝᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐ 217

	გვ.
ჭალა	105
ჭალა-ტყე	273
ჭანდრის-უბნის ხევი და ეკლესია	158
ჭანეთი ლვ. ბ, 245, 249, 324	
ჭანელნი 248 (იხ. შენიშვნა: 437)	
ჭართალის მთა	93
ჭარი, ჭარის მონასტერი	149
ჭაქვითის ციხე	299
ჭვინტის მონასტერი	207
ჭელენჯიხის ეკლესია	302
ჭერემი	160, 174
ჭივჭავა	57
ჭიორა	287
ჭოეთი	153
ჭოროხი	6, 201, 224
ჭოჭკანა	40, 43
ჭური ღვინისა, საუკეთესო	119
ჭყვისის ციხე	265
ჭყონდიდელი	16
ჭყონდიდის ანუ მარტვილის ეკლესია	295
ხადა	95
ხადის-ციხე	100
ხაზარეთი და ხაზარნი.	177
ხალდა, ხალდია	251
ხალდ-ციხე, ხალტ-ციხე	208
ხალიბნი ნთ, რიგ, რიდ,	
	გვ.
რიე, 248, 251	
ხანის-წყალი	267
ხარაგეულის-ციხე	276
ხარაუგი 132, 143,	146
ხარჭაშოს ეკლესია	137
ხაშმი	135
ხაშური	120
ხახულის მონასტერი 240, 269,	27
ხვარამზეს ხიდი	232
ხვედურეთი	81
ხევი 96,	180
ხევსურეთი 127, 138, 148,	175
ხევძმარი	145
ხეთი	რგ
ხეთის-ციხე	30
ხელის მონასტერი	43
ხელის-უფალნი.	9, 22
ხენძორეთი	241
ხერთვისი 214,	216
ხერკი 128, 138,	142
ხეფინის-ხევი	122
ხელოსნობა	185
ხიდარი	92
ხიდები: 59, 74, 112, 123, 207, 212, 213, 214, 220, 232, 237, 265, 267, 271, 280,	284
ხიდის კარის ციხე	284

ბ3·

ხილი . . 32, 231
ხინოს ხეობა და ეკლესია 321
ხირსის მონასტერი 154, 155
ხოვლე . . 79, 287
ხომლის კლდე და ქვაბი 281
ხონის ეკლესია . 266
ხოჟორნას ხევი . 43
ირანთა . . 132
ორნაბუჯი 128, 129, 153, 174
ხორხების ქვაბი . 56
ხორჯის-ციხე ანუ მახვალი . . 167
ხოტევის-ციხე . 282
ხოფის მონასტერი და ეკლესია . 99, 300
ხოფჯა . . 246
ხულუტის-ციხე . 56
ხუნანი 42, 43, 46, 58, 65
ხუნძარი 128, 157, 173

ბ3·

ჯავახეთი 200, 202, 216
ჯავახეთის მტკვარი 214, 216
ჯავახელნი . . 221
ჯანდირი . . 50
ჯარიეხი . . 195
ჯაჯა . . ეთ
ჯვარის ეკლესია, მონასტერი, ციხე 71, 143, 144, 207, 271
ჯიბლიზი . . 187
ჯიხვი . . . 182
ჯიქეთი . . 274
ჯუმათი, ეკლესია 301, 319

ჰუჯიბი . . 45
ჰერეთი 68, 127, 128, 130, 131, 172
ჰური . 218

დასასრული.


საზოგადო რუქა
ძველის საქართველოსი
58°
60°
62°
64°
66°
ბიზანტია
ტრაპიზონი
ბათომი
ფოთი
ციხე
ქუთათისი
ოსტეთი
ალაგეული
ტფილისი
ბორჩალო
ბოლნისი
ბანა
ქარი (ყარსი)
ანისი
ბახიანი
ბარდა
ბაქო
ბალ
ბალ
ბალ